


K 210338

3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



6 30 1995 1995 1995

ବ୍ୟୋମକାନ୍ତିରା ପରୀକ୍ଷା

କବିତା ପରୀକ୍ଷା

ଶ୍ରୀଦୁର୍ଗାନା, ଶିଳାଶିଲ୍ପିଙ୍କାଳା ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ରାଜତରକା

ପରୀକ୍ଷା ପତ୍ର

ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୩୩୯୮

ପାଠ୍ୟ ପରୀକ୍ଷା ପତ୍ର

ମୁଦ୍ରଣ ତାରିଖ — ୧୯୯୦

ପରୀକ୍ଷା ପତ୍ର	ପରୀକ୍ଷା ପତ୍ର



კრებულში შეტანილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნოე ეორდანიას რჩეული პუბლიცისტური წერილები. ისინი დაწერილი და გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს; მკაფიოდ გვიჩვენებენ ავტორის მსოფლმხედველობას, მის დამოკიდებულებას ჩვენი საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმღინარეობებისადმი.

6. ეორდანიას რჩეული ნაწერების წინამდებარე კრებულ პირველად იძებედება ჩვენს ქვეყნაში. დემოკრატიის, საჯაროობისა და პლურალიზმის პირობებში ეს კრებული ჩიროვან სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს და მკითხველთა ფართო წრეს.

0503000000—057
Σ——— 6—90
M 601 (08) 90

ISBN 5-529

© გამომცემლობა „საქართველო“, 1990.

ნოა ეროვნული

«Поддерживаю предложение тов. Кострова, именно: необходимо вставить требование о переходе земель в собственность хизанов, временнообязанных и проч.» —
— ая დაუჭირა მხარი აგრატულ საკითხში ვ. ი. ლენინმა 1880-
II ყრილობაზე, 1903 წელს, ამხანაგ კოსტროვს, რომელიც
იყო ნეკ ქორდანიას პარტიული ფსევდონიმი, თან ისე, რომ სი-
ზუსტისათვის ქართული სიტყვა „ხიზანი“ მტკიცედ დამკვიდრ-
და ვ. ი. ლენინს ლექსიკონში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხ. სრ.
კრებული, ტ. 7, მოსკოვი, 1979, გვ. 285).

მაგრამ ეს იყო 1903 წლის 1(14) აგვისტოს. მერე და მერე მათი გზები საბოლოოდ გაიყარა...

ნოე ნიკოლოზის ძე ქორდანია დაიბადა 1868 წლის ორ
აპრილს, თანამდებობის ხალმული აზნაურის დჯახში.

ნოე უორდანის დედა ქრისტიანე მეგრელის ქალი ყოფილა, გვარად ჩიქოვანი. თანამედროვეთა გადმოცემით, „ნ. უორდანია განსაკუთრებით აფასებდა დედას. ამ მხრივ ის იყო აკაკი წერეთლის მიმღევარი“. აღსანიშნავია, რომ 1921 წელს ნ. უორდანის დედამ არ დატოვა საქართველო, როცა მისი შვილი ემიგრაციაში წავიდა. 1924 წლის აჯანყების დროს კი იგი ნოეს უფროს ქალიშვილ ასმათან ერთად დაუტუსაღებიათ და ბათუმის ციხეში ჩაუსვამთ. ერთი კვირის შემდეგ მათთან მისულა სერგო ქავთარაძე ვარდებით და შოკოლადებით და განუცხადებია: უნდა წახვიდეთ უცხოეთში ნოესთან, მე თქვენი მფარველობა აღარ შემიძლია, ხომ ხედავთ რა ხდებაო! მაგრამ ნოეს დედას ქატეგორიული უარი უთქვაშს: „კი მენატრება წე-

მი ბიჭის ნახვა, მარა ჩემი შინა აქ არის და მას უნდა შევ-
ნახოო...“

თემაზე

პირველდაწყებითი განათლება ნ. უორდანიამ მიიღეს ლანჩჩუტი
თის სოფლის სკოლაში, აქედან გადავიდა ოზურგეთის სახუ-
ლიერო სასწავლებელში. როგორც თვითონ გვემოწმება თავის
მოგონებებში (ჩემი წარსული, პარიზი, 1953, გვ. 7-8; წინამდე-
ბარე ბიოგრაფიული ნარკევი ძირითადად ამ წიგნზეა დამყარე-
ბული) მისი პირველი საკითხავი წიგნები ყოფილა იაკობ გო-
გებაშვილის „დედა-ენა“, „როდნოე სლოვო“ და „ბუნების
კარი“...

ოზურგეთის სახულიერო სასწავლებლის დამთავრების შემ-
დეგ ნ. უორდანიამ მშობლებს გამოუცხადა თბილისში სწავლის
გაუძლებების სურვილი. მამამისს წისქვილთან მდებარე ორი
ქცევა მიწა გაუყიდია და ამ ფულით 1884 წელს შვილი
თბილისში წამოუყვანია და სემინარიაში მიუბარებია.

თბილისის სასულიერო სემინარიაში 80-იან წლებში სწავ-
ლის დროს ნ. უორდანია წევრია მოსწავლეთა არალეგალური
წრისა, ერთხანს მისი ხელმძღვანელიც. არ აკმაყოფილებს
სემინარიის წიგნები, ბევრს კითხულობს აკრძალულ რუს
რევოლუციონერ-დემოკრატებს (ნ. ჩერნიშევსკი, გერცენი...),
ხალხოსნურ რევოლუციურ-მატერიალისტური შინაარსის
ლიტერატურასა და ურნალ-გაზეთებს („Бог в природе“,
„Что делать“, „Колокол“...), რომლითაც მას უმთავრესად
ამარავებს ცნობილი ქართველი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭიაძე;
ეცნობა ხელმწიფისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ ბრძო-
ლას. ასე რომ, უკვე სასულიერო სემინარიაში ჩამოუყალიბდა
ნ. უორდანიას მტკიცე აზრი: „მეფე ისეთივე გამოგონილი
ავტორიტეტია, როგორც ღმერთი. ეს ორთავე ერთ ღონებე
დავაყენე, ათეიზმი და რესპუბლიკანიზმი ერთიმეორის ტყუპათ
დავსახე“, — წერს იგი (გვ. 12) და განავრძობს: „თუ რუსული
ლიტერატურიდან ვეცნობოდი რევოლუციურ აზრებს, პოლი-
ტიკურ და სოციალურ მიმდინარეობას, ქართულიდან ვეცნობო-
დი ნაციონალურ და პატრიოტულ სულისკვეთებას... აკაკის
ლექსებიდან გამოგვეონდა დასკვნები, რომ საქართველო უნდა
იყოს თავისუფალი“ (გვ. 14).

სემინარიელი ნ. უორდანია მესამე კლასიდან ოცნებობს

ევროპაში მოხვედრაზე. ამ მიზნის მისაღწევად კიდევაც შესულა და ლადო აღნიაშვილის ცნობილ „ხოროში“ და მონაწილეობა მიუღია გუნდის მიერ 1887 წელს თბილისის სახაზინო თეატრში გამართულ პირველ კონცერტში იმ იმედით, რომ, როგორც ლადო აღნიაშვილი აღუთქვამდა, თუ გუნდის საქმე კარგად წავიდა, წავალთ ევროპაშიაც და მას მოვივლით კონცერტებითო. 6. ჟორდანია იმდენად დაჯერებული ყოფილა მიზნის მიღწევაში, რომ ერთხანს ა. მირიანაშვილთან ფრანგული ენის შესწავლაც დაუწყია, ვინძლო ევროპაში მოვხვდე, იქ დამჭირდებაო! მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ აქედან არაუერი გამოვიდა.

1889 წელს 6. ჟორდანიას მონაწილეობა მიუღია სემინარიელთა ერთკვირიან გაფიცვაში და მოუთხოვიათ სემინარიაში ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სწავლების შემოღება. ასევე მონაწილეობდა იგი სემინარიის ხელნაწერ უურნალებში – „სინათლესა“ და „ყვავილში“, სადაც პირველი შეტაკება-პაექრობა მოუხდა სემინარიელ ფილიპე მახარაძესთან...

ასე რომ, ჯერ კიდევ თბილისის სემინარიის კედლებში გახდა 6. ჟორდანია „სოციალისტ-ნაროდიკი“, მომხრე რევოლუციისა, მაგრამ არ აკმაყოფილებდა ნაროდიკული დოქტრინა, რომელიც აღიარებდა რევოლუციას, მაგრამ არა დემოკრატიულს, არამედ პირველადვე სოციალისტურს; ყოველი გარდა მავალი საფეხური გამორიცხული იყო, რაც მასში ეჭვს იწვევდა. 6. ჟორდანია აღიარებს: „მიუხედავათ ყველა ამ ეჭვებისა, მე მაინც აქეთ მქონდა პირი. არავითარი სხვა ხასიათის რევოლუციური მიმართულება და ლიტერატურა არ იყო, არც გამეგონა. უნდა ამომერჩია ორში ერთი: ან ეს ხაზი, ან ხუცობა. უკანასკნელი იყო თავიდანვე მიუღებელი, ურწმუნო მღვდელი შეუძლებელია. დამრჩა პირველი გზა. დედაჩემს დიდი იმედი ქონდა ჩემი – მღვდელი იქნება, მიწირავს და მაცხონებსო“ (გვ. 24).

1890 წელს ასეთი პოლიტიკური განწყობილებით ამთავრებს 6. ჟორდანია თბილისის სასულიერო სემინარიას და 1891 წლის ზაფხულში მიემგზავრება ვარშავაში, სადაც შედის ვეტერინარულ ინსტიტუტში, თუმცა, ნამდვილი ზრახვები სულ სხვა პერიოდი, რასაც იგი ასე გვიმჟღავნებს:

”ვეტერინარობა არ მაინტერესებდა, არც მინდოდა, და თუ შევედი ამ ინსტიტუტში – იმიტომ, რომ აქ გვიღებდეს“ სუმუნა სარიელებს, ისიც პირველი ხარისხით გათავებული და ფარგლებული რობდი ამ შემთხვევით სარგებლობას ჩემთვის საინტერესო განათლების მისაღებად. ჩამოსკლისთანავე მოვაწყე ორი სამეცადინო წრე – ქართველ სტუდენტების ქართულ ენაზე, რუს-ქართველ სტუდენტების – რუსულ ენაზე. პირველისათვის დავწერე მოხსენება „რა არის პროგრესი“ (პ. გელეიშვილს ჩავაბარე) ნაროლნიკული მიმართულებით. ეს იყო ჩემი უკანასკნელი ნააზრევი რუსული სოციალიზმის ფარგლებში. 1892 წელი კი დაიწყო ჩემთვის სრული რევოლუციით ამ სფეროში“ (გვ. 24-25).

რაში გამოიხატა ეს „სრული რევოლუციური“ გარდატეხა ნ. ქორდანის შეგნებაში? თურმე, იგი ეზიარა მარქსიზმს! მაგრამ სჯობს მოვუსმინოთ თვითონ მას:

„რუსული წრე შედგებოდა მხოლოდ რუს სტუდენტებისაგან; ამათ შორის ვიყავი ერთი ქართველი. პირველ ყოვლისა, წავიკითხეთ კაუცქის „მარქსის ეკონომიური მოძღვრება“, რუსული გამოცემა, პირველი ნაწილი. ამ ბროშურამ ჩემზე ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება და ჩემს ეჭვებს არ უპასუხებდა. ამ ბროშურის შემდეგ წრის ერთმა რუს-ებრაელმა, ვარად ვიტკინდ, მოიტანა იმავე ავტორის მეორე წიგნი გერმანულ ენაზე, სადაც იყო ახსნილი და განმარტებული ისტორიული მატერიალიზმი. ვიტკინდი ამას კითხულობდა და იქვე გვითარებინდა რუსულათ. აი ამ დღიდან დაიწყო ჩემში სწრაფი ევოლუცია. ერთი ნაროლნიკული სკამიდან მეორეზე, მარქსისტულ სკამზე გადაჯდომა. აქ პირველათ დავინახე, რომ რუსული სოციალიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონური მიმდინარეობაა და თუ ის მართლა განხორციელდა სადმე, დავექანებით უკან ბარბაროსობაში. ეს ერთი.

მეორეთ, ნამდვილი ევროპიული სოციალიზმის მატარებელი და განმახორციელებელი ყოფილა მრეწველობაში ჩაბმული მუშა ხალხი, ეს მისი მოძღვრებაა და, მაშასადამე, ყოველნაირი ფართე მოქმედება პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა იქნეს დაწყებული მუშათა კლასის გაცნობიერებით და ასპარეზზე გამოყვანა...“

შესამე, რაც მთავარია, აქ გავიგე, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებზე და ში, პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს პოლიტიკური რევოლუცია, დამკვიდრდეს დემოკრატია და მხოლოდ შემდეგ, ეკონომიკურათ განვითარების გაძლიერების და ფართო ორგანიზაციების შემწეობით მივალთ სოციალურ რევოლუციამდე. ამით ისპონდობა ნაროვნიკული სოციალიზმის ძირი: პირდაპირ სოციალიზმი, ძირს პოლიტიკაო.

ამ სამა დებულებამ სამუდამოთ მოკლა ჩემში იმდენი წლის შეთვისებული რუსული სოციალიზმი და გადამიყვანა ევროპიულ ნიადაგზე. ამით ტაქტიკაც აშკარათ დავინახე: მონარქიისტულ გლეხს ინტელიგენცია ვერ ვედგებით, მაგრამ მისი მოძმე ქარხნის მუშა აღვილათ მიუდგება და მას ჩაბერავს ახალ აზრებს. აღმოჩნდა გლეხობის გადასაბრუნებელი საჭე“ (გვ. 25-26).

ამის შემდეგ ნ. ქორდანიას დაუწყია შესაფერისი ლიტერატურის ძებნა და გაცნობა. ამ მხრივ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გ. პლეხანოვის ბროშურას „Горе Тихомирову“ (ვაი ტიხომიროვს). შესაბამისად ნ. ქორდანია მის მსოფლმხედველობაში მომხდარ არსებით ძრებს ვარშავიდან ატყობინებდა საქართველოში დარჩენილ მის თანამოაზრებს – ცნობილ ქართველ მწერალს ევნატე ინკოროვას (ნინოშვილს) და სილიბისტრი ჯიბლაძეს.

ვარშავაში, გარდა მარქსიზმისა და მარქსისტული ლიტერატურისა, ნ. ქორდანია გაეცნო და ეზიარა პოლონეთის ეროვნულ დარაზმულობას, რომელიც იბრძოდა პოლონეთის ავტონომიისათვის, რადგან 1863 წლის აჯანყების შემდეგ პოლონელი საზოგადოებიდან გაქრა პოლონეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა და ბრძოლა უფრო კულტურის ფარგლებში (პოლონერი ენა, პოლონერი სკოლა, პოლონერი აღმინისტრაცია), ერთი სიტყვით, შინაური აეტონომიის მისაღწევად წარმოებდა.

პოლონეთის მდგომარეობა ნ. ქორდანიას თავისი სამშობლოს სურათს აკონებდა, ოდინდ მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლა, ხოლო ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა თავის პროგრამაში წამოაყენა პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ 1893 წელს, როცა ნ. ქორდანია ვარშავაში უკვე აღარ იმყოფებოდა.

ავადმყოფობის გამო ნ. უორდანია 1892 წლის აგვისტოს
დასაწყისში იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულის. —
ეკროპული სოციალისტური იღებით შეიარაღებულ ნ. უორდა-
ნია 1892 წლის დეკემბრის მიწურულში, ყვირილაში (დაბა
ზესტაფონში), მცირე საინიციატივო ჯგუფთან ერთად, რო-
მელშიც შედიოდნენ კარლო ჩხეიძე, ეგნატე ინგოროვა (ნინო-
შვილი), ევგენი ვაწაძე, მიხა ცხაგაია, იოსებ კაკაბაძე, რაფენ
კალაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, ისიდორე რამიშვილი,
არსენ წითლიძე და ისიდორე კვიცარიძე (მათ ბოლოს შეუერთ-
და კახეთიდან დაგვიანებით ჩამოსული სილიბისტრო ჯიბლაძე),
იწვევს პირველ კონფერენციას მშრომელი ხალხის ინტერესე-
ბის დაცვისათვის ბრძოლის ტაქტიკის შესამუშავებლად (იხ.
ზ. ჩიჩუა, საქართველოს ს.-დემ. მუშ. პარტიის მოკლე ისტო-
რია, პარიზი, 1933, გვ. 7; შდრ: საქართველოს კომუნისტური
პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971; იხ. აგრეთვე:
ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ის-
ტორიიდან, თბ., 1961; ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის
საკითხები, თბ., 1962; ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტუ-
რი რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში, თბ.,
1957; გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის
ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების
იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923
წწ.), თბ., 1974; ა. ბენდიანიშვილი, სოციალისტური რევო-
ლუციის წანამდღვრები საქართველოში, თბ., 1971), მაგრამ
საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ და სამოქმედო პროგრამის შედ-
გენა მიენდო ნოე უორდანიას, რომელიც იგონებს: „საკითხი
თითქოს გადაწყდა, მაგრამ მე მაინც არ მოვეშვი და ს. ჯიბლა-
ძესთან და ეგნატესთან ერთად გადავწყვიტეთ ზელახლა შეყრა.
შევუდექით მოხსენების დაწერას... უნდა მომენახა ისეთი ღერ-
ძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრია-
ლება. ასეთ პიონერათ მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნ-
და მომენახა ჩვენს ცხოვრებაში“ (გვ. 30). მაგრამ ამას საქარ-
თველოს სინამდვილეში ემატებოდა ნაციონალური საკითხიც:
„თუკი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზო-
გადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც

დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავისი სახელმწიფო” (გვ. 31).

ასეთი სამოქმედო პროგრამის პროექტით წარსდგა 6. ქორდანია 1893 წლის თებერვალში ზემონახსენები ჯგუფის უმრავლესობის მონაწილეობით თბილისში საიდუმლო ბინაზე გამართულ მეორე კონფერენციაზე, რომელიც საერთოდ მიღებული იქნა და შემდეგ (1894 წელს) დაიბეჭდა კიდეც უურნალ „მოამბეში“.

პროგრამას საფუძვლად ედო შემდეგი დებულება: „1. ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბობი ადამიანის ცხოვრებისა; 2. თავისუფლება მთელი ერისა და თვითუული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოვესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან 3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თვითუული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქმნას ეკონომიურ ნიადაგზე...“ (შდრ. 6. ქორდანია, რჩეული ნაწერები, თფ., 1911, გვ. 57; მისივე, თხზულებანი, ტ. I, თფ., 1920, გვ 71, 72).

ამ ფარულ გუნდს „მესამე დასი“ ეწოდა. მისი ფართო საზოგადოების წინაშე წარდგომა და სამოქმედო პროგრამის გამომზეურება თავდაპირველად მოხდა 1894 წლის 7 მაისს, გურიაში, გუნდის ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს. ცხედრის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში სილიბისტრო ჯიბლაძემ (ნოე ქორდანია ამ დროს ევროპაში ემიგრაციაში იმყოფებოდა) ასე დაახასიათა ფარული გუნდის მოძღვრება და სამოქმედო პროგრამა:

„ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით — მუქთახორა ბურუუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარეა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა. აი, სად ირლვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუდმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით.

რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ქამთა ვითარება, ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გახაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელზე „ახალი თაობისა“ (იხ. უურნ. „კვალი“, 1894 წ., № 22; ეს ისტორიული დღე აღწერილი აქვს იქ დამსწრე ვლასა მგელაძესაც თავის წიგნში: 26 მაისი, პარიზი, 1934, გვ. 33-35).

კლასთა პრძოლის ლოზუნგი უკვე ნასროლი იყო!

...ამ ამბამდე ერთი წლით ადრე, ვარშაველი ამხანაგების დაჭერის შემდეგ მოსალოდნელი დაპატიმრების შიშით, ნ. უორდანია 1893 წლის მაისში ბათუმიდან ევროპაში გაემგზავრა. მართლაც კარგ დროს გაასწრო: ცოტა ხნის შემდეგ ლანჩხუთში მოვიდა ბრძანება ნ. უორდანიას დაჭერის შესახებ, მაგრამ ნ. უორდანია ამ დროს უკვე უენევაში იყო და ასე გახდა იგი პირველად ძალაუნებურად ემიგრანტი. აქ ნ. უორდანიამ პირადად ნახა უენევის მარქსისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი — გ. პლეხანოვი, ვერა ზასულიჩი, ლევ დეიჩი, გუკოვსკი... იგი შეუდგა მარქსისტული ლიტერატურისა და შვეიცარიელი გლეხობისა და მუშების ყოფა-ცხოვრების გაცნობას, ხოლო თავის შთაბეჭდილებებს საქართველოში აგზავნიდა და „ივერიასა“ და „კვალში“ ბეჭდავდა... (იხ. მოგზაურობა შვეიცარიაში, „ივერია“, 1893, № 254; „კვალი“, 1894, №№ 8; 10, 14, 15, 21, 22, 31, 40-42). ნ. უორდანია ლექციებს ისმენს უენევის უნივერსიტეტში, ესწრება ორიენტალისტთა X საერთაშორისო კონგრესს ქ. უენევაში (იხ. მისი წერილი, „კვალი“, 1894, № 42-45).

1895 წელს ნ. უორდანია პარიზში წავიდა, რათა შეევსო ჟენევის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა. ამ მიზნით იგი სამი თვეს განმავლობაში დილიდან საღამომდე მეცადინეობდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, წერილიც გამოგზავნა „კვალში“ გამოსაქვეყნებლად (იხ. პარიზი, „კვალი“, 1895, №№ 2, 3, 7, 8, 9, 15), თან ინახულა პოლ ლაფარგი, ჟაულ გედი და სხვა ფრანგი სოციალისტები: „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ლაფარგმა. მას უყვარდა ლაპარაკი სოციალურ თემებზე, ვსეირნობდით ნასაღილევს მისი სოფლის მიღამოებში და ჩემს კითხვებზე დაწვრილებით და დალაგებით მიპასეხებდა. გავატარე მასთან ოთხი თუ ხუთი კვირა დღე და ბევრი ვისწავლე,“ — წერს ნ. უორდანია (გვ. 35) და განაგრ-

ძობს: „პარიუში დავრჩი ოთხი თვე; დავბრუნდი უწევაში და იქიდან პირდაპირ გავემგზავრე გერმანიაში. აქ ძევდა მარქსიზმული მის სამშობლო, აქ ცხოვრობდნენ საუკეთესო მისი იდეოლოგები და ჩემი განათლების შესავსებათ აუცილებელი იყო აქ ცხოვრება და სწავლა.

დავსახლდი ქ. შტუტგარტში ორი მოსაზრებით: აქ ცხოვრობდა კ. კაუცი. აქ არ მყავდა არც ერთი ნაცნობი არც რუსი, არც ქართველი, რომ ხელი შეეშალა გერმანულის ენის შესწავლაში. ორივე ეს მოსაზრება გამიმართლდა. კაუცის გავეცანი თავიდანვე, კარგად ლაპარაკობდა ფრანგულათ, კვირაობით ვხეირნობდით ტეგერლოსის ტყეში, ჩვენთან ერთად ხშირად იყო ჰელპანდი (პარვუსი) და ვმუსაიფობდით შინაურულათ, გულახდილათ. კაუციმ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ჩემზე თავისი თავმდაბლობით, უბრალოებით, ნათელი აზრით და ცოდნით. მისგან ბევრი ვისწავლე. ხშირათ ვიყავი მის ოჯახშიაც. მე მაინც სოფელი და სოფლის ხალხი მაინტერესებდა და ზაფხულში გავსწიო პროვინციებისაკენ. ჩემი დაკვირვებანი იბეჭდებოდა „კვალში“ და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ“ (გვ. 36).

ბურუუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაცნობის მიზნით 6. უორდანია შტუტგარტიდან მიუწენები გადავიდა. აქ ჩაეწერა უნივერსიტეტში და განსაკუთრებული გულმოდგინებით უსმენდა პროფ. ბრენტანოს. 1896 წლის დასაწყისში 6. უორდანია ტოვებს მიუწენებს, მიდის ბერლინში, სადაც ორი სემესტრი ესწრებოდა პროფ. ვაგნერის, შმოლერისა და ზიბელის ლექციებს.

გერმანიაში ყოფნის პერიოდში 6. უორდანიამ დაწერა და უურნალ „კვალში“ გამოაქვეყნა „ფრიდრიხ ენგელსი“ (1895, №39-41), „სოფელი და სასოფლო შკოლა გერმანიაში“ (1895, №51-53; 1896, №3-5, 38-53), „პოლიტიკური პარტიები გერმანიაში“ (დასაწყისი დაიბეჭდა „ივერიაში“, გაგრძელდა „კვალში“, 1897, №6-8, 10-14), აგრეთვე „ბისმარკი“ (1898, №33).

1897 წლის მარტში 6. უორდანიამ გასწია ლონდონისაკენ, რადგან ინგლისის უნახავად სამშობლოში დაბრუნება დაუშვებლად მიაჩნდა. ლონდონიდან გამოგზავნილი მისი წერილებიც

დაიბეჭდა ქართულ პრესაში (წერილები ინგლისიდან. „პვალი“, 1897, № 25-35, 41-47; ვიღიამ გლადსტონი. „პვალი“ 1898, № 21). აქ იგი ცხოვრობდა ვარლამ ჩერქეზიშვალის შეცნობაზე ერთი ფოტოგრაფის, გვარად ვიღსონის ოჯახში. სამი თვის მასთან ყოფნის შემდეგ ნ. უორდანია ჩინებულად კითხულობდა და ლაპარაკობდა ინგლისურად. ბრიტანეთის მუზეუმში ნ. უორდანია გაეცნო მდიდარ ლიტერატურას, მათ შორის, საქართველოს შესახებ (იხ. მისი, საქართველოს ისტორიის მასალა — ერეკლე II-ის შესახებ, „პვალი“, 1898, № 4). ზაფხულში ცხოვრობდა სოფელში, რიდინგის ახლოს, სადაც საშუალება მიეცა დაკვირვებოდა ინგლისური სოფლის ცხოვრების პირობებს.

ევროპაში ოთხი წლისა და ექვსი თვის ყოფნის (1893-1897 წწ.) შემდეგ ნ. უორდანია ინგლისიდან პირდაპირ საქართველოში გამოემგზავრა და 1897 წლის ოქტომბერში უკვე სამშობლოშია.

6. უორდანიას საქართველოში არყოფნის პერიოდში, 1895-1896 წლებში სილ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით დურგალი ვ. ცაბაძე, ზეინგალი არ. არავიაშვილი, მემანქანე კალ. გოგუა, ასოთამწეობი კლასა მგელაძე, მბეჭდავი ერ. ჩანტლაძე, უურნალისტი სევ. ჯულელი, ლ. კეცხოველი და სხვები შეუდგნენ მუშათა საიდუმლო წრეების მოწყობას და მათ შორის სოციალ-დემოკრატიული აზრების სიტყვიერად გავრცელებას... ფარული ჯგუფის თითოეული წევრი პარტიული ორგანიზაციის სალაროსათვის ხელფასის ორნახევარ პროცენტს იხდიდა და ეს წესად დაინერგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ხოლო ხელმძღვანელ ორგანოებს ირჩევდნენ ძირიდან და არავითარ დანიშნას მაღლიდან არ უშვებდნენ (შდრ. ზ. ჩიჩუა, დას. წიგნაკი, გვ. 10-11).

კლასთა ბრძოლის პრინციპის ნიადაგზე ძველსა და აზალთაობას შორის მწერლობაში და საზოგადოებაშიაც მწვავე დაკა და ბრძოლა ატყდა. საქართველოში დაბრუნებულ ნ. უორდანიას სამშობლო ფაქტიურად ორ ბანაკად დახვდა გაყოფილი: ერთი მხრივ, ილია ჭავჭვაძის „ივერიელთა“ ბანაკი, მეორე მხრივ კი „პვალის“ ბანაკი ერთმანეთს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში არის ჩაბმული. „პვალელებს“ უკვე მოუსწრიათ რკინიგზის სახელოსნოს და სტამბის მუშების, აგრეთვე ხე-

ლოსნების თუ სხვა ფენის მუშათა აყოლიება არა მარტო თბილისში, არამედ ბათუმში, ქუთაისში...

თბილისში
ბათუმში

ნ. ჟორდანია ჯერ ლანჩხუთში, შემდეგ კი თბილისში (1897 წლის ნოემბერში) მისა და ლადო დარჩიაშვილებთან აწყობს შეხვედრას, რომელსაც დაესწრნენ მისი ძველი მეგობრები (კარლო ჩხეიძე, ბეგლარ მელია და ლუზინი – ბათუმიდან, სამ. კილაძე – ქუთაისიდან, სილ. ჯიბლაძე – თბილისიდან და სხვ.) და გადაწყვიტეს არალეგალურ მუშაობას დაემატოს ლეგალური მუშაობა. ამ მიზნით მათ მოლაპარაკება გამართეს „გვალის“ პატრონებთან – ოფიციალურ რედაქტორ ანასტასია თუმანიშვილთან და მის მეუღლესთან – ფაქტიურ რედაქტორ გიორგი წერეთელთან შურნალის შესაძენად, ხოლო რედაქტორობა თავს თავზე აიღო ნოე ჟორდანიამ...

ქართველ საზოგადოებაში მაშინვე ხმა გავარდა, რომ „გვალის“ სოციალ-დემოკრატების ხელში გადადისო... და ამ, ნოე ჟორდანია მოვითხოობს ძლიერ საინტერესო ამბავს, რომელიც ამ დროს მომხდარა:

„ერთ დღეს მოვიდა ჩემთან აღ. ყიფშიძე და გადმომცა, ილია ჭავჭავაძეს სურს თქვენი ნახვა და ხვალ დილით გელის თავის სახლშით. ძალიან გამიკვირდა, არავისათვის არ გამიმხელია. მეორე დღეს წავედი. მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გავეცანი, დაჯდომისთანავე დაიწყო: შეგაწუხეთ ერთი საქმისათვის. მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის“ ხელმძღვანელი, რედაქტორი სრული უფლებით, მხოლოდ როცა ჩვენს შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება – მე ჩემსას დავბეჭდავ, თქვენ თქვენსასო. მე სხვები მოხოვენ გაზეთის გადაცემას, მათ არ გადავცემ, გამოცდილებით ვიცი მათი ამბავი, თქვენ თუ აიღეთ, მზათ ვარ გადმოგცეთო. ეს წინადადება იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი. მაშინვე გადავწყვიტე ჩემთვის წინადადებაზე უარი მეთქვა, მაგრამ რომ ეს უხეშათ არ გამოსულიყო, ვუპასუხე: დიდ მადლობას გწირავთ ასეთი ნდობისათვის. მე ეს არ დამიმსახურება. წინადადება ისეთი მოულოდნელია, რომ საჭიროა მოფიქრება, მეგობრების ნახვა და ამ თან დღეში პასუხს მოგახსენებთ-თქვა. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მას სთხოვენ გაზეთის ხელმძღვანელობის გადაცემას გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე და ნაკაშიძე. გ. წერეთლისათვის არ მითქ-

ვამს. მეორე დღესვე დაპირებისამებრ წავედი იღიასთან ბანაკში და გადავეცი უარი (საბუთებით). პასუხათ მითხრა: „ოქტომბერი ნებაა, იმედი მაქვს ერთმანეთს ხელს არ შევუძლითოდ მეტანი გავიდე ისე, რომ ერთიმეორეს თავს არ დავესხმით. მეც პირობა შივეცი. პირობა შევასრულე. საქმარისია გადახედოთ „პალის“ 1898 წლის ნომრებს, რომ დარწმუნდეთ, „პვალი“ თავს ესხმის „ივერიას“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ივერიაშ“ აუტენა კამათი.

ამნაირათ, პირველი იანვრიდან (1898 წ.) „პვალი“ გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო. ეს იყო იმავე დროს პირველი მაგალითი მთელ რუსეთის იმპერიაში — არსად სოციალისტებს ლეგალური ორგანო არ ქონდათ“ (გვ. 44—45). ნ. ქორდანია იქვე დასხენს: „გ. წერეთელმა გადმომცა სრული რედაქტორობა, სრულიად არ ერეოდა სარედაქციო საქმეებში და თუ რამეს დასწერდა — მე გადმომცემდა გასაცნობათ და ნების დასართავათ“ (გვ. 46).

1900 წელს „ივერიას“ და „პვალის“ ფურცლებზე ქართული სათავადაზნაურო ბანკის გამო გაჩაღდა მწვავე პოლემიკა იღია ჭავჭავაძესა და ნოე ქორდანიას შორის. „ივერიაში“ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა იღიას შემდეგი საპოლემიკო წერილები:

1. უმეცრობის ფართი-ფურთი, „ივერია“, 1900, №№ 60, 61, 62.

2. პატარა საუბარი, „ივერია“, 1900, № 65, № 76, № 84.

3. ახალნი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ქორდანიასი, „ივერია“, 1900, № 73.

4. ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა, „ივერია“, 1900, № 81.

5. ისევ და ისევ ბ-ნ ქორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი, „ივერია“, 1900, № 87.

6. ქორდანიასეული კრიტიკული დახასიათება იღია ჭავჭავაძის, როგორც „ივერიის“ რედაქტორიას და მისი ეროვნული მიმართულებისა, აგრეთვე, როგორც წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების თავმჯდომარისა და, საერთოდ, როგორც პუბლიცისტისა ადრეც გვხვდებოდა (იხ. მისი, გაზ. „ივერია“ და ეროვნება, „პვალი“, 1895, № 11; „მოამბე“, „ივერია“, XIV

რია“ და ეროვნება, „კვალი“, 1895, № 28–30, 32, 34, 35; აფ-
გილობრივი პრესა წარსულ წელს, „კვალი“, 1899, № 3; პრე-
სა, „კვალი“, 1900, № 5, № 7, № 9, № 11, № 13, № 16,
№ 21, № 23, № 25, № 26), მაგრამ საკუთრივ „ახალმოსუ-
ლის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული იღიას წერილების წი-
სააღმდეგ მან გაიღაშერა შემდეგ პუბლიკაციებში:

1. გზა და გზა, „კვალი“, 1900, № 13, № 15, № 16, № 17,
№ 18.

2. წერილი „ივერიის“ რედაქციის მიმართ, „ივერია“, 1900,
№ 84.

ქართველი სოციალ-დემოკრატები მარქსისტულ წერილებს
ათავსებდნენ ლეგალურ უურნალ „კვალში“, მაგრამ თავიანთი
აზრების გასავრცელებლად ისინი არალეგალურ ასპარეზზეც
მუშაობდნენ, კერძოდ, სცემდნენ არალეგალურ ფურცლებს,
პროკლამაციებს და ბროშურებს, ხოლო შემდეგ გაზეთებსაც.
პირველი დაბეჭდილი პროკლამაცია ქართულად 1899 წელს
გამოიცა. ეს იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული პროკლა-
მაცია არა მარტო თბილისისათვის, არამედ საზოგადოდ, ამი-
კრკავკასიისათვისაც. იგი ეხებოდა მუშების დღესასწაულს,
პირველ მაისს და ურჩევდა მათ ევროპის მუშებთან შეერთებას.
პროკლამაცია დაწერილი იყო ნოე ჟორდანიას მიერ, ხოლო
დაბეჭდა ვლასა მგელაძემ (შდრ. 6. ჟორდანია, გვ. 47; ზ. ჩიჩევა,
გვ. 11). პარტიის უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნილება გახ-
და თვითმყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის დამყარება. ძლიერ აქტიურობდა 1898 წელს თბილისში
დაარსებული მუშათა პირველი სოციალ-დემოკრატიული კო-
მიტეტი, რომლის წევრები იყვნენ: სილ. ჯიბლაძე, სევ. ჯუღე-
ლი, ალ. შატილოვი, ვასო ცაბაძე, დიმ. კალანდარიშვილი, რაფ.
კალაძე, ზაქ. ჩოდრიშვილი, არაქ. ოქუაშვილი და მიხ. ბოჭორი-
ძე. ორგანიზაცია იმდენად გაძლიერდა, რომ მუშათა სხვა ქა-
ლაქებშიც გადაიტანა, პირველ რიგში, ბაქოში... აღნიშნულმა
კომიტეტმა საერთაშორისო მუშათა დღესასწაული პირველი
მაისი 1899 წელს თბილისში, ქალაქებარეთ პირველად იდღე-
სასწაულა. ასეთივე დღესასწაული თბილისის კომიტეტმა მე-
ორე წელსაც (1900 წ.) ვადაიხადა ორ ადგილას ქალაქებარეთ,
სადაც გამოიტანეს წიოელი დროშები და მარქსის, ენგელსის,

ლასალის სურათები... ამას გარდა, 1899 წელს მოეწყო თბილისის რკინიგზის მუშათა დიდი გაფიცვა, რომელიც 1900-
წელსაც გაიმეორეს, ხოლო 1901 წელს კვლავ აღნაშენს პირ-
ველმაისობა, ოდონდ ამჯერად არა ქალაქების, არამედ თბილისის მოედანზე... მოხდა შეტაკება მუშებსა და ჯარს შორის,
მრავალი სცემებს და დაჭრებს, ასევე დაატუსალებს და რუსეთში
გადასახლებს. გაჩრიიკეს „კვალის“ რედაქციაც, ხოლო რე-
დაქტორი ნ. უორდანია პოლიციამ დაპატიმრა. ნ. უორდანია
იგონებს: „მეტების ციხეში ყოფნა გამოვიყენე ერთი ნაკლის
შესავსებათ. ვკითხულობდი ბელეტრისტიკას, რაიცა ბლობათ
მოიპოვებოდა ციხის სამკითხველოში. დიდი შთაბეჭდილება
მოახდინა შექსპირმა და ვიკტორ ჰიუგომ. მეტების ყველა სარ-
თული სავსე იყო ამხანაგებით. ყველა აღფრთოვანებული იყო
შექსპირით“ (გვ. 53).

1902 წლის თებერვალში ბათუმში მოხდა ყველა ქარხნის მუშათა გაფიცვა, მოხდა შეტაკება პოლიციასა და ჯართან, მოკლეს 12 მუშა. ასეთი გაფიცვა ბათუმელმა მუშებმა გაიმეორეს ერთი წლის შემდეგ, ხოლო ბაქოში 1903 წლის ზა-
ფულში დაწყებული მუშათა გაფიცვა მთელ ამიერკავკასიას მოედო. ახლა მთავარი საკითხი იყო გლეხობის მიმხრობა. ამ მიზნით 1903 წელს დაარსდა გურიის გლეხთა კომიტეტი, რო-
მელიც გლეხთა მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. მანამდე კი უნდა შევნიშნოთ, რომ 1902 წლის დასაწყისში, ნ. უორდანიას ცი-
ხეში ყოფნისას, მოხდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორ-
განიზაციული გაერთიანება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ
პარტიასთან (რასაც ნ. უორდანია უარყოფითად შეხვდა), აგ-
რეთვე, გაერთიანება ამიერკავკასიის ყველა სოციალ-დემოკ-
რატიული ორგანიზაციისა და ერთი აღვილობრივი საოლქო
ცენტრის შექმნა.

1902 წლის ივნისში ნ. უორდანია მეტების ციხიდან გამო-
უშვეს და საცხოვრებლად ლანჩხუთი მიუჩინეს. მაგრამ ამ დროს
გურიაში გაძლიერებული იყო გლეხთა მოძრაობა, რომელსაც
სოციალ-დემოკრატები მეთაურობდნენ. კვლავ დაიწყო ახალი
მასობრივი დაპატიმრებანი. ნ. უორდანიაც დაპატიმრებს და
ქუთაისის ციხეში ჩასვეს, აქედან ფოთში გადაიყვანეს, მაგრამ
მალე გამოუშვეს და განჯაში გაასახლეს საცხოვრებლად პოლი-

ციის მეთვალყურეობის ქვეშ. აქედან იგი მაინც ახერხებდა ჩუმად ზოგჯერ თბილისში ჩამოსვლას და პარტიულ მუშაობაზე მონაწილეობის მიღებას. ამიტომ განჯის ჟანდარმერიამ ნ. ქორდანიას ვიატკის გუბერნიაში სამი წლით გადასახლება გადაუწყვიტა. მაშინ ნ. ქორდანია პარტიული ამხანაგების (გ. წულუები და სხვ.) დახმარებით საზღვარგარეთ გაიქცა ბათუმიდან; ჯერ ჩავიდა ლონდონში და იქ რომ ნაცნობი ვერავინ ნახა, გამოსწია პარიზში. აქედან იგი გ. პლეხანოვის სანახავად უენევაში ჩავიდა. ნ. ქორდანიამ გ. პლეხანოვის ცოლისგან საიდუმლოდ გაიგო, რომ ბრიუსელში ტარდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა და სათათბირო ხმით ხართ მიწვეულით. ნ. ქორდანია ბრიუსელში ჩავიდა, სადაც დახვდა ამიერკავკასიიდან ჩასული სამი დელეგატი: დ. თოფურიძე, ბ. კნუნიანცი და არ. ზურაბოვი. მაგრამ დიდი ხნით ყოფნა ბრიუსელში მათ არ დასტალდათ, რადგან ადგილობრივმა პოლიციამ ყრილობა აკრძალა. ამიტომ იძულებულია გახდნენ ლონდონს გადაბარებულიყვნენ.

1903 წელს ლონდონში გაიმართა სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის II ყრილობა, სადაც ნაცვლად შეერთებისა, რაც ყრილობის მიზანს შეადგენდა, მოხდა პარტიაში უდიდესი გათიშვა. წარმოიშვა ბოლშევიზმი (ვ. ი. ლენინი) და მენშევიზმი (გ. პლეხანოვი). ნ. ქორდანია გ. პლეხანოვის მხარეს დადგა. თუმცა, როგორც უპე შევნიშნეთ, ამ ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა ნ. ქორდანიას მოთხოვნას ხინწებისთვის მიწის გადაცემის შესახებ (ვ. ი. ლენინი, თხ. სრ. კრებ., ტ. 7, მოსკოვი, 1979, გვ. 285).

ყრილობა დასრულდა. ნ. ქორდანია ისევ უენევაში დაბრუნდა, სადაც იგი გაეცნო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს (არჩ. ჯორჯაძე და სხვ.) და 1904 წლის აპრილში დაესწრო ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციას, რომელიც მაღლე დატოვა სოციალ-ფედერალისტებთან და მათ სამოქმედო პროგრამასთან უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

1905 წლის იანვარში რუსეთში რომ რევოლუცია დაიწყო, 18 იანვარს ნ. ქორდანია დაუყოვნებლივ ბულგარელი იგნატოვის სახელზე გაეთებული ყალბი პასპორტით პირდაპირ პეტერბურგისკენ გამოეშურა, სადაც მას ელოდებოდა ახლადშერ-

თული ცოლი, პარტიული ამხანაგი ინა კორენევა ის შენევიდან რამდენიმე თვით აღრე წამოვიდა). აქედან კი ცოლობის ურთად ბაქოში ჩავიდა, სადაც ინა დატოვა, ხოლო თვითონ თბილისისკენ გამოსწია. თბილისში მას სულ სხვა სურათი გადაეშალა თვალწინ: ილია ჭავჭავაძის ბანაკი დაშლილიყო, „ვერიაც“ ახალი ხალხის ხელში გადასულიყო (ფ. გოგიაშვილი), „ცნობის ფურცელს“ სოციალისტ-ფედერალისტები დაპატრონებოდნენ, ხოლო მთავრობის მიერ დახურული „პვალის“ ნაცვლად ფ. მახარაძის რელაქტორობით „მოგზაური“ გამოდიოდა, რომელიც ბოლშევიზმის პლატფორმაზე იდგა და ვ. ი. ლენინის საორგანიზაციო დოქტრინას იზიარებდა...

ამ დროს ბაქოში პოლიციამ ინა კორენევა დააპატიმრა. 6. უორდანია სახწრაფოდ ჩავიდა ბაქოში, სთხოვა ციხის ექიმს – ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ივანე ელიაშვილს, ჩემი ცოლია, ფეხმძიმედა და დამეხმარე მის განთავისუფლებაშით. ივანე ელიაშვილმა თხოვნა შეუსრულა. 1905 წლის აპრილში ინა წავიდა ლანჩხუთში, სადაც მათ პირველი ასული – ასმათი შეეძინათ. 6. უორდანია კი ამ დროს თბილისშია და გაჩაღებული ბრძოლა აქვს ქართველ ბოლშევიკებთან... ამნაირად, 1905 წელს ჩამოყალიბდა ქართული მენშევიზმი, რომლის საკუთარი ორგანო გახდა არალეგალური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, შემდეგ ლეგალური ყოველდღიური გაზეთი „სხივი“ (ორივე გამოდიოდა 6. უორდანიას რედაქტორობით), პეტონდათ აგრეთვე სხვა ლეგალური გაზეთებიც: „განთადი“, „ელვა“...

ამასობაში ნიკოლოზ II დაადგა ქვეყნის ვითომცდა პარლამენტარიზაციის გზას, გამოიცა ბრძანება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. რესევთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, კერძოდ, ბოლშევიკებმა და მენშევიკებმაც, ბოიკოტი გამოუცხადეს მას, 6. უორდანია კი ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა ლეგალური პარლამენტარული ბრძოლის ტაქტიკა და I სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1906 წლის მაისში აირჩია ხუთი დეპუტატი. 6. უორდანია გახდა I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თბილისიდან და სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი (რესევთის მომდევნო ყველა სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაურები იყვნენ საქართ-

ველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები: მეორე სათათბიროში — ირ. წერეთელი, მესამეში — კარლი ვაჟაფარი ჩხეიძე და ევგენი გეგეჭერი, მეოთხეში — კარლო ჩხეიძე და იოანე აკაკი ჩხენკელი).

მანამდე, 1906 წელს სტოკჰოლმში გაიმართა სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის IV ყრილობა, რომლის მთავარ მიზანს პარტიის გაერთიანება შეადგენდა, ამ ყრილობაზე ნ. უორდანია გ. პლეხანოვთან ერთად მხარს უჭერდა „მიწის მუნიციპალიტაციის“ (თვითმართველობის) პროგრამას. სტოკჰოლმის ყრილობაში ნ. უორდანია ცენტრალურ კომიტეტში აირჩია და I სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ იგი არალეგალურად პეტერბურგში დარჩა სამუშაოდ.

ამასობაში II სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების ტაქტიკის გამოსარკვევად პარტიამ მოიწვაა კონფერენცია ტამერიფოსში. ნ. უორდანიას რჩევით ირ. წერეთელი დათანხმდა კენჭი ეყარა II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობაზე.

პარტიის მორიგი V ყრილობა შედგა ლონდონში, 1907 წელს, რომელსაც საქართველოდან 29 დელეგატი დაესწრო, მათ შორის ნ. უორდანიაც. თავის მოვონებებში ნ. უორდანია მოგვითხრობს ლონდონის ყრილობის „კულისების ამბავს“:

„მივდივარ ქუჩაზე, ხმა შემომესმა უკანიდან: კასტროვ (ეს ჩემი პსევდონიმი იყო), მოიცავეთ ერთ წუთს. მოვიხედე, ლენინია. დავიცადე და ერთად გადავედით ქუჩის მეორე ნაპირას. მან მითხრა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, ოქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის პსიხოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვაშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურათ, რუსულათ მოვაგვაროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით! გამიკვირდა. გავოცდი. მეგონა მცდიდა, დავატყვე სერიოზულათ მელაპარაკებოდა და განუცხადე — პასუხს ახლა ვერ მოგცემ, შევეკითხები ამხანაგებს, სწორეთ ამ სადამოს გვაქვს კრება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ძლიერ კარგი, დასვით ეს საკითხი, თუ გნებავთ მეც დამიძახეთ, დაიმახსოვრეთ ჩემი წინადაღებაა: თქვენ, ქართველები, ნუ ერევით ჩვენს პარტიულ საქ-

მეტაში. ჩვენ არ ჩავერევით თქვენსაში. ხომ ხედავთ საითვენაა რუსის მუშათა კლასი, მისი დელეგაციის უმრავლესობა – ბოლშევიკებია, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, ხალხი რევოლუციონური განწყობილებისაა, მენშევიკები თპორტუნისტებია, მათ მხარს როგორ დაუჭერენ. მაკვირვებს მხოლოდ თქვენი, ქართველი სოც.-დემ. საქმე, თქვენ ხართ რევოლუციონერები, როგორც ჩვენ. რა გაქვთ საერთო მარტოვ-დანის კამპანიასთან... ამ ლაპარაკში მივედით კონგრესის ბინასთან და ერთმანეთს დავშორდით.

ვიფიქრე, განვაცხადო ეს ამბავი ჩვენს კრებაზე ამხანავები აღშფოთდებიან, ხმა გავარდება, ლენინს ბევრი მოხვდება, პრესტიჟიც დაეცემა, ვისოცის რა სასარგებლოა ეს. არ განვაცხადო – შეიძლება საყვედური მითხვას, ხოლო თვითონ კი განვაცხადოს თავის წრეში მაინც. ვარჩიე არაფერი ვთქვა, მოვაცადო მეორე დღემდე და თუ ისიც გაჩუმდა, ცხადია, თავის აზრებს მსვლელობას აღარ აძლევს. ეს პოზიცია ვამჯობინე, მით უფრო, რომ ბევრში მართალი იყო. რუსი მენშევიკები მართლა უხერხემლო ინტელიგენციას წარმოადგენდნენ და უფრთხოდნენ რევოლუციურ გამოსვლებს, ყოველივე გადაწყდება ნელ-ნელა სათათბიროს გზითო. ამ საკითხზე, ტაქტიკის შესახებ, ფრაქციის საერთო კრებაზე დიდი შეხეთქება გვქონდა მათთან. გავიდა ერთი კვირა, ლენინი გაჩუმებულია, მეც გაჩუმებული ვარ, თუმცა ვხვდებოდით ერთმანეთს. ამის შემდეგ ეს ამბავი აღარავისათვის არ მითქვამს. ლენინი ვიცანი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ის რაც მე მითხვა ლონდონში, სახელმწიფოს სახელით გამოაცხადა: ყველა ერს უფლება აქვს მოშორდეს რუსებს, ჩვენ თავს ჩვენვე მოუვლითო. რა გამოვიდა აქედან ვაციო, ისინი მოაჯდენ რუსის მასას და შემდეგ ჩვენც“(გვ. 78-80).

ლონდონის ყრილობაზე ნ. ჟორდანია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს. ც-კ-ის მუდმივი ბინა ფინეთში, ქ. ტერიორიში იყო. ამიტომ ნ. ჟორდანიაც აქ დარჩა. ამ დროს II სახელმწიფო სათათბირო გარეპეს და დეპუტატი სოციალ-დემოკრატები, მათ შორის ირაკლი წერეთელი დაიჭირეს და ციმბირში გადაასხლეს.

III სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატების

არჩევნების მოსაწყობად 1907 წლის დეკემბერში პეტერბურგიდან ნ. უორდანია საქართველოში დაბრუნდა არალეგალურად. თბილისის გუბერნიიდან აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი კანდიდატი — კადეტებისგან ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ხოლო სოციალ-დემოკრატებისგან — კარლო ჩხეიძე. ნ. უორდანიას ენერგიული ჩარევიზ წყალობით არჩევნებში გაიმარჯვა კარლო ჩხეიძემ, ხოლო ქუთაისის გუბერნიიდან — ევგენი გეგეჭ-კორმა.

1908 წლის აგვისტოში ნ. უორდანია კვლავ დააპატიმრეს და თბილისიდან პეტერბურგში გადაგზავნეს, სადაც რვა თვეს ციხეში ჯდომის შემდეგ მოულოდნელად გაათავისუფლეს და ამჯერად უკვე ღეგაღურად საქართველოსაკენ გამოეშურა. მაგრამ ცოლ-შვილი ბაქოში დახვდა საცხოვრებლად გადასული, ამიტომ ისიც ბაქოში ჩავიდა. ნ. უორდანიას ცოლი — ინა ბაქოს მენშევიკური ორგანიზაციის წევრი იყო და მეთაურობდა IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიას. ამ დროს ქართველმა მრეწველმა დ. სარაჯიშვილმა ნ. უორდანიას ჯერ თავისი ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა მიანდო და დაუნიშნა ფულადი ჯილდო, ხოლო 1909 წელს კოოპერაციის საქმის შესასწავლად თავისი ხარჯით მან ნ. უორდანია ცოლ-შვილით იტალიაში გაგზავნა. იტალიაში ყოფნის დროს პარიზში შეიკრიბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ნ. უორდანია, როგორც მისი წევრი, ამ სხდომას დაესწრო, ხოლო ვენაში, ტროცკის რუსულ უნალში მოათავსა წერილები პარტიის გამთელების თაობაზე (ტროცკის უურნალ „ბორბაში“ იგი შემდეგაც თანამშრომლობდა).

იტალიიდან ცოლ-შვილით დაბრუნების შემდეგ ნ. უორდანია ხან ბაქოშია, ხან თბილისში, ხან კიდევ ლანჩხუთში და განაგრძობს მუშაობას პარტიულ პრესაში.

I მსოფლიო ომის დაწყებისას ნ. უორდანია შვეიცარიაში აღმოჩნდა, სადაც იგი სამკურნალოდ იყო ჩასული. ნ. უორდანია სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნდა (გემზე ბილეთის შოვნაში მას დაეხმარა მაშინ მიღანში იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს „ავანტის“ რედაქტორი მუსოლინი).

...პეტერბურგში 1917 წლის ოქტომბერიდან დაწყებულ რევოლუციას კავკასიის მეფისნაცვალი დიდი მთავრობა ჩატარდა, ნიკოლოზის ძე რამდენიმე დღეს მაღავდა და არ ბევერებდა, მაგრამ სანამ შეიძლებოდა მისი დამაღვა! მესამე დღეს გამოცხადდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი დროებითი მთავრობის ოფიციალური დეპეშები, მანამდე კი მოსკოვიდან გოვიტა ფალავამ და ვიქტორ ნოზაძემ ასეთი დაშიფრული დეპეშის გამოგზავნა მოახერხეს: „მთავრობა პეტერბურგში გარდაიცვალა“. რუსეთის მეფის მმართველობა დაცუ! დროებითმა მთავრობამ მეფისნაცვლის მაგივრად ამიერკავკასიაში დანიშნა ადგილობრივი მთავრობა „ოზოკომი“ (Областной Закавказский Комитет), რომლის წევრი და ფაქტობრივად მისი მეთაური საქართველოდან იყო აკ. ჩხერიმელი. მაგრამ თავიდანვე მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდა.

პეტერბურგში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის პირველ თავმჯდომარედ კარლო ჩხეიძე აირჩიეს. თბილისშიც გადაწყვიტეს ძალაუფლების დასაპატრონებლად მუშათა საბჭოს დაარსება (ჯარისკაცების საკითხი ჯერ ღიად დატოვეს მათი პოზიციის ბოლომდე გამოსარკვევად). სხვათა შორის, ვალიკო ჯუდელმა ამ დროს დატოვა ბოლშევიკური ფრაქცია და მთლიანად გადავიდა მენშევიკებთან. მართლაც თბილისში შეიქმნა რევოლუციური ორგანო – მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო (მის უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ), რომლის აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ქორდანია. მალე მას შეუერთდა ჯარისკაცთა საბჭო ვერეშჩაკის მეთაურობით. მოხდა ქალაქის მმართველობის არჩევნებიც, რომელშიც მეთაურებად შევიდნენ სამი ეროვნების წარმომადგენლები – ქართველი ნ. ქორდანია, სომეხი ხატისოვი და რუსი პოპოვი. მაგრამ 1917 წლის ზაფხულში ფაქტიური ხელისუფლება გადავიდა ნოე ქორდანიას თავმჯდომარებით. მოქმედი მუშათა საბჭოს აღმასკომის განკარგულებაში, ხოლო მენშევიკური პარტიის მუშაობას სათავეში ედგა ნოე რამიშვილი, რომელიც ნ. ქორდანიას მოადგილედ ითვლებოდა.

პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თანდათან ბოლშევიკების ხელში გადადიოდა, ამიტომ რუსი მენშევიკების

ლიდერებმა კარლო ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა, რომელთა
იდეალი ერთიანი დემოკრატიული რუსეთი იყო, საქართველოს უკანა
ლოსკენაც მოიხედეს, ხოლო ეს უკანასკნელი (ირ. წერეთელი) კერ
ენსგის დროებითი კოალიციური მთავრობის წევრიც კი
გახდა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, 1917 წლის ოქტომბრის რე-
ვოლუციამ ბოლო მოუღო დროებით მთავრობას, ხოლო ბოლშე-
ვიკურმა ახალმა მთავრობამ ჯარს დაშლისა და შინ უიარაღოდ
დაბრუნებისაკენ მოუწოდა. ამგვარად დაიშალა რუსის ჯარი
საქართველოშიაც. ამიტომ საჭირო გახდა ახალი სამხედრო
შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა. ასე იშვა ქართული სა-
ხალხო გვარდია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვალიკო ჯუ-
ლელი. თბილისში გვარდიამ აიღო არსენალი და მით და-
ექატრონა ამიერკავკასიის საომარი იარაღების მთავარ
საწყობს.

ბოლშევიკების პოზიციები რუსეთში კიდევ უფრო მტკიც-
დებოდა. რუსების ჯარმა დატოვა ოსმალეთის ფრონტი, ხოლო
ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 2 მარტის ზავით საბჭოთა
რუსეთმა საბოლოოდ მოაგვარა ურთიერთობა ოსმალეთთან,
საქართველომ კი ამ ზავით თავისი ისტორიული პროვინციები
დაკარგა. ამიერკავკასია, და კერძოდ საქართველო, რუსეთის-
გან ჩამოშორებული აღმოჩნდა, რამაც შექმნა პირობა ამიერ-
კავკასიის თვითმმართველობის შესაქმნელად ჯერ დროებითი
მთავრობის – კომისარიატის სახით (1917 წ. ნოემბერში), შემ-
დეგ პარლამენტით თბილისში. 1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა
ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებელი
ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამ რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარედ ა. ჩხერიმელი დაინიშნა. ამიერკავ-
კასიის დამოუკიდებლობის (მაშასადამე, რუსეთისაგან ჩამოშო-
რების) გამოცხადებით მყისვე ისარგებლა ოსმალეთმა და
ბრესტ-ლიტოვსკის ზავისაგან ნაბომები მიწებით აღარ დაკმა-
ყოფილდა. აზერბაიჯანსაც თვალი უფრო მოძმე და მონათესავე
თურქეთისაკენ ეჭირა. ამიტომ აუცილებელი გახდა ამიერკავ-
კასიის თვითმმართველობის დაშლა, რათა სამივე სახელმწი-
ფოს – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს თვითონ მიე-
ხედა თავისი თავისათვის. ე. ი. დღის წესრიგში დაისვა საქარ-
თველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც განხორციელდა

კიდევ 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის ხუთ საათსა და 10 წუთზე (იმავე დღეს, დილით, გაუქმდა ამიერკავკასიონის რესპუბლიკა). შეიქმნა ეროვნული მთავრობა, რომელს თავში ჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი. სახალხო გვარდიის პარალელურად მოხდა რეგულარული ჯარის მოწყობა. ქვეყანაში დიდი ეკონომიკური გაჭირვება სუფევდა, განსაკუთრებით კვების საქმე იყო ცუდად, მაგრამ ამ გაჭირვებას ყველა ერთნაირად იზიარებდა – პრეზიდენტიც და მუშაც; ამ მხრივ დამახასიათებელია ნოე ქორდანიას მოგონების ერთი აღგილი:

„მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან (ლანჩხუთიდან) ვიღებდი ხშირათ; ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გაგვიჩარდა, რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხრეს, შენ მინისტრი ხარ, რავა დავიჯვრო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონია! მართლაც, გამოდიოდა, რომ მე მას კი არ ვარჩენდა, არამედ ის მე. ერთი სიტყვით, ყველა გაჭირვებული ვიყავით დაწყებული მაღალი სფეროებიდან. ეს გათანასწორება გაჭირვებაში მოქმედებდა მუშებზედაც და მას იტანდენ მოთმინებით.

ყველაზე უფრო კურიოზული იყო მთავრობის მდგომარეობა. ყველა ქვეყანაში მთავრობის წევრობას სანთლით ეძებენ. ეს უმაღლესი თანამდებობა ყველგან სანატორელი და საბრძოლველია. ჩვენში კი მთავრობაში შესვლა მიჩნეული იყო დიდ უბედურებათ. ყველა მას გაურბოდა, როგორც ჭირს. რამდენი ზეწნა მჭირდებოდა, რამდენი კალთის გლეჯა, პირდაპირ წარმოუდგენელია. ძლივს ვახერხებდი შემადგენლობის მოკრებას ან მასში ახალი პირის შემოყვანას. მიზეზი იყო ერთადერთი – გაურბოდენ პასუხისმგებლობას. მხოლოდ ორ პირს არ სჭირდებოდა ხვეწნა – ნოე რამიშვილს და ევ. გეგეჭკორს, სხვები კი ყველა ძალით შემოთრეულია მთავრობაში...“ (გვ. 149-150).

თანახმად პარლამენტის კანონისა, მოწყო პროპორციულ სისტემაზე აგებული საყოველთაო კენჭისყრით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა მისი კრება. საქართველოს პარლამენტის (დამფუძნებული კრების) თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე, ხოლო მის მოადგილედ (უფროს ამხანაგად) ალექსანდრე ლომ-

თათიძე. სულ საქართველოს პარლამენტში აირჩიეს 130 დეპუტატი, ამათგან 102 სოციალ-დემოკრატი იყო. დამფუძნებულმა კრებამ მიიღო კონსტიტუცია.

შეიქმნა ეროვნული პარლამენტი – დამფუძნებელი კრება თავისი ფრაქციებით. ნ. ქორდანია განაცრმობს: „სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში პირველი დიდი დავა აგვიტყდა რესპუბლიკის ემბლემის შესახებ. ირ. წერეთელმა წამოაყენა მიჯაჭული პრომეთეის ნაციონალურ ემბლემათ გამოცხადება; მე ეს არ მომეწონა, შევედავე. მთავარი ჩემი არგუმენტი იყო ის, რომ ტყვე, შებოჭილი პრომეთეი სრულიად არ შეესაბამება აშობილ, განთავისუფლებულ ერს. მე წამოვაყენე ამ აზრის გამომხატველი თეთრი გიორგი, ცხენზე კოხტად შემჯდარი და ცის სივრცეში თავისუფლათ მარდათ მფრინავი. ბევრი კამათის შემდევ გავიდა ეს წინადადება. მისი მოწინააღმდეგენი ასაბუთებდენ თავის აზრს იმით, რომ თეთრი გიორგი იგივე წმინდა გიორგია. ეს კლერიკალიზმია, უკან დაბრუნებაა, საეკლესიო ემბლემის რესპუბლიკის ემბლემათ გამოცხადებაა და სხ. ამათი აზრიც მივიღეთ სახეში და თეთრ გიორგის წმინდა გიორგის ყველა ნიშანი წამოვაშორეთ...“ (ვვ. 154).

1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია ნოე ქორდანია, რომელიც ამავე დროს იყო „უმაღლესი წამომადგენელი საქართველოს რესპუბლიკისა“ (პრეზიდენტი). ამგვარად, ნოე ქორდანია საქართველოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტია.

1920 წელს საბჭოთა რესეტან დამოუკიდებლობის ცნობის ხელშეკრულების დასადებად ნ. ქორდანიამ მოსკოვს ვ. ი. ლენინთან გაგზავნა მისი ძველი ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ურატაძე და დავით სალირაშვილი. ხელშეკრულება მართლაც დაიდო 1920 წლის 7 მაისს. აი, როგორ აფასებს ამ ისტორიულ აქტს ნ. ქორდანია და კერძოდ, ვ. ი. ლენინის წვლილს: „აშკარა იყო მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი – პოლიტიკური და მეზობლური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი – სამხედრო მინისტრი და სტალინი – ეროვნებათა მინისტრი (კომისარი). პირველს კი – ლენინი. პირველმა ორმა უბრძანეს თავის ჯარს აზერბაიჯანში ჩევნი დაპყრობა. ეგონათ ადვილი იქნებოდა. ხოლო როცა ლენინმა დაინახა, რომ უომოო ეს არ შეიძლებოდა, ევროპის სკან-

დალს მოერიდა და გადასწყვიტა ხელშეკრულების „დადება“
(გვ. 170—171).

1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო ცნობილი „ბორისალოს სომხების აჯანება“ და ქართული ჯარის პირველი მარცხიც. ნ. უორდანიამ სამხედრო მინისტრი ოდიშელიძე გადააყენა და მის მაგივრად მთავარსარდლად გენერალი კვინიტაძე და-ნიშნა...

24 თებერვალს დაიწყო ქართული ჯარების უკან დახევა, მთავრობამ თბილისი დატოვა და ქუთაისისაკენ აიღო გეზი. ნ. უორდანია უკანასკნელი მატარებლით გავიდა თბილისიდან, მაგრამ ქუთაისში გაჩერებაზე და იქიდან ბრძოლის ხელმძღვა-ნელობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მიუხედავად ამისა, ნ. უორდანია ქუთაისში ორ დღეს მაინც გაჩერებულა, იქიდან კი ბათუმში ჩავიდა და ერთხანს იქ დაბინავდა. მალე, 1921 წლის 17 მარტს, ბათუმში გადაწყდა მთავრობის ემიგრაციაში წასვლა ნაციონალური დროშით და უცხოეთში ბრძოლის გაგრძე-ლება.

1921 წლის 17 მარტს იტალიური გემი ნ. უორდანიას სტამ-ბოლისკენ მიაქანებდა. სტამბოლში ნ. უორდანია ინახულეს საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა და ორივემ თავიანთი მთავ-რობის სახელით მას სამშობლოში მიპატიუება გადაატეს. ნ. უორდანიამ საფრანგეთის მიპატიუება არჩია. 1921 წლის აპრი-ლის პირველ რიცხვებში ნ. უორდანია პარიზში ჩავიდა საფრან-გეთის ელჩის შევალიერ თანხლებით, მაგრამ საღვურზე მას ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრია. ეს უკვე ნიშნავდა, რომ საფრანგეთის მთავრობა ნ. უორდანიას იღებდა არა რო-გორც საქართველოს პრეზიდენტს, არამედ როგორც კერძო პირს... ასეთივე გულგრილობა გამოხატეს ბელგიამ და ინგლის-მაც, რომელთაც ცოტა ხნის შემდეგ მიმართა ნ. უორდანიამ ბრიუსელსა და ლონდონში ჩასვლისას... დამოუკიდებელი სა-ქართველო უკვე აღარც მათ აინტერესებდათ...



* * *

ემიგრაციაში ნოე უორდანია განაგრძობდა პოლიტიკურ სტატიითა მიანობას, რასაც მოწმობს მის მიერ პარიზში ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული წიგნები. მაგალითად, 1933 წლამდე მას გამოცემული აქვს 12 წიგნი, მათ შორის, „ბრძოლის საკითხები“, „ჩვენ და ისინი“, „საბჭოთა წყობილება“, „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, „პოლიტიკა“, „ბოლშევიზმი“, „ჩვენი უთანხმოება“, „დემოკრატია“, და სხვ. პარიზში დაარსა ჯერ ქართული სოციალ-დემოკრატიული ურნალი „ბრძოლა“ (№ № 1-35), შემდეგ გაზეთი „ბრძოლის ხმა“, ხოლო ბარიზში დღემდე გამოდის ნოე უორდანიას მიერ დაარსებული უურნალი „ჩვენი დროშა“ (ამჟამად მას რედაქტორობს ნ. უორდანიას სიძე — ლევან ფალავა, სწორედ მისი ქალიშვილია მსოფლიოში სახელგანთქმული ბალერინა ეთერ ფალავა, რომელიც განსაკუთრებული ნაზი სიყვარულით უყვარდა პაპას...).

გარდა პოლიტიკური შინაარსის წიგნებისა, 1930 წელს ნოე უორდანიამ პარიზში ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ (83 გვ., გამოცემა ოდენკურის ქართველ ასოციაციისა),

* * *

ნოე უორდანია გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, 1953 წლის 11 იანვარს, პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ნოე უორდანიაზე ამ მცირე ბიოგრაფიულ ნარკვევს და-ვამთავრებთ მისივე დღიურებიდან ამოღებული სიტყვებით:

„ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი, საჭიროა მისი
აღმოჩენა ან სურვილი მისი აღმოჩენისა. ადამიანს მეტეცქერი
წინასწარი თანაგრძნობით: მისი ავი მაწუხებს, კარგი მაზარებს.
ამიტომ სრულიად მიუღებელია მისი ჩაქოლვა, მისი დამცირე-
ბა, წაქცევა.

მიყვარს დამარცხება, წაქცევა გლახა აზრის, გლახა მიმარ-
თულების; არ მიყვარს წაქცევა თვით ადამიანის”...

გურამ შარაძე

ქართველი ნაციონალისტები

იყო დრო-და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია, როცა ქართველი ხალხი, მთელი ქართველობა სრულ საღათას ძილს მისცემოდა. მას არ აინტერესებდა არავითარი პოლიტიკური კითხვები, არ აღლვებდა არავითარი ეკონომიური ცარცვა-გლეჯა. ის გულგრილათ უყურებდა ყოველივეს, როგორც თავის გაჭირვებას, ისე სხვის ოხვრა-გოდებას. თვითეული ცალცალკე და ყველა ერთათ ჩაფლული იყო ამ საზოგადო არარაობაში და ეს სრულ ნორმალურ მდგომარეობათ მიაჩნდა. თვით მწერლობაც კი, რაც ყველგან ცხოვრების ლამპრათ ითვლება, ამ საერთო სიბნელეს გუნდრუქს უკმერდა და მის თავგამოდებულ დამცველათ გამოდიოდა. გონება და აზროვნება დაიბორკა, საზოგადო წინმსვლელობა შეფერხდა. ეს იყო დრო სრული რეაქციის, დავრდომილების და დაცემის. და აი, თითქოს მოულოდნელათ, ამ საყოველთაო დაუძლურებაში გაისმა ახალი ხმა, ხმა მედგარი და შეურიგებელი. ეს იყო ხმა ქართველი სოციალ-დემოკრატიის, ეს იყო ხმა ქართველი პროლეტარიატის. სოციალ-დემოკრატიული აზროვნება სიტყვით და წერით გამოთქმული სწრაფათ მოეფინა მუშა ხალხს და მის სახელმძღვანელო დედაშრათ გარდაიქცა. ქართველი სოციალ-დემოკრატია და ქართველი მუშა ხალხი ერთმანეთში გაიღესა და ჩამოისხა ერთი განუყოფელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. მან ხელი გაუწოდა კავკასიის სხვა ერთა მუშებს და ქართველ მუშათა მოძრაობა გადაიქცა კავკასიის მუშათა მოძრაობათ. და აი, კავკასიის ისტორიაში დაიწყო სრულიად ახალი ხანა: ქართველი, სომეხი, რუსი და თათარი ხელიხელ ჩაკიდვებული გამოვიდენ პოლიტიკურ ასპარეზზე და ააფრიალეს წითელი დროშა, დროშა შრომის ბატონობისა და თანამედროვე უსამართლობის მოსახლეობისა. წან წამოდგა შრომის ინტერესი და მის გარშემო თავი მოიყარა სხვა და სხვა ერის პროლე-

ტარიატმა. შრომა შეიქმნა შემაერთებელ დვრიტეთ ჟველა და ვრდომილთა და მაშვრალთა. მარქსის ცნობილში, მრწოდებული ბამ — პროლეტარნო ფველა ქვეყნისა შეერთდით — ჩვენში მშობები მძღვრი გამოხმაურება. ამით ჩვენი მუშა ჩაება არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპის მუშათა ფერხულში. კავკასიის პროლეტარიატმა შექმნა თავისი საკუთარი ორგანიზაციები და შევიდა რუსეთის სოც-დემ. მუშათა პარტიაში, როგორც ერთი მისი ავტონომიური ნაწილი. ასეთი ერთობა აუცილებლათ გამომდინარეობს იმ საერთო მიზნისაგან, რომლის განხორციელებისკენ პარტია მიიღტვის. როგორც ეს მიზანი, ისე ერთობის წესები შემუშავებულ იქმნა პარტიის მეორე კონგრესზე და გადაეცა კავკასიის ორგანიზაციებს სახელმძღვანელოთ.

რა სურს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას? სოციალ-დემოკრატია, როგორც თვით სახელწოდება მოწმობს, შეიცავს ორ მცნებას: სოციალიზმს და დემოკრატიას. პირველი მიზანია, მეორე საშუალება. სოციალისტური წყობილების დამყარება შეიძლება დემოკრატიული წყობილების შემწეობით. ამიტომ ჩვენი პროგრამა განიყოფება ორ ნაწილათ: მიზანი (პროგრამა მაქსიმუმი) და საშუალება (პროგრამა-მინიმუმი). პირველით ის უკავშირდება ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიას, მეორით კი სსხვავდება მისგან. მაშინ როდესაც ეერობაში დემოკრატიული წყობილების ძირითადი მოთხოვნილებანი განხორციელებულია, რუსეთში თვითმპურობელობაა გაბატონებული და ყოველივე თავისუფლებას სულს უხუთავს. აქედან — თვითმპურობელობის დანგრევა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება — არის უახლოვესი მიზანი პარტიისა. რა პრინციპებზე უნდა ამენდეს რუსეთის მომავალი რესპუბლიკა? ეს პრინციპები ორგვარია: ერთი ეხება მთელ იმპერიას საერთო და შეადგენს მოუცილებელ საფუძველს ჟველა დემოკრატიული კონსტიტუციისას, ასეთია მაგალითად ხალხის მიერ არჩეული ერთი საკანონმდებლო პარლამენტი, რომლის ხელშია ქვეყნის მთელი გამგეობა (§ 1-2), სრული თავისუფლება სვინდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, და სხვ. (§ 5-6), წოდებათა გაუქმება და ყველა მოქალაქეთა სრული თანასწორობა (§ 7) და სხვა და სხვა; ხოლო მეორე ეხება რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ წვრილ ერებს და საზღვრავს მათ თავისუფალ განვი-

თარებას. ასეთია, პროგრამის მესამე მუხლი, რომელიც ანიჭებს განაპირო ქვეყნებს თვითმართველობას, მერვე მუხლი აღიარებს კულტურულ სამშობლო ენაზედ განათლების მიღებას, სასამართლოებს და სახალის სხვა დაწესებულებათა წარმოებას და სხვა. მეცხრე მუხლი კი უფლებას აძლევს თვითონეულ ერს თავისი სვებედი, თავისი მომავალი წყობილება თვითონვე გამოირკვიოს და გადასწყვი-ტოს.

ასეთია ჩვენი პროგრამის დემოკრატიული მოთხოვნილება. მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლება პროლეტარიატს თავისუფალი განვითარება, გამძლავრება და ბურჟუაზიის ბატონობის სამუდამოთ დაცემა. ნაციონალური რეფორმა ერთი იმ დემოკრატიულ რეფორმათაგანია, რომელიც აადვილებს სოციალიზმის გამეფებას. ის მხოლოდ მთელი ამ პროცესის ერთი რგოლია და ვინც მარტო ამ ერთ რგოლს აფრინდება და თავის მოქმედების მიზნათ აღიარებს, ის პირდაპირ ეწინააღმდეგება სოციალიზმს. ის არის ნაციონალისტი და როგორც ამნაირი ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველია.

თავისთავათ ცხადია, რომ რუსეთის ამგვარი ძირითადი გადასხვაფერება და მისი ჩვენი პროგრამის თანახმათ მოწყობა დიდ ძალას, დიდ ორგანიზაციას მოითხოვს. ამ ძალის მთავარი მატარებელია რუსის პროლეტარიატი, როგორც სიმრავლით, ისე თავისი ბინადრობით. მთავრობის უმთავრესი ძალა სატახტო ქალაქებშია, მისი შემუსვრა იქ უნდა მოხდეს. მამასადამე რუსეთის რევოლუციის მეთაური, თვითმშეწრობელობის სამარის ამომთხრელი პირველ ყოვლისა რუსის მუშა ხალხია. მარა, რომ თვითმშეწრობელობის რეჟიმი ყველგან, სახელმწიფოს ყველა კუთხეში ძირიანათ ამოვარდეს — საჭიროა ყველა ამ კუთხეთა პროლეტარიატის აჯანყება და ადგილობრივ მტრებთან შებრძოლება. ცხადია, თვითმშეწრობელობის დაცემაში დაინტერესებულია არა მარტო რუსის, არამედ ქართველის, სომხის, ურიის, პოლონელი და სხვა ერთა პროლეტარიატი. არც ერთ ამათგანს ცალ-ცალკე არ ძალუბს რუსეთის წყობილების დანგრევა, შეცვლა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. ისინი ძალაუნებურათ შეკავშირებულია რუსეთთან და მხოლოდ საერთო ძალ-ღონით შეეძლებათ საერთო პროგრამის განხორციელება. ამიტომ ყველა ერის და კუთხის მუშათა მოძრაობის შეერთება, შეკავშირება და რუსის პროლეტარიატის

მეთაურობით მტერზე იერიშით მისვლა ერთად ერთი თავდებია გამარჯვებისა. კავკასიის პროლეტარიატი კარგა ხანია მატება დაადგა. ის კარგა ხანია შეუერთდა თავის მოძმეულუნი პროლეტარიატს და მასთან ერთად ლამობს თვითმმკრობელობის დამხობას და მის ნაგრევზე ახალი წყობილების აეგას.

ასეთია მოკლეთ ქართველი სოციალ-დემოკრატიის პროგრამმა, ტაქტიკა და ორგანიზაცია. ის ისე აშკარა და ნათელია, ისე სრული და ფართოა, რომ მოსალოდნელი იყო ყველა გულწრფელი და თავდადებული მოყვარე ჩვენი ხალხისა მას მიემხრობოდა და თავის ძალონებს მას შესწირავდა. ნამდვილათ კი ასე არ ხდება. პირიქით, მუშათა მოძრაობამ სარბიელზე გამოიწვა სრულიათ სხვა და სხვა ჯგუფები, რომელთა მიზანი და მოწოდებაა ამ მოძრაობაში ბურჟუსის შეტანა, პროლეტარიატის გზა კვალის აბნევა და ასე ამ მედგარი ტალღების თავის წისქვილისაკენ ჩატარება. ეს ჩვენი მოძრაობის თანამგზავრი მიმღინარეობაა, რომელსაც არც თავისი შემაღენელი ნაწილებით, არც თავისი მიმართულებით არავითარი საერთო არ აქვს მუშებთან, მხოლოდ სურვილი კი დიდი აქვს მუშებს დაუახლოვდეს და ისინი თავის მიზნისთვის გამოიყენოს. ის კი არ ემხრობა პროლეტარიატს, ის კი არ დგება მის რაზმში და მის იდეალს არ ემსახურება, არამედ პროლეტარიატი უნდა მოიმხროს თავის ბანაკში გადმოიყვანოს და თავის სურვილებს ამსახუროს. ვაი იმ პროლეტარიატს, რომელსაც ეს თავის დროზე ვერ გაუგია, საფრთხე ვერ დაუნახავს და ამ ვითომდა მოყვარეთა ხელში სათამაშო იარაღად გამხდარა! ასეთი „მოყვარენი“ ჩვენ მუშებსაც გამოუწნდათ. ვინ არიან ესენი, საიდან მოდიან, რას წარმოადგენენ და საით მიდიან?

ცნობილია, რომ რაც უნდა მკვდარი იყოს საზოგადოება, თუ კი იმაში თავი იჩინა რაიმე ღრმა მიმდინარეობამ, თუ კი ერთი რომელიმე კლასი ამოძრავდა, მაშინვე იღვიძებს დანარჩენი ნაწილი და იძულებული არიან ამ ახალ მოვლენას ანგარიში გაუწიონ. ასე მოხდა ჩვენშიაც. როცა ამ ათი წლის წინათ, განხვენებულმა კ. წერეთელმა გამოაცხადა, ჩვენში ახალი ჯგუფია ახალი პროგრამით – ყველამ სასაცილოთ აიღო და ჯგუფის არსებობას დაუინებით უარს ყოფდენ. ამ უარის ყოფაში შეერთდა ინტელიგენცია ყველა ფრაქციისა, კონსერვატორებიდან დაწყებული რადიკალებამდის. მაგრამ ამ უარყოფილმა

ჯგუფმა ჩქარა წამოაყენა ახალი კითხვები და დაიწყო ფართო აგიტაცია. მაშინ იმავე „უარისმყოფელებმა“ კილო შესცვალეს „უკუნის არსებობა იცნებს, მხოლოდ მის აზრებს დაუწევს უძრის“ კითხვა. ჩვენში არ არის გაპიტალისტური წარმოება, არ არის კლასთა ბრძოლა — გაყვიროდნენ ისინი. მიუხედავათ ამისა მუშა-ხალხი ამოძრავდა და შედგა ახალ გზაზე. ეს ისე აშკარა შეიქმნა, რომ მისი უარისხელი აღარ შეიძლებოდა. და აი, ივა-ვე მოწინააღმდეგენი შეეცადეს შეცვლილ გარემოებას შეწყო-ბოდენ და თავისი ძველი აზრები სხვა სახით ექადაგათ. მათ განაცხადეს: მართალია კლასთა ბრძოლა არსებობს, მარა ეს ჩვენთვის საზარალოა, ეს დასუსტებს ჩვენს ეროვნებას და სხვა ერები ადვილათ ჩაგვყლაპავენო. ამიტომ ურჩევდენ მუშებს: ბრძოლა შეასუსტეთ, ბურჟუაზია მოირიგეთ და ერთად ემსახუ-რეთ „საზოგადო საქმეს“ — ნაციონალურ აღორძინებასო. მუ-შებმა აღარც ეს დაიჯერეს და პირდაპირ ომი გამოუცხადეს, როგორც გაბატონებულ კლასებს, ისე მათ მფარველ მთავრობას. ამას მიყვა გლეხობაც და ასე რევოლუციონური მოძრაობა სოფელსაც მოედვა. „შერიგებაზე“ დაღადი აღარ შეიძლებოდა. მარა „შემრაგებლებმა“, ამ ბურჟუა-ნაციონალისტებმა, გული არ გაიტეხეს. იმათ გადაწყვიტეს, მართალია მუშათა მოძრაობა უჩვენოთ და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ განვითარდა, მაგ-რამ არა უშავს რა, ჩვენი ხელიდან მაინც ვერ წავა, საჭიროა მისი ცნობა, თავზე ხელის მოსმა, მოფერება, გულის მოგება და მით. ჩვენი აზრების მათ შორის შეპარებაო. და რადგანაც მუ-შათა მოძრაობის მოფერება აშკარათ-ლეგალურათ აღარ შეიძ-ლებოდა, გადმოვიდენ საზღვარ გარეთ, დააარსეს ახალი ორგანო და სახელათ „საქართველო“ დაარქვეს.

ამნაირათ „საქართველოს“ ჯგუფი მუშათა მოძრაობის მიერ გამორიყული ჯგუფია. მისი მიზანია თავისი ნაციონალისტური აზრები მუშებში შეიტანოს და მით მუშათა მოძრაობა ვიწრო კალაპოტში მოამწყვდიოს-და რომ ეს მოახერხოს თავის მუშათა შომხეთ აცხადებს, ვითომ კიდევაც თანაგვიგრძნობს, კიდევაც „დემოკრატობს“, ხან და ხან „სოციალისტობასაც“ წყებულობს, რომ ამით მუშათა წრეებში შესავალი მოიპოვის და თავისი ძველი აზრები კონტრაბანდათ შეაპაროს. მაშ 3. 6. ქორდანია

გავშინჯოთ ამ ახირებული გაზეთის ახირებული თვალთმაქცეობა და და ნათელყოთ მისი ნამდვილი სულის კვეთებს შეუძლებელი იყო.

როგორც მოგეხსენებათ, გაზეთს სათაურს ქვემოთ წერილი „თავისუფალი ორგანო“ თავისთავათ ცხადი უნდა იყოს, რომ, რაკი უცენზუროთ იბეჭდება, რაკი ის პარიუში გამოდის, თავისუფალიცაა. აქ რუსეთის ცენზურა არ არსებობს, ეს ყველამიცის, ეს იციან „საქართველოს“ რედაქტორებმაც და თუ მაინც ასეთი ახირებული წარწერა გაუკეთეს თავის გამოცემას — აქ რაღაცა სხვა, უფრო ღრმა მიზეზი უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ ჩვეულებრივათ მიღებულია, არაღეგალურ გამოცემას დააწერონ რა მიმართულების, რომელ ჯგუფის ან პარტიის ორგანოა. და აი, სწორედ ამას ვერ ვხედავთ „საქართველოში“. რატომ? ორში ერთი: ან მან თვითონ არ იცის რა მიმართულებისაა ანდა თავის მიმართულების აშკარათ გამოცხადებას უფრთხის. რომელია მართალი? ამას შინაარსის გადასინჯვალაგვანახვებს.**)

პირველსავე ნომრებში ვკითხულობთ: „ჩვენ ავირჩიეთ მეოთხე გზა. დაგვიდგა დრო, როდესაც ხალხს თვითონ სურს თავის დაცვა მეფეთა დაუხმარებლათ, წარმომადგენლობითის დაწესებულებათა საშუალებით. ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის, ნათლათ და აშკარათ ვამბობთ. ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრე არა ვართ. ჩვენი წალილი და მისწრაფება — განსაკუთრებით, საქართველოს პირობებთან, შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად და-

*) ფრანგულ გამოცემას არ შევეხებით, რადგან ის ევროპიელთათვის არის დანიშნული და არა ქართველი ხალხისათვის, ამიტომ შინაარსითაც ცოტათ ნსხვავდება. მართალია შშირათ ტყუილ ცნობებს აწვდიან გვრობიელთ, როგორც მაგ. ვითომ მუშათა მომრაობა „საქართველოს“ აზრებით იყოს გამსჭვალული და სხვ. მაგრამ რა უშავს, ტრაბაზობა უძლურთა თვისებაა და ევროპიელნა მიუტევებენ.

**) საფურადლებოა ის, რომ რედაქცია ფოველ ნომერში აცხადებს: „ჩვენი გაზეთი ჯერჯერობით ერთად ერთი თავისუფალი ორგანო“¹⁰ და მით ტყუილს აცხადებს. ის სისტემატურათ მაღავს იმას, რომ პირველი „თავისუფალი“ ორგანო ქართულ ენაზე იყო და არის ს-დემ. „ბრძოლა“, რომელიც „საქართველოს“ ორი წლის წინად გამოვიდა, და დღესაც გამოდის. რატომ მაღავთ ბატონებო ამ აშკარა ფაქტს?

მოუკიდებელნი, ერთი სიტყვით ჩვენ გვსურს ეროვნული ავტო-
ნომია მოვიპოვოთ” (გვ. 3-4). რა არის ეროვნული ავტონომია? 
„შევიგენით, რომ ჩვენს ვინაობას და ეროვნებას, განავრცელებას...
გაზეთი, მხოლოდ ცხოვრების ძირითადი ცვლილება და კანო-
ნიერ ნიადაგზე აგებული ეროვნული ავტონომია დაფარავს...
ეროვნობის დაცვა, ჩვენი შეხედულობით, დაცვაა დედა ენისა,
ურომლისოდაც ხალხს აზრის გამოსათქმელი იარაღი ეკარგება,
დაცვაა ეროვნულ დაწესებულებათა, რომელთა საშუალებით
ხალხი თავის საქმეებს განაგებს, დაცვაა ხალხის შრომისა და
ნაამაგარისა, რომლის წარომევა და დასაკუთრება გარეშე ძლი-
ერ თვითმყრითხელობისაგან ხალხის გადარიბებას და გათახი-
რებას მოასწავებს. და აი რათა შევინახოთ ენა, მოვიპოვოთ პო-
ლიტიკური დაწესებულებანი, გადავარჩინოთ ხალხის ნაშრომი
და ნაამაგარი, საჭიროა მოისპონ ჩვენში ადმინისტრაციული
რეჟიმი, ქვეყანას თვითმართველობა მიენიჭოს და საქართვე-
ლოს ეროვნულ ავტონომიას საძირკველი ჩაეყაროს... სამეფო
ტახტის მაგიერ ჩვენში საერო კრების დაწესებაა საჭირო.
საერო კრება ხალხის წარმომადგენელებისაგან შედგება. არჩევ-
ნების უფლება უნდა იყოს საყოველოთაო. საერთო კრება აღვი-
ლობრივ თვითმართველობის ორგანო, დაახლოებით იმავე
ტიპისა რასაც ამ ქამად ავსტრო-უნგრეთის პროვინციებში ვხე-
დავთ (ჩეხიაში, გალიციაში და სხვაგან). საერო კრების გან-
სახილველი საქმე იქნება: აღვილობრივი ბიუჯეტი (ფინანსე-
ბი), კანონების გამოცემა აღვილობრივ მოთხოვნილებათა მი-
ხედვით, სკოლა, სამსჯავრო, აღმინისტრაცია, მხედრობა (მი-
ლიცია)... ოფიციალურ ენათ ცენტრალურ მართველობასთან
და აღვილობრივ დაწესებულებებში სახმარებლათ – ორი ენა –
რუსული და ქართული უნდა იყოს... საქართველოს, როგორც
ზემოდ ნათევამიდან ჩანს, გარეშე პოლიტიკის უფლება სრუ-
ლიად არ ექნება, წარმომადგენლები ყეოლება რუსეთის ცენ-
ტრალურ პარლამენტში „ზემსკი სობორში“. საქართველო სამ-
ხედრო ხარჯისთვის თავის წვლილს გაიღებს და საერთო
სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობას მიიღებს. ამაში გამოისა-
ხება საქართველოს და რუსეთის ურთიერთობა. ამრიგათ, ჩვენი
პოლიტიკური მოსაზრება ეროვნული ავტონომიაა. ამ ავტო-
ნომიის საშუალებით დავიცავთ ჩვენს ვინაობას. აგრეთვე
თვითმართველობა საშუალებას მოგვცემს რადიკალურათ შევ-

ცვალოთ ჩვენი ეკონომიური მდგრადი მოვალეობა: საჭიროა მოვალეობის ჩვენს ცხოვრებაში ბატონ-ყმობის ნაშთი; დავაკანონები შეტყოფის მელი ხალხის ორგანიზაციები, გაფიცვას კანონატები – ჩვენი მიზნების და თან და თან გავაძლიეროთ ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგრადი მოვალეობა. ამრიგათ, ჩვენს დორშახე ორ სიტყვას ვაწერთ: ეროვნული თვითმართველობა და დემოკრატია” (№2 გვ. 1-5).

აი, ასეთი პროგრამით გამოვიდა „საქართველო“ ასპარეზზე. აქ როგორც ხედავთ ორნაირი რეფორმა წამოენებული: ეროვნული და პილიტიკური, რომელსაც დემოკრატიული უწოდებს. ე. ი. გაზეთი ნაციონალ-დემოკრატიულ მიმართულებას აღიარებს. ჩვენ თავში ვთქვით, რომ სოციალ-დემოკრატიული პროგრამიდან ერთი რომელიმე ნაწილის გამოღება და მხოლოდ მისი სამოქმედო მიზნათ გამოცხადება – პირდაპირ ეწინააღმდეგება სოციალიზმს. და აი სწორეთ ასე მოიქცა „საქართველო“. ის თხოვულობს მხოლოდ ეროვნულ თვითმართველობას და ზოგ დემოკრატიულ რეფორმებს. ეს არის მისი უმთავრესი მიზანი, რაიცა უნდა შესრულდეს კაპიტალისტური წარმოების საზღვრებში, მუშათა და გლეხთა ცარცვა-გლეჯის და გაბატონებულ კლასთა უფროსობის საძირკველზე. მაშასადამე „საქართველოს“ დროშა ერთიანად უარყოფს პროლეტარიატის დროშას, დროშას შრომის ბატონობისას და ბურჟუაზიის ბრძანებლობის დაცემისას. „საქართველოს“ სურს მხოლოდ ცოტაოდენი რეფორმა მოახდინოს, ხოლო კაპიტალისტ-მემამულეთა ბატონობას არ შეეხოს. ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, ნაციონალური და დემოკრატიული რეფორმები, მხოლოდ გზაა, საშუალებაა უმაღლესი და უწმინდესი მიზნის მისაღწევათ, მუშა ხალხის სამუდამოთ განსათავისუფლებლათ და სოციალიზმის დასამყარებლათ. „საქართველოს“ ათვის კი ეს რეფორმებია უმაღლესი და უწმინდესი მიზანი. ამას იქით აღარ მიდის. და რადგანაც ეს ბურჟუაზიული წყობილების მომხრეობას ნიშნავს – ამიტომ პროგრამა „საქართველოს“ ი არის პროგრამა ბურჟუაზიული.

თავის თავათ ცხადია, რომ ბურჟუაზიულ ნიადაგზე შემუშავებული პროგრამა ვერასოდეს ვერ იქნება ისეთი ფართო, თავისუფალი და რადიკალური, როგორიც სოციალ-დემოკრატიული პროგრამაა. მართლაც, აბა შეადარეთ ზემოდ ამოწერილი ნა-

ციონალურ-დემოკრატიული მოთხოვნილებანი სოციალ-დემოკ-
რატიულ მოთხოვნილებებს და დაინახავთ თუ რამდენათ ჭდშვილული
რიბი და სუსტია პირველი, მდიდარი და მძლავრი მეორენის მიზანი
ამ ბურჟუა ნაციონალისტებს სურთ საქართველოსათვის თვით-
მართველობა და უარს ყოფენ განცალკევებას. მარა შეიძლება
რომ ქართველობამ სწორედ განცალკევება მოინდომა? მაშინ?
„საქართველო“ უკრძალავს ამას, ხოლო რუსეთის სოციალ-
დემოკრატია ამის სრულ უფლებას აძლევს, როგორი წყობი-
ლებაც გსურთ ისეთი დაიარსეთო. ცხადია, რუსების სოციალ-
დემოკრატები გაცილებით უფრო მეტ უფლებას აძლევენ
ქართველ ერს, ვინემ თვით „საქართველო“ ქართველებს. რა-
ტომ? იმიტომ, რომ უკანასკნელი გახდავან ბურჟუაზის
ღვიძლი შვილი და ვერასოდეს ვერ წარმოიდგენენ რაიმე
კითხვას ისე სავსებით და რადიკალურათ, როგორც სოციალ-
დემოკრატები. აბა დააკვირდით მათ „ეროვნულ თვითმართვე-
ლობასაც“! აქაც ისინი გალიციის და ჩხეიის „თვითმართველო-
ბას“ ვერ წასცილებიან; ვერ წარმოუდგენიათ ისეთი ლიბერა-
ლური თვითმართველობაც კი, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიამ
თავის ახალშენო მიანიჭა (კანადას, ავსტრალიას, ახალ-ზელან-
დიასა და სხვ.) და რუსეთის თვით-მპყრობელობამ ფინლანდიას
არგუნა (და რაც ნიკოლოზ მეორემ ჯერ იცნო და მერე წაართ-
ვა). არც ერთი ინგლისის ავტონომიური ახალშენი თავის წარ-
მომადგენელთ არ გზავნიან ინგლისის პარლამენტში, და არც
ვალდებული არიან ინგლისი დაიცვან მტერთაგან, ხოლო ფინ-
ლანდიას ადგილობრივ დაწესებულებებში ოფიციალურ ენათ
რუსული არ ყოფილა, როგორც ამას „საქართველო“ მოითხოვს
თავისი ავტონომიისათვის“. კიდევ უფრო დარიბი და მდარეა
„საქართველოს“ დემოკრატიული მოთხოვნილებანი. ჯერ ერთი
არ ვიცით „საქართველოს“ ავტონომიაში სრული თავისუფლება
იქნება ბეჭდვისა, წერისა, კრებისა და სხვა, თუ შეზღუდული.
ამის შესახებ გახეთი თავის ნაციონალურ-დემოკრატიულ პრო-
გრამაში არას ამბობს, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ
მის იდეალს – ჩეხია-გალიციას – ცხადია მომავალ საქართვე-
ლოშიაც ახლანდელი ჩეხია-გალიციის „თავისუფლება“ უნდა
დარჩეს ე. ი. თავისუფლება ქანდარმულ-პოლიციური. მისი
მიზანია ფორმალური „თვითმართველობა“, მის პოლიტიკურ
შინაარსს კი არ დაგიდევს. გადაჭრით ამბობს მხოლოდ შემდეგ

რეფორმებზე: „ბატონ-ემობის ნაშთის მოსპობა (ეს შემდეგ და-
არღვია, რასაც ქვემოლ დავინახავთ), მშრომელი ხელჩერებული
განიზაციების და გაფიცვის დაკანონება“ აი ამას უწოდებს! გადა
ზეთი „დემოკრატიას“! აი მისი დემოკრატიული ავლა-დიდება!
მართალია იმავე ნომერში ქართველ სოციალ-დემოკრატიას
ევაჭრება, თქვენ ჩვენი „ეროვნება“ შეიტანეთ პროგრამაში და
ჩვენ ვიმეცადინებთ „ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმი“ და-
ვაწესოთ, მაგრამ ეს უბრალო დაპირებაა და მეტი არაფერი.
რომ მართლა დემოკრატიული რეჟიმი დაწესდეს საჭიროა
თვით დემოკრატიამ, ხალხმა, შეიგნოს დემოკრატიული იღები,
ხოლო ამისათვის „საქართველო“ თავს არ იწუხებს. ის მხო-
ლოთ ფორმალურ თვითმართველობას ქადაგებს, რაიცა შეეხება
მის შინაარსს – ამაზე შემდეგო. აი მისი სიტყვები; „შეიძლე-
ბა ჩვენს გეგმაში (პროგრამაში) ზოგიერთი შეცდომები იყოს,
შეიძლება მას სისრულე აკლდეს. ყოველივე თან და თან
შესწორდება საერთო ძალლონით და დახმარებით. მხოლოთ
დღეს ყველანი იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ საქართველოსა-
თვის საჭიროა მისი გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეროვნულ
მდგომარეობის მიხედვით ასეთი თუ ისეთი თავისუფალი პო-
ლიტიკური ორგანიზაცია“ (იქ. გვ. 5). როგორც ზედავთ „საქ-
ართველო“ იხვეწება, ჯერ ავტონომია მოგვაპოვებინე და მერე
მე ვიცი თქვენი პატივისცემაო! თქვენი სრული პროგრამა
დატოვეთ და ჩვენი ვიწრო პროგრამა მიიღეთო – მიმართავს ის
ჩვენ პროლეტარიატს. აი სწორეთ ამას ქვიან „აზირებული
პრეტენზია“. მას თვითონვე ეჭვი შეაქვს თავის „გეგმაში“,
თვითონვე აღიარებს „სისრულე აკლიაო“ და ამავე დროს ამ
საეჭვო „გეგმას“ გვაჩეჩებს, აი თქვენი დროშაო! ეს არის წმინ-
და ბურჟუაზიული ტაქტიკა. ყოველთვის და ყოველ ქვეყანაში
ბურჟუაზიული პარტიები გაკეთებას პირდებოდენ პროლეტა-
რიატს, ოღონდ ამა და ამ საქმეში დავვეხმარეო. და როდესაც
მართლა ის არა თუ დაეხმარებოდა, არამედ მთელ ცვლილებას
თავისი სისხლით ახდენდა, მთელი სარგებლობა ბურჟუაზიას
რჩებოდა, ხოლო მუშების მდგომარეობა კიდევ უფრო უარე-
დებოდა. და ეს მუდამ ასე იყო, სანამ პროლეტარიატმა არ
შეიგნო თავისი კლასიური ინტერესი, არ გამოშორდა ყველა
ბურჟუაზიულ ფრაქციებს და ცალკე პარტია არ შეადგინა. და
აი, როცა ჩვენმა მუშა ხალხმაც შეიგნო ეს და დაადგა ევროპის

მუშების მიერ ნაჩვენებ გზას – მოდიან ბურუუა ნაციონალის-
ტები და უქადაგებენ: ჩვენ მოგვეხმარე და ბოლოს გაგაკეთებოთ! 135
არა, ბატონებო, ეს ძველი და გაცვეთილი ხერხია, ამით ენდა,
მეოცე საუკუნეში, ვერავის გააბამთ თქვენ მახეში.

ეს იცის „საქართველომაც“ და სწორეთ მთელი მისი დავი-
დარაბა ამ ცოდნისაგან მომდინარეობს. ის თავის ბურუუაზიულ
„გეგმით“ მიმართავს არა მარტო ბურუუაზიას, არამედ მუშებ-
საც და რადგანაც ამ ორ კლასს შორის ინტერესთა ძირითადი
წინააღმდეგობაა, ამიტომ გაზეთიც წინააღმდეგობათა ბადეში
იხლართება და გზა კვლავ ეკარგება. მან თავისი ბურუუაზიული
ნაციონალიზმით („ნაციონალ-დემოკრატია“) ჩვენი გაბატონე-
ბული კლასების გული მოიგო, მარა ჩქარა დაინახა, რომ მუ-
შებს ეს არ დააკმაყოფილებს და ჩავარდა განსაცდელში. ახლა
მან მოინდომა ბურუუაზიული სკამიდან გადმოსვლა და რამე
ნაირად მუშების სკამზე დასკუპება, მარა რადგანაც ეს ბურუუ-
აზიას არ ესიამოვნება, ამიტომ ის სრულიად უსკამოთ ანუ ორ
სკამს შეა რჩება და იძულებულია ერთი თვალით ერთს ეფე-
როს და მეორეთი მეორეს. ეს საარაკო თვალთ-მაქცობა და
ლოდიკის ჭაპანწყვეტა იწყება გაზეთის მესამე ნომრიდან და
გრძელდება მეცხრე ნომრამდე, ხოლო შემდეგ კი ის უცებ
იხდის პირბადეს და პროლეტარიატს ომს უცხადებს.

რა საშუალებით სურს „საქართველოს“ თავისი „გეგმის“
განხორციელება? ამის პასუხს იძლევა მისი „ბრძოლის საშუა-
ლებაზი“. მარა, სანამ ამ საშუალებას გამონახავდეს, კიდევ
ერთხელ ცდილობს თავისი პროგრამის სინამდვილეში დარწ-
მუნდეს... ერეკლე მეფის ტრაქტატით. „ჩვენი ძალა მეფე
ერეკლეს ანდერძშია, სადაც ვპოვებთ იმას, რაც დღეს უცი-
ლებლათ საჭიროა ჩვენთვის, ე. ი. შინაურ საქმეების მართვაში
სრული თავისუფლება... ტრაქტატი ვგაძლევდა ეროვნულ ავ-
ტონომიას“ (№ 3, გვ. 3), ხოლო ტახტის აღვილას საერო კრე-
ბას ვცნობთო. „ეს გარემოება (ტრაქტატი) ერთი ორათ გაგვი-
აღვილებს ბრძოლას, ერთი ორათ გაგვამხნევებს, გულს გაგვი-
კეთებს, რადგან ხელში გვაძლევს ახალ საბუთს, რომელსაც
მომავალ საერთაშორისო სასამართლოს წარვუდგენთ, თუ სხვა
გზით ვერ მოვიპოვეთ სამართლი... ზნეობრივი და კანონიერი
უფლება გვაქვს პასუხი მოვიხოვოთ რუსეთის მთავრობას. თუ
საერთაშორისო სასამართლოს რაიმე ძალა და ფასი აქვს, ამ

სამართალმა უნდა განვისაჯოს და წართმეული დაგვიძრუნოს. ამნაირია პოლიტიკური ნიადაგი, რომელზედაც ჩვენ მომდევნობთ და რომელიც ჩვენს მისწრაფებას ისტორიულ დღი ადრენიული ხასიათს აძლევს“ (იქვე). და ასე „ერთი ორათ გამხნევებული“ და „გულ გაკეთებული“ „საქართველო“ გადადის ბრძოლის საშუალებაზე. ის სწერს: „მოსაპოვებელი და საბრძოლველი საგანი ეროვნული ავტონომია გვაქვს. მაშასადამე ერთი რაზმი უნდა შესდგეს ყველა იმ მებრძოლთაგან, რომელთ სწადია ამ ავტონომიის მოპოვება. ვინ არიან ესენი?“ ესენი ყოფილან შემდეგნი: პირველათ, „გამბედავი თავად-აზნაურები“, რომელ-ნიც „ისარგებლებენ თვითმართველობა მიენიჭოს, თანახმათ საჭიროა საქართველოს თვითმართველობა მიენიჭოს, თანახმათ მეცე ერეკლეს ხელშეკრულებისა და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებისა. როდესაც სათავად-აზნაურო კრებებზე ამ-გვარი ხასიათის ლაპარაკი აღიძვრება, მაშინ, მხოლო მაშინ აასრულებს ჩვენი თავად-აზნაურობა თვითს მოვალეობას ქვე-ენის წინაშე და მხოლოდ ამგვარი გამბედაობის ფასით დაუ-ბრუნებს ხალხს თავის ვალის ერთ პატარა ნაწილს. ეს პირე-ბი — დღეს თუ ხვალ უნდა გაჩნდენ. ისინი თავიანთ წრეში, თავიანთ ფარგალში ნიადაგს მოამზადებენ პოლიტიკურ ახალ ცხოვრების შეთვისებისათვის“; მეორეთ, „ქართველი ეპისკო-პოსები და მღვდლები“, რომელიც „ქართულ ენას სკოლასა და ეკლესიაში სახმარებლათ მედგრათ დაიცავენ. მაშინ ისინი თავიანთ წრეში, თავიანთ მოქმედების და გავლენის ფარგალში საერთ აღორძინების საქმეს საფუძველს ჩაუყრიან და მაშინ ისინიც ჩაირიცხებიან ამ მოწინავე რაზში, რომლის დროშაზე ეროვნული თვითმართველობა და დამოუკიდებლობა სწერია. საქართველო ელის ამ პირების საჯაროთ გამოსვლას და დღეს თუ ხვალ ესენი უნდა გამოვიდენ“, მესამეთ, „გაბედული ინტე-ლიგენცია“, რომლის თვითცნობისერებაში „ამ უკანასკნელ ხა-ნაში ძირითადი ცვლილება მოხდა“, მარა ჯერ კიდევ მშიშა-რაო. „დროა გამოვიდნენ ჩვენი მწერლები, იურისტები, ექი-მები, მასწავლებლები და იურიდიულ, სალიტერატურო, საე-ქიმო და საპედაგოგო კრებებზე და სხდომებზე სრული სი-მართლე თქვან საქართველოს მდგომარეობის შესახებ, აღია-

რონ თვითმოქმედების საჭიროება“; მეოთხეთ, სტუდენტობა, რომელიც თურმე „რუსეთის მოძრაობის ზღვაში იკარგვდება“ და მეხუთეა გლეხობა, რომელსაც უნდა ჩაუნერგოთ, რომ მაწმონდებობის რეორგანიზაციას მოაგვარებს ჩვენში მხოლოდ მომავალი საერო კრება — ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი“, ხოლო სულ ბოლოს „ქართველი მუშა“, რომელმაც „ქართველ სტუდენტობასავით რუსეთის საერთო მოძრაობაში თავისი ელემენტი, თავისი აზრი უნდა შეიტანოს..... ხოლო გულწრფელად გვაღონებს, რომ ჩვენებურ მუშათა წრეებში ჯერ არ ისმის საკუთარი აზრი, საკუთარი მიმართულება. კავკასიის სოციალ-დემოკრატიას უნდა ქონდეს ეს საკუთარი აზრი, საკუთარი მიმართულება, რადგან იმ ნიადაგმა, რომელზედაც ის ცხოვრობს, წარმოშობა საკუთარი ინტერესები“.

როგორც აქედან სჩანს, „საქართველოს“ „გეგმა“ ჯერ ვერც ერთ კლასს და წოდებას ჩვენში ვერ შეუგნია და თავის მოქმედების საგნათ ვერ გაუხდია. და აი, ის იწვევს ახლა ყველა წოდებას და კლასს, აზნაურს, თავადს, ერს, ბერს, ნაწიალს და უხწავლელს შეერთდეს და ერთი დროშის ქვეშ დადგენ. ამთ თურმე მუშებს „საკუთარი აზრი“ მოეცემა ე. ი. აზრი თავად-აზნაურული, ეპისკოპოზურ-ხუცური და ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური. და როდესაც კავკასიის პროლეტარიატი ამათ კუდათ გადაიქცევა, თავის გზა-კვალს დატოვებს და უბრალო მაჩანჩალათ შეიქნება — მხოლოთ მაშინ დაიმსახურებს „საქართველოს“ თანავრძნობას და ქებათა ქებას. ის აქ, რასაკვირველია, სრულ ლოდიკაშია, მისი მოწოდებაა „საერთო მოქმედების ნიადაგი“ მონახოს და თხა და მგელი ერთ ფარგალში მოიმადლიოს. მოიმადლიერა რა ასე კარგათ ჩვენი „მგლები“, ხტატიის ბოლოს კრავნიც გახსენებია და განუზრახავს ამათი მომადლიერებაც. ის ყოვლად მოულოდნელათ გადამტერებია ლოდიკას და ასე საშინლათ არდვევს თავის თავს: „ჩვენ არ ვიწვევთ საქართველოს ყველა წოდების და კლასების შეთანხმებულ და გაერთიანებულ მოქმედებას. ამგვარი შეთანხმება შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოთ იმათი შეთანხმების იმედი გვაქვს, ვინც უარსცოფს წოდებრივ და ბურჟუაზიულ კლასებრივ მოქმედების ნიადაგს და ვინც თავის ჭკუას, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის განთავისუფლების საქმეს მოანდომებს“, აი,

რანაირი რიხიანი ხალხია „საქართველოს“ პუბლიცისტების
ჯერ იმდენი გველაპარაკენ სხვა და სხვა წოდებათა შეკრთხულა-
ზე, ამათგან საერთო ჯარის შედგენაზე და ახლა ასე უცემ ჩა-
ლა გამოგვავლეს პირში, უკაცრავათ, ეს გაერთიანება შეუძლე-
ბელია! იმათ თურმე იმათი იმედი აქვთ, „ვინც უარს ყოფს
წოდებრივ და ბურუჟაზიულ მოქმედების ნიადაგს“, მარა რად-
განაც ეს „ნიადაგი“ „საქართველოსაც“ ვერ უარ უყვია, პირ
იქით მთელი მისი „გეგმა“ ამ ნიადაგზე არის აშენებული, ცხა-
დია მისი მოკავშირე — საერთ და სასულიერო პირები ამავე
ნიადაგზე დარჩებან, ღვდელ-მონაზონნი და ბრწყინვალე მემა-
მულები „საქართველოს“ ცალიერი სიტყვებით არ გაბრიყვ-
ლებიან და თავისავე ხელით თავისავე სამარეს არ გამოითხრიან.

ერთი სიტყვათ „ბრძოლის საშუალებათა“ კვლევა-ძიებაშ
„საქართველო“ ხათაბალაში გააბა; ჯერ „ყველა წოდების“
იმედი ქონდა. ბოლოს ეს იმედიც დაეკარგა და ასე დაარღვია
რა თავისი ლოლიკა, სასოწარკვეთილებას მიეცა. „ბრძოლის
საშუალებანი“ ვერ მონახა და ვერა. ამ მარცხს კიღევ გაუძლებ-
და კაცი, რომ ის შემთხვევითი და წარმავალი იყოს. ნამდვილათ
კი სწორეთ აქედან იწყება ლოლიკის დიდი საცოდაობა და
მარცხის მარცხზე მიყოლება. გაზეთის ოთხ ნომერში ხომ
გაბატონებულ კლასებს მოუალერსა, მოდი ახლა შემდეგი ოთხი
ნომრით მუშებსაც მოუალერსო და ასე „ერთი რაზმი“ შევაღვი-
ნოვო — უფიქრია „საქართველოს“ და შედგომია „საქმეს“. ის
უცებ „კლასთა ბრძოლაზე“ მართავს ბასს და შემდეგ დიდი
დავიდარაბისა და ოფლის ღვრისა აცხადებს, დიახ კლასთა
ბრძოლა არსებობს! მართალია ამას ძალიან მორცხვათ და
თავაზიანათ ამტკიცებს, ჩვენი რა ბრალია, აბა „ჩვენ ხალხს
კითხეთო“, მარა რა ვუყოთ, ბატონების განრისხება არც ასე
ადვილი გახლავს. რატომ ასე მოწყალე თვალით შეხედა „სა-
ქართველომ“ მუშა-ხალხს, რომელსაც მისივე სიტყვით „სა-
კუთარი აზრიც“ კი არ გააჩნია? არა, ეს ტყუილიაო, ამბობს
ახლა გაზეთი, „ხალხი გამოდის ეროვნების მცველათ და არა
თავად-აზნაურობა“, „ხალხი, ერთად ერთი ხალხი იბრძვის
ეროვნებისათვის, სხვა არავინო“ და სხვ. ე. ი. ქართველ მუშებს
თურმე „საკუთარი აზრი ქონებია“, და რომ ეს „საკუთარი აზრის“
მქონებელნი წაქეზოს, მთელი მისი ბრძოლა აუტონომიით შე-

მოფარგლოს, ავტონომიის მნიშვნელობას აზვიადებს: „საქართველოს ავტონომიაში წოდებას და კლასს არ უნდა ქრისტიანული ადგილი. ავტონომია უნდა იყოს პოლიტიკური ფორმა ექიმისათვისა მიურათ გათანასწორებული ხალხისა“ -ო (№ 5, გვ. 3). გამოდის რომ ავტონომია სოციალისტური წყობილების შედეგია და მაშასადამე ჯერ პირველი უნდა განხორციელდეს, რომ მეორესაც ადგილი მიეცეს.

და ასე „საქართველომ“ ერთიანად დაარღვია ყველაფერი ის, რაც ავტონომიაზე თქვა. მისთვის აქამდის ავტონომია ეროვნების დაცვის საშუალება იყო, ისე როგორც ეს ჩეხია – გალიციაშიაო. ახლა კი ამას უარყოფს და მას სოციალიზმის პოლიტიკური ფორმათ აღიარებს. რატომ სოციალიზმის პოლიტიკური ფორმა ნაციონალური ავტონომია უნდა იყოს და არა ნაციონალური თავისუფლება – ეს კი არ ვიცით. ცხადია მხოლოთ, რომ თვითმმართველობის დამხობას ავტონომიის დაარსება არ უნდა მოყენეს და ასე „განქრა ტკბილი ოცნება“. გამოდის რომ, „საქართველომ“ ავტონომიაც კი არ იცის რა არის – არ იცის ერთად ერთი – თავისი „სპეციალური საგანი“, თავისი „გეგმა“. მოდით ახლა და მას გაყევით ამ უგზო-უკვლო ბაასში! როგორიც ერთ ისეთი ღვდელი, როგორიც „პარტია“, ისეთი ბელადნი!

თუმცა „საქართველომ“ კლასთა ბრძოლის არსებობა აღიარა, მარა მის უცილებლობას არ სცნობს. პირ იქით, ის ცდილობს ბრძოლა შეასუსტოს და რამენაირათ მებრძოლნი მოარიგოს. ამიტომ ბრძოლის აღაგას „დათმობის“ თეორიას წამოუყენებია და მას უქადაგებს გაბატონებულ კლასებს, ის სწერს: „თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიას, თუ მართლა შესტკივათ გული ეროვნებისათვის, ერთად ერთი გზა აქვთ, მათ უნდა შესწირონ კერძო ინტერესები საერთო საქმეს. ბევრს არ ვნახავთ ამასთანას? ბევრს თუ ვერ ვნახავთ, სხვა გზა მაინც არ არის, ან ხალხის წინააღმდეგ, (მამასადამე ეროვნების წინააღმდეგ), ან ხალხთან ერთად უნდა იყვნენ. და კარგათ რომ დააკვირდენ არსებულ ეკონომიკურ ბრძოლას, მუშების და გლეხების მოთხოვნილებას და ცხოვრებას, არც ისე მხელია მისთვის მეორე გზას რომ დაადგეს. დღეს მუშათა და გლეხთა გაჭირვება ისეთი მწვავია, ისეთ მარტივ მოთხოვნილებათა დაგმაყოფილებას თხოულობენ ისინი, რომ მათი სურვილი ადვილათ შესაწყნარე-

ბელია..... მუშათა პარტიის ეგრედ წოდებული მინიმუმის პროგრამა იმ გვარია, რომ მისი დაკმაყოფილებისათვის „ჯარისა“ და მთავრობის ჩარევა სრულიად არ არის საჭირო.... უშამდებლება სურთ „მოწინავე“ კლასებს ეროვნების სამსახური, უწინარეს ყოვლისა ხალხს ნუ შეაწუხებენ, ხალხს გაუაღვილონ ბრძოლა რუსეთის თვითმშეცვრობელობასთან“ (იქ.).

მარა ჩეარა ეჭვი აღმვრია, იქნებ მაღალ წოდებაში ამ აზრს „ბევრი მიმდევარი“ არ გამოუჩნდესო და განაგრძობს: „ვიმეორებთ, თუ ეროვნება ცარიელი სიტყვა არ არის, მისი კეთილშობილურ და ბურჟუაზული მოტრფიალენი უწინარეს ყოვლისა უნდა წინააღმდეგს მთავრობას და დაუთმოს ხალხს, რასაც ხალხი სიხოვს მთავრობის სურვილის და იქნება მათი საკუთარი კლასებრივი ინტერესების წინააღმდეგ. ეგ შეუძლებელია? მაშ შეუძლებელია კლასების მორიგება. მცირე იქნება რიცხვი ამ ვვარი მოღვაწეებისა? ხალხი ხომ დიდია“ (იქ.).

აი ტიპიური ლოდიკა „საქართველოს“ ის ეხვეწება გაბატონებულ კლასებს, „დაუთმეთ“ ხალხსო, თუნდაც ეს ოქვენთვის საზარალოც იყოსო. და ამ ფანტასტიურ პლანებში ისე შეტოპა, რომ მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმსაც იხსნიებს, რომელიც თურმე ისე მდარე და ადვილათ მისაღები ყოფილა, რომ „ჯარის და მთავრობის ჩარევა სრულიად არ არის საჭირო“ თ. ე. ი. რესპუბლიკის დაარსებას, წოდებათა გათანასწორებას და სხ. და სხ. მთავრობა ადვილათ შეიწყნარებსო. ერთი სიტყვით, ნიკოლოზ მეორე თავისით გადაღება ტახტიდან, ჩვენი მემამულები თავისით მისცემენ გლეხებს წართმეულ მიწებს (ხიზნებს, დროებით ვალდებულთ და სხვ), დაუკლებენ დალებს, მექანიზნი რვა საათის სამუშაო დღეს თავისით შემოიღებენ, არც ბრძოლაა საჭირო და არც წვალება. აი ასეთ „ძილისპირს“ ქადაგებს ეს ჩვენი მომრიგებელი მოსაშუალე. მარა ამ თავის აზრებში თვითონვე დაეჭვებულა და ბოლოს კითხულობს: „ეგ შეუძლებელია? მაშ შეუძლებელია კლასების მორიგებაო“! თუ შეუძლებელია, რაღას ღვრით ამდენ თველს მის შესაძლებლობის დასამტკიცებლათ? თუ კი „ადვილათ შესაწყნარებელია“, რატომ „შეუძლებელი“ უნდა იყოს? და თუ შეუძლებელია,“ რატომ, „ადვილათ შესაწყნარებელია? ულოდნიკობას „საქართველოისას“ არ აქვს საზღვარი.

ახლა ხომ ხედავთ რატომ ეწოდება „საქართველოს“ „თა-

ვისუფალი ორგანო“? ის მართლაც თავისუფალია, ლოდიეს, პრინციპების და მიმართულებისაგან. ის თავისუფლათ სწორი რაც პირზე მოადგება, ხოლო ეს რა თავისების მწერლობაა — არ დაგიღვევს. ჩავყვეთ ამ „თავისუფალ ორგანოს“.

როგორც დავინახეთ, მან კლასთა მომრიგებელ-მოსაშუალეობა და მათი ერთ (თავის) დროშის ქვეშ დაყენება იტვირთა. კლასთა ბრძოლას ბოლოს მოუღებენ თვით გაბატონებული კლასები, თუ მოინდომებენო, ხოლო საჭიროა ცოტაოდენი „ხალხს დაუთმონ“, პროგრამა-მინიმუმი დაუკმაყოფილონ, ხოლო პროგრამა-მაქსიმუმი (სოციალიზმი) მუშათა მეხსიერებიდან გაქრება და კლასებიც მორიგდებიან. მდაბიოთ რომ ვთქვათ, მუშათა პარტიის „საქმე ერთი ლუკმა პურია — გადაუგდებ, გაჩუმდება მურია!“ ეს ასე იყო მეხუთე ნომერში. მარა ჩქარა მიმხვდარა, რომ მუშებს ეს ვერ დააკმაყოფილებსო და მოუნდომებია მათი დაყვავება, ამისთვის ის მეშვიდე ნომერში ძარიანათ არღვევს, რაც მეხუთეში თქვა. ის ახლა ამტკიცებს, რომ „პოლიტიკურათ დამონავებულ ხალხის ცხოვრებაში შინაური განხეთქილება და უთანხმოება ყოველთვის ყოფილა და არისო“. (მაშასადამე, მომრიგებელ მოსაშუალეობა წყლის ნაყვა ყოფილა!). ასაბუთებს რა ამას, „მისებურათ“ რასაკვირველია, ისტორიული ფაქტებით, განაკრძობს: „სჩანს ლუკმა პურის ინტერესებს ცხოვრებაში უპირველესი ადგილი სჭერია, სჩანს ეროვნების აღორძინების შესახებ შეუძლებელი ყოფილა ლაპარაკი, სანამ ხალხი წელში არ გაიძართება და თავისუფლათ არ გაშლის თავის მხარ-ბეჭს. და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა შრომის და კაპიტალის შორის წინააღმდეგობა, როდესაც მიწა და ქარხნები საზოგადოებრივ საკუთრებათ შეიქნება. ცხოვრება ამ სამართლიანობის განხორციელებისაკენ მიმდინარეობს, ეს აუცილებელია... ჩვენც შეძლების და გვარათ ამ მიზანს უნდა ვემსახუროთ, რადგან მხოლოთ მაშინ, როდესაც მუშა ხალხი საწარმოვო იარაღის მესაკუთრეთ გახდება, როდესაც ქარხანა — მექარხნე მუშების და მიწა — მიწათმომქმედთა კუთვნილებათ შეიქნება, მაშინ განხორციელდება ჩვენს ცხოვრებაში ის კვონომიური სამართლიანობა, რომლის განხორციელებისათვის ამ ფაზად მოელი განათლებული პაციონიობა იძრდვის, და მხოლოდ მაშინ აყვავდება და აღორძინდება ჩვენი ეროვნება“ (№ 7, გვ. 1-2).

ამით „საქართველო“ სოციალიზმს აღიარებს. შხოლით
სოციალიზმს შესძლება ეროვნების აყვავება და აფთრტბინგბა.
მოსალოდნელი იყო, ეროვნების მოტრფიალე ორგანიზაციების
აღიზმის მოტრფიალე იქნებოდა და მის ქადაგებას შეეცდებო-
და. მაგრამ ის სოციალიზმს სიტყვის მასალათ, მარტო გულუ-
ბრყვალოთა მოსანადირებლათ ხმარობს, ნამდვილათ კი მას
უარყოფს და უკან იწევს. აი მისი სიტყვები: „მაგრამ უნდა ნათ-
ლათ ვთქვათ ჩვენი აზრი (ამ ფრაზას ხშირად იმეორებს!), ამ
გვარი იდეალის (ე. ი. სოციალიზმის) განხორციელებისათვის
ბევრი დროა საჭირო. დღევანდელ პირობებში საბოლოვო მი-
ზანს სამოქმედო პროგრამათ ვერ გავიხდით. დღეს ჩვენ იმით
უნდა ვიხელმძღვანელოთ, რაც დღესვე განხორციელდება. ამ-
იტომ ჩვენი მოთხოვნანი უნდა შევახამოთ დღევანდელ პო-
ლიტიკურ და სოციალურ პირობებს“, (იქ) „Начал за здра-
вье, кончил за упокой! – а мы с вами. Мономорна ря абы
სოციალიზმი, წამოაყენа „დღესვე განხორციელებლი“ რე-
ფორმები. აი ეს საარაკო რეფორმები: „I-, მოსპოოს სავალდე-
ბულო დამოკიდებულებანი გლეხთა და მემამულეთა შორის,
გლეხები და მათ რიცხვში ხიზნებიც აღიარებულ იქმნენ კერ-
ძო მესაკუთრეებათ.“ აბა რას გავს ეს მუხლი? ვის არ სურს
„სავალდებულო დამოკიდებულების“ მოსპობა? მთავრობა რამ-
დენი ხანია მაში ეხმარება გლეხს ფულის სესხებით. ან კიდ-
ევ ვინ აუკრძალა რომელიმე გლეხს ან ხიზანს კერძო საკუთ-
რება შეიძინოს და მესაკუთრეთ გახდეს? ეს უფლება ბატონ-
იების გაუქმებამ წარმოშო, არსებობს 40 წელიწადი და
ახლა „საქართველოს“ სურს ხელახლა შემოიღოს! პო, უმე-
ცრებავ! მარა როგორც ქვემოთ დავინახავთ „საქართველო“
ამ თავისუფლებასაც ართმევს, „პერძო მესაკუთრეობას“ უარ-
ყოფს და „ყველა გლეხთ“ მიწაზე მიკვრას უქადის. ამას შეა-
დარეთ ჩვენი პროგრამების აგრარიული ნაწილის მე-4 მუხლი
და დაინახავთ „თავისუფალ ორგანოს“ „გლეხთა მოყვარეო-
ბას“. მარა კიდევ უფრო გასაკირალია ის მოულოდნელი შე-
დეგები, რომელიც პირველს მუხლს „მოყვება“. გაზეთი სწერს:
„პირველი მუხლის განხორციელებას მოყვება: „დაღის შემ-
ცრება და თან და თან მოსპობაც, სახოფლო ხარჯების თა-
ნაბრაათ განაწილება (ხარჯში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყვე-
ლამ, განურჩევლად წოდებისა), საეკლესიო გადასახადის, „დრა-

მის“ ფულის გაუქმება“ (იქვე). საკვირველ არს „საქართველოვ“, „საქმენი შენი! გურიაში არ არსებობს „სავალდებულოვნებული დამოკიდებულებანი“, არც ხიზნებია, მარა არც ერთი პეტიტიონი მოთვლილი რეფორმა არ „მოჰყოლია“ ამ გარემოებას. პირ იქით, დალაც აქ არის დიდი, სასოფლო ხარჯებსაც მარტო გლეხობა იხდის, დრამასაც“ ხუცები აკროვებენ, ერთი სიტყვით, არა-ფერი იმის მსგავსი, რასაც თავისუფალი ორგანო გვპირდება. რეფორმა მეორე: – „მიენიჭოს ყოველი დარგის და პროფესიის მუშას თავისუფალ მოქმედების და ბრძოლის უფლება, ე. ი. დაკანონდეს გლეხთა და მუშათა ორგანიზაციები, რომელთაც მიზნათ ექნებათ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება“ (იქვე). ეს კი ნიშავს პროფესიონალური ორგანიზაციების თავისუფლებას, რის მოციქული კი ხანია ზუბატოვი და მისი კომპანიაცაა. მარა ამ პატარა მუხლსაც თურმე დიდი შედეგი „მოყვება“, როგორც მაგ. „1) 8 საათის სამუშაო დღის დაწესება ყველა სავაჭრო და სამრეწველო დარგებში, 2) სავალდებულო დაზღვევა და მოხუცებულ მუშების შენახვა თემის, საზოგადოების, ანუ სახელმწიფოს მიერ, 3) მფარველობა მცირე წლოვანთა და ქალთა მუშაობისა, 4) გაფიცვის დაკანონება ე. ი. თუ უმრავლესობა გაფიცვის მომხრეა, უმცირესობაც უნდა დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას; 5) სავალდებულო და უფასო სწავლა განათლება“ (იქვე). აი რამდენი რა გამოდის თურმე მეორე მუხლიდან. მოახდინა რა ასეთი სასწაულ-მოქმედება, გაზეთი განაგრძობს: „ამნაირ მოთხოვნათა განხორციელებას სხვათა შორის ემსახურება დღევანდელ პირობებში ჩვენი ორგანო“.

ამნაირათ, „საქ“. თხოულობს: გლეხთათვის „სავალდებულო დამოკიდებულებათა“ მოსპობას, მუშათათვის პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ამას უწოდებს ის „დღესვე განსახორციელებელ“ პროვინიამას. მარა აქ ის მარტო არ არის. მას გვერდში უდგას ნიკოლოზ-პლევე-ზუბატოვი, რომელთა „დღესვე განსახორციელებელი“ პროვინია „საქართველოს“ მიუთვისებია.

დიახ, აზრებისაგან დიდი თავისუფალი უნდა იყოს კაცი, რომ ყოველივე ეს დასწეროს.....

გადასჭრა რა ასე საარაკოთ მუშა-გლეხთა კითხვა, გაეთამაშ-გამოეთამაშა „სოციალიზმს“, მიეფერ-მოეფერა კავკასიის

ს. დემოკრატიას – „საქართველომ“ გაიფიქრა, ეს ძლიერ შროს /
შევტოპე, რას მეტყვიან ჩემი მომავლინებელნიო და ფაზნეფ უკან
დახევა. მარა ესეც, რასაკვირველია, ტაქტიკურული მოწოდების
გამოძრომით, ჯედის ქნევით. მან თავისი თანამშრომლის პა-
რით გამოაცხადა: „რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ პრო-
გრამას (შემუშავებულს პარტიის მეორე კრებაზე), „საქართვე-
ლოს“ რედაქცია თანახმაა როგორც საზოგადო, ისე მის ეკო-
ნომიურ ნაწილისა, გარდა იმ მუხლისა, საღაც ეროვნულ სამო-
იკინისა და სამომართო სამართლის უფლებაზე არის ლაპარაკი“. მარა ეს გულუბრყვილოთა თვალის
ასახვევი და უკან დახევის დასაფარავი ხერხია და არა ნამდვი-
ლი რწმენა რწმენისაგან „თავისუფალი ორგანო“სი. ეს დაპი-
რება მან დაარღვია მაშინევ, როგორც იმავე, ისე შემდეგ ნო-
მერში. მან პირველათ აქ ჩამოიხადა პირბადე და თავისი ნამ-
დვილი სულის კვეთება იმდენი ბორბიკ-ბორბიკის შემდეგ რო-
გორც იყო დაგვანახვა. მან ეხლა პირ და პირ ომი გამოუცხადა
მარქსიზმს, სოციალ-დემოკრატიას, პროლეტარიატის მოძრაო-
ბას, თანამედროვე მოქალაქეობას – ერთი სიტყვით, ყოველივე
იმას, რასაც წინა ნომრებში ასე უნაყოფოთ ეპოტინებოდა და
დარცხვენილათ გვარწმუნებდა – მეც თქვენებ ვარო. და რომ
ეს უკან წასვლა მიაფუჩებოს, მან ისევე ნაციონალური კითხვა
მოიშველია, ჩვენ ამ კითხვაში არ ვეთანხმებით რუსეთის სო-
ციალ-დემოკრატიის პროგრამასო, – რომ მერე თან და თან
დანარჩენ ნაწილზედაც იერიში მიეტანა. მაშ გავყვეთ „საქარ-
თველოს“ ამ მხრითაც და კიდევ ერთხელ გავიგოთ „თავისუფა-
ლი ორგანოს“ აზრებისაგან თავისუფლება.

ის სწერს: „რუსეთის ს-დემ. პარტიას „ხალხის“ თვითმმკ-
რობელობა სურს ე. ი. სახელმწიფო უფლება უნდა იყოს სა-
კანონმდებლო კრების ხელში, რომელიც ხალხის წარმომად-
გენლებისაგან შესდგებათ. კეთილი, მაგრამ რუსეთში ხომ ერ-
თი ხალხი არ არის! ამ სხვა ხალხებს რას უპირებს რუსეთის
ს.-დემ. პარტია, ამ ერებს ანიჭებს ადგილობრივ თვითმართვე-
ლობას, ე. ი. აძლევს იმას, რაც ეხლა უკვე არსებობს რუსეთის
შიდა გუბერნიებში – ანიჭებს ერობას. თუ კითხავთ, ეს სადაური
სამართლიანობაა, რუსეთის ხალხს პარლამენტი, დანარჩენ
ერებს უბრალო ერობათქო, ამაზე გიპასუხებენ: პარლამენტი
თქვენთვისაც არის ღია, აირჩიეთ დეპუტატები და გამოგზავნეთ

თქვენი უფლების დასაცველათო. ხოლო რადგან ამგვარი პარლა-
მენტარიზმი ვერავის ვერ დაკმაყოფილებს, რადგან ფედერაციული
შეგნებული ერი ყოველთვის მოისურვებს თითონვე მოუკრუშისითივა
და უპატრონოს თავის თავს, ამიტომ ამგვარ უმაღურთა დასა-
შოშმინებლათ პარტიამ ერთი ხერხი მოიგონა. პროგრამის
მეცხრე მუხლში ჩართულია: მიეცეს ყოველ ერს, რომელიც
სახელმწიფოს ფარგალში იმყოფება, უფლება თვითონვე განი-
საზღვროს თავისი მომავალი (право на самоопределение).
საგულისხმო ის არის, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი, ხოლო
ფრიად ბუნდოვანი მუხლი პროგრამაში სრულიად არ არის
განმარტებული. მკითხველმა სწორედ არ იცის, რას ნიშნავს ივი
„самоопределение.“, ხოლო მეორე მისი თანამშრომელი, ძვე-
ლი რევოლუციონერი, რომელიც მართლა ძველი უნდა იყოს,
რადგან ახალს ძალიან დაშორებია, ამ მუხლს „მეტაფიზიკას“
უწოდებს.

როგორც ხედავთ, აქ ორნაირი ბრალდებაა ჩვენი პროგრა-
მის წინააღმდეგ წამოყენებული: პირველი-ის გვანიჭებს მხო-
ლოთ ერობას, მეორე, ჩვენ მოსატყუებლათ პარტიას „ხერხი“
გამოუგონია და (самоопределение) ჩაურთავს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ორივე ეს ბრალდება მტკნარი ტყუი-
ლებია. და მართლაც საკმარისია წაიკითხოთ პროგრამის მესა-
მე მუხლი, რომ დარწმუნდეთ: პირველი ნაწილი აღიარებს:
„широкое местное самоуправление“ (ფართო ადგილობრივი
თვითმართველობა). ამას უწოდებს „საქართველო“ ერობას, რო-
გორიც დღეს რუსეთის შიდა გუბერნიებში არისო. ჯერ ერთი
ის, რომ დღევანდელი ერობა სრულებითაც არ არის „широкое“
(ფართო), ის მონარქიულ თავად-აზნაურული ერობაა და არა-
ვითარი მზგავსება არა აქვს ჩვენს რესპუბლიკანურ ერობასთან.
ნუთუ „საქართველოს“ პგონია, რომ დღევანდელი ერობა რამით
წააგვს საფრანგეთის ერობას, გარდა სახელისა? ცხადია, მისი
ბრალდება – პროგრამა იმ ერობას გვაძლევს, რაც დღეს რუ-
სეთშიაო – მის ფანტაზიათ უნდა ჩაითვალოს. დავეთანხმოთ
მას ერთ წუთს ვთქვათ ნიკოლოზ-პლევეს ერობა და რესპუბ-
ლიკის ერთი და იგივეა. მარა ნუთუ პროგრამა მართლა ამ
„широкое самоуправление“ს მეტს არას გვაძლევს? მესამე მუხლის მეორე ნაწილი აღიარებს: областное самоуправление
для тыхъ местностей, которые отличаются особыми бы-

тovыми условиями и составомъ населенія". ао євъ баѣюлъ
зиордаючи гукоѣба ჩვѣбъ да სხვа წვройлъ ერებъ. ჯѣ წხოლმაშъ //
გამოთქმულია, რომъ амით, გარდა „мѣстное самоуправление“¹³⁰
სი“ ეძლევა კიდევ ერთი რამ, ამაზე უფრო ფართო და სრუ-
ლი. — євъ არის „областное самоуправление“. რას ნიშნავს
ეвъ? ამის გახაგებათ, საკმარისია, გადავიკითხოთ კრების პრო-
ტოკოლში მოთავსებული დებატები ამ მუხლის შესახებ. აქ აშ-
კარათ სჩანს, რა მნიშვნელობა მისცა ამ თვითმმართველობას,
როგორც წინადაღების ავტორმა, ისე მის მომხრეებმა (კავკასიის
დელეგატებმა) და თვით კრებამ. გადავშალოთ პროტოკოლის
170-ე გვერდი. წინადაღების ავტორი მარტოვი ამბობს: გро-
мадное пространство Россіи и опытъ нашего централи-
зованныго управления даетъ намъ поводъ считать не-
обходиымъ и цѣлесообразнымъ существованіе областно-
го самоуправления для такихъ крупныхъ единицъ, какъ
Финляндия, Польша, Литва и Кавказъ“. და აღგენს ზემოთ
მოხსენებულ წინადაღებას. ამ წინადაღებას იცავდენ კავკასიის
დელეგატები, სხვათა შორის ერთი ამბობს: „ყოფა ცხოვრების
პირობების და მცხოვრებთა სხვა და სხვაობა საჭირო ქმნის
დაარხდეს რუსეთის განაპირა ქვეყნებში ამ პირობების შესა-
ფერი ადგილობრივი დაწესებულებანი. რომ ცენტრების და განა-
პირა ქვეყნების ერთსა და იმავე კალაპოტში ჩაყენება არ შეი-
ძლება, ეს სცნო თვით რუსეთის თვითმპყრობელობამაც, თუმცა
მას იგი ძლიერ დამახინჯებულათ ახრულებს. პოლონელმა ამ-
ხანაგებმა თავისი მოთხოვნილება პოლშის ავტონომიის შესა-
ხებ დაასაბუთეს ფართო თვითმართველობის საჭიროებით, რო-
მელიც უზრუნველყოფს კულტურულ განვითარებას, ასე რომ
ეს მუხლი იმათ სავსებით დააკმაყოფილებს. აგრეთვე ეს მოთ-
ხოვნილება სიტყვას უჭრის იმ ნაციონალისტებს, რომლებიც
ფიქრობენ, რომ განაპირა ქვეყნების კითხვა მხოლოთ მათი
პოლიტიკური განცალკევებით უნდა გადაიჭრასთ. დასასრულ,
ამ მუხლის წამოყენება, რომელიც ჩვენს ძირითად პრინციპებს
არ ეწინააღმდეგება, იარაღ მოგვცემს ვებრძოლოთ ისეთ
ნაციონალისტურ ორგანიზაციებს, როგორიც, მაგალითად,
გაზეთი „საქართველოა“. ის ითხოვს ნაციონალური კულტუ-
რის განვითარებისათვის საქართველოს ავტონომიას და ამით
სურს შემოკრიბოს გველა საზოგადოებრივი კლასები ნაციო-
ნალური დროშის ქვეშ. საჭიროა, ერთხელ კიდევ დაგანახვოთ,

რომ ნაციონალური კულტურის უზრუნველყოფა არ ეწინა-
აღმდეგება მთელი რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს. რაც სრულებით მოსპობს ასეთი ელემენტების გავლენას მუშაბული ზე. პროგრამაში ამის შეტანას, გარდა პრინციპიალური მნიშვ-
ნელობისა განაპირა ქვეყნების შესახებ კითხვის გადაჭრის მხრივ, ექნება აგრეთვე ზემოდ დასახელებული პრაქტიკული შედეგები. აი რატომ ვაქცევ მე ამ წინადაღებაზე ამხანაგების განსაკუთრებულ ყურადღებას“.

და აი ეს პუნქტი მიიღო კრებამ, მიიღო თვითმართველობა ფინლანდიის, პოლშის, ლიტვის და კავკასიისთვის. სიტყვა „областное“ ჩართულია მხოლოდ იმიტომ, რომ ამით განი-
სახლვროს განაპირა კუთხეები, რომლებიც რუსეთის „ობლას-
ტებს“ შეაღენენ, ცენტრისაგან. მაშასადამე რუსეთის მომავა-
ლი კონსტიტუცია პარტიის აზრით ცენტრალური კი არ უნდა
იყოს, არამედ შეთანხმებული ადგილობრივ საჭიროებებს და
კულტურას. Въ параграфъ обѣ областномъ самоуправлениі съездъ призналь ихъ (спеціальныихъ требованій, по-
мимо просто конституціи) необходимость для приспособ-
ленія государственного строя къ спеціальнымъ местнымъ
условіямъ“ ამბობს შემდეგ სხდომაზე ბუნდის დელეგატი. ერ-
თი სიტყვით, კრებამ აღიარა რუსეთის მომავალი წყობილების
დეცენტრალიზაცია, მისი შეგუება განაპირა ქვეყნებთან და ასე
მათი კულტურული განვითარების უზრუნველყოფა.

მაშასადამე „საქართველომ“ ცილი დასწამა კრებას როცა
თქვა, რომ ის ერობის მეტს არას გვაძლევს (*).

კრება ამას კიდევ არ დაკმაყოფილდა. მან შეიტანა თავის პროგრამაში სამშობლო ენის გარანტია კოველნაირ დაწესებუ-
ლებაში და სწავლა განათლებაში (იხ. ჯ8). მაგრამ ის არც აქ გაჩერდა, ნაციონალურ კითხვაში ისეთი რადიკალობა გამოი-
ჩინა, რომ „საქართველოს“ არც კი მოსიზმრებია. კრებამ იფაქ-
რა, შეიძლება რომელიმე ერი არ დაკმაყოფილდეს მესამე, და
მერვე მუხლით, და მოინდომოს თვითონ გადასწყვიტოს თავისი
სვებედიო. და აი ის ამის უფლებას აძლევს მე-9 მუხლით, რაც
„საქართველოს“ ვერ გაუგია და „ხერხს“ უწოდებს. რომ „სა-
ქართველომ, ვერ გაიგოს-საკვირველი არ არის, ვინაიდან სხვა-

*) ეს ტექილი რომ კარგათ დაეფარა, მან „областное самоуправление“, „მასრების თვითმართველობათ“ ვადათარგმნა (№ 9, გვ. 4), ხოვთ ხედავთ, „თავისუფალი ორგანო“ თარგმანშიაც დიდ თავისუფლებას იჩენს.

სი პრინციპის გაგებისათვის საჭიროა თავისი პრინციპის ქონება. ხოლო „უფლება ერთა თვითგამორკვევისა“ ჰქონდებოდა სოციალ-დემოკრატიისა. ეს გადაწყდა 1896 წ. სოც-დემ-საცურაულ კონგრესზე ღონისძიების.

ცხადია „საქართველომ“ რუსეთის სოც-დემ. პარტიას ცილი დახსწამა, როცა სოქვა, ეს მუხლი მისი „გამოგონილი ხერხია“. ახლა ხომ ხედავთ, ბატონებო, რანაირ ონებს მიმართა „საქართველომ“ ჩვენი პროგრამის აბრუს გასატეხათ და თავისი უპროგრამობის საქებ-სადიდებლათ.

მარა „საქართველო“ მაინც არ ცხრება. თავისი ტყუილების გასასაღებლათ. მოწმები მოყავს და ვერ ატყობს, რომ ეს მოწმები სწორედ მის წინააღმდეგ აჩვენებენ. პირველი მისი მოწმე გახლავს „რევოლუციონადა როსსია“, რომელიც გევრექას ანდერძივით ყველას გაკეთებას პირდება, რადგანაც პასუხის საგებლო არა გააჩნიარა და მაშასადამე ცარიელი სიტყვას მეტს არას კარგავს. ის თავის „საქართველოს“ ებურ ტყუილებს „ისკრას“ შესახებ ასე აბოლოვებს: „ჩვენ არა გვაქვს ერთი გაღაწყვეტილი ზოგადი აზრი ყველა ეროვნების მდგომარეობის გადასაწყვეტათ. ეროვნული კითხვა გარემოების და გვარათ უნდა გადასწყდეს და ამ კითხვის გადაწყვეტაში უმთავრესი ხმა თვით დაინტერესებულ ერს უნდა ქონდეს მინიჭებული“. სწორეთ ეს არის სოციალ-დემოკრატიის პრინციპი, ამას აღიარებს ჩვენი პროგრამის მე-9 მუხლი და, მიუხედავათ ამ აშკარა ფაქტისა, „საქართველო“ ამას იმოწმებს ჩვენ წინააღმდეგ!

მეორე მოწმეა სომხე-ნაციონალისტთა ორგანო „დროშაკი“, რომლის მიმდევრები თავიდანვე ებრძვიან კავკასიის მუშათა მოძრაობას და მეცადინეობენ გამოფხიზლებული სომხის მუშაისევ ძველებურ უმეცრებაში ჩაიჭირონ. მარა მიუხედავათ ამასა ეს გადასაყენებელი მოწმეც ამტყუნებს „საქართველოს“. ის სწერს: „მართალია, თავიანთ მეორე კრებაზე სოციალ-დემოკ. უფრო აშკარათ გამოთქვეს თავიანთი აზრი. ისინი დათანხმდენ, რომ პრინციპი სხვა და სხვა ერების ავტონომიის და სხვა და სხვა ენების თანასწორი უფლებისა, როგორც სკოლებში, ისე ადგილობრივ, სოციალურ(!) და აღმინისტრატიულ დაწესებულებებში „მისაღებიაო“. ე. ი. რუს სოციალ-დემ. მუშათა პარტიის კრებას ვაცილებით მეტი მოუცია, ვინემ ერობა, და რასაც „საქართველო“ უარსყოფდა. ასე არღვევს თავის თავს

ეს ჩვენი „თავისუფალი ორგანო!“ ასეთი ბაბილონის გოდოლი
ააშენა მან თავის ფურცლებზე.

ამ ბაბილონის გოდოლის დამთავრება მოხდა უკანასკნელი იმითი
(მეათე) ნომერში. აქ გაზეთი ეხება ჩვენს აგრარიულ პროგრა-
მას, არჩევს მას „საქართველოს ებური“ მეთოდით (ე. ი. ცილის-
წამებით) და ბოლოს არხეინათ აცხადებს: „აქ არევ-დარევააო“.
დიახ, „არევ-დარევაა“, მარა არა ჩვენს პროგრამაში, არამედ
„თავისუფალი ორგანოს“ აზროვნებაში. ეს ნათლათ ჩანს ამ
მის „არეულდარეულ“ სტატიისაგან. აქ ვკითხულობთ: რად-
გან მარქსისტების აზრით პროლეტარიატი ერთად ერთი კლა-
სია, რომელსაც ძალუებს რევოლიუციის მოხდენა, ამიტომ „სო-
ციალ-დემოკრატები უწინარეს ყოვლისა ცდილობენ ხელი შე-
უწყონ კაპიტალის კონცენტრაციას დ სოფლის პროლეტარი-
ზაციის პროცესს.“ წამოაყენა რა ასეთი საშინელი ცილისწა-
მება, „თავისუფალი ორგანო“ თავისუფლათ განაგრძობს: „ამ
განზრახვით თავიანთ აგრარიულ პროგრამასაც ისე აღგენენ, რომ
სოფლელ ხალხს რაც შეიძლება მალე გამოეცალოს ხელიდან
შრომის იარაღი — მიწა. ასე, მაგ., რუსეთის ს.-დემოკრატთა მე-
ორე კრებაზე დამტკიცებულ პროგრამაში, სხვათა შორის, ამ საგ-
ნის შესახებ განმარტებულია, რომ სოფელში უნდა აღმოიფხვრას
ბატონყმობის ნაშთი, რომელიც გლეხობას აწვება მძიმე
ტვირთად და რომელიც ხელს უშლის სოფელში კლასებრივ
ბრძოლის თავისუფალ განვითარებასთ. და რათა ამ ბრძოლამ
უმწვერვალესი ხასიათი მიიღოს, ამიტომ პროგრამაში ჩართუ-
ლია, სხვა საშუალებათა შორის, ფურადღების ღირსი ერთი საშუ-
ალება: „უნდა გაუქმდეს ყოველგვარი კანონი, რომელიც უშლის
გლეხს თავისი მამული თავისუფლათ მოიხმაროს“. ამ მუხლის
აზრი ის არის, რომ გლეხს უნდა მიეცეს უფლება მიწის გაყი-
დვისა და ფულიან პატრონს ამ მიწის შეძენისა, კანონი არ უნდა
გადაედობოს ამ „თავისუფალ“ ხასიათის აღებ-მიცემას, რადგან
შხოლოთ ამ საშუალებით აჩქარდება პროლეტარიზაციის პრო-
ცესი და კლასთა შორის ბრძოლა გამწვავდებაო. მართალია
პაცის ეჭვი ებადება, როგორ, ს.-დემოკრატია, რომელიც მუშათა
დამცველ კანონმდებლობას დიდ მნიშვნელობას აძლევს, გლე-
ხებს რიღასთვის აცლის ხელიდამ იმგვარ კანონებს, რომელთაც
აზრათ აქვთ მათი დაცვა (მაგ., ნეოტუჯდაემოს ვემლი)?
განა ამგვარ კანონის გაუქმებით მიწა უფრო ადვილათ არ გამო-

ეცლება გლეხს, განა ამ საშუალებით სოფლის წურბელები არ ისარგებლებენ და თავიანთ მონად არ გაიხდიან? კანა დღეს შეუძლია ბრძოლა გაუწიოს გაჭირვებას და განა როდესაც გლეხს მიანიჭებთ მიწის გაყიდვის უფლებას, გარეშემოგა არ აიძულებს მიწიდამ აიყაროს და ბოგანო გლეხად დარჩეს? სწორედ ეს მიზანიც ჰქონდათ პროგრამის მთხზველებს. მარქსისტული თეორია მოითხოვს ამას. რა უფოთ, გლეხი დაიჩაგრება, სამაგიეროთ კაპიტალის კონცენტრაცია გამეფდება, სოფლის პროლეტარიზაცია მოახლოვდა და ყოველივე ეს რევოლუციას წარმოშობს“ ო.

ამნაირათ, „თავისუფალი ორგანო“ გვაბრალებს: თქვენ გინდათ გლეხებმა მიწა დაკარგონ და ამას ხელს უწყობთო: თქვენ გსურთ ბატონყმობის ნაშთი გაუქმდეს და გლეხი აღიარებულ იქმნეს სრულ თავისუფალ მესაკუთრეთო.

გავარჩიოთ ეს ბრალდებანი: პირველი გახლავთ მტკნარი ცილისწამება, ხოლო მეორე სრული ჭეშმარიტება. ჩვენ გვწამს, რომ ერთათ ერთი კლასი, რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია სოციალიზმის განხორციელებაში—არის პროლეტარიატი. სოციალიზმი პროლეტარიატის ფილოსოფიაა, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან უნდა გადადვას თავისი იდეალის განხორციელება მანამდის, სანამ ყველა წვრილი მესაკუთრე არ გაქრება და პროლეტარიატის რაზმი არ გადავა. პირიქით, ის ცდილობს კაპიტალიზმი რაც შეიძლება მალე შემუსროს და ამისთვის წვრილ მესაკუთრეთა შორის სოციალისტურ პროპაგანდას ეწევა და აი, გლეხობა თანდათან რწმუნდება, რომ მისი ძღვომარეობის ნამდვილი გაუმჯობესება შეუძლებელია დღევანდელ წყობილებაში და პროლეტარიატისაკენ გადადის. მაშასადამე, ს.-დემოკრატის ინტერესია, გლეხობა მოიმხროს როგორც გლეხი და არ უცადოს მის გაპროლეტარიატებას. ეგ სრულებით არ შედის მის ინტერესებში და არსად მას ის არ სჩადის. აი რას სწერს ენგელსი ამის შესახებ: „ჩვენ წინდაწინვე ვხედავთ წვრილი გლეხის აუცილებელ გაქრობას, მარა არავითარ შემთხვევაში ჩვენი საქმე არ არის — ეს გაქრობა ჩვენი ჩარევით დავაჩქაროთ. მეორეთ, თავისთავათ ცხადია, რომ სახელმწიფო ძალა ხელთ თუ ვიგდეთ, წვრილ გლეხთ ძალათ არ ჩამოვართმევთ საკუთრებას (ჯილდოთი თუ არა — ეგ სულ ერთია), როგორც ამას შესვილ მემამულეთა მიმართ უეჭველათ

ჩავიდენთ. ჩვენი მიზანი იქნება — წვრილ გლეხთა კერძო სა-
კუთრება და წარმოება საამხანაგოთ გადავაქციოთ, მარა პრემიუმი
ძალით, არამედ მაგალითებით და შემწეობის მიცემით". ხოლო
დღეს, კაპიტალისტურ წარმოებაში, „ჩვენ გადაჭრით ვდგებით
წვრილ გლეხობის მხარეზე, ჩვენ ყოველ ღონეს მივიღებთ, რომ
მან უკეთ იცხოვოს, რომ გაუადვილოთ წარმოების საამხანაგო
წესზე გადასვლა, თუ კი მოინდომებს... ჩვენ ამას ვიზამთ, არა
იმიტომ რომ შესაძლებელათ ვთვლით წვრილ დამოუკიდებელ
გლეხის ჩვენები გადოსვლას, არამედ პირდაპირ პარტიული
ინტერესებითაც. რაც უფრო მეტი იქნება რიცხვი იმ გლეხთა,
რომელთაც ჩვენ არ დავუშვებთ გაპროლეტარიატებამდის და
ჩვენ მოვიმხრობთ როგორც გლეხთ, მით უფრო სწრაფათ მოხ-
დება საზოგადოებრივი გარდაქმნა. ჩვენთვის სრულიად უსარ-
გებლოა ეს გარდაქმნა გადავდეათ მანამდის, სანამ კაპიტალის-
ტური წარმოება ყოველგან უმწერვალესათ განვითარდებოდეს
და უკანასკნელი წვრილი ხელოსანი, უკანასკნელი წვრილი
გლეხი ამ განვითარების მხევერპლი შეიქნებოდეს“.*)

გვიტყვიან: ეს ენგელსია, ხოლო რუსეთის ს.-დემოკრატია
კი ასე არ ამბობსო. მართალია ეს? აი რას სწერს ლენინი ამის
შესახებ: „სოციალ-დემოკრატები იცავენ მთელი მუშა ხალხის
ინტერესებს, არა მარტო ქალაქის მუშების, რომელნიც ყველა-
ზე უფრო შეგნებული და შეერთებულია, არამედ სოფლის მუ-
შებისაც. იცავენ აგრეთვე იმ წვრილ ხელოსანთ და გლეხთ,
რომლებიც მუშებს არ ქირაობენ და მდიდრებს მხარს არ უჭე-
რენ, ბურჟუაზიისკენ არ გადადიან. სოციალ-დემოკრატები
იბრძვიან მუშების და გლეხების ყველა იმ გაუმჯობესებისა-
თვის, რომლის განხორციელება შეიძლება ახლავე, სანამ ბურ-
ჟუაზიის ბატონიბა კიდევ არ დაგვირდვევია და რაც ამ ბატო-
ნობასთან ბრძოლას აადვილებს. სოციალ-დემოკრატები არ
ატყუებენ გლეხებს, ისინი აშკარათ ამბობენ მთელ სიმართლეს;
ისინი წინდაწინვე პირდაპირ აღიარებენ, რომ არავითარი გა-
უმჯობესებით არ შეიძლება ხალხის დახსნა გაჭირვებისა და
სიღატაკისაგან და ეს მანამდის, სანამდის ბურჟუაზიის ბატო-
ნობა არ დაეცემა“.**)

*) Ф. Энгельсъ: «Крестьянский вопрос». Женева, 1904 г. гл. 32,
34 და სხ.

**) Н. Ленинъ: «Къ деревенской бывноть», гл. 42-43.

ცხადია, რომ „მარქსისტული თეორია“ გლეხების გაპრო-
ლეტარიიატებას კი არ მოითხოვს, არამედ მათ გასტატულებულ
ტებას. მაშასადამე, „საქართველომ“ ცილი დასწამებულების უცი-
მარქსს, ისე რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, როცა თქვა:
ესენი ჩარჩებს ებმარებიან, შეჭამეთ, გლეხი! ნუთუ ამ ყოვე-
ლივე სიმართლისაგან „თავისუფალმა ორგანომ“ ვერ მიმოი-
ხედა თავის გარშემო და ვერ დაინახა – ვინ ებმარება გლეხს და
ვინ ებრძვის? განა სოციალ-დემოკრატია არ დგას გლეხთა მოძ-
რაობის სათავეში ჩვენში? დიახ ბატონის „საქართველოს“ ბე-
ლადნო, ეს ჩვენი ამხანაგებია, რომელნიც იცავენ გლეხებს და
არა თქვენი, ჩვენი ამხანაგებია, რომელნიც მათთვის მიღიან სა-
პყრობილები და ციმბირში და არა თქვენი. ნუთუ ამის შემდეგ
კიდევ უნდა ბელავდეთ თქმას: სოციალ-დემოკრატია გლეხთა
მტერია, ხოლო ჩვენ კი მოყვარეო?

მეორე ბრალდება „საქართველოსი“ შეიცავს იმას, რომ სო-
ციალ-დემოკრატია აღიარებს, „სოფელში უნდა აღმოიფხრას
ბატონების ნაშთი“, რის გამო თავის პროგრამაში შემდეგი
მუხლი შეაქვს: „უნდა გაუქმდეს ყოველგვარი განონი, რომე-
ლიც უშლის გლეხს თავისი მამული თავისუფლათ მოიხმა-
როსო“. ყველა ეს თურმე მომაკვდინებელი ცოდვა ყოფილა! ბა-
ტონების ნაშთის ამოფხვრა და გლეხის ისეთივე კაცათ აღია-
რება, როგორც აზნაური, თავადი და მოქალაქე, „საქართვე-
ლოს“ მეთაურებით – დანაშაულობა ყოფილა! და მერე რატომ?
იძიტომ, რომ კაპიტალისტური განვითარება და კლასთა
ბრძოლა ამით სოფელშიაც გაძლიერდებაო და ეს სანატ-
რელი არ არისო. ამით ის ერთიანათ არღვევს იმას, რასაც წინათ
ქადაგებდა: აი, მაგ. რას ვკითხულობთ მეშვიდე ნომერში:
„საჭიროა რომ ჩვენშიაც კერძო საკუთრებას ჯერ ჯერობით
იძგვარივე ხასიათი მიეცეს, რა ხასიათიც აქვს მას ევროპაში...
ყველა გლეხი (და არა ზოგიერთი, როგორც ამ უამაღ არის),
ხიზნებიც მათ რიცხვში უნდა გახდეს კერძო მესაკუთრებათ.
ამისათვის ბოლო უნდა მოეღოს ბატონების დროდან დარჩე-
ნილ წესებს. ჩვენ უნდა ხელი შევუწყოთ ფეოდალური წესწყო-
ბილების აღმოფხვრას.“ შემდეგ წამოაყენა რა თავისი ზემოთ
მოხსენებული სანახევროთ უკვე განხორციელებული რეფორ-
მები, განაგრძობს: „ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებას ორი
მთავარი შედეგი მოყვება: ქართველი ხალხი თავს დააღწევს

ძველ წესს და ახალ, კაპიტალისტურ ხანაში მჭიდროთ შედგამს ფეხს. კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შედგენილ რი პროცესი აუცილებელია. მეორე მხრივ, ახალი ეკონომიკური მიზანი პირობები წარმოშობენ ახალ პოლიტიკურ ფორმას, თავისუფალ ნიადაგს, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების ყოველ-მხრივ აღორძინებას.“ (გვ.3). როგორც ხედავთ, ეს უკანასკნელი ციტატა პირდაპირ ეწინააღმდეგება მეათე ნომრის ციტატას. პირველი გადაჭრილათ აღიარებს „ძველ წესების“ ძირიანათ დარღვევას (ე. ი. გაუქმებას ყველა იმ ფეოდალურ კანონებისას, რომლითაც გლეხი იძორება), და ამას თვით კაპიტალიზმთან ბრძოლა მოითხოვსო, ხოლო მეორე კი ამტკიცებს – „ძველი წესების“ ერთიანათ დარღვევა კაპიტალიზმის მიხმარებათ! რომელი ერთია მართალი? რომელ „საქართველოს“ ვერწმუნოთ? მას შეუძლია გვიპასუხოს: ჩვენ წინათ ისე გვეგონა, მარა ახლა აღარ გვეგონა, ე. ი. აზრი გამოვიცვალეთო. რასაკვირველია, ერთი აზრის გამოცვლა დანაშაულობა არ არის, მარა, როცა ყველა აზრს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იცვლით და აღარ იცით, რომელს შეამაგრდეთ – ეს კი დანაშაულობაა. სხვების მასწავლებელმა ჯერ თვითონ უნდა გაიკვეთოს კარგათ სასწავლებელი საგანი და მერე სხვას გადასცეს. „საქართველოს“ აზრის გამოცვლა არ ახალია, ძველია. ის მუდამ ერთი ხელით აშენებს, მეორეთი არღვევს. თუმცა ასეთ პირობაში სხვისი აზრის პატივისცემა ძალიან ძნელია, რადგან არ იცი – ხვალ იმავე აზრს ავტორი შეამაგრდება თუ არა, მარა მიუხედავათ ამისა, „საქართველოს“ ამ გამოცვლილ აზრსაც პატივით მოვექცევით და გავარჩევთ.

რას ქადაგებს ამით „საქართველო“? იმას, რომ გლეხს ნება არ მიეცეს თავის საკუთრება გაყიდოს, დააგირაოს, ერთი სიტყვით, როგორც სურს, ისე მოიხმაროს. მაშასადამე, გლეხს არ უნდა მიეცეს ის უფლება, რაც ყველას აქვს. ის უნდა გამოირიცხოს მოქალაქეთა რიცხვიდან და მეორე ხარისხოვან ადამიანათ ჩაითვალოს. გლეხის ასეთი დამცირება, იმისა შებოჭვებაწვრა გლეხისავე სასარგებლოთ არისო – გვარწმუნებს გაზეთი. ამით მას წაერთმევა საშუალება საკუთრების დაკარგვის და გაპროლეტარიატებისო. მაგრამ ეველამ იცის, რომ ამ ფეოდალურ ნაშთს პროლეტარიატის გამრავლება არ შეუჩერება. პირიქით, ეს პროცესი ბუნებრივის აუცილებლობით წარმოებს;

გლეხის ხელფეხის შებორკვა ამ პროცესს კი არ აფერხებს, არამედ თვით გლეხს ავიწროვებს, ყოველივე უფლებას ურთმეჭვს! და მის პირადობას ამდაბლებს. მას არავინ ენდობა, მას კუქა სილს არავინ ღებულობს, კანონიერ სესხს არ აძლევენ, ხოლო გლეხს კი ყველა ეს ეჭირვება, და აი მოდის ჩარჩი და ეუბნება, — მე გასესხებ, ხოლო რადგანაც დიდ რისკს ვწევ, სანთავნი ბევრი უნდა მომცეო. გაჭირებული გლეხიც, რასაკვირველია, თანხმდება და ასე ის ჩარჩის ბადეში სამუდამოთ ეხვევა. ცხადია, ეს ფეოდალური კანონი გლეხს უკარგავს კანონიერი ბრძოლის სამუალებას და ჩარჩებს უადვილებს პარპაშობას. ეს საჩარჩო კანონია, და აი „საქართველო“ ამ კანონის დამცველათ გამოდის! რაკი ის ამ გზას დაადგა, კიდევაც უნდა გააგრძელოს; უნდა თქვას, რომ გლეხს ნება ნუ მიეცემა თავის სოფლიდან გასვლის, ვექსილების გაცემის და მიღების, ქალაქებში მუშათ დადგომის — ერთი სიტყვით, გლეხი მიკრული უნდა იქმნეს თავის ნაჭერ მიწაზე და სხვა გახაქანი არ ქონდეს. მისი აზრით, ცველა ამან კიდევ უფრო უნდა შეაფერხოს გლეხობის გაპროლეტარიატება. ბატონყმობის დროს ხომ ცოტა იყო პროლეტარიატი და თუ ეს არის იდეალი „საქართველოსი“ — ბატონყმობას უნდა დაუბრუნდეს.

გლეხობის შებორკვის სურვილი, რასაკვირველია „საქართველოს“ არ გამოუვონია. მას ელტვის ყველა ქვეყნის აგრარიები და მემამულები. და მართლაც, თუ კი გლეხობა ქალაქებისაკენ დაიძვრება და სოფელს მიატოვებს (როგორც ეს ევროპაშია ამ უამათ), ცხადია, მემამულეთ მუშა და მოიჯარადრე შემოკლდება, მაშასადამე, მუშა გაძვირდება, დალადაიწევს, მიწის ფასები დავარდება. და აი ამიტომ გერმანიის აგრარიები ამდენს ცირიან — გლეხობა გაირვენა, სოფელში აღარ იცდის, ქალაქის კულტურას ეტანება, საჭიროა განსაკუთრებული კანონები მათ სოფელში გასაჩერებლათო. და აი, ჩვენი „თავისუფალი ორგანოც“ ამ ფერხულში ჩაება. მან იარა, იარა და ფეოდალიზმს კარზე მიადგა, ამით მთელი თანამედროვე მოქალაქეობრივი განვითარება უარჲო და „ძველი წესების“ მოტრფიალეთ გამოცხადდა. და ასე, ეს ბურჲუ-ნაციონალისტები ფეოდალ-ნაციონალისტებათ გადაიქცენ!

საკვირველი ის არის, რომ ეს ფეოდალები თავის გაშეთის იმავე ნომერში და იმავე წერილში აღიარებენ, პროლეტარი

შეკეთ ცხოვრობს, ვინემ წვრილი მესაკუთრეო და მიუჩე-
დავათ ამისა წვრილი მესაკუთრის მდგომარეობას შენატ-
რიან! თუ კი ის პროლეტარზე „უფრო დაჩაგრულია, შეტნის
მუშაობს, უფრო უბედურია, გონებრივ ინტერესით ვერ
ცხოვრობს, უფრო შებოჭვილია“ (იქ. გვ. 3) – როგორც თითონ
ამბობენ, მაშ რატომ ასე მეცადინეობენ ეს „დაჩაგრული“ და
„უბედური“ ძალათ (კანონით) მიაკრან ამ დაჩაგრულებას და
უბედურებას და არა დაეხმარონ მის თავისუფალ განვითარე-
ბას? როცა აგრარიები ამავე ზომებს თხოულობენ, თხოულო-
ბენ არა გლეხთა სასარგებლოთ, არამედ თავის უპირატესო-
ბის დასაცველათ. მათ სწორეთ „დაჩაგრული“, „უბედუ-
რი“, „შებოჭვილი“ და „უვიცი“ გლეხი უნდათ, რომ მა-
ზე თავისუფლათ იბატონონ. ხოლო, როცა „საქართველო“
ამას თხოულობს, უნდა ვითიქროთ ორში ერთი: ან ის აგრა-
რიელთ ემხრობა, ან არ იცის, რასაც შვრება.

ამ ფეოდალ-პატრიოტებს უკვირთ, რატომ – ჩვენ სოციალ-
დემოკრატიი – ვითომ და გლეხის მტერნი, მას ფუბრუნებთ იმ
მიწებს, რომელიც ბატონებმა წაართვეს ბატონყმობის გაუქ-
მების დროს. ეს აშკარა ძალმომრეობა ნაშთია „ძველი წესის“,
და რადგანაც ჩვენ ეს „საქართველოს“ მიერ მოწონებული წე-
სი ძირიანათ გვინდა ამოვაგდოთ – ამიტომ ეს ძალმომრეობაც
გვინდა მოისპოს და გლეხთ ჩაბარდეს, რაც მათ ეკუთვნით.
ჩვენ გვსურს გლეხი იყოს ისეთივე მოქალაქე, როგორც თვით-
ეული ჩვენთაგანია, ჩვენ გვსურს მათ გაუადვილოთ ძალმომ-
რეობასთან ბრძოლა და ერთიანათ გადმოვიყვანოთ თანამედ-
როვე ხანაში. აქ ჩვენ ვიცავთ მას როგორც მოქალაქეს, რო-
გორც ადამიანს და ვუქადაგებთ, რომ მისი სვებედის ძირიანათ
გაუკეთესება შესაძლებელია მხოლოთ კაპიტალიზმის დაცე-
მით და სოციალისტური წყობილების დაარსებით. ამიტომ
გლეხობას ვიწვევთ შეუერთდეს პროლეტარიატს და ერთად
გასწიონ საერთო უღელ...“

აი ჩვენი პოზიცია „საქართველოს“ ფეოდალებო, გესმით
ახლა ჩვენი აგრარიული პროგრამა?

და აი, ასეთი, უკაცრავთ პასუხია, „პრიტიკოსები“ იწუ-
ნებენ ჩვენი პარტიის საორგანიზაციო დედა-აზრებსაც. თა-
ვისთავათ ცხადია, რომ რაკი გაზეოთა ჩვენს პროგრამას ფეო-
დალის თვალით შეხედა და „ძველი წესის“ მოტრფიალეთ გა-

მოვიდა, ორგანიზაციაც ფეოდალის სასწორზე უნდა გაეტანა, იმ ფეოდალის, რომელიც თავის სოფელში და ფრეშების გამაგრებული და დანარჩენ ქვეყნის ინტერესებს ჰქოდავილებული და. ასეთი ფეოდალური პარტიკულიარიზმით „საქართველო“ გვიქადის ჩვენი პარტიული ძალების ნაჭერ-ნაჭერ დახეხას, მათ განცალკევებას და მით პარტიის „გაფეოდალებას.“ ის ებრძვის პარტიის ცენტრალიზმს და ვერ გაუგია, რომ მხოლოთ ყველა ერის რევოლიუციონერ მუშათა დახმარებით შესაძლებელია ისეთი ვეშაპის დაცემა, როგორიც თვითმშეწოდელობაა. დღეს ჩვენი პარტია ომის ველზეა, მტერი იერიშით მოსულია, აუარებელი სისხლი ინთევა, ორივე მხრით თავა განწირული ბრძოლაა და აი, ასეთ გარემოებაში მოდის მოცლილი „საქართველო“ და გვეუბნება: რატომ ერთათ მოგიყრიათ თავი, რატომ ერთი ჯარი შეგიღგენიათ, გირჩევთ დაიშალოთ და თქვენ-თქვენ სახლში წახვიდეთო! ასეთია კანდიერება „თავისუფალ ორგანოს! ის შორს დამდგარა, მოძრაობაში ოდნავათაც არ ერევა, ყველა მისი ბაირალტარი და მიმდევარი მუშათა ბრძოლას სეირივით შესცემის, არავინ თითსაც არ ანძრებს, და აი, ეს ვაჟბატონები აღარც ჩვენ გვანებებენ მუშაობას! რა საბუთით, რა გავიგეოთებიათ, ვინ დაგაყენათ კავკასიის ორგანიზაციების ადვოკატათ? ნუთუ არ იცით, რომ ამ ორგანიზაციებს თავისი დამცველები და მეთაური ყავთ და თქვენს „დაცვაში“ არ საჭიროებენ? ჩვენი და რუსეთის ორგანიზაციების დამოკიდებულება ჩვენი საქმეა, ეს შეიცავს ჩვენ შინაურ ურთიერთობას და შარაზე გამვლელ-გამომვლელის საქელავი არ გახლავს. ის ორგანიზაცია, რომელიც დღეს გვაქვს, ჩვენ მიგვაჩია დღევანდელ პირობებში ბრძოლის საუკეთესო იარაღათ, ხოლო როცა ეს პირობები შეიცვლება, მაშინ ვნახავთ, და თუ საჭირო იქნება, შესაფერათ შეცვლით ორგანიზაციასაც. „საქართველოს“ კი, როგორც ყველა მეტაფიზიკს შეჰქერის, ყოველივე წყლულის მოსარჩენათ ერთი და იგივე მალამო აქვს — ეს არის ფედერაცია. ორგანიზაციისათვის — ფედერაცია, ერისათვის — ფედერაცია — ერთი სიტყვით სამუდამო უტყუარი რეცეპტი აღმოჩენილია, საჭიროა მხოლოთ „თავისუფალი ორგანოს“ შეძენა და მისი აბების არხეინათ ყლაბვა. ის ერთიანათ გაბმულია „მომავალი ორგანიზაციის გეგმის“ შენებაში. ეს გეგმა ზან თვითმართველობაა, ზან

უედერაცია. ხან ითხოვს – რუსეთი ნუ ჩაგვერევა ჩვენს შინა-
გან საქმეშიო, ხან იძახის ჩვენ უნდა ჩავერიოთ რუსეთის „შეუკვებული
ნაგან საქმეებშიო (უედერაცია), ერთი სიტყვით, „ოცნებაფული იმითა
სამეფოში“ წაღმა-უკუღმა დაცურავს. ის, რასაკვირველია, არ
კითხულობს, უედერაცია სურს თუ არა იმას, ვისაც ეს ეხე-
ბა – რაკი მე მსურსო, უეჭველათ სხვებსაც უნდა სურდესო –
ამაყურათ გაიძახის „საქართველო“. რა ენაღვლება, რა ეხარჯ-
ვის სიტყვის მეტი, თქვა და გათავდა. ამიტომ სხვების დაბი-
რებასაც აღმაცერათ უცქერის. რუსეთის სოციალ-დემოკრა-
ტიულ მუშათა პარტიის პროგრამას თავისი არშინიო ზომავს,
ეს რა არის, არ მეყოფაო, ხოლო რომ თვითონ გაანძრიოს ხე-
ლი, მოძრაობაში ჩაერიოს, ცოტაოდენი შრომა გასწიოს და
ამით დაწუნების უფლება მოიპოვოს – ყველა ამას უფრთხის,
მე ვსწერ და თქვენ აასრულეთო – გვიბრძანებენ ეს ოცნების
რაინდები. მარა, რადგანაც ჯერ თვითონაც ვერ გამოურკვე-
ვიათ – რა სურთ, რას ელტვიან, რას თხოულობენ, ამიტომ
ერთს საშინელ ჭაპანწყვეტაშია გაბმულნი, იმ ბაბილონის გო-
დოლის ასაშენებლათ, რომელსაც „საქართველო“ ეწოდება.

ამგვარათ, ქართველ სოციალ-დემოკრატიას, ქართველ მუ-
შათა მოძრაობას თავიდანვე ერთი მტერი ყავდა და ახლაც
ყავს – ეს არიან ქართველი ნაციონალისტები. ამათვის ნა-
ციონალიზმი, ერის უფლებათა დაცვა, არის მხოლოთ ის პირ-
ბადე, რომლითაც საზოგადოებაში გამოდიან და თავის კლასი-
ურ ბატონობას იცავენ. ესენი ვერ ბედავენ პირდაპირ თქვან: ჩვენ
ბატონნი ვართ და თქვენ მსახურნიო. არა, მათ ხერხს მი-
მართეს, ერის უფლებები ფარათ იშველიეს და გაიძახიან: ჩვენ
რა, ჩვენ მხოლოთ ერის ინტერესები გვალაპარაკებსო! დაწყე-
ბული მელიქოვებით, ამილახვრებით, ამირეჯიბებით, ჭავჭა-
ვაძნით და გათავებული „საქართველოს“ ბაირალტებით –
ყველანი ერთს და იმავეს დაღადებენ: ჩვენ ქართველი ერისთ-
ვის ვმუშაობთო. ნამდვილათ კი ეს „ქართველი“ ერი ერთი-
სთვის ნიშნავს ქართველ თავად-აზნაურობის ბატონობას,
მეორესთვის – ქართველი ბურჟუაზიის უფროსობას, ხოლო
მესამისათვის – ყველასი ერთად მორიგებას და მით კაპიტა-
ლისტური საძირკველის გამავრებას. ყველა ამათ აერთებს:
ერთი რამ: სოციალიზმთან ბრძოლა და მუშა ხალხის მველ
ბორკილებში ჩაჭერა. ამას აშკარათ აღიარებდენ, როგორც

პირველის („ივერია“), ისე მეორის („ცნობის ფურცელი“) მეთაური და მით ესენი ადვილათ დასახახავი მტკრწერებული ქართველმა პროლეტარიატმა გარგათ იცის ამათი ბურჟუა-ინტელიგენტები და, ამ დახვედრით შემინებული ბურჟუა-ინტელიგენტები „საქართველოს“ საშუალებით ხელახლა შეუდგენ წყლის მღვრევას და შიგ გულ-უბრყვილოთა ჭერას. ეს ვითომდა ახალი მოღვაწენი მხოლოთ გარეგანი სახით განირჩევიან ძველებისაგან. ისინი უფრო ხერხიანათ მაღავენ თავის სულის კვეთებას, უფრო ფრთხილათ სროლილობენ ადამიანთა საჭერ ბადეს და ამიტომ უფრო ძნელი საცნობი არიან. ისინი ვითომ ქართველობის საერო ინტერესს იცავენ, მარა, როგორც დავინახეთ ამ ინტერესს იცავს ქართველი სოციალ-დემოკრატია. მაშ რატომ ისინი არ გვიერთდებიან ჩვენ? იმიტომ, რომ ჩვენ სოციალისტები ვართ, ჩვენ გვსურს მათი სამფარველო კლასები მოვსპოთ და მის ნაგრევზე საერთო ძმობა ავაშენოთ. და აი, ამის შიშით ისინი განზე გამდგარან და ჩვენს ხალხს იწვევენ – შემოგვიერთდით! პროლეტარიატი მათვის იარაღია, საშუალებაა ნაციონალისტურ აზრების განსახორციელებლათ და მით სოციალიზმის ძირიანათ ამოსაგდებათ. ჩვენთვის კი ნაციონალური და სხვა დემოკრატიული რეფორმა იარაღია პროლეტარიატის გასაძლიერებლათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ. და რადგანაც ეს არ შეიძლება მანამდის, სანამ პროლეტარიატი არ გამოსცილდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს და თავის ხაკუთარ პარტიას არ შეადგენს – ამიტომ „საქართველოს“ ნაციონალისტები ასე გულმოდგინეთ ეძებენ „საერთო მოქმედების“ ნიადაგს, სადაც უნდა შეერთდეს თავად-აზნაური, ლვდელი, ბერი, მუშა, გლეხი და ასე რაზმი პროლეტარიატისა ამ საერთო ყრილობაში გალებონ და სხვების კუდათ გადააქციონ.

მართალია, ბურჟუაზიის მონა-მოსამსახურენი ყოველგან და ყოველთვის ამას ცდილობდენ, მარა არსად ისე ულაზათოდ და უშნოთ, როგორც ამას ჩვენი ნაციონალისტები ჩადიან. „საქართველომ“ ულოდიკობა, უპრინციპიკობა და მტკიცე აზრების უქონლობა პირდაპირ ხელობათ გაიხადა. ამას ბოლოს შეუერთა სოციალ-დემოკრატიის სხვა და სხვა ცილისწამებით დამცირება, გლეხთა მეორე ხარისხოვან ადამიანებათ გამოცხადება, ძველი წესების ნაშთთა ქებათა-ქება და აი, ამ

ბურუუა-ფეოდალურ ავლადიდებით აღჭურვილი, ქართველ მუშათა მოძრაობას შემუსვრას უქადის. ამ დიად მოძრაოებას უკანულია ამ შესანიშნავ სურათს ის ბუზივით დააჯდა და მის შეძლებული მიზანის ლამობს. საქმარისია ერთი სულის შებერვა, ერთი თითის გაქნევა, რომ ეს ბუზი გაქრეს და დიდებული სურათი დადგე-ბულათ დარჩეს...

გავათავეთ. როგორც თავში ვთქვით, ჩვენში ამ ქამათ ერთად ერთი რევოლუციონური მოძრაობაა, ეს არის რევო-ლიუციონური მოძრაობა პროლეტარიატისა, ეს არის მიმდი-ნარეობა ჩვენი ხალხისა. მოელი ეს მოძრაობა წარმოებს სო-ციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ, ეს არის სოციალ-დე-მოკრატიული მუშათა მოძრაობა. ვისაც რაიმე რევოლუციო-ნური მოქმედება სურს, ვინც მართლა ცდილობს თვითმშე-რობელობის დამხობას, ნაციონალური და პოლიტიკური რე-ფორმების შემოღებას და უკეთესი წყობილების დაფუძნებას, ვისაც გალწრფელათ უყვარს თავისი ხალხი, ვინც ელტვის მის ცარცვა-გლეჯის სამუდამოთ მოსპობას და სოციალიზმის დამყარებას – ყველა ასეთ პირთ ვიწვევთ შეუერთდენ ქართ-ველ სოციალ-დემოკრატიას და მასთან ერთად ამართონ წითე-ლი დროშა ზედ წარწერით:

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

გაუმარჯოს კავკასიის სოციალ-დემოკრატიას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ პროლეტარიატს!

ეს წიგნაკი იბეჭდებოდა, როცა გამოვიდა „საქართველოს“ № 11 და მისი დამატება № 1 და რაც ერთხელ კიდევ ამტკი-ცებს ყველა იმას, რაც ზემოთ ვთქვით. დამატებაში მოყვანი-ლია ის რეზოლუციები, რომელიც მიუღია „ქართველ რევო-ლიუციონერთა პირველ კონფერენციას“ საზღვარგარეთ. რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქნიოს ამ „კონფერენ-ციაზე“, საჭიროა იცოდეს შემდეგი: საზღვარგარეთ ბევრი ქარ-თველი მოხსნავლე ახალგაზრდობა, რომელსაც ვერ გამოურკ-ვევია თავისი მიმართულება და არც რამე ჩვენებურ რევოლი-ციონურ მოძრაობაში პრაქტიკული მონაწილეობა მიუღია. ამათ რიცხვშია «საქართველო», ესეც მიმართულებისაგან თა-

ვისუფალი ორგანო და მთელ თავის მოქმედებას წერილი გარე-
ნეულ სტატიების წერაში ხატავს. და აი, ამ მიმართუ-
ლების მაძიებელნი ერთად შეიყარენ „სალაპარკო რეზიდენცია-
ნას დაქსწრენ თოხი ანარქიისტი, ორი „საქართველოს“ წარმო-
შადგენელი და დანარჩენი – „პუბლიკა“, (სოციალ-დემოკ-
რატებმა მკორე სხდომიდგანვე თავი დაანებეს ამ შეუსაბამო
ქრებას). და აი, ამ მომუსაიფეთ „საქართველო“ რევოლიუცი-
ონერო უწოდებს! რა გონიერივი ავლადიდების და რა სარევო-
ლიუციო მომზადების ყოფილა ამ ყრილობის „დიდი უმრავლე-
სობა“ – ნათლად სჩას იქიდან, ორმ მათ „საქართველო“ უც-
ნიათ თავისი „აზრების გამომსახველ ორგანო!“ ხოლო რა თვი-
სების და აზროვნების, ანუ უკეთ, უაზრობის პატრონი არის
ეს ორგანო და მისი რედაქცია – ზემოთ დავინახეთ. ამისათვის
რაღა გასაკვირველია, ორმ უპრინციპობა, ულოდიკობა და ცი-
ლისწამება – ეს უმთავრესი თვისებანი „საქართველოსი“ –
„საქართველოს“ მომხრე დიდი უმრავლესობის „კუთვნილებათ
გამხდარიყო და ყველა ეს თავის რეზოლუციებში გამოიხატა.
კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების. და ჩვენც
ამ საბავშვო ჩსირკედელაობას აქ არ გამოუდგებით. ამიტომ არც
ის გვაკვირვებს, რომ ამ მოლაყბებმა თავის თავს „პარტია“
უწოდეს და ისიც „სოციალისტური“! მოგეხსენებათ ბავშვე-
ბის მუდმივი სურვილი, რამებაირად ჩქარა „დაკაცდენ“, დი-
დათ გამოჩნდენ, რასთვისაც ხშირათ მოზრდილთა ტანისა-
მოსს ჩაიცამენ ხოლმე ანდა ულვაშებს გაიკეთებენ, თამბაქოს
მოსწევენ და ამაფურათ ეტყვიან ერთმანეთს: აი მეც დიდებში
ვარო. ამათ რიცხვს ეკუთვნის „საქართველოს“ „დიდი უმრავ-
ლესობა“. ამათ სურვილი დიდი აქვთ „დიდებში“, ე. ი. მართლა
რევოლიუციონერებში ჩაერიონ, ხოლო შესაფერი ძალა კი არ
შესწევთ და იძულებული არიან თავის თავს მხოლოთ დიდების
სახელი უწოდონ, როგორც მაგ. პარტია, სოციალისტი, რევო-
ლიუციონერი და სხვ. და ამით გული იკეთონ. და ასე ჯოხის
ცხენზე გადამჯდარმა „რევოლიუციონერებმა „საქართველოს“
წინ დაიხოქეს გვიწინამძღვრეო. და ესეც სერიოზულათ აცხა-
დებს: – მე ვარ ახალი პარტიის ორგანო! – ხოლო ყველა ამ
„ბავშვობიას“ რომ „საქართველო“ არ გამოუცვლია, ეს სჩას
იმავე № 11 ნომრიდან. ეს ნომერიც ისეთივე ცილისწამებით
არის სავსე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, როგორც წი-

ნანდელი ნომრებია. ეს ცილისმწამებელნი ამტკიცებენ, რომ ქორვენული
ციალ-დემოკრატები კი არ არიან რევოლუციონერები, არამედ იმით
ჩვენ ვართო. ამის დასასაბუთებლათ ბებელს ათქმევინებენ ისეთ
რამეს, რაც თავის დღეში არ უთქვამს. აი რას სწერენ ეს უში-
შარი რაინდები: ბებელმა რეიხსტაგში განაცხადა: „გერმანე-
ლი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ხელს უწყობდენ ამ საქ-
მეს (ე. ი. რუსული ლიტერატურის რუსეთში გადატანას), დარ-
წმუნებული იყვნენ, რომ გადაქონდათ სოციალ-დემოკრატიული
და არა სარევოლიუციო ლიტერატურა“¹. აქ, როგორც ხედავთ,
სოციალ-დემოკრატიული და სარევოლიუციო დაპირდაპირებუ-
ლია, ვითომ პირველი სხვაა და მეორე სხვა. მართლა ასე თქვა
ბებელმა? აი მისი სიტყვები: „გერმანიის სოციალ-დემოკრატე-
ბი, რომელნიც ხელს უწყობდენ რუსული ლიტერატურის გა-
დატანას, დარწმუნებული იყვნენ, რომ გადაქონდათ სოციალ-
დემოკრატიული ლიტერატურა“²) როგორც ხედავთ, აქ სრუ-
ლებით არ არის ნახმარი სიტყვა „სარევოლიუციო“. აი რა უშ-
ველებელი ცილი დასწამა „საქართველომ“ გამოჩენილ სოცი-
ალ-დემოკრატს ბებელს! აი მისი ზნეობრივი ავლადიფება! ვანა
ასეთ ჭორიკანა გაზრდითან ღირს დაპარაკი? აი კიდევ „საქართ-
ველოს“ მეორე ჭორი. იმას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ
მუშათა პარტიის მეორე კრების ოქმიდან ასე მოყავს ლენინის
აზრი „საოლქო თვითმართველობის“ შესახებ: ლენინი წინა-
აღმდეგია ამ პარაგრაფის, რადგან შეიძლება ეს ისე განმარტონ
„ვითომ სოციალ-დემოკრატია ხახელმწიფოს დანაწილების
მომხრეაო“ და თან გაიძახის: „ლენინი ხახელმწიფოს ერთია-
ნობის დამცველათაც კი გამოვიდა“, ე. ი. ნაციონალისტიაო!
მარა რომ ლენინი „სახელმწიფოს ერთიანობის“ დამცველი არ
არის, იქიდან სჩანს, რომ ის მომხრეა „ერთა თვითგამორკვე-
ვის“ ე. ი. უფლებას აძლევს რუსეთში მყოფ ერთ — სურთ მოს-
ცილდენ რუსეთს, — სურთ დარჩენ. ცხადია, ლენინი იმას ვერ
იტყოდა, რასაც „საქართველო“ აწერს და არც უთქვამს. აა
ბროტოკოლის სიტყვები:—ლენინი „წინააღმდეგია სიტყვის „სა-
ოლქო“, რადგანაც შეიძლება ეს ისე განმარტონ „ვითომ სოცი-
ალ-დემოკრატია თხოულობდეს მთელი სახელმწიფოს წვრილ
ოლქებათ (на мелкія области) დანაწილებას“³) აა

¹) იბ. „Vorwärts“, № 51, erste Beilage, ვვ. 2, სეეტი მე-2. 1904.

²) იბ. „Протоколы“, ვვ. მე-170.

უ „წვრილი ოლქები“ „საქართველომ“ გამოტოვა და ასე ავტორს თავისი ჭორი თავზე მოახვია. ერთი სიტყვის მნიშვნელობა ზეთი ჭორების მორევში დაცურავს, ყოველივე ზნეობრივი საზომი დაკარგა და ხელში შერჩა მხოლოდ ტრაბახობა და განდიდების სურვილი. ამისთვის მან მრავალსართულიან სახელწოდებას მიმართა: „თავისუფალი ორგანო“ მიმაღა და მის ალაგას დააწერა: „ქართველ სოციალისტ-უცხოვრალისტთა სარევოლიტური პარტიის ორგანო“ !!! აი რა დიდი ვინმე ბრძანებულა „საქართველო“! გეცოდინებათ იმ გლახა მხატვრის ამბავი, რომელმაც ლომის მაგიერ ძაღლი დახატა და რომ საზოგადოებისათვის ძაღლი ლომათ მოეჩვენებია, სურათს წააწერა: ეს ლომია, ძაღლი არ გეგონოთო! ამ მაგალითით წახალისებული ჩვენი ნაციონალისტებიც აწერენ თავის ორგანოს „საქართველოს“: სოციალისტურია, ბურჟუაზიური არ გეგონოთო!.. მაგრამ

„უმზადესო საქმე ყოველი მოქლეა, მით ოხერია,
რა უთქვამს, რა მოუჩინახავს, რა წიგნი მოუწერია!“

ბ რ ძ რ ლ ა

ბრძოლა გრძელდება...

ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, ბრძოლა შეუპოვარი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია დაიბადა ბრძოლაში, გაძლიერდა ბრძოლით, იგემა გამარჯვება თუ განიცადა დამარცხება ბრძოლითვე, გაშლილი დროშით და შეკრული რიგებით. მას არ სჩვევია მტრის წინაშე მუხლის მოყრა, ბრძოლის გელის დატოვება, თავის მიზნების გადამალვა. ის სდგას თავის სადარაჯოზე ისე, როგორც იდგა ათი, ოცი და ოცდაათი წლის წინ, ფხიზლათ, მამაცურათ, რწმენით და იმედით აღსავსე.

ბრძოლის მიზანი იგივეა დღეს, რაც იყო გუშინ და დარჩება მუდამ, უცვლელათ მის განხორციელებამდე.

სუვერენობა ერის, ბატონობა დემოკრატიის, დამკვიდრება სოციალიზმის — აი ჩვენი მიზანი, აი რისოვის ვიბრძვით ჩვენ. ამით ჩვენ ვუკავშირდებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და შევდივართ მის ოჯახში. ეს არის ძირითადი დებულებანი ინტერნაციონალური სოციალიზმისა, მისი მანათობელი ვარსკვლავი, მისი გზა და ხიდი. დროშა საერთოა, მდგომარეობა სხვა-დასხვანაირი.

ამ დროშას ყავს ორი მტერი — ერთია ძველი, კარგათ ცნობილი, მეორეა ახალი, ახლათ გაცნობილი. ეს არის ბურჟუაზია და ბოლშევიზმი. ესენი ერთმანეთს ებრძვიან, ერთიმეორეს ძირს უთხრიან, მაგრამ სოციალისტურ ინტერნაციონალს ერთნაირათ ემტერებიან, მის წინააღმდეგ ერთათ დგებიან. მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა. სოციალისტური პრინციპები აუცილებლათ გამომდინარეობენ ბურჟუაზიული პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმებიდან. კაპიტალიზმი სათავეა სოციალიზმის. ბოლშევიზმი კი ძირბუდიანათ უარყოფს ყველა ამ ფორმებს, ანგრევს ამ სათავეს და ამყარებს წინაკაპიტალისტურ, პრიმიულ ეკონომიკას. ერის და დემოკრატიის ბატონობა პირვე-

ლათ ბურჟუაზიამ გამოაცხადა, მარა არ გაატარა. მას ზელი
ჩასჭიდა პროლეტარიატმა. ბოლშევიზმმა ორივე ფრაგმენტი
წინააღმდეგ ჯვაროსანთა ომი გააჩადა.

აქედან ერთი დასკვნა: სოციალიზმს მეტი საერთო აქვს
ბურჟუაზიასთან, ვინემ ბოლშევიზმთან. დღეს მთელ ევროპაში
სოციალისტური პარტიები ხშირათ ეკავშირებიან რადიკალურ
ბურჟუაზიას, ხოლო კომუნისტურ პარტიას არსად და არასო-
დეს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიას შეუძლია იამაყოს
იმით, რომ მან პირველათ დაუსვა მართალი დიაგნოზი ბოლ-
შევიზმს. მან პირველათ ამ ოცი წლის წინეთ ის აღიარა ანტი-
დემოკრატიულ და ანტიმარქისტულ მიმდინარეობათ. ამ ნია-
დაგზე მან მისცა მას ბრძოლა და დაამარცხა საკვებით, გადა-
აქცია ის არარათ, უმნიშვნელო ჯგუფათ. ეს იყო პირველი ჩვე-
ნი გამიჯვნის თეორიული, ბრძოლა იდეიური. ეს იყო იმავე დროს
ამ გამიჯვნის სისუსტე. ხალხი სწავლობს ფაქტებზე, ცხოვრე-
ბის მაგალითებით. ფაქტი კი იმ დროს არ იყო. ბოლშევიკები
იდევნებოდა ისე, როგორც მენშევიკები. ისინი მეტყველებდენ
დაახლოვებით ისე, როგორც ჩვენ, მასა ხშირათ დაფასებაში
ყოფილი იყო.

ბოლშევიზმისაგან ნამდვილი პოლიტიკური გამიჯვნა მოხდა
მხოლოდ დღეს, როცა მისი საშინელი სახე აშკარათ გამოჩნ-
და და ხალხს სულთამხუთავათ მოევლინა, როცა მასში ქვეყა-
ნამ ცხადათ დაბახა ინკვიზიტორი.

ბურჟუაზიული ურთიერთობა იძლევა საშუალებებს ბრძო-
ლისა და მოძრაობისა. ის სცნობს თავისუფლებას აზრისას და
მოქმედებისას. საბჭოთა ურთიერთობა სპობს ყველა საშუალე-
ბას, მაგრა კეტს ყველა კარგებს. არავის აძლევს გასაქანს არც
სულიერ და არც მატერიალურ სფეროში. შავი რეაქცია გამეფ-
და. ბურჟუაზიული ურთიერთობა ხალხს სანატრელად გაუხდა.

ევროპაში სოციალ-დემოკრატია გამდლავრდა მხოლოდ მაპ
შემდეგ, რაც პროლეტარიატში გაქრა წვრილბურჟუაზიულ-სო-
ციალური ილიუზიები, დამარცხდა პრუდონიზმი, ბლანკიზმი,
ფურიერიზმი და სხვა მსგავსი მიმდინარეობანი. ჩვენში იყო
მხოლოდ ბოლშევიკური ილიუზია (რუსეთში კი ბოლშევიკურ-
ნაროდნიკული). ამ ხანათ ის, როგორც იდეიური მიმართულება,
განადგურებულია, მისი მომხრე კომუნისტებით განისაზღვრე-

ბა. დასაძლევია ბოლშევიკური ხელისუფლება, მისი პოლუტრუნული კური და ეკონომიური წყობილება. გვიპოზიტის

ბრძოლის პირველ რიგში დგას დამარცხება არა ბოლშევიკური იდეოლოგიისა, არამედ ბოლშევიკური თვითმპყრობელობისა. პირველის არსებობა დაყრდნობილია მეორეზე. ის კიდევ ბოგინებს ციხით და ჩეკით. ამ წყობილების გაუქმება თავისთავათ აუქმებს მის იდეოლოგიას, მის პარტიას, მის ამყოლ-დამყოლო.

მაშასადამე, მიმდინარე მომენტის ბრძოლის საგანია — დაცემა საბჭოთა ტირანიისა და აღდგენა საქართველოს დამოუკავებლობისა და დემოკრატიული მართველობისა.

ჩვენი მოთხოვნილება, ჩვენი ხარტია — ჩვენი კონსტიტუციაა, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული და გამოცხადებული. ეს თავისუფალი ერის თავისუფალი შემოქმედებაა — ბრძოლის უახლოესი მიზანია; ბატონობა ერის და დემოკრატიის — ჩვენი მთავარი გზა-კვალია. ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი წინააღმდეგია; ორჭოფობა, გაძრომ-გამოძრომა, ორ სკამჩე ჯდომა გამორიცხულია. მდგომარეობა ნათელია:

ბოლშევიკური მტარვალობა თუ თავისუფლება. ბრძოლა მტარვალობასთან თავისუფლებისათვის — აი საითქენ მივდივართ ჩვენ და ამას მოვითხოვთ საქართველოს ყველა დაჩაგრულთაგან, ყველა სასიცოცხლო ძალებისაგან.

«ბრძოლა» არის ამ ბრძოლის ორგანო, მისი იდეიური გამოხატულება და ბაირაღტარი. ის განაგრძობს ძველ გზას, ძველი რევოლუციური ცეცხლით და ნათელი აზრით. ერთი რევიმი დაეცა, მეორე მიწურულშია. მისი მესაფლავე სოციალ-დემოკრატია.

მაშ, წინ, წინ, შეუდრეველათ...

ქართველი ერი საფრთხეები

ქართველი ერი ამჟამათ იმყოფება დიდი საფრთხის წანაში, დაიცავს და შეინახავს თავის რასიულ არსებობას თუ გადაგვარდება და გაქრება.

კაცობრიობის ცივილიზაცია ვითარდება, როგორც წინა წერილში ვთქვით, ორ სხვადასხვანაირ ხაზზე. ერთია სახელმწიფოს ბატონობა ერზე, მეორეა ერის ბატონობა სახელმწიფოზე. პირველი ცივილიზაციის ხალხები დიდი ხანია გაქრენ, გადაგვარდენ, სხვა ხალხებში აირიენ. მესაპოტამიის უძველესი ერები აღარ არსებობენ. ამ ქვეყანას ახლა დაპატრონებია არაბები. მოსკოვის ახალი ნავუქოდონოსორი ასეთივე ბოლოს უმზადებს კაცობრიობას. რაც ძველმა ნავუქოდონოსორმა მოიმოქმედა პატარა ტერიტორიაზე, ახალი, მისი მოადგილე, მასვე უმზადებს მსოფლიოს.

მეორე ცივილიზაციის ერები არსებობენ და ბატონობენ დღევანდლამდე. მათ ემუქრება პირველი ხაზის აღმდგენელი და თავის საკუთრათ გამომცხადებელი – რუსეთი. ახლა ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის არის დაჯახება, «ცივი ომი», რაიცა ადრე თუ გვიან გათავდება ერთ-ერთის გამარჯვებით.

ამ სოფლიო ჭიდილშია დღეს მომწყვდეული საქართველო, გადაყვანილი ძალით მოსკოვის მიერ პირველ, სასიკვდილო საფუძველზე. მისი დაბადება, განვითარება, გაზრდა შეუჩერებლივ ვიდოდა მეორე ხაზით, რამაც ის გადაარჩინა გაქრობას. მხოლოდ ახლა პირველათ, ამ ოცდაცხრა წლის წინეთ ის გახდა შესვერპლი მოსკოვის და იმყოფება საშიშარ მდგომარეობაში.

რატომ პირველი ხაზი აქრობს ხალხებს, მეორე კი ინახავს? ყველა ორგანიზმს, ინდივიდუალურს თუ სოციალურს აქვს საკუთარი ენერგია მოქმედების, მუშაობის, თავის-თავის პატრონობის და შენახვის. თუ ეს თვისება დასუსტდა, დავარდა, გაქრა – ასეთივე ბედი ეწევა მის მატარებელ არსებას, ერს და საზოგადოებას. პირადი და ნაციონალური ენერგიის დასუსტება

თან ითრევს მთელ ერს, რომელსაც ეკარგვის ნებისყოფა, თა-
ოსნობა, თავის აწმუოზე და მომავალზე ფიქრი და მზადება. და ამ თვისებების გაძატონებამ პირველი ცივილიზაციის ხალხური
და კარგა ისინი და გადაიქცნენ არქეოლოგიურ ნაშთებად. ერს,
რომელსაც მთავრობა და მისი მოხელეები ბატონობენ, არ შე-
უძლია თავისი მოფიქრებით და უნარით რამე გააკეთოს, თვი-
თეულ ნაბიჯს, თვითეულ მოქმედებას, თვითეულ აზრს უკარნა-
ხებს მთავრობა და მას უნდა დაემორჩილოს — ასეთ წეობაში არ
არის პიროვნება, არ არის საზოგადოება, არის მხოლოდ სა-
ხელმწიფო და მისი აკენტები, სწორედ ეს წყობილებაა, რაიცა
დღეს ბრძანებლობს საბჭოთა იმპერიაში და ეს ანტიპუმანიური
წყობა გამოაქვთ ახალ ცივილიზაციათ. რაკი მთელი ერი ეკო-
ნომიურათ, კულტურულათ, პოლიტიკურათ სავსებით დამოკი-
დებულია მთავრობაზე, ცხადია მისი დაცემის გარები გაღებუ-
ლია. აქ ადამიანი არაფერია. ხელისუფლება შველაფერია. მე-
ორე ცივილიზაცია ემყარება ადამიანებს, ინდივიდუალურ ეკო-
ნომიკას, თვითეული პიროვნების გამჭრიახობას, უნარს და ნე-
ბისყოფას. აქ ზოგი დიდი შეძლებისაა, ზოგი ღარიბია, მაგრამ
ორივე აღჭურვილია თავისი რჩენის აწყობის თაოსნობით; სა-
ხელმწიფო ამ ურთიერთობაში უძლურია, ის თვით არის დამო-
კიდებული პიროვნებებზე.

ქართველ ერს თავის სამიათასი წლის ისტორიაში პირვე-
ლათ მხოლოდ ახლა თავს დაახვია საბჭოებმა თავისი ახლათ
გამოცხადებული უძველესი წყობილება. არც ერთ დამბყრობელ
ერს, არც ერთ სარდალს, დაწყებული ჩინგისხანიდან არ შეუცვ-
ლია საქართველოს საარსებო საკუთარი შენობა და თავისი ნა-
ციონალური წესები არ შეუტანია. ყველა ისინი კმაყოფილდე-
ბოდენ გადასახადების აღებით, ახალი ხარკის გაწერით. სა-
ქართველოს მეფე მირიანი იყო სპარსელი, მაგრამ თავისი მართ-
ვა-გამგეობის წესები არ აუგია სპარსების წესებზე; მან იცნა
არსებული წყობა, ის გაამაგრა და ბოლოს ქრისტიანობის მიღე-
ბით სავსებით გამოეთიშა სპარსეთს. მხოლოდ ახლა, ამ ახალ
დროში, მოსკოვის ძალმომრეობით ქართველი ერი იქნა გამო-
თიშული თავისი სამიათასი წლის ისტორიული საფუძვლიდან
და ძალით გადაევიანილი მისთვის სრულიად უცნობ ეკონომიურ
და პოლიტიკურ საფუძველზე. საქართველო მთელ თავის არ-
სებობის მანძილზე ეწეოდა ბრძოლას თავისუფლებისთვის,

მუდმივ თავის დაცვას და თავისი ისტორიული გზის შენახვას. აი ეს გზა ახლა გაწყვეტილია, ძალით გადაყვანილია. შენვა ქრისტიანული ძველ გზაზე და მის წინაშე დგას დიდი ამოცანა: შეინახოს თავისი თავი, თავისი სული და აზროვნება. ის ვერ მიიღებს, არ მიიღებს სახელმწიფოს, ისიც უცხოს, მასზე გაბატონებულს, მის მონამორჩილათ, მის ჯოგათ გადაქცევას. ის არ შერიგებია მონგოლთა ბატონობას საუკუნეთა განმავლობაში, ის მუდამ იყო და რჩებოდა თავის საზოგადოებრივ ნიადაგზე, თავის მოქმედების ბატონ-პატრონათ.

ერთი სიტყვით, საქართველოს არასოდეს არ განუცდია ისე-თი დაპყრობა, როგორიც მას თავს მოახვია საბჭოებმა. ის განვითარდა საკუთარი ნივთიერი და სულიერი თვისებებით. მას აქვს დაბადებიდან საკუთარი განვითარებითი ხაზი, ეს საფუძველი მისი ხანგრძლივი არსებობისა. როგორც კი ეს ხაზი შეირყევა, უცხო ერის სავალ გზას თავისათ მიიღებს, მისი დაცემა დაწყებულია, მისი გაქრობა მოახლოვებულია.

ამ საშიშროებას ბოლო მოუღო თავისუფალ საქართველომ თავისი ახალი განონებით: წვრილი საკუთრება ხალხს, თვითეულ პიროვნებას, მსხვილი საკუთრება ერს, რასაც დაერთო შესაფერი პოლიტიკური და სოციალური წყობა. საქართველო ამ რეფორმებით დარჩა და გამარტივდა თავის ისტორიულ გზაზე.

და აი ახლა ამ ჩვენი არსებობის ფუძეს ლახვარი ჩასცა მოსკოვმა, მოიმოქმედა ის, რაც არასოდეს არ მოუმოქმედებია რუსის მეფეებსაც. მათ ჩვენში არ შემოუღიათ რუსეთში გაბატონებული მიწის საერთო მფლობელობა, წოდებული ობშინა. ჩვენი ხალხი ცხოვრობდა თანახმად თავისი ზნე-ჩვეულებისა.

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა მე-ექვე საუკუნეში. მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს აზნაურებმა და მთავრებმა. კლებებს ჩამოართვეს საკუთრება და დაიყმეს. მაგრამ ეს იყო არა დიქტატურა სახელმწიფოსი, არა-მედ კერძო პირთა ურთიერთშორისო ბრძოლა. ბატონი ყმას ადებდა ხარეს, ყმა აძლევდა ბატონს შემოსავლის ნაწილს. იყო ბრძოლა კერძო პირთა შორის არსებობისათვის. არასოდეს მოსახლეობის ცხოვრება არ ყოფილა მთავრობაზე დამოკიდებული. რუსეთში კი, პირიქით, ფეოდალობა არ არსებობდა, მისი ადგილი ეკავა სახელმწიფოს და ხალხის მთელი ცხოვრება იყო მის მიერ ნაკარნახევი.

ქართველი ხალხი არ აღზრდილა ასეთ საფუძველზე, არ აუღია თავისთავზე მოხელეთა ბატონობა, მათი ბრძანებული უკუჭი
განკარგულება თავის პირად საქმეებში. მხოლოდ ახლა, მის შემთხვევაში შევიკური დიქტატურა მას თავს ახვევს ძველი რუსეთის წყო-
ბილებას, გადაყავს ის სახიცოცხლო ცივილიზაციის გზიდან სა-
საგვდილოთ ცივილიზაციის გზაზე.

და ისმება საკითხი: როგორ, რა საშუალებით შეუძლია
ქართველ ხალხს შეინარჩუნოს ძველი სული და გული, ძველი
ადათ-ჩვეულებანი? ამისი საშუალებაა ერთი — დარჩეს ძველ
აზროვნებაზე, არ შეურიგდეს არსებულ წყობილებას და მიიღოს
ჭრველი ღონე მისი უღლის შესამსუბუქებლათ და ბოლოს
მოლად გადასაგდებათ.

ამ მიზნით ქართველ ხალხმა უნდა მიიღოს შემდევი ზო-
მები:

1. მან უნდა შეინახოს თავისი ნაციონალური სულისკვეთება
და ნებისყოფის სიმაგრე.

2. არ იცნოს მისი დღევანდელი ეკონომიური წყობა თავის
წყობათ და მისაღებათ.

3. მას დაუპირისპიროს მუდამ დამოუკიდებელი საქართვე-
ლოს მიერ მიღებული და გატარებული სოციალური ფუძე.

4. ის დღეს ემორჩილება უცხო ძალას, მუშაობს მისი ბრძა-
ნებით, მაგრამ სულიერათ, აზროვნებით მას ეთიშება და თავი-
სუფალი საქართველოს დროშის ირგვლივ გროვდება.

5. ის იბრძვის იმ მიზნით, რომ მიმდინარე ხანაში გააფარ-
თოს თავისი საკუთარი სამუშაო შესაძლებლობანი, თავისი
საკუთარი მიწის რაოდენობა, თავისი მუშაობის და თავის რჩე-
ნის საშუალებანი დამოუკიდებლათ მთავრობისა.

6. სახელმწიფო ეკონომიკის საგანია ერის სხვილი საკუთ-
რება და არა კერძო წვრილი მეურნეობა, ხელოსნობა და აღებ-
შიცემობა.

7. რაც შეიძლება მეტი უფლება პიროვნებას, ხალხს, ნაკლე-
ბა უფლება სახელმწიფოს და მის აგენტებს.

ბრძოლა ამ ნიადაგზე, ამ მოთხოვნილებათა განსახორციე-
ლუებლათ შეინახავს ქართველი ერის ძველ სულიერ სიმაგრეს,
გამოეყოფა სავსებით საბჭოთა ეკონომიურ ძალმომრეობას და
იქნება მომზადებული იმ მომენტისათვის, როცა საბჭოთა უკა-
ნასკნელი ზარი დაირეკება და საქართველო განთავისუფლდება.

ქართველი სოციალ-დემოკრატია

1. შესრულდა 56 წელი მას შემდეგ, რაც საქართველოში სოციალ-დემოკრატია გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე საკუთარი სოციალური და ნაციონალური პროგრამით: ბატონობა ზალხის, ბატონობა ერის, სოციალიზმი — აი ამ პროგრამის ძირითადი მუხლები.

2. ის დაუბირისპირდა რუსეთის თვითმშენებელობას, დიდ მემამულეთა მიწათმფლობელობას და კაპიტალისტების გაბატონებას საქართველოში.

3. ის აღორძინდა და განვითარდა სრულიად დამოუკიდებლათ რუსეთის ასეთსავე მიმდინარეობისაგან. ათი წლის მუშაობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პატარა ერის რევოლუციური ძალა სრულიად არ კმარა დიდი რუსეთის უღელის დასამხობათ და გადასწყვიტა შეერთებოდა რუსეთის ასეთსავე დაჯგუფებას და საერთო ბრძოლით თავისი დროშის გამარჯვებას. ეს შეერთება მოხდა 1903 წელს საერთო კრილობაზე ლონდონში.

4. ეს გაერთიანება ჩამოყალიბდა ერთი ძირითადი საერთო მოთხოვნილების პირველ რიგში დაყენებით, რომლის განხორციელება კარს უღებდა დანარჩენ მოთხოვნილების გატარებას. ეს მთავარი მიზანი იყო მეტის რეეიმის დაცემა და ზალხური რესპუბლიკის დაარსება.

5. პირველ ავორებულ რევოლიუციურ ტალღამ თვითმშენებელობა დასჭრა, მაგრამ ვერ მოსპო. იწყება სათათბიროს პერიოდი. ყველა ოთხივე სათათბიროს დეპუტატებათ ქართველი ზალხი ირჩევდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს, ერთის გამოკლებით (სოციალისტ-ფედერალისტი). ყველა ოთხივე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მთელი რუსეთისას მეთაურობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

6. მეორეა ავორებულ რევოლიუციურ ტალღამ, 1917 წ., და-

ამხო მეფის რეუიმი, გამოაცხადა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ დიდი გარდატეხის მთავარ ორგანოს, პეტერბურგის შექმნაზე შათა ანტიბოლშევიკურ საბჭოს, მეთაურობდა ქართველი მინისტრის ციალ-დემოკრატი, მეოთხე სათათბიროს წევრი, არჩეული ერთ-ხმათ მის თავმჯდომარეთ.

7. ქართველი სოციალ-დემოკრატია დაუპირისპირდა ბოლშევიზმს თავიდანვე, მისი აღორძინების დღიდანვე, ლონდონის კონგრესზე. პირველათ ის გამოვიდა მის წინააღმდეგ პრინციპიალური კრიტიკით საერთო რუსეთის მაშტაბით*, მაშინ როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატები მას ედავებოდნენ ორგანიზაციული მოტივებით. საქართველოში მან სავსებით გაანადგურა მათი ორგანიზაციული წყობა, გაანიავა მათი გავლენა მუშათა კლასზე.

8. ამიტომ როცა რუსეთში აღხდგა ძველი რუსულ-აზიური სულისკვეთება და ის დაუბრუნდა ეკატერინე მეორის წინ არსებულ სოციალურ წყობას, გაბატონებულს ბოლშევიკების მეთაურობით, საქართველოში ძალაში დარჩა ევროპიული სულისკვეთება და მთელ რევოლუციურ ასპარეზს დაეპატრონენ ქართველი სოციალ-დემოკრატები**). მათ პირველათ ახლა მიეცათ საშუალება განეხორციელებით თავისი პროგრამა.

9. საქართველოს და რუსეთის სავალი გზები საქვეყნოთ გაიყარენ, რაიცა ჩამოყალიბდა შესაფერ ნაციონალურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფორმებში. პირველ ყოვლისა საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და გამოაცხადა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ასი წლის წინეთ შეწყვეტილი რუსეთის ჯარების მიერ; ყველა რევოლუციურ ორგანოებს და ერის ნაციონალურ მთავრობას მეთაურობდნენ სოციალ-დემოკრატები, მათ მისდევდნენ, მათ მეთაურობას სცნობდნენ ყველა ნაციონალურათ და პროგრესიულათ მოაზროვნე დაჯგუფებანი მთელი ერისა. საქართველოს ორგვლივ აგორებულ რუსულ ბოლშევიკურ ტალღებს, რუსის გაბოლშევიკებულ მი-

*) 1905 წ. დაიბეჭდა ქართულათ ეური. «სოციალ-დემოკრატი». და შემდეგ რუსულათ წიგნაკათ «უმცირესობა თუ უმრავლესობა».

**) სიტყვა: «ძენშევიკი - უმცირესი» ეხება მხოლოდ რუს სოციალ-დემოკრატებს და არა ქართველთ. რომელნიც არასოდეს არ ყოფილან თავის ქვეყანაში უმცირესობაში.

ლიონიან ჯარებს დაუპირისპირდა ერთი მთლიანი ნაციონალური ფრონტი.

10. მთელ ძველ რუსულ იმპერიაში ერთადერთი წაქართვულო წარმოადგენდა ერთათერთ კუთხეს, სადაც მეფობდა მყუდროება, წესიერება და დისციპლინა თავისუფლების საფუძველზე. მის ირგვლივ ანთებული კოცონი სამოქალაქო ომისა მის სხეულს სრულიად არ მიეკარა, მის არცერთ წაწილს და წრეს არ გადაედვა. ერთი მეთაურის, სოციალ-დემოკრატიის ახეთი უმაგალითო ნაცოფიერი შემოქმედება აისხება მისი ძირითადი თვისებებით, რითაც ის განსხვავდებოდა და განსხვავდება დღესაც რუსეთის და დასავლეთის ახეთსავე მიმდინარეობისაგან.

ა) მისი სოციალიზმი იყო და არის რევოლუციური და არა ჰარლამენტალური, საარჩევნო, საკარიერო და სალაპარაკო ხასიათის;

ბ) მისი დემოკრატიზმი იყო და არის ურყევათ ხალხური, ანტიბურჟუაზიულ-პლეტოკრატიული, ანტითავადაზნაურულ-პომეშინკური;

გ) ის იყო და არის მომხრე და შემქნელი ერთი სამი კლასის ბლოკის: გლეხების, მუშების და წვრილი ბურჟუაზიის. ეს ბლოკი, მცხოვრებთა ეს დიდი უმრავლესობა, არის ბატონი და ჰატრონი მთელი ერთი, წინამდლოლი მისი სავალი გზების, მისი ყოფა-ცხოვრების ამწყობი და დამწყობი. ნაციონალური ბურჟუაზიის უყოლობის გამო, მის გარეთ დარჩა მხოლოდ მემამულეთა კლასი, ძველი ისტორიული თავად-აზნაურობა, რომელიც დაემორჩილა ისტორიის განაჩენს და უბრძოლველათ, უკონტრ-რევოლუციორთ გაყვა ერთს უმრავლესობას.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის სოციალიზმი და დემოკრატიზმი იყო და არის მართლაც თავისებური, უაღრესათ ნაციონალური და ხალხური, რაიცა გაკვირვებით აღნიშნა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიის მეთაურმა პ. კაუციმ თავის წიგნში «საქართველო». სოციალიზმი ერთს სამსახურში — აირა აწერია თავიდანვე მის დროშას.

11. რაკი ქართული სოციალიზმი იყო უაღრესად ნაციონალური, ამიტომ პირველი მისი რეფორმატორული ნაბიჯი შეიცავდა ერთს დიდი უმრავლესობის — გლეხობის ინტერესების დაცვას, მისი დაბალი სოციალური საფეხურიდან მაღლა ამოყვანას და ერთს ფუძეთ გამოცხადებას. ეს კი იქნა შეს-

რულებული აგრარიული რეფორმით. მიწათმფლობელთა წერვაზე დებას ჩამოერთვა უსასყიდლოთ მამულები და ყველა ხრნეაფირმა სათესი მიწები დაურიგდა უმიწაწყლო და მცირე მესაკუთრე გლეხობას, ხოლო დადი გაშენებული მამულები, ტკები და საბაღახოები გამოცხადდა ნაციონალურ საკუთრებათ.

12. ერის ხელში გადავიდა აკრეთვე მთამაღნები, გზები, წყლები, კულტურულათ დამუშავებული სხვილი მამულები. რის გაყოფა იქნებოდა ეკონომიური უკანდახევა. და აკრეთვე რუსის ხაზინის მთელი ქონება საქართველოში დარჩენილი.

13. ამნაირათ, საქართველოში დამყარდა კოლედინაცია, მოთანხმება სახელმწიფო და კერძო ეკონომიკას შორის. სხვილი ნაციონალური და წვრილი კერძო საკუთრება შეიქმნა ახალი საქართველოს სოციალურ ფუძეთ.

14. ქართველი მუშათა კლასი დებულობს ყველა მისთვის მიუცილებელ რეფორმებს ამ კერძო და ნაციონალური საკუთრების ფარგლებში და მჭიდროთ ეკავშირება ერის უმრავლებობას – მცირე მესაკუთრეთა კლასს, რომელსაც ის იმავე დროს უწევს მეთაურობას სოციალ-დემოკრატიის დროშით.

15. ეს ახალი, ხალხური საქართველო თავის საგარეო პოლიტიკას აწყობს ორ დებულებაზე; თავის ძველი საზღვრების აღდგენა და მისი დაცვა გარედან შემოსევისაგან. პირველი ამოცანა მან დაიღებულათ შეასრულა. მან დაიბრუნა ოლქები ბათომის, ართვინის და არდაგანის. 1918 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობენ ჯერ ფაქტიურათ, შემდეგ იურიდიულათ ევროპის ყველა სახელმწიფოები. მისი დამოუკიდებლობა იცნო აკრეთვე განსაკუთრებული ხელშეკრულობით რუსეთის საბჭოთა მთავრობამ.

16. ამ ნაციონალურ და სოციალურ გარდაქმნას აგვირვენებს ხალხის პოლიტიკური გაბატონება. მას მიუცა ყველა თავისუფლება, გარდა ერთია – ნაციონალური და სოციალური წყობის დანგრევისა, მის წინააღმდეგ ბრძოლისა.

17. ქვეყნის უმაღლეს გამგეთ გამოცხადდა ერთპალატიანი პარლამენტი, უპარლამენტარიზმოთ. მთავრობა ირჩეოდა მის მიერ ვადით, რომლის განმავლობაში მისი შეცვლა სხვადასხვა საარჩევნო კომბინაციებით არ შეიძლებოდა, მთავრობა ასრულებდა პარლამენტის დადგენილებებს. უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა დაეკისრა

მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც იმავე დროს იყო შეფინანსებული სახელმწიფოსი. ხალხს მიეცა უფლება კანონმდებლობის სტუდენტთა დამატივის და გამოცემული კანონის გადასინჯვის ჩრდილოების დაუმი).

18. აი ეს ახალი საქართველო, გამოთლიანებული ტერიტორიალურათ, სულიერათ და ნაციონალურათ შექმნა ხანგრძლივ სახალხო მოძრაობამ სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით და თავდადებით, რაიცა, იქმნა დადასტურებული თითქმის ერთხმად დამფუძნებელი კრების არჩევნებით (1919 წ.). დებუტატთა ოთხმოცი პროცენტი ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიას, ხოლო დანარჩენი დაჯგუფებანი – სოციალისტ-უდერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები მთავარ საკითხებში არ განსხვავდებოდნენ მართველი პარტიისაგან.

19. საქართველოს დაპყრობისთანავე მოსკოვის მიერ იგივე სოციალ-დემოკრატია ეწყობა არალეგალურ, საიდუმლო ორგანიზაციებში, აჩაღებს ბრძოლას საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ და თავის ირგვლივ იკრებს ყველა თავდადებულ მებრძოლს. ეს ბრძოლა გრძელდება 1921 წლიდან დღევანდლამდე: მას შეეწირა მრავალი მსხვერპლი, დაიხვრიტა ათასობით საუკეთესო მებრძოლნი, მაგრამ ის ვერ ჩაკლეს, ვერ შეაჩერეს ტირანებმა ვერავითარი ზომით. ამავე დროს დამფუძნებელი კრების მიერ ევროპაში გამოგზავნილი ნაციონალური მთავრობა მთელი ამ ხნის განმავლობაში ეწევა პოლიტიკურ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ და საქართველოს განსათავისუფლებლათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა, არც ერთი ყრილობა სოციალისტურ ინტერნაციონალისა, რომ არ დაესვას საქართველოს საკითხი. ერთა ლიგა, პარლამენტები, უურნალ-გაზეთები, კონგრესები ხდებოდენ ამ საკითხის მთავარ ასპარეზათ. ის ისმოდა აკრეთვე ყველა მთავრობათა წინაშე.

20. მთელ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი სოციალ-დემოკრატია მუშაობდა აშკარათ, ლეგალურათ მხოლოდ ოთხ წელიწადს (1917–1921). საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. მთელი დანარჩენი დრო ის ეწეოდა ბრძოლას და ეწევა დღეს არალეგალურათ, კონსპირატიულათ, საიდუმლო ორგანიზაციების საშუალებით, არალეგალური



პრესით, ჩუმი კრებით და სიტყვიერი პროპაგანდით, დურისულული დროს კი ქუჩაზე გამოსვლით, დემონსტრაციებით და ფლიშებით ბებით. ამავე არალეგალურ პერიოდში ის ხელიდან არ უშვებდა არც ერთ ლეგალურ შემთხვევას, რომ თავისი პრინციპები საჯაროთ არ გამოეფინა. მთელ იმპერიაში ლეგალურ სოციალისტურ უურნალმა იწყო გამოსვლა პირველათ მხოლოდ საქართველოში ქართულ ენაზე («კვალი», 1898 წ.); მანამდე კი ის იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ლეგალურ ორგანიზებში.

მონარქიულ და ბოლშევიკურ ტირანიამ ვერავითარი რეპრესიებით მისი მუშაობა ვერ შეაჩერა, ვერ ჩაკლა. საქართველოს სოციალ-დემოკრატია დარწმუნებულია იმაში, რომ, როგორც დაეცა მისი პირველი მტერი ცარიზმი, დაეცემა აგრეთვე მისი მეორე მტერი კომუნიზმი და თვით დარჩება საბოლოოთ გამარჯვებული.

26 მაისი

ეს მეცამეტეჯერ ვდღესასწაულობთ 26 მაისს საზღვარგარეთ.

ეს მეცამეტე წელია ქართველი ერი ამ თავის აღდგომის დღეს ვერ დღესასწაულობს, მას შესაფერათ ვერ ეგებება და უფლებააყრილი, ტყვეთქმნილი, მას მხოლოდ თავის გულში ატარებს. ამ დღეს აქ და იქ, გადმოხვეწილი ქართველი და სამშობლოში მყოფი ფიქრობენ ერთნაირათ, უცემთ გული ერთხმიანათ, შედუღებული ერთი იდეალით. ეს იდეალი იყო, არის და იქნება ერის ტყვეობისაგან განთავისუფლება, წართმეული თავისუფლების დაბრუნება.

ამ დროშის გამარჯვების თავდებია ერთი პირია — ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, მისი მორალური ძალა, დაუშრეტელი ენერგია, თავის თავის ერთვულება და მტკერმოყვარის გარჩევა. ყველა ეს თვისება ქართველობის სამკაულია, მას ის თან ახლავს მუდამ, ამით მოდის ის ისტორიის ეკლიან გზაზე და გამოცურა არა ერთი და ორი აბობოქრებული ტალღები. რამდენი ძველი ხალხი ჩაიხრჩო ამ ტალღებში, რამდენი მისი თანამგზავრნი დაეცნენ შეა გზაზე; ფეხზე, თავის მიწა-წყალზე დარჩა ჩვენი პატარა ერი და ძველებურათ, იმედიანათ გაყურებს მომავალს.

ერი მორალური პიროვნებაა, მას აქვს თავისი ეთიკა, თავისი დისციპლინა, თავისი კალაპოტი, რომლისაგან ამოვარდნა მას ღუპავს. ის იძულებულია ამოვარდნილ ისტორიულ გრიგალს პირდაპირ დახვდეს, გული მიუშვიროს და შეებრძოლოს. მას არ შეუძლია დამალვა, გაქცევა, გადახვეწა. ამ ნიადაგზე მაგრათ მდგომი, ის ამღევს სავალ კალაპოტს, სამუშაო ხაზს მოწინავე მებრძოლთ, მედროშეთ და წინამდგართ. მისი მეთაურია მხოლოდ ის, ვინც ამ კალაპოტში რჩება, მისი დროშაა მხოლოდ ის, რომელიც მის ტანჯვა-ვაებას

აღბეჭდავს. ხალხი თავის თავს ვერ გადაუხვევს, ეს მისი ბუნებაა. კერძო პირი კი მოკლებულია ამ სტიქიას, მისი გზაგრძელებული განუსაზღვრელია, უსწორმასწოროა. მისი გადატყუჩიანი მიმიკა გადმოხვევა, ბუდიდან ამოვარდნა, კერძო ინტერესის საზოგადოზე მაღლა დაყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც უბედურობა თავს დაატყედა ჩვენს ქვეყანას წარსულში და დღეს სწორეთ ამ მიზეზით აიხსნება. მუდამ ხალხს მოსწყდებოდა მთელი წყება წყალწალებული ადამიანებისა და მათ მოევლინებოდა ბატონათ და მტანჯველათ უცხო ძალასთან დაკავშირებით. ესენი მირბოლენ წინეთ ჯერ სპარსეთში, შემდეგ რუსეთში თავიანთი ეკოისტური ინტერესების გასამარჯვებლათ ქართველი ერის ხარჯზე, ასე მირბიან მოსკოვის კარზე დღესაც ამ დაბქავებული ერის ნაძირალები.

და ასე სწუწნიან ხალხს მისი შინაური და გარეშე მტერი შეერთებული ძალებით. რით უძლებს ამ სვავებს ერი? მხოლოდ ერთი თვისებით — მორალური ძლიერებით, ერთათ დგომით, საერთო შინაური ფრონტით, მაგარი სულით და გაუტეხელი ნებისყოფით. მტერი მას არ შეუყვარდება. მტერმა ეს კარგათ იცის და ცდილობს მას შემოუაროს მისი მორალის გატეხით, მის მებრძოლთა შორის შუღლის გაჩაღებით, ფრონტში ფრონტის შექმნით და ხალხისათვის ამ გზით ზურგიდან მახვილის ჩაცემით. გაყავი და იბატონე, გზა ძველი, გაცვეთილი, მაგრამ მუდამ ახლათ ამუშავებული. ამ ხაფანგს მუდამ გასავალი აქვს დაბნეულთა და მერყევ ელემენტა შორის.

პოლიტიკა ბრძოლაა; ამ ბრძოლას ესაჭიროება შესაფერი აპარატი, ურყევი ორგანიზაციები; დაცვა ამ აპარატების გარეშე მტრისაგან ადვილია თუ მას ზურგი მაგარი აქვს, თუ შინაური მტრისაგან დაცულია. გაყოფილ ეკლესიას ეშმაკება ეპატრონებიან. ვისაც ეს ასე არ ეხმის — მებრძოლი არ არის, პოლიტიკაში შემთხვევით შემოხიზნულია. მარტო ღმერთო, ღმერთოს ძახილით სამოთხეში ვერავინ შევა. 26 მაისს ესაჭიროება შესაფერი საქმე, გზა მისკენ მიმავალი. ის ითხოვს ბრძოლის მეთაურთა ისეთსავე მორალურ ძალას და ერთობას, როგორიც არის თვით ხალხში. დაადვევით ფური დედამიწას და გაიგონებთ საქართველოს მიწის გამოძახილს, გაიგონებთ ქართველი ერის სულისთქმას, მაჯისცემას და მიაგნებთ ნამდ-

ვილ გზას. საქართველოს აქვს პოლიტიკური ხერხებმაღლები და
მტერმა ვერ გასტეხა და ვერც გასტეხს. ამ ხერხებმაგრანარის წილში ვერ
ლებია იქ, სამშობლოში, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზა-
ციები და მასთან დაკავშირებული სხვა ანტისაბჭოთა პარტი-
ები, აյ ნაციონალური მთავრობა და მის ირგვლივ დაწყობი-
ლი პარტიული ორგანოები. ამათი არსებობა დამოკიდებულია
ქართველ ხალხზე, პასუხს აებენ მის წინაშე და არავითარ
გარეშე ძალას არ ძალუძს მათი გაუქმება და გზიდან გადაგ-
დება.

ნაციონალურმა მთავრობამ მიიღო მანდატი დამფუძნებელ
კრებისაგან, მას შეყურებს ტანჯული ერი და ის დარჩება თა-
ვის პოსტზე ბოლომდე, გამარჯვებამდე. 26 მაისი მისი დროშაა;
ის მისი უმაღლესი გამომხატველი და დამცველია და მას ვერ
დასწევს, ძირს ვერ დაუშვებს ვერავითარი საგარეო მომენტე-
ბის წინაშე. საქართველოს ოფიციალური ლეგაცია იქნება თუ
არა საფრანგეთში — ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ რომ ნაცი-
ონალური მთავრობა იქნება, მისი გამაუქმებელი ძალა უცხო-
ეთში არ არის; მისი გაუქმება შეუძლია მხოლოდ მის შემქ-
ნელს, მის დედას — ქართველ ერს.

საქართველოს მის ორი ათასი წლის ისტორიის მანძილზე
დღეს პირველათ ყავს თავისი საკუთარი პოლიტიკური წარ-
მომადგენლობა ევროპაში, პირველათ ყავს აქ პოლიტიკური
ემიგრაცია. ყველა წინანდელი ემიგრაცია არ გაშორებია სპარ-
სეთს, ოსმალეთს და რუსეთს. ევროპის ფართე წრეებმა პირ-
ველათ ახლა გაიგო ჩვენი ერის სულისკვეთება, მისი წარსული,
აწმყო და მომავალი ლტოლვილება. თუ წინეთ ის გადაბმული
იყო დასავლეთთან კულტურულათ, ახლა ის გადაება პოლიტი-
კურათ, ადამიანების საშუალებით. ეს დიდი მისია, ეს დიდი
როლი, რაიცა წილათ ხვდა გადმოხვეწილ ქართველობას, უნდა
იქნას შესრულებული ღირსეულათ, მოვალეობის შეგნებით და
ერთგულებით. დაქსაქსულობა, დანაწილება, ერთიმეორის წი-
ნააღმდეგ დარაზმვა მიუტევებელი დანაშაულობაა ერის და ის-
ტორიის წინაშე. საქართველოს პირველ პოლიტიკურ ემიგრა-
ციამ უნდა აჩვენოს მაგალითი და იყოს ღირსეული წარმომად-
გენელი მებრძოლი ერის გაუტეხელობის, სულის სიმაგრის, ერ-
თობის და მთლიანობის.

26 მაისი ჩვენი გამაერთიანებელია, ჩვენი მთლიანობის სიმ-

ბლოა, ჩვენი საერთო დროშაა. დღეს საქართველოს სინამდ,
ვიღეში არ არსებობს შინაგანი განხეთქილების არც ერთი შეკრიტიკა
მენტი, არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც კულტურუ-
ლი და საზოგადოებრივი. ჩვენ ყველა ვიბრძვით არსებობის ძი-
რეულ, უდაო და მაუცილებელ საფუძვლისათვის. ჩვენ გვინდა
ვიყოთ ჩვენი თავის ბატონი და ბატონი, როგორც ერი, რე-
გორც ხალხი, როგორც პიროვნება. ყველა ეს უფლება წართმე-
ული გვაქვს და ეს საერთო უბედურება აერთებს ყველას, გა-
ნურჩევლათ რწმენისა, პროგრამული სხვადასხვაობისა და სო-
ციალური მდგომარეობისა.

ჩვენ და ისინი, საქართველო და მისი მტარვალები, შუაში
უფსკრულია, ხიდეები წალებული. 26 მაისი ჩვენი ხარტია, მათი
სახრჩობელაა...

სართველ ერს

საქართველოს ეროვნული მთავ-
რობის თავმჯდომარებ მიმართა ქარ-
თველ ერს შემდეგი მოწოდებით:

სრულდება ათი წელი ქართველი ერის ტყვეობის, საქართ-
ველოს დაპყრობის და დამონების; წელი მეტათ მწარე, მეტათ
სისხლიანი, ტანჯვით და ცრემლით სავსენი.

ქართველ ერს უნახავს უცხო ურდითა შემოსევა, განუც-
დია უცხო ძალთა რბევა და ძალმომრეობა.

მაგრამ მას არასოდეს არ უნახავს, არასოდეს არ განუცდია
ის ტანჯვა-ვაება, ის სასტიკი უბედობა, რაიცა მას თავს და-
ატყდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს.

წინეთ დამპყრობთა ნიაღვარი გადაივლიდა, ქვეყანა ისევ
გამოიღვიძებდა, მისი მზე ამოანათებდა და თავისუფლების ყვა-
ვილები გაიშლებოდა.

დღეს დამპყრობელთა ნიაღვარი მუდმივათ დაგუბდა ჩვენს
ქვეყანაში, ის ყოველ ცისმარა დღეს ანადგურებს ერის სიმ-
დიდრეს, მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს; ის ყოველ დღე,
ყოველ საათში ცელავს საუკეთესო შვილებს, ერს კვეთს საუ-
კეთესო თავებს, ამევებს სამშობლოდან ხალხის მესვეურებს.

მტერი დაბანაკდა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე და შეიარა-
ღებული ეწევა მუდმივ, შეუჩერებელ ომს უიარაღო მცხოვ-
რებთა წინააღმდეგ.

ათი წელია სწარმოებს ეს ბრძოლა საქართველოს მოსას-
პობათ, ქართველობის დასამორჩილებლათ, ქართველი ერის
მუხლზე დაცემულ საწყალთა ბრძოთ გადასაქცევათ.

მოსკოვის ტირანები ათი წელია ძლებიან ქართველი ერის
სისხლით და ვერ გაძლენ, იტაცებენ მის სარჩო-საბადებელს
და ვერ გაათავეს, ავსებენ თავდადებულ მოღვაწეებით ციხე-

ებს, სარდაფებს, ბნელ საკანებს, შორეულ გადაკარგულ ტექსტებითხებს და ვერ გაავსეს.

დიდია ქართველი ხალხის ეს მძიმე ტანჯვა, განუზოშელა ეს ამოღენა მისი წვალება, მწარეა ეს ხანგრძლივი მისი დევნა.

მაგრამ დიდი აღმოჩნდა ქართველი ერის გამძლეობა, არ შეირყა მისი სულიერი სიმტკიცე და რაინდული მხნეობა. მას მოსტაცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს. მას წართვეს თავისთავის ბატონობა, მაგრამ ვერ დაიმონეს.

ქართველი ერი ამ მეათე წელსაც ისე მაგრათ დგას თავის უფლების, თავის სამშობლის სადარაჯოზე, როგორათაც ის იდგა თავიდანვე, შემოსევის პირველ წელიწადს. დროთა ბრუნვამ ის ვერ მოსტეხა, გზა-კვალი ვერ აუბნია, მტერი მოყვარეთ და მოყვარე მტერათ ვერ მოაჩვენა. ის დგას თვალახილული, კონება ნათელი, მტერთან მტრულათ განწყობილი. დევნა მას აკაფებს, თავდასხმა ავაჟებაცებს.

მტრის ბანაკი გარიყულია, ის უკმაყოფილო ერით შემოქალტულია; მათ შორის ყველა შემაერთებელი ძაფები დაწყვეტილია და მხოლოდ მტრობა მათი მოციქულია.

განა ეჭვია ვინ გაიმარჯვებს! ისტორიის ჩარხს უკულმა ვინ დააბრუნებს? მოსკოველთა საქმე წაგებულია, ისინი ისტორიის მიერ განწირულია.

დროს რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ადრე თუ გვიან – ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მთავარია ის, რომ მტერის დამარცხება უეჭველია, მისი დასასრული გარდაუვალია. რა არის ათი წელი ხალხთა ცხოვრებაში? ის ერთი წამია, ერთი შეფრქვევაა. ქართველი ერი სწორეთ ასე შორის იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში, მისი ბოროტების აღმოფხვრაში და ეს რწმენა მას ამხნევებს, ასალკლდევებს ეს ათი წელიწადია.

და გამართლდა მისი ეს შორსმჭვრეტელობა, ახლა აშკარა გახდა ბრმათავისაც ეს მისი რწმენა.

გავიდა ათი წელი და რას ვხედავთ? ვხედავთ მტერს დასწეულებულს, უკურნებელი იარებით დაავადებულს, გახრწილს, თავის შინაგან წინააღმდევობათა ბადეში გახლართულს და სასიკვდილოთ გამზადებულს.

ვხედავთ მის მოსაფლავეთ, დევნილ და წამებულ ხალ-

ხებს, გამხნევებულთ, იმედით აღსავსეთ, უკანასკნელი ბრძოლისათვის გამზადებულთ. ჩვენ მარტონი აღარა პრეზიდენტი გვემატება ახალი მოკავშირენი; ისინი კი, პირიქით, შარტოვდებიან, კარგავენ ძალას, შორდებიან მთელ ქვეყანას და უფსკრულისაკენ მიექანებიან.

მოსკოველთა დღე დათვლილია, მათი მზე ჩადის, ჩვენი მზე ამოდის, განთიადი მოახლოვებულია.

საქართველოს კანონიერი მთავრობა, უცხოეთში გადმოხვეწილი და აქ ერის დაკარგული უფლებებისათვის მებრძოლი, ამ ათი წლის თავზე შორიდან უძღვნის სალაში მთელ ქართველობას და მას უთვლის; ჩვენ აქ ძველებურათ მაგრათ ვდგვართ ქვეყნის საღარაჯოზე, ჩვენი გული სცემს თქვენ გულთან ერთათ, თქვენი სული გვაძლევს აღფრთოვანებას. მომავალ დიად გარდატეხას შევხვდეთ მთლიანათ, საერთო ნებისყოფით, საერთო სულისგვეთებით და სხვა ჩვენებრ დატანჯულ ხალხებთან ერთად აღმართოთ ჩვენი დროშა, დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის, კავკასიის ხალხთა კონფედერატიული კავშირის დაარსების და სხვა საბჭოთა უდღისაგან განთავისუფლებულ ხალხებთან ძმური დამოკიდებულების და კეთილი მეზობლობის დამყარების.

მოწინავე კაცობრიობა თქვენ თავდადებულ ბრძოლას შეურებს!

დიდი თარიღი

არის თარიღი, რომელსაც უკუღმართ ცხოვრების ბრუნვა ვერასოდეს ვერ წაშლის. რაც უფრო შორს მიიმაღება ის ისტორიის მანძილზე, მით უფრო მეტი შარავანდედით შეიმოსება და მომავალ თაობათა მეტათ სათავეანებელი გახდება.

სწორეთ ასეთია 1924 წლის აჯანყება საქართველოსი. ხალხმა სცადა ადგომა, მტრის ბორკილთა დამსხვრევა და ის დამარცხდა. მაგრამ განა ყველა აჯანყება გამარჯვებულა? ანდა ქვეყნათ განა მოიპოვება ისეთი ერი, რომელსაც ისტორიის მსვლელობაში მტარე დამარცხება არ განეცადოს?

აჯანყებამ მრავალი მსხვერპლი შეიწირა. მუხთალმა და ვერაგმა მტერმა საქანში გამომწყვდებული, ბრძოლის ველს გაშორებული მრავალი ათასი საუკეთესო მებრძოლი გაულიტა. მავრამ «ცრუ და მუხთალი სოფელი, მიწყივ, ავისა მქნელია». მუდამ ასეთია ბუნება მტარვალთა: თავის სიმხდალეს სისასტიკით ფარავენ.

პირიქით, ასეთია ცხოვრების წესი, რომ დამარცხება ჩაგრულ ერს ახალ ბრძოლისაკენ მოუხმობს. რაც უფრო მტარეა მტარვალთა მიერ მიყენებული ჭრილობა, მით უფრო დიღია სურვილი მონობის დამხობის და თავისუფლების აღდგენის.

ასეთია ისტორია ყველა ჩაგრულ ერისა. ან კი რას წარმოადგენს თვით საქართველოს ისტორია, თუ არა განუწყვეტილ მოთხოვნას აღმოსავლეთის დესპოტთა შემოსევა-აოხრებისას და ქართველ ერის გამუდინებულ ცდას დამბყრობთა დაძლევა განდევნისა და შერყეულ ეროვნულ კერის აღდგენისათვის?

დაღმართს აღმართი მოსდევს. ეს არის კანონი ბუნების. დამარცხებას გამარჯვება მოყვება — ეს არის კანონი ცხოვრების.

აი ეს აფრთხობს მტარვალთ და მათ მოსვენებას უკარგავს.

მტერი ჩვენზე არა ნაკლებათ გრძნობს, რომ 1924 წელს
აჯანყებით საქართველოს ისტორიაში შეიქმნა ახალი უფლის უფლის
ბა, იშვა ახალი ძალა. თუ ვინმე წინეთ ყოყმანობდა, მაგრე მეტა
მოისპო. თუ წინეთ ვინმეს ეგონა, რომ შეიძლებოდა რუსეთთან
საერთო ენის გამოძებნა და მასთან ფეხდაფეხ სვლა, ეს 1924
წელმა საბოლოოთ დამარხა. თუ ვინმე ფიქრობდა, რომ ქართ-
ველი ერი უცხო ბატონობას შეეჩვენდა, შეჩვეულ ჭირს უნებ-
ლიეთ შეურიგდებოდა და მის წინაშე ქედს მოიხრიდა, აგვის-
ტოს აჯანყებით ასეთი იღუშია გაქრა.

საუკეთესო მებრძოლთა სისხლმა მტარვალსა და ჩაგრულ
ერს შორის აღმართა გარდაუვალი კედელი. 1924 წელს გაწყდა
უკანასკნელი ძაფი და ამოითხარა ორმო გაბატონების მოტრ-
ფიალე რუსეთსა და თავისუფლებისა და დამოკრატიისათვის
მებრძოლ საქართველოს შორის.

დიდი თარიღი! ახალი ხანის დასაწყისის მოვლენა!

მართლაც, 1924 წელს საბოლოოთ გაშიშვლდა საბჭოთა
რუსეთი მთელი კაცობრიობის წინაშე. ის თვალთმაქცურათ
აღმოსავლეთის ერებს თვითგამორკვევის უფლებას უთავაზებ-
და და მსოფლიო იმპერიალისტთა ბატონობის დასამხობათ
უხმობდა. ლამაზი ფრაზა, ხალხთა თვალის ასახვევათ იოლი
იარაღი!

და აი 1924 წ. ქართველთა აღდგომა, რუსეთის წინააღმ-
დევ მთელი ერის დარაზმვა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-
ლის გაჩაღება. საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმი გაშიშვლ-
და, მისი ბარბაროსობა მთელი ქვეყნის წინაშე ერთი დაკვრით
დამტკიცდა, მტარვალს ნიღაბი ჩამოეხადა და მისი მიღიტა-
რისტული ბუნება ყველასთვის თვალსაჩინო შეიქნა.

ამავე დროს თვით რუსის ხალხი საღათას ძილს მისცემია
და მტარვალთა ბატონობას ადვილათ იტანს, ხოლო პატარა
საქართველო მთელი თავისი ძალდონით ბოლშევიკურ ტირა-
ნიას ომს უცხადებს და დემოკრატიის გაბატონებას ესწრაფ-
ვის. რა კონტრასტია! რა იშვიათი მოვლენა! არაჩვეულებრივი
აღფრთვანება და საუკეთესო მებრძოლთა თავდაღება და სა-
ხელოვანი სიკვდილი!

ამიტომ არის თვით ომით მოქანცული კაცობრიობაც შე-
ირყა. საქართველოს დიადი სახე მის წინაშე მთელი თავისი
რაინდობით წამოიჰიმა. საქართველომ მოიპოვა ის, რაც მან

ვერ შესძლო თვით სამი წლის დამოუკიდებელ არსებობის ქამს. არა მხოლოდ ოფიციალური ქვეფანა, არამედ თვით ფართო ფსიქოლოგიურა მოკრატია დარწმუნდა, რომ ქართველი ერი ფსიქოლოგიურა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომ მისი თავისუფლება უზრუნველყოფილია, ფეხზე დადგომა და მტარვალთა საბოლოო შემუსრა ღროის საკითხია.

ვინ არ იცის, რომ თუ თვით ძლევამოსილი იმპერიებიც ირყევა, ეკონომიურა გამოფიტულ საბჭოთა კავშირს ახალ სასიცოცხლო ძალას ვინდა შემატებს და ვინ განამტკიცებს.

იმპერიალიზმი თვის მრავალ დანაშაულთა სიმძიმის ქვეშ თვითვე ეცემა, დემოკრატიის ამოძრავებისა და ხალხთა გამოფხიზლების მსხვერპლი ხდება და სამარეში მიემართება. უმსგავსო საქმე კოველი მოკლეა, მით ოხერია.

ქართველმა ერმა 1924 წ. დაამტკიცა, რომ მას არ შეუძლია შეურიგდეს მონობას, რომ თავისუფლების მოსაპოვებლათ არავითარ მსხვერპლს არ ერიდება, ვინაიდან «ვარდი უეკლოთ არავის მოუქრევია».

მტერი ხარობს, რომ ქართველ ერს საუკეთესო შვილები მოსტაცა. აღარ არიან: ნოე ხომერიკები, ბენია ჩხიკვიშვილები, ვალიკო ჯუღელები, გოგიტა ფალავები და სხვანი, რომელთა სახელი ლეგიონია! მით უარესი მტარვალთა და ერის ორგულთავის! ჩვენ საუკეთესო მეგობართა, თავდადებულ ამხანაგთა და ერის განთავისუფლებისათვის ყველაზე წამებულ ქართველთა სისხლი ერს ბრძოლაში ახალ ძალებს უმატებს, ცხოვრებას აფორიაქებს და საბოლოო შეტევისაკენ მოუხმობს.

1924 წელი უკვდავია! ის საქართველოს საბოლოო გამარჯვებას ამზადებს.

ერის თვითგამორკვევა

სოციალიზმის ერთი ძირითადი პრინციპთაგანია ერის უფლება თვითგამორკვევისა.

რას ნიშნავს ეს დებულება, რა საუკუნელზეა ის აგებული და რა ყორმას იღებს ბოლიტიკაში?

ერი, ეროვნული იდეია, სრულიად ახალი მოვლენაა, ის გასული საუკუნის დვიძლი შვილია. წინეთ პოლიტიკური მოძრაობის კალაპოტი იყო არა ეროვნება, არამედ საზოგადოება, რომელიც დგებოდა და იშლებოდა გარეშე ერის დამახასიათებელ ნიშნებისა. სამუალო საუკუნეთა ბატონები — თავად-აზნაურობა და სამდვდელოება — სავსებით კოსმოპოლიტური სოციალური ერთეულია და მოკლებულია ყოველგვარ ნაციონალურ სულისკვეთებას. მრეწველობის განვითარება და ბურუუაზიული ურთიერთობის აღორძინება პირველათ იწყებს საზოგადოების დანაწილებას ეროვნული ნიშნებით. ეს მიმდინარეობა იურიდიულ სფეროში იხატება რევოლიუციებით, გამოღვიძებით ხალხის, როგორც დემოკრატიის და ერის, როგორც ნაციონალური ერთობის. ეს დიადი მოძრაობა ევროპას მოსდო ნაპოლეონის ომებმა და ძირბუდიანათ ააფორიაქა ძველი რეაქციონური წესწყობილება.

წინანდელი კოსმოპოლიტური საზოგადოება ახლა იღვიძებს დემოკრატიულ და ეროვნულ საზოგადოებათ. ეს პირველი ნაბიჯი პოლიტიკაში მარცხდება, ძველი ქვეყანა მასზე შეუს იძიებს ვენის კონგრესით (1815 წ.) და «წმინდა კავშირის» დაარსებით. ეს დიპლომატიური ხუსულა ერთი დაკვრით ინგრევა ორმოცდარვაში და რევოლიუცია ევროპის საერთაშორისო მოვლენათ ხდება. დამარცხებულ მიმდინარეობამ კვლავ იფეთქა და თან ჩაითრია თითქმის ეველა ხალხი და ერი. ის აღმოჩნდა საკმაო ძლიერი დროგადასული წყობილების დასანგრევათ, მარა ნაკლებათ ძლიერი თავის ბატონობის დასამყარებლათ. «წმიდა

კავშირია ველარ შედგა, ანალი იღება ცუობილ იქნა, მარც შექვეული დაეპატრონა ძველი ბატონები. იწყება ლიბერალიზმის უგაფტებითობის რება კონსერვატორების მიერ. ბრძოლა ეროვნების და დემოკრატიის წინააღმდეგ დებულობს ახალ სახეს. დამორჩილება ხალხის და ნაციის ცენზიანი კონსტიტუციის საშუალებით გამოცხადდა მთავარ ფარხმალათ ინტერნაციონალური რეაქციისა. ამ მდგომარეობას არ ურიგდებიან პროლეტარიატი და დამორჩილებული ერები. ბრძოლა გრძელდება.

როგორც ხედავთ, ერის თვითგამორკვევა ისტორიულათ გასინჯული, არის ერთი შტო ხალხთა პოლიტიკური თვითგამორკვევისა, ნაწილია დაჩაგრულთა საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ისინი ერთათ მიდიან, ერთ სათავეში თავს იყრიან. მათი ერთათ აცმა, ერთ პრინციპიალურ მთელათ და პროლეტარიატისათვის საგალდებულოთ გამოცხადება პირველათ მოახდინა კარლ მარქსმა პირველი ინტერნაციონალის, პირველსავე სხდომაზე თავის «დამაარსებელ მიმართვაში», 1864 წ. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

«უსირცხვილო დადასტურება, სასაცილო თანავრძნობა თუ იდიოტური გულგრილობა, რომლითაც ევროპის მაღალი კლასები შეხვდენ რუსეთის მიერ დაპყრობას კავკასიის სიმაგრე – მთის და გმირული პოლონეთის დაკვლას, დაპყრობა უდიდესი და დაუბრკოლებელი ამ ბარბაროსული სახელმწიფოს მიერ, რომლის თავი ძევს პეტერბურგში, ხოლო ხელებს კი ვეხდავთ ევროპის ყველა კაბინეტებში – ყველა ამან ასწავლა მუშებს აუცილებლათ თვალყური ადევნოს ინტერნაციონალური პოლიტიკის საიდუმლოებას, მათ საკუთარ მთავრობათა დიპლომატიურ მოქმედებას და მას ებრძოლოს ყოველნაირი საშუალებით. ხოლო როცა მუშები დაინახავენ, რომ არიან უძლურნი მათ ხელი შეუშალონ თავის მოქმედებაში, საჭიროა მათ საერთო შეთანხმებული პროტესტი განაცხადონ და მოითხოვონ კანონები მორალის და სამართლიანობის, რომელიც უნდა მართავდეს დამოკიდებულებას ადამიანთა შორის, იქნას შემოღებული უზენაეს წესათ ერთა შორის დამოკიდებულებისა. ბრძოლა აი ამნაირი საგარეო პოლიტიკისათვის ნიშნავს მონაწილეობის მიღებას მუშათა განთავისუფლების ბრძოლაში».

ცხადია, მარქსის აზრით – ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის დამპყრობელთა წინააღმდეგ ნიშნავს ბრძოლას მუშათა

განთავისუფლებისათვისაც. ეს საერთო პროლეტარული ტექსტი და
ლაა. ამ პრინციპის გატარება მოითხოვს კავკასიის ფაზლური მუსიკა
თის განთავისუფლებას უცხო უდღისაგან. მარქსი იძლევა არა
მარტო თეორიულ დებულებას, არამედ ბრძოლის კონკრეტიულ
საგანსაც. დაპყრობა ერთი ერისა მეორისაგან, ისე როგორც
ერთი პიროვნებისა მეორისაგან, დაგმობილია, თავისუფალი შე-
თანხმებული ურთიერთობა ერთა შორის, ისე როგორც ადამი-
ანთა შორის, უმაღლეს წესათ წამოყენებულია. აი ამას ნიშნავს
ერის თვითგამორკვევა, ეს არის უფლება ერის თავისუფლათ,
სხვა ერის ძალდაუტანებლათ გააწესრიგოს თავისი ცხოვრება
და სხვა ერებთან დამოკიდებულება. ეს აზრი რეზოლუციებში
იქნა შემდეგ ჩამოყალიბებული ინტერნაციონალურ კონკრეტებ-
ზე.

ამნაირათ, სოციალისტური შეხედულობა ნაციათა ურთი-
ერთობაზე გამომდინარეობს მისი შეხედულებისაგან ადამიანთა
ურთიერთობაზე. ორივე აგებულია ერთ მთავარ დებულებაზე —
თანასწორობაზე. ყველა ერი, მიუხედავათ მისი რიცხვისა და
მდგრმარეობისა, თანასწორია, ერთნაირი უფლების მატარებე-
ლია. თავისუფალი შეთანხმება საერთაშორისო უფლების ერ-
თათ ერთი გზა და ხიდია.

აი ეს შეხედულობა შეითვისა შემდეგ ბურჟუაზიიდან გამო-
სულმა რევოლუციურ დემოკრატიამ, რომელმაც 1873 წ. თავის
ინტერნაციონალურ კონგრესზე იტალიის პატრიოტების (გა-
რიბალი, მაძინი და სხ.) და საფრანგეთის რადიკალების (ვიქ-
ტორ პუგ, მიშლე, კინე და სხ.) მეთაურობით გამოიტანეს «ხალხთა უფლების დეკლარაციის» ზოგი მუხლი:

«ყველა ხალხი ურთიერთშორის თანასწორია, მიუხედავათ
მათი ტერიტორიის რაოდენობისა და მოსახლეობის სისქისა».

«არაეითარ პიროვნებას, არავითარ მთავრობას, არავითარ
ხალხს არ შეუძლია კანონიერათ, რამე მომიზეზებით დაეპატ-
რონოს მეორე ხალხს ანექსიით, დაპყრობით თუ სხვა რამე სა-
შუალებით».

«ყველა ხალხს აქვს უფლება შემოსევის უკუქცევისათვის
მოიხმაროს თავისი ტერიტორიის ყველა რესურსები, მცხოვ-
რებთა ყველა პირადი თუ კოლექტიური ძალა»*).

*) დეკლარაცია «მშეიღობიანობის და თავისუფლების ინტერნაციონა-
ლური ლიგისა».

პრინციპი ხალხთა თანასწორობისა არის პრინციპი სოცია-
ლისტური და რევოლიუციური დემოკრატიის. დაჩაგრუშა ერთ უფლება
თა ყველა ჭეშმარიტი პატრიოტები ამ ორ მიმდინარეობას ექვთვნოდენ.

სულ სხვაა პრინციპი ნაციონალისტებისა. ისინი ერის
სრულუფლებიანობას აღიარებენ მხოლოდ თავის ერისათვის,
ხოლო სხვა ერს, სადაც კი მიახელებენ, იმორჩილებენ. ნაციო-
ნალიზმი მთავარი პოლიტიკური შინაარსია იმპერიალიზმის.

სოციალისტური და ნაციონალისტური შემეცნება ნაციისა
წარმოადგენს ორ მოპირდაპირე მიმდინარეობას, რომელთა შო-
რის მუდმივი ბრძოლაა. მათ შორის მომწვევლეული რევოლიუ-
ციური დემოკრატია თითქმის საკებით გაიღესა, გაითქვიფა
და ბოლოს დაიშალა. ამ ფაქტით «ადამიანის უფლების» სახელით
ის ცდილობს აღდგეს და ინტერნაციონალურ ორგანიზაციათ
გახდეს.

ერის თვითგამორკვევის პრინციპიალურ დებულებისაგან
პრაქტიკულ პოლიტიკათ გადასაქცევათ საჭიროა ერთი პირო-
ბა — დაჩაგრული ერის გაცნობიერება და დამჩაგვრელის წინა-
აღმდეგ დარაწმვა. ის უნდა გრძნობდეს თავის თავს თანასწორათ
გაბატონებულ ერთან, საკუთარი განვითარების და გზის აუცი-
ლებლობას, თავის თავის პატრონობის შესაძლებლობას. ასეთი
ცვლილება ხდება არა აგიტაციის და პირპაგანდის საშუალე-
ბით, არამედ ობიექტიურ, ისტორიულ გარემოებათა ძალდა-
ტანებით. 1848 წელს ჩეხოსლოვაკები არა თუ არ ითხოვდენ
თვითსთვის რაიმე უფლებებს, არამედ ეხმარებოდენ მეფის მთავ-
რობას ვენგრელთა მოძრაობის ჩასაქრობათ. საქართველო მე-
სამოცე წლებში არა თუ არ ეხმარებოდა მთას რუსეთის წი-
ნიაღმდეგ, არამედ პირიქით, ეხმარებოდა რუსეთს მთის წი-
ნიაღმდეგ. ჩეხელები და ქართველები თავის ინტერესებს არ
ყოფენ ამ ხანაში გაბატონებული ერის ინტერესებისაგან. სა-
ქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ეს ისტორიულათ ბოძებული
ნიადაგი თავიდანვე იცნო და მასზე აავო თავისი ცხოველმყო-
ჭელი მოღვაწეობა. მარა როგორც კი გარემოება შეიცვალა და
ისტორიამ ერი შემოაბრუნა ნაციონალური პოლიტიკის შარა-
გზაზე, პარტიაც შემობრუნდა მასთან ერთათ და ერის თვით-
გამორკვევა პრაქტიკული პოლიტიკის საგნათ აქცია.

ამნაირათ, ერის თვითგამორკვევის პოლიტიკური მატარე-
ბელია თვით ერი. ეს უპირველესი და უცილობელი პირობაა მი-

სი გატარებისა. აქ, ამ გზაზე, მას ხვდება მოწინააღმდეგი პოლიტიკური მიმდინარეობანი, გაბატონებული ერენერენის კლასების ნაციონალური პოლიტიკა, მათი ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი.

იმპერიალიზმი გამოიხატა ომებში, მძლავრის მიერ სუსტის დარბევაში და დამარცხებაში, ხოლო რევოლუციური დემოკრატიზმი და ერის თვითგამორკვევა იტალიის აღდგენაში და წვრილ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ერთა და მუშათა მოძრაობამ აიძულა იმპერიალისტები ყველა ქვეყნისა შეთანხმებულიყვენ და ამ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთათ დამდგარიყვენ. ხმალი ქარქაშში ჩააგეს და საერთაშორისო კონფერენციები დაიწყეს. დიდი სახელმწიფოები შეთანხმდენ და ქვეყანა გაინაწილეს. და რომ ეს განაწილება მისაღებათ გამოეტანათ, მას სახელი გამოუცვალეს, დამპტორობის და ანექსიის მავრე დაარქვეს «გავლენის სფერო». ამით ვითომ მშვიდობიანობა დამყარდა.

ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდათ. ამ ეშმაკის როლს ასრულებს იგივე იმპერიალიზმი, იგივე ნაციონალიზმი, რომელიც თავის სახლვრებში ვერ ისვენებს, არ ისვენებს და მუდამ «ხელის მოსათბობს» ეძებს. მსოფლიო ომმა იფეთქა, მთავარი იმპერიალისტურ-პოლიციური სახელმწიფოები დაინგრენ და ამით გზა გაეხსნა სოციალისტურ ნაციონალურ პოლიტიკას. ვილსონმა მთელი თავისი სახელოვანი დეკლარაცია ამ პოლიტიკაზე ააგო. ერთა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფო უფლებათ გამოაცხადა. დაარსდა მთელი რიგი ნაციონალური სახელმწიფოებისა. მარა ვინაიდან ბურჟუაზიული იმპერიალიზმი არ მომკვდარა, ის დაბნეულობისაგან ჩქარა გამოვიდა და ძალა მოიკრიბა, ხოლო მეორე მხრით აღორძინდა მეფეური იმპერიალიზმის აღაგას ბოლშევიკური იმპერიალიზმი, ამიტომ ერთა თანასწორობის პრინციპი სავსებით ვერ გატარდა ვერც ევროპაში, ვერც აზიაში და აფრიკაში. მოსკოვმა დაიწყო ძველი იმპერიის აღდგენა, ევროპამ გამოსჭრა ნაციონალური ერთეულები არა ნაციონალური მოსახლეობის, არამედ აპოლიტიკური წონასწორობის მიხედვით და მით შექმნა მრავალი ახალი კერა ნაციონალური შედლისა*). ერთი კი აშკარაა —

*) ვერსალის ზავით ნაციონალურ უმცირესობათ უნდა მიეცეს გარანტია თავისი კელტურის განვითარებისა.

«სფეროების» პოლიტიკა გაკოტრდა, დასავლეთში ის დასუმართულება და. იმპერიალიზმი უფრო ძოლუ მორცხვ სახეს ღებულობს. საბჭომართულების როთ ამ გაკოტრებულ პრინციპს მოსკოვი ჩაებდაუჭა და ის თავისათ გამოიტანა. ჩიხერინმა ეს აშკარათ აღიარა და მით საქართველოს დაპყრობას ფარდა ახადა. მან ცაჟის უკანასკნელ სესიაზე თბილისში წარმოსოდეს შემდეგი:

«ბათომიდან ინგლისელების წასელის შემდეგ ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ამს. კრასინს, რომ ინგლისი არ ჩაერევა საბჭოთა რესპუბლიკისა და კავკასიის ურთიერთ დამოკიდებულებაში და რომ იგი კავკასიას უცქერის როგორც საბჭოთა რესპუბლიკის გავლენის სფეროსა («კომუნისტი», 5 მარტი, 1925 წ.).

ე. ი. ლოიდ ჯორჯმა ნება დართო ჩიხერინს საქართველო თავის «გავლენის სფეროში» მოექცია, რაცა გამოხატა მის ანექსიაში. აქ მოხდა ბოლშევიკური და ბურჟუაზიული იმპერიალიზმის შეთქმულობა თავისუფალი ერის წინააღმდეგ. მარქსი ითხოვდა კავკასიის განთავისუფლებას რუსეთისაგან, ლოიდ ჯორჯი კი, პირიქით, მას უტოვებს რუსეთს, ხოლო ჩიხერინი ემყარება არა მარქსს, არამედ ლოიდ ჯორჯს, ის სცნობს არა ნაციათა თანასწორობას, არამედ მათ ანექსიას!

ბოლშევიზმი ნაციონალურ საკითხშიაც, ისე როგორც პოლიტიკურში და კუონიმიურში, სავსებით გამოეყო სოციალიზმს და აშკარათ ააფრიალა იმპერიალისტური დროშა. ის მართალია ყვირის ერის თავისუფლებაზე, მარა იმ ერის, რომელიც მის ხელში არ არის და მას ვერსაიდან ვერ უდგება. აქაც მას აინტერესებს არა ერის სვე-ბედი, არამედ წაქცევა მისი კონკურენტის, მისი მოწინააღმდეგები იმპერიალისტური სახელმწიფოსი. ეს არის აღდგენა პრიმიტიული იმპერიალიზმის. მოსკოვი ექანება სულ უკან-უკან, გასული საუკუნის მესამოცე წლების საერთაშორისო ინტრიგის და შუღლის პოლიტიკისაკენ.

ამგვარათ, სოციალისტურ ნაციონალურ პოლიტიკაშ საკმაოთ შეანგრია იმპერიალიზმის კედელი, მარა სავსებით ის ვერ დალენა. მისი მტერია აშკარათ ბოლშევიზმი, მორცხვათ ბურჟუაზია. მარა ამ უკანასკნელს ებრძვის ყველა ფეხის ნაბიჯზე გამძლავრებული სოციალისტური ინტერნაციონალი და არ ანებებს თავისი პოლიტიკის პირდაპირ გატარებას. ევროპა დღეს იმყოფება სოციალიზმის მძლავრ გავლენის ქვეშ. ეს გავლენა არ არის მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, იქ თბიზიცია

ჩაკლულია, ავანტიურისტთა ვიწრო წრე გაბატონებულია. საიდუმლო დიპლომატია, შეთქმულობა, ძალმომრეობა ნების მთავარი ფარხმალია. მთელი მათი საგარეო მოქმედება წყვდიადით მოცული და ყოველივე პასუხისმგებლობას მოკლებულია.

თუ მარქსს ადამიანთა თანასწორობის პრინციპიდან გამოყავს ერთა თანასწორობა, ბოლშევიზმს პირიქით ადამიანთა უთანასწორობისაგან გამოყავს ერთა უთანასწორობა. დემოკრატიის ძირითადი დებულების უარისყოფა თავისთავათ გულისხმობს ერის უფლების უარისყოფასაც. ნაციის თვითგამორკვევის მთავარი მტერი მოსკოვში ზის.

დღეს მსოფლიოში იბრძვის ორი პოლიტიკური ძალა უფროსობისათვის. ერთი მხრით დგას სოციალისტური ინტერნაციონალი და მუშათა საერთაშორისო სინდიკალური ორგანიზაცია, მეორე მხრით ბურჟუაზია, ბოლშევიზმი და მათი მოგავშირე ძველი და ახალი ბატონები. ეს მათი სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობა ნაციონალურ სფეროში ნიშნავს წინააღმდეგობას იმპერიალიზმსა და ერის თვითგამორკვევას შორის. იმპერიალიზმი დამარცხდა, მარა გატეხილი არ ძრის; ერის თვითგამორკვევამ გაიმარჯვა, მარა გაბატონებული არ არის. ქართველი ერის თვითგამორკვევა მოხვდა ამ კალაბოტში და განიცადა მისი ბედი — გამარჯვება და დამარცხება. ის დგას ნაციონალურ კვანძის ცენტრში და როგორც კი ეს კვანძი ისევ დაიწყებს დახსნას — იქიდან პირველ ყოვლისა საქართველო უნდა გამოვიდეს თავისუფალი და აღდგენილი.

მიმდინარე პოლიტიკა

არის ორი პოლიტიკა, ორი იდეიური მიმდინარეობა, ყოველგან, ყველა დიდ თუ წვრილმან მოვლენაში დაპირდაპირებული და ერთი მეორის უარის მყოფი. ერთია ბოლშევიკური, მეორე სოციალისტური.

პირველი თავის მოქმედებას, თავის მერმისს აგებს დასავლეთ ევროპის არევდარევაზე, სახელმწიფოთა შორის გაღვივებულ შუღლზე, წარმოების დაუძლურებაზე, ერთა კონფლიქტებზე, ომზე და დამარცხებაზე, მასის გაღატაკებაზე და დაცემაზე. ის ამ ჭაობში ხარობს, ამ უბედურებაში ემებს თავის სახიცოცხლო წყაროებს.

მეორე, სოციალიზმი, კი პირიქით, მთელ თავის მოქმედებას, მთელ თავის მომავალს აგებს მშვიდობიანობის დამფარებაზე, დასავლეთ ევროპის შეთანხმებაზე, ერთა და სახელმწიფოთა ერთობაზე, წარმოების გამდიდრებაზე, მასის ნივთიერათ და მორალურათ გაღონიერებაზე, ერთი სიტყვით საერთო აღორძინებასა და ამაღლებაზე.

ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება კლავს ბოლშევიზმს, ართმევს სარბიელს, უსპობს ნიადაგს და ძეცვეს მას არარათ. ის თან ატარებს ყველა თვისებას იმ ჭირისას, რომელიც ყოველთვის ომს მოვებოდა ხოლმე. როგორც კი ომი ბოლოვდებოდა, მინგრეულ-მონგრეული ქვეყანა კალაპოტში დგებოდა და სოციალური კანონები ნორმალურათ ამუშავდებოდა, ჭირიც კარგავდა საკვებ მასალას და ქრებოდა.

სოციალიზმი მიიღოვის ომით მოწამლული ატმოსფერის გაჯანსაღებისაკენ, ხალხთა შორის დაწყვეტილ ძაფების აღდგენისაკენ, ეს არის იმავე დროს სურვილი და მოთხოვნილება ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის, გარდა იმ მცირედი ნაწილისა, სპეცულიანტების და მეზარბაზნეების, რომელნიც ომით და სისხლის ღვრით იტენენ ჯიბეს და იძენენ კაპიტალს.

ამნაირათ, ერთი მხრით დგას ბოლშევიზმი და მეტაფიზიკური ტელ-სპეცუალიანტური ბურუჟაზია, მეორე მხრით ქილდემარქიზმი და მთელი დანარჩენი კაცობრიობა.

ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის წარმოებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე, პირველ ყოვლისა, მიმდინარე პოლიტიკაში.

მთავარი პოლიტიკური მომენტი, რომელიც ყოფილა დასავლეთს ომამდე და ყოფს დღესაც, არის კონფლიქტი საფრანგეთს და გერმანიას შორის. ის წარმოიშვა მესამოცდაათე წლებიდან, როგორც ნაყოფი ნაპოლეონ მესამის და პოპენცოლერნთა პირადი პოლიტიკის, რასაც მოყვა ომი და დამარცხება, წინეთ საფრანგეთის, ახლა გერმანიის. ევროპის ატმოსფეროს გაწმენდა მოითხოვს პირველ ყოვლისა აი ამ კონფლიქტის ამოწურვას, ყოველ შემთხვევაში მის მინელებას, თანხმობის და კეთილ-მეზობლობის ჩამოგდებას მოდავეთა შორის. მარა ამ შემთხვევაში რუსეთი რჩება გარიყელი. ის ვეღარ ითამაშებს ვერც «საერთაშორისო უანდარმის», ვერც «საერთაშორისო დამწერეველის» როლს. ამიტომ ცარიზმი მთელი თავისი ძალით ებრძოდა ამ თანხმობის პოლიტიკას და ემსახურებოდა შედლს. ის მოევლინა საფრანგეთს მოკავშირეთ და მხსნელათ. ბოლშევიზმი ამ უამათ პირწმინდათ იმეორებს ამავე პოლიტიკას; ის მოევლინა მეგობრათ გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ და ლამის ეს მდგომარეობა სამიღლემჩიოთ შეინარჩუნოს.

მავრამ აი გერმანიამ უცებ პირი იბრუნა საფრანგეთისაკენ და მას მიმართა მოთხოვნით — მოგრივდეთო. საფრანგეთმა ამ მომართვას ხელი წაატანა და ინგლისის დასტურით თანხმობით უპასუხა. დაიბადა პირველათ ამ ორ მეტოქეთა დაახლოების შესაძლებლობა. შეშფოთდა მოსკოვი, აწრიპინდა ბოლშევიკური კალმები, ამუშავდენ დიპლომატები ამ შესაძლებლობის ჩასაშლელათ. ისინი ახლა იმეორებენ იმ კომპანიას, რომელიც მათ ასტეხეს დაუსის წინააღმდეგ, ე. ი. წინააღმდეგ გერმანიის ფინანსიური გაჯანსაღებისა და საკუთარ, რუსეთზე დამოუკიდებელ ფეხზე დადგომისა. დაუსის პლანი განხორციელდა, მოსკოვი დაღუმდა. გერმანია გადაჭრით დაადგა დასავლეთის ეკონომიკურ ორიენტაციას და ახლა ის ამას აგვირვენებს პოლიტიკურათაც. ეს კი ქმნის სრულიად ახალ საერთაშორისო მდგომარეობას მოსკოვისათვის.

პირველ ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ თვით მათი შორიგების შინაარსი. სოციალისტები მოითხოვენ ერთა საკუთრივი გავშირის დამყარებას ყველა სადაო საკითხის სავალდებულო ზედატორული წესით გადაჭრით. ვინც ამ წესს არ დამორჩილება და ხმალს იშიშვლებს – ის ისჯება ყველა მოკავშირეთა შეერთებული ძალობით. ამ კავშირს მეთაურობს ნაციათა ლიგა. დაიბადა უნევის პროტოკოლი მაკდონალდის და ერიოს მეთაურობით. პროტოკოლს აუხილდენ რეაქციონერები და გააკეთეს მოსკოვის გასახარელი: ის დაიმარხა და მის ალაგას წამოაყენეს კერძო პირობა («პაქტი») გერმანია-ანტანტის შორის. რაკი პირველი არ გავიდა, მეორე მაინც მისაღებია, ვინაიდან ის ამავე პოლიტიკური ხაზიდანაა აღებული. მას ემხრობა საერთაშორისო დემოკრატია. მხოლოდ საკითხია ის, თუ რა სახის იქნება პაქტი: პირობის მონაწილენი თანხმდებან ყველა სადაო საკითხი გადასჭრან მოლაპარაკებით ან მედიატორული წესით ნაციათა ლიგის საშუალებით, თუ ქმნიან კავშირს, რომლის წევრები ერთი-მეორეს წაესვიან, როგორც კი რომელიმე მათვანი პირობას დარღვევს? ნაციათა ლიგის ძირითადი სტატუტია მედიატორული წესი და ყველა სახელმწიფო ამ პრინციპის მომხრე ვალდებულია გახდეს ლიგის წევრათ. «პაქტის» ასრულება მოითხოვს გერმანიის ლიგაში შესვლას და მისი წესების მიღებას. კავშირების და კონტრკავშირების პოლიტიკა დაამარცხა ომმა. სწორეთ ასეთ სამხედრო ბანაკებათ დანაწილებამ გამოიწვია უმაგალითო სისხლის ღვრა. სოციალიზმის ძველი პრინციპი – არბიტაჟი – დღეს ერთად-ერთი საერთაშორისო პოლიტიკა შესაძლებელი და მჭრელი. კაცობრიობა იძულებული შეიქნა მიეღო ეს პრინციპი და მის საფუძველზე აეგო ნაციათა ლიგა.

მოსკოვი ებრძევის როგორც ამ პრინციპს, ისე ამ ლიგას. ის ჩარჩა ძეველი, დამარცხებული პოლიტიკის ჩარჩოში, ცარიზმის ბარბაროსულ საერთაშორისო უფლებით გაუდენთილი. ის განაგრძობს საიდუმლო დიპლომატიას, ბნელეთში ხელის ფათურს, ერების დამორჩილებას და ძალათ გასაბჭოებას, კავშირების და კონტრ-კავშირების ძიებას, ერთი სიტყვით დესპოტიზმზე დამყარებულ საგარეო საქმიანობას. მთელ ამ მუშაობას ლახვარს სცემს ერთა ლიგის გამარჯვება, მისი რეალურ ძალათ გადაქცევა. გერმანიის მის წევრათ შესვლა და პროტო-

კოლის თუ არა, ამ ხანათ პაქტის მაინც განხორციელება შოს-
კოვს უკარგავს ყოველგვარ გავლენას ევროპის სტრუქტურაზე.
არის დასავლეთის საერთაშორისო მდგომარეობის სრული სტა-
ნდალიზაცია და მოსკოვის იზოლაცია. დასავლეთი ეპირდაპირე-
ბა ბოლშევიკურ რუსეთს. მოსკოვი ამაში ხედავს ინგლისის
ინტრიგებს, შემთხვევით მოვლენას, გერმანიის რუსეთისაგან
ჩამოსაშორებლათ. ნამდვილათ კი აქ არაფერია შემთხვევითი,
არც ინტრიგანური, ეს აუცილებელი, ისტორიული გზაა კა-
ცობრიობის განახლების და განვითარებისაკენ. ბოლშევიზმი
მას ეპირდაპირება და მით ბუნებრივათ ამ შარაგზის გარეთ
რჩება. ის ცდილობს თავის დაღუპვაში ამხანაგები იშოვოს,
ცოცხალი სამარეში ჩაიჭიროს და ასე სული კბილით დაიჭი-
როს. მთელი ბოლშევიკური ბრესა «იზვესტია»-ს მეთაურო-
ბით გერმანიას ემუქრება, თუ გამეცი და ლიგაში შედი, შენს
მტრებს – საფრანგეთს და ბოლონეთს – მოვურიგდებიო. «გერ-
მანიის მთავრობამ უნდა იცოდეს, სწერს «იზვესტია», თუ ის ამ
გზას დაადგება საბჭოთა კავშირი მიიღებს ზომებს თავის ინტე-
რესების დასაცავათ და იმოქმედებს იმ გზით, რომელიც არ მი-
დის გერმანიასთან პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებუ-
ლების განვითარებისაკენ». ამავე დროს ეს გაზეთი ერშიყება
საფრანგეთს და თანაც ჭერას ასწავლის – გერმანიასთან მორი-
გება მეორე სედანს გიქადისო.

ერთი სიტყვით, მოსკოვი აშკარა პოლიტიკურ შანტაჟს ეწე-
ვა, ორივე მხარეს თვალებს უპაჭუნებს, ორივეს თავის თავს
შეაძლევს, მაგრამ ისინი მისგან გარბიან, როგორც ქამისაგან
და მას გატიტვლებულს ქვეყნის შარაზე ტოვებენ. ერთათ ერთი
მისი თავების მცემელია გერმანიის მილიტარისტები და ნაციო-
ნალისტები. ესენი ბოლშევიკებთან ერთათ ილაშქრებებ «პაქ-
ტის» წინააღმდეგ და იცავენ ღვრია წყალს, სადაც ნაყოფიე-
რათ თევზაობენ. მაგრამ გერმანიის მთავრობამ, სოციალ-დე-
მოკრატიის და რადიკალური ბურჟუაზიის ზეგავლენით, უკვე
გადასწევიტა საფრანგეთის წინადაღება მიიღოს და მის საფუძ-
ველზე მოლაპარაკება აწარმოოს. ის უკვე ზურგს აქცევს რუ-
სეთს და პირს იბრუნებს დასავლეთისაკენ. წყდება ევროპის
უდიდესი პოლიტიკური საკითხი; მტკიცდება დასავლეთის მო-
რალური ერთობა, ირიყება ამ ერთობის აღმოსავლეთის მტკირი.

პირველათ ახლა დაისვა მიმდინარე პოლიტიკის დღის წეს-

რიგში ნათლად და საჯაროთ ბოლშევიკური რუსეთის წერილული
აღმდეგ ევროპის ბლოკის შექმნის საკითხი. საფრანგეთის პლატიტურა
გარეო სამინისტროს გამომხატველი ორგანო «ტანი», რომე-
ლიც ეს ერთი ზანია ბოლშევიკებს ერშიყება, იძულებული გახ-
და ალაპარაკებულიყო ამ ბლოკის აუცილებლობაზე. ის სწერს:
«დარეგა უმმა გერმანისათვის ამოირჩიოს ან გერმანო-რუსუ-
ლი ბლოკი, სადაც ის დაიჭერს მეტათ საშიშარ მდგომარეობას,
ან ევროპის ბლოკი, საითკენაც მას მიაქანებს მისი ინტერე-
სები და მისი ტრადიციული ლტოლვილება... მან (გერმანიის
საგარეო მინისტრმა) კარგათ იცის, უეჭველია, რომ მჭიდრო
კავშირი საბჭოთა რუსეთთან დაუპირდაპირებს გერმანიას ინგ-
ლისს, ყველა თავისი მძიმე შედეგებით, რასაც ეს მოუტანს მის
პოზიციას კონტინენტის ცენტრში. საქმარისია გაიგონოთ ჩი-
ნერინის განცხადება იმაზე, რომ ლონდონის მიერ კავშირის
გაწყვეტა საბჭოებთან ნიშნავს ომს, რომ ვთქვათ: ამჟამათ ბრძო-
ლა მოსკოვს და ლონდონს შორის», «ტანი», 4 ივლისი).

ამაზე უფრო ნათლათ თქმა აღარ შეიძლება. რუსეთი თუ
ევროპა — აი ორი მოპირდაპირე ბანაკი და მათ შორის ახდენს
არჩევანს გერმანია. ყველა სხვა სახელმწიფოებს არჩევანი კაი
ზანია მოხდენილი აქვთ ევროპის სასარგებლოთ. მხოლოდ გერ-
მანია ყოყმანობდა, ვინაიდან ის მოსკოვისაგან რეალურ სარ-
გებლობას გამოელოდა. მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა, არც
მილიტარულათ, არც ეკონომიურათ. რუსეთის დამარცხებამ
პოლონეთის მიერ და წითელი არმის დაუძლებურებამ საბოლოოთ
გააქრო გერმანელთა ოცნება პოლონეთის კორიდორის რუსის
ნიშტით დაცყორბაზე, ხოლო რუსეთის ქრონიკულ ეკონომიურ
კრიზისმა მეურნეობაში და მრეწველობის დაცემამ მოუსპო
იმედი რუსეთისაგან რაიმეს «გამორჩენისა». აი ამ ორგვარი
იმედის გაცრუება გერმანიას დღეს ძალას ატანს ისევ დასავ-
ლეთში ეძიოს მეგობარი და მოშხმარე. ასეთია მისთვის, პირ-
ველყოვლისა, ინგლისი, რომელსაც მხარში უდგია საფრან-
გეთი და მისი მეგობარ-მოკავშირენი.

გერმანიის ლიგაში შესვლას რით უპასუხებენ ბოლშევიკე-
ბი? ორში ერთი: ან თვითონაც უნდა შევიდენ, ან ევროპის
მთლიან ფრონტს შეებრძოლონ. პირველ შემთხვევაში, ისინი
იძულებული იქნებიან მიიღონ ლიგის სტატუტი, ე. ი. დემოკ-
რატია საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედათ აღიარონ და თავის

მოქმედების ანგარიში ქვეყანას აძლიონ. საქართველოს საკითხი
თავიდანვე წინ დახვდება და არბიტრაჟი მისთვის სტანდარტუ-
ლო გახდება. ეს იქნებოდა ბოლშევიზმის ლიკვიდაცია არა მარ-
ტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაშიაც. ამ გზას უაჭვე-
ლია ის არ დაადგება და ისევ სასიკვდილოთ გამზადებულსა-
ვით შეეცდება გაერთიანებულ ევროპას შორიდან უყეფოს და
თავისი სამარე თვითონვე მოამზადოს.

ევროპა მთლიანდება, რუსეთი მარტოვდება. მიმდინარე პო-
ლიტიკის ძარღვი აი აქ სცემს. ძველი დახლართული კვანძი
იხსნება დასავლეთში და ახალი კვანძი იხლართება საბჭოების
საბრძანებელში. მას ირგვლივ რკინის სალტე ერტყმება და ის
მავთულ-ხლართში ებმება. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი
თავითარ...

დ გ პ ლ ა რ ა ც ი ა*)

საქართველოს ნაციონალური მთავრობის სახელით მაქვს
პატივი განვაცხადო შემდეგი:

დღევანდელ საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტში ჩვენ
თავიდანვე მოვახდინეთ ჩვენი არჩევანი, მივემხრეთ საფრანგე-
თის კოალიციას.

ეს ჩვენი გადაწყვეტილება აგებულია ორ საფუძველზე: პო-
ლიტიკურზე და ნაციონალურზე.

ჩვენ ვართ ჩაგრული ერის შვილნი; ჩაგრულია ჩვენი ერი
ორ ნაირად: როგორც ერი და როგორც ხალხი, უცხო ძალაშ
მას წაართვა თავისუფლება ნაციონალური და პოლიტიკური.
ვის შეუძლია გაიგოს ეს ჩვენი როგვარი ტანჯვა თუ არა იმან,
ვისაც სწავლის ეს როგვარი თავისუფლება, ვისაც ერის და ადა-
მიანის უფლება თავის დროშაზე დაუწერია და ის საყოველ-
თაო, საკაცობრიო კუთვნილებათ უდიარებია. ჩაგრულთა ეს
ბუნებრივი დამცველი იყო და არის საფრანგეთი. მან თავის
არსებაში შეაერთა ფრანგული და კაცობრიული, ნაციონალუ-
რი და ადამიანური.

ჩვენ არ გვწამს, არასოდეს გვიწამებია, რომ ვინც თავის
ხალხში ამყარებს დესპოტიას, ის სხვა ხალხში დაამყარებს თა-
ვისუფლებას, ვინც იპყრობს თავისუფალ ერთ, ის გაანთავი-
სუფლებს ჩაგრულ ერთ. საერთაშორისო მტაცებლობა ძირს
უთხრის ყოველი ფორმის უფლებას. დღეს მსოფლიოში ფრი-
ალებს ორი მოპირდაპირე დროშა — თავისუფლების და მონო-
ბის; საქართველოს დროშის ადგილია მხოლოდ თავისუფლების
ბანაკი.

*) ეს დეკლარაცია წაკითხულ იქმნა მთავრობის თავმჯდომარე ნოე
ფორდანის მიერ დამუშავდ. კრების წევრების კურძო თათბირზე 1940 წ. 4 თე-
ბერვალს პარიზში. რედ.

ასეთია ჩვენი ორიენტაციის პოლიტიკური მოტივი. ამ ხა-
ზისაა აგრეთვე ჩვენი ნაციონალური მოსაზრება. ურუვრული

ქართველ ერს ფლობს და სტანჯავს საბჭოთა რესპუბლიკური
ქართველო არ შეურიგდა ამ მდგომარეობას და ებრძვის შეუ-
ჩერებლივ მის დამპყრობელ მოსკოვს. ამით ის ებრძვის ყველა
მის მოკავშირეთ და დამხმარეთ, ვინც უნდა იყოს იგი. ჩვენ არა-
სოდეს ყოფილვართ, არც ვართ, არც ვიქწებით სტალინის და
მის დამცველთა მხარეზე, არც იღეურად, არც პოლიტიკურად,
არც ნაციონალურად. ჩვენ შორის დიდი ხანია ხატე-
ხილი, ბრძოლა გამოცხადებული. ამ ქამათ ჩვენს პოზიციაზე
დადგენ მოკავშირენი; ჩვენ მიერ ბოლშევიზმის გამოცხადება
მტრათ არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი კულტურუ-
ლი კაცობრიობისა, როგორც ძველი რუსულ-აზიური ბარბარო-
სობის აღდგენა — დღეს საქვეყნოთ დამტკიცდა და ეს გაიზიარა
მოწინავე საზოგადოებამ. ჩვენ მიერ წარდგენილი პროტესტი
1935 წელს ერთა ლიგისათვის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის
დაშვებისა მის წევრთა შორის — დღეს საქვეყნოდ დაადასტუ-
რა იმავე ლიგამ მოსკოვის იქიდან განდევნით.

როგორც ხედავთ ჩვენ აღგილი არ გამოგვიცვლია, ერთხელ
აღებულ ხაზზე ოდნავადაც არ წაგვიფორხილებია: ვართ იქ,
სადაც ვიყავით თავიდანვე. ეს ჩვენი პოზიცია—პოზიცია მთელი
ქართველი ერის გაამართლა ისტორიამ, მისკენ იძრუნა პირი
მსოფლიო დემოკრატიამ; და თუ დღევანდლამდე ვსულდგმუ-
ლებდით იმედით, დღეს ამ იმედს მიეცა რეალური საფუძ-
ველი.

საქართველოს ნაციონალური მთავრობა გამოსული სამშობ-
ლოდან დამფუძნებელი კრების დადგენილებით და საგანგებო
მანდატით განაგრძობს ბრძოლას მოსკოვის მტაცებლობასთან
გამარჯვებამდე. მოუწოდებს ყველა ქართველ ემიგრანტს ჩვენ-
თან ერთად ჩადგეს მოკავშირეთა ბანაკში, ვუსურვოთ ამ ბა-
ნაკს გამარჯვება და საერთო ძალ-ღონით ვიმუშაოთ ქართვე-
ლი ერის თავისუფლების აღსაღენად.

ნამდვილი და ჰალგი პრაუნიზმი

საშუალო საუკუნოების მიწურულში ეკროპის მწერალთ ჩვეულება ქონდათ ძველი კლასიკური მოღვაწენი აელაპარაკებიათ ქრისტიანული ენით და ფეოდალური სიბრიფვით. ამით მათ დაიმსახურეს სახელი ყალბი კლასიკებისა.

ბოლშევიკებს ჩვეულებათ დასჩემდათ თავისი რუსული სიბრიფვენით აალაპარაკონ ინტერნაციონალური სოციალიზმის მამათმთავარი მარქსი და ენგელსი და ნამდვილი, კლასიკური კომუნიზმის სახელით გამოიტანონ სლავიანოფილურ-ნაროდნიკული ობშჩინური კომუნიზმი. ისინი არიან ყალბი კომუნისტები.

და ასე, არსებობს ორი კომუნიზმი — ნამდვილი, მარქსის კომუნიზმი და ყალბი, ლენინის კომუნიზმი.

ამის დასამტკიცებლათ საკმარისია განვიზილოთ მარქსის ორიოდე ნაწერი, სწორედ ის, რაზედაც ბოლშევიკები ასე ხშირად ფიცულობენ და რასაც ასე უკუღმა კითხულობენ. ეს არის პირველყოვლისა «კომუნისტური მანიფესტი», შემდევ «მანიფესტის» განმარტება მარქსის მიერვე «გოტის პროგრამის კრიტიკაში». აი აქ მოკლეთ, მკაფიოთ ჩამოყალიბებულია მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი დებულებანი, კომუნისტური საზოგადოების აუცილებელი საფეხურები, სოციალური რევოლუციის უმჯობელი გზა-კვალი. მარქსის ყველა დანარჩენი გამოკვლევანი არის დიდებული დასაბუთება «მანიფესტის» ტეზისების, გაღრმავება აქ გამოთქმული აზრების. ნამდვილი კომუნიზმი ანუ პროლეტარული სოციალიზმი აგებულია დასავლეთის კულტურაზე, მეცნიერებაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. ის ღვიძლი შვილია ეკროპის სამოქალაქო განვითარების.

და სწორეთ გასაშტერებელია ის უტიფრობა, რომლითაც

ბ-ბი თავის აჭია-ბაჭია აზრებს, თავის ტმუტარაკანში შეძებილ განათლებას მარქსიზმათ ასაღებენ. როგორიც ერიობულიყოთ უფა რიო, ნათქვამია. რუსეთის ველურ აუდიტორიას ველიშორის წმინდა მძღოლნი შეეფერება. უკიცი ხალხის დაჯერება აღვილია, როცა ის თავისუფლებას მოკლებულია. ეს სიველურ ახლა ქართველ მუშებსაც ეწვია; ტმუტარაკანის ლექტორები მათაც მოველია, ორ ნაძვს შორის დაბნეულნი ქართველ საზოგადოებასაც აბნევენ, ევროპას აშორებენ და «წმინდა რუსეთს» აჯაჭვებენ. მარქსიზმი გახდა მათ ხელში რუსული ნაციონალიზმის არადი, დაბყრობის და დანგრევის გასამართლებელი საბუთი. მარა მათ მარქსიზმსა არავითარი კავშირი, არავითარი მსგავსება არ აქვს არც მარქსიზმთან, არც დასავლეთის სოციალურ მოძღვრებასთან და მოძრაობასთან. და რომ ეს ასე არის დავინახავთ ნამდვილი და ყალბი კომუნიზმის განხილვით.

1. რინასორი პირობები

ბოლშევიკების აზრით, კომუნიზმის განხორციელება შეიძლება ყოველგან, ყველა ხალხში და ყველა ქვეყანაში: აზიაში, ისე როგორც აფრიკაში, ევროპიელებში, ისე როგორც ესკომისებში, ყირგიზებში, ოსმალეთში, აფგანებში, ზანგებში. რუსეთი ხომ კომუნიზმის აღთქმული ქვეყანაა, რომელიც წინ მიუძღვის ამ მოძრაობას და თავისი ხიტით, ჩეკით და კომინტერნით ამფარებს ყოველგან კომუნიზმის ბატონობას.

ასეთია მოძღვრება ყალბი კომუნიზმისა.

ნამდვილი კომუნიზმი კი, პირიქით, მთელ ამ წილადობილას სავსებით უარყოფს და თავის სამეფოს დასამკვიდრებლათ აღიარებს ზოგი წინასწარი პირობების აუცილებლათ არსებობას. ეს პირობებია ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ერში განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, განსაზღვრულ დროს და გარემოებაში. რას ნიშნავს ეს?

მარქსი სწერს «კაპიტალში» (ტომი პირველი), რომ კაპიტალისტური საზოგადოება დაიბადა ფეოდალურ საზოგადოებისაგან, ხოლო კომუნისტური საზოგადოება დაიბადება კაპიტალისტურისაგანო. ამ დებულებაზეა აგებული მთელი მისი ემანიფესტი». მაშასადამე, კომუნიზმის განხორციელების აუცი-

ლებელი პირობაა კაპიტალიზმის არსებობა. ეს კიდევ ლუტერული შეიძლება კაპიტალისტური წარმოება, კაპიტალისტური შეუტირობის ნეობა ველურ ხალხშიაც იქნას შეტანილი, ეს კიდევ არ ნიშნავს ამ ხალხის მოწიფებას სოციალური რევოლუციისათვის. ნათქ- ვამია, ერთი მერცხალი ზაფხულს ვერ მოიფანსო. საჭიროა არსებობდეს არა მარტო კაპიტალისტური წარმოება, არამედ კაპიტალისტური საზოგადოებაც. ე. ი. ახალი ეკონომიური პროცესი ქმნის შესაფერ სოციალურ გადასხვაფერებას მთელ ნაციონალურ ორგანიზმში და მას აძლევს ახალ საზოგადოებ- რივ სახეს. ავიდოთ მაგალითი,

ფეოდალური საზოგადოება წინასწარი პირობაა კაპიტა- ლისტური საზოგადოების. რას ნიშნავს ფეოდალური საზო- გადოება? ეს ნიშნავს ისეთ სოციალურ შენობას, სადაც არ არის დარჩენილი არც ერთი წრე, არც ერთი დარგი, არც ერთი წესი მუშაობისა და დამოკიდებულებისა გარეშე ფეოდალური ურთიერთობისა და კანონებისა. ის აღორძინდა ანტიური, რო- მაული საზოგადოების ნანგრევზე და მიიღო საბოლაო გამო- ხატულება მეათე საუკუნის ბოლოს. ძველი საზოგადოების ყველა შემაერთებელი ძაფები აქ უკვე დაწყდა და გაიბა ახა- ლი, რომში სრულიად უცნობი და გაუგონარი. ეს შეცვლა ერ- თი საზოგადოებისა მეორისაგან მოხდა მრავალი ოქებით, რე- ვოლუციებით, ევოლუციით, ცხოვრების მრავალკეც ადუდებით და გადადულებით. მოისპო ყველა ძველი ნაშთი: შრომის ძველი წესი (მონობა), ძველი ქალაქი, ძველი წოდება, ძველი მართ- ველობა, მოელი ანტიური ეკონომიკა და პოლიტიკა და მათი ალაგი დაიჭირა ფეოდალობამ, მისი ბატონ-ყმობით, ამქრული წესებით, თავად-აზნაურობით, — მთელი ახალი ეკონომიური და იურიდიული ურთიერთობით.

ცხადია, ახალი საზოგადოება ნიშნავს პირველყოვლისა ძველი საზოგადოების სავსებით დანგრევას, მისი ყველა ნაშ- თების სავსებით გაქრობას და მათ ალაგას ახალის დამყარებას. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ამ ნიადაგზე მომავალი საზოგა- დოების ახალგაზრდა ყლორტი და იწყებს ნელ-ნელა გაზრდას.

აი ასეთი თვისების უნდა იყოს კაპიტალისტური საზოგა- დოებაც. ის ისეთივე ორგანიული მთელია, როგორიცაა ყველა ისტორიული საზოგადოება, ამათ შორის ფეოდალურიც. კა- პიტალისტური ეკონომიური მსვლელობა ბოლოს და ბოლოს

თან ითრევს მთელ ცხოვრებას, ყველა მის დარგებს და ნაწილებს და მით ქმნის სრულიად ახალ ურთიერთობას. პროცესურის დასაწყისია კაპიტალისტური წარმოება, ფაბრიკა-ქარხნების აღორძინება, მრეწველობის გაჩაღება. მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს ახალი საზოგადოების დაბადებას. მხოლოდ ძველი ფეოდალურ-პოლიციურ საზოგადოების ძირბულიანათ დარღვევა, მისი ნაშთების სავსებით ამოგდება და ამ გაწმენდილ ნიადაგზე კაპიტალისტური ეკონომიკის და პოლიტიკის აგება ედება საფუძვლათ კაპიტალისტურ საზოგადოებას. სადაც ძველი და ახალი ერთათ არის, სადაც საზოგადოება განაწილებულია მათ შორის, მეტ-ნაკლები ძლიერებით, იქ არ არის არც ერთი, არც მეორე საზოგადოება, იქ ბრძოლაა მათ შორის გამართული ერთბატონობისათვის. ერთი სათავე, ერთი პრინციპი, მონიზმი — აი დედა-ბოძი ისტორიული ეპოქის. სათავეთა შერევა, პრინციპთა შედედება, ეპლექტიზმი ცხოვრებამ არ იცის, ისტორია მათ არ იღებს და თავის საშოში არ აპოზიერებს. ერთი პრინციპი უარსყოფს მეორეს არა ნაწილობრივ, არა წერიმალურათ, არამედ სავსებით, ძირბულიანათ. კაპიტალისტური საზოგადოების დაბადება იწარმოვა ომებით, რევოლუციებით, დიდი სოციალური ქარტეხილით.

რით ხასიათდება კაპიტალისტური ეკონომიკა?

მარქსი სწერს: «კომუნისტურ მანიფესტში წერია — ყველა იმ კლასებთა შორის, რომელიც დღეს ბურჟუაზიას ეპირდაპირება, ნამდვილი რევოლუციური კლასია მხოლოდ პროლეტარიატი. ყველა დანარჩენი კლასები იხრწებიან და ინგრევიან დიდი ინდუსტრიის წყალობით, პროლეტარიატი კი მისი ნაყოფია.» ბურჟუაზია აქ წარმოდგენილია როგორც რევოლუციური კლასი, როგორც მატარებელი დიდი ინდუსტრიისა, წინააღმდეგ ფეოდალებისა და შუათანა კლასებისა, რომელიც იბრძვიან ძველი საზოგადოებრივი მდგომარეობის, მობერებული საწარმოვო წესების შესარჩენათ.»*)

ცხადია, კაპიტალისტურ ეკონომიკას ახასიათებს დიდი ინდუსტრია და მისი მატარებელი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ეკონომიური რევოლუცია მხოლოდ ამ საწარმო-

*) იხ. „გოტის პროგრამა“. სიმოკლისათვის წყაროებს დავასახელებ ტექსტში თითო ასოებით: გ. — „გოტის პროგრამა“. მ. — „მანიფესტი“. (ავტ.)

ეო ფორმას მოაქვს. დიდი ინდუსტრია, დიდი კაპიტალი ებრძოული ვის პატარა ინდუსტრიას, პატარა კაპიტალს და ანგრეზებით ბატონობას. ეს უკანასკნელი საწარმოვო ფორმა თავის დრო-ზე, საშუალო საუკუნოებში, თავის მხრივ რევოლუციურ ელე-მენტს წარმოადგენდა წინააღმდეგ აქტუალი წესებისა. მაგრამ დიდი წარმოებით შემინებული ის ხდება კონსერვატიულ ელე-მენტათ და ებრძის ახალ, მასზე უფრო მძლავრ, რევოლუციურ ეკონომიკას.

დღეს ქვეყნათ ბატონობს ორგვარი საწარმოვო წესი – ევ-როპაში და ამერიკაში დიდი ინდუსტრია და მისი მატარებელი ბურჟუაზია, აზიაში, რუსეთში და აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (ეგვიპტე, ლიბერია და სხ.) და ზოგ კოლო-ნიებში (ტუნისი, მაროკო და სხ.) პატარა ინდუსტრია და მისი მატარებელი შუათანა კლასები. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქ-მე გვაქვს კაპიტალისტურ საზოგადოებასთან, მეორე შემთხვე-ვაში კი მხოლოდ მის პირველ საფეხურთან, მის დასაწყისთან.

ამ ნაირათ, კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი თვი-სებაა სხვილი ინდუსტრიის და მისი მეთაურის – ბურჟუაზიის ეკონომიკური ერთბატონობა. ყველა დანარჩენი საწარმოვო ფორ-მა და მისი მეთაური კლასები ან იღუპებიან, ან მასზე დამო-კიდებული ხდებიან. ბურჟუაზია ან ანგრევს შუათანა კლასებს, ან მათ იმორჩილებს და თავის საწველ ფურათ ხდის. ის მე-თაურობს საზოგადოების მთელ ეკონომიკურ მოძრაობას.

«დიდმა ინდუსტრიამ შექმნა მსოფლიო ბაზარი, მომზადე-ბული ამერიკის აღმოჩენით. მსოფლიო ბაზარმა დიდათ დააჩ-ქარა განვითარება ვაჭრობის, ნავოსნობის, ყოველნაირი მი-მოსვლის. ეს განვითარება თავის მხრივ გავლენას ახდენს ინ-დუსტრიის მსვლელობაზე. რამდენათ მრეწველობა, ვაჭრობა, ნავოსნობა, რკინისგზა ვითარდება, იმდენათ ბურჟუაზია იზრ-დება, მისი კაპიტალი მრავლდება და საშუალო საუკუნოების მაერ გადმოცემული კლასები უკან ითვლება.» (მ.)

ამ დაად ეკონომიკურ მსვლელობას თან ახლავს შესაფერი პოლიტიკური მსვლელობა.

«რვითეული ეტაპი ევოლუციისა, რომელიც გაიარა ბურ-ჟუაზიამ, იწვევს შესაფერ პროგრესს. ის, იღევნება რა ფეოდა-ლური დესალტიზმით, აღგენს შეიარაღებულ ამხანაგობას და მართავს თავის თავს კომუნაში; აქ მუნიციპალური რესპუბლი-

გა, იქ მესამე წოდება მონარქიისათვის გადასახადების შიმცემი; შემდეგ მანუფაქტურის ხანაში ის უპირდაპირდება მაცველი აზნაურობას თვითმშეყრობელ თუ კონსტიტუციურ მონარქიაში დიდი მონარქიის ქვაგუთხედი ბურუუაზია, დიდი ინდუსტრიის და მსოფლიო ბაზრის აღორძინებიდან, იპყრობს პოლიტიკურ ხელისუფლებას, სხვა კლასების გამორიცხვით, თანამედროვე წარმომადგენლობით სახელმწიფოში. თანამედროვე მთავრობა არის მხოლოდ გამგე კომიტეტი ბურუუაზიული კლასის საქმეებისა.» (ბ.)

მაშასადამე, ბურუუაზია ანგრევს რა ძველ საწარმოვო ფორმას, ანგრევს ამასთანავე ძველ პოლიტიკურ ფორმასაც და ხელთ იგდებს ეკონომიურ ბატონობასთან ერთათ პოლიტიკურ ბატონობას. საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე ბატონობისათვის მომწიფებულია მხოლოდ ეს კლასი, ამიტომ სხვა კლასების რევოლუციური მოძრაობა მას უმშადებს ნიადაგს და შემდეგ ბევრი მიზვევ-მოხვევისა ბოლოს მაინც მას ანიჭებს გამარჯვებას. «ამ ფაზაში პროლეტარიატი ებრძვის არა მის პირდაპირ მტერთ, არამედ მტერთ მისი მტერისა, ესე იგი თვითმშეყრობელი მონარქიის ნაშთებს, მემამულეთ, არა-ინდუსტრიალურ ბურუუებს, წვრილ ბურუუებს. მთელი ისტორიული მოძრაობა ამ გზით თავს იყრის ბურუუაზიის ხელში; ყოველნაირი გამარჯვება ამ პირობებში არის ბურუუაზიის გამარჯვება.» (ბ.)

ამ საერთო კატასტროფის დროს შეიძლება ძველი კლასების ბატონობასთან ერთათ დაეცეს ბურუუაზიის ბატონობაც და ძალა-უფლებას დაეპატრონონ მუშები. მაგრამ, სწერს მარქსი, «ეს გამარჯვება პროლეტარიატისა იქნება მხოლოდ მომენტი ბურუუაზიულ რევოლუციის მსვლელობაში, ის მისი განმავითარებელია, როგორც ეს იყო 1794 წ. და ასე იქნება მუდამ სანამ ისტორიის ვითარებაში, მის მოძრაობაში არ გამომუშავდება ნივთიერი პირობები, რომელნიც იწვევს აუცილებლათ ბურუუაზიული საწარმოვო წესის დარღვევას და, მაშასადამე, ბურუუაზიის პოლიტიკური ბატონობის საბოლოო დაცემას.»*)

ასეთი ნივთიერი პირობები იქმნება მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ხოლო ეს კი შენდება ძველი რეჟიმის

*) მარქსის „ლიტერატურნოე ნასლედი“, ტ. მეორე. ვე. 512.



ნანგრევზე. ეს ისტორიული აუცილებლობა, ეს ეპოქათა ეფანტურული დათანობა არ ესმით ამ რეეიმის ლიკვიდაციის დროს ჰყავს მართვისა ერთო არეულობით აღტაცებულნი ლაშიან ბურჯუაზის ბატონობის თავიდან აცილებას და პირდაპირ შრომის სამფონში შესვლას. ასეთი იყვენ ნიველერები ინგლისის რევოლუციისა (1648 წ.), ბაბუკისტები საფრანგეთის რევოლუციისა (1789 წ.), ბლანკისტები გასული საუკუნის მეორმოცე წლებისა და სხ.

«პროლეტარიატის პირველი პირდაპირი ცდა თავისი კლასის ინტერესების გასაბატონებლათ, მომხდარი საერთო არეულობის დროს, ფეოდალურ საზოგადოების დანგრევის პერიოდში, გათავდა აუცილებელი დამარცხებით, ვინაიდან არ მოიპოვებოდა ნივთიერი პირობები მისი ემანსიპაციისა, ის პირობები, რომელიც იქმნება მხოლოდ ბურჯუაზის ერაში. ამ პირველი პროლეტარული მოძრაობის თანამგზავრი რევოლუციური ლიტერატურა ძალაუნებურათ რეაქციონური ჩასიათისაა. ის ქადაგებს საზოგადო განდეგილობას და ტლანქ თანასწორობას.» (მ.)

მოვლენათა ამ სერიას ეკუთვნის რუსეთის მაქსიმალიზმი და მისი გამომხატველი ლიტერატურა, მეტად მყვირალა და რეაქციონური. აქ ახალია ის, რომ ამ ცდას გადაყვა მოელი ერი. ის ძვირად უკდება რუსეთს, ხოლო ევროპის ასეთსავე ცდას ხალხი არ დაუზარალებია, საზოგადოება უკან არ დაუქანებია.*) ბურჯუაზიის საბოლაო გაბატონება რუსეთში ხდება გაცილებით მეტი ზარალით და სხვერპლით, ვინემ ეს მოხდა ევროპაში.

ამგვარათ, კომუნისტური საზოგადოების მიუცილებელი სათავე არის კაპიტალისტური საზოგადოება. უკანასკნელის დედა-ძარღვს შეადგენს დიდი ინდუსტრიის მატარებლის ბურჯუაზიის გაბატონება ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში. «ბურჯუაზიის ერა» კალაპოტდება და მის საზღვრებში იწყება უკანასკნელი გადამჭრელი ბრძოლა.

*) იხ. მის შესახებ ჩემი „საბჭოთა წყობილება“.

პროლეტარიატის პოლიტიკური მოძრაობა იწყება შექმნილი და მცხველი რეჟიმში და განსაკუთრებით ძლიერდება ამ რეჟიმის ღია კუთხით და მისი მიზანი და საშუალება ბურჟუატი არის მოცული, მის გვერდით, მის წინ და უკან დგას მრავალი სხვა მებრძოლი ელემენტები, უკმაყოფილონი არსებული წყობილებით. ამ გზით დგება ერთი რაზმი, ერთი ბანაკი მიმართული ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის გაუქმებაში დაინტერესებულია ერთს დიდი უმრავლესობა. ამ ხანაში მუშა საჭიროა რევოლუციისათვის და არა რევოლუცია მუშისათვის. პროლეტარიატის მიერ თავისი კლასიური ელფერის შენარჩუნება და მოძრაობაში საკუთარი პოლიტიკური და სოციალური დროშით მონაწილეობა გაძნელებულია. ამის დიდ მაგალითს იძლევა რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც გახდა ბრძა იარაღი და მისი მოპირდაპირე შუათანა კლასებისა და მათი პირმშო შვილთა — ბოლშევიკებისა.

რატომ?

ცხადია რატომ. პროლეტარიატის ორგანიზაცია, მოძრაობა, მიზანი და საშვალება მჭიდროთ შეკავშირებულია მისი მშობელის — მრეწველობის განვითარებასთან და გამაგრებასთან. ეს კი შესაძლებელია მხრლოდ ძველი რეჟიმის მოსპობის შემდეგ, «ბურჟუაზიის ერაში». აი აქ კლასთა დამოკიდებულება გამარტივებულია; განხეთქილება ბურჟუაზია და პროლეტარიატს შორის არ იფარება საშუალო საუკუნური სამოსლით. პირისპირ დგას ეს ორი კლასი და დანარჩენი იძულებული არიან მათ შორის განაწილდენ.

«ჩვენი დროის, ბურჟუაზიის ერას, ნიშნობლივი თვისებაა კლასთა წინააღმდეგობის გამარტივება. საზოგადოება უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მოპირდაპირე ბანაკათ, ორ ერთი მეორის მტერ კლასათ: ბურჟუაზიათ და პროლეტარიატათ». (მ.)

მაშასადამე პროლეტარიატი პირდაპირ დაინტერესებულია ისეთი წყობილების დამკადრებაში, სადაც აი ეს სადა კლასიური დანაწილება აშკარა ხდება. ეს წყობილებაა დემოკრატიული რესპუბლიკა. «სწორეთ ბურჟუაზიული საზოგადოების ამ



სახელმწიფო ფორმაში კლისთა ბრძოლა საბოლაოთ გაფჩქურებული
დება.» (გ.)

მაგრამ რადგანაც ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა ნიმ-
ნავს ცენზიანი კონსტიტუციის შემოღებას, სახელმწიფო ხ-
დავის მხოლოდ თავის ხელში («ხევა კლასების გამორიცხვით,»)
დაჭერა, ხოლო პროლეტარიატის ინტერესია დემოკრატიული
რესპუბლიკა, ცხადია ბრძოლა მათ შორის წარმოებს არა მარ-
ტო საბოლაო გამარჯვებისათვის, არამედ აგრეთვე დღევანდე-
ლი საზოგადოების მოწყობისათვისაც.

ამნაირათ, როგორც კი კაპიტალისტური საზოგადოება დე-
ბულობს თავის საკუთარ სახეს, ე. ი. რევოლუციური ბურჟუ-
აზია ამარცხებს ყველა მის მარჯვნივ მდგომ მტრებს, და ხელო
ივდებს სახელმწიფო სადაცეს, მაშინვე მის მარცხნივ დგება
ახალი კლასი და მას ძალა-უფლებას ედავება. რა პრინციპებით
ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში მებრძოლი პროლეტარიატი?
მთელი მისი სოციალური მსოფლმხედველობა ეპირდაპირება
სავსებით ბურჟუაზიის მიერ შექმნილ საზოგადოებრივ ურთი-
ერთობას, რომლის დედა-ძარღვი მარსია ბურჟუაზიულ სა-
წარმოვო ფორმასა და საკუთრებაში. არა-ბურჟუაზიული კლა-
სების საწარმოვო ფორმა და საკუთრება, ეს ნაშთი ძველი რე-
გიმისა, არ შეადგენს მასი ბრძოლის საგანს.

«გაუქმება საკუთრების დამოკიდებულებათა, რომელიც არ-
სებობდა დღევანდლამდე, არ არის დამახასიათებელი თვისება
კომუნიზმისა. საკუთრება განიცდიდა მუდმივ ცვლილებას, მუ-
დმივ ისტორიულ გადასხვაფერებას. საფრანგეთის რევოლუ-
ციამ, მაგ., გააუქმა ფეოდალური საკუთრება ბურჟუაზიული
საკუთრების სასარგებლოთ. კომუნიზმის ნიშნობლივი თვისე-
ბაა გაუქმება არა საკუთრებისა საზოგადოთ, არამედ გაუქმება
ბურჟუაზიული საკუთრებისა.» (მ.)

საკუთრება გლეხის, წვრილი ბურჟუაზი არის «ფორმა სა-
კუთრებისა ბურჟუაზიული საკუთრების წინანდელი.» მას აუქ-
მებს არა პროლეტარიატი, არამედ თვით ბურჟუაზია თავისი
რევოლუციური ეკონომიკით. აი ამ ეკონომიკის გარდაქმნა სო-
ციალურ საფუძველზე შეადგენს საბოლაო მიზანს მოძრაობა-
სას.

«კაპიტალისტი ნიშნავს არა მარტო პერსონალურ მდგრა-
ძეობას, არამედ აგრეთვე სოციალურ მდგომარეობას წარმოების
8. ნ. ფორდანია

სისტემაში. კაპიტალი არის კოლექტივური ნაყოფი. მდგრადიძე რავება შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალ-ღონიშური დოკუმენტის მრავალ წევრთა, საბოლაოთ, მთელი საზოგადოებისაც. მაშასადამე, კაპიტალი არ არის პიროვნული ძალა, ის სოციალური ძალაა. კაპიტალის გარდაქმნა საზოგადო საკუთრებათ, საზოგადოების ყველა წევრთა კუთვნილებათ, არ მოასწავებს პირადი საკუთრების გარდაქმნას საზოგადო საკუთრებათ. აქ მხოლოდ სხვაფერდება საკუთრების სოციალური ფორმა, ის გარგავს კლასიური საკუთრების ხასიათს.» (მ.)

ასეთია ნამდვილი კომუნიზმი. ის ახდენს სოციალიზაციას არა ყოველგვარი საკუთრების, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების, სოციალური კონომიური ფორმის. ეს ფორმა ჩნდება მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ისტორიის განსაზღვრულ საფეხურზე და განსაზღვრულ გარემოებაში. ვინაიდან რუსეთი არ შეიცავს ასეთ საზოგადოებას, არ გააჩნია ეს სოციალური ძალა, ფალბ კომუნისტებმა ხელი მიიღეს ყოველგვარ საკუთრებას და ის სახელმწიფო კუთვნილებათ გამოაცხადეს. საზოგადოება გაიძარცვა სახელმწიფო აპარატის, ე. ი. ბიუროკრატიის და კომუნისტური პარტიის სასარგებლოთ.

«ბურჟუაზიის ერაში» არსებობს ორ-ნაირი საკუთრება: უაღრესი — კაპიტალისტური, ხელქვეითი — არა-კაპიტალისტური, გლეხური და წვრილ-ბურჟუაზიული. იქ სადაც უკანასკნელი ჭარბობს პირველს, სადაც ერს მეთაურობს არა-კაპიტალისტური საკუთრება, იქ პროლეტარიატი რიცხვით მცირეა, ორგანიზაციით და მოძრაობით მოღუნებულია. ის კიდევ ტყვე არის წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიისა და არ არის წევრი კაპიტალისტური საზოგადოებისა. აქ მეფობს წვრილი ბურჟუაზიის ერა. ამ ორ სხვა და სხვანაირ საზოგადოებრივ შენობაში მომუშავე პროლეტარიატი იძყოფება სხვა და სხვანაირ სოციალურ მდგომარეობაში, განიცდის სხვა და სხვანაირათ გადაჯგუფებულ კლასთა გავლენას და ამიტომ მისი პოლიტიკური და ტაქტიკური საშუალებანი განსხვავებულია. წვრილ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პროლეტარიატის მთავარი მოპირდაპირეა არა ბურჟუაზია, არამედ ეს წვრილი ბურჟუაზია, რომელმაც ლამის ის გადაყლაპოს და თავის არხებიში გააქროს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი, პირიქით პროლეტარიატი ყლაპავს თანდათან წვრილ ბურჟუაზიას და ამ ახალი ელემენ-



წით გაძლიერებული და გამრავლებული ბურჟუაზიის მექანიკურული დავე ხდება. პირველ შემთხვევაში წვრილი საწარმოვოტჭირი მას ეზიდება ერს უკან, მამა-პაპეულ მდგომარეობისაკენ. ამ საურთხის თავიდან აცილებაში დაინტერესებულია ბურჟუაზია და პროლეტარიატი თანასწორათ. ესენი რევოლუციური კლასებია, რომელთა წინააღმდეგ დანარჩენი კლასები «რეაქციონური მასაა» (გ.). მეორე შემთხვევაში წვრილი ბურჟუაზია გადადის პროლეტარიატისაკენ და მასთან კავშირში ფიქრობს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. «ის იცავს მაშინ არა თავის დღევანდელ, არამედ მომავალ ინტერესებს. ის ტოვებს თავის საკუთარ თვალთახედვას და ითვისებს პროლეტარიატისას» (მ.) აյ ის რევოლუციონურია, და მაშასადამე ბურჟუაზია და მისი ამყოლ-დამყოლნი «რეაქციონური მასაა».

ყალბი კომუნიზმის მოძღვრებით მთელი ეს პროცესი უკუღმა წარმოებს. მისთვის რევოლუციურია რუსეთის გლეხური წვრილ-ბურჟუაზიული რეაქცია, ხოლო დასავლეთის რევოლუციური პროლეტარიატი რეაქციონურია. ამით ის აღიარებს ერთ ჭეშმარიტებას — ამ ორი სოციალური წრის სრულ შეურიგებლობას, მარა ვერ ხედავს მეორე ჭეშმარიტებას — თავის ველურობას. მართლა თქმულა: «რა ყვავი ვარდსა იშოვის თავი ბულბული კონია».

ამნაირათ, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის საერთო ინტერესია საწარმოვო ძალთა გაძლიერება, დიდი მრეწველობის დაცვა, რევოლუციური ეკონომიკის შენახვა. ძველი ეკონომიკის და კლასების წინააღმდეგ ისინი ერთ ფრონტს შეადგენენ. ისინი იყოფიან ორ შეურიგებელ ბანაკათ ახალი ეკონომიკის და მასზე აგებულ სოციალურ ურთიერთობის ნიადაგზე. პროლეტარიატის ინტერესია მისი კლასიური ბრძოლა წარმოებეს ინტენსიურათ და ნაყოფიერათ. ეს კი შეუძლებელია გარეშე თავისუფლებისა. რა არის თავისუფლება?

«თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო საზოგადოებაზე გაბატონებულ ორგანოსაგან გადაიქცეს საზოგადოების სავსებით დაქვემდებარებულ ორგანოთ.» (გ.)

ბურჟუაზია მიიღტვის ეს ორგანო ემორჩილებოდეს მხოლოდ მას და მისი საშუალებით ბატონობდეს საზოგადოებაზე. პროლეტარიატი კი, პირველით, დაინტერესებულია ის გახადოს საზოგადოების იარაღათ, მის მონა-მორჩილათ და ამ გზით

უზრუნველპყოს პოლიტიკურათ თავისი განმათავისუფლებელი მოძრაობა. მისი პოლიტიკური იდეალია დემოკრატიული რეჟიმი პუბლიკა. ასეთ სახელმწიფო წყობილებაში სავსებით თავსდება კაპიტალისტური ურთიერთობა, მაგრამ აქ ის არ არის პოლიტიკურათ უზრუნველყოფილი. ამიტომ თვითეული ნაბიჯი სახელმწიფოს დემოკრატიზაციის გზაზე გადადგმული მოპოვებულია ბურჟუაზიასთან ბრძოლით, მისთვის უფლებრივი პრივალეგიის წართმევით. ერთი ასეთი ბრძოლის მოწამე ვართ დღეს გერმანიაში, სადაც რესპუბლიკის მომხრე და მოწინააღმდეგეთა შორის დიდი შეღლია ატეხილი. ნამდვილი კომუნისტები, სოც-დემოკრატები გადაჭრით ებრძვიან რესპუბლიკის მტერთ და რადიკალურ ბურჟუაზიასთან ერთათ იცავენ არსებულ სახელმწიფო ფორმას. ყალბი კომუნისტები, ბოლშევიკები, კი პირიქით, ეკედლებიან რეაქციონერებს და მათთან ერთად იღაშერებენ დემოკრატიის წინააღმდეგ.*).

«კომუნისტები იბრძვიან მუშათა კლასის უახლოეს ინტერესების და მიზნისათვის, მაგრამ ამავე დროს აწმყო მოძრაობაში ისინი იცავენ და წარმოადგენენ მოძრაობის მომავალს. საფრანგეთში ისინი ეკედლებიან რადიკალ-სოციალისტურ პარტიას წინააღმდეგ კონსერვატიული და რადიკალური ბურჟუაზიისა; ამასთანავე ისინი იტროვებენ უფლებას კრიტიკაში ვა-ატარონ ფრაზები და ილუზიები, გადმოცემული რევოლუციური ტრადიციების მიერ. შევიცარიაში კომუნისტები ეხმარებიან რადიკალებს... პოლონეთში ისინი ეხმარებიან იმ პარტიას, რომელიც აგრარულ რევოლუციაში ხედავს ნაციონალური განთავისუფლების სამუალებას, ე. ი. იმას, რომელმაც გამოიწვია კრაკოვის რევოლუცია 1846 წ. გერმანიაში კომუნისტთა პარტია იბრძვის ბურჟუაზიასთან შეთანხმებით იმ შემთხვევაში, როცა ის მოქმედებს რევოლუციურათ წინააღმდეგ თვითმშერობელობისა, ფეოდალური მიწათმფლობელობისა და წვრილი ბურჟუაზიისა... ერთი სიტყვით, კომუნისტები მხარს უჭერენ ყოველგან რევოლუციურ მოძრაობას მიმართულს არსებულ სოციალურ და პოლიტიკური ურთიერთობის წინააღმდეგ.... კომუნისტები მუშაობენ ყველა ქვეყნის დემოკრატიულ

* ეს უკეთ აწყობილი იყო, როცა კომუნისტების წყალობით პანლენ-ბურგი პრეზიდენტათ იქნა არჩეული. (ა ვ ტ.).

პარტიული პარტიების შეთანხმების და შეერთებისათვის». (მ.)
როგორც ხედავთ მებრძოლი პროლეტარიატი მიიღოვანს ბურჟუაზიული საკუთრების სოციალისტურათ გადაქცევისას, გზადაგზა იცავს თავის მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათ, ქმნის კლასიურ ბრძოლის საწარმოებლათ შესაფერ დემოკრატიულ წყობილებას და ამ მიზნით იყენებს საზოგადოების დანარჩენ ნაწილთა ურთიერთ შორის ბრძოლას, ერთს ეხმარება, მეორეს ეომება.

ეალბი კომუნიზმი სრულიად არ ხედავს მებრძოლ ელემენტთა შორის ასეთ განსხვავებას. მან შეითვისა სეტარტური აზრი, რომლის თანახმათ ის ეშმაკეულათ აცხადებს ყველას, გარდა ბოლშევკიკებისა. ამით ის პროლეტარიატის მოძრაობას ასუსტებს რა, აძლიერებს მის მტერთა მოძრაობას. მან რუსის ხალხი გამოაცხადა ნორმალურ ხალხათ, აღთქმული ქვეყნის ერთათ ერთ მობინადრეთ, მისი ჩამორჩენილობა და შპულტურობა მისაბაძ ღირსებათ. მან პირწმინდათ განიმეორა მე-40 წლების გერმანიის «ჭეშმარიტი სოციალიზმისა მოძღვრება, რომლის შესახებ მარქსი სწერს:

«ის ტრადიციულ წყევლა-კრულვას უკავნიდა ლიბერალიზმს, კონსტიტუციურ სახელმწიფოს, ბურჟუაზიულ კონგრენციას, პრესის ბურჟუაზიულ თავისუფლებას, ბურჟუაზულ უფლებას, ბურჟუაზიულ თავისუფლებას და თანასწორობას. ის უქადაგებდა ხალხს, რომ ამ ბურჟუაზიული მოძრაობით არა თუ მოიგებს რასმეს, პირიქით უველავერს დაკარგავს. გერმანულ სოციალიზმა მხოლოდ დაივიწყა, რომ ეს ფრანგული კრიტიკა, რომელსაც ის საწყლათ იმეორებდა, გულისხმობდა არსებობას თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისა, მისი შესაფერი საარსებო მატერიალური პირობებით და პოლიტიკური კონსტიტუციით, სწორეთ იმის, რაც გერმანიასათვის ჯერ კიდევ მოსაპოვებელი იყო.... ეს ჭეშმარიტი სოციალიზმი წარმოადგენდა პირდაპირ რეაქციონურ ინტერესებს, ინტერესებს წვრილი ბურჟუაზიისა». (მ.)

ბურჟუაზიას ებრძვის არა მარტო პროლეტარიატი, არამედ წვრილი ბურჟუაზიაც, ეს ნაშთი ძველი საზოგადოებისა პირველი დგას დიდი ინდუსტრიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე და მას ავითარებს ბოლომდე, მთელი ერის სასარგებლოთ. მეორე კი უარსყოფს მთელ ამ მიმდინარეობას და

იხევს უკან დრომოჭმულ სოციალური შენობისაკენ უწრევე ჟან-
ბრძოლა წარმოებს სოციალიზმის და კომუნიზმის დღისშემოქმედ
წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალისტურ მოძრაობას მეთაურობ-
და საფრანგეთში, მარქსის მოწმობით, სისმონდი, გერმანიაში
და გეინცე, ხოლო დღეს რუსეთში ლენინი და მისი მოწაფე ბოლ-
შევიკები. ამ ორგვარ ბრძოლას შორის ერთია რევოლუციური,
მეორე რეაქციონური. მათ შორის საერთო არა არის რა.

3. სოციალური რევოლუცია

რაკი პროლეტარიატის და წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლა
ბურჟუაზიის წინააღმდეგ შიმდინარებს სხვა და სხვა გზით,
მიზნით და საშუალებით, ცხადია მათი სოციალური რევოლუ-
ციაც არ შეიძლება ერთნაირი იყოს. და მართლაც, ყალბი კო-
მუნიზმის მოძღვრებით საკმარისია მთავრობის ხელში ჩაგ-
დება რაიმე მოხერხებით, რომ სოციალურ რევოლუციამ იფეთ-
ქოს. ქვეყანა რაც უფრო ჩამორჩენილია, ე. ი. რაც ნაკლებათაა
განვითარებული მრეწველობა და პროლეტარიატი, მით უფრო
მეტ ნიადაგს იძლევა ასეთი გადატრიალებისათვის. ამიტომ ბო-
ლშევიკების მუშაობა განსაკუთრებითი ძლიერებით წარმოებს
აზიაში, სლავიანთა ქვეყნებში, აფრიკაში, საზოგადოთ, მეშ-
ჩანთა და გლეხთა სამეფოში. აი აქ ადვილია სუსტი ბურჟუ-
აზიის წაქცევა, მრეწველობის დაქცევა და ძველი კაი დროის
მობრუნება.

ჰემარიტი კომუნიზმი, მარქსისტული სოციალიზმი, სო-
ციალურ რევოლუციის შესაძლებლობას აფექტებს კაპიტალიზ-
მის არა ნაკლებ განვითარებაზე, არამედ მის უმწვერვალესათ
განვითარებაზე, და აქედან გამოწვეულ საზოგადოების ახალ
დანაწილებაზე. ყველაზე უფრო ინდუსტრიალური სახელმწიფო
ყველაზე უფრო მომწიფებულია სოციალიზმისათვის. ბურჟუ-
აზიის ეკონომიკური მუშაობა ამზადებს მომავალი საზოგადო-
ების ნიადაგს.

«ბურჟუაზია არსებობს მხოლოდ იმით, რომ შეუჩერებლივ
რევოლუციას ახდენს შრომის იარაღში, ე. ი. წარმოების წე-
სებში, ე. ი. საზოგადოების ყოველნაირ დამოკიდებულებაში.
ძველი საწარმოვო წესების შენახვა იყო, პირიქით, არსებობის
პირველი პირობა ყველა წინანდელი სამრეწველო კლასების.



ბურუუაზიის ეპოქას ანსხვავებს წინანდელ ეპოქათაგან ჰუმანიტარული მოვო წესების მუდმივი რღვევა, სოციალური სისტემის შეუძლიერებელი ჩერებლივი რევოლუციური მუდმივი აგიტაცია და საშიშროება». (მ.)

ამ მოძრაობას ებრძვის პირველ ყოვლისა ძველი საწარმოვო ფორმის მატარებელი კლასები.

«შეათანა კლასები, წვრილი ფაბრიკანტები, შეწვრილმაღალენი, გლეხები ებრძვიან ბურუუაზიას იმიტომ რომ ის საშიშარ მდგომარეობაში აგდებს მათ როგორც შუათანა კლასს. მაშასა-დამე ისინი არ არიან რევოლუციონერები, ისინი კონსერვატო-რებია, კიდევ მეტი, ისინი რეაქციონერებია. ისინი თხოვენ ის-ტორიის ბორბლის უკან გადაბრუნებას». (მ.)

შავრამ ამ განწირულ კლასებს ისტორია არ სწყალობს, კაპიტალის ძლიერებას ვერ უმკლავდებიან და კოტრდებიან.

«წვრილი ბურუუაზია, წვრილი ფაბრიკანტები, ვაჭრები, წვრილი რანტიები, ხელოსნები და გლეხები ვარდებიან პრო-ლეტარიატში. ამის მიზეზია ერთი მხრით ის, რომ მათი პატა-რა კაპიტალი ნებას არ აძლევს აამუშავოს დიდი ინდუსტრიის საშუალებანი და მით მარცხდება დიდ კაპიტალისტებთან კონ-კურენციაში, ხოლო მეორე მხრით მათი სპეციალური ხელვანო-ბა ფასდაკარგულია ახალი საწარმოვო ფორმით. ამნაირათ, პროლეტარიატი ივება მცხოვრებთა ყველა კლასებისაგან». (მ.)

აშკარაა, ბურუუაზია ანგრევს არა მარტო ფეოდალთა კლასს, ბოლოს უდებს არა მარტო თავად-აზნაურობის პარპაშობას, მათთან ერთათ არღვევს შუათანა კლასებსაც.

«საშუალო საუკუნოების წვრილი ბურუუაზია და წვრილი გლეხები იყვენ თანამედროვე ბურუუაზიის წინამორბედნი. იმ ქვეყანაში, სადაც ვაჭრობა და მრეწველობა სუსტათ განვითა-რებულია, ეს კლასები სულ დაფავენ გაფურჩქნული ბურუუა-ზიის გვერდით». (მ.)

ამგვარათ, კაპიტალისტური წარმოების გაძლიერება იწვევს საზოგადოების გულში ძირითად სოციალურ გადასხვაფერებას. აქ ისბობა ძველი გაბატონებული წოდება და მისი მიწათმფლო-ბელობა, ირლვევა მისი თანამგზავრი ძველი მწარმოებელი კლა-სები და მათი საწარმოვო ფორმა. მათ ნანგრევშე იზრდება და ძლიერდება ორი თანამედროვე კლასი — ბურუუაზია და პრო-ლეტარიატი. ამათ შორის გაჩხირული წრეები აღარ არიან ძვე-ლი საშუალო კლასები; ესენი რამდენათ ძველი ნაშთია — სული

ქბილით უჭირავთ და სავსებით დამოკიდებული არიან აზალ
საწარმოვო ფორმაზე. მათი საკუთარი საწარმოვო შესტენი ჰყავს
ნადგურებულია. მაგრამ ამათ გარდა არსებობს პატარების შესტენი
მიკაზე აღმოცენებული საშუალო კლასები, ორ მთავარ კლასს
შორის მომწყვდებული.

«იმ ქვეყანაში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია აყვავე-
ბულია, დაიძალა ახალი კლასი წვრილ ბურჟუათა, რომელიც
ქანაობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის; ის, დამა-
ტებითი ნაწილი ბურჟუაზიული საზოგადოებისა, მუდამ ახლათ
დგება. მისი მონაწილე პიროვნებანი შეუჩერებლივ ცვივდებიან
პროლეტარიატში როგორც კონკურენციის, ისე და განსაკუთ-
რებით, აგრეთვე დიდი წარმოების პროგრესიული მსვლელობის
მეოხებით. ისინი ხედავენ იმ დროის მოახლოვებას, როცა სავ-
სებით გაქრებიან როგორც დამოკიდებული ნაკვეთი თანამედ-
როვე საზოგადოებისა და შეიცვლებიან ვაჭრობაში და მრეწ-
ველობაში თავმდგმურებით, ნოქრებით და მიწის მუშებით». (მ.)

როგორც ხედავთ, მთელი პროცესი კაპიტალისტური წარ-
მოებისა და საზოგადოებრივი დაფურენციაციისა მოდის პრო-
ლეტარიატის სასარგებლოთ. მხოლოდ ეს კლასი მრავლობს,
იზრდება და მაგრდება. ყველა დანარჩენი ირლევა და კვდება.

«ყველა კლასებში, რომელიც ბურჟუაზიას ეპირდაპირება,
მხოლოდ პროლეტარიატია რევოლუციური კლასი; სხვა კლა-
სები იღუპებიან დიდი ინდუსტრიის განვითარებით, პროლეტა-
რიატი კი, პირიქით, მისი საკუთარი ღვიძლი შვილია». (მ.)

მომაკვდავი კლასები ხედავენ, რომ უკან დახევა და ძევლი
საწარმოვო ფორმის აღდგენა შეუძლებელი ხდება; დიდი ინ-
დუსტრიის ბატონობა ისეთი საყოველთაო და ძირმაგარი ჩნდე-
ბა, რომ შეათანა კლასების დამოკიდებელ არსებობაზე ფიქ-
რიც კი აღარ შეიძლება. ერთათერთი მათი გამოსავალია —
პროლეტარიატის მხარეზე გადასვლა და მისთვის ბრძოლაში
დახმარება. ამ შემთხვევაში მათი მოქმედება რევოლუციურია.

«თუ ისინი რევოლუციურათ მოქმედებენ, ეს პროლეტარია-
ტიში გადავარდნის შიშით. ამ შემთხვევაში ისინი იცავენ თავის
მომავალ და არა აწმყო ინტერესებს; ისინი ტოვებენ თავის სა-
კუთარ თვალთახედვას და ითვისებენ პროლეტარიატისას» (მ.)

და ასე, პროლეტარიატის სოციალური დროშის ქვეშ დგება
ერის დიდი უმრავლესობა. მისი იდეოლოგია და ბრძოლის სა-

შუალებანი ბატონდება ყველა უქმაყოფილო წრეებში და ამით
კაპიტალისტურ საზოგადოების კრიზისი ახლოვდება.

როგორც ხედავთ სოციალური რევოლუციის შამი ინკვება
მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ე. ი. იქ სადაც მთე-
ლი ერის ეკონომიკური საქმიანობა აგებულია კაპიტალისტურ
ნიადაგზე, მაშასადამე ძველი ეკონომიკური ფორმები მომსპა-
რია, ძველი საშუალო კლასები საბოლაოთ დამარცხებულია და
იძულებული არიან თავი ირჩინონ ახალი ეკონომიკური ფორ-
მით. პროლეტარიატი მრავალრიცხვანია და მეთაურობს ბურ-
უჟაზით უქმაყოფილო საზოგადოებას. მთელი ერი იყოფა ორ
მეტ-ნაკლებ ბანაკათ — ერთი მხრით დგას მცირე რიცხვი ბურ-
უჟაზისა, მეორე მხრით კი მთელი დანარჩენი ნაწილი ერისა.

მარა არც ასეთი დანაწილება კმარა გამარჯვებისათვის. სა-
ჭიროა თვით გაბატონებული კლასიდანაც მიემხრონ პროლეტა-
რიატს და დადგენ სოციალიზმის ღროშის ქვეშ.

იმ დროს, როცა კლასთა ბრძოლა უახლოვდება გადამწყ-
ვეტ მომენტს, გაბატონებული კლასის, მთელი საზოგადოების
დარღვევის პროცესი ისე მკაცრათ წარმოებს, რომ ერთი ნა-
წილი გაბატონებული კლასისა შორდება თავის კლასს და ემხ-
რობა რევოლუციურ კლასს, რომელიც წარმოადგენს მომა-
ვალს». (მ.)

აი ასეთ პირობაში იქმნება ისეთი საზოგადოებრივი მდგო-
მარება, როცა შესაძლებელი ხდება «რამდენიმე უზურპატორის
ეკსპროპრიაცია ხალხის მასის მიერ».*)

ამნაირათ, ერთ მუჭა კაპიტალისტებს ეპირდაპირება მთელი
ერი პროლეტარიატის სოციალისტურ დროშის ქვეშ თავმოყრი-
ლი. ხალხი აღიარებს ერთათერთ გამოსავალათ სოციალიზმს,
ერთათერთ მაღამოთ სოციალისტური მრეწველობის დამყა-
რებას. რევოლუცია ჩაღდება.

«პირველი ეტაპი მუშათა რევოლუციისა შეიცავს პროლეტა-
რიატის გამოცხადებას მართველ კლასათ, ძალა-უფლების დაპყ-
რობას დემოკრატიის მიერ». (მ.)

აქ პროლეტარიატი და დემოკრატია ერთი და იგივეა. ერთის
გამარჯვება ნიშნავს მეორის გამარჯვებას. რატომ? ცხადია რა-
ტომ — რაკი პროლეტარიატი შეიცავს ერის უმრავლესობას,

*) „კაპიტალი“, ტ. I.

რაკი პროლეტარულ მდგომარეობაშია ჩაყენებული ამ უმრავ-
ლესობის გარეშე დარჩენილი მასის ნაწილები, ყმუქართვულობა
ლეტარიატი ხალხია, ხალხი პროლეტარიატია პროლეტარიატი
ატი აღარ ეპირდაპირება დემოკრატიას, პირიქით, ის თვით
არის დემოკრატია, ის თვით არის დემოკრატიზმის მატარე-
ბელი და განმახორციელებელი. მისი «მართველ კლასათ გადაქ-
ცევა», მისი დიქტატურა, მოასწავებს ხალხის მართველ ძლა-
სათ გადაქცევას, დემოკრატიის დიქტატურას.

ამიტომ «პროლეტარიატის მოძრაობა არის მოძრაობა დიდი
უმრავლესობისა დიდი უმრავლესობის სასარგებლოთ» (მ.).
ამით ის ნსხვავდება ყველა წინანდელი რევოლუციური მოძრა-
ობისაგან, რომელსაც მეთაურობდა «უმცირესობა უმცირესო-
ბის სასარგებლოთ». ასეთი იყო მაგალითად საფრანგეთის დი-
დი რევოლუცია, ასეთია რუსეთის რევოლუცია. განსხვავებაა
მათ შორის ის, რომ რუსეთში ეს «უმცირესობა» კომუნისტურ
პარტიამდე ჩამოქვეითდა, საფრანგეთში კი ეს შეიცავდა მთელ
კლასს ბურგუაზიისას სხვადასხვა პარტიებათ დაყოფილს. მა-
შასადამე, პრინციპი დიქტატურისა კი არ არის სადაო, არამედ
ის თუ ვინ დიქტატორობს, უმცირესობა თუ უმრავლესობა,
ჯგუფი თუ დემოკრატია. საფრანგეთში დიქტატორობდა ბურ-
უაზია, რუსეთში ბოლშევიკური პარტია, ხოლო პროლეტა-
რულ რევოლუციაში იდიქტატორებს დემოკრატია, ერთს დიდი
უმრავლესობა, პროლეტარიატათ გადაქცეული.

არა-კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც პროლეტარი-
ატი მცირეა, ხოლო შუათანა კლასები გაბატონებულია, პრო-
ლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს უმცირესობის ბატონობას
უმრავლესობაზე, ე. ი. დესპოტიას, ტირანიას, რაიცა თავდება
დამორჩილებული ხალხის აჯანყებით პროლეტარიატის წი-
ნააღმდეგ. ასეთ საზოგადოებაში «პროლეტარიატის დიქტა-
ტურა» რეაციონური პრინციპია. ბოლშევიკებმა ამას შემო-
უარეს იმით რომ გამოიგონეს ახალი ცნება — «მუშა-გლეხის
ხელისუფლება». ამით ვითომ შეავსეს პროლეტარიატის სიმ-
ციონე გლეხთა სიმრავლით. ამით მარქსიზმს კიდევ უფრო და-
შორდებ. ასეთი ტერმინი მეცნიერულ სოციალიზმშა არ იცის,
ის წმინდა რუსული გამოგონებაა. «პროლეტარიატის და გლე-
ხობის დიქტატურა» არაფრით არ გავს მარქსის «პროლეტა-
რიატის დიქტატურას». რატომ? იმიტომ რომ მარქსის აზრით

პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს დემოკრატიის დაქტიფურულება ტურას, ე. ი. პროლეტარიატია ხალხი, ხოლო მცირე როგორიცაც გლეხი-მესაკუთრისა ან მას მისდევენ ანდა განზე რჩება. თუ გლეხობაა დიდი უმრავლესობა, როგორც მაგალითად რუსეთში, იქ არავითარი სოციალური რევოლუცია არ შეიძლება და მაშასადამე არც სოციალისტური დიქტატურა პროლეტარიატისა. აქ შეიძლება მხოლოდ ერთი დიქტატურა — გლეხურწვილ ბურჟუაზიული, მიმართული სამრეწველო ბურჟუაზიის და მთელი მისი ეკონომიკის წინააღმდეგ. ეს რეაქციონური დიქტატურაა.

როგორ წარმოებს სოციალური რევოლუცია, როგორია მისი პირველი ნაბიჯები?

როგორც ვიცით საკუთრება წინა-კაპიტალისტური, გლეხის და ხელოსანის არ შეადგენს საგანს სოციალიზაციისა. მხოლოდ კაპიტალისტურ ურთიერთობაზე შექმნილი საკუთრება, ე. ი. საკუთრება, რომელიც უკვე მუშავდება საზოგადო ძალ-ლოით, ხოლო ნაყოფი ითვისება კერძო პირის მიერ, უქმდება და მას სავსებით საზოგადოება ეპატრონება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქონების ცხრა მეათედი სწორეთ ასეთი საკუთრებაა. არა-კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი პირიქით ბურჟუაზიული საკუთრება გამონაკლისია, წინა-კაპიტალისტური ქონება კი საზოგადო მოვლენაა.

ბურჟუაზიული საზოგადოების ძარღვია კაპიტალი, ე. ი. ასეთი ქონებრივი ძალა, რომლის საშუალებით შესაძლებელია პროლეტარიატის პირდაპირი, ხოლო წვრილ მესაკუთრეთა არა-პირდაპირი ექსპლოატაცია.

«კაპიტალი არის ნაყოფი ადამიანთა კრებულის. მისი ამუშავება შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალ-ლოით საზოგადოების მრავალ წევრთა, კიდევ მეტი, საბოლაოთ საზოგადოების ფერა წევრთაც. მაშასადამე, კაპიტალი არ არის პერსონალური ძალა, ის სოციალური ძალაა». (მ.)

ეს სოციალური ძალა უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოებას და არა კერძო პირთ. იქ სადაც ქონებას ჯერ კიდევ არ მიუღია ასეთი ფორმა, სადაც ის კიდევ ინდივიდუალურ ძალას წარმოადგენს, ცხადია იქ არ შეიძლება სოციალიზმის განხორციელება. წარმოება უნდა იყოს უკვე განსაზოგადოებული, მრავალ მუშათა მიერ ამუშავებული, რომ შესაძლებელი გახდეს მისი

ნაყოფის განსაზოგადოება. «სხვაფერდება მხოლოდ ჰქონდება» რი ხასიათი საკუთრებისა, ის კარგავს კლასის საჭიროებას ჩამო სიათს» ((.). «სოციალური ხასიათი საკუთრებისა» არის კაპიტალი, რომელიც იქცევა «ფულათ, მიწა-ადგილათ, ერთი სიტყვით მონოპოლიურ სოციალურ ძალათ», რომლის საშვალებით იმონება ადამიანი.

ცხადია, კაპიტალი არ არას ეს თუ ის ნივთი, ეს თუ ის ტომარა ფული, ეს თუ ის ქარხანა, ბანკი, მიწა-ადგილი — ყველა ეს მხოლოდ გარეგანი ნაწილობრივი გამოხატულებაა კაპიტალისა. თქვენ შეგიძლიათ ყველა ეს მოსპოთ, დაანგრიოთ, მარა ეს კიდევ არ ნიშნავს კაპიტალის მოსპობას, მისი ძლიერების გაუქმებას. ამის კლასიკური მაგალითია ბოლშევიკური რუსეთი, სადაც მიუხედავათ ძირიანათ დანგრევისა, ადამიანის ექსპლოატაცია არა თუ დაინგრა, პირიქით კიდევ უფრო გაძლიერდა და გამკაცრდა. ბრიყვ ბოლშევიკებს კაპიტალი ევრინათ მისი გარეგანი გამოხატულება; მათ დაანგრიეს მხოლოდ ისარი საათისა, მექანიზმი კი ზელუხლებელი დარჩა; უკანასკნელის დარღვევა კი მათ არ შეეძლოთ, ვინაიდან ის არ არის დასარღვევათ მომწიფებული. კაპიტალი — ეს საზოგადოებაში ამუშავებული სოციალური ძალაა, დღეს კაპიტალისტთა სამსახურში მყოფი, ხეალ კი საზოგადოების სამსახურში შემსვლელი. უკანასკნელ შემთხვევაში ის უკვე აღარ არის კაპიტალი, ის რჩება მხოლოდ საზოგადოებრივ ძალათ.

ამნაირათ, სოციალიზმის მიზანია გაუქმება არა ამა თუ იმ კერძო ფაბრიკის და ქარხნის, არამედ კაპიტალისტური სისტემის, ე. ი. ისეთი ეკონომიური წყობილების, სადაც ქონება ხდება საშუალებათ ადამიანის ექსპლოატაციის და დამორჩილებისა. აქედან წარმოსდგება სოციალური ამოცანა: შექმნა ისეთი სამრეწველო ეკონომიკის, როცა ქონება ვერ გახდება კაპიტალათ. ბოლშევიკებმა ამ საკითხსაც, ისე როგორც ყველა დანარჩენს, ველურათ მიუღებ; კერძო პირთ ჩამოართვეს მრეწველობა და გამოაცხადეს ამით კაპიტალისტური სისტემა მოვსპეთოთ, ნამდვილათ კი ეს სისტემა ოდნავათაც არ გაქანებულა. მან გამოიცვალა მხოლოდ მეპატრონე, კერძო პირის ალაგას; ჩადგა სახელმწიფო და ყველეულს მუშას და მთელ ხალხს გაცილებით უფრო უარესათ, ვინემ ეს ხდება ბურჟუაზიის მიერ. კაპიტალის ბუნება ძალაში რჩება.

ნამდვილი კომუნიზმი ამ ამოცანას სწყვეტავს სრულიად სხვანაირათ. ის იწყებს ფესვებიდან, კაპიტალიზმის ძირისა და ნეღა, მარა მეთოდიურათ თხრის მას. მრეწველობის განაზაზოგადოება ბუნებრივი შედეგია ამ პროცესის. ხდება სოციალიზაცია არა მრეწველობის, არამედ მისი ეკონომიური საფუძველის — კრედიტის და მიწა-ადგილის. კრედიტის როლი ისე ცხადია, რომ ეს არ საჭიროებს განმარტებას. რაც შეეხება კაპიტალისტურ მეურნეობას — ეს თვით კაპიტალიზმის ძირითადი გამოხატულებაა. «მიწის საკუთრების მონოპოლია თითქმის საფუძველია კაპიტალის მონოპოლიის», სწერს მარქსი. (გ.) შრომის უმთავრესი იარაღი მიწაა. ამასთან შედარებით შრომის სამრეწველო იარაღები მცირე დირსებისაა. რატომ? ცხადია რატომ — მანქანას აკეთებს ადამიანი, შეიძლება მისი გამრავლება; მიწა კი მოცემულია ბუნებისაგან,. მთელი ქვეყანა რომ დაეხვიოს ამ ბუნებრივ სიმდიდრეს ერთ არშინ მიწას ვერ მიუმატებს. მიწა მონოპოლიური ხასიათისაა და ვის ხელშიაც ის არის თავმოყრილი — უდიდესი მონოპოლისტიც ის არის.

ახლა ადვილი მისახვედრია ის, თუ რა ზომები უნდა იყოს მიღებული პირველ რიგში სოციალიზმის გზაზე.

«ეს ზომები, რასაკეირველია, სხვა და სხვა უნდა იყოს სხვა და სხვა ქვეყნებში. მაგრამ ყველაზე უფრო წინ წაწეულ ქვეყნებში, შემდეგი ზომების მიღება შეიძლება საზოგადოთ:

«1. მიწის საკუთრების ექსპროპრიაცია და საადგილ-მაჟულო რენტის კონფისკაცია სახელმწიფოს სასარგებლოთ;

«2. მეტათ პროგრესიული გადასახადი;

«3. გაუქმება მემკვიდრეობის;

«4. კონფისკაცია ემიგრანტთა და აჯანყებულთა საკუთრების;

«5. ცენტრალიზაცია კრედიტის სახელმწიფოს ხელში ნაციონალური ბანკის საშვალებით სახელმწიფო კაპიტალით და მონოპოლიური უფლებით;

«6. გამრავლება სახელმწიფო მრეწველობის და წარმოების იარაღების; დამუშავება უყი მიწების და გაუმჯობესობა დამუშავებული მიწების ერთი საზოგადო სისტემის თანახმათ;

«7. სავალდებულო შრომა ყველასთვის, სამრეწველო ჯარის ორგანიზაცია, განსაკუთრებით მეურნეობისათვის;

«8. სამრეწველო და სამეურნეო შრომის ისეთ ნაირათ კომ-
ბინაცია, რომ გაქრეს განსხვავება ქალაქს და სოფელს-შერის;»

«9. ყველა ბავშვთა საზოგადო და მუქთი აღზრდა; ხაუშურა-
შრომის გაუქმება ფაბრიკაში, როგორც ეს დღეს ხდება; აღზრ-
დის შეერთება ნიკოლერ წარმოებასან და სხ. და სხ.» (მ.).

ამ ყველა ის ზომები, რომელიც უნდა მიიღოს გამარჯვე-
ბულ პროლეტარიატმა «ყველაზე უფრო წინ წაწეულ ქვეყანა-
ში», როგორც მაგ. ინგლისი და შეერთებული შტატებია. არც
ერთი მუხლი ამ ზომებისა არ ითხოვს სამრეწველო დაწესე-
ბულების კონფისკაციას. მრეწველობა რჩება კერძო პირთა
ხელში, მაგრამ მას ეცვლება სამუშაო კალაპოტი. მის ხელში
აღარ არის არც მიწა, არც კრედიტი – ეს ორი მთავარი წეა-
რო მისი არსებობისა. ამით ის ხდება დამოკიდებული პროლე-
ტარულ სახელმწიფოზე და ხდება შესაძლებელი მისი თანდა-
თანი განსაზოგადოვნება, მრეწველობის დაუნგრევლათ, წარმო-
ების შეუჩერებლათ.

ასეთი სათუთი მოპყრობა მრეწველობისადმი – ძირითადი
თვისებაა პროლეტარული სოციალიზმისა, რომელიც აგებუ-
ლია მხოლოდ სამრეწველო საფუძველზე. მიწა-ადგილი ის ასე
სათუთათ არ ეპყრობა, ვინაიდან ვერავითარი კონფისკაცია
ვერ დაანგრივს ამ ქონებას; აյ მხოლოდ შრომის ორგანიზაცია
შეიძლება დროებით შეირყას და ამიტომ «მანიფესტი» განსა-
კუთრებით ყურადღებას აქცევს სამეურნეო მუშაობის აწყობას,
რაც, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ სა-
ფაბრიკო მუშაობის აწყობა.

ყალბი კომუნიზმი, როგორც იცით, სავსებით უკუღმა მუ-
შაობს. მან თავისი «სოციალიზმი» სწორეთ მრეწველობის კონ-
ფისკაციით დაიწყო. შედეგი ცნობილია. ქვეყანა დაექანა უკან,
ბარბაროსობისაკენ. უდიდესი სოციალური რეაქცია გამოიტანეს
უდიდეს სოციალურ რევოლუციათ!

როცა ბარბაროსი გერმანელები რომის იმპერიას შეესია,
დაიწყეს პირველ ყოვლისა ქალაქების დანგრევა. ტყის ხალხს
ტყე ურჩენოდა. როცა რუსის ბარბაროსები – ბოლშევიკები –
შეესიენ რუსეთს, დაიწყეს მრეწველობის დანგრევა, პროლეტა-
რიატის დარღვევა და ხმალის რეესიმის დამკვიდრება. ველურს
ველურობა ურჩევნია.

თავის თავათ ცხადია, თუ ეს ფრთხილი ზომები მისაღებია
98

«კველაზე უფრო წინ წაწეული ქვეყნისათვის», უკან ჩამოწეული რეჟისორი ნილისათვის ხომ ესეც შეუძლებელია, აქ ეს ზომები უნდა გრძელი ბევრდეს და ხანგრძლივი პროცესით შეიცვალოს. რაც შეეხება რუსეთს, ის არა თუ უკან ჩამორჩენილი სამრეწველო ქვეყანაა, ის სრულიად არ არის სამრეწველო ქვეყანა და აქ არც ეს ზომებია გამოსაყენებელი, არც სოციალისტური პროცესი. ის იმ-ყოფება ბურუჟუაზიულ რევოლუციის ხანაში.

4. პომენისტური საზოგადოება

რაკი კომუნისტური საზოგადოება იბადება კაპიტალისტური საზოგადოებისაგან, ცხადია ეს ახალი დაბადებული თან ატარებს მშობლის მრავალ თვისებებს. ის იყვებება დედის ძუძუთი, მემკვიდრეობით დებულობს ძველ ნორმებს.

«ამ ხანაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც განვითარდა არა საკუთარ საფუძველზე, არამედ, პირიქით, გამოვიდა კაპიტალისტური საზოგადოებისაგან. მაშასადამე, ის კიდევ ყოველმხრივ, ეკონომიკურათ, გონიეროვათ, ზნე-ჩვეულებით, მიჯაჭვულია ძველი საზოგადოების საშორებების საიდანაც ის მოდის». (გ.)

საზოგადოება თავის თავს ვერ გადაახტება. ის მუშაობს შპერ შეთვისებულ სოციალური სფეროს ფარგლებში. რევოლუციური მუშაობა აქ იხატება იმაში, რომ ამ ფარგლებში პროლეტარიატი ამყარებს საკუთრების ახალ ფორმას.

«ძველი ბურუჟუაზიული საზოგადოების აღავას, მისი კლასებით და კლასთა განხეთქილებით, დგება ასოციაცია, სადაც ოვითეულის თავისუფალი განვითარება არის. პირობა ყველას თავისუფალი განვითარებისა». (მ.)

ეს ასოციაცია თავის წარმოებას აყენებს ბურუჟუაზიის ძირითად უფლებაზე – თანასწორობაზე, რაიცა არსებითად ნიშნავს უთანასწორობას. მუშა იღებს იმდენს რამდენსაც თვითონ აკეთებს (ზოგი ხარჯის გამოკლებით), აქ მეფობს სრული თანასწორობა ასოციაციის წევრთა შორის, მაგრამ ვინაიდან ერთს შეუძლია მეტი გააკეთოს, მეორეს ნაკლები, ერთს ცოლშვილი ფავს, მეორე მარტოზელაა, ცხადია თანასწორობა დარღვეულია.

«თანასწორობა მდვომარეობს იმაში, რომ შრომა იზომება

თანასწორი საზომით, მარა ერთი სჯობს მეორეს ფიჩიგურათ
ან გონებრივათ; მას მეტი ნაყოფის მოცემა შეუძლია... მნ, მარ
ნასწორი უფლება არის უთანასწორო უფლება უთანასწორო
შრომისთვის. ის არ სცნობს კლასთა განსხვავებას, ყველა ერთ-
ნაირი მუშებია. მაგრამ ის სცნობს თავისთვის უთანასწორო
პირად ნიჭს და აქედან წარმომდგარ შრომის უნარს ბუნებ-
რივ პრივილეგიათ. ეს არის შინაარსით უთანასწორო უფლება,
როგორც ყველა უფლება». (გ.)

«თანასწორი უფლება აქ პრინციპიალურათ იგივეა რაც ბურ-
ჟუაზიული უფლება», მაგრამ ის აუცილებელია წარმოების შე-
ნახვისათვის. როგორც კი ამ უფლებას ფეხს გადააბიჯებ და
გამოაცხადებ — მოდით ყველამ თანასწორათ დაირიგეოთ, რო-
გორც ეს ბოლშევიკებმა მოიმოქმედეს თავის ბატონობის პირ-
ველ ხანაში, იკარგება სტიმული მუშაობისა, ზარმაცობა ცხად-
დება სათხოებათ და მით ინგრევა ასოციაცია, ირლვევა მთელი
კომუნისტური საზოგადოება, სოციალისტური ეკონომიკა შე-
უძლებელი ხდება. და თუ მაინც მოიხდომეს ამ დარღვევის შე-
ჩერება, ხმლის რეჟიმი წესდება, შრომის მილიტარიზაცია ჩაღ-
დება, მუშა ხელისუფლების მონობაში ვარდება — ერთი სიტყ-
ვით კომუნიზმის აღავას ბოლშევიზმი მფარდება.

იტყვიან: თუ ერთი მეტს მიიღებს, მეორე ნაკლებს, რა და-
უშლის პირველს სიმდიდრე დააგროვოს და კაპიტალათ აქცი-
ოს. და სწორეთ ეს არ შეიძლება მოხდეს. სიმდიდრე თავის თა-
ვათ არ იქცევა კაპიტალათ, ამ გზით არ იძალება კაპიტალის-
ტური წყობილება. წინააღმდეგ შემთხვევაში — კაპიტალი და
კაპიტალიზმი მუდამ იქნებოდა. ნამდვილათ კი ვერც ძველ და
ვერც სამუალო საუკუნოების სიმდიდრემ კაპიტალიზმი ვერ
წარმოშვა. ძარღვი კომუნისტურ წყობილებისა არის ის, რომ
ქონება კაპიტალათ, ე. ი. სხვისი ექსპლოატაციის იარაღათ ვერ
გადაიქცევა. ამ მხრივ ის ემსეგვება ყველა დანარჩენ წინა-კა-
პიტალისტურ ეპოქებს, ხოლო შინაარსით და წარმოების წე-
სით მათგან განირჩევა.

«ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვეინდა გაუქმება პირადი
მითვისების შრომის ნაყოფის, რომელიც აუცილებელია ადა-
მიანის სიცოცხლის შენახვის და განგრძობისათვის. ეს მითვი-
სება არ იძლევა არავითარ წმინდა მოგებას ისეთს, რომ მან და-
ბადოს ძალა-უფლება სხვის შრომაზე». (მ.)

რასაკვირველია, უთანასწორო მითვისება არ არის იდეალი, ის ერთნაირი ბოროტებაა, მარა აუცილებელი, შედეგი ეჭირნი ცნული მიური მდგომარეობის.

«ეს ნაკლულევანება დაუძლეველია კომუნისტური საზოგადოების პირველ ხანაში, რომელიც იშვა ხანგრძლივი მშობიარების ტკივილების შემდეგ კაპიტალისტური საზოგადოებისაგან. უფლება ვერასოდეს კერ ამაღლდება საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის და ამით განსაზღვრულ მის კულტურულ მდგომარეობის მაღლა». (გ.)

ყალბი კომუნიზმის თანდაყოლილი დანაშაულობაა სწორეთ ამ ძირითადი დებულების უკუგდება. ის ქმნის ისეთ უფლებას, რომელსაც არავითარი ბაზა არ აქვს არც ეკონომიკაში, არც კულტურაში. მის უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობას შორის არავითარი კავშირი არ არის და მით თან ატარებს თავისავე დარღვევას.

მარქსიზმი, პირიქით, უფლებას უმორჩილებს ეკონომიკას, თუნდაც ეს უფლება არხი-ბურჟუაზიული იყოს. ის აგებს თავის შენობას. ისტორიულათ ბოძებულ საწარმოვო მდგომარეობაზე და ცდილობს ეს მდგომარეობა ჯერ განავითაროს, გააძლიეროს და შემდეგ ამისდამიხედვით მისი უფლებრივი ზედშენობაც სცვალოს.

როდის არის შესაძლებელი ბურჟუაზიული უფლების კომუნისტური უფლებით შეცვლა? როდის შეიძლება მწარმოებელს მიეცეს არა მარტო თანახმათ მისი შრომისა, არამედ აგრეთვე თანახმათ მისი მოთხოვნილებისა? ეს შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, «როცა შრომის დაყოფით გამოწვეული ადამიანის დამორჩილება გაქრება, მაშასადამე გაქრება პირველყოვლისა წინააღმდეგობა გონიერივ და ფიზიკურ შრომას შორის; როცა შრომა გადაიქცევა არა მარტო სიცოცხლის საშუალებათ, არამედ უპირველეს მოთხოვნილებით სიცოცხლისა, როცა ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთათ გაიზრდება საწარმოვო ძალები და სოციალური სიმდიდრის წყაროები სავსეთ ჩქეფს – ყველა ამას შემდეგ შესაძლებელია ვიწრო ბურჟუაზიულ უფლებრივ შეხედულებას გადავაბიჯოთ და საზოგადოებაშ თავის დროშაზე წააწეროს: თვითეულისაგან თანახმათ მისი ნიჭისა, თვითეულს თანახმათ მისი მოთხოვნილებისა!» (გ.).

როგორც ხედავთ, ბურჯუაზიული უფლების დასაძლევათ საჭიროა გვარიანი დიდი ევოლუცია: პიროვნების საკუთხით გამოცვლა, შრომის სულიერ მოთხოვნილებათ გადაქცევა, წარმოების უმაღლეს დონეზე აყვანა, სიმდიდრით საზოგადოების გავსება — ერთი სიტყვით ახალი მორალური და ნივთიერი ურთიერთობის დამყარება. ამით შევდივართ კომუნისტური საზოგადოების მეორე ხანაში, სადაც კაპიტალიზმის უველა ნიშნობლივი თვისება დამარცხებულია და ცხოვრებიდან ამოგდებულია.

მაგრამ ამ მეორე, წმინდა კომუნისტური, საფეხურის მიღწევა დიდ დროს და მუშაობას მოითხოვს. ის, ასე ვთქვათ, იდეალია, მანათობელი ვარსკვლავია, საითყენაც მიიმართება ხალხი. მუშის მიზანი რომ მარტო თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყოს, მაშინ წარმოების განვითარება გაადვილდებოდა და სიმდიდრის დაგროვება დაჩქარდებოდა. ნამდვილათ კი მუშა იკმაყოფილებს არა მარტო თავის მოთხოვნილებათ, არამედ მოთხოვნილებათ საწარმოვო და სოციალური ხასიათისა, ე. ი. ის ვერ მიიღებს მთელ თავის ნაშრომს ვერც კომუნისტურ საზოგადოებაში. აქ მას აკლდება მხოლოდ ერთი გასავალი — მეპატრონე, მარა დანარჩენი რჩება.

მუშის, ანუ მთელი კომუნისტური საზოგადოების ნაშრომს უნდა გამოეკლოს:

«პირველათ, წარმოების იარაღთა საამორტიზაციო ხარჯი; მეორეთ, შესაფერი ნაწილი წარმოების გასაფაროთოვებლათ; მესამეთ, სარეზერვო ანუ დამხმარე ფონდი იმ შემთხვევისათვის, როცა საქმე ვერ შესრულდება, ბუნებრივი მოვლენით ზარალობს და სხ. ყველა ამის გამოკლება შრომის ნაყოფიდან შეიცავს ეკონომიკურ აუცილებლობას; მისი რაოდენობა განისაზღვრება თანახმათ არსებული ძალის და საშუალებისა, რამდენიმეთ ვარაუდის ანგარიშით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გამოანგარიშება სამართლიანობის პრინციპით. (გ.)

სამართლიანობას თუ გავუევით — მუშას უნდა მიეცეს მთელი მისი ნაშრომი, მარა ამ შემთხვევაში ინგრევა წარმოება. ეს იქნებოდა ბოლშევიკური კომუნიზმი. ინტერესი წარმოების — აი რა დგას პირველ რიგში და ის უნდა იქნას დაკმაყოფილებული. ამ საწარმოვო ხარჯებს ემატება არასაწარმოვო

ხარჯები, ისეთივე აუცილებელი, როგორც პირველი. ეს აუდიტორული პირველი, საერთო მართველობის ხარჯები ანუ ეგრეთ წარდგენილი ბუღა სახელმწიფო ბიუჯეტი.

«ეს ნაწილი გახსავლის წინდაწინვე ძალზე შემოკლებული უნდა იყოს შედარებით დღევანდელ საზოგადოების გახსავლისა და ის იკლებს იმისდაგვარათ თუ რამდენათ საზოგადოება განკუთარდება». (გ.)

სახელმწიფო, როგორც განსაკუთრებითი იმულებითი ძალა, თანდათან ქრება და ბოლოს ის სავსებით კვდება. მაშინ მისი ხარჯებიც მოკვდება. მეორე, ხარჯი სასწავლებლის, ჯანმრთელობის და სხვა ასეთი საზოგადო მოთხოვნილებების.

«ეს ნაწილი თავიდანვე იზრდება დღევანდელ ხარჯებთან შედარებით და მატულობს იმდენათ, რამდენათ ახალი საზოგადოება განვითარდება». (გ.)

მესამეთ, ფონდი შრომის შეუძლოთა სასარგებლოთ და სხ., ე. ი. ის რასაც დღეს დარიბებზე ზრუნვას უწოდებენ.

აი ყველა ამის შემდეგ მწარმოებელს ეძღვა მთელი მისი ნაშრომი. აქ ის მართალია კარგავს როგორც მომხმარებელი, მაგრამ იგებს როგორც საზოგადოების წევრი.

— ამნაირათ, კომუნისტური საზოგადოება არის პირველ ყოვლისა სამრეწველო საზოგადოება, გამოსული კაპიტალისტური საზოგადოებისაგან და აგებული კაპიტალიზმის ტეხნიკურ საფუძველზე. ის მემკვიდრეობით დებულობს შშობელ დელისაგან ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ საუნჯეს და მას ავთარებს ბოლომდე. აქ ბატონის შშრომელთა ასოციაცია, საწარმოვო ამხანაგობანი, მიმართული ერთი მთავარი მიწნისკენ — რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის შექმნისაკენ. ნამდვილი კომუნიზმი შესაძლებელია მხოლოდ მდიდარ საზოგადოებაში. სიღატაკე ყალბი კომუნიზმის სარბიელია.

როგორც ხედავთ, მარქსიზმი და ლენინიზმი, დასავლეთის სამრეწველო სოციალიზმი და რუსეთის მუშიკური კომუნიზმი ორი სრულიად მოპირდაპირე მოძღვრებაა. მათ შორის არ არის არავითარი მსგავსება, არც თეორიული, არც პოლიტიკური, არც კულტურული. ეს ორი მიმდინარეობა ხატავს ორ სხვა და სხვა ეპოქას, სხვა და სხვა საზოგადოებას. პირველია მიუცი-

ლებელი თანამგზავრი სამრეწველო განვითარების, სანატორიუმის
და კულტურის და ცივილიზაციის. მეორეა შედეგი სამრეწვე-
ლო განუვითარებლობის, დაცემული ეკონომიკის და ჩამორჩე-
ნის. ერთი დგას კაცობრიობის შარაგზაზე, მას გზას ვერ აუხ-
ვევს ვერც ერთი სასიცოცხლო ერი. მეორე ორლობეში მიჩი-
ნულთა ნაცოდვილევია, წარმავალი ეპიზოდია, რომელიც გაქ-
რება მაშინვე, როგორც კი რუსეთი ევროპისაკენ პირს იძრუ-
ნებს.

ერთი სიტყვით,

«იყო სხვაა, ავი სხვაა,
შეა უხის დიდი ზღვარი,
ნურვინ გარევოთ ერთმანეთსა, გესმით ჩემი ნაუბარი!».

ნვანი ტაქტიკა*)

I

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მესამე არა-ლეგალურმა ყრილობამ ამ ზაფხულს გამოიტანა მთელი რიგი რეზოლუციებისა საჭიროობოტო საკითხების შესახებ, რომელთა შორის უპირველესი ალაგი უჭირავს ტაქტიკურ რეზოლუციებს. აქ პარტიიმ მოკლეთ, სხარტულათ გამოთქვა მთელი თავისი შეხედულება მიმდინარე მომენტზე და უჩვენა ნათელი, უდაო გზა ქართველ მუშა ხალხს და მასთან ერთათ მთელ ერს. სოც.-დემ. პარტიის პოზიცია, მისი სამუშაო გეზი, მისი იდეალი გარკვეული და განათლებულია. საიდან გამოდის ის, რა ასულდგმულებს მას, რაზე ემყარება მისი ტაქტიკა?

ტაქტიკა — ეს გზა თუ გზებია, რომლის საშუალებით შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა.

პირველ ყოვლისა თვით ეს მიზანი უნდა იყოს ნათლად წარმოდგენილი, შესწავლილი, გამორკვეული და მისი განხორციელების შესაძლებლობა ნათელყოფილი. როგორიც მიზანი, ისეთი ტაქტიკა. ისინი ერთიმეორესთან მჭიდროთ დაკავშირებულია, ერთიმეორისაგან გამომდინარეა. მათ შორის კავშირის გარღვევა, ლოლიკურათ და პოლიტიკურათ მათი დაპირდაპირება, ან გან-განზე განდგომა აშკარა საბუთია ერთ-ერთის ან ორივესი ერთათ არევ-დარევის და მოქმედების გამრუდების. ამ უგ-

*) ამ წერილში განვითარებული აზრების ერთი ნაწილი აშენებულია იმ უაქტიურ მასალებშე, რომელიც არსებობდა მისი დაწერის დროს (1925 წ.). მაგრამ მდგომარეობის საერთო დაფასება და განვითარების ტენდენციების გზები ისეთი სისწორით არის აღნიშვნული, რომ მასი გაცნობა დღესაც დად სარგებლობას მოუტანს ჟველას, ვისაც საბჭოთა კავშირის საკითხები აინტერესებს...

ზო-უკვლობის თავიდან ასაცილებლათ მიზანი და ტაქტიკა, იდეალი და საშუალება ეკავშირება ერთმანეთს საერთო უკონკრიტიულ და ფილოსოფიურ პრინციპებით, ისკვნება მათი ერთობა ერთ იდეურ სათავეში, საიდანაც ისინი იბადებიან და ოომელ-შიაც თავს იყრიან. როცა თეორია, პროგრამა და ტაქტიკა ერთ ხაზზე დგება, ერთი მეორეს განუყრელათ ეჯაჭვება და ერთ ისტორიულ აუცილებლობას ეფუძნება, მოქმედებაც მიზანშეწონილია და გამარჯვება უზრუნველყოფილია.

არის მიზანი სადღეისო, სახვალიო, სამერმისო; ასევე ტაქტიკაც. მხოლოდ ამ სხვადასხვაობაში უნდა იყოს დაცული ერთობა, ნათესაობა და თანხმობა. ეს ერთი ჯაჭვია, რომლის თვითეული რგოლი ნიშნავს განსაკუთრებით მომენტს მოვლენათა სერიისა, რასაც რიგრიგობით ანხორციელება. ისინი ერთმანეთს გზას უკაფავენ და ეხმარებიან.

რა არის ჩვენი მიზანი?

სადღეისო — საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა და დემოკრატიული წყობილების დამყარება.

სახვალიო — კლასთა განსხვავების მოსპობა და სოციალიზმის დამკვიდრება.

საბოლოო მიზანი მთავარი მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც აშუქებს პირველს და მას იჭერს თავის საზღვარში.

სოციალიზმი იძლევა მკვეთრ თეორიას, მტკიცე პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც გაყვები ბოლომდე, გამარჯვებამდე.

იბადება საკითხი. აუცილებელია პირველი ორი ეტაპის გავლენა? განა არ შეიძლება. სოციალიზმის მიღწევა გარეშე ნაციონალური და დემოკრატიული თავისუფლებისა? ამ ორ საკითხში ერთი აღარ არის სადაო, ცხოვრებამ ის სამუდამოთ გადაჭრა. რუსეთის მაგალითმა აშკარათ გახადა, რომ სოციალიზმის დამკვიდრება უდემოკრატიოთ სრული ოცნებაა, ისტორიული დანაშაულობაა, რაც ძვირათ უჯდება ქვეყანას და კიდევ უფრო ძვირათ უჯდება ბოლშევიკურ პარტიას. ახლა თვით კომუნისტებიც კი იძულებული არიან ილაპარაკონ დემოკრატიის საჭიროებაზე, საბჭოთა ხელისუფლებაზე, თუმცა ეს სიტყვა სიტყვათ რჩება და სინამდვილეთ ვერასოდეს ვერ გადაიქცევა. მათ ისე შორს შეტოპეს, რომ დემოკრატიისაკენ ხიდის გადე-



ბა აღარ ძალუმთ, მათ შორის ორმოს ამოვსება ადამიანის შეკვეთული საძლებლობას აღემატება.

მაგრამ აი გამოიჩეკა მეორე ჯურის ხალხი — მოღალულინი, გზადაბნეულნი, მობოლშევიკო თუ ბოლშევიკების აღვოკატები და ერთხმად ღაღადებენ: დემოკრატია კი, ამაზე არ გედავებით, მარა ეს ნაციონალური თავისუფლება, ერის დამოუკიდებლობა სრულიად არ მიგვაჩნია აუცილებელ საჭიროებათ, რუსეთთან ვიყავით და მასთან უნდა დავრჩნეთო.

ამ დებულებაში ორი დედასწრია: სოციალიზმის ეტაპი არ არის ნაციის თვითგამორკვევა; და რომც იყოს, ჩვენ პირობებში ის მიუღწეველია, ფუჭი ოცნებაა, ე. ი. ის არ ვარგა არც მიზნათ, არც ტაქტიკათ.

მართალია ეს?

რას ჰქვია სოციალიზმის ეტაპი?

ჩვენ ვამბობთ — სოციალიზმი აუცილებელი დასკვნაა კაპიტალისტური განვითარების, ის ამის საბოლოო რგოლია. ამ გზაზე მივდივართ ძალაუნებურათ, ჩვენი ნების და სურვილის დამოუკიდებლათ, ობიექტიური, გარდაუვალი სოციალური კანონებით. მარა გზადაგზა არის ეტაპები, საფეხურები, მოვლენები, რომელიც ასეთსავე აუცილებლობით ჩნდებიან და მათ გზას ვერავინ აუხვევს. ერთი ამ მომენტაგანია ნაციონალური მომენტი, ადამიანთა ნაციონალურ-პოლიტიკურ ერთეულებათ დანაწილება, ერის სახელმწიფოებრივათ თვითგამორკვევა. ეს არის ისტორიული ფაქტი, დღეს სრულიად უდაოთ აღიარებული და საყოველთაოთ მიღებული. დემოკრატიის გამოღვიძება ყოველგან მოხდა და ხდება აი ამ ნაციონალურ ფარგლებში. ეს ძველი სოციალ-დემოკრატიული თეზისი უკვე გადაიქცა ცოცხალ მოვლენათ, საზოგადოების დვრიტეთ, კაცობრიობის საფუძვლათ. ევროპაში არ არის არც ერთი ერი, რომელსაც დღეს არ ქონდეს საკუთარი სახელმწიფო. ნაციონალ-ისტორიული პროცესი აქ დასრულდა. საჭიროა მხოლოდ მისი შეკეთებულება. ნაციონალურ უმცირესობათა უმრავლესობისათვის შეერთება. იგივე პროცესი წარმოებს აზიაში. დაწყებული ოსმალეთიდან და აფრიკაში, დაწყებული ეგვიპტიდან. ეს არის მსოფლიო მოვლენა და ნუთუ მას რუსეთი აშორდება?

დღეს ერთათერთი მრავალერიანი დიდი სახელმწიფო არის რუსეთი. მსოფლიო პროცესი მასაც მოხვდა, მარა სავსებით



ვერ ჩაითრია, კიდევ დარჩა მის ფარგალში მრავალშე უწინა წელი ॥
მელიც ელის განთავისუფლებას. ეს აუცილებელი მუნებრისა განონია და რომც ამ ერებმა უარი თქვან თავისუფლებაზე, ის-
ტორია მათ ამას თავს დაატეხს მთელი თავისი რისხვით. რუ-
სეთის ველიკოროსიათ გადაქცევა ისტორიის განაჩენია.

ნაციის თვითგამორკვევას ვერ აცდება ვერც ერთი ეროვნე-
ბა. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს ერთა ერთიმეორისათვის
დაპირდაპირებას, მუდმივ შუღლს და გადაკიდებას. პირიქით,
ამ პროცესის გვერდით ვითარდება მეორე პროცესი — თავისუ-
ფალ ერთა დაკავშირება, დაახლოება და ერთი საერთაშორისო
ოჯახის შექმნა. ნაციათა ლიგა ამ მიმდინარეობის გამოხატუ-
ლებაა.

დანაწილება თანხმობაში, თანხმობა დანაწილებაში — აი ნა-
ციათა ისტორიული კალაპოტი.

რუსეთის ველიკოროსიათ გადაქცევა არ ნიშნავს არც მის
დაცემას, არც გამოშორებულ ერთა მის წინააღმდეგ დარაზმვას.
ეს იქნება რუსეთის ერთა გადაჯგუფება ნაციონალური თავი-
სუფლების და ინტერნაციონალური კეთილგანწყობილების ნი-
ადაგზე. მოხდება ეს ნებაყოფლობით თუ ქარიშხალით, ეს არ
ვიცით, ვიცით მხოლოდ რომ ის უეჭველათ მოხდება. მას ვერ
შეჩერებს ვერავინ.

ამნაირათ, ნაციონალური მომენტი ისეთივე ბუნებრივი ეტა-
პია კაცობრიობის, როგორიცაა დემოკრატიული მომენტი. ეს
ორი მსვლელობა ერთათ წარმოებს. ერთი მეორის შინაარსი
და ფორმაა. დემოკრატია უეჭველათ ხდება ნაციათ, ნაცია უეჭ-
ველათ იქცევა დემოკრატიათ. ან ორივე უნდა უარყოთ და გა-
დაიქცეთ მართლ-მორწმუნე ბოლშევიკათ, ან ორივე უნდა მი-
იღოთ და მით დარჩეთ ისტორიის საზღვრებში.

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა
არის არა უტოპია, არა გამოვინილი ოცნება, არამედ ის სრუ-
ლი რეალური მოთხოვნაა. ის დევს ისტორიის შარა გზაზე, რო-
გორც აუცილებელი, შემოუვლელი საფეხური. უტოპიაში ვარ-
დებიან მხოლოდ ამ საფეხურის მოწინააღმდეგენი, მისი გვერ-
დის ამვლელნი და «პატარა საქმეების» მღაღადებელნი. აი ესე-
ნი ნებით თუ უნებლივით ჩებიან ისტორიის გარეთ და მით
ერის ხორცმეტათ ხდებიან.

მეტყვიან: ვთქვათ ეს ყოველივე ასე არის, მარა ოდესმე

რაღაც მოხდება — იმას დღეს მოქმედების საგნათ ვერ შეჲისა წელი
დითო. ასეთივე მოსაზრების წამოყენება ხომ ყველა ძროშია და
საკითხში შეიძლება. სოციალიზმი ოდესმე მოხდება — მაშასა-
დამე დღეს ამოვაგდოთ ის ბრძოლის ასპარეზიდან? ცარიზმი
დაინგრეოდა ოდესმე — ეს აშკარა იყო, მაშ არ გვებრძოლა მის
დასანგრევათ? ეს იქნებოდა ტიპიური ოპორტუნიზმი, მედრო-
ვეობა, ჩხირკედელაობით დაქმაყოფილება და არა პოლიტიკუ-
რი და კლასიური ბრძოლა. ასეთი ოპორტუნისტები ყოველთ-
ვის ბლომათ მოიპოვებიან, მოძრაობის გაძლიერებით დაბლა
ეშვებიან, მოძრაობის მოდუნებით წელში იმართებიან. ესენი
ისტორიის მიერ განწირულნი არიან.

ნაციონალური თავისუფლება, ისე როგორც დემოკრატი-
ული, უეჭველი პირობაა სოციალისტური წყობილების დამკ-
ვიდრების, დამორჩილებულ კლასების გამარჯვების. ამ კლა-
სებს სხვა გზით, სხვა ფორმით არ შეუძლიათ არც გამარჯვება,
არც აღორძინება. ეს მათი არსებობის ბუნებრივი სტიქიაა. რო-
გორც კი საქართველოს პროლეტარიატი და მოწინავე გლეხობა
დაეპატრონა ძალაუფლებას, ის მაშინვე მოეწყო ნაციონალურ
ფარგლებში. ხოლო როცა მას ეს ძალაუფლება დაეკარგა და
კომპარტიის მონობაში ჩავარდა, მაშინვე დაეკარგა ნაციონა-
ლური ფარგალიც და მოსკოვის საჯიჯენათ გადაიქცა.

როგორც ხედავთ, ჩვენი ტაქტიკა აგებულია სრულიად შე-
უძლიარ ისტორიულ დაფასებაზე, საზოგადო განვითარების
სწორ გამოკვლევაზე, კაცობრიობის მიუცილებელ გზაკვალზე.
ასეთია ჩვენი მუშაობის ისტორიული საფუძველი.

როგორია ამ მუშაობის კონკრეტული საფუძველი?

შეიძლება დღეს არსებულ პოლიტიკურ პირობებში ჩვენი
მიზნის მიღწევა?

ამის პასუხს მოგვცემს ამ პირობების ანალიზი, მისი სის-
ტორით წარმოდგენა და გათვალისწინება.

პარტიის კონფერენციაც სწორეთ აქედან იწყებს.

ტაქტიკის უახლოეს საფუძველს, ყოველდღიურ მუშაობის
ნიადაგს იძლევა მხოლოდ მიმდინარე ხანის საზოგადოებრივი
ურთიერთობა, მისი დამახასიათებელი მხარეები და განწყობი-
ლება. და ისმება საკითხი: საბჭოთა წყობილება იძლევა ასეთ
ნიადაგს? შესაძლებელია დღევანდელ რეალურ პირობებში სა-
ქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა?

საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია, ერთგული შედეგი რუსეთის შინაგანი და საგარეო კონფლიქტებისა, გამო დაჭრით ამბობს პარტია. რა არის ამის უეჭველი საბუთი? ასეთი კონფლიქტების წარმოშობა დამოკიდებულია არა ჩვენ ნება-სურვილებზე, არა მის ნატერაზე, ან მის უარისყოფაზე, არამედ სრულიად ობიექტურ, აუცილებელ პირობებზე. ეს პირობები გამომდინარეობენ საბჭოთა წყობილების შინაგანი ბუნებისაგან, მის საარსებო ნიშნობლივი თვისებებისაგან, რომლის მოშლა იქნებოდა თვით წყობილების დარღვევა.

ერთი მხრით დგას რუსეთი, მომწიფებული ბურჟუაზიულ-ეკონომიურ ფორმების მისაღებათ, ინდივიდუალურ საწარმოო საშუალებათა გასავითარებლათ, ხოლო მეორე მხრით დგას ხელისუფლება, ამ ფორმების, ამ საწარმოო ძალების უარისმყოფელი და «კომუნისტური» ურთიერთობის ძალათ გამტარებელი. ისტორიამ არ იცის ამაზე უფრო ღრმა წინააღმდეგობა ეკონომიურ შესაძლებლობასა და პოლიტიკურ ზედნაშენს შორის. ნამდვილი კომუნიზმი, ანუ სოციალისტური მეურნეობა, არის შედეგი საწარმოო ძალთა უმწვერვალესათ განვითარების; პირველი სათავეა მეორის. რუსეთში კი პირიქით, საწარმოო ძალთა განვითარება სურთ გამოიყვანონ «კომუნიზმიდან», წმინდა პოლიტიკური მომენტიდან. სავსებით ობიექტიურ, ისტორიულ მიმდინარეობას წინ ეღობება სუბიექტიური, დოკტრინალური მიმდინარეობა და მათ შორის გამართულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მარა ვინაიდან ეს უკანასკნელი აღჭურვილია სახელმწიფო ძალაუფლებით, ამიტომ ბრძოლა ღებულობს ფორმას ხანგრძლივი შინაგანი კონფლიქტებისას. ამ ბრძოლაში ერთი — ეკონომიური ტენდენცია — მუდამ შემტევია, ხოლო მეორე — პოლიტიკური ძალაუფლება — მუდამ მომგერებელია. აქედან მომდინარეობს ბოლშევკების იძულებითი შეუჩერებელი უკან დახევა მთელ ფრონტზე.

კომპარტიის ყველა ძირითადი ლოზუნები, რომლითაც ის რევოლუციაში შევიდა, დღეს დატოვებულია. დიდი ზეიმით გამოცხადებული კომუნისტური რევოლიცია დღეს დრომოჭმულ ასამხედრო კომუნიზმათა არის აღიარებული და საყოველთაოთ დაგმობილი.

ჯვაროსანთა ომი, ბურჟუაზიის და «კულაკების» წინააღმდეგ გამართული, დასრულდა ახალი ბურჟუაზიის შექმნით

და კულაკებისათვის სასარგებლო განონმდებლობის შემოღებით. კომუნიზმის ლიკვიდაცია ხდება თვით კომუნისტების მქონე ურობით. ოქტომბრის რევოლუცია მთელი თავისი სოციალური იდეოლოგიით გაკოტრებულია, ის უკვე დამარხულია და მის აღაგას წამოყენებულია მისი მოპირდაპირე ეკონომიკური ლოზუნები და იდეოლოგია.

აი ასეთი ოპორტუნიზმი რევოლუციური პარტიის ისტორიაში არ მომხდარა. ყოველგან ერთი პარტიის იდეოლოგია მარცხდებოდა მოწინააღმდეგე პარტიათა მიერ. კონსტიტუციონალისტები შესცვალა უირონდისტებმა, უირონდისტები—იაკონინელებმა, იაკონინელი—დირექტორიამ, უკანასკნელი—ბონაპარტმა და სხ. და სხ. აქ, კურთხეულ რუსეთში კი ყველა ამ ეკოლიუციას აკეთებს ერთი და იგივე პარტია! აქ წარმოებს ბრძოლა თავის თავთან, თავის რწმენასთან, თავის მიზანთან და პროგრამასთან. ეს საარაკო მოვლენა აიხსნება მხოლოდ ერთი გარემოებით: საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა ძალზე არყევს ბოლშევიკურ შენობას, აფორიაქებს მის საძირკველს და აიძულებს ამ შენობის პატრონებს სხებნონ ახალ-ახალი ბინა, გადავიდენ ერთი სართულიდან მეორეში, მეორიდან მესამეში და ასე ბოლომდე, სანამ სახურავზე არ მოექციან და ქარიშხალის მსხვერპლი არ გახდებიან.

პოლიტიკური სტრუქტურა შემოქალტულია მებრძოლი ეკონომიური სტრუქტურით და მას სისტემატიურათ არღვევს. მთელი ეს ახალ-ახალი ლოზუნები — პირი სოფლისაკენ, მომხრობა უპარტიოთა, არჩევნები თავისუფალი, სოციალიზმი ნაციონალურ მასშტაბში, სახელმწიფო კაპიტალიზმი და სხ. — დაჩიხული ხელისუფლების შეწუხებული წივილია, ფრიადაჭრილი ფრინველის ფართხალია. ის არის ტყვე ინდივიდუალური ეკონომიკის, საიდანაც მისთვის გამოსავალი დახმულია.

ამნაირათ, ინდივიდუალური ეკონომიური ფორმა, აი საბჭოთა წყობილების მტერი, მისი დამმხობი და დამარცვეველი.

ეს კარგათ იციან ბოლშევიკებმა და ცდილობენ თავის ბაზათ გახადონ სახელმწიფო ეკონომიკა, ინდივიდუალურ წარმოებას დაუპირდაპირობ მთავრობის წარმოება, მოწინააღმდეგები გლეხობას მომხრე პროლეტარიატი. ლენინის ლოზუნგი — სახელმწიფო კაპიტალიზმი — ახლა შესცვალის სახელმწიფო

სოციალიზმით, ხოლო ამ სოციალიზმს ისინი ხედავენ მთავრობის ხელში თავმოყრილ ფაბრიკა-ქარხნებში.

ველური ბოლშევიკები სტალინის მეთაურობით გატაცებულია ამჟამათ ამ «ნაციონალური სოციალიზმით», ამტკიცებენ აუარებელ ციფრებით სხვილ მრეწველობის ზრდას უბურეუაზით, წმინდა «სოციალისტური აღმშენებლობით». ერთი სიტყვით რუსეთი «არცხვენს», «დამპალ» ევროპას და მთელ მის პოლიტიკურ ეკონომიას. ციფრებს რომ ქონდეს ის მნიშვნელობა რუსეთში, რაც ყოველგან აქვს, მაშინ უეჭველია ეს სასწაული მოხდებოდა და ბოლშევიკური ხელისუფლება თავის დამოუკიდებელ ეკონომიურ საფუძველს გაიჩინდა.

მაგრამ ეს ასე არ არის. ბოლშევიკური სტატისტიკა გვარიანი «თავისუფალი ხელოვნების» ნაყოფია და არავითარ სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველა დაწესებულებას აქვს თავისი საჯუთარი უებარი ციფრები, ერთიმეორისაგან დიდათ განსხვავებული და მის საშუალებით ამტკიცებენ ყველაფერს, რაც მოეპრიანებათ – სიღარიბეს თუ სიმდიდრეს, სესხის საჭიროებას თუ უსესხოთაც იოლათ წასვლას, ვაჭრობის გაფართოებას თუ ჩამოქვეთოებას, ერთი სიტყვით ყველაფერს. აი მაგ. ავიღოთ ორი ცენტრალური დაწესებულება – ფინანსთა და სახელმწიფო საგეგმო უწყება, რომელთა შორის ამ ბოლო დროს დიდი დავა სწორეთ ციფრების სისწორეზე.

ფინასთა სახალხო კომისარის, სოკოლნიკოვის აზრით «ფინანსთა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებს შორის განსხვავება აღწევს 350–400 მილიონ მანეთამდე» (კომ. № 220). ეს ბოლშევიკური სტატისტიკის სრულ სიკოტრეს მოასწავებს და აკი არც ვინმე ენდობა მას გარდა ბოლშევიკური გალიორკისა.

ერთი კი უეჭველი ფაქტია: ამ უკანასკნელ სამ წელიწადს საბჭოთა ხელისუფლებამ გააფართოვა თავისი მრეწველობა, გაზარდა თავისი ქარხნეულობა. ნიშნავს ეს რუსეთის სამრეწველო განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას? ე. ი. მოემატა ქვეყანას ახალი სიმდიდრე? კერძო ეკონომიკაში წარმოების გაფართოება უეჭველათ სიმდიდრის გამრავლებას ნიშნავს. საბჭოთა წარმოებაზე კი ეს კანონი არ კანონობს, პირიკით აქ შეიძლება წარმოების გაძლიერება გაღარიბებას, უკან დაქანებასაც მოასწავებდეს. რატომ? ცხადია რატომ. საბჭო-

ების ეკონომიკის მთელი სტრუქტურა ისეთია, რომ ჰუმერული უძლია არ იზარალოს, შემოსავალმა გასავალი დაფაროს - ის მიზანია საჭიროებს დახმარებას, სუბსიდიებს, ხესხს. ბოლშევიკური მრეწველობა დახმარებას იღებს საზოგადო სალაროდან მრავალნაირი ფორმით: საბიუჯეტო წესით, ბიუჯეტის გარეშე კრედიტით, სუბსიდიებით და ღოტაციებით, ბანკების კრედიტით, საქონელზე მონოპოლიური ფასების დაწესებით, აკრძალვით კერძო მრეწველების და კონკურენციის, ერთი სიტყვით ყოველნაირი ფინანსური და პოლიციური მფარველობით. მრეწველობას ინახავს არა-მრეწველობა, სახელმწიფო მეურნეობას ინდივიდუალური მეურნეობა. აი ძირითადი უკუღმართობა კომუნისტთა მთელ ეკონომიკურ საქმიანობის, რაც ბადებს შეურიგებელ კონფლიქტს მათ და მთელ ხალხს შორის. ის ოცა მილიონი კერძო მეურნეობა, რომელიც რუსეთში ითვლება, ვალდებულია არჩინოს საბჭოთა «სოციალისტური წარმოება»! ხდება უსასახლეო ექსპლუატაცია მუშის და გლეხის კომუნისტური ექსპერიმენტების სადღეგრძელოთ.

როგორც ხედავთ საბჭოთა მრეწველობა არათუ მატებს რამეს ქვეყნის სიმდიდრეს, პირიქით ის აქცევს ამ სიმდიდრეს, ფლანგავს ხალხის ნაოფლარს, მხოლოდ იმიტომ რომ სული კბილით შეინარჩუნოს და ხელისუფლება გააძაგროს. ამით აიხსნება ბოლშევიკების სიხარული მოსავალის გამო. გლეხის პურს ევროპაში გავიტანთ, ვალიუტას შემოვიტანთ და მოგება გაგვიწევს ხესხის მაგიერობასო.

მარა მთელი ეს აღტაცება უეხმოკლე გამოდგა. გლეხის და საბჭოს ინტერესები ერთმანეთს მოხვდა და უკანასკნელმა დაიხია. გლეხს ესაჭიროება ნაფაბრიკო საქონელი, საბჭო მას აწვდის დიდ ფასებში, სამაგიეროთ გლეხი მას აწვდის პურს ასეთსავე პირობებში, მარა მთავრობა მას ვერ ფიღულობს, ვინაიდან მსოფლიო ბაზარზე პური უფრო იაფია და იზარალებს. პურის ყიდვა შეჩერდა. მეორე მხრით, მსოფლიო ბაზარზე საფაბრიკო საქონელი იაფია, რუსის გლეხი მას ადვილათ შეიძენს თავისი პურის ასეთსავე პირობებში შეძლევით. მარა შუაში დგას საბჭოთა მთავრობა და ამ ორ ბაზარს ერთმანეთთან არ უშვებს. მისი მიზანია თავის «სოციალიზმის» გამავრება, მრეწველობის გლეხის ხარჯზე შენახვა. დაიწყო კომპანია სოფლებში პურის გაიაუებისათვის, რაც გლეხის მეურნეობას დას-

ცემს. სახელმწიფო ეკონომიკის და გლეხის ინტერესების წინააღმდეგობა შეურიგებელია. აქედან ერთათერთი გამოსახვაში მრეწველობის გაევროპიელება, მისი მსოფლიო ბაზრის პირბებში ჩაყენება. ეს კი ნიშნავს საბჭოთა ეკონომიკის დამხობას და ბოლშევიზმის გაუქმებას.

ამნაირათ, საბჭოთა წყობილება ჩაყენებულია სააღყო წესებში კერძო მწარმოებელთა მიერ და მას გასაქანს არ აძლევს. მათ შორის ორმო ამოთხრილია, ხიდი ჩატეხილია.

ეს საშინაო ულმობელი კონფლიქტი ბადებს საგარეო კონფლიქტს. მთავრობა იძულებულია თავისი შინაგანი ნაკლულევანება დაფაროს გარეგანი საშუალებებით. ის ერევა ყველა სახელმწიფოს საქმეებში, ჩუმათ თუ აშკარათ, რომ ძალა დაატანოს მათ ანგარიში გაუწიონ საბჭოებს და ის ფულით თუ საქონლით გაამაგრონ. ან მსოფლიო ბოლშევიკური გადატრიალება, ან მსოფლიო კაპიტალი — აი განწირული წყობილების ერთათერთი მხსნელი. ამ მიმართულებით მუშაობენ მოსკოვის დიპლომატია და კომინტერნი. დაიბადა რუსეთს და ევროპა-ამერიკას შორის ინტერესთა წინააღმდეგობა. ევროპა ირაზმება. მოსკოვი მარტივდება. მისი «დასაყრდნობი წერტილები დასავლეთში თანდათან იშლება: კრიზისი შინ, კრიზისი გარეთ, აი როგორ ჩიხში ემწყვდევა დღეს საბჭოთა რუსეთი», ამბობს პარტიის რეზოლუცია.

ამგვარათ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა დაფუძნებულია ისტორიულ აუცილებლობაზე — საბჭოთა წყობილების უეჭველ დარღვევაზე, მისი ახალი წყობილებით შეცვლაზე.

და აი აქ იბადება საკითხი: საითკენ მივმართოთ ჩვენი ტაქტიკა ამ წყობილების დარღვევამდე, დარღვევის ხანაში, დარღვევის შემდეგ.

II

საბჭოთა არსებული წყობილება, როგორც ვთქვით, უნდა დაინგრეს მისი შინაგანი წინააღმდეგობით, მისი ბუნებრივი შეუძლებლობით. ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა დიდი ქარიშხალით ძველის დანგრევა, სრულიად ახალი წყობილების დაარსება და მისი მოკლე დროში დარღვევა. საკმარისია გავიხ-

სენოთ გერმანიის გლეხთა ომები, ტომას მიუნცერის რევოლუციური ციური ხელისუფლება და სხვ. ომლის ვერც ერთი პრინციპი ვერ გატარდა. რატომ? იმიტომ, ამბობს პლეხანოვი ერთ ალაგას, რომ ძველი საზოგადოების დამარცხებასთან ერთად არ დამარცხებული მისი საწარმოვო წესები, ახალი ბატონები არ ყოფილან ახალ საწარმოვო ძალთა მატარებელი და მაშასადამე არც მათი გამარჯვება იყო რევოლიუციური. პირიქით, ბურუჟაშიის მოძრაობა ქალაქებში და ახალი უფლებების მის მიერ დაპყრობა ნიშნავდა უდიდეს რევოლიუციურ აქტს, ვინაიდან ამ კლასთან ერთათ გაბატონდა შრომის ახალი ფორმა. რაკი ბოლშევიკურ წყიბილებამ ვერ გააუქმა ვერც ერთი კაპიტალისტური საფუძველი – ვერც პროლეტარიატი და ვერც ინდივიდუალური წარმოება – ცხადია ის უნდა გაქრეს და პოლიტიკური შენობა შეეგუოს თავის ეკონომიურ საფუძველს. ამ მსვლელობის აუცილებლობაში დღეს აღარავინაა დაეჭვებული, გარდა ურა-კომუნისტებისა. ამათი გონიერი ნაწილი ძლიერ კარგათ ხედავს თავის მომავალს და მხოლოდ იმის ცდაშია – ეს მომავალი უმტკივნეულოთ გადაიტანოს. ამაში მათ მხარს უმშვენებენ მრავალი არა კომუნისტებიც, ხშირად მოწინააღმდეგენიც. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ფიქრობს რუსეთის გამოყვანას საბჭოთა რეჟიმიდან უკატასტროფოთ, ევოლიუციური გზით. ეს აზრი პოულობს გამოძახილ ინტერნაციონალშიაც.

და აი ისმება საკითხი: საბჭოთა ხელისუფლება დაეცემა რევოლიუციური თუ ევოლიუციური სამუალებებით? პირველი გზა მოითხოვს აჯანყების ტაქტიკას, მეორე შეწყობის ტაქტიკას – ამბობენ მშვიდობიანობის მოტრფიალენი. ნამდვილათ კი, არც ეს აღტერნატივა და არც ეს დასკვნა სრულიად არ შეესაბამება ხინამდვილეს. გარემოებათა რეალურ მსვლელობას. ევოლიუციას და რევოლიუციას შორის არ არის არც პრინციპიალური, არც პოლიტიკური დაპირდაპირება. ევოლიუცია თავდება რევოლიუციით, რევოლიუცია თავდება ევოლიუციით. ისინი ერთიმეორები გადადიან, ერთიმეორებს გზას უწალდავენ და ავსებენ.

უეჭველია ბოლშევიკები განიცდიან ევოლიუციას, აკეთებენ მრავალ დათმობებს მატერიალურ სფეროში. ჯერ მათ დააბეს კაცი და ნივთი, ახლა უკანასკნელი რამდენიმეთ აუშვეს, იძუ-

ლებული ხდებიან კიდევ უფრო აუშვან და ეკონომიური სამუშაო
ბიელი ხალხს გაუფართოონ. მაგრამ პოლიტიკაში არ აქვთ არა-
არავითარი დათმობა, ადამიანი ისევ მიკრულია ჩეკაზე და პო-
ლიციაზე. აյ მეორდება მეფეთა ახლო წარსული, არავითარი
ახალი ამ ეკოლიურიაშიც ბოლშევიკებს არ გამოუგონიათ. ყვე-
ლა განწირული წყობილება ამ გზით მიღიოდა და მიღის დღე-
საც.

მაგრამ, ვთქვათ, მოხდა სასწაული, ბოლშევიკებმა დათმეს
პოლიტიკაშიაც, აღიარეს ხალხის სუვერენიტეტი. ამ შემთხ-
ვევაში ეს იქნებოდა არა ეკოლიურია, არამედ რევოლიუცია,
ვინაიდან, უფლებააყრილი კლასი თუ კლასები ბატონდებიან.
ე. ი. კომუნისტური პარტია კარგავს პოლიტიკური სადავის მო-
ნოპოლიას, თვითმყრობელობას და მის აღაგს იჭერს ხალხი.
აი ასეთი ცვლილება, იქნება ის სისხლით თუ უსისხლოთ, ნიშ-
ნავს რევოლიუციურ გარდატეხას, სახოგადოებრივ ნახტომს, სა-
იდანაც იწყება ახალი წესწყობილება.

რაკი საბჭოთა წყობილების არსებობა შეუძლებელია, რაკი
ის დასარღვევია, ცხადია, თვით დარღვევის პროცესი იწარ-
მოებს ერთათერთი არსებული მიმართულებით – ეკოლიუციით
და რევოლიუციით. ამიტომ ტაქტიკა – აჯანყება თუ მშვიდო-
ბიანობა, იარაღი თუ პროპაგანდა ფუჭი იცნების ნაყოფია. თვა-
თეული კონკრეტიული მდგომარეობა იძლევა მოქმედების გეგ-
მას. ხოლო მდგომარეობა კი იცვლება უჩვენოთ, სოციალის-
ტურ ძალთა ჭიდილით, რაიცა იწვევს მოქმედების სხვადასხ-
ვაობას. საქართველოს დღევანდელ პირობებში ჩვენი ტაქტიკა
ერთია – ხალხის დაყენება სოციალ-დემოკრატიის იდეურ სფე-
როში, მისი რიგების პოლიტიკურათ დაწყობა ჩვენი პარტიის
გარეშემო, ჩვენი დროშის ქვეშ. ამ გზით მომზადებული ხალხი
გადამწყვეტ მომენტში სარბიელზე გამოვა, როგორც ერთი შეგ-
ნებული მთელი და თავის თავს დაეპატრონება იმ საშუალე-
ბებით, რომელსაც იმ დროს აუცილებლობა უკარნახებს. მაშა-
სადამე, ჩვენ ახლა თავს ნუ ვიმტვრევთ იმაზე, რა საშუალებე-
ბი იქნება ეს, იარაღი, აჯანყება თუ უსისხლო რევოლიუცია.
ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ ორი რამ: ამ რევოლიუციის
უაჭველობა და ხალხის პოლიტიკურათ მომზადება.

როგორც ხედავთ, ჩვენი დღევანდელი მოქმედება იფარგ-
ლება პოლიტიკური მუშაობით, იდეიური და ორგანიზაციული

წინამდლოლობით. რა შინაარსის უნდა იყოს ეს მუშაობა? ენტერესული სოციალურ-პოლიტიკური სარჩული დავუდვათ ერის განტვრებულობის სუფლებას?

ჩვენი სოციალური პოლიტიკა სავსებით აგებულია ჩვენს სოციალისტურ მსოფლმხედველობაზე და პირდაპირ ეწინა-აღმდევება ბოლშევიკურს. უკანასკნელის საფუძველია საწარ-მოვო ძალთა დაუძლეურება და წარმოების სახელმწიფოს ხელ-ში მოთავსება. ჩვენ კი, პირიქით, მივიღტვით საწარმოვო ძალ-თა გაძლიერებისა და წარმოების საზოგადოების ხელში გა-დასვლისაკენ. საზოგადოება და არა სახელმწიფო, თავისუფალ მოქალაქეთა ასოციაცია და არა ბიუროკრატია და პოლიცია — აი ჩვენი სახელმძღვანელო დედა-აზრი. თანახმათ ამისა ჩვენთვის მისაღებია ყველა ის ეკონომიური ფორმა, რომელიც კი წინ გაგვაქანებს ამ ორი მთავარი მიზნისაკენ. რა ფორმებია ეს?

ჩამორჩენილ ქვეყანაში საწარმოვო ძალთა განვითარება, მრეწველობის აღორძინება, ბუნებრივი სიმდიდრის საფუძვ-ლიანათ დამუშავება და მისი ხალხისათვის მოხმარა — ერის მთავარი საზრუნვავი საგანია. ეს კი შესაძლებელია ადამიანის თავისუფალი ინიციატივის აშვებით, საზოგადო და სახელმ-წიფო ორგანოების კერძო თაოსნობის გვერდზე თანასწორ პი-რობებში ამუშავებით. პირველის აღკვეთა ქმნის ბოლშევიკურ ეკონომიკას, შეორის აღკვეთა — წმინდა ბურჟუაზიულს, ხო-ლო ორივეს ერთათ შეერთება და ერთ ნაციონალურ ფარგალში მოთავსება იძლევა სოციალურ და დემოკრატიულ ეკონომიკას. სოციალურს იმიტომ, რომ, ძლიერდება რა საწარმოვო ძალა, იმავე დროს საზოგადოების, ხალხის ჯიბეში გადადის მისი მოვების დიდი ნაწილი, დემოკრატიულს იმიტომ, რომ ეს პრო-ცესი წარმოებს დემოკრატიული წყობილების მფარველობით, პოლიტიკურ უფლებათა მოქალაქეთა შორის თანასწორათ განა-წილებით.

რაკი ერთხელ ბოლშევიკებმა თავისი კომუნისტური ეკონო-მიკა ნეპით შეანგრიეს, ყოველივე პრინციპიალური ნიადაგი დაეკარგათ და დღეს მხოლოდ უბრალო მიზანშეწონილობით ხელმძღვანელობენ, ე. ი. რა გააძლიერებს მათ ხელისუფლე-ბას და რა დაასუსტებს. ამ უპრინციპობით აიხსნება ის საო-ცარი გარემოება, რომ ჩვენი ერის მთავარი სიმდიდრე — შავი ქვა — უცხო კაპიტალს გადაუგდეს ჩალის ფასათ და თვითონ

საწვრიმალო ჩხირკედელობით კმაყოფილდებიან. მიღიონები კერძო კაპიტალს, გროშები საზოგადოებას — აი მთელი მათი სოციალური ავლადიდება. სოციალ-დემოკრატია ამ ავანტიურის-ტულ პოლიტიკას უპირდაპირებს გარკვეულ, საღ დებულებას: ერთს სიმდიდრის დამუშავება კერძო კაპიტალის მონაწილეობით საზოგადოებასთან ერთათ. დამოუკიდებელ საქართველოს სოციალური პოლიტიკა უნდა იქნას აღდგენილი და მის გარეშემო ფართე პროპაგანდა გაწეული. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური არარაობიდან გამოყვანა და მისი ეკროპიულ ქვეყანასთან გათანასწორება. ხოლო ეკონომიკური აღორძინება — ერთათერთი ნიადაგია კლასების გაძლიერების და მათი ინტერესების სათანადოთ დაცვის.

აი ასეთ სოციალურ პოლიტიკის ფარგლებში შესაძლებელია იწარმოვოს მუშათა, გლეხთა და მოქალაქეთა ფართე პოლიტიკამ. თანამედროვე სოციალიზმის ანბანი — მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა — უნდა გადაიქცეს ცოცხალ მოვლენათ, უფლებრივათ და ორგანიზაციულათ ამუშავებულ პრაქტიკათ. პროლეტარიატი დღეს გამოცხადებულია ოპერის საგნათ, რომელსაც ბოლშევიკები პირში ღუგმას უდებენ და ძიძაობენ. მისი ამ ოპერიდან გამოსვლა და თავისთავის სრულწლოვანათ აღიარება — წინასწარი პირობაა მისი აღორძინების და დამოუკიდებელი კლასიური მოძრაობის დაწყების. ეს წინეთ საქმაოთ ცნობილი პროლეტარული პოლიტიკა დღეს უკვე კარგავს მუშათა ერთ ნაწილში ნიადაგს და მის ალაგას ბატონდება ძიძაობის პოლიტიკა. ეგრეთ წოდებული «მუშათა კომისიის» დეკლარაცია უტყუარი საბუთია მის ავტორთა მიერ პროლეტარულ სულისკვეთების დაკარგვის და ბოლშევიკურ ორჩოფებაზე შედგომის. მათი აზრით მუშათა ჩაბმა ამა თუ იმ საპასუნისმებლო მუშაობაში უკვე «სოციალისტური აღმშენებლობაა», ნამდევილათ კი ეს მხოლოდ მათი გამოშორებაა ხალხის ფართო მასიდან და პრივილეგიურ ჯგუფათ გადაქცევაა. ერთ ცნობილ ბოლშევიკ მუშას უთქვამს — მე უპვე მივაღწიე სოციალიზმს, ორი ძროხა მყავს და პიანინოც მიღვიაო! აი ეს აორი ძროხის და პიანინოს სოციალიზმი მეტად მოედვა პროლეტარიატის მაღალ ფენას, გაჩინოვნიკვებულ მუშათა წრეებს და ის ჩეკის მფარველობით პოლიტიკურ სიკვდილს უქადის მოელ კლასს. სოციალ-დემოკრატიის წმინდა ვალია შეებრძო-



ლოს ამ გათახსირებას, შეამაგროს მუშათა მასა კლასიურ წარმოენდებული დაგზე და მისგან მოკვეთოს დაცემული, დეკლასიური ელგმენთი მომდევნობის ტები. მხოლოდ გაერთიანებულ მებრძოლ პროლეტარიატს შეუძლია შეინარჩუნოს გლეხობის წინამდღოლობა და საერთო მიზნისაკენ მისი მიმართვა. როგორც კი ის პრივილეგიურ და ბიუროკრატიულ წრეებათ დანაწილდება, მაშინვე მისი პრესტიჟი ხალხში დაეცემა და ხიდი მათ შორის დაინგრევა. რუსეთის გლეხობის დღევანდელი მტრობა ქალაქებისადმი უმთავრესათ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული.

მუშათა ერთი ნაწილის ბატონათ მოვლინება მათ მიიღეს მთელი პროლეტარიატის გლეხობაზე გაბატონებათ და აქედან შესაფერი დასკვნები გააკეთეს. საქართველოში ეს ანტაგონიზმი დღემდე უცნობი იყო, მხოლოდ ახლაა შესაძლებელი მისი ჩვენში გადმონერევა ძამანაშვილისებურ მუშათა წყალობით. ამით ისტორიულათ შემუშავებული ქართველ მუშათა და გლეხთა ერთი ფრონტი დაირღვევა და მით დასუსტდება ერის პოლიკური სხეული.

ამნაირათ, ბრძოლა მუშათა ჯგუფურ პოლიტიკასთან, მათი კერძო ინტერესების მასის ინტერესებზე მაღლა დაყენებასთან, მათ სამრეწველო და ჩინოვნიკურ ნაცარქექიანობასთან — და ყველა ამის აღავს წამოვენება კლასიური პოლიტიკის, მთელის ინტერესის დაკავშირების და მასთან ჰირში და ლხინში განუყრელობის — აი საქართველოს სოციალ-დემოკრატიის პროლეტარული პოლიტიკა მიმდინარე მომენტში. ეს არის ძირითადი საკითხი თვით მუშათა კლასის პოლიტიკური არსებობისა, მის მიერ დამოუკიდებლობის და მთლიანობის შენარჩუნების. აი აქ წყდება მისი ბედი დიდი ხნით — დაკარგავს ის 30 წლის მუშაობით მოპოვებულ მეთაურობას, თუ მოიჭრის დასენიანებულ ნაწილებს და განაგრძობს თავის ისტორიულ გზას, გზას ბრძოლის და თავისუფლების.

ყველა დანარჩენი მუშათა სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი წვრილმანია ამ დიდ პრობლემასთან შედარებით. მებრძოლი კლასი მოიპოვებს გამარჯვებას, დაცემული კლასი განიცდის მუდმივ დამარცხებას. მაგრამ ეს მოთხოვნილებანი იმავე დროს შეიცავენ საშუალებათ პროლეტარიატის გასამაგრებლათ და ბრძოლაში ჩასაბმელათ. პროლეტარიატის ეკონომიკური გაჭირვება და პოლიტიკური უუფლებობა ერთათ-

ერთი ფარხმალია ბოლშევიკური ტირანის და მუსტაფაზეილი მუშათა «ჯგუფიზმის» წინააღმდეგ მიმართული. პატერნისტები ზე უნდა მოხდეს გათიშვა პროლეტარიატს და მის ორგანულ წევრთა შორის. მაშასადამე, ბრძოლა მუშათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და პოლიტიკური უფლების მოპოვებისათვის იყო და რჩება ჩვენი ტაქტიკის მთავარ ღერძათ.

საბჭოთა წყობილება განსაკუთრებით ანგრევს გლეხის კე- თილდღეობას. თვით ბოლშევიკების მოწმობით გლეხის მეურ- ნეობა დაცემულია, ის აღარ ამუშავებს მიწას წინანდელი ხა- ლისით და მუყაითობით. ამის მთავარი მიზეზია მათივე სიტყ- ვით (იხ. «კომ.» ორჯონიკიძის მოხსენება) გლეხის საკუთრების გაუქმება.

ჩვენ მიწა ჩამოვართვით მემამულეს და მივეცით გლეხს. ბოლშევიკებმა მიწა ჩამოართვეს გლეხს და მასცეს სახელმწი- ფოს. წინეთ ის იყო მემამულის მოიჯარადრე, ახლა ის სახელმ- წიფოს მოიჯარადრეა. ერთი ბატონი შესცვალა მეორემ. გლეხს ქონდა წინეთ თავისი კოოპერატივი, თავისუფალი და დამო- უკიდებელი სავაჭრო ორგანიზაცია, რითაც თავის საშინაო მო- თხოვნილებებს იქმაყოფილებდა. ბოლშევიკებმა წაართვეს ეს კოოპერატივი მას და გადასცეს თავის პარტიას, თავის სახელმ- წიფო დაწესებულებებს, რომელიც სჭრიან და კერვენ სურვი- ლებისამებრ. გლეხს არ გააჩნია არც საკუთარი მიწა, არც საკუ- თარი კოოპერატივი. გაუქმება ახალი მებატონეობის, ახალი ბიუროკრატიული კოოპერატივის და გლეხის ჩვენი დროის მდგომარეობის აღდგენა ერთათერთი საკლეხო მოთხოვნილე- ბაა. გლეხის საწარმოვი ძალის გაძლიერება შეიძლება მიწის სრულ მის განკარგულებაში და მფლობელობაში გამოცხადებით. სოციალიზმის მიზანი არავითარ შემთხვევაში არ არის გლე- ხისათვის მიწის წარმევა, გლეხური საკუთრების ძალით გან- სახოგადოება. მით უფრო ქართველი გლეხის, რომელსაც მხო- ლოდ პარცელური საკუთრება გააჩნია და იძულებულია სამ- რეწველო მუშაობით დანაკლისი აინაზღაუროს. აქედან წარ- მოსდგება მისი დაინტერესება სამრეწველო აღორძინებაში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ის არის გლეხიც და მუ- შაც, სოფლელიც და ქალაქელიც; ის სრული მოქალაქეა, რომ- ლის მსგავს სხვა ქვეყანაში იშვიათათ შეხვდებით. როგორც

მეურნე, ის საჭიროებს ბაზარს, ადგილობრივს და მსოფლიოს; აქედან მისი უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკურ სამრეწველო შინაო და საგარეო საგაჭრო მონოპოლიებისადმი. თავისუფლად მომზადება ბაზარი თავისუფალი კონკურენციით — აი მისი მთავარი მოთხოვნილება. ის არის ამავე დროს საფააბრიკო საქონლის მუშტარი. აქედანაა მისი უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკურ სამრეწველო მონოპოლიის და საქონლის გაძვირებისადმი. ერთი სიტყვით, გლეხი მთელი თავისი არსებით ეპირდაპირება არსებულ წყობილებას. აյ კომპრომისი, ზავი შეუძლებელია. ქართველი გლეხი დღეხაც ისეთივე სათავეა ქვეყნის ოპოზიციური განწყობილების, როგორიც იყო წინეთ, მეფეთა დროს. ის ერთნაირათ უარსყოფს პომეშჩიკურ და ბოლშევიკურ წყობილებას. ვინაიდან სამრეწველო მუშა მოდის სოფლიდან, გლეხობილან, ცხადია ის ქალაქშიაც თან მოიტანს თავის პოლიტიკურ სულისკვეთებას და დაიჭერს ადგილს გაბოლშევიკებულ მუშებისას, პროლეტარიატის მთლიანობას მოწინავე გლეხი ხელს შეუწყობს.

ამნაირათ, მიწის კერძო საკუთრება, სავაჭრო-სამრეწველო მოქმედების თავისუფლება, წარმოების განვითარება, სამუშაო ბაზრის და სამუშაოს უზრუნველყოფა — აი მთავარი საგლეხო ეკონომიკური მოთხოვნილება.

მისი პოლიტიკური და უფლებრივი მოთხოვნილებანი არ განსხვავდებიან დანარჩენ მოქალაქეთა ასეთსავე მოთხოვნილებებისაგან. დემოკრატია შეიცავს მთელ საზოგადოებას, მთელ ერს გამოუკლებლივ. ბოლშევიკებმა ძველი რეჟიმის წოდებრივი პრინციპი თავისათ გამოაცხადეს, მხოლოდ ის შეაბრუნეს, თავად-აზნაურულ უფლების მაგიერ, მუშა-გლეხის უფლება წამოაყენეს. მარა ნამდვილათ, ორივე შემთხვევაში არც ერთ ამ წოდებას, თუ კლასს, არავითარი რეალური უფლება არ ქონებია და არ აქვს, ვინაიდან ორივე დესპოტიის საფუძველზეა აგებული, ხოლო დესპოტია კი ყველას უფლებას თვით პატრონობს. აი ამ წოდებრივ უფლება-უპირატესობას ეპირდაპირება დემოკრატიული თანასწორობა და თავისუფლება. ამ მხრით წვენი ტაქტიკა უცვლელია.

როგორც ხედავთ, ერთი მხრით ვიბრძვით ყოველდღიური მოთხოვნილებების; კერძო საკითხების ირგვლივ ხალხის მდგრადეობის გასაუმჯობესებლათ, ხოლო მეორე მხრით ყველა მ

საკითხებს ვუკავშირებთ მოძრაობის მიზანს. ძირითად პოლი-
ტიკურ, ნაციონალურ და ეკონომიკურ პრობლემას. რეალური გაუმჯობესება ხალხს არ ძალუმს არსებული სისტემის მის ფარგლებში, მხოლოდ მისი დამსხვრევა იძლევა ფართო
გამოსავალს, შესაფერ საშუალებას ცხოვრების შეცვლის და
გაუკეთესებისათვის. ყველა პოზიცია, იქნება ის კულტურულ-
ეკონომიკური, საზოგადოებრივი თუ სხვა, ჩვენი ამხანაგების
თუ თანამგრძნობთა მიერ მოპოვებული, უნდა გადაიქცეს იარა-
ღათ სახალხო საქმის წინ წასაწევათ. პარტია შედის ყველა
წრეში, ყველა დაწესებულებებში, გარდა რასაკვირველია პო-
ლიციურისა და პოლიტიკურათ პასუხისმგებელ პოსტისა და
შეაქვს იქ თავისი აზრი, თავისი მუშაობა, თავისი დროშა. ამ
ბოლო დროს, ბოლშევიკების გადმოცემით იზრდება ხალხის
აქტიობა, მისი ჩარევა საბჭოთა საქმეებში. ცხადია, ეს მას
ეჭირვება, ამ გზით ფიქრობს მძიმე ტვირთი შეიმსუბუქოს ოდ-
ნავათ მაინც. პარტია მიყვება ხალხს ყოველგან, სადაც ის მი-
დის, უხსნის და უკარნახებს მოქმედებას, პასუხს აძლევს ყვე-
ლა საჭირობოტო საკითხზე, არ ტოვებს არას შემთხვევაში
უწინამდლვროთ დაბნეულობის და მტერთა ამარა. თვითეული
ასეთი გამოსვლა ხალხს დაანახვებს მთელ მოჯადოებულს წრეს,
რომელიც მას გასაქანს არ აძლევს და ეს მასში განამტკიცებს
ოპოზიციურ განწყობილებას.

რატაქტიკა უნდა ვაწარმოვოთ ბოლშევიზმის დაცემის ხა-
ნაში? ეს დამოკიდებულია ამ დაცემის ფორმებიდან. ყველა შემ-
თხვევაში ერთი ძირითადი მოქმედება სავალდებულოა — სა-
ქართველოს აღდგომა და დემოკრატიული რესპუბლიკის გა-
მოცხადება. ყველა შემდეგი ნაბიჯი დაექვემდებარება ამ რეს-
პუბლიკის დაცვის საჭიროებას და ამ მიზნით კავკასიაში,
რუსეთში და ევროპაში მოკავშირეთა მოძებნას. თავისთავათ
ცხადია, რომ ქართველ ხალხს არაფერი აქვს სადაო და საო-
მარი რუსეთის ხალხთან, რომელიც თვითონ იტანჯება საბ-
ჭოთა ტირანიით. რუსეთს არ აქვს არც ერთი ნამდვილი ინტე-
რესი, რომლის შეთავსება არ შეიძლებოდეს საქართველოს და-
მოუკიდებლობასთან. მოლაპარაკების და თანასწორობის ნია-
დაგზე ყველა უთანხმოება ადვილათ ამოიწურება, მარა ეს კი-
დევ არ ნიშნავს ჩვენი თავისუფლების შესაძლებლობას რუსე-
თის ყოველგვარ წყობილების გვერდით. ამიტომ ჩვენთვის უდი-



დესი საკითხია ის, თუ ვინ იქნება ბოლშევიკების მემკვიდრეობის პომეშჩიკური რეაქცია, დემოკრატია თუ ნეპმანური ბონოპარტული ბატონობა. ამ სამში ერთათერთი რადიკალური დემოკრატია საერთაშორისო დემოკრატიის დახმარებით იძლევა შესაძლებლობას შინაგანი ძალებით დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ. პირველი ჩვენი ისეთივე მტერია, როგორც ბოლშევიკები, ესენი ერთი ხის ნაყოფია და ჩვენს მიმართ ერთათ ვარდებიან. მათთან საერთო არაფერი გვაქვს. მესამე ფორმის წყობილებაში შეიძლება ჩვენი სუვერენიტეტის შერჩენა გარეშე ძალის შემწეობით, ძალის არა სამხედროს, არამედ დიპლომატიურის და ფინანსიურის. მოსკოვის ბურუჟაზიული ბონოპარტიზმი უევროპოთ ფეხს ვერ აიღეამს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ტაქტიკა არსებული რეჟიმის გადატების ხანაში დაემორჩილება ჩვენს მთავარ მოთხოვნილებას — საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას და ამის შესაფერათ მოხდება მისი მიხერა-მოხერა.

აი ამ რწმენით, ამ მუშაობით, ამ ტაქტიკით ქართველი სოციალ-დემოკრატია მიზანს მიაღწევს, ქართველი ხალხი დაკარგულ უფლებას მოიპოვებს, საქართველო წართმეულ თავისუფლებას დაიბრუნებს...

ხუთი წელი

ხუთი წელი ტანჯვის და მონობის, ტყვეობის და ბორკი-
ლების!

ვინ ვიფავით გუშინ? ყველაფერი!
რა ვართ დღეს? არაფერი!

ერი პატივაყრილი, ხალხი დაქცეული, მოქალაქე შეკრულ-
შებოჭვილი.

საქართველოს მესაფლავენი დღეს დღესასწაულობენ თავის
გაბატონებას, საქართველო კი ძაძებით გლოვობს თავის და-
მარცხებას და მათდამი დამორჩილებას. ისინი იცინიან და
სტებებიან, ჩვენები თხრავენ და იტანჯებიან.

დღეს ორგვარი მოგონებაა: ერთია ჯოჯოხეთის და მისი
მოციქულების, მეორეა თავისუფლების და მისი მოტრფია-
ლეების.

ხუთი წლის წინ ქართველმა ერმა დაკარგა უდიდესი გან-
ძი — თავისუფლება და მიიღო უმძიმეს უდელი მოსკოველების.
ერის უღირსი შვილები თავს დაეცენ მშობელ დედას უცხო ძა-
ლებით, ამორათვეს სული და გაბაწრული ცოცხალ-მქვდარი მი-
უტანეს მსხვერპლათ თავის მომავლინებელთ. ეს საშინელი
სულთამშუთავი, რომლის თავია მოსკოვში, ხოლო ბრჭყალები
კი ჩვენში, სწუწნის დაუსჯელათ ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს ავ-
ლადიდებას, ჩვენს სულიერს და ნივთიერ საუნჯეს. წაიღეს რის
წალებაც კი შეეძლოთ, გააპარტახეს რაც დახვდათ, მოსპეს
მთელი ახალი კულტურა, შრომით და ბრძოლით შეძენილი,
და გადაგვისროლეს უკან, დაცემის და გავერანებისაკენ. ისინი
დღეს ცეკვობენ ერის სასაფლაოზე.

რა სურდათ, რას ფიქრობდენ? სურდათ ჩვენი ჩაბრუნება
რუსეთის სამფლობელოში, ფიქრობდენ ჩვენს გადაქცევას ძვე-
ლი იმპერიალიზმის გზათ და ხიდათ. საქართველო დასჭირდა
მოსკოვს მეფეთა აღმოსავლეთის პოლიტიკის გასაგრძელებ-



ლათ, ოსმალებში, სპარსეთში, შორეულ სამხრეთში სამრეკი უნდა
დო ბაზის შესაქმნელათ. მათ კარგათ იცოდენ, რასაც შეტყმარითი იყენება
დენ, რისთვის აგზავნიდენ თავის ჯარებს ჩვენს წინააღმდეგ. ეს იყო
დიდი სახელმწიფოს შეთქმულება პატარას ჩასაყლა-
პავათ. ქართველები, ამ ბოროტების მებაირალტრენი? ამათ ქვე-
დანა გაყიდეს და მიიღეს სამსახური! თანამდებობაზე გადასც-
ვალეს ერის სვე-ბედი. განმეორდა სიტყვა-სიტყვით ძველი ამ-
ბავი, რუსის ჯარი შემოღის საქართველოში მეორეჯერ ქართ-
ველების წინააღმდოლობით. ფაქტი ერთნაირია. მისი აზრი კი
სხვადასხვაა. პირველი მოპატიუება მოხდა უცხო მტრის მოსა-
გერიებლათ. ჭავჭავაძენი ემსახურებოდენ ქართველი ხალხის
ფიზიკურათ გადარჩენას. რას ემსახურებიან მახარაძენი? რომე-
ლი მტრის წინააღმდეგ ამხედრდენ ისინი? ეს მტერია ქართ-
ველი ხალხი, მის დასამორჩილებლათ და მასზე გასაბატონებ-
ლათ მათ მოიხმეს ნამდვილი მტრები. ჩვენს წინაპართ აქვთ
გასამართლებელი საბუთები. ამათ, ამ ჩვენს თანამედროვეთ, არა-
ვითარი გამართლება, არავითარი საბუთი არ აღვებათ. ესენი
რუსეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონებია.

ერი თავისუფალი, აღორძინებული, ახალი იმედებით და
იდეალებით აღფრთოვანებული დაატყვევეს და რუსეთის დეს-
პოტიას დაუმორჩილეს. რას წარმოადგენს ეს ბატონი, ქვეჭა-
ნამ იცის. ის გამოიყიტულია, არ შერჩა არავითარი ნივთიერი
და გონებრივი ღირებულება, გარიყული, განცალკევებული, კა-
ცობრიობიდან გამდგარი — აი ამ არარაობაზე ვართ მიყრული
და მის საჯეგნათ გადაქცეული. საქართველო ყოფილა დამცი-
რებული, მარა არასოდეს არ ყოფილა ასე დაბლა დაშვებული.
ის დღეს უფსერულშია, ამაზე ქვემოთ წასვლა აღარ შეიძლე-
ბა. მხოლოდ სულის სიმტკიცე და იმედი ატანიებს მას ამ სა-
შინელ ტრაველიას. «ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით
ქვიტკირსა» — ეს ძველი სიბრძნე დღევანდელი ჩვენი მნათო-
ბია. თავს დაგვატეხეს ჭირი, ჩვენ უპასუხებთ სიმაგრით: «გას-
ტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა». ქართ-
ველი ხალხის გრდემლს შეასკდა უთვალავი მტერი. ასეთი
ბოლო მოელის ახლანდელ მის მტერსაც; ოღონდ კი გრდემლი
მუდამ სცემდეს და ერს აღვიძებდეს. აწმყო არა გვწყალობს,
მარა მომავალი ჩვენია.

1 ჩვენი გზა მიღის აღმართ-აღმართ, აღორძინების და თავი-



სუფლებისაკენ. აქეთ მოდის მთელი კაცობრიობას. შათრები გი ეშვება დაღმართ-დაღმართ, ჭაობის და ჯურდმულაზაგენ. შათრები არავინ მისღებს, იმ გზით არავინ მიდის, მას ყველა, მთელი კაცობრიობა, ზიზღით შეფურებს. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ მოსკოვის მიმართულება გადაშენების ხიდია, აქეთ გასავალი არ არის: ამას ქვანიც კი ღაღადებენ. ამ ღაღადმა გაარღვია თვით კრემლის კედელიც და შეიტანა ხმა სინაზულის. მათი დღენი დათვლილია, ხალხის ამაღლება მათი ღაცემაა; ქვეყნის აღდგომა მტარვალთა დამარხვაა. ასე ყოფილა მუდამ და ასე იქნება. გლახათ ღამწყები გლახათ ათავებს. ეს უცვლელი განაწენია.

ეს ხუთი წელი, წელი ცრემლთა გუბეების და სისხლთა მორევის, არის წელი ქართველი ხალხის სულიერი განკურნების. ის ამ ციხეში ინათლება მტკიცე ნებისყოფით. იბანება თავისუფლების წყაროთი და იჭედება სასიცოცხლო ძალებით.

განველეთ ეს ხუთი წელი, დრო მეტათ ძნელი. ჩვენი დროშა დაბლა არ დაშვებულა. დგება დრო ნაკლებათ ძნელი, შევდივართ გარდატეხის წლეებში, ჩვენი დროშა მაღლა აიწევა.

მაშ იმედი, კიდევ იმედი, მეტი იმედი!

ს ა დ ღ მ ი ს მ

გავიდა ორი წელი, წელი საქართველოს აჯანყების, წელი ჩვენი ამხანაგების ციხეებში დახოცვის.

ხალხი აღდგა თავისუფლების მოსაპოვებლათ, თავის თავის მართველათ გამოსაცხადებლათ. ამ გზით, ამ დროშით მიღიოდა და მიდის ყველა სასიცოცხლო ერი, ყველა დაჩაგრული და გამწარებული საზოგადოება. ეს შედის ბრძოლის საშუალებათა რიგში, როგორც ერთი მისი ნაწილი. ისტორიამ არ იცის ისეთი ხალხი, რომელსაც თავის შელახულ უფლების აღსადგენათ იარაღისათვის არ მიემართოს. რამდენი ასეთი მომენტი განვლო მაგალითად საფრანგეთმა უკანასკნელ საუკუნეში? აჯანყება აჯანყებას მისდევდა სანამ საბოლოოთ არ შექმნა თავისი სურვილის გამომხატველი წყობილება. რამდენი ბრძოლა მისცა იტალიელთა რაზმებმა ავსტრიის მთავრობას, სამშობლოს განსათავისუფლებლათ და აღსადგენათ? და ასე ყოველგან, ყველა ერში. მიმოიხედეთ უგან საქართველოს წარსულში. განა ჩვენი მატიანე სავსე არ არის აჯანყებებით სპარსთა, თურქთა, არაბთა და სხვა უცხო მტარვალების წინააღმდეგ? განა მეცხრამეტე საუკუნეში ამავე იარაღს არ მივმართეთ მრავალჯერ და თვით ახალ დროშიაც, ცხრაას ხუთში, უიარაღოთ დავნებდით გამარჯვებულ მტერს?

საქართველოს უკანასკნელი ადგომა ერთი რგოლია. ერთი მომენტია იმ დიდი ბრძოლის, რომელსაც ქართველობა ეწევა საუკუნეთა განმავლობაში თავის თავის გადასარჩენათ, თავის სახის შესარჩენათ. ამაში იხატება მისი სასიცოცხლო ძალა, მისი უნარი და მხნეობა. უძრავი, დავარდნილი ხალხი—ხალხი არ არის, ის უბრალო მძოვრია, სხვის საჯიჯგნათ და სათელათ შარაგზაზე დაყრილი. ამ რიცხვს არ ეკუთვნის ქართველი ხალხი და სწორეთ ამით მოიტანა თავი დღევანდლამდე. გაჭირებით ის წელში არ იზნიქებოდა და მუცლით მიწაზე არ ხოხავ-

და; პირიქით, სწორეთ ამ დროს წელში იმართებოდა და მტერს ეკვეთებოდა. ეს ჩვენი ნაციონალური ოვისება რუსის მფლის-ბიუროკრატიამაც კი შეიგნო და ამიტომ ვერ ბედავდა შაროვალობის იმ მეთოდების სმარას ჩვენში, რასაც ხმარობდა რუსეთში. რუსის გლეხს «როზგავდენ» როგორც ცხოველს, ჩვენსას კი ხელს ვერ აკარებდენ. აი თვალსაჩინო განსხვავება ამ ორ ხალხთა სავალ გზას შორის. ქართველი თავს არ წადებს დასაკლავათ, არ სურს დაემორჩილოს სიკვდილს და როცა ასეთი შამი უდგება — ის იფეთქებს და უბედურებას ლახვარს მიაგებებს.

აჯანყება დამარცხდა. მაგრამ კველა აჯანყებას გაუმარჯვია? ეს ასე არსად, არასოდეს არ მომხდარა. ასე იოლი არ არის სიცოცხლისათვის ბრძოლა. მისი გზა ეკლით არის მოფენილი, რის აკრეჭა ხელის დაუჩხვლეტათ არ შეიძლება. თეთრი ხელ-თათმანი ბრძოლაში გამოსადევი არ არის. რასაკვირველია, და-მარცხებას გამარჯვება სჯობია, მაგრამ დამარცხებული მოძ-რაობაც შედის სოციალური ტკივილების წამლობაში; კველა ასეთ მოვლენას მოყოლია საერთო მდგომარეობის შემსუბუ-ქება. მტერი მით უფრო ულმობელია, რაც უფრო ითმენენ. მაგ-რამ თუ მოთმენის ფიალა გაივსო და გადმოხეთქა, ის უკან იხევს და ბატონობის ახალ გზას ეძებს. ტანჯვის შემსუბუქებაც კი გამარჯვებაა, მტანჯველის ჩარჩოში ჩაეყნებაც კი უდღის შემსუბუქებაა. ერთი დაკვრით ქვეყანა არ აშენდება, ერთი შენძრევით ხალხი არ განთავისუფლდება. საჭიროა მუდმივი, შეუპოვარი ბრძოლა სხვადასხვა საშუალებებით და მეთოდებით, რომ ის გამარჯვებით დაგვირგვინდეს. აჯანყება მხოლოდ ერთი საშუალებაა, ერთი მეთოდია სხვა მრავალთა შორის, მა-რა აუცილებელი კი. მებრძოლი მას გვერდს ვერ შეუარს. ის ძევს ისტორიის შუაგულში და მას ვერც ერი, ვერც კლასი ვერ გადაახტება.

გავიდეთ მრავალი მსხვერპლი, დავკარგეთ ბევრი პოლიტიკური მოღვაწენი. მარა განა ისინი აჯანყებაში დავკარგეთ? არა, პირიქით, ბრძოლაში ყველაზე ნაკლები მსხვერპლი ვნა-ხეთ. ლაჩარი მართველობის თვისებაა ბრძოლას გაექცეს და უიარაღოთ და ტყვეთ თავს დაეცეს. ხოლო ბოლშევიკური მარ-თველობა ხომ ლაჩარზე ულაჩრესია. მან დახოცა პოლიტიკუ-რი ტუსალები. ასევე ჩაიდინა მან წინეთაც, ობოლაძის მოკვ-



ლის გამო. აჯანყება იყო საბაბი პოლიტიკური შურისძიების უწევები ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი მაგალითი ტყვეთა დახოცვის არის პარიის კომუნარების დახვრეტა გამარჯვებული ღენერლის მიერ. მარა ეს ტყვენი იყვენ მებრძოლნი, იარაღით ხელში დაჭრილნი. ბოლშევიკებმა დიდათ გადააჭარბეს ღენერალ გალიფების თავისი ბარბაროსობით. ქართველ ხალხს და მათ შორის სისხლის გუბებია; ხიდი აქ გაუდებელია და მათი გზა სამუდამოთ გაყრილია.

დიახ, მსხვერპლი დიდია, მარა ეს გამომდინარეობდა არა აჯანყების ბუნებისაგან, არამედ მტრის ბარბაროსობისაგან. ის ამ საშუალებით მართველობს მიუხედავათ აჯანყებისა. ეს მისი სტიქიაა, მისი სული და გულია. ის უნდა დაინგრეს, რომ ხალხი აღსდგეს. ამ მსხვერპლმა გააკაუა ქართველი ხალხი, გაუძლიერა მტარვალთა სიმულვილი; ხოლო სულმდაბალნი დააშინა და მტარვალთა ბანაკში გადაისროლა. ამათი მრწამსი ასე გამოხატა ერთმა მობოლშევიკო მწერალმა: «კვდარ ლომს ცოცხალი კატა სჯობიაო» (ჯაფოს ხიზნები). მოკლე ჭკუის ხალხი გადაბარგდა კატებისაკენ და მათ ელაქუცებიან. ამ ვაჟბატონთ დაავიწყდათ, რომ ლომი კვდარიც ლომია და მისი ერთი ფაფარი ყველა კატას სჯობია. მხოლოდ გზადაბნეულს შეუძლია იფიქროს, რომ სახელოვან კვდარს ბოროტი ცოცხალი სჯობიათ. განა იუდამ აჯობა ქრისტეს? განა ინკვიზიტორებმა გაიმარჯვეს გალილეიზე, ივანე გუშე და მრავალ სხვა მათ მიერ მოკლულ დიდებულ ადამიანებზე? განა კ. სულაქველიძემ აჯობა ნ. ხომერიქს? დაცემის მოციქულებს არასოდეს არ გაუმარჯვია აღორძინების მოციქულებზე. «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი».

თავდადებული ბრძოლაში იხოცებიან — ეს ძველი ამბავია, ლააჩარნი ნაცარქექიათ რჩებიან — ესეც ძველის ძველია. ჯერ კიდევ პომერიდან ვიცით: «ადარ არის დიდი პატროკლი, ცოცხალია საძაგელი ტერზიტია! როგორც პატროკლის სისხლი გახდა თავდებათ მტერზე მისი მეგობრების და მისი ერის გამარჯვების, ისე ჩვენი დაღუპული პატროკლები ჩვენი გამარჯვების თავდებია. ამ განაჩენს ვერ გაექცევა მტარვალი.

ორი წელი, წელი დაუვიწყარი და მუდამ სახსოვარი, სამარადისოდ აღბეჭდილია ქართველი ხალხის გულში და მას ის მუდამ მოიგონებს მოწიწებით და თაყვანისცემით.

ათი ვალი

ნოემბერში სრულდება საბჭოთა ბატონობის ათი წელი, დრო საკმაოდ დიდი მისი ნაყოფის გამოსაღებათ და მისი სიმწიფის დასაფასებლათ.

და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ეს წყობილება არასოდეს არ ყოფილა ისე უკურნებლათ დასწეულებული, განმარტოვებული და შინაგანი წინააღმდეგობით დაუძლურებული, როგორც ის ახლა, ათი წლის ბოლოს არის. ის უკვე გაფურჩქვნამდე დაბერდა, ახალგაზრდობაში მოტყდა, უდღეური გამოდგა. მისი იდეოლოგია, მისი პოლიტიკა და პრაქტიკა საბოლოოთ გაკოტრდა, დაჩანაცდა და მხდალთა საფრთხობელათ გადაიქცა.

ათი წლის წინ ბოლშევიზმი კიდევ ბევრს გულწრფელადა სჯეროდა. მისი მოციქული ბევრს ახალი სახარების მქადაგებლათ მიაჩნდათ. მას ყავდა თავდადებული მიმდევრები, ენერგიული დამცველები, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლნი. მან განვლო გმირული ხანა, ააფორიაქა მთელი რუსეთი, შეანძრია ბევრი ქვეყანა, გასცა მრავალი ჩინებული დაპარება, ჩამორეკა კაცობრიობის განახლების ზარი, ერთი სიტყვით, არასოდეს არც ერთ პარტიას და მიმდინარეობას ამდენი არ უხმაურებია, არ უტრაბახებია, არ უყვირია. დღეს ყველა ეს გადნა, შარშანდელი თოვლივით; მათი სიტყვა უკვე გამოიფიტა, მათი საქმე უკვე გადუხტირდა. ჩამოშორდა ყველა უანგარო მეგობარი, გაშტერებულია მისი შემხედვარე – ნუთუ ამ ჯოჯოს ვეთაყვანებოდიო! იარაღი დაყარა მისთვის თავდადებულებმა, ნუთუ მისთვის სისხლს ვღვრიდიო! მას შერჩა მხოლოდ «კაზიონი» ხალხი, ხაზინის საკუჭნაოს შემყურე და მის სკივრებში ხელის მოფათურე. ბოლშევიზმი გახდა მოძღვრება გვპეუს, სადარჯო დაქარავებულ ლაშერის, განყოფილება პოლიციის დეპარტამენტის. ის ადამიანთა სულს და გულს აღარას ეუბ-

წესა, დაპოუდადებელ მოღვაწეთ აღარ აფრთხოვანებს, მასზე გადატკიცის იმედი აღარავის ამყარებს.

შემდეგი გვ. 131

ის შეიქნა საკინკლაო საგნათ ხელისუფლების მაძიებელთა, წეროთ გამოიჩინის, პირადი ანგარიშების გასწორების, გზათ და ხიდათ ბატონობის და ნებივრობის. მას გაშორდა სული, ჩაუქრა იდეალი, დაეკარგა აღმაფრენა და იქცა ჩონჩხათ, ქვეყნის ყვავ-ყორანის საძიგვათ. დღის წესრიგში დგას არა ამ ღების გამოცოცხლება, არამედ მისი დროზე გადათრევა და შორს დასაფლავება.

ბოლშევიზმი დამარცხდა. მან ვერ შეასრულა ვერც ერთი თავისი დიდი დაპირება. რატომ, რისთვის დაგლახდა ასე ეს ძლიერი მოძრაობა? მიზეზი ერთათერთია: ბოლშევიკური რევოლუციური მოძრაობა არ ხატავდა საზოგადოების ნამდვილ მოთხოვნილებას; ე. ი. ბოლშევიზმი არ არის ისტორიული პროგრესის მატარებელი, მათი იდეოლოგია არ აღბეჭდავს ადამიანთა რეალურ ურთიერთობას.

და მართლაც, რა საკითხი დაუსვა ისტორიამ რუსეთს გადასაჭრელათ? ის, რაც ყველა ჩამორჩენილ ქვეყანას – გადაქეცევა თანამედროვე დამთავრებულ სახელმწიფოთ, სავსებით შესვლა საკაცობრივი ოჯახში, ხალხის ქვეშევრდომის ხალხის – მოქალაქეთ შეცვლა. თებერვლის რევოლუცია თამამათ შედგა ამ გზაზე. ლიბერალურ ბურჟუაზიამ, სოციალისტურ ინტელიგენციამ და პროლეტარიატის ავანგარდმა ეს მიზანი დაისახა, მარა ვერ შეასრულა. მოძრაობაში ჩაება ახალი ფენები, აგორდა მოელი ჩამორჩენილი სტიქია, სალდათის და გლეხის მეთაურობით და დაეპატრონა რევოლუციას. იშვა რეტრომბერი და მით იშვა ძირითადი წინააღმდეგობა რუსეთის ისტორიული ამოცანის და რევოლუციის შორის. ეს ამოცანა პირველყოვლისა ითხოვს საზოგადოების ყველა სასიცოცხლო ძალების დახსნას, ყველა მათ წინ მდებარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზღუდეების დაშლას და ახალი საამისო ნორმების ჩამოყალიბებას. ოქტომბერმა კი პირიქით ყველა ეს სასიცოცხლო ძალები შეკრა, დააბა და იწყო მათი კომუნისტურ კალაპოტში ჩაჭედვა. იწყება ბრძოლა ცხოვრების და ბოლშევიკურ იდეოლოგიას შორის, რაიცა გრძელდება მეტ-ნაკლები ტემპით დღევანდლამდე. აი ეს გარემოება არყევს საბჭოთა წყობილებას,

ანგრევს ქვეყნის კეთილდღეობას, არღვევს ბოლშევიკურ პარტიას და მივყევართ ახალ-ახალ გადატრიალებისაჲნს. 1936 წლის

ეს ძირითადი წინააღმდეგობა რევოლიუციას და ჩეკისტების მოთხოვნილებას შორის არ არის ნიშნობლივი თვისება რუსეთის რევოლიუციის. ის თან ახლავს საზოგადოთ ყველა დიდ ბოლიტიკურ გარდატეხას წარსულში. თითქმის ყველა რევოლიუცია სხვადასხვა გარემოების გამო ბოლოს და ბოლოს ხელში უვარდება უტოპისტებს, დოქტრინერებს, რომელნიც ცდილობენ შეუფარდონ თავისი იდეოლოგია არა ცხოვრებას, არამედ პირიქით, ცხოვრება ჩამოქნან თავის იდეოლოგიის თანახმათ და მით იმზადებენ დამარცხებას. ინგლისის დიდი რევოლიუცია დაწყებული ბურჟუაზიული საზოგადოების დაბადების გასაადვილებლათ თავის მსვლელობაში რჩება სექტანტების ამარათ, რელიგიური მოციქულების მეთაურობით, რომელთა მიზანია «წმინდანების სახელმწიფოს» დაარსება და ძალით, სამხედრო ზომებით, პარლამენტის მიერ ხმის უმეტესობით მიღებული ლოცვანის ხალხისათვის თავზე მოხვევა. კათოლიკურ ირლანდიას სამხედრო წესებით სარწმუნოებას უცვლიდენ და მით, რასაკვირელია, მთელი ხალხი გადაიკიდეს. ერთი სიტყვით, გაბატონებული პარტიები, დამოუკიდებლები, პრესვიტერიანელები და ნიკერელები, სავსებით აცდენ ინგლისის ისტორიულ ამოცანას და შეეცადენ თანამედროვე ხანაში რაღაც პირვანდელი ქრისტიანობის მსგავსი საზოგადოება შეექმნათ. უტობია დამარცხდა, კონტრ-რევოლიუციამ გაიმარჯვა.

ახეთსავე მოვლენას ვხედავთ ჩვენ საფრანგეთის რევოლიუციაში. რობესპიერი და სენუსტი არ სცნობენ რევოლიუციის ბურჟუაზიულ ხასიათს და ცდილობენ საზოგადოება ააგონ ძველი საბერძნეთის და რომის პოლიტიკურ საფუძველზე. მარქსი სწერს: «რობესპიერი, სენუსტი და მათი მომხრეები დამარცხდენ იმიტომ, რომ მათ ერთმანეთში არიეს ანტიური დემოკრატიული და რეალისტური სახელმწიფო, დაყრდნობილი რეალურ მონობაზე, და თანამედროვე დემოკრატიული და სპარიტუალისტური სახელმწიფო, დაყრდნობილი განთავისუფლებულ მონობაზე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე» (იხ. «წმიდა ოჯახი»). აი ეს ერთი მხრით ანტიური იდეოლოგია და მეორე მხრით არსებული პირობები ერთმანეთს ეხეთქებიან და ბოლოს და ბოლოს იმარჯვებს უკანასკნელი. ტერმიდორი დგება. რე-

გოლიუცია დაიწყო ბურეუაზიამ, მარა გზადაგზა ის განდევნიდეს უკუკი
იქნა ასპარეზიდან და არ მიეცა საშუალება ბურეუაზიული მუშაობითია
თიერთობის მეთაური გამხდარიყო. მარქისის აზრით, არა თუ
იაკობინელები, არამედ ნაპოლეონიც ებრძოდა ეპოქის ამ ძი-
რითად ტენდენციას და ამიტომ ისიც დამარცხდა. ის სწერს:
«ნაპოლეონი, ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა რევოლიუციური
ტერორიზმისა წინააღმდეგ ბურეუაზიული საზოგადოებისა და
მისი პოლიტიკის, რის დროშა რევოლიუციამ აღმართა. ნაპო-
ლეონს ჟკვე ესმოდა თანამედროვე სახელმწიფოს ბუნება: იცო-
და, რომ ის აგებულია ბურეუაზიული საზოგადოების თავისუ-
ფალ განვითარებაზე... მარა მასში კიდევ ხედავდა თავისი ზრახ-
ვების აგენტს, ხოლო ბურეუაზიულ საზოგადოებაში ქონების
მოიჯარადნეს, მის ხელქვეითს, რომელსაც არ უნდა ქონდეს
საკუთარი ნება. მან მიმართა ტერორიზმს მუდმივი რევოლიუ-
ციას შეცვლით, მუდმივი ომით... მისი პროექტი იყო შემოღე-
ბა აღებ-მიცემობის მონოპოლიის, რომ მთელი ვაჭრობა გადას-
ცემოდა სახელმწიფოს... ერთი სიტყვით, ნაპოლეონის საშუა-
ლებით რევოლიუციური ტერორიზმი ერთხელ კადევ იღაშქ-
რებს ლიბერალური ბურეუაზიის წინააღმდეგ; რესტავრაციით,
ბურბონებით ამავე ბურეუაზიას ებრძის კონტრ-რევოლიუცია. მხოლოდ 1830 წ. ის ახორციელებს თავის 1789 წლის სურვი-
ლებს» (იქ.). ამას დაუმატებთ, რომ რობესპიერის დემოკრა-
ტია ხორციელდება მეოთხმოცე წლებში ანტიური სამოსელის
გახდით და ბურეუაზიულის ჩაცმით.

როგორც ხედავთ, უტოპიური მიმდინარეობა რევოლიუციის
სიღრმიდან ამოტივტივება და სათავეში მოქცევა ძველი ამბა-
ვია. რუსეთში ახალია მხოლოდ ის, რომ ასეთი ამბავი მორ-
დება მეოცე საუკუნეში. ამდენი რევოლიუციების, ისტორიული
გავევთილების და ისტორიული მეცნიერების შემდეგ. ეს მოწ-
მობს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკურ უსუსურობას, მის
საარაკო ველურობას და ყოველნაირ უტოპიათა ტლაპოში
ყელამდე ჩაფლას. მასში თავი მოიყარა რუსეთის ინტელიგენ-
ციას ყველა უტოპიამ — ნაროდნიკულმა, სლავიანოფილურმა,
ნარიდოვოლცურმა, რეაქციონურმა — ერთი სიტყვით წარსუ-
ლის მთელმა იღეურ ჭაობმა. ასეთი მარცხი არ მოსვლია გერ-
მანიის და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას და რევოლიუციი-
ური ქარტეხილიდან გამოვიდენ გამარჯვებული. მათ გადააბეს

იდეალი რეალობას და მით შეინარჩუნეს დემოკრატია და დემოკრატიული რესპუბლიკა. ხოლო სადაც კი იფეთქა ბრძოლები - კურ უტოპიამ, იქ დღეს მეფობს საშინელი რეაქცია (უნგრეთი, ბავარია).

ამაირათ, ერთ და იმავე დროს მომხდარ ორ რევოლუციაში, ერთი, რუსეთის, შორდება ისტორიულ კალაპოტს, ბოძებულ ბაზას და ვარდება ხრამში, საიდან ამოსვლა მას უკატასტროფოთ არ უწერია. ხოლო მეორე, დასავლეთის, თავს-დება ისტორიულ კალაპოტში, არ შორდება სინამდვილეს და ყრის ურყევ საძირკველს მკვიდრი და მწყობრი განვითარების და ბრძოლისათვის. ეს უკანასკნელი თავის იდეალებს ეძებს მომავალში, მისი მუშაობა და პოლიტიკური საქმიანობა მიმართულია იმ იდეალის განსახორციელებელ საშუალებათა შექმნისაკენ, მისი ნიადაგის მომზადებისაკენ. ის ხდება ისტორიული პროგრესის შეგნებული მატარებელი. ასეთია მეოცე საუკუნის რევოლუცია.

სამაგიეროთ ყველა წინანდელი რევოლუცია თავის იდეალს ეძებდა წარსულში, ნიველერები ძველ ქრისტიანებში, იაკობინელები ათინაში: ეს იყო ცდა რევოლუციური წარსულის აწმყოში გადმოსატანათ. ბოლშევიკები აქაც სასტიკათ ჩაიჭრენ. მათ გადმონერებეს აწმყოში ძველი მოსკოვური რუსეთის სინამდვილე, ეს სინამდვილე, როცა ადამიანი და ნივთი, მთელი ერი და მთელი სიმდიდრე იმყოფებოდა სახელმწიფოს სრულ მორჩილებაში და განკარგულებაში. ე. ი. მათ რეაქციონური წარსული აწმყოთ აქციებს და ზედ კომუნისტური დაღი დააკრეს. სტენკა რაზინი და პუგაჩივი მათი წინამორბედია. ერის სოციალურ შენობაში მოხდა მხოლოდ ერთი ცვლილება — თავად-აზნაურობის აღაგი დაიჭირა კომუნისტურმა პარტიამ, გაცილებით მეტი უფლებით და ძლევამოსილებით, ვინემ ბრწყინვალე წოდებას ქონდა მოსკოვის სამეცნიშვი. ყველა დანარჩენი ქლასი, დაწყებული წვრილი ვაჭარით და მრეწველით, თავის აღაგას დარჩა და მას დაერთო თანამედროვე ბურჟუა ნებმანის სახით. ამ რეფიმის დამკვიდრებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო რუსის მუშათა კლასშა: მარა ჩქარა გამოჩნდა, რომ მისი ემანსიპაციის პირობები რუსეთში არ დამდგარა, მისი საკუთარი სასიცოცხლო პრინციპი სრულიად არ ფარავს რევოლუციის სასიცოცხლო პრინციპს, საზოგადოების განთავი-

სუფლება არ მოითხოვს პროლეტარიატის განთავისუფლებას სუფლებას ისტორიის ამ პერიოდში. მუშაბ ვერ მიაღწია არათუ სუფლების აღურ განთავისუფლებას, არამედ ვერც მის წინასწარ პოლიტიკურ პირობებს. ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე დასმული ამოცანა ვერ გადაიჭრება მის უდაბლეს საფეხურზე. გლეხმა მიიღო მიწა სამუშაოთ, მარა ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში, რომ ეს ბუნების სიმდიდრე გადაიქცა წყაროთ მისი გაღატაკების და დაუძლეურების.

ამნაირათ, კომუნისტური რევოლიუცია დაშორდა არა თუ საერთო ისტორიის რეალურ ბაზას, არამედ, ამასთანავე ყველა მშრომელი ქლასის მიუცილებელ ინტერესებს. კომუნისტები უბრძანებენ ისტორიას – იარე ჩემი გზით და არა შენითო. მარა ვინაიდან ბრძანება ისტორიას ვერ შეაჩერებს, ამიტომ ბრძანებელი იძულებულია თავისი წესი თავს ახვიოს მას ძალით, ტერორით. აართვით ეს იარაღი და მთელი ხისტემა დაინგრევა, კომუნისტური რეჟიმიდან აღარაფერი დარჩება. მხოლოდ გაუსწორებელ ფანტაზიორს შეუძლია წარმოიდგინოს საბჭოთა წყობილება უტეროროთ, ხალხის ნებაყოფლობით და თავისუფალი თანხმობით. ეს ძლიერ კარგათ ესმით თვით ბოლშევიკებს და ამიტომ სავსებით ხიშტზე არიან დაყრდნობილნი. მაგრამ ამ რკინის საღტებებში მომწყველეული ცხოვრება მაინც თავის გზით მიიმართება, მაინც არტყამს სასიცოცხლო ჩაქუჩის დ თავის თავის, თავისი აუცილებლობის ერთგული რჩება. ის მიდის იმ შენით, საითკენაც ბოლშევიზმი არ მიდის. მათი გზანი ვერსად ვერ იყრებიან. ეს იძყოფება თავისავე არსებობის პირობების აშკარა წინააღმდეგობაში: ის იძულებულია პრაქტიკულათ დაუშვას ის, რასაც იდეურათ და პოლიტიკურათ ებრძვის. ეს ისტორიული დრამა აუცილებლათ უნდა გაიხსნას ბუნებრივი წესით – საზოგადოების განთავისუფლებით სახელმწიფოს ყმობისაგან და თანამედროვე ურთიერთობის აღდგენით. ე. ი. რუსეთი ბოლოს და ბოლოს მიაგნებს თავის თავს, თავის შესაფერ სოციალურ ნორმებს, წამოისხამს თავის ტანზე შეკერილ წამოსასხამს. მართალია, აგერ ჩინეთმა ეს 15 წელია თავისი კალაპოტი ვერ მონახა, ძალთა თანასწორობა ვერ აღადგინა; ეს მხოლოდ მოწმობს საქმის სიძნელეს, მრავალნაირ მიხევვ-მოხევვას და ხანგრძლივი დადუღების საჭიროებას. ენგელსი სწერდა ამ ნახევარი საუკუნის წინ: «ორმოცი მიღიოხი

ველიკორუსი შეადგენს მეტად დიდ ხალხს და აქციურებულ თავისებური განვითარება, რომ შეიძლებოდეს გარემონტიზაცია თვის ამა თუ იმ მოძრაობის თავზე მოხვევა*). მით უფრო ეს მართალია დღეს, როცა ამ თავისებურების საქვეყნო მაგალითი ვიზილეთ. ამ მოულოდნელ ამბების ხლართში იმარჯვებს ის, ვინც ნათელ წარმოდგენას არ კარგავს, ვისაც ესმის გზანი ისტორიისანი და უეჭველი მომავლის გაჭვრეტა შეუძლია. ბოლშევიკები ამ მხრით სამუდამოთ დაკარგულია, კუნძიანს სამარე ასწორებს. ის უკვე საარხივოთ გამზადებულია. მათი დღევანდელი იუბილე — გედის უკანასკნელი სიმღერაა.

*) შისი ბროშურა რუსეთშე 1875 წ.

ჩვენი გზა

ჩვენ უკვე ვრცლათ განვიხილეთ ნაციონალური პრობლემა და მისი გადაჭრის. აუცილებლობა და შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. აქ ნაჩვენებია სოციალისტური მუშაობის ერთი ხაზი, ნაციათა ურთიერთობის აგება თავისუფლების და თანასწორობის ნიადაგზე. მარა ეს არ შეიცავს ჩვენი მოღვაწეობის მთელ ხაზს, მთელ გზას; ის ამ გზის ერთი რგოლია, რომელსაც მოსდევს დანარჩენი რგოლები და საფეხურები. საითკენ მიგვყავს ჩვენ თავისუფალი ერი, რა პოლიტიკურ და სოციალურ საფუძველზე ვაგებთ მის კეთილდღეობას, მის აწმეოს და მერმისს? სოციალისტური თვალსაზრისით რა ვაკეთოთ, რა ვაშენოთ, რა შინაარსი მივცეთ ბოლშევიზმთან ბრძოლას? აი ამ მხრით მინდა დღეს მივაყრა მკითხველის ფურადება და ნუ დამემდურება თუ გრძელი სიტყვა მოკლეთ ვერ მოიჭრება.

ბოლშევიკებმა დიდის ზეიმით ოქტომბერს თავი მოსჭრეს. ტროცკის პარტიიდან გაძევება და გადასახლება — ეს უტოპიური ოქტომბრიზე ცხოვრებიდან გაძევება და ისტორიიდან სამუდამოთ გაგდება. ეს კომუნიზმის მეთაურის და მის ლაშქარს შორის ხიდის ჩატეხა, მათი აქეთ-იქით მიღვომ-მოღვომა და ერთიმეორის დაპირდაპირება სრულიად არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს ლოდიკურათ, აუცილებლობით გამომდინარეობს იმ ისტორიული ჩიხიდან, რომელშიაც ეს პარტია მოემწყვდა და საიდანაც ამაოთ ეძებს გამოსავალს. რაშია საქმე?

ოქტომბრის ქურუმთა შორის ერთათერთმა ტროცკიმ ირწმუნა ეს დღე, მარტო მან იწამა გულწრფელათ და სინდისიერათ კომუნისტური რევოლუციის შესაძლებლობა და მას მიეცა მთელი თავისი არსებით. და ეს იმიტომ, რომ ეს მას სწამდა წინეთაც, ოქტომბრამდე, თებერვლამდე, ათეულ წლების განმავლობაში. ის მუდამ ოცნებობდა რუსეთის რევოლიუციას,

როგორც სოციალისტურს, რომლის მეთაურობას სოციალ-დე-
მოკრატებს არგუნებდა*) ბოლშევიკები კი პირიქით, სოცების დებით
დებით ებრძოდენ ტროცკის ამ დებულებას და ეტრუსკურენტის
ვოლიუციას და რევოლუციერ ხელისუფლებას ძველ რეჟიმ-
თან ანგარიშის გასასწორებლათ. მარა ამათ რევოლუციის
მსვლელობაში დაინახეს, რომ ამ მისის შესასრულებლათ, მარ-
თველობის ხელში ჩასაგდებათ და შესარჩენათ აუცილებელია
დაბეჩავებული და დამშეული. ხალხის სააქაო სამოთხის და-
პირებით დაბმა და მით მისი თავის ბატონობის იარაღათ ამუ-
შავება. მათ მოაგონდათ მაშინ ტროცკის მაქსიმალიზმი, საჩ-
ქაროთ ჩამოხსნეს დემოკრატიული რევოლუციის ბაირალი და
მის ალაგას კომუნისტური რევოლუციის ბაირალი ააფრია-
ლეს. ტროცკისათვის კომუნიზმი იყო მიზანი და საშუალება,
ბოლშევიკებისათვის კი — მხოლოდ საშუალება სრულიათ სხვა
მიზნის მისაღწევათ.

და აი როცა ოქტომბერმა არ გაამართლა ტროცკის იმედი,
როცა კომუნიზმის დამარცხება აშკარა შეიქნა, ტროცკი აყვირ-
და, ეს არ გვინდა, ეს ჩვენი რევოლუცია არ არისო. ბოლშე-
ვიკებმა სამართლიანათ მიუგეს — შენი არა, მარა ჩვენი რე-
ვოლუცია კი არის, რასაც ვეძებდით, ის ვიპოვეთ. მათი გზა
გაიყარა; ტროცკი დაეცა და მასან ერთათ დაეცა ოქტომბრის
ილიუზიები. დარჩა წმინდა წყლის ბოლშევიზმი, მარტოთ-მარ-
ტო, იდეალს და აღმაფრენას მოკლებული. მისი ძირითადი
ოვისებები — ოპორტიუნიზმი და კარიერიზმი — ახლა პოულობს
თავისუფალ განვითარებას და ედება ქა-კუთხედათ პარტიის
და ხელისუფლების მოღვაწეობას. ის ახლა შედის ღიათ და
საქვეყნოთ თავის არსებობის იმ ხანაში, როცა იდეალი იყარ-
გება და თავის შენახვის საჭიროება მთავარ მიზნათ ცხადდება.
ეს ნიშნავს ნამდვილი ოქტომბრისტების შეცვლას უთაო, მარა
ხელმავარი ხალხით, რომელთაც კომუნიზმი რწმენისაგან გა-
დააქციეს ხელობათ, შემოსავლიან საქმეთ და მზათ არიან შე-
ეწყონ ყოველნაირ ცვლილებას, ოღონდ პრივილეგიური მდგო-
მარეობა არ დაგარგონ. ესენი შეადგენენ ამჟამათ გადამცემ
პუნქტს, გზა-ჯვარედინზე გაჩხირულს, საიდანაც ისსწება ორი
გზა, ორი მიმართულება და სადაც უნდა გაითხაროს საბჭოთა
სამარე. რა გზებია ეს?

*) იხ. მისი კრებული «ნაშა რევოლუცია», 1907 წ.



ერთია გაგრძელება არსებული პოლიტიკური გეზის, ექვემდება
ლოდ ანტიკომუნისტური შინაარსით. აქ დღევანდელი ტექსტი მოიხსენიება
ანი კონსტიტუცია», კომუნისტების პრივალეგიურ პოლიტიკურ
ერთეულათ აღჭურვა, იცვლება მეორენაირი ცენზიანი კონსტი-
ტუციით, შეძლებულთა აღჭურვა ასეთივე პოლიტიკური პრი-
ვალეგიებით, სადაც შევლენ დღევანდელი სპეცები, ნეპმანები,
მაღალი ფენის კომუნისტები და სხვადასხვა მოსაქმენი და მო-
ჭახრაკებული ხალხი. ეს იქნება საბჭოთა წყობილების ლიკვი-
დაცია ბურჟუაზიულათ, მიუხედავათ მისი გარეგანი ფორმისა,
იქნება ის ბონაპარტისტული, ფაშისტური, მონარქისტული, ევ-
რაზიული თუ სხვა ფორმა. მარა ვინაიდან დღეს, ხალხის გა-
მოვიძების ხანაში, არავითარი ცენზიანი კონსტიტუცია არ
შეიძლება დამაგრდეს მისი შინაგანი წონასწორობით, ხალხის
ჩუმი დასტურით და თანხმობით, როგორც ეს იყო ევროპის ბურ-
ჟუაზიის ბატონობის პირველ პერიოდში, ამიტომ მისი მიუცი-
ლებელი ფარხმალია ტერორი და ძალმომრეობა. ე. ი. კომუ-
ნისტური ძალადობა შეიცვლება ბურჟუაზიულ ძალადობათ.

მეორე გზაა ყოველნაირი პოლიტიკური პრივალეგიების გა-
უქმება და მთელი ხალხის სუვერენათ აღიარება. მართველობა
არა ჯგუფის, ვინც უნდა იყოს იგი, არამედ ხალხის, დემოკრა-
ტიის. ეს ფორმა მართველობისა პრინციპიალურათ ეწინააღმ-
დევება როგორც საბჭოთა უფროსობას, ისე მის ბურჟუაზიულათ
გადატეხას. ეს ორი მიმართულება ერთი ხაზისაა, ერთი დედა-
აზრისაა, უფლება-უპირატესობა, ჯგუფური ხელისუფლება მა-
თი საერთო თვისებაა. მხოლოდ დემოკრატია სცნობს უფლებ-
რივ თანასწორობას და რიცხვის უაღრესობას. გიზოს ცნობი-
ლი ფორმულა — «ნიჭიერთა მთავრობა» საბჭოებმა განახორცი-
ელეს ამ საჭირო «ნიჭის» კომუნისტებში მოთავსებით. ხოლო
ბურჟუაზია მის ჭურჭლათ შეძლებულთ და ნასწავლთ აღი-
არებს. ორივე შემთხვევაში ეს უმცირესობის ბატონობაა დიდ
უმრავლესობაზე.

ცხადია, არსებული რეჟიმის პოლიტიკური გაგრძელება იქ-
ნება მისი ბურჟუაზიულათ შეცვლა, ხოლო მისი ძირფესვიანა
ამოგდება იქნება მისი დემოკრატიით დაბოლავება. ეს ორი მო-
ბირდაპირე გზა იძლევა ორ მობირდაპირე სოციალურ და ეკო-
ნომიურ პოლიტიკას და აქედან იბადება მათი შეურიგებლობა
სამეურნეო სფეროშიაც. ბურჟუაზიას შეეძლება ძალაუფლების

დაპატრონება მხოლოდ უფლებრივი პრივილეგიით და არა დეკა
მოქატიული თანასწორობით. ე. ი. დემოკრატიული წერტილი
ლება რუსეთში და ჩვენში თავისთავათ სრულიად არ ნიშნავს
ბურჟუაზიის პოლიტიკურ გაბატონებას, მსგავსათ ევროპისა.
და აი რატომ.

რუსეთის სოციალისტურ პარტიაში და მასთან ერთათ ჩვენ-
შიაც რევოლუციამდე გაბატონებული იყო ის აზრი, რომ სო-
ციალისტური ხელისუფლება შესაძლებელია მხოლოდ რო-
გორც შედეგი სოციალისტურ რევოლუციის, მანამდე კი ბურ-
თი და მოედანი ბურჟუაზიას ეკუთვნის. ეს თეორიული მოსაზ-
რება დაამარცხა ცხოვრებამ, ბურჟუაზიულმა რევოლუციამ
ქვეყნის სათავეში მოაქცია არა ბურჟუაზია, არამედ სოციალის-
ტები. ე. ი. მოხდა სწორეთ წინააღმდეგ იმისა, რასაც ადგილა
ქონდა ყოველგან და ყოველთვის, მთელს ქვეყანაზე. გამართლ-
და ის დებულება, რომელიც ჩვენ ამ ოცდაათი წლის წინეთ
წამოვაყენეთ: «ძოწინავე ქვეყნებში ამ ცვლილების (პოლიტი-
კური განთავისუფლება) ინიციატორი იყო ბურჟუაზია, უკან
სამორჩილში კი მუშა ხალხია». ეს კლასების ასე შეცვლა,
ერთი მეორის ადგილის დაჭრა, აქტიური და პასიური ძალების
პირუკულმა გადანაწილება არის დამახასიათებელი თვისება თე-
ბერვლის რევოლუციის; პირველათ აქ გამოვიდა მუშა-ხალხი
არა მარტო მებრძოლათ, ის ყოველგან იბრძოდა, არამედ ბრძო-
ლის პოლიტიკურ ხელმძღვანელათ და იდეიურ მედროშეთ. რო-
გორც კი თავისუფლების კარები გაიღო და შიგ გრიალით შე-
ვიდა ხალხი, მან თავის ნდობით აღჭურვა არა ბურჟუაზია, არა-
მედ სოციალისტები. რუსეთის და ჩვენი დამფუძნებელი კრე-
ბის დიდ უმრავლესობას ეს პარტია შეადგინდა. ბოლშევიკებ-
საც ირჩევდა ხალხი როგორც რევოლუციურ სოციალ-დემოკ-
რატებს. და ან ვინ უნდა ყოფილიყო მათ ალაგას? ბურჟუაზი-
ული პარტიები? რა გააკეთეს მათ რევოლუციის და ხალხი-
სათვის ასეთი დიდი ნდობის დასამსახურებლათ? თითქმის არა-
ფერი და ამით ნეხვავდება ეს კლასი ევროპის თავის მომესა-
გან. თუ აქ ხალხი ბურჟუაზიას მისდევდა და მის დირექტივას
ემორჩილებოდა, ეს იმიტომ რომ მხოლოდ ეს კლასი იბრძოდა
საუკუნეთა განმავლობაში და რევოლუციას რევოლუციაზე
აკეთებდა. მან დასცა ფეოდალიზმი, მან დაამხო აბსოლიუტიზმი,
მან ჩამოკრა დემოკრატიის პირველი ზარი, ის იბრძოდა გა-



აფთრებით მეცამეტე საუკუნიდან და არ მოისვენა მიზნის მატვიწყული წევამდე. ამ მუშაობით მოპოვებული მასი პრესტიჟი და გამოიყენება დაცუმულა, დღესაც მას მეთაურის აღაგი უჭერია და იერი-შებს-იერიშებზე თავამოღებით იგერიებს. შეძენილი პოლიტიკური კაპიტალი ასე ადვილათ არ იფლანგება. გააკეთა რამე ამის მსგავსი საქართველოს და რუსეთის ბურჟუაზია? რასაკვირველია, არა, შედარებაც კი შეუძლებელია. რუსეთს ფეოდალიზმი ააშორა მონგოლებმა, ხოლო აბსოლუტიზმი დასცა პროლეტარიატმა. ბურჟუაზია მხოლოდ სამინისტროთა დერუფანში სჩანს. მართალია უკანასკნელ ათეულ წლებში გამანთავისუფლებელ მოძრაობაში გამოჩნდენ ლიბერალებიც, მარა უფრო როგორც სოციალისტების დამხმარე და მათი ამყოლი, ვანებ საკუთარი რევოლუციური ძალა.

მაშასადამე, პოლიტიკური დემოკრატიის ასპარეზშე გამოსვლა სოციალისტების (და არა ბურჟუაზიის) მეთაურობით სრულიად აუცილებელი, ლოდიკური დასკვნაა მთელი წინანდელი ისტორიის, შედევია საზოგადოებრივი და რევოლუციური განვითარების. ეს ჩვენი მოპოვებული პოზიციაა, დამსახურებული ჯილდოა და მისი შენახვა, მის ნიადაგზე მართა დგომა ჩვენი ისტორიული მოწოდებაა. მარა აი ამ ბუნებრივ პროცესს წინ გადაეღობენ ბოლშევიკები, შეანგრიეს ის და მისცეს დასაბამა ისეთ წყობილებას, რომლის ლიკვიდაცია ადვილათ შეიძლება გახდეს დასაწყისი ბურჟუაზიის გაბატონების. აქედან იბადება მთელი სიმწვავე საკითხის თუ ვისი ხელმძღვანელობით დაიმსვრევა საბჭოთა წყობილება: ხალხის თუ პრივატულებიური კლასების. სოციალისტური პარტია, რომელიც არ ებრძვის მათ ტირანიას, წინდაწინვე უარს ამბობს ხალხის ნდობაზე და ხელისუფლების გაზიარებაზე. ამ მხრით მეტათ დამახასიათებელია «სოც. ვესტნიკ»-ის უკანასკნელი ნომრის (2 თებერვლის) მეთაური, საღაც გრითალათ, მარა კატეგორიულათ დაგმობილია ეს პოლიტიკური ნიღილიზმი. აქ წამოყენებული დებულება — მუშების და გლეხების კავშირი პოლიტიკური დემოკრატიის ხადაგაზე — ნიშნავს ამ კავშირის მებარიაღტრობას სოციალისტების მიერ და მაშასადამე დაგმობას იმ ტაქტიკის, რომელიც ძალაუფლების ბურჟუაზიისათვის გადაცემას გულისხმობს. თუ ეს წერილი შემთხვევითი არ არის. თუ ის ხატავს რუს მენევიკების ძირითად შეხედულებას, ცხადია ჩვენ ვიქებით ახლო

ხაცში მოწამე მთელი მათი ტაქტიკის ამ ხაზზე აგების და სხვა-
დასხვა სოციალისტურ მიმდინარეობათა და პარტყოფაზე დამატებულ
ლოვების.

ამნაირათ, საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია დემოკრატი-
ულათ დემოკრატიის მეთაურობით ნიშნავს მუშის და გლეხის
კავშირის გამაგრებას სოციალისტების ხელმძღვანელობით. აქ
ხელისუფლება სოციალისტურია. პირიქით, ბოლშევიზმის ლიკ-
ვადაცია არადემოკრატიულათ, რა გინ ფორმითაც უნდა იყვეს
იგი, უეჭველათ ნიშნავს შეძლებული კლასების ხელში ძალა-
უფლების გადასვლას და ხალხის და მასან ერთათ სოციალუ-
რი დემოკრატიის გარიყვას. ამ შემთხვევაში ისტორია მეორ-
ება, ვიწყებთ «ევროპიულათ», მეთაური ბურჟუაზია, ხალხი
მისი მაჩანჩალა. ბოლშევიზმი აი ამ მერმისს ამზადებს, რამ-
დენათაც კი ეს მასზე დამოკიდებულია. ბურჟუაზიის პოლიტი-
კური გაბატონება თუ მოხდება — მოხდება მხოლოდ და მხო-
ლოდ ბოლშევიკების მეოხებით. მათ გასტეხეს სოციალისტური
დემოკრატიის ძლევამოსილი მსვლელობა, შექმნეს ტირანი-
ულ-ბიუროკრატიური წყობილება და მით შექმნეს შესაძლებ-
ლობა ეკრობის განვლილი ბურჟუაზიული განვითარების გან-
მეორების. მთელი მათი მუშაობა თავიდანვე ობიექტიურათ,
ისტორიული დურბინდით გახედული, ბურჟუაზიის გაბატონე-
ბისაკენაა მიმართული. სოციალიზმის მთავარი მესაფლავე
დღეს ისინია.

ამ დყორმარეობიდან გამოსვლა, დემოკრატიის გაბატონება
და შეწყვეტილი პოლიტიკური ძაფის კვლავ გამთელება — აი
დღევანდელი ბრძოლის ერთათ ერთი დროშა. ვინც მის ქვეშ
არ იძრბვის, ის ებმარება არსებული წყობილების ბურჟუაზი-
ულათ ლიკვიდაციას. ან დემოკრატიული ან ბურჟუაზიული —
მესამე ფორმა ამ ლიკვიდაციისა არ არსებობს. ყველა ანტი-
ბოლშევიკს კარგათ უნდა ქონდეს ეს გათვალისწინებული და
სრულიად თვალხილულათ ერთ-ერთ ფერხულში ჩაებას. მხო-
ლოდ ამ ორ მიმდინარეობათა შორის დღეს გამართულია დუ-
ელი ბოლშევიზმის სამკეიდროს დასაპატრონებლათ. ამ დავის
დემოკრატიის სასარგებლოთ გასათავებლათ საჭიროა პირ-
ველყოვლისა სოციალისტური პარტიების მიერ მტკიცეთ შეგ-
ნება თავის ისტორიული მისის — იყოს პარტია არა მხოლოდ
ერთი კლასის, არამედ მთელი მშრომელი ხალხის, მთელი ერის

პროლეტარიატის მეთაურობით. ის ნაციონალური გეგმონია, საითქნაც დღეს სწრაფი ნაბიჯით მიექანება ევროპის სტრატეგიული შიში და რაც ჩვენ რევოლიუციამ მოგვანიჭა, არის ჩვეჭმი განვითარების დაუძლეველი საფეხური. ბოლშევიკური ძალმომ-რეობის არსებობა არ ნიშნავს ამ საფეხურის მორალურათ დაძლევას, პირიქით ხალხი ელის განთავისუფლებას, რომ ის აღადგინოს. ნაციონალური თვალსაზრისით, რუსეთში დემოკრატიის გამარჯვება თავისთავათ არ გვაძლევს თავისუფლებას, მარა სამაგიეროთ გვაძლევს საშუალებას ამ თავისუფლებისათვის აშკარათ ბრძოლისათვის. ხოლო ანტიდემოკრატიული ელემენტების გამარჯვება კი გვისპობს ამ საშუალებასაც და გვაძრუნებს რევოლიუციის წინა ხანაში. აქედან წარმოდგება აუცილებლობა — კველა ქართველ პატრიოტების, ვინც კი ერთს ინტერესს თავის კლასისაზე მაღლა აყენებს, მხარი დაუჭიროს სწორეთ ამ დემოკრატიულ მიმდინარეობას და შეეცადოს მისი დროშის ქვეშ საერთო მტრის დაძლევა.

რუსის საზოგადოებაში, სადაც დგას მხოლოდ რეჟიმის საკითხი, ასეთი თანამშრომლობა ან გაუგებრობის ნაყოფია ან ხერხია. მართალია აქ არსებობს ბურჟუაზიული დემოკრატია, მარა რამდენათ ის ბურჟუაზიის პოლიტიკურ გაბატონებას ეტრუის, მისი არსებობა წარმავალია. მას გონია, რომ სუვერენი მუშა და გლეხი მას მიანიჭებს ძალაუფლებას, როგორც ეს ევროპაშია და. ამიტომ დემოკრატიბს; როგორც კი ამაში დაეჭვდება, ის თავის საწოლს მარჯვნით მონახავს და ცენზიანი კონსტიტუცია მისი სახარება გახდება. ალბათ ამით აიხსნება მისი დღევანდელი ასეთი სიკონტაქტი, ორივე მხრით მისი არშიყობა და წინდაწინ თავის დაზღვევა ხალხის მოძრაობისაგან. ლიბერალიზმი ბურჟუაზიის პოლიტიკური მოძღვრებაა, დემოკრატიზმი ხალხის (ე. ი. მუშა, გლეხის და წვრილი ბურჟუაზიის). თუ რუსის ბურჟუაზიული დემოკრატია პოლიტიკური გაუგებრობის ნაყოფია, სამაგიეროთ მისი ტაქტიკური მხედველობა სწორი კლასიური ალლოს ნაკარნახევია, რომელიც პრაქტიკულათ ამარჯვებს მის მრუდე იდეოლოგიას. ბოლშევიზმის ლიკვიდაცია ურევოლიუციოთ, მასის აუმოძრავებლათ, უეჭველი პირობაა დემოკრატიის გასარიცავათ და ძალაუფლების შეძლებულ კლასებისათვის გადასაცემათ. და თუ ამავე ტაქტიკას სოციალისტებიც ეტრუიან — ეს მხოლოდ აზრთა აბნეულობის

შედეგია, ეს ბურჯუაზიულ, ანტიდემოკრატიულ წისქვილის აბრუნებაა. გამოდის, რომ სოციალისტები თავს ახვევნენ მუზიკურ აზიულ დემოკრატიას თავის პოლიტიკურ დროშას შემუშავები უკანასკნელი მათ უკარნახებს თავის ტაქტიკურ საშუალებას. ეს არაბუნებრივი სიმბიოზი უნდა გათავდეს ამ ბანაკთა თავ-თავისი გზის მონახვათ.

ამრიგათ, ბოლშევკიზმის დაცემა რევოლიუციური გზით, ამ საქმეში ფართე მასების ჩაბმით იძლევა დემოკრატიის გამარჯვებას, ხოლო დემოკრატია — სოციალისტურ ძალაუფლებას. და აი ისმება მძიმე საკითხი: რა პოლიტიკა უნდა აწარმოვოს ასეთმა მთავრობამ, რომ მან შეინარჩუნოს ძალაუფლება, იყოს ნამდვილი დამცველი და გამტარებელი ხალხის ინტერესების და არ გახდეს გზა და ხიდი ბურჯუაზიის გაბატონების.

ამ საკითხის გამოსარევევათ პირველ ყოვლისა ნათლათ უნდა წარმოვიდგინოთ რას ნიშნავს ხალხის ინტერესები. რაკი სუვერენი ხალხია, ცხადია მისი წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი ჭირვარამის, მისი მოთხოვნილებათა მატარებელი და მეცირახულე. პარტია, რომელიც თავის პროგრამას ვერ შეუთანხმებს ამ სუვერენის პსიხოლოგიას, იქნება დამარცხებული. ხალხის ძირითადი მოთხოვნილება, რაიცა საზღვრავს მის იდეოლოგიასაც, არის რასაკვირველია, ეკონომიკური ხასიათის. ამ ხაზზე პირველი რიგი უჭირავს საკითხს წარმოების, საჭირო ნივთის დამზადების და მისი მომხმარის შესახებ, საწარმოვო ძალის გაძლიერება, ნაკლები შრომით მეტი სიმდიდრის დამუშავება — აი მთელი საზოგადოების, მთელი ერის სასიცოცხლო მიღრეკილება. ეს არის იმავე დროს კაცობრიობის წინსვლის მთავარი საზომი. ის დგას ისტორიის შარა-გზაზე. ბოლშევკიზმის დანაშაული, მასი უისტორიობა და წარმავალობა გამომდინარეობს სწორეთ ამ კანონის უკუგდებისაგან და ცხოვრებისათვის საკუთარი «კანონის» თავზე მოხვევისაგან. აღდგენილი ხალხი პირველყოვლისა აი ამ ბოლშევკიკურ «კანონს» გააუქმებს და თავის სოციალურ შენობას საწარმოვო ძალთა აღორძინების ნიადაგზე ააგებს.

აგრარიული ქვეყანა ეწოდება ისეთ მხარეს, სადაც ნედლი მასალა საქმარისია, ხოლო კაპიტალი ცოტაა. აქ წარმოების პრობლემაა კაპიტალის მოპოვება ნედლი მასალის დასამუშავებლათ და მით მრეწველობის ასაღორძინებლათ. სამრეწველო

ქვეყანაში კი პირიქით პირველ რიგზე დგას ნედლი მას მარტინ შეძენა და მით მრეწველობის შენახვა და გაძლიერება. ამ რო სხვადასხვა კოონიმიურ ბაზაზე შენდება ორი სხვადასხვა სა-გარეო პოლიტიკა, ნაციათა ურთიერთობა, კოლონიებთან და-მოკიდებულება და სხ., რასაც აქ ვეხებით. ჩვენი დემოკრატიის პირველი რეფორმატორული ზომა უნდა იყოს მიმართული ისე-თი წყობილების დამყარებისაკენ, რომელიც კაპიტალის შე-მოსვლას და ამუშავებას ხელს შეუწყობს. ეს ნიშნავს ადამია-ნის და ნივთის განთავისუფლებას დღევანდელ პოლიციურ არტახებისაგან და პიროვნებისათვის თავისუფალი ეკონომიკური აქტივობის მინიჭებას. ევროპის კაპიტალი ევროპიულ ეკონო-მიკას ხაჭიროებს. ეს დღეს სრულიად უდაორ აგრარული ქვეყ-ნების სოციალისტებს შორის. დავას იწვევს რამდენიმეთ მი-წამფლობელობის საკითხი. შეიძლება მიწის «სოციალიზა-ცია» დიდ რუსეთში მართლაც მეურნეობის ამაღლობინებელი ზომაა, შეიძლება რუსის ხალხმა ეს ფორმა ხელშეუხებლათ დასტოკოს, მაგრამ არარუსებმა, კერძო საკუთრების გლეხობა-ში, განსაკუთრებით იქ, სადაც ინტენსიური და ფასიანი კულ-ტურა წარმოებს, გლეხის კერძო საკუთრების მოშლა — მოშლაა წარმოების, გაჩანაგება და გაღატაკება მეურნეობის. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავიმახსოვროთ, რომ სოციალისტი სრუ-ლიად არ ითხოვს წვრილი საკუთრების ჩამორთმევას. ის იწყე-ბა, საზოგადოთ არა მიწიდან, არამედ მრეწველობიდან, ბურ-გუაზიული საკუთრებიდან და სჭრის დავას კაპიტალს და შრო-მას შორის ისტორიაულათ ატეხილს. ეს უდაორ არის ევროპის სოციალისტებისათვის, მარა კიდევ სადაო არის რუსის სოცია-ლისტებისათვის. აქ სოციალისტი აგრარული წარმოშობის არის და თან ატარებს რუსულ ობშინურ ნიშანდობლივ თვისებას. და თუ ამ ნიადაგზე რუსი ამხანაგები «ნაროდიკულ» დოგმას არ გაეყარენ, შესაძლებელია ბურჟუაზიული დემოკრატიის მათხე გამარჯვება და მით ბურჟუაზიული ხელისუფლების დიდი ხნით შედგენა. მიწათმფლობელობის ფორმას ბრძოლის საგნათ ჩვენს და შეძლებულ კლასთა შორის ვერ გადავაქცევთ. ის წყდე-ბა თანახმათ გლეხობის სურვილისა და მეურნეობის ინტერე-სისა.

მეტყვიან: მაშ თქვენ შესაძლებლათ მიგაჩნიათ ბურჟუაზი-ულ ეკონომიკის, ე. ი. დაქირავებულ შრომის და საქონლის

ტრიალის ფარგლებში სოციალისტური მართველობა? და ამ რასაკვირველია. პოლიტიკის და ეკონომიკის ასეთი გაყიზა, მათი სხვადასხვა კლასის ხელში მოქმედია ახალი ამბავი არ არის. ცნობილია, რომ გერმანიის ბურჟუაზია, ყოვლად შემძლე ეკონომიკაში, მოკლებული იყო პოლიტიკურ ძალაუფლებას და განიცდიდა იუნკერთა ბატონობას. და ეს გვარიანი სარფიანი იყო ამ მოწოდებისათვის. ის მართველობის საშუალებით ნაციონალური შემოსავლის დიდ ნაწილს თავის სასარგებლოთ სმარობდა, ე. ი. აწარმოებდა აზნაურულ სოციალურ პოლიტიკას. მთელი საზოგადოებრივი ბრძოლა კლასთა და პარტიათა შორის კაპიტალისტური რეჟიმის ფარგლებში სწარმოებს სწორეთ ამ ნაციონალური შემოსავლის განაწილების ირგვლივ. პოლიტიკურათ გაბატონებული კლასი სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით თავისკენ ეწიწება საზოგადოების ნაშრომს და მასში წილს უდებს თავის ამყოლ დამყოლთ. მაშასადამე, სოციალისტური მართველობა ბურჟუაზიული წარმოების ნიადაგზე ნიშნავს ერის შემოსავლის დიდი ნაწილის ხალხის სასარგებლოთ მოხმარას, მუშის და გლეხის სოციალური პოლიტიკის წარმოებას და საამისო კანონმდებლობას მართველობის ყველა დარგებში — ფინანსებში, ვაჭრობა-მრეწველობაში, მეურნეობაში, განათლებაში, ჯანმრთელობაში — ყველა სფეროში. საბჭოთა სისტემის სიღუბჭირე სწორეთ იმაშია, რომ აწარმოებს საქონლის მეურნეობას, მუშაობას ბურჟუაზიული წესით, მარა ამ წესს არ აძლევს გასაქანს, ძალით ხარშავს ვიწრო ქვაბში და არ ძალუბს ხალხის ზურგიდან ჩამოვიდეს; ის ცხოვრობს ხალხის ქონით და იმავე დროს ფიქრობს დაეყრდნოს ამავე ხალხს. და რადგანაც ამ ორი ელემენტის შეერთება შეუძლებელია, ამიტომ ის იძულებულია აირჩიოს ერთ-ერთი, ირჩევს პირველს და ეყრდნობა ხმალს. სოციალისტური სისტემა ეყრდნობა ხალხს, ის მხოლოდ მისგან იღებს ძალაუფლებას და მუშაობს მის სასარგებლოთ, ხოლო ხარჯების სიმძიმე გადააქვს შეძლებულ კლასებზე. ბოლშევიკებმა ეს ხალხის სარგებლობა გაიგეს იმ მხრით, რომ აკრძალეს კერძო სხვილი წარმოება და აღებ-მიცემობა და ის გადასცეს ბიუროკრატებს. ნამდვილათ კი ყველაზე უფრო საზარალო ხალხისათვის სწორეთ ეს გამოდგა, რამაც მოელი საზოგადოება დაასხეულა. ამ გარემოებამ მეტათ გააძლიერა ბურჟუაზიული სულისკვეთება. ხალხის საერთო გა-

დატაკებამ, უფულობამ, უსაქონლობამ, და უუფლებობამ უმწე-
ვერვალესათ განავითარა პირადი ეგოიზმი, ინდივიდუალური სი-
თავის ინტერესების გაღმერთება, გამორჩენის და წაგლეჯის
წყურვილი; ამ გარემოებამ შექმნა წინეთ გაუგონარი მტაცებ-
ლობითი პირების გადასაცემი. ბრძოლა კველასი კველას წინააღმდეგ,
ეს პირველი ფილი კაპიტალიზმის სახარება განთავისუფლებულ
ხალხში თავიდანვე იუეთქებს მთელი თავისი სიმკაცრით და
თუ ამისი რეგულიატორი დემოკრატია არ შეიქნა, თუ მართ-
ველობა შეძლებულთ ხელში ჩაუვარდა, დატრიალდება ველუ-
რი კაპიტალიზმის ბასრი ცელი და ხალხს გაანადგურებს. სო-
ციალიზმის უწმინდესი ვალია ხალხს ააცილოს ეს ბოლშევიზ-
მის მიერ მისთვის გამზადებული სამსალა და შექმნას თანამედ-
როვე ევროპიული პირობები. ეს კი შეიძლება მხოლოდ და
მხოლოდ დემოკრატიის გაბატონებით. ბოლშევიკური და ბურ-
ჟუაზიული დიქტატურა იძლევა ბურჟუაზიული წარმოების პრი-
მიტიულ, მტაცებლობითი ფორმას, ხალხი სუვერენი კი თანა-
მედროვე ფორმას.

ამნაირათ, უფლების და ქონების გათიშვა, ხალხის გაბა-
ტონება პოლიტიკაში, ხოლო ბურჟუაზიის ეკონომიკაში სავ-
სებით შესაძლებელი და დასაშვებია. სამუდამოთ? არა, რასაკ-
ვირველია. ბოლოს და ბოლოს ქონება თავისას გაიტანს და
შესაფერ უფლებას შეიძენს, თუ კი სოციალური რევოლუცი-
ის საქვეენო ზარმა არ მოუსწრო. მართალია, გერმანიის ბურ-
ჟუაზიამ დღესაც ვერ მიაღწია ერთბატონობას, მას მძლავრი
სოციალისტური პარტია ებრძვის და არ ანებებს მის ჭკვაზე
მართველობას. მან ვერ განვლო საფრანგეთ-ინგლისის ბურ-
ჟუაზიის სრული ბატონობის ოქროს ხანა და სანახევროთ ჩარ-
ჩა ჩამორჩენილი ქვეყნის ბურჟუაზიის უფლებრივ მდგომარე-
ობაში. ვინც ასეთ პირობებში გერმანიის სოციალ-დემოკრატი-
ას კოალიციურ ტაქტიკას უწუნებს და ძველი აღთქმის ძველ
სიტყვას არ ეშვება, მან არაფერი არ იცის დღევანდელი დრო-
ის. დღეს სოციალიზმი აღარ წარმოადგენს უპასუხისმგებლო
უმცირესობას, მხოლოდ კრიტიკის და უარყოფითი პოლიტიკის
მატარებელს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს მოვლენა ხდება
განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაშინ როდე-
საც აგრარული ქვეყნის სოციალისტებს უხდებათ მოღვაწეობა
განუვითარებელ ეკონომიურ ურთიერთობაში. აი ეს გარემო-

ესა აადგილებს რა მათ გამარჯვებას, თან ავალებს ისეთ წოლები რომელსაც მოკლებულია ევროპის მათი თანამომმუნის და წილია ეს?

დასავლეთში ეკონომიური აღორძინება მოხდა ინდივიდუალური თაოსნობით და საქმიანობით, რაიცა ვითარდებოდა საუკუნოებით. პროცესი დააჩქარა კოლონიების უმაგალითო დამარცვამ და თავის ხალხის აღვირასსნილ კვლეფამ. არც ერთი ეს ოქროს მადანი დღეს ჩამორჩენილ ქვეყანას არ აქვს და თუ ის ინდივიდუალური საქმიანი ბით დაკმაყოფილდა, მისი სამრეწველო აღორძინება ყინულზე დაწერილი იქნება. ის დარჩება უცხო კაპიტალის მოხარკეთ. აქედან გამომდინარეობს ეკონომიური აუცილებლობა ინდივიდუალურ ეკონომიკის გვერდით წარმოებდეს კოლექტიური ეკონომიური მუშაობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წარმოება და აღებ-მიცემობა. ხალხი, როგორც კოლექტივი, სხვადასხვა ფორმით და სახით თვით უნდა იყოს ჩაბმული წარმოებაში და კერძო მეურნეობასან ერთათ ხელს უწყობდეს საერთო აღორძინებას. ეს აზრი საქართველოს დამფუძნებელ კრებამ შემდეგი სიტყვებით ჩამოაყალიბა კონსტიტუციაში: «რესპუბლიკას აქვს საკუთარი კომერციული და სამრეწველო ორგანიზაცია. მისი მთავარი მიზანია განავითაროს ეს ორგანიზაცია და შექმნას ერთი მთლიანი სისტემა სოციალური ეკონომიკის. რესპუბლიკა ეხმარება თვითმართველობათა ორგანოებს მსგავსი ეკონომიური ორგანიზმების გასავითარებლათ და გასაძლიერებლათ» (მუხ. 115). ამას მიუმატეთ მთელი ბადე მასიური კოოპერატივებისა და ამხანავობათა და მიიღებთ სოციალური ეკონომიკის ყველა ფერმას.

ამნაირათ, მწარმოებელია: კერძო პირი, სახელმწიფო, თვითმართველობა, კოოპერატივი, ყველა თანაბარი იურიდიული უფლებით და კომერციული თანასწორობით. ყოველნაირი მონოპოლია და სახელმწიფო პრივილეგიური მდგომარეობა დააგლორებს წარმოებას და შექმნის ბოლშევიკურ მდგომარეობას. მონოპოლია შეიძლება მხოლოდ განვითარებული წარმოების გამორკვეული მუშტრით, ე. ი. სამრეწველო ქვეყანაში. ხოლო იქ სადაც ყველაფერი თავიდანაა დასაწყები, სადაც აგრარული ურთიერთობა წესია, ხოლო სამრეწველო გამონაკლისი, აა აქ კონკურენციის გარეშე ეკონომიური წინსვლა შეუძლებელია.

და თუ საქართველოს დემოკრატიამ შემოიღო ჩოგი საგაფრი
დარგის მონოპოლია, ეს აიხსნება ქვეყნის სრულიად არაჩვეული
ულებრივ მდგომარეობით, მსოფლიო ბაზრიდან მოწყვეტით,
მიმოსვლის გაძნელებით, ბოიკოტით გარედან და შიგნით რე-
ვოლიციური მდგომარეობით. ნორმალურ პირობებში ასეთი
ამბავი დემოკრატიაში არც მოხდება, ხალხი თავის მტერი არ
არის, ის გაყვება მხოლოდ რეალისტურ ეკონომიკურ პოლიტი-
კას და მის მატარებელ პარტიას.

ბურჟუაზიას ინდივიდუალური ეკონომიკა და სოციალისტების
სოციალური ეკონომიკა პოლიტიკური დემოკრატიას ფარგლებ-
ში — აი გზა დღევანდელ ავრარულ ქვეყნის ეკონომიკურად
აღორძინების და სწრაფი ნაბიჯით გაევროპიელების. საზოგა-
დოებაში იქმნება ორი ნივთიერი დასაყრდნობი ცენტრი — კერ-
ძო და საზოგადო საკუთრებაზე აგებული. ამ შემთხვევაში ბურ-
ჟუაზიას აღარ რჩება ხალხზე ნივთიერი გავლენის მონოპო-
ლია, როგორც ეს დღეს არის დასავლეთში; მის გვერდზე მუ-
შაობს თვით საზოგადოება, აღმართა კოლექტივი და ეს გავ-
ლენა ნაწილდება მათ შორის. შშრომელი ხალხი — წვრილი მე-
საკუთრე და ქირით მომუშავე — ჩაბმული სხვადასხვა ფორმის
ეკონომიკურ ორგანიზაციებში სოციალისტური ხელისუფლების
მფარველობით და წინამდებოლობით ვერ აცდება ამ ერთათერთ
მის სასარგებლო ეკონომიკურ ხაჩს და ვერ გადასცვლის მას თა-
ვის კლასიურ მოწინააღმდეგეთა ხაზზე. ამ პროცესს აადვილებს
ერთი გარემოება. დემოკრატიულმა რევოლიციამ სახელმწი-
ფოს არგუნა ყველა ბუნების სიმდიდრე — მაღნები, წყლები,
ტყეები და სხ., რომლის წესიერად მოხმარა და წაყვანა გადა-
იქცევა სახელმწიფო მეურნეობის უდიდეს წყაროთ და საფუძვ-
ლათ. ამ საკითხს საქართველოს სოციალისტური მთავრობა
სჭრიდა იმ მხრით, რომ შედიოდა ამხანაგათ კერძო კაპიტა-
ლისტებთან, რომელნიც ამუშავებდენ ამ სიმდიდრეს თავისი
თანხით. მოგებას ორავე ინაწილებდა, ხოლო რამდენიმე ხანს შემდეგ მთელი საწარმოვო მოწყობილება სახელმწიფოს რჩე-
ბოდა მუქთათ. ეს შეერთება კერძო და საზოგადო ინიციატივის
და სიმდიდრის აუცილებელი ფორმაა სოციალური მეურნეობის
ბევრი დარგისათვის. ჩვენი სახელმწიფო არა გავს ევროპისას,
რომელსაც ერთი არშინი მაღანიც კი არ მოეპოვებათ. ჩვენ დი-
და კოლექტიური საკუთრებანი გვაქვს. ბოლშევიკები მას ხმა-

რობენ თავის პარტიის და ჩინოვნიკების სასარგებლოთ, ლი-
ბერალები მოიხმარებენ კერძო პირთა გასამდიდრებულათ და გზით
გზით ძლიერი ბურჟუაზიის შესაქმნელათ, დემოკრატია კი ხალ-
ხის სასარგებლოთ.

ამდენ ხანს ეკონათ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გზა
მრეწველობის გასავითარებლათ — მუშისათვის ნაკლები ქირის
მიცემა, ამით საქონლის გაიაფება და მერე მისი უცხოეთში
გასაღება. აგრესიული საშინაო პოლიტიკა, აგრესიული საგა-
რეო პოლიტიკა, ომი პროლეტარიატს, ომი უცხო ერებს ბაზ-
რის დასაყრობათ — აი როგორ ვითარდებოდა ეკროპა. მარა გა-
მოვიდა ჩრდილოეთი ამერიკა და ფაქტიურათ დაამტკიცა მე-
ორე გზის არსებობა. მთავარი ბაზარია შიგნით, თავისივე ხალ-
ხი, მხოლოდ მას უნდა მიეცეს საშუალება საქონლის ყიდვის,
ე. ი. მეტი ქირა მუშას, მეტი შემოსავალი წვრილ მესაკუთ-
რებს — აი ულეველი წყარო მრეწველობის გასაძლიერებლად.
ეს კი თავის მხრივ ითხოვს ტექნიკურ მოწყობილების განვი-
თარებას და სათანადო სიმაღლემდი აყვანას. სოციალისტების
თეორია ამით საქვეყნოთ დამტკიცდა. აგრარულ ქვეყანაში, ისიც
ბოლშევიკების ნასახლევზე, ვის შეუძლია ეს ამერიკული სის-
ტემა აწარმოვოს, თუ არა სოციალისტებს? ბურჟუაზია ხომ ევ-
როპის ძველ გზას ვერ მოშორდება და ისტორიას თავიდან და-
იწყებს. ის რასაკვირველია შინაურ აგრესიულ პოლიტიკას
საგარეოსაც მიაყოლებს და ომის ქსელში გაეხვევა. როდესაც
დღეს რუსის სოციალისტები აცხადებენ — რუსეთი დაიღუპება
თუ მან ოკეანიდან ოკეანემდე არ იბატონაო, ამით შეუგნებლათ
დგებიან თავიანთ გაბატონებული კლასის თვალსაზრისხე, რო-
მელთაც მართლაც არ შეუძლიათ სხვანაირათ გაძლიერდენ.
მარა ეს ხომ ნიშნავს რუსის ხალხის გაყვლეფასაც, უცხო ერ-
ებთან ერთათ. პოლიტიკა ყოველთვის მთლიანია, არ შეიძლება
შიგნით აწარმოვოთ ხახალხო პოლიტიკა, ხოლო გარეთ ხალხ-
თა წინააღმდეგი. საგარეო მუშაობა საშინაოს გაგრძელებაა. დე-
მოკრატიულ და პაციფიურ პოლიტიკას განსაკუთრებით ხელს
უწყობს ის გარემოება, რომ ნედლი მასალა შორიდან მოსატანი
არ არის. და მაშასადამე კოლონიალური ციებ-ცხელება მრეწ-
ველობისათვის ზედმეტია. აგრარიული ქვეყანა იძლევა შესაძ-
ლებლობას განავითაროს მრეწველობა სასოფლო მეურნეობა-
სთან წონასწორობის დაცვით. ამერიკაში ეს პროცესი განვითარ-



და სრულიად სტიქიურათ ბურჯუაზიის შეგნების და ნების გა-
რეშე. საჭიროა მისი განვითარება მოხდეს სოციალისტების
წინამდღოლობით და შეგნებით, ვინაიდან ის ძეგს მისი მსოფლ-
მხედველობის ხაზზე და მაშასადამე კიდევაც შეუძლია მას უწი-
ნამდღვროს.

ბოლშევიზმის ბურჯუაზიულათ ლიკვიდაცია, ამყარებს რა
მტაცებლობითი ველური ფორმის კაპიტალიზმს, არ ხდება
ისტორიული პროგრესის მატარებელი ნაციონალური ეკონო-
მიის არც ერთ დარღმი. ვინაიდან მისი იდეალია კერძო პირთა
გამდიღრება, ბურჯუაზიის შექმნა, რომელიც დღეს მოკლებუ-
ლია იმ პროგრესიულ როლს, რაც მას ისტორიის წინა პერი-
ოდში ქონდა, ცხადია მთელი სახალხო ქონება, პირველ ყოვ-
ლისა კოლექტიური საკუთრება, გაითლანგება და უცხო კა-
პიტალი ქვეყანას ბატონათ დააჯდება. ეს მთავარი იარაღი
უცხო თანხის დასამორჩილებლათ და მისთვის კოლონიალური
კბილების ჩასამტვრევათ რაკი ხალხს ხელიდან გამოეცლება,
აშკარაა ევროპიული კაპიტალი მაშინვე შინ დატოვებს ექს-
პლუატაციის თანამედროვე ფორმას და გვესტუმრება აფრიკა-
ნული სამოსელით. ადვილათ წარმოსადგენია ასეთ პირობებში
რა მდგომარეობაში ჩავარდება შრომა და წვრილი საკუთრება.
ის გახდება კაპიტალის საწველ ფურათ, უმწეოთ და უმფარვე-
ლოთ დატოვებული. საამისო ნიადაგი უკვე მოამზადა ბოლშე-
ვიზმა. მუშა და გლეხი დღეს ასე საშინლათ გამწარებული ხა-
ქონლის ნაკლებობით და ბაზრის შებიჭვით, ადვილათ შეურიგ-
დება პირველ ხანაში ყოველნაირ მართველობას, ოღონდ ამ კა-
ჭირვებისაგან გამოიყვანოს და მათი უახლოესი პრაქტიკული
მოთხოვნილებანი დააგმაყოფილოს. გიზოს ისტორიული ფრა-
ზა, ბუხარინის მიერ ბრიფულათ განმეორებული, გადაიქცევა
საზოგადოების ძირითად ცცნებათ, მოკლებული გიზოსებურ
პოლიტიკურ გამართლებას. თუ ის ბურჯუაზიას ურჩევდა —
გამდიღრდით ბატონებოვთ! ეს იმიტომ ის დაწმუნებული იყო
ამ კლასის დიდ ისტორიულ დამსახურებაში და მომავლის მის
მიერ გამოჭედაში. აგრარიულ ქვეყანაში კი ამას ეს კლასი ვერ
დაიტრაბახებს, მას ევროპის, მისი მოძმის, არც წარსული აქვს,
არც აწმყო, არც მომავალი და მაშასადამე მისი პრივილეგი-
ებით აღჭურვა მასზე ზრუნვა იქნება ტლანქი, აღსაშფოთებელი
ძალმომრეობა, მსგავსი დღევანდელი ბოლშევიკური პოლიცი-

ური აღვირახსნილობისა. რასაკვირველია, ეს ახალო მატერიალური შეცდებან, მსგავსათ კომუნისტებისა, თავის დახლოს ჭირის მდგრადი იური ბაირალი დაკიდონ, თავისი ქვენა საქმენი ბრჭყვიალა სიტყვებით შეკაზმონ და ათ წელს ჭურში მყოფი რუსის ხალხი თავისი დაპირებებით გააყრუონ. ხალხი, როგორც ვთქვი, მზათა ყველაური აიტანოს, ოღონდ ცოტა სინათლე დაინახოს, და თუ ეს ცოტა სინათლე დიდი სიძნელის წინამორბედია ამას ახლა არ დაგიდევს.

სულ სხვა მდგომარეობას ქმნის ბოლშევიზმის დემოკრატიული ლიკვიდაცია და სოციალისტური მართველობა. აქ პირველი ალაგს დაიჭირს შრომა და მის ინტერესებს დაემორჩილება დანარჩენი დარგები. შრომა არა მარტო მუშის, არამედ ყველასი, ოღონდ კი ის ატარებდეს თანამედროვე საწარმოვო პროგრესს და მიიმართებოდეს ერის საკეთილდღეოთ. აქ პირველი ალაგი უჭირია, რასაკვირველია, ფიზიკურ შრომას, ამ ღირებულების ერთათერთ შემქმნელს და მაშასადამე საზოგადოების მთავარ ბაზას. საქართველოს კონსტიტუცია ამ აზრს ხატავს შემდეგნაირათ: «სახელმწიფოს არსებობა დაფუძნებულია შრომაზე და რესპუბლიკის განსაკუთრებითი მოვალეობაა მისი დაცვა» (მუხლი 117). ხოლო შრომის ნამდვილი დაცვა მოითხოვს მუშაობის მთავარ სიმძიმის ტექნიკაზე გადატანას, წარმოების უკანასკნელი ეკრიპტული იარაღებით აღჭურვას. ე. ი. შრომის ინტერესი პირდაპირ ეთანხმება კულტურას და პროგრესს და ეპირდაპირება ბოლშევიკურ და მტაცებელ ბურუჟუაზიის ინტერესებს. ტექნიკის საკითხი კი მეცნიერების და კაპიტალის საკითხია. შრომის ინტერესია, მაშასადამე, ორივეს კარი ფართოთ გაეღოს და ის შრომის სამსახურში ჩააყენოს. წარმოების ორი მთავარი ფაქტორი — შრომა და ნედლი მასალა — ხალხის ხელშია, აკლია მესამე აუცილებელი ფაქტორი — კაპიტალი, რითაც ბოლშევიკების მეოხებით ჩვენი ქვეყანა გაწმენდილია და მაშასადამე უცხოეთიდან უნდა მოვიდეს. მარა როგორ? ისე რომ ორივე ეს ელემენტი დაიმორჩილოს და განიავოს თუ მათ დაეხმაროს, გააპოხიეროს და ამ საქმეში ეკრიპტიული (და არა კოლონიალური) სარგებლით დაკმაყოფილდეს. აქ შრომის და ნაციის ინტერესი ერთდება და უცხოეთის წანაშე ორივე ერთათ დგება. ბოლშევიკების მიერ ნათარეშევ ქვეყანას უცხოეთის კოლონიათ გადაქცევისაგან ისსნის მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგია.

აშეკარაა, საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია ბურუჟაზი-
ულათ და დემოკრატიულათ ნიშნავს არსებული კვანძის გენერაციული
ნას ორ სხვადასხვა ხაზზე, რომელთა შორის პრინციპია ღურული იყოთ
წინააღმდეგობაა. აქ ერთიმეორეს ეპირდაპირება არა ორი ხა-
რისხის განვითარების ერთი და იმავე ტიპის, არამედ ორი
სხვადასხვა ტიპი, ორი გზა, რომელიც სხვადასხვა მხრით
მიიმართებიან. ჯერ ბურუჟაზია და მერე სოციალიზმი სრუ-
ლიად არ უდგება ბოლშევიკების ნაოხარს.

დღეს ერის ეკონომიკური შესაძლებლობა ბორკილდადებუ-
ლია, გზები დახშულია. მარა რაკი მისი ლიკვიდაცია მოხდება
და ეკონომიკური თვითმოქმედება აიშვება, გადამწყვეტი მნიშვ-
ნელობა ექნება მის მიმართულებას. მისი ბურუჟაზიულ რელ-
სებზე შეყენება სამუდამოთ აქრობს სოციალური ეკონომიკის
შესაძლებლობას, ახდენს ქონებრივ და სოციალურ ძალთა გა-
დაჯერებებას სავსებით ინდივიდუალურ საფუძველზე და უცხო
კანიგრალთან ერთათ იმორჩილებს მთელ ხალხს თავის სად-
ლევრმელოთ. სოციალიზმი ამ მომხდარი ფაქტის წინაშე დამდ-
გარი დაკარგავს ყველა მოპოვებულ პოზიციას და გადაიქცევა
დიდ ხნით უძლურ მიმდინარეობათ. მაშასადამე, მთელი პოლი-
ტიკური და ეკონომიკური მერმისის სვე-ბედი ახლა, ბოლშე-
ვიზმის ლიკვიდაციის ხანაში იჭრება და აქ ყოველნაირი ყოფ-
მანი დაუშვებელია. რაკი დემოკრატიის გაბატონება ერთათ-
ერთი მისაღება სოციალური და ნაციონალური გზაა, ცხადია
ამ დემოკრატიის ყველა ნაწილის, მისი ყველა პარტიის შეერ-
თება საერთო მიზნის მისაღწევათ აუცილებელია. წვრილბურ-
უჟაზიული პარტიები, რადიკალური დემოკრატია, სოციალის-
ტების ბუნებრივი მოკავშირე და თანამგზავრია. ამიტომ სრუ-
ლიად ფუჭია დავა იმაზე, თუ გლეხი რა კლასს ეკუთვნის —
წვრილ ბურუჟას თუ მუშას. საქმარისია ვიციდეთ, რომ ორი-
ვე ეს შეადგენს მშრომელ ხალხს, რომელთა ინტერესი ერთ-
დება მიმდინარე პოლიტიკის ყველა სფეროში. პოლეტიარი-
ატის იზოლიაცია გლეხობისაგან, რასაც ადგილი აქვს ახლა
ბოლშევიკების მეოხებით, უნდა მოისპოს ურთიერთ ინტერესე-
ბის ცნობით და მათვის საერთო ძალობრით ბრძოლით.

საქართველოს მასშტაბით დემოკრატიის გამარჯვება და
საქმიანობა წინდაწინვე უზრუნველყოფილია; აქ ნაციონალუ-
რი ბურუჟაზია მეტათ სუსტია და ხელმძღვანელ როლს ვერც

კი დაიჩემებს. ერთათ-ერთი ჩვენი არასოციალისტური პარტია უფრო წვრილ-ბურჟუაზიულია, ვინემ ბურჟუაზიულ უდის მაშასადამე ხალხის სუვერენიტეტის ფარგლიდან უკირამოვა. და თუ რომელიმე მისმა ნაწილმა მოინდომა ამ ფარგლიდან გამოსვლა, ის კალთაში ჩაუვარდება არა არარსებულ ბურჟუაზიას, არამედ დროგადასულ წოდების ნამსხვერევს და მით ერის პილიტიკური სხეულიდან სამუდამოთ მოწყდება. ერთი სიტყვით, ქართველი ერის სოციალური შენობა და მისი პოლიტიკური მდგომარეობა ქმნის მისი დემოკრატიულათ განვითარების უკუკველ შესაძლებლობას. ეს ზედმეტი საბუთია იმის, რომ ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნოდეს და რუსეთის საეგებიო გემზე მიძული არ ვიყოთ.

ვათავებ. ჩვენი გზაა — პოლიტიკური დემოკრატია, შრომის პოლიტიკა, სოციალური ეკონომიკა. ეს არ არის სოციალიზმი, ეს არის მხოლოდ მოკლე, პირდაპირი გზა მისკენ მიმავალი. სოციალიზმი ნიშნავს ისეთ სოციალურ წყობილებას, სადაც არც დაქირავებული შრომაა, არც საქონლის წარმოება. ეს ვერ დამყარდება ერთი დაკვრით, ერთი შეძახებით; ეს მთელი საზოგადოებრივი პროცესია, ნელი, თანდათანი მუშაობაა ამ მიზნისაკენ მიმართული. და ეს არა ერთ ერში, არამედ ყველა ერში, უმთავრესათ მსოფლიო ბაზრის მეთაურთა შორის. ჩვენი გზა ამ პროცესის ერთი რეოლია და წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას, რევოლუციმდებური პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელათ, ისე საბოლოო ეტაპის მისაღწევათ.

საბჭოთა სამკვიდროში ბურჟუაზიული იდეოლოგია ეკონომიურათ, პოლიტიკურათ, სოციალურათ და ნაციონალურათ არის კონტრ-რევოლუციური, რეაქციონური იდეოლოგია. ყველა ამ სფეროში ერთათ-ერთი სოციალისტური იდეოლოგია არის რევოლუციური და ისტორიული პროგრესის მატარებელი. პირველის პოლიტიკური და საზოგადოებრივი როლი გათავებულია, ის უნდა დაკმაყოფილდეს კერძო ეკონომიური საქმიანობით. საზოგადოების პატრონი, წინამძღვარი და მეგზური მეორეა. ის აერთებს თავის საშოში მოწინავე ქვეყნების რევოლუციურ ბურჟუაზიის წასულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და დღევანდელი რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის — სოციალურ ბრძოლას. მისი დროშა არის ერის დროშა. მასში ისატება ერის ნებისყოფა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა

1

საქართველოს მუდამ ქონდა და აქვს თავისი საგარეო პოლიტიკა.

ქონდა ისტორიულ წარსულში — მეფეთა ხანაში, მეცხრამეტე საუკუნეში — რუსეთის ბატონობაში, დამოუკიდებელ რესპუბლიკაში და აქვს დღეს, მოსკოვის ოკუპაციის დროს.

რა ახასიათებდა ამ პოლიტიკას თვითეულ ამ ისტორიულ პერიოდში?

საგარეო პოლიტიკის საგანია პირველყოვლისა გადარჩენა ერის ფიზიკურათ უცხოთა შემოხევის და გაჟღეტისაგან, გადარჩენა მისი დამოუკიდებლობის, ნაციონალური ყოფა-ცხოვრების და წყობილების, შენახვა მისი შინაგანი ძალებით განვითარების, მისი მატერიალური და იდეიური საუნჯის გამდიდრების, აღორძინების და აყვავების. აქ წინ დგება ერის საერთო ინტერესები და ამ დროშის ქვეშ ის ეპირდაპირება უცხოეთს. ეს დაპირდაპირება დებულობს ორ ფორმას: თავდაცვის და შეტევის, ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ და ბრძოლას დასაპყრობელათ. საგარეო პოლიტიკა იძიებს გზებს, საშუალებებს თრივე ამ ფორმის საწარმოებლათ და გასატარებლათ.

მაშასადამე, საგარეო პოლიტიკა არსებობს იმიტომ, რომ არსებობს ქიშხობა და ბრძოლა სხვადასხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის. ამ საერთო შეღლში თვითეული მისი მონაწილე ცდილობს, რასაკვირველია, გადარჩეს და გაიმარჯვოს. ქართველი ერთი ამ მონაწილეთაგანია და იძულებულია თავი დაიცვას და გადარჩეს. როგორ, რა გზით — ეს საკითხი მას მუდამ ედგა წინ და მას სჭრიდა თავისებურათ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე გადამჭრელ გავლენას

ახდენდა ერის მცირე რიცხვიანობა და უხსოვარე ჭრიუფაში ॥
დღევანდელ მის მიწა-წყალზე დასახლება. პირველი შემთხვევა
ვა მას არ ანებებდა ეწარმოებია აგრესიული პოლიტიკა, სხვა
ხალხების დაპყრობა და დარბევა, ხოლო მეორე შემთხვევა მას
არ ანებებდა თავისი მიწა-წყალიდან აყრილიყო, სხვა ხალხებში
ათქვეფილიყო ან მათთან თავი შეეფარებია და მათი გავლენის
ქვეშ ჩავარდნილიყო. ორივე ამ გარემოებით ის იძულებული
იყო ეწარმოებია თავის დაცვა თავის საკუთარ ტერიტორიაზე
და ამ დიდი მიზანისათვის სავსებით დაემორჩილება მთელი
თავისი საგარეო მოღვაწეობა.

სანამ საქართველო კულტურულათ წარმოადგენდა ნაწილს
ძველი სპარსეთის, ეს მისი საგარეო მუშაობა წარმოებდა გვა-
რიან მწყობრათ სპარსთა გვერდით და მათი დახმარებით. პირ-
ველი ქრისტიანი მეფე მირიანი სპარსელი იყო. ჩვენი პატარა
ერის დიდი ერის მფარველობით და ქეთილმეზობლობით გა-
დარჩენა და მისი თავისუფლების დამაგრება ამ დროის საგა-
რეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა. მავრამ ბიზანტიის აღორ-
ძინება და ქართველობის გაქრისტიანებით მის გავლენის სუე-
როში მოქცევა სცვლის მთელ ობიექტიურ მდგომარეობას და
ართულებს საგარეო მუშაობას. საქართველო ემწყვდევა ორ დიდ
სახელმწიფოს გვერდით, ამათში ერთი კერპთაყვანისმცემელაა,
შემდეგ მუსულმანი, ხოლო მეორე კი ქრისტიანი. მათ შორის
შედღილი და ბრძოლა იღებს შეუწყვეტელ ხასიათს. რა პოზიცია
დაიჭირა ამათ შორის ქართველ მთავრობამ?

ერთი შეხედვით, აქ ასარჩევიც არაფერია, ქრისტიანი ერი
მუდამ გვერდში უნდა ყოლოდა მეორე ქრისტიან ერს. ე. ი.
რელიგიური მოსახრება უნდა გამხდარიყო საგარეო პოლიტი-
კის მთავარ შინაარსათ. აი ეს დებულება, რაიცა დიდი ხნის შემ-
დეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკათ გახდა, სრულიად უც-
ნობია ჩვენი ისტორიის კლასიკურ პერიოდში. აქ წინ დგება
სახელმწიფოს ინტერესი, მიუხედავათ მისი რწმენისა და სამღვ-
თო წერილისა, ინტერესი რეალური, ანგარიშზე აკებული, ავან-
ტიურას და ფანტაზიას მოკლებული. რა მოუხდება ერს, სა-
ხელმწიფოს — აი რა საკითხია გადასაჭრელი. რელიგია ცვა-
ლებადია, წარმავალია, ერი მუდმივი, უცვლელია. აი ეს მუდ-
მივი, უცვლელი მოვლენა არის საგანი სახელმწიფო პოლიტი-
კისა და ის დგება პოლიტიკის წინა რიგში. ორი დიდი მოქიშვე

სახელმწიფოს შორის საქართველოს შეეძლო თავი გადაერჩინა
ორივესაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებით, საქართველო
ჩენილიყო შესამე ფაქტორათ, არ ჩავარდნილიყო ერთ-ერთს
კოალიციაში და მით სამუდამოთ ხიდი არ ჩაეტეხა მეორე მე-
ზობელთან. ამ პოლიტიკის საუცხოვო ნიშვმდია ვახტანგ გორ-
გასლანის მოქმედება. ის თხოულობს წარმართი შახის ქალი-
შვილს და მას უმოყვრდება; ბიზანტია სპარსეთის ომში დახმა-
რებას აღუთქვამს უკანასკნელს, ამით აძმულებს პირველს და-
უბრუნოს წარმომეული ქართული პროვინციები, რომლის შემ-
დეგ მეფე ვახტანგი გამოიდის ორივე მეომართა არბიტრათ და
მომრიგებლათ. სპარსეთის ახალი მეფე სარწმუნოებრივი მო-
ტივებით მოდის საქართველოში, საიდანაც ცეცხლის თაყვანის-
მცემელი განდევნება და ფიქრობს ძალით ძველი სარწმუნო-
ება აღადგინოს. მეფე სთხოვს დახმარებას ბიზანტიას; ბერ-
ძენთა ჯარის გამოჩენა საქართველოს გახდა უომრათ მშვიდობია-
ნობის ჩამოსაგდებათ და სპარსთა ჯარების პატივით უკან გა-
სასტუმრებლათ.

განსაკუთრებით მნელი შეიქნა საგარეო პოლიტიკის წარ-
მოება მაპმადიანობის აღორძინებიდან, როცა საქართველო
მოექცა მაპმადიანთა ზღვაში, როგორც პატარა კუნძული, თუმ-
ცა მარჯვენა მხარეზე ბიზანტია განაგრძობდა არსებობას. და-
კავშირება ამ დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოსან ნიშნავდა გა-
დაკიდებას ყველა სხვა მეზობლების და თავისი ფიზიკური არ-
სებობის ხიფათში ჩაგდებას. სამოქალაქო მომენტი სძლევას რე-
ლიგიურ მომენტს და ერთ განაგრძობს დამოუკიდებელი პოლი-
ტიკის წარმოებას. არაბთა ბატონობის დროს ქართველობა
ეწყობა შიგნიდან ამ ბატონობის უღლის ქვეშ, ვითარდება და
ძლიერდება და უცდის დროს არაბთა გასადევნათ. ახეთი დრო
კიდევაც დაუდგა. მაპმადიანებთან შეგუება, როცა არა სჯობს
გაცლა, როცა სჯობს ომი, და ამ გზით თავისი ფიზიკური, კულ-
ტურული და პოლიტიკური არსებობის შერჩენა — აი ამ დრო-
ის რეალური სახელმწიფო პოლიტიკა. ამ პოლიტიკას მისდევ-
და ყველა დიდი მეფე მე-16 საუკუნეშიდე, აქედან გამომდინარე-
ობდა ის საოდრი მოვლენა, რომ ევროპის რელიგიურ აღტყი-
ნებაში, ჯვაროსანთა ომებში მონაწილეობაზე საქართველოშ
უარი განაცხადა და სომხებივით თავისი თავი არ შიძგანა სა-
საკლაოზე. ქართველები კარგათ ხედავდენ, რომ ევროპიელები

შინ დაბრუნდებოდენ, ხოლო ისინი კი დარჩებოდენ. პირი იშვიათი
მაპმადანებთან განმარტოვებულნი. სახელმწიფო ჰარბიულზე
საქართველო სრულიად არ არჩევდა ქრისტიანს და არა ქრის-
ტიანს, ორივეს ერთნაირათ ებრძოდა ომით და აძლევდა ზავს,
თავის ინტერესების მიხედვით. თამარის ომები ბიზანტიასან
ცნობილია.

ერთი სიტყვით, მთლიანი საქართველოს საგარეო პოლი-
ტიკა ნათელია: ის ცდილობდა არ მომხდარიყო იშოლიაციაში,
არ დაპირდაპირებოდა მუსულმანობას, როგორც ამნაირს, არ
ჩამდგარიყო ანტიმუსულმანურ ბლოკში და არ გადაეკიდებია
მეზობლები. ეს პოლიტიკა დაგვირგვინდა შესამჩნევი ნაყოფით.
მაშინ, როდესაც მუსულმანობა ცდილობდა მოესპო მეზობელი
საქრისტიანო სახელმწიფოები და კიდევაც მოსპეს, ჯერ სომ-
ხეთი, შემდეგ ბიზანტია, საქართველოს მიმართ კმაყოფილდე-
ბოდენ მისი თავის გავლენის ქვეშ ჩაყენებით, თავისი ორბი-
ტაში მომწევდევით. ამ გზით ერთ ირჩენდა თავის თავს გაუღე-
ტის და გადასახლებისაგან, სახელმწიფო თავის პოლიტიკურ
წყობილებას, თავის პროვინციებს, ქრისტიანობა თავის სარ-
წმუნოებას და კულტურას.

შერჩა ამ პოლიტიკას საქართველო?

მოხდა ორი დიდი ამბავი: დაეცა ბიზანტიის იმპერია მისი
სატახტო ქალაქით (1454 წ.) და ოსმალები გაბატონდენ ბალ-
კანეთში; განვითარდა ჩვენში ფეოდალიზმი და დაეცა საბო-
ლაოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა.

პირველმა გარემოებამ გამოიწვია მოსკოვის პრეტენზია ბი-
ზანტიის სარწმუნოებრივ მემკვიდრეობაზე; ვასილი მესამე ირ-
თავს ბერძენთა ბატონიშვილს, იღებს საბერძნეთის სახელმწი-
ფო გერბს და ტიტულებს და ცხადდება ბიზანტიის იმპერატორ-
თა მემკვიდრეთ. მართლმადიდებლობის პოლიტიკური ცენტრი
ხდება მოსკოვი, ისე როგორც წინეთ იყო კონსტანტინოპოლი. მაგრამ ამით საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა სრუ-
ლიად არ იცვლება. ახლაც, ისე როგორც წინეთ ბიზანტია,
მოსკოვი ეპირდაპირება მუსულმანობას და მართავს მასან სის-
ტემატიურ ომს. საქართველოს პოზიცია ამ ბუმბერაზებს შო-
რის უნდა ყოფილიყო ისეთივე, როგორიც იყო წინეთ — დამო-
უკიდებელი პოლიტიკის წარმოება და მეზობლებთა წინაშე ლო-
იალობა. ნამდვილათ კი მოხდა ამ პოლიტიკის სავსებით უკუ-

გდება და გადაჭრით ანტიმუსულმანური ბლოკის არჩევა მოსკოვის გვერდით.

ეს საოცარი მოვლენა აიხსნება მხოლოდ ფეოდალიზმის გამარჯვებით და სახელმწიფო პოლიტიკის მაგიერ კუთხეური და პიროვნული პოლიტიკის ამუშავებით. თვითეული ფეოდალი, თვითეული მეფე ამ ფეოდალების მიერ შეწუხებული, ეძებს საკუთარი გზით და საკუთარი ჰქუით მეგობარს, მფარველს და გამორჩენას. რატომ ამ ხანაში იწყება ასეთი მფარველის რუსეთში ძებნა? ამის მიზეზია განვითარება ფეოდალიზმის თანამგზავრის – კლერიკალიზმის, რელიგიური საკითხების წინა რიგებში წამოყენება და ქვეყნის ინტერესების სარწმუნოების თვალსაზრისით გაზომვა. მოსკოვი ხდება ქართველი სამღვდელოების მექა.

პირველ მიწერ-მოწერას და ელჩების გზავნას მოსკოვში იწყებს კახეთის მეფე ალექსანდრე 1492 წელს. მას მიბამა ქართლის მეფემ გიორგი მეათემ; მათ გზას აგრძელებენ მათი მემკვიდრენი. ესენი სოხოვენ მოსკოვის მეფეს «მიიღონ ისინი რუსეთის ქვეშევრდომობაში»; მეფე ალექსანდრე მეორე შეფიცავს რუსეთის მეფეს «ერთგულ ქვეშევრდომობას შვილებით და პირდება უხადოს ხარკი წლიურათ ქართული ნაქსოვებით» (დუბროვინი). ერთი სიტყვით ქართლ-კახეთის მეფენი უარს ამბობენ თავის სუვერენობაზე, აღიარებენ რუსეთის ქვეშევრდომობას და საფასურათ ითხოვენ მფარველობას და დახმარებას მუსულმანობის წინააღმდევ.

იბადება საკითხი: იცოდენ კი ამ ახირებულ პოლიტიკოსებმა არა თუ მოსკოვის მართველობის სისტემა, არამედ მისი გეოგრაფიული საზღვარი მაინც? იმ დროს როცა კახეთი ითხოვს მისგან ჯარით შევლას, მისი სამხრეთი საზღვარი გადადიოდა მდინარე ოკაზე (დღევანდელი მოსკოვის და რიაზანის გუბერნიებს შორის), ქვემოთ შედებარეობდა კაზაკების დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იმის ქვემოთ ყირიმის და ასტრახანის სახანო, მერმე კიდევ ჩერქეზები – ერთი სიტყვით, არავითარი საშუალება რუსეთიდან რაიმე სამხედრო დახმარების მიღების. პოლონეთი გაცილებით უფრო ახლო მდებარეობდა ჩვენგან, ვინებ მაშინდელი რუსეთი. არც არავითარი რეალური დახმარება მოსკოვიდან არ მოსულა საქართველოს არც ერთ გაჭირებულ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთში კი მიღიღენ ქართ-

ველები, შედიოდენ იქ სამხედრო სამსახურში და თუკს დედოფლის მოსკოვისათვის. «ქართული გუსართა პოლკი თაღორძის წერილი ნააღმდეგ ოში 1739 წელს შესანიშნავათ იბრძოდა», სწერს ბუტყვოვი. ამის გამო 1740 წ. განსაკუთრებით უქაშით გადაწყდა «ქართველების მოწვევა გავრძელდეს და მათგან დაარსდეს ათი როტა». დამხმარე რუსის ძალა საქართველოში არ მოდის, ხოლო ქართული ძალა კი იქით მიდის და ეხმარება «საწყალ» რუსეთს თურქების წინააღმდეგ!

ამ ფანტასტიურ ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკაშ სავსებით შესცვალა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და დაედვა საფუძვლათ ყველა უბედურობას, რაც შემდეგ მას თავს დაატყდა. რუსეთი აწარმოებს ომებს ჯერ ყაზანის სახანოსან, შემდეგ ასტრახანის, შემდეგ ამათი ძლევისა სპარსეთთან კასპიის ზღვისა და სავაჭრო მიზნებისათვის; ამავე დროს ომები ოსმალეთთან დუნაის მიმართულებით და ყირიმით. ამ ბუმბერაზებს შორის მომწყველეული პატარა საქართველო გადაჭრით ემხრობა ერთ მხარეს, ისიც უმორეს, რომელსაც მოსავალი გზებიც კი არ აქვს ჩვენამდე. ახლა იბადება სპარს-ოსმალეთში აზრი საქართველოს მოსახობათ, მსგავსათ სომხებისა, და მით რუსის საფრთხის კავკასიის გზით თავიდან მოშორებისა. მაგრამ პირველათ სცადეს დიპლომატიური სამუალებანი. სპარსეთის შეხი, შაჰ-აბაზი უთვლის ქართლ-კახეთის მეფეთ ჩამოშორდით რუსეთს და მიირთვით ყოველივე შედავათებით. ამათთ. არ გასჭრა. იწყება კახეთის აოხრება სპარსელებისაგან და ქართველების მასიური გადასახლება. მეორე მხრით, ოსმალეთშაც სცადა საქართველოს ჩამოშორება რუსეთიდან და როცა ამას ვერ მიაღწია, იწყო ქართული დაპყრობილი პროვინციების ძალით გამაპმადიანება. სამცხე-საათაბაგო, აჭარა-ქობულეთი ხდება იმულებული მიიღოს ისლამი.

როცა ასეთი საშინელი ამბები ტრიალდებოდა ჩვენში, როგორ გვეპყრობოდა ჩვენი მძლავრი მოკავშირე, რუსეთი? პეტრე დიდის სპარსთან ოში ვახტანგ მეფემ მიაშველა 40.000 შეომარი, რითაც რასაკვირველია მეტათ გაარისხა როგორც შაჰი, ისე სულთანი. მაგრამ ზავის ჩამოგდების დროს მოსკოვმა «დაივიწვა» საქართველო და ჩაუტოვა ის უმწეოთ ვანრისხებულ მეზობელთ. შაჰმა იჯერა გული ვახტანგზე, გააძევა საქართვე-



ლოდან და ისიც თავს აფარებს მრავალი საუკეთესო ქაშტაგი და ლით მოსკოვს. ცოლო ქვეყანას კი აოხრებს შემოსეული ტანი მოსკოვის სელები. ერეკლე მეორე გაყვა მამის — თეიმურაზის გზას, გა-აგრძელა მეგობრობა სპარსეთთან, მონაწილეობაც კი მიიღო მის ომებში ინდოეთის საზღვარზე. მაგრამ ამ ხაზს ბოლომდე ვერ შერჩა, ჩაება რუს-ოსმალეთის ომში (1770 წ. ასპანძის ომი) რუსეთის დასახმარებლათ, და მით გადაეჯაჭვა სარუსე-თო ბოლიტიკას; უკან დასახევი გზა აღარ ქონდა.

ბოლოს, სულ ბოლოს, სამასი წლის ლოდინის შემდეგ, რო-გორც იყო მოვიდა საქართველოში «მოკავშირე» ჯარებით და დახმარების მაგიერ, ის სავებით მოსპო და თავის გუბერნიათ აქცია. ასე საქვეყნოთ დამარცხდა მეთექსმეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენი საგარეო პოლიტიკა: ქვეყანა აოხრებული, ერთს მესამედი გამამადიანებული და უცხო უღელში მყოფი, მცხოვრებთა რიცხვი განახევრებული, თავისუფლება დაკარგუ-ლი, საერთაშორისო ურთიერთობიდან გამოვარდნილი.

ამნაირათ, მეფეთა ხანაში იყო ნაწარმოები ორი მოპირდა-პირე საგარეო პოლიტიკა: ერთია პოლიტიკა სახელმწიფო-ებრივი, რეალურ ინტერესებზე აგებული, ერთს სვებედზე მხრუ-ნავი და სინამდვილეზე დაყრდნობილი. მეორეა პოლიტიკა ფე-ოდალური, კუთხური, ოჯახური, პირადი თუ ჯგუფური სარ-გებლობის მაძიებელი, ერთსთვის ავანტიურისტული და დამ-დუბელი. რაკი არ იყო ერთი სახელმწიფო, არ იყო ერთი სა-ხელმწიფო პოლიტიკა. საქართველოს პატრონი არ დაურჩა.

აი ამ ფეოდალური საგარეო პოლიტიკით გადმოვედით მე-ცხრამეტე საუკუნეში.

2.

პირველ წერილში დავინახეთ, რომ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ იყო აუცილებელი შედევი საქართველოს მარ-თველი წრების საგარეო პოლიტიკისა, დაწყებული მეთექს-მეტე საუკუნიდან. წარმოიდგინეთ, მაგალითად დღეს, შვეიცა-რია უკავშირდება გერმანიას და ხელს იღებს თავის საკუთარ საგარეო პოლიტიკაზე. ამის შედევი იქნება საფრანგეთის მიერ დაპყრობა მისი მოსაზღვრე ნაწილების და რაც გადარჩება გერ-მანიის ლუკმათ გადაქიერა. აქედან წარმოდგება საგარეო პო-

ლიტიკის ძირითადი დებულება: კავშირი შეიძლება მხრულდეთანასწორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის; კავშირდების მიზანი და დიდი სახელმწიფოსი თავდება პირველის დანგრევით. ეს ძველი ამბავია, თიხის და რკინის ქოთანის ერთათ მოგზაურობა მუდამ სახიფათოა.

საქართველო რუსეთის ხელში გადაიქცა სპარს-ოსმალეთის საფრთხობელი იარაღათ, რითაც ის აძმულებდა მათ დამობებს. ხოლო საქართველომ კი სამაგიეროთ ვერავითარი შეღავათი, ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო რუსეთისაგან. იქიდან მოდიოდენ მხოლოდ ბერები, საჩუქრები და უღევი დაპირებანი. ეს აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ ერთი, უძლიერესი მხარე აწარმოებდა სახელმწიფო პოლიტიკას; ხოლო მეორე, უსუსტესი, არა სახელმწიფო, კერძო ინტერესების პოლიტიკას. ეს უკანასკნელი მოვლენა დამახასიათებელია მთელი ფეოდალური წყობილებისა მთელ ქვეყანაზე. ინგლის-საფრანგეთის ასი წლის ომი იკვებებოდა ფრანგ ფეოდალების მიერ ინგლისის მოწვევით შანაურ საქმეებში ჩამოსარევათ თავის მეფის წინააღმდეგ. აქ მეფე იცავდა თავის საბრძანებელის მთლიანობას, რაიცა ნიშნავდა დაცვას ამავე დროს ნაციონალური ინტერესისა. ფეოდალები კი თავის ოჯახის და ლოკალური ინტერესების მეთაურათ გამოიდიოდენ. რაკი საქართველო სავსებით მოექცა ფეოდალურ ურთიერთობაში, რაკი აქ მეფენიც კი არ ცდილობდენ ერის გაერთიანებას (ერეკლე მეორემ უარი თქვა იმერეთის შემოერთებაზე) და მთლიან სახელმწიფოს საფუძველზე დაყრდნობას, ამით აიშვა დამარცვეველი ელემენტების თარეშობა და მათ დარჩათ ბატონობა.

ადარ იყო ნაციონალური საგარეო პოლიტიკა, გამეფდა ფეოდალური პოლიტიკა.

ამით აიხსნება ისიც, თუ რა ხასიათის მოძრაობა გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობამ. მაშინ, როდესაც კახეთში და მთაში მღელვარება დაიწყო, ქართლი სდუმდა, ხოლო იმერეთი შორიდან სეირს უცემოდა. როცა იმერეთი ადგა, ამერეთი სდუმდა. ე. ი. ანგელისის ერი შეხვდა დაქსაქსულათ, დაბნეულათ, მისი სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა ინტერესებით გარემოცული. გაბატონებულ წრეებმა დიდმა მემამულეებმა დასტოკეს ბაგრატიდების დინასტია და თავისი ბედი გადაასკვნეს რომანოვებს. პენსიები, ჩინები, ორდენები გახდენ

მათი მონაცირების საშუალებათ. ოჯახურ წოდებრივი ინტერესი და დადგა ერთს ინტერესების მაღლა, ე. ი. წინანდელი ფერტული დური პოლიტიკა იქნა გავრძელებული ახალ პოლიტიკურ ურთიერთობაში. ამ გარემოებამ გარიყა აჯანყებული ტახტის მემკეოდრე და მისი მომხრენი და ისინიც იძულებული გახდენ სპარსეთში სამუდამოთ გადახვეწილივენ. ასე დასრულდა გარდვევა ნაციონალური ტახტის და მართველი წოდების ინტერესების. ხოლო ხალხს ხომ არაფერი ეკითხებოდა, გარდა მორჩილებისა თავთავიანთ მებატონებისადმი.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა სავსებით კარგავს ნაციონალურ ელფერს და ხდება თავად-აზნაურობის ინტერესების დაცვათ რუსეთის მთავრობის საშუალებით. ამიტომ საქართველოს ხმა აღარ ისმის არც ერთ საერთაშორისო გართულებაში, რითაც მდიდარია მაშინდელი ეპოქა. ფეოდალიზმი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი ირლვევა, მაგრამ უეოდალური პოლიტიკა, პოლიტიკა პირადი გამორჩენის, გრძელდება. ეს ხაზი თანდათან ხდება გაბატონებული წოდების კოლექტიურ ხაზათ და ბოლოს ის ყალიბდება თვით ამ კოლექტივის ჩამოყალიბებით, შეგავსათ რუსეთის თავად-აზნაურობისა.

რუსეთის ერთათერთ დასაყრდნობ ბაზათ კავკასიაში ხდება საქართველო, საიდანაც ის აწარმოებს შეტევას ყველა ჩვენი ცენტობლების წინააღმდეგ. რა მიზანი ქონდა რუსეთს? კარლ მარქსის მაშინდელი ცნობებით რუსეთის მიზანი იყო შავი ზღვის გადაქცევა თავის დახურულ ტბათ და ამით ხელის გახსნა აზიაში საბატონოთ, ხოლო ეს შეიძლებოდა დაპყრობით კავკასიის და ღუნაის ნაპირების. მაგრამ ამ პლანებს ებრძვის გარდა ოსმალეთისა, ინგლისი და საფრანგეთი და მით კავკასია-დუნაის საკითხი ხდება ევროპის საკითხათ. ადრიანოპოლის ზავით 1837 წელს დამარცხებულმა ოსმალეთმა აღიარა მთელი კავკასია რუსეთის სამფლობელოთ. ინგლისმა უარი თქვა ამ ხელშეკრულობის ცნობაზე. ლორდთა პალატაში გრეიიმ განაცხადა, «რომ ამ ხელშეკრულობის დადასტურება ნიშნავს ოსმალეთის განწირვას და მშვიდობიანობის დარღვევას ევროპაში». დიდი დიპლომატიური ბრძოლის და მიწერ-მოწერის შემდეგ რუსეთს გამოგლიჯა ევროპამ ჩერქეზეთი და ის აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ თავისი შავი ზღვის ნა-

პირებით*). ამ საერთო ევროპიულ დავაში საქართველოს ზმა
 არ ისმის, ქართველი მოღვაწენი არ ხჩანან და არ მცავეს ჭყალი
 გვლ შემთხვევაში ერეკლე მეფის მიერ რუსეთთნ დაღუშულ
 ტრაქტატის ხელშეკრულობას. ეპევე განმეორდა ყირიმის ომის
 დროს 1854 წელს, როცა კავკასიის ირგვლივ დიდი ომი გა-
 ჩაღდა და შავ ზღვაზე გამოვიდა ინგლის-საფრანგეთის შეერ-
 თებული ესკადრა რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთი იძლევა წი-
 ნადაღებას საქართველოს ოკუპაციისას და ამ გზით ყარსიდან
 და მით მთელი ამიერ-კავკასიიდან რუსის ჯარის გარევისას.
 საფრანგეთი მხარს უჭერს ამ პროექტს, ინგლისის სამხედრო
 მინისტრი წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ მტრის ტერი-
 ტორიაზე ჯარის ექსპედიცია ხაფანგიათ. კ. მარქსი თავის წე-
 რილში ებრძვის ამ შეხედულობას და ამბობს, რომ მინისტრს
 შეიძლება «საქართველო მართლა მიაჩნია მტრათ და არა მე-
 გობრათ, ის საქართველო, რომელიც წარმოადგენს კავკასიიში
 რუსეთის პოლონეთს. ოსმალეთის პროექტი არის მთელი თა-
 ვისი შინაარსით გაძელები, კარგათ დამტიფებული და შეიძ-
 ლება ერთათ-ერთი სტრატეგიული იდეა, რაც ამ ომმა მოგვცა».
 შემდეგ ავტორი იძლევა თავის პლანს: ჯარის გადასხმა სამეგ-
 რელოში, დაჭერა ქუთაისის, წასვლა თბილისზე და რუსის ჯა-
 რის განდევნა და სხ.**). იბადება საკითხი: ვინ იყო მართალი,
 ინგლისის მინისტრი თუ მარქსი? უეჭველია პირველი, საქარ-
 თველო ამ დროს იყო «მტრის ქვეყანა», ხოლო მარქსი გამო-
 დიოდა იმ საერთო მოსაზრებიდან, რომ დაპყრობილი ერი არ
 შეიძლება იყოს დამპყრობელის ერთგული. ინგლისს ქონდა
 რასაკვირველია, თავის დიპლომატიური აგენტებისაგან ცნობე-
 ბი, რომ ქართველი თავად-აზნაურობა იბრძვის რუსის გვერდით
 და მაშასადამე მოკავშირეთა დასაყრდნობი ბაზა ამ ქვეყანაში
 არ მოიპოვება. ამავე დროს მოკავშირეთა აგენტები მუშაობდენ
 აბხაზეთში და სამეგრელოში, მაგრამ სამეგრელოს დედოფალის
 ეკატერინეს გული ვერ მოინადირეს. ცნობილია მისი პასუხი
 მათდამი: «ვერ უვდალატებ ჩემს ხელმწიფე იმპერატორსო». მას
 აზრათაც არ მოსვლია მოეთხოვა სამეგრელოს ავტონომიის სა-
 ერთაშორისო ცნობა მაინც. და ეს იმიტომ, რომ ის უყურებდა

*). კ. მარქსის «პოლიტიკური თუშულებანი», ტ. I, გამოცემა კოსტის.

**) იხ. იქვე, ტომი VIII, გვ. 50—51.

თავის ქვეყანას არა სახელმწიფოს, არამედ ფეოდალური თავის გადატრანსფერის საზრისით. ქვეყანა ეკუთვნოდა მას კერძო საკუთრების ჩა-
ფუძველზე, რომელსაც მართავს, გაყიდის თუ გააქირავებს თა-
ნახმათ თავისი ოჯახური ინტერესებისა. ამით აიხსნება ისიც,
რომ როგორც სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე ნიკოლოზი
გახდა სრულყოფვანი, მან რუსეთის მთავრობას მიყიდა ფულ-
ზე ყველა თავისი უფლებები და თვითონ გადადგა. სამეგრელო
პოლიტიკური ერთეულიდან უცებ გადაიქცა ადმინისტრატიულ
ერთეულათ, მაზრათ, მაზრის უფროსის სამართველოთ. ე. ი.
ფეოდალური პოლიტიკა პრაქტიკულათ ხორციელდებოდა მესა-
მოცე წლებშიაც და ეს არავითარ პროტესტისაც კი არ იწვევს
საზოგადოებაში!

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკის მიმდევარნია
ვერ გამოვიდოდენ ვერც ერთ დიდ ისტორიულ გართულებაში
საქართველოს უფლების დამცველათ და მისი სახელით მოღა-
პარავეთ. ყველაფერს სწყვეტს რუსეთის ხელმწიფე-იმპერა-
ტორი, ბავრატიდების მემკვიდრე, და მას უნდა ემორჩილებო-
დეს ერთ — ეს აზროვნება ხდება ოფიციალურ დოქტრინათ და
მასზე შენდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. ქართველ
თავად-აზნაურობის მიერ გამართული დღესასწაული რუსეთთან
შეერთების ასი წლის თავზე, 1901 წ., და მის მიერ ოთხი სტი-
პენდის დაარსება იმ რუსის პოლკებისათვის, რომელნიც პირ-
ველათ ჩვენში შემოვიდენ და დაგვიპყრეს — იყო ლოდიკური
დასკვნა ერთხელ აღებული პოლიტიკური ხაზის.

ამ ფეოდალურ პოლიტიკურ ხაზზე საბოლაოთ დადგენ, მცი-
რე ყოყმანის შემდეგ, ქართველი საზოგადო მოღვაწენიც. ტახ-
ტის ერთგულების საჯაროთ გამოიწენა, მისი სახალხოთ ქადა-
გება, უქვეშევრდომილები მორჩილების აღიარება და ამ გზით
ქართული საქმისათვის სამსახური — ხდება ჩვენ მოღვაწეთა
საზოგადო დოქტრინათ. ეს იყო პოლიტიკა, საშუალება, გზადა-
ხიდი ჩვენი ნაციონალური აღორძინების წინ წასაწევათ. ამ
დოქტრინას ეძლევა ოფიციალურათ ქართული ნაციონალური
ხასიათი ი. ჭავჭავაძის ხელის მოწერით გამოქვეყნებული წე-
რილით, დაწერილი ნიკოლოზ მეორის გვირგვინის კურთხევის
გამო. აქ ვკითხულობთ: «სასოფლით ვეგებებით ჩვენთვის და
მთელი რუსეთისათვის დიდებულ დღეს და ერთგული ქვეშევრ-
დომის გრძნობით დმერთსა ვსთხოვთ მრავალუამიერ სიცოცხ-

ლეს ჩვენის საყვარელის იმპერატორისას საბედნიეროთ და ხა-
ახოდ ჩვენდა»*). შემდეგ, როცა ხალხის მოძრაობა ჰქონის წერილი
პროგრამებზე ჩამოვარდა კამათი, «ივერია» ისევ უძრუნდება
ამავე დოქტრინას და სწერს: «ქართველს უნდა ქონდეს გარგ-
ვეული პროგრამა; ასეთი პროგრამა გვაქვს. პირველი მუხლი:
ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას და ერთგულე-
ბას რუსეთისას და ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა»**).

რაკი ერთხელ მოგხვდით იზოლიაციაში, დაუპირდაპირდით
გველა მეზობელ ხალხებს, რომელთა დაპყრობაში აქტიური
მონაწილეობაც მივიღეთ, ცხადია რაიმე ძალას უნდა დავყრდ-
ნობოდით და მომავალი ხიფათისაგან თავი გადავერჩინა. ასეთ
ძალათ იქნა აღიარებული ხელმწიფე-იმპერატორი, რუსეთის
ტახტი, რომლის წინ საქართველო დააჩოქა ფეოდალურმა პო-
ლიტიკამ. ამნაირათ, მე-16 საუკუნის საგარეო პოლიტიკა პირ-
დაპირ გადაება მე-19 საუკუნისას, ერთი და იგივე გაბატონე-
ბული წრების საშუალებით, თუმცა გარეგანი ჩარჩოები ამ
პოლიტიკისა სავსებით შეიცვალა, ბაგრატიონთა ალაგი და-
იჭირა რომანვებმა.

მაგრამ როგორც ეს ხაზი გაკოტრდა ძველათ რუსის მოსვ-
ლისთანავე, ისევე გაკოტრდა ის შემდეგ, ახალ გარემოებაში.
ტახტზე დაყრდნობამ არა თუ ააღორძინა ჩვენი ნაციონალური
ცხოვრება, პირიქით, ეს უკანასკნელი უფრო გვარდებოდა, მა-
ხინჯდებოდა, რუსიფიკაცია მთელი თავისი ძლიერებით ტარ-
დებოდა. ჩვენ ვერ მივიღეთ უბრალო რეფორმებიც, რაც რუ-
სებს თავსაყარათ ქონდათ, ვერც ერობა, ვერც ნაფიცთა სამსა-
ჯულო, ვერც უნივერსიტეტი, ვერც ერთი გულტურული კერა.
შიუხედავათ ამ აშკარა ფაქტებისა, «უქვეშევრდომილეს გრძნო-
ბებს» არ ეყრებოდენ, ფეოდალური პოლიტიკა გრძელდებოდა.

აი ეს პოლიტიკა პირველათ გაარღვია ქართველი ხალხის
ამოძრავებამ.

რაკი ხალხი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და დაუპირ-
დაპირდა შინაურ თავის მოპირდაპირეთ, ამით ის დაუპირდა-
პირდა მათ პოლიტიკასაც, მათ მფარველ «ხელმწიფე იმპერა-

*) «ივერია», 1896 წ. № 102.

**) იქვე, 1901 წ. № 116. იხ. გ. ვიორგაძის წიგნი «საზოგადოებრივი
ურთიერთობა».



ტორს“, მათ მთავრობას, მთელ მათ ეკონომიკას და იდეტლიტერატურულ გიას. ქართველი ხალხის პოლიტიკური ამოსაღები დაიწყო პოლიტიკური ზუნგით: ძირს ტახტი, ამბავი სრულიად გაუგონარი საქართველოში. ეს იყო ძირიანათ შებრუნება ჩვენი საგარეო პოლიტიკის. ვისი იმედით? ქართველი ხალხი ხომ ვერ მოერეოდა რუსეთის იმპერატორს. აი აქაც იმავე ხალხმა გაარღვია მეორე რკალი, ჩვენი იზოლიაცია მეზობელ ხალხებისაგან და წამოაყენა ეველა ხალხის, ეველა ტვირთმძიმეთა დარაზმვა და ერთი დროშის ქვეშ თავის მოყრა.

ამ ინტერნაციონალურ დროშას ჩვენ გამოვყავდით განმარტოვებისაგან, გვიშლიდა ფართე ასპარეზს, გვაკავშირებდა იმპერიის ეველა ხალხებთან და ხსნიდა პერსპექტივას დიდი რევოლუციისას, დაბმულ ხალხთა და ერთა განთავისუფლებისას. აქ მთავარი ამოცანა იყო კერპის – ტახტის დამსხვრევა, ამ უახლოესი მისნის გარეშემო მთელი ძალონის ამოძრავება და გამარჯვება. ასეთი გაბედული ნაბიჯი ქართველი ხალხისა იწვევს შიგნიდანვე, ძველი აღთქმის მოღვაწეებისაგან, მედგარ წინააღმდეგობას, ფართო შემოტევას, პრესის და საზოგადოების აყავანებას, მავრამ მთელი ეს ხმაურობა აღმოჩნდა სულთმობრძავის უკანასკნელ გაზმორებათ. ქართველი ხალხი უკან არ იხევს, პირიქით, იმპერიის ეველა ხალხთა შორის ის იყო უეჭველათ უევლაზე უფრო აქტიური, მედგარი, შეუპოვარი. ყველა დიდ საერთო ლეგალურ თუ არალეგალურ გამოსვლებს მან უმეთაურა, პირდაპირ თუ თავის არჩეულთა საშუალებით, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე მთელ იმპერიაში. ეს მოძრაობა პირველი რევოლუციით სასიკვდილოთ სჭრას ტახტს, ხოლო მეორეთი მას სავსებით ანგრევს და მასთან ერთათ ანგრევს ტახტთან დაკავშირებულ მთელ ღრომოჭმულ ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობას.

უეოდალური საგარეო პოლიტიკა ეცემა, ხალხური პოლიტიკა იწყება.

ამნაირათ, რევოლუციია და დემოკრატია განდა იმ საშუალებათ, რომელმაც გაარღვია ჩვენს ირგვლივ შემოვლებული საგარეო რკალი, გამოიყვანა ერი ისტორიული ჩიხიდან და დაუბრუნა მთლიან ნაციონალურ და სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. თუ ჩვენი ისტორიის კლასიკურ პერიოდში ამ პოლიტი-

კას მეთაურობდენ დიდი მეფენი, ახლა მის მეთაურებული და გადასახლებული ქართველი ხალხი, გამოღვიძებული და შეკავშირებული ჭაროსახლი ველი ერი.

იშვა საქართველოს ნაციონალური საგარეო პოლიტიკა.

3. ჩოლოები ებ

ხალხი თავის მტერი არ არის, მის მიერ წარმოებული პოლიტიკა არ შეიძლება არ მომდინარეობდეს მისი საარსებო მოთხოვნილებისაგან, მისი მიუცილებელი საჭიროების და მდგომარეობისაგან. ხოლო ხალხის პოლიტიკა ნიშნავს ერის პოლიტიკას, ნაციის დიდი უმრავლესობის ინტერესების გამოხატულებას.

ხალხის მტერია არა ხალხი, არამედ მისგან გამდგარი და მის მაღლა მდგომი გაბატონებული კლასი თუ ჯგუფი, რომელიც მას ეპირდაპირებიან ცხოვრებაში და, მაშასადამე, მათი საშინაო და საგარეო მუშაობის სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება.

რაյო საქართველოში დაირღვა ძველი გაბატონებული წოდება, ხოლო მისი ალაგი ვერ დაიჭირა ახალმა ბატონებმა, ამით მალა-უფლება ხელში ჩაუვარდა ხალხს, ერის დიდ უმრავლესობას და შეიქმნა შესაძლებელი მართლა ნაციონალური პოლიტიკის წარმოების. ეს პოლიტიკა არ იყო იმპროვიზაცია, უცებ გამოგონილი მუშაობა, არამედ იყო ლოლიკური გაგრძელება იმ პოლიტიკის, რომელსაც მისდევდა თავის რევოლიუციურ ბრძოლაში ქართველი ხალხი. მისი დამახასიათებელია ორი დებულება: თავიდან აცილება იზოლიაციის და ავანტიურის. ეს ხაზი დიდი სიფრთხილით და გამჭრიახობით ტარდება გარემოებათა ახალ ქსელში, სამოქალაქო ომის და მსოფლიო სისხლის დერის საბედისწერო მომენტში. ერის გემი ცერაობდა აი ამ ორ აკორებულ ტალღებს შორის. სცილას და ხარიბდას სასიკვდილო ლახვარის მიდამოებში და ბოლოს გაბედულათ, გონიერათ გაექცა ორივეს, გამოვიდა უვნებლათ სანაპიროში. მისი ორგანიზმი ვერ დაასახიჩრა ვერც შინაურ, ვერც საგარეო ომმა. საქართველო გადაიქცა ირგვლივ ანთებულ კოცონის ზღვაში ის მშვიდი და აწყობილი კუნძულად, სადაც პოულობენ უშიშროებას და მყუდროებას ყველა დევნილ-

ნი და შეწუხებულია. ამ ტრადიციულ ხანაში ქართველმა ხალხმა
დიდებულათ ჩააბარა ისტორიის გამოცდა.

ამ ხაზის გამარჯვება შესაძლებელი გახდა ერის დასტურების
ლინით, ყველა მისი სასიცოცხლო ნაწილების დარაზმვით და
ერთი, მთლიანი ნაციონალური ფრონტის შექმნით. პატარა ერი
ვერ გადაუჩება ისტორიულ ქარცეცხლს საშინაო შუღლით
და განხეთქილებით. ეს შევნება გახდა საყოველთაო, სახალხო
და ის გადაიქცა ჩვენი პოლიტიკური დოქტრინის მიუცილებელ
ელემენტათ. ამ ხაზს დაშორდენ მხოლოდ მცირე ჯგუფები, რო-
გორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ და თავის სახელმძღვანელოთ
გაიხადეს ძველი ფეოდალური პოლიტიკა: თავისი ბატონობა
მოიპოვონ არა თავის ხალხის, არამედ უცხო ხალხის საშუალე-
ბით, უცხო ძალებზე დაყრდნობით; ასეთ ძალათ ერთმა დასახა
ჩვენში მდგომი უცხო ჯარი, ხოლო მეორემ მოსკოვი. პირველი
ჩაგვიდგა სისტემატიურ ოპოზიციაში, მეორემ სისტემატიურ
მტრობაში. მაგრამ ესენი წარმოადგენდენ თავისთავათ უმნიშვ-
ნელო ძალას და ოდნავადაც ვერ არყევდენ ერის მთლია-
ნობას.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ძარღვი მიიმართებოდა
რევოლიუციურ ერთა თვითგამორკვევის გატარებისაკენ საერ-
თო თანხმობით და ურთიერთ გარანტიით. ე. ი. ერის და ხალ-
ხის თავისუფლების განმტკიცება ყველა ჩაგრულ ერთა და ხალ-
ხთა შეერთებით და ამათი ურთიერთობის აწყობით და დაწყო-
ბით.

მაშასადამე, აქ გასარჩევია ორი მომენტი: მიზანი და გზა
ანუ მეთოდი მის მისაღწევათ. რევოლიუციის დროშაზე ეწერა
ორი ლოზუნგი: დემოკრატია და ერთა თვითგამორკვევა. ხოლო
თვითგამორკვევა ნიშნავდა ერის თავისუფლებას და საკუთარი
სახელმწიფოს დაარსების შესაძლებლობას. სხვანაირი თვით-
გამორკვევა ისტორიაში არ იცის. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა
მოითხოვდა შესაფერ მეთოდს, რომ ბოლოს არ მიგვედო მიზ-
ნის საწინააღმდეგო მდგომარეობა და არ დაგმარცხებულიყა-
ვით. ყველა ჩაგრულ ხალხთა და ერთა ერთობა და საერთო
ძალდონით საერთო მიზნის განხორციელება იყო ჩვენი მთა-
ვარი საშუალება. ეს იყო ჩვენთვის უძლიერესი ფარ-ხმალი
იზოლიაციის და დამარცხების წინააღმდეგ ამართული. მაგრამ
ამ ხაზს თანდათან ეცლებიან სხვადასხვა ხალხნი, პირველ ყოვ-

ლისა რუსის ხალხი. რევოლიუცია და დემოკრატია მარცხნიერა
ცენტრში, ბოლშევიკურ და მონარქიულ რეაქციონისტების შემდეგ
ყველა დანარჩენი ერი თავის ძალით და პასუხისმგებლების მიმართ
არავავს თავის თავს სუვერენიულ და დემოკრატიულ ერათ. ჩვენ
ვიკეტებით ამიერ-კავკასიის საზღვრებში და აქ ვაგრძელებთ
ჩვენს ხაზს. და როცა ეს რკალიც სკდება გარეშე ძალის შემო-
სვით, ვიკეტებით ჩვენს საკუთარ საზღვრებში იმ იმედით, რომ
კვლავ გადავიცხებით ჩვენს მეზობლებს და შევქმნით მთლიან
საერთო ხაფარს. ამ ეკლიან გზაზე ქართველი ერი ვიდოდა
მთლიანათ, შეგნებულათ და დაწყობილათ.

რაკი ჩვენ ვერ მივიღეთ ქართველი ერის დამოუკიდებელი
არსებობის შესაძლებლობა შინაგანი, საიმპერიო ძალების აწყო-
ბათ, ვერც კავკასიის ფრონტის შექმნით, ამით მივიჩიხეთ გა-
რეშე იმპერიალისტური ძალებისაკენ და გადავიცხებით მათი ინ-
ტერესების ალალბედს. ჩვენ აქ მოვიპოვებდით მფარველობას
იმდენათ, რამდენათ თავისუფალი საქართველო შევიდოდა მათი
საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში, ე. ი. რამდენათ ეს
მათვის სასარგებლო და საინტერესო გახდებოდა. ყველა, ახლათ
აღორძინებული ერი გაექანა ვეროპისაკენ, ყველამ აქ გაშალა
თავის მუშაობა და დაიწყო ძებნა მფარველის და დახმარების.
ამათ შორის ვიყავით ჩვენც. ე. ი. მიზანი ჩეხება ურყევი, ნაცი-
ონალური თავისუფლება ჩვენს დროშათ, შხოლოდ იცვლება
მეთოდი. კცდილობთ მოვიპოვოთ დამოუკიდებლობის გარანტია
დიდი სახელმწიფოებისაგან და საამისოთ ეწყობა მთელი საგა-
რეო მუშაობა.

ყველა არსებული პატარა სახელმწიფოები არსებობენ რო-
მელიმე დიდი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა შემწეობით,
ე. ი. ყველა ისინი წარმოადგენენ მიუცილებელ ღერძს საერთა-
შორისო წონასწორობისა. ბელგიას და სკანდინავიას უდარა-
ჯებს ინგლისი, შვეიცარიას მის ირგვლივ მდებარე მოქიშპე
დიდი ერები, ბალკანეთს რუსეთი წინეთ, დღეს საფრანგეთი,
არაბეთს ინგლისი, სამხრეთ ამერიკას ჩრდილო ამერიკა (მო-
ნორეს დოქტრინა), ერთი სიტყვით არც ერთი პატარა ერი არ
არის გაშვებული ეულათ, ბაწარწამრობილი, გინდ იყავი და
გინდ არაო. ერი, რომლის თავისუფლება არავის არ ესაჭირო-
ება სხვის უდელშია.

ვერც ერთი პატარა ერი თავს ვერ გაინთავისუფლებს დი-
170

დისაგან მხოლოდ საკუთარი ძალდონით, სუსტის და მძღავრის კანონი მუდამ ძალაშია.

რა გეზით მიიმართა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს მცნობილიობილიტიკა და რა გავლენა იქონია ამან ჩვენს სვე-ბედზე?

ახალ აღორძინებულ ნაციონალურ ერთეულებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს მხოლოდ იმათ, რომელნიც მდებარეობენ რუსეთს და ევროპის შორის. ამის მთავარი მიზეზია არა მათი განსაკუთრებითი ღირსება და უნარიანობა, არა მათი საკუთარი თვისებები, არამედ მათი გეოგრაფიული მდებარეობა და ამიტომ მათ არსებობაში ევროპის დაინტერესება. მას შემდეგ რაც ევროპის ექსპედიცია რუსეთში თეთრი ძალების დასახმარებლათ დამარცხდა და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, აშკარა ხდება ევროპიელთათვის, რომ ბოლშევიზმი რჩება რუსეთის განვითარების აუცილებელ საფეხურათ და საჭიროა მხოლოდ ამ ჭირისაგან დასავლეთის დაზღვევა. ამერიკის ელჩის ცნობილი სიტყვა ვერსალის კონგრესზე «სანიტარული კორდონის» გავლებაზე რუსეთ ევროპის შორის ხდება ამ მიმდინარეობის ოფიციალურ გამოხატულებათ. ბოლშევიკური რუსეთის და ევროპის შორის ბუფერი — სახელმწიფოთა შექმნა შედის ევროპის მსოფლიო პოლიტიკის სისტემაში; ეს ახალი კარანტინი ხდება ამ სისტემის წონასწორობის მიუცილებელ ელემენტათ. ბოლშევიზმი იკეტება აშით თავის სამშობლოში და ის ცხადება რუსულ წყობილებათ.

მაგრამ ამავე დროს გამოჩნდა, რომ ასეთი კარანტინის შექმნაში დაინტერესებულია თვით ბოლშევიკური ხელისუფლება. ის, შეშინებული მუდმივი ინტერვენციით, ცდილობს თავიდან აიცილოს ეს ევროპიული ჭირი სახლვრების შეცვლით. ახალი ნეიტრალური სახელმწიფოების აღორძინებით დასავლეთის გასწვრივ და მით უჩრუნველყოფა ამ მხრით თავისი არსებობის. ყველაფერში დაპირდაპირებული ორი ბანაკი — ევროპა და მოსკოვი — ერთ-მეორის შიშით შეერთდეს ამ ერთ საკითხში და გაავლეს თავიანთ შორის «ნეიტრალური ზონა». მათი უშიშროება ამას მოითხოვდა, მიუხედავად იქ ბინადართა ვინაობისა და მათი წასულისა.

პოლიტიკაში ის მიიღწევაა მკვიდრი და საფუძვლიანი, რომელიც აგებულია ინტერესზე, რეალურ სარგებლობაზე. ყველაფერი ის, რაც კეთდება ინტერესის გარეშე, ხათრით, პრო-

ტექციით, სიმპატიით, წარმავალია, უძირო მცნარეა. დღესაც
ბალტიის პატარა სახელმწიფო ობი წარმოადგენებს მთავარი სა-
ფარს მოსკოვისათვის და ამიტომ ლიტვინოვი ყოველნაირი სა-
შუალებით ცდილობს მათი ხელშეუხებლობა უზრუნველყოს.

ახლა გადავხედოთ კავკასიის მდებარეობას და მის მეზობელ
სახელმწიფოთ. ერთათერთი მეზობელი, რომლის ინტერესში
შედიოდა უკველათ ჩვენი დამოუკიდებლობა — ეს იყო ოსმა-
ლეთი. ეს ოდესმე დიდი სახელმწიფო დღეს პატარათ ქცეული
საკუთარი ძალლონით ვერ დაიფარავს თავის თავს დიდი მო-
საზღვრე რუსეთისაგან. ის ადრე თუ გვიან უნდა გახდეს
მსხვერპლი ამ ვეშაპისა. აქ გაისკვნა ორი მოპირდაპირე ინ-
ტერესი: ოსმალეთის, რუსეთის წინააღმდეგ საფარი — კავკა-
სია, რუსეთის, ახეთი საფარის მოშლა და ოსმალეთთან საერ-
თო საზღვარი. რომ ამით მას ქონდეს მუდმივი შესაძლებლობა
მასზე მოახდინოს პირდაპირი გავლენა. რაკი ისმალეთის გზით
მოსკოვს არ მოელოდა ინტერვენცია, მსგავსათ ევროპის გზისა.
ცხადია მის ანგარისში აღარ შედიოდა ჩვენი ქვეყნის დამო-
უკიდებლობა. არ შედიოდა ეს არც ევროპის «სანიტარული
კორდონის» სფეროში. ვინაიდან ჩვენ დიდათ დაშორებული
ვართ მისგან გეოგრაფიულათ და ამ მხრით მას არ მოელოდა
ბოლშევიზმის საშიშროება. ეს მით უფრო რომ ევროპა იჯდა
კინსტანტინეპოლიში და სრუტეების გზას ფხიზლათ იცავდა,
იქით არ უშვებდა მოსკოვის სენს, ხოლო აქეთ ვისაც ის მოედე-
ბოდა — არ დაგიდევდა. ამნაირათ, ამიერკავკასიის დამოუკი-
დებლობას ითხოვდა ერთათერთი ოსმალეთის (რამდენიმეთ
სპარსეთის) ინტერესი, ძალა ერთობ მცირე და გავლენით სუს-
ტი. მაგრამ ეს მცირე ძალაც, კიდევ უფრო დამცირდა იმ მდგო-
მარებით, რომელშიაც ის მოემწყვდა. მას გადაეკიდა ევროპა,
მის წინააღმდეგ დარაზმეს საბერძნეთი, მის გზებს და დედა-
ქალაქს დაეპატრონენ ევროპიელები და ამით აიძულეს ის ჩრდი-
ლოეთში მონახა დამხმარე და მფარველი. განსაკუთრებით
ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ითამაშა ამ მხრით გადამჭრელი
როლი და ოსმალეთი დაახოქა მოსკოვის წინაშე: მოსკოვის
აგენტი, ლოიდ ჯორჯის პირადი მდივანი, უაზი ერთი მხრით
აახლოვებდა თავის მთავრობას მოსკოვთან, ხოლო მეორე
მხრით ასისიანებდა მას ოსმალეთის წინააღმდეგ; შუღლი ოს-
მალეთს და ევროპის შორის შედიოდა მხოლოდ რუსეთის ან-

გარისში, რომ ამით ის ჩამოეთრია ანტი-ევროპიულ ბლოკში და გაბატონებულიყო კავკასიაში მისივე დახმარებით. ამჟამინდებული დინარეობას ხელს უწყობდა ინგლისის ღიბერალიზმის ტრადიციისთვის ცაული ანტი-ოსმალური პოლიტიკა, რომლის სადაც ლოიდ ჯორჯს ხელთ ეპყრა და ის ეძლეოდა ძველებურ ილიუზიას — რუსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ დარაზმვას. მისთვის მისა-ლები იყო თუნდაც კაციჭამია რუსეთი, თუ კი მას ამ ხახშე აამუშავებდა და მამასადამე ბუფერ-სახელმწიფოს შექმნა ოს-მალეთს და რუსეთს შორის მის ანგარისში არ შედიოდა. სწო-რეთ ამიტომ 1920 წელს შემოდგომაზე ლოიდ ჯორჯი უცხა-დებს კრასინს, რომ ამიერ-კავკასიაში ინგლისი არ არის და-ინტერესებული, როგორც ეს შემდეგ ჩიხერინმა გამოამჟღავნა. მხოლოდ ამ აშკარა ნებართვის მიღების შემდეგ, რუსეთი შე-მოგვესია. ასე დაუგეს მახე ისმალეთს და ისიც შიგ ხელაღებ ჩავარდა. აზერბაიჯანი დაეცა სწორეთ ოსმალთა მეოხებით, ძალდატანებით და რჩევით, იგივე ოსმალები დაესხა საქართ-ველოს ზურგიდან რუსეთის შემოსვლის დროს — ერთი სიტყ-ვათ მიიღო აქტიური მონაწილეობა ამიერ-კავკასიის რესპუბ-ლიკათა დაცემაში.

როგორც ხედავთ, საერთაშორისო ურთიერთობა დასავლე-თით მიიმართა ბალტიკის სასარგებლოთ, ხოლო აღმოსავლე-თით ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა შეიმწყვდა აი ამ ობიექტიურ ჩვენს სამტროთ მომართულ პი-რობებში, რომლის გარღვევა პატარა ერის ძალონოს აღემა-ტება. მას შემდეგ, რაც რევოლიუცია რუსეთში დამარცხდა, მა-შასადამე დაიკარგა იმედი შინაგანი ძალთა ურთიერთობით ერ-თა თავისუფლების და თანამშრომლობის უზრუნველყოფის, ჩვენი კურადღება მიიმართა, რასაკვირველია საგარეო ძალები-საკენ და აქ თავიდანვე შევეჩეხეთ ჩვენს წინაშე ამ აღმართულ კედელს. ოსმალების შემოსევა შევაჩერეთ გერმანელების შემ-წეობით, ერთათ ერთი მაგალითი ომის მსვლელობაში მოკავ-შირეთა ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართვისა; ომის გათავე-ბისას ჩვენ მთელ რუსეთთან ერთათ მოვხვდით გამარჯვებულ-თა ბლოკადაში, ხოლო ინგლისის პრესაში გაიმართა მთელი კამპანია («მორნინგპოსტ», «ტაიმსი» და სხ.) საქართველოს წინააღმდეგ. მათ ისარგებლებს საზღვარგარეთელ ქართველ ავანტიურიასტების ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულობით,

მიაწერეს ის მთელ საქართველოს, გამოგვაცხადეს მოღალა-
ტეთ, ოსმალო-გერმანელთა აგნეტებათ, დაგვაყენეს საურარებელი
რისო მფარველობის გარეშე, მიუხედავათ ჩვენი ცდისა, დადგი
ავანსების მიცემისა ინგლისისათვის, რომელიც ფაქტიურათ
საკითხს სწყვეტდა, მისი პოლიტიკის სისტემაში ვერ შევ-
დით, ჩვენი საკითხით არ დაინტერესდა. ამით აიხსნება იარა-
ღის შესაძნათ დენ. ოდიშელიძის თავმჯდომარეობით გამოგ-
ზავნილი კომისიის დამარცხება და ხელცარიელი დაბრუნება.
მოკავშირეებმა ხელი დაადვეს ყველა იარაღს, სადაც კი ის
ეწყო და აერძალეს ვისმესათვის რაიმე იარაღის მიცემა. სა-
ქართველო იძულებული იყო იარაღის, განსაკუთრებით თოფის,
ნაკლებობის და ბლოკადის გამო, დაკმაყოფილებულიყო მცირე
შეიარაღებული ძალებით.

ასეთ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო ურთი-
ერობაში ჩვენი რესპუბლიკის სამ წელიწადს გაძლება, მის
მიერ შინაური წყობილების ახალ თანამედროვე საფუძველზე
აწყობა, ხოლო გარეთ ყველა იურიდიული უფლების და ცნო-
ბის მოპოვება ჩაითვლება უდიდეს გამარჯვებათ, რაიცა წინეთ
არც ერთ ქართველს აზრშიაც არ მოუკიდოდა. საქართველო
მე-15 საუკუნის შემდეგ პირველათ ახლა გაერთიანდა პოლი-
ტიკურათ, სულიერათ, შექმნა ერთი მთლიანი ნაციონალური
წყობილება, ერთი მთავრობა და მოპოვა დამოუკიდებლობის
ხარტია მტრის და მოყვრისაგან. მისი ყველა სასიცოცხლო ძა-
ლების აღორძინება, შეუჩერებელი დუღილი, მრავალფეროვა-
ნი შემოქმედება და ჰარმონიულათ საერთო მიზნისაკენ მი-
მართვა დარჩება სამუდამო ძეგლათ ქართველი ერის ცხოველ-
მყოფელობის, კულტურის და მოწიფელების. აი ეს ძეგლი არის
ურყევი თავდები მომავალში ჩვენი გამარჯვების და აღვმის.

ამგვარათ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის მთა-
ვარი მიზეზია ჩვენი იზოლიაცია კავკასიაში, აზიაში, ევრო-
პაში. დავრჩით მარტო, ჩვენ წინააღმდეგ მოიმართა ყველა სა-
გარეო ძალები. მაგრამ ეს იზოლიაცია არაფრით არ გავს გა-
სულ საუკუნეთა იზოლიაციას. მაშინ ამას აწარმოებდენ ჩვენი
მეთაურები შეგნებულათ, გაზომილათ, ეს იყო მათი პოლიტიკა.
ახლა კი ის გახდა შედეგი არა ჩვენი მუშაობის და პოლიტიკისა,
არამედ გარეშე ობიექტიურ პირობებისა. ქართველობამ კი პი-
რიქით აწარმოვა პოლიტიკა ერთა სოლიდარობის, საგარეო

კავშირების და მეგობრობის, მსოფლიო პოლიტიკურ სისტე-
მაში შესვლის. ეს ხაზი დაამარცხა გარეშე უძლევალ გურულ ულ-
მოებამ, მაგრამ ამას არ შევხვდით პანიკურათ, არ დაუწიუმტიროთ
მოსკოვს, არ მივეცით ახალი თამასუქები და არ ჩაუვარდით
ძევლებურათ გალთაში. ქართველი ერთ კარგავს თავისუფლე-
ბას ბრძოლით და არა ჩოქვით, ის განაგრძობს ბრძოლას, იარაღს
არ ყრის არც შინ და არც გარეთ, ის არ ურიგდება შექმნილ
მდგომარეობას და ცდილობს მის გარღვევას. მან შეინახა ნა-
ციონალური მორალი, გაუტეხელი ნებისყოფა, წმინდა იდე-
ალი. როგორც კი ობიექტიური პირობები ჩვენს სასარგებლოთ
მობრუნდება, ეს იდეალი ჩორცს შეისხამს და გამარჯვებული
მოგვევლინება...

კავკასიის პოლიტიკური მეცნიერება

ჩვენი გამოცემის ამ ნომერში იბეჭდება კავკასიის კონფედერაციის პაქტი, ხელმოწერილი კავკასიის სამი ერის წარმომადგენლების მიერ.

ეს პაქტი არ არის იმპროვიზაცია, საზღვარ-გარეთ გამო-
გონილი და შეთხული ახალი ამბავი. ის მოდის თვით კავკა-
სიიდან, იქ მობინადრე ერთა მიუცილებელი მოთხოვნილებე-
ბისაგან და საჭიროებისაგან. ცალკე ეროვნულ სახელმწიფოთა
დაარსებას წინ მიუძღვდა ჩვენში მთელი კავკასიის თვითგა-
მორგვევა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსება 1918
წელს. რუსეთის უღლისაგან განთავისუფლება ხდება საერთო
ძალლონით, ერთათ დგომით და ერთათ ბრძოლით. ეს იყო ბუ-
ნებრივი, სტიქიური მოძრაობა კავკასიის ხალხების ერთიმე-
ორისაკენ, ჭირში და ლხინში ერთათ ყოფნისაკენ. ეს ხალხთა
გულიდან ამოხეთქილი ნაკადული ერთა სოლიდარობის შე-
ეხეთქა დადი თმის ნაკადულს, რაიცა წვდია ჩვენს შორეულ
ქვეყანასაც და დამარცხდა. ფედერაცია დაიშალა, თვითეული
ერი იძულებული ხდება თავს უშეელოს ცალ-ცალკე, აარსებს
დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებს, იმ იძედით, რომ
კავკასიური ერთობა კვლავ აღდგება და ერთ მთლიან საფარ-
ველს ქვეშ ძმურათ თავს მოიყრიან დროებით გათიშული ძმები.
ჩვენ წილათ გვხვდა ეს საერთო, საკავკასიო იძედი გამოვ-
ვეთქვა თავიდანვე, იმ დღეს როცა ფედერაცია დაიშალა და სა-
ქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდა. 1918 წ. 26 მაისს სა-
ქართველოს ნაციონალური საბჭოს პირველსავე სხდომაზე ეს
იძედი გამოითქვა ამ სიტყვებით:

«მოქალაქენო, დღეს თქვენ იყავით მოწამე იშვიათი და თან
დრამატულ-ისტორიული აქტის. ამ დარბაზში მოკვდა ერთს
სახელმწიფო და აი ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი
მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელ-

თაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ შეიძლება ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდევობა... საქართველოს ხალხური გაერთიანებული საერთო დრომის ქვეშ, დასდებენ კავშირს იმ ხალხებთან, რომელნიც ცხოვრობენ ჩვენი სახელმწიფოს გარეთ და ამ გზით აღსდგება სახელმწიფოებრივი ერთობა, და აღადგენს ჩვენ თვალწინ დანგრეულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატული კავშირი. ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიიმართება ასეთი კავშირის შექმნისაკენ».

ამ იმედის გამართლება იქ ვერ მოვასწარით; დანაწილებული კავკასია დაიპყრო მტერმა ნაწილ-ნაწილათ. იმედი დარჩა იმედათ, ხალხთა გულში აღგზნებულ ლამპათ და მოელის განხორციელებას მომავალში.

კონფედერაციის პაქტი, როგორც ხედავთ, მოდის კავკასიიდან, მისი დროშა იქ აღიმართა, მისი საყვირი იქ გაისმა, მას შეეწირა მრავალი მსხვერპლი. ჩვენ მხოლოდ მას მივეცით აქ იურიდიული ფორმა, ჩამოვაყალიბეთ მისი სტატუტი, მივეცით წერილობითი ბაზა იმ ბრძოლას თავისუფლებისათვის, რასაც ჩვენს ქვეყანაში ეწევიან ყველა ერთათ, ეროვნების განურჩევლათ. თათარი, ქართველი, სომეხი და მთიელი. ეს ოთხი ხალხი, უსსოვარი დროიდან დასახლებული ერთ ტერიტორიაზე, ერთიმეორის გვერდით. თავისი საარსებო ინტერესებით გადაჯაჭვული იყვენ და არიან ერთიმეორებე: ერთი ვერ წავა წინ, თუ მეორე არ გაიყოლია, ერთი ვერ წაიქცევა, თუ მეორეც თან არ ჩაიყოლია. საქართველოს თავისუფლების დაკარგვას მოყვა მთელი კავკასიის თავისუფლების დაკარგვა მე-19 საუკუნეში; კავკასიის თავისუფლების დაკარგვას მოყვა საქართველოს თავისუფლების დაკარგვაც მეოცე საუკუნეში. ასე იყო მუდამ და ასე დარჩება მომავალშიაც. ან ერთათ თავისუფლებაში, ან ცალ-ცალკე მონობაში, მესამე გზა ისტორიას არ მოუცია. კავკასიის ხალხებს ეს ჭეშმარიტება შეგნებული აქვთ, ისინი იბრძვიან ხელიხელ გაყრილნი ტირანიის წინააღმდეგ. ჩვენი პაქტი მხოლოდ იურიდიული გამოხატულებაა დღევანდელი ბრძოლის და ხვალინდელი გამარჯვების. მის დროშაზე აწერია ერთა, ყველა ერთა, სოლიდარობა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის ნიადაგზე. ის ებრძვის მხოლოდ ძალმომრეობას, უდელს და მტარვალობას. მისი იდეალია მოწინავე კაცობრიობის იდეალი, მისი გზა მიიმართება ისტორიული აუცილებელისაკენ.

ლობის გეზით. ერთ უნდა იყოს თავისუფალი, ამას ჰუწუჭუჭული
რებს ვერავინ.

კავკასია ერთი მოღიანი ტერიტორიალური და ეკონომი-
ური ორგანიზმია; აქეთ არ ძევს გზანი არც ჩრდილოეთის, არც
სამხრეთის; მათი საარხებო გახავალი სხვაგან არიან; აქ ძევს
მხოლოდ ერთი მოკლე გზა — დასავლეთიდან აღმოსავლეთში,
აღმოსავლეთიდან დასავლეთში. კავკასიას შევყავართ შუაგულ
აზიაში, ამ კაცობრიობის და კულტურის უძველეს აკვანში.
ეს გზა დღეს დახშულია, მას განსხის მხოლოდ თავისუფალი
კავკასია; ამ თავისუფლებაში დაინტერესებულია ყველა ერთ,
ყველა სახელმწიფო, რომელიც კი არ არის შეპყრობილი ვიწრო
ნაციონალიზმით და ფართო იმპერიალიზმით. კავკასიის პრობ-
ლემა საკაცობრით პრობლემაა; მისი გადაჭრის ფორმა ერთათ-
ერთია, ეს არის კავკასიის კონფედერაცია.

კავკასიის ერთი დგანან რა პაქტის ნიადაგზე მოუწოდებენ
საბჭოთა კავშირის ყველა ჩაგრულ ერთ და ხალხთ შეერთებუ-
ლი ძალითნით კომუნისტური ტირანიის დასახურევათ და სა-
ერთო თანხმობით ერთა და ხალხთა ცხოვრების და ურთიერ-
თობის ასაგებათ თავისუფლების და კეთილმეზობლობის სა-
უძველესე.

კავკასიის პაქტი არის საუკეთესო ფორმა ამ ურთიერთობის
გახატარებლათ, აღმოსავლეთის პატარა მეზობელ ერთა შესა-
კავშირებლათ და მძლავრ საერთაშორისო ფაქტორათ გადასაქ-
ცევათ. ერთათ დგომით აშენდებიან, ცალ-ცალკე დგომით და-
იქცევიან...

ორი შვეუბნა

ხანგრძლივი დავიდარაბის შემდეგ საბოლაოთ ჩამოყალიბდა ორი ქვეყანა, ერთი დასავლეთი ამერიკანა, მეორე საბჭოთა აშშ-ით ჩინეთიანა. ყველა ამათ გარეთ მდგრმნი ხალხები არის ქანაობაში, ზოგი ერთ მხარეზე მიექანება, ზოგი რჩება ძველ ბოზიციაზე.

ამ ორ ქვეყანას შორის არის ორნაირი განსხვავება — ეკონო-მიური და პოლიტიკური. პირველის ეკონომიკა არის სავსებით ანდუსტრიალური, კაპიტალისტური. მეორის ეკონომიკა არის სავსებით აკრატიული: მთავარი წყარო ცხოვრებისა არის ჰიწათმოქმედება. ხოლო ეს წყარო ზოგან სახელმწიფოს ხელშია, ზოგან კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაშია. დასავლეთი აკებულია თავისუფლების საფუძველზე, აღმოსავლეთი ძალმომრეობაზე. პირველი იძლევა ბრძოლის თავისუფალ კალაპოტს, მეორეში ეს კალაპოტი დახშულია, თავისუფალი ბრძოლა შეუძლებელია. მეფეთა რეჟიმი რუსეთში შესცვალა საბჭოთა ტირანიამ, გაცილებით უფრო მკაცრმა და დაუნდობელმა.

ამ ორნაირ ქვეყანას აერთებს თეორეტიულათ ერთი ყალბი დროშა, აგრარიული ნაწილი იჩემებს და აფრიალებს მარქსიზმს, მოძღვრებას ანტიკაპიტალისტურს, აღმოცენებულს ეპროპის ეკონომიურ საფუძველზე. მას არ აქვს არავითარი კავშირი არც თეორიულათ, არც პოლიტიკურათ აგრარიულ ეკონომიკასთან, აღმოსავლეთის კულტურასთან. მოძრაობის ეს საოცარი გაყალბება ჩაიდინა მოსკოვმა და მას თავს ახვევს მსოფლიოს. დრო არის ეს ყალბი დროშა ჩამოიხსნას, მის მიერ დაფარული სინამდვილე აშკარა გახდეს და დიდ ზოვლენათა რეოლს თავისი სახელი დაერქვას. ხოლო ეს სახელია ერთი, აშკარა და ნათელი — მსოფლიოს ჩამორჩენილ ქვეყნებში ხდება ერთი მხრით აგრარიული რევოლიუცია, მიწების ჩამორთმევა მემამულებისათვის და მისი მოხმარა ხალხისათვის. რუ-

სეთში ეს ჩამორთმეული მამულები გადაეცა არა ხალხს, მაგრა მუშაკთ, არამედ სახელმწიფოს, მთავრობას. ამიტომ ხალხი წინააღმდეგია არსებული ხელისუფლების. ეგევე საკითხი დგას დღეს ჩინეთში, აქვე დაიწყო ძებნა გამოსავალის.

ამ აგრარიულ ქვეყნების თავისებურობას ემატება პოლიტიკური და ნაციონალური ამოცანა. ევროპა კარგა ხანია დაეპატრონა მრავალ ერებს და ქვეყნებს აზიაში და აფრიკაში. ახლა ამათ აღარ სურთ იყვენ სხვისი კოლონია და ამ ნიადაგზე დაწყებულია მოძრაობა, ამას ხელს უწყობენ მოსკოველები, თავისი მეხუთე კოლონის საშუალებით. ეს საკითხი დროს შესაფერათ გადასჭრა მხოლოდ ინგლისმა, ის თავისი ნებით გამოვიდა ინდოეთიდან და მით ძირი გამოუთხარა იქ კომუნიზმის განვითარებას.

ჩინეთის კომუნისტური რევოლიუცია არავითარ კომუნისტურს არ ატარებს. ჩანკაიშეკის მთავრობის უმრავლესობა შედგებოდა მემამულეებისაგან. მცხოვრებთა 85 პროცენტი სოფლელია. ჩაბმული მემამულეთა სამსახურში. სუნტაისენის მიერ დაწყებული რევოლიუცია სრულიად არ შეხებია აგრარულ რეჟიმს, არ მოუსპია ძველი ფეოდალიზმი. აი ამ მდგომარეობით ისარგებლებ მოსკოველებმა, ააჯანცეს ჩინეთის ხალხი და დამარცხეს არსებული მთავრობა. ახლა დაისვა საკითხი მიწების გადანაწილების შესახებ. მთავრობის მეთაური მაო აცხადებს, რომ ის წინააღმდეგია კოლექტივიზაციის, ხელშეუხებელია გლეხთა საკუთრება და სხვ. ე. ი. ის მომხრეა აგრარიული რევოლიუციის ხალხის სასარგებლოთ. ამით ის გამოეყო მოსკოვის ეკონომიკას.

ახეთივე დავაა დღეს ინდოჩინეთის კომუნისტთა შორის: მათი ერთი ნაწილი მოითხოვს წვრილი გლეხობის საკუთრების ხელშეუხებლობას, მდიდარი გლეხობის მიწის კონფისკაცია არ მოხდეს, აგრარიული რეფორმა გამოიხატოს მხოლოთ მემამულეთა ლატიფუნდიების გაუქმებით და მათი ხალხის სასარგებლოთ განაწილებით.

ერთი სიტყვით, მთელ აზიაში დღეს დგას მხოლოდ ერთი საკითხი გადასაჭრელათ — საკითხი აგრარიული; და რაღაცანაც ამის მომხრე პარტია გარდა კომუნისტებისა, არ აღმოჩნდა, ამიტომ მას მოსკოვმა დაარქვა მარქსიზმი, თუმცა მათ შორის არაფერი საერთო არ არის.

ამნაირათ, აზიის გარდაქმნას ევროპის ხაზით, დემოკრატიული ული, ეკონომიური და პოლიტიკური რეფორმებით დღენი მიმდინარება ბოლშევიზმი, კრემლის დიქტატურა და მიიღონ მის რუსეთის ბატონობაში ჩაჭერას. რუსული კომუნიზმი არის გაგრძელება რუსული სოციალური მოძღვრების, რომლის მთავარ მედროშეთ ითვლებოდნენ ნებავი და ტკაჩოვი და რასაც დღეს მოსკოველები ასაღებენ მარქსისტულ სოციალიზმათ, ასეთი გაყალბება ისტორიის და მისი სინამდვილეთ გამოტანა აიხსნება ერთი გარემოებით. სოციალისტური ინტერნაციონალი დავარდნილია. ის მოკლებულია იდეოლოგიას და მოქმედებას, ვერ დაუპირდაპირდა მოსკოვის დესპოტიას, მის ცრუ სოციალიზმს და მით გზა გაუკაფა მსოფლიოს იდეურ და პოლიტიკურ არევ-დარევას. ახლა მოსკოვი ასრულებს ლენინის მთავარ დებულებას – ევროპის კაპიტალიზმის გაუქმება შესაძლებელია აზიის და აფრიკის ხალხთა მისგან განთავისუფლებით. ის სპობს დასავლეთის გავლენას მსოფლიოში და მის აღავს ამყარებს რუსეთის გავლენას. ბოლშევიზმი სხვადასხვა თანამედროვე ტერმინოლოგიით ფარავს თავის ნამდვალ სახეობას და შეპარულათ ახორციელებს მეთვრამეტე საუბრების სლავიანოფილების მოძღვრებას, რომელიც სწერდება ევროპა დალბა, მისი ადგილი უნდა დაიჭიროს რუსეთმათ (ბოლტინი და მისი მიმდევრები). ეს მოძღვრება გაკოტრდა, რუსეთი შედგა ევროპის გზაზე; ახლა ის აღადგინეს სამარიდან ბოლშევიკებმა და შეუდგენ მის განხორციელებას. მაგრამ აზიის კომუნისტები ასე ბრმათ არ მისდევენ მოსკოველებს და მათ შორის იღვიძებს განსხვავება საშინაო პოლიტიკაში. სამაგიერო საგარეო პოლიტიკა საერთო აქცი, მისი ძირია ერთი ხაზი: განთავისუფლება აზიის ევროპის ბატონობისაგან. ამ გზაზე აღმოსავლეთის კომუნისტები ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდან, ერთიმეორეს ებმარებათ. ამ მიმართულებით პირველი დაზი დათმობა გააკეთა ინგლისმა, ის გამოვიდა ინდოეთიდან.

ამნაირათ, აღმოსავლეთი დგას ერთად ნაციონალურ ხაზზე, მოსკოვი ებმარება; დასავლეთი განიცდის რყევას, მოცულია დაუსრულებელი ლაპარაკით და ვერ გადაუდგამს ნაბიჯი აზიის დაახლოვებისაკენ, ვერ ბაძავს ინგლისის მაგალითს. ამ ყოველი მანიბით სარგებლობს მოსკოვი და გამოდის აზიის ხალხების მფარველათ. მისი მიზანია აზია და კოლონიალური ხალხების

გაიხადოს თავის ექსპანსიის გზათ და ხიდათ. ამეამარტინ შეუძლია
შაობს თავის გავლენის გასავრცელებლათ სხვადასხვა არამარტინია
ქვეყნებში: ინდო-ჩინეთში, მაღებიაში, ბირმანიაში, ინდონეზია-
ში, ფილიპინში, ინდოეთში და პაკისტანში. აქედან აპირებს
გადასვლას აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში.

ამ მოსკოვი ხაზის მოშლა და დასავლეთის გავლენის აღ-
დგენა შეიძლება ერთი საშუალებით: ევროპა-ამერიკაშ უნდა
იცნონ აზიის ხალხების ნაციონალური და პოლიტიკური მო-
თხოვნილებაზი, დაეხმაროს მათ ამ მოთხოვნილებათა დასაკმა-
ყოფილებლათ, ხელი გაუწოდონ რუსის და არარუსის ჩაგრულ
ხალხებს საბჭოთა იმპერიისა, გამოვიდენ მსოფლიო სარბიელ-
ზე აშკარა ანტიბოლშევიკური დროშით. ამის პირველი ნაბიჯი
უნდა გადადგას სოციალისტურ ინტერნაციონალმა და ის გახ-
დეს ამ ახალი ბრძოლის იდეიურ მეთაურათ. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში საბჭოთა გამარჯვება ყველა ფრონტზე უცილებელია.
მეცნიერლის დამარცხება შეიძლება მხოლოდ მიზანშეწონილი
ბრძოლით.

ამ ბრძოლის ხაზი ერთნაირია: მსოფლიოს ორათ გაყოფა
დაუშვებელია. აღმოსავლეთის ევროპეიზაცია აუცილებელია.
ამის საშუალება ერთა: ორივე ქვეყნის დამსგავსება პოლიტი-
კურათ, ეკონომიკურათ და ნაციონალურათ. აღმოსავლეთსაც,
მსგავსათ დასავლეთისა, უნდა ქონდეს თავისუფლება, სამრეწ-
ველო განვითარება, დამოუკიდებლობა. დასავლეთის მიერ ასე-
თი დროშის აფრიკალება გარიყავს მოსკოვს და დაანგრევს მის
დიქტატურულ წყობილებას. მაშინ რუსეთიც შემოვა ამ საერ-
თო მსოფლიო შენობაში და კაცობრიობა გამთელდება.

დრო კი არის მველი ბურჟუაზიული ეკონომი, შენ შენთვის
და მე ჩემთვისო, მოიხსნას და მისი აღაგი დაიჭიროს ჰუმა-
ნიზმმა, არა ნაციონალურმა, არამედ საკაცობრიომ, საყოველ-
თაომ. ქვეყანა ერთია, აღამიანი ერთია; მათი ცხოვრებაც სა-
ერთო ხაზის მატარებელი უნდა იყოს.

დამოკრატია

1. აზროვნების პრიზის

თანამედროვე დემოკრატიის კრიზისი უდაო მოვლენაა.

გერმანიის უკანასკნელი ამბები აშკარა მაჩვენებელია ამ კრიზისის გაღმავების, გაფართოვების და მსოფლიო მოვლენათ გადაქცევის.

ამ დიდი კულტურული ერის მიერ თავისივე ძალდაუტანებელი ნება-ხურვილით დემოკრატიული წყობილების დაგმობა და 31 ივნისის და 6 ნოემბერის არჩევნებით ანტიდემოკრატიული იდეოლოგიის ხალხის უმრავლესობის იდეოლოგიათ აღიარება — ღრმა იდეიური გარდატეხის გარეგანი გამოხატულებაა.

შეჭველია, რაღაც პოლიტიკური სენი შეჭრილია საზოგადოების შუაგულში, რაღაც მავნე მიკრობი ღრმათ ღრღნის ხალხის აზროვნებას, მის სულს და გულს. ამ სენისაგან არ არის დაზღვეული არც ერთი ერი, რა გინდ ის დღეს საღათ გამოიყურებოდეს. საკმარისია მის ფარგლებში ამუშავდეს იგივე მიზეზები, დაუდგეს იგივე სოციალური განცდა, რაიცა იწვევს ანტიდემოკრატიული ტალღის გაძლიერებას, რომ აქაც თავი იჩინოს ამავე სენმა და მასას ფართეთ მოედვას.

ომის წინ დასავლეთ ევროპაში არსებობდა მხოლოდ ორი დემოკრატიული სახელმწიფო — შვეიცარია და საფრანგეთი. ომის შემდეგ თითქმის მთელი ევროპა დემოკრატიის საბრძანებელი ხდება, ხალხის სუვერენიტეტი ყოველგან გამარჯვებული რჩება. კაცობრითამ მოიპოვა ის, რისთვისაც ის დიდი ხანდა იბრძოდა; ამით მან ვითომ შიაღწია უშიშარ ნავთსაყუდელს. ხალხთა ეს საერთო აღფრთვებანება ხანძოებელ გამოდგა; დემოკრატია ვერ ამართლებს მასზე დამყარებულ გადაჭარბებულ იმედებს. ის ვერ ერევა ვერც ეკონომიურ კრიზისს, ვერ საერთაშორისო აწეწილ ურთიერთობას. არასოდეს არ ყოფილა

ხალხთა მოურიგებლობა ისე გამწვავებული, როგორიც არის
დღეს, დემოკრატიის მეფობაში. ძველი თქმულება ნალიჩი
ხალხის მტერი არ არისო, თითქოს არ მართლდება.

დემოკრატიის გაბატონება გახდა გაბატონება ეკონომიკური
ქაოსის და საერთაშორისო არევ-დარევის. ეს ობიექტიური
მდგომარეობა მწვავეთ გადატყდა ერის შეგნებაში და ააფორი-
აქა მისი დამშვიდებული სულიერი არსება. დემოკრატიამ ვერ
დაიჭირა პირველი საქვეყნო გამოცდა, ვერ გადალახა პირვე-
ლი დიდი დაბრკოლება, ვერ გამოვიდა გაჭირვების ტალკე-
ხათ, ვერ გასცა შესაფერი პასუხი ისტორიის ახალ ამოცანებს.
ხალხი დაიბნა, ვის მიმართოს, საით ეძიოს გამოსავალი, რა
აზროვნება შეითვისოს, იწყება ყველა ღირებულების გადაფა-
სება, ყველა ძველი სულიერი ძაფების რღვევა და ახალის ძი-
ება. დგება საერთო კულტურული კრიზისი ყველა სფეროში,
ნერვები ყველა ტრადიციების, უდაოთ მიჩნეული აზრების და
გადმოცემების, რაიცა განსაკუთრებულ მწვავეთ თავს იჩენს
პოლიტიკაში. ძველი სულიერი წონასწორობა დარღვეულია,
ახალი არ შექმნილა, ვიმყოფებით კრიზისში, ე. ი. გარდამავალ
ხანაში; საზოგადოების დაშლილი შემაერთობებული სიმები არ
შეცვლილა ახალი კავშირებით. აზროვნება ამ შამათ ამ კავში-
რების ძიებაშია.

ერთი ძირითადი საკითხი, რაიცა უკვე გადაჭრილი გვევო-
ნა, ისევ დაისვა გადასაჭრელათ. ვინ მართავს, სარდან მოდის
ძალაუფლება, ვინ ბრძანებლობს — ეს საკითხები დადგა აზროვ-
ნების ცენტრში და მათ გარეშემო გაჩაღდა პოლიტიკური
ბრძოლა. გამოირკვა ერთი ძველის ძველი დებულების სრული
დამარცხება და მისი აზროვნებისაგან განდევნა. დღეს აღარა-
ვის სწამს ძალაუფლების მოვლინება ზევიდან, ზეციდან თუ მი-
რონცებული პიროვნებისაგან. ეს მონარქიული ტრადიცია
გაქრა. ახლა ამ საჭირო ავტორიტეტს ეძებენ დაბლა, თვით
ხალხში, ეძებენ სხვადასხვა გზით და ფორმით. ამ ძიებაში ნათ-
ლათ სჩანან ძველი ტრადიციის მოტრფიალენი, ძველი მონარ-
ქიული მედროშენი, რომელნიც ცდილობენ წაქცეული ავტო-
რიტეტების აღდგენას ახალი საშუალებით, ხალხის დახმარე-
ბით, ხალხის სანკციის მიღებით. მუსოლინი, პიტლერი, ფონ-
ჰაპენი — ყველა ხალხს მიმართავნ ძალაუფლებისათვის. ყველა
უზურპატორი დღეს ხალხის სახელით ბრძანებლობს.

ხალხის ასე უდაო ავტორიტეტათ გამოცხადება უაჭველია დიდი გამარჯვებაა ძირითადი დემოკრატიული პრინციპის. მაგრამ ხდება ერთი იშვიათი მოვლენა, ეს პრინციპი ვერ პირელობს შესაფერ პოლიტიკურ ჩარჩოს და მიმმართება თავის თავის წინააღმდეგ, მტერთა სასარგებლოთ. ეს აზვირთებული მასები დემოკრატიამ ვერ ჩაიტია თავის კალაპოტში, ვერ მოუყარა თავი, ვერ უწინამდგრა, ვერ ააცილა ეკლიან გზებს. ხალხი ეძებს გამოსავალს დემოკრატიის გარეშე. ხალხი უჯანვდება დემოკრატიას გაჭირების დროს, მას ემორჩილება და მისდევს დალხინებაში. გამოიდის რომ დემოკრატია ჩინებულია ნორმალურ მდგომარეობაში, კლასთა ბრძოლის ჩვეულებრივ, უმტკივნეულოთ მიმდინარეობის ხანაში. მაგრამ როგორც კა ეს მდგომარეობა იწყევა, ბრძოლა მწვავდება, სოციალური რეჟიმის საკითხი დგება, აი ამ დიადი განცდის დროს დემოკრატია აღარ სჩანს თავის პოსტზე, თავს ვერ ართმევს გართულებულ ცხოვრებას და ხალხის ფართე წრეებს მტერთა ბანაკისა-კენ მიერეცება.

თვით დემოკრატიის ლაშქარში თავის პოსტის მიტოვება ხდება პირველ ყოვლისა მისი ბურჟუაზიული გუნდის მიერ. და ეს არც გასაკვირალია, არც მოულოდნელი. ბურჟუაზიისა-თვის დემოკრატია მუდამ იყო და არის თავზე მოხვეული წყობილება, ისტორიული აუცილებლობა, რასაც ის ძალაუნიბურად ურიგდება. ხალხის სუვერენიტეტი არ არის მისი კლასიური დოქტრინა, და მას მუდამ ებრძოდა. დამარცხებულმა სახე იძრუნა და შეეცადა გამარჯვებული პრინციპის თავის ბატონობის იარაღათ გამოსაყენებლათ. მაშასადამე, მისგან ყოველთვის, პოლიტიკური გარდატეხის და გაჭირვების დროს, მოსალოდნელია უკან დახევა. ახალი გარემოებით სარგებლობა თავისი პოლიტიკური იდეოლოგიის გასამარჯვებლათ, ხალხის სუვერენობას მაგიერ თავისი სუვერენობის აღსადგენათ.

ბურჟუაზიის ამ უკანდახევაში მოხდა ერთი საოცარი ამ-ბავი, დაქანებულმა ტალღამ გაიტაცა ნამდვილი დემოკრატიული წრეებიც, გაიყოლა მასები, ხოლო თავის პოსტზე დარჩენილთა შორის შეიტანა იდეური რყევა, უილაპობა, უენერგი-ობა, ერთი ადგილის ბეკნა.

დემოკრატიის რიგები ერთი მეორეზე აიშალა – ბურჟუაზია-ს მიყვა მის უკან მდგომი წვრილი ბურჟუაზია, უკანასკნელს –

პროლეტარიატი. შეიძება რა ასე ფართოთ და ღრმათ მოქლე
ფრონტი, დია კარებში შემოგრიალდა ანტიდემუნიციული
ტალღები სხვა და სხვა ფერის და ღირსების მუჟჭურატეჭულუ
იდეიური მსოფლმხედველობით და პოლიტიკური ლოზუნებით.
ბურჯუაზიული დემოკრატია მომხთურთა წინაშე იარაღს ყრის,
სახალხო დემოკრატია შეშინდა, დანაწილდა და ბრძოლის უნა-
რი შეუსუსტდა. მიჩვეული ბრძოლას და შეტევას კლასიური
მტრის წინააღმდეგ, ის იბნევა თავისივე კლასიური მასის შე-
მოტევის წინაშე და არ იცის რით და როგორ მას დაუპირდა-
პირდეს. იდეიური კრიზისი ხდება პოლიტიკურ კრიზისათ, რის
დასაფარავათ და გასამართლებლათ ითხება ახალ-ახალი თვ-
ორიები.

კრიზისია, მაშასადამე, არა ბურჯუაზიის აზროვნებაში, არა-
მედ სახალხო დემოკრატიის მსოფლმხედველობაში. ეს კრიზი-
სი ნიშნავს არა უიდეობას, არამედ საკუთარი იდეოლოგიური
გზიდან გადახვევას, მოპირდაპირე კლასების იდეოლოგიისაკენ
გადაქანებას, განვლილი, დაძლეული იდეიური ეტაპისაკენ დაბ-
რუნებას. ამ გზაზე დემოკრატიული აზროვნება მიადგა ერთ
ძველ დებულებას და ის გაიხადა თავის სახელმძღვანე-
ლოთ. ადამიანის მოქმედების იდეიური მომენტი აღიარებუ-
ლია გადამჭრელ მომენტათ პოლიტიკური შენობის ასაგებათ და
დასამავრებლათ. ლიბერალების პოლიტიკური დოქტრინა – აზ-
რის მართველობა – გამოცხადებულია რეალურ ძალათ, სათა-
ვეთ, საიდანაც თურმე გამომდინარეობს პოლიტიკური და საზო-
გადოებრივი ურთიერთობა. ერთი სიტყვით, შეგნება საზღვრავს
მდგომარეობას და არა მდგომარეობა, რეალური ძალათ განწყო-
ბილება, შეგნებას. ამ იდეოლოგიის კლასიკური გამოხატულე-
ბაა გერმანიის ნოემბრის რევოლუცია, როცა ყველა რეალური
ძალა დემოკრატიის მტერთ შერჩა, ხოლო ცარიელი დემოკრა-
ტიული შეგნება (ვეიმარის კონსტიტუცია) ხალხს. და ჩვენ ვხე-
დავთ დღეს ამის შედეგებს: კარგი აზრი, ჰაერში გამოკიდებუ-
ლი, გლახათ მარცხდება, გლახა აზრი, რეალურ ძალაზე დაყრ-
დნობილი, კარგად იმარჯვებს. ეგვე პოლიტიკური რაციონა-
ლიზმი მძვინვარებს დემოკრატიის მთელ მიმდინარე პოლიტიკაში,
რომლის მთავარი არეოპაგია უქნევა. კაცობრიობას ათასი
წელიწადი არ ულაპარავია პოლიტიკაზე იმდენი, რამდენიც მან
ამ უკანასკნელ ათ წელიწადს ილაპარაკა და ჯერ კიდევ არ გა-

უთავებია. შედეგი? ტეირთი ადგილიდან არ იძერება. დემოკრატიას დღესაც ისე სჯერა საყვირით იერიხონის კედლების არჩევულია, როგორათაც მას სჯეროდა, მარქსის მოწმობით, ამ თხოვთცა წლის წინეთ (18 ბრიუმერი). ერთი მხრით დგას ეს კარგათ მოლაპარაკე ხალხი კეთილი სურვილებით დატვირთული, მეორე მხრით კარგათ მოსაქმე ხალხი, უფრაზოთ, უსიტყვით შეთქმულნი საზოგადოების უკან დასაბრუნებლათ და ახალი ფორმით ძველი შინაარსის აღსაღევნათ. ისტორიამ დღეს საზოგადოებას დაუსვა ძალთა განწყობილების საკითხი, გამოსვლა არსებულ ჩიხიდან უკან დაბრუნებით თუ წინ გაქანებით. დემოკრატია მას უპასუხებს ფრაზების განწყობილებით, უნევის თავის შექცევით, გერმანიის აკადემიური დავით, მრავალი ჩიხებული რევოლიუციებით. დემოკრატიული და სოციალისტური რადიკალიზმი ნელდება, დემაგოგიური და რეაქციონური რადიკალიზმი ძლიერდება.

დაჩიხული საზოგადოება, რომელიც გამოსავალს ვერ მიაწებს, იღუპება. ყველა ძველი საზოგადოება ასე დაიღუპა. დღევანდელი საზოგადოებაც ეძებს გამოსავალს დღევანდელი ჩიხიდან. ამ გზაზე სოციალისტური თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ ერთი ხაზის აღება, ერთი გამოსავალის ჩვენება. ეს არის სახალხო დემოკრატიის მთლიანობის აღდგენა, მისი დაპწეული წევების თავის მოყრა და ერთ ძლიერ ფრონტათ გადაქცევა. ეს კი შესაძლებელია საღი დემოკრატიული მსოფლმხედველობის დროშით, გახრილი დემოკრატიული ხაზის გამოსწორებით.

2. დემოკრატიის პირითადი არისციავი

ხალხი სოციოლოგიური ცნებაა, დემოკრატია — პოლიტიკური.

ხალხის გადაქცევა თვითმართველ საზოგადოებათ ანუ დემოკრატიათ შესაძლებელია მხოლოდ ამ სოციოლოგიური ერთეულის ბაზაზე, მის მიუცილებელ, ბუნებრივათ ბოძებულ, გარდაუვალ სოციალურ თვისებებზე. ამ ერთეულის ცენტრალური ფიგურაა ადამიანი, მისი ინტერესები, მისი მოთხოვნილებები, მისი საარხებო საშუალებები, მისი წარსული, აწყვი და მომავალი. მაშასადამე, ცხოვრების მთელი დაწყობილება,

საზოგადოების მთელი ურთიერთობა უნდა ემსახურებოდეს ამ ადამიანს და მის მოთხოვნილებათ. მსაჯული ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის; მხოლოდ მას შეუძლია გაწორო მოს ამ დაწყებულებათა სიავკარგე, მათი მიზანშეწონილობა და დანიშნულება.

რაკი ადამიანია საზომი ყველა სოციალური მოვლენის, ნივთის და იდეის, ცხადია ამით აღიარებულია ისიც, რომ ის არის თავისთავის პატრონი და ბატონი, თავის მოქმედების მომფიქრებელი, ხელმძღვანელი და გამტარებელი, თავისი კერძო თუ საერთო საქმეების ამწყობი და გამძლოლი. ეს მის არსებასთან შეკავშირებული, განუყორელი თვისებაა, ეს ასე ვთქვათ, ბუნებრივი მოვლენაა.

მაშასადამე, დემოკრატიის ძირითადი პრინციპია: ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურათ თავის კერძო, საოჯახო საქმეებში, სუვერენია კოლექტიურათ, სხვასთან ერთათ, საერთო, საზოგადო საქმეებში.

ყველა ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა, რაგინდ დიდი განსხვავება იყოს მათ შორის, შეერთებული არიან აი ამ ძირითადი პრინციპის უარისყოფაში. ისინი არ სცნობენ ადამიანის ამ ბუნებრივ უფლებებს და აღიარებენ აუცილებლობას ერთი ადამიანის პატრონობის და მართველობის, მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ, მეორის მიერ, არის ეს უკანასკნელი გვირგვინოსანი, ფეოდალი, ბატონი თუ რჩეული პირი თუ პირები. ყველა ეს მიმართულება შეადგენს ერთ ბანაკს, დგანან ერთ საერთო პრინციპიალურ ხაზზე და დავა აქვთ ერთმანერთს შორის მხოლოდ კონკურენციის ნიადაგზედ, ებრძვიან ერთიმერეს მეტოქის თავიდან მოსაშორებლათ და მარტოთ თავისთავის გასაბატონებლათ.

მონის მფლობელი არ სცნობდა მონის არავითარ უფლებას, ყმის ბატონი სცნობდა ყმის ზოგ საოჯახო უფლებას. ბურუაზია აღიარებს პროლეტართა სუვერენობას მათ კერძო საქმეებში, უარს ყოფს მათ სუვერენობას პოლიტიკურ საქმეებში; ფაშისტი, ბოლშევიკი და მათი მიმყოლი დაჯგუფებანი აღიარებენ მხოლოდ თავის თავის ბატონობას ერზე და ერში. ერთი სიტყვით, იცვლება ბატონობის ხარისხი და ფორმა, იცვლება ბატონის ვინაობა, ხოლო არ იცვლება ბატონობა, პრინციპი სხვისი მართველობისა რჩება. ამ ხაზზე რაიმე კომპრომისი,

რაიმეს დათმობა, როგორც მაგალითათ ანტიდემოკრატიული სოციალიზმის აღიარება, ნიშნავს დემოკრატიის უძლეველი ჰიცის შენგრევას, აზროვნების არევას და მოპირდაპირება იდეოლოგიისაკნ დაქანებას. საკმარისია ამ მოწინააღმდეგეთა ერთი დებულება იცნოთ, რომ მოხდეს იდეოლოგიის გათიშვა ადამიანისაგან, მისი საზოგადოების მაღლა დაყენება, რომლის წინაშე ხალხი ვაღდებულია დაიჩოქოს, მას ემსახუროს და თავისი საარსებო ინტერესები მის სამსხვერპლოზე მიიტანოს. იდეალის ადამიანზე მაღლა დაყენება, დევ ხალხი დაიღუპოს, ოღონდ ჭეშმარიტებამ გაიძარჯვოსო — დამახასიათებელი თვისებაა ყველა სექტის, წინასწარმეტყველის და მხსნელის. ნათქვამია, საქმარისია ეშმაკს ცალი თითო გაუწოდოთ, რომ მთლათ დაგიპყროსო: ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი საკმარია ამ «მხსნელებისაკენ» რომ სამუდამოო მათი ტყვე გახდეთ.

ამნაირათ, პოლიტიკაში პირისპირ დგას მხოლოდ ორი ძირითადი პრინციპი, გამომდინარე ორგვარი შეხედულობისაგან კაციობრიობაზე. ამათ შორის არის გამართული საისტორიო ბრძოლა, ბრძოლა მუდმივი, შეუჩერებელი. ეს ორი ბანაკია, რომელთა შორის ხიდი ჩატეხილია. თვითეულ ბანაკში არის აზრთა სხვადასხვაობა და დავა უდაოთ მიჩნეულ ძირითადი პრინციპის პოლიტიკურათ ამუშავების და ჩამოყალიბების გარეშემო. ასეთივე დავა დემოკრატიის ბანაკში, აქ იწყება ამათ შორის აზრთა განსხვავება.

ადამიანის თავის თავის ბატონობის აღიარება ნიშნავს მის-თვის მინიჭებას თავისუფლების ამ ბატონობის ასამუშავებლათ და საქმეში გამოსაჩენათ. მაშასადამე, დემოკრატიის ძირითადი პოლიტიკური პრინციპია თავისუფლება, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური. მაგრამ თავისუფლების ტენდენციაა შექმნას მოქალაქეთა ნივთიერი უთანასწორობა, გააბატონოს ეკონომიკურათ ერთი მეორეზე, დარიბი გააღარიბოს, მდიდარი გაამდიდროს. ასეთ პირობაში ხალხი აღარ არის დაინტერესებული დემოკრატიის შენახვასა და დაცვაში და მისი სუვერენობა ეცემა. თავისუფლება სპონს დემოკრატიას. ცხადია, დემოკრატიის მიუცილებელი საფუძველია არა ყოველნაირი თავისუფლება, არა-მედ თავისუფლება განსაზღვრული, რომლის ასპარეზი იფარგლება მოქალაქის და საზოგადოების ინტერესებით. ეს საზღვარია მოქალაქეთა ეკონომიკური თანასწორობა, პიროვნების

ნივთიერი დამოუკიდებლობა, რომლის ჩარჩოში აღამიანი ფაფი-
სუფლათ მოქმედებს. დემოკრატიის პრინციპია თაჭრულება¹⁾ და
თანასწორობა. აქედან მძიმე პრობლემა: ამ ორი პრინციპით
შეთავება პოლიტიკაში ისე, რომ მათ ერთმეორე არ მოხპონ
და მით დემოკრატია არ დაანგრიონ. თუ თავისუფლების ტენ-
დენციაა თანასწორობის დანგრევა, თავის მხრით თანასწორო-
ბის ტენდენციაა თავისუფლების მოხპონა ან მისი მინიმუმამდე
დავვანა და მთელის, საზოგადოების და მისი მართველობის, მო-
ქალაქების გაბატონება. დემოკრატიის ძირითადი პრინციპი
იღაბება, დემოკრატია ეცემა. კერძო და საზოგადო ინტერესების
შეთანხმება, მაშასადამე, არის საგანი ყველა დემოკრატი-
ული უფლებრივი ნორმის. ეს ასე ესმოდათ ძველათ დემოკრა-
ტიის ყველა კანონმდებელთ და მის საფუძველზე აშენებდენ
ხალხურ წყობილებას.

პრიმიტიული დემოკრატია, როგორც უკლასო, შინაგან სო-
ციალურ ბრძოლას მოკლებული, ამ პრობლემას სჭრიდა თავის-
თავათ, ბუნებრივათ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა წერი-
ლობით საბუთმა ასეთი დემოკრატიისა, საიდანაც ნათლათ სჩანს
მისი სოციალური აგებულება. ეს საბუთია დაბადება, მოსეს
ხუთი წიგნი, რომელშიაც თავმოყრილია ებრაელთა დემოკრა-
ტიის ძირითადი კანონები. ამ საზოგადოებაში ბატონობდა მაღ-
და ღმერთი, დაბლა ხალხი, თემებათ დაყოფილი. თემი ირჩევს
თავის მეთაურო, საკითხები წყდება თემის ყრილობაზე. სიმ-
დიდიდრის მთავარი წეარო მიწა დაყოფილია თემთა შორის, თემ-
ში ოჯახთა შორის. ეს თანასწორ ადამიანთა პირველი სახელმ-
წიფო წყობილება აგებულია შესაფერ სოციალურ კანონმდებ-
ლობაზე. ათი ცცნება უკრძალავს ებრაელს «ისურუოს ცოლი
მოყვასისა»*) მისისა, სახლი მოვებისისა მისისა, ნუცა მიწისა
მისისა, ნუცა ხარისა მისისა, ნუცა ვირისა მისისა, ნუცა ქო-
ნებისა მისისა». ღმერთი უებნება მოსეს: «მიწის სამუდამოო
გაყიდვა არ შეიძლება, რამეთუ მიწა ჩემია, თქვენ კი მოსულნი
და დაბინავებული ხართ ჩემსას. თუ ძმა შენი გაღარიბდა და
გაყიდა თავისი მიწა, მივიდეს მისი უახლოვესი ნათესავი და
გამოიყიდოს იგი. და თუ ასეთი ნათესავი არ აღმოჩნდა, იუბი-
ლეის წელს მიწა მუქთათ დაუბრუნდეს გამყიდველს». ხოლო

*) მოვების თანამემამულე, ებრაელი.

ასეთი ყველას გამათანასწორებელი იუბილეი იმართებოდა 50 წელში ერთხელ. ამ კანონს ექვემდებარებოდა სოფლის შეწყვეტულები ბიც. აკრძალული იყო ებრაელის დამონება ან დაყმობა ჰყაულის გალის გასასტუმრებლით ასეთ ზომას მიმართავდა, პატრონი ვალდებული იყო მეშვიდე წელს მას ან ყმათ შესული უსასყიდლოთ გაენთავისუფლებია და თან მისი ნამუშევრის ერთი ნაწილი გაეტანებია*).

ამავე სოციალურ გენს მისდევდა კლასიკური დემოკრატია. მონტესკიო სწერს:

«ძველ რესპუბლიკათა დამაარსებელნი თანასწორათ ყოფლენ მიწას. ამით ხალხი ძლიერდებოდა და მით კარგათ მოწესრიგებული საზოგადოება დგებოდა. ეს ქმნიდა ძლიერ მხედრობასაც, ვინაიდან თვითეულ მოქალაქეს ქონდა თანასწორი ინტერესი და დიდი ინტერესიც დაეცვა სამშობლო»**). როგორც კი ასეთ საზოგადოებაში მიწის მობილიზაცია გაძლიერდებოდა და უმატებო ხალხი მრავლდებოდა, დემოკრატიის გრძასარჩენათ ხდებოდა მიწის რეფორმები, დარღვეული მიწათმფლობელობის წინასწორობის აღდგენა (სოლონი, ლიკურგი და სხ.).

ამნაირათ, დემოკრატიის პოლიტიკური პრინციპია თავისუფლება, სოციალური პრინციპია – თანასწორობა; ამათ შორის გამართულია მუდმივი შედლი და ბრძოლა. დემოკრატიაში რაც უფრო მეტი გავლენა აქვს შეძლებულთ, მით უფრო მეტია თავისუფლება და ნაკლები თანასწორობა; და პირიქით, რაც მეტი გავლენა აქვთ დარიბ ხალხს, მით უფრო მეტია თანასწორობა და ნაკლები თავისუფლება. პირველი მდგომარეობა ქმნის გარდამავალ საფეხურს ოლიგარქიისაკენ, მონარქიისაკენ და სხვ., მეორე კი ტირანიისაკენ: ყველა ტირანი ხალხისაგან გამოვიდა, დემაგოგით გაბატონდა. ორივე ამ მდგომარეობას გზას უჭრის თავისუფლების და თანასწორობის შეხამებულათ შეთვისება და მკვიდრი პოლიტიკური წესებით დამაგრება. ამ წესების შემუშავება და შენახვა შეუძლია მხოლოდ დემოკრატიას. ე. ი. დემოკრატიის არსებობა მათი არსებობის წინასწარი პირობაა. ჯერ დემოკრატია, შემდეგ თავისუფლება და თანასწორობა. მაშასადამე, დემოკრატიის დამახასიათებელი ატრიბუტი ეს ორი დებულება არ არის.

*) მოსეს კანონები, თავი 3, 5, 14, 15; ლევათის წიგნი თავი 25.

**) რომაელთა აღორძინება და დაცემა.

და მართლაც, თავისუფლება შეიძლება იყოს დემოკრატიის გარეშეც. ლიბერალების რეჟიმი თავისუფლების რეზემის უსაკუთრივ კვეთა თანასწორობა. დესპოტიაში ყველა თანასწორი იყო უსაკუთრივ ბობით; საბჭოთა ქვეყანაში მთელი ხალხი ყოველ მხრივ გათანაბრებულია. სიღატაკეში და მორჩილებაში. ცხადია, მხოლოდ თვით დემოკრატიის მიერ დამყარებული თავისუფლება და თანასწორობა შეიძლება იყოს ხალხური, დიდი უმრავლესობის ინტერესების და აზრების გამომხატველი. ხოლო დემოკრატია არსებობს იქ, სადაც თვითეული მოქალაქე არის ერთ და იმავე დროს სუვერენი და ქვეშვრდომი, ბრძანებელი და ბრძანების ამსრულებელი. ის, როგორც სუვერენი, კანონმდებელია, აღმასრულებელია, მოსამართლეა; როგორც ქვეშვრდომი — კანონის მორჩილია, განჩინების და სასჯელის მიმღებია. სადაც ასეთი წყობილება არსებობს, იქ თავისუფლების და თანასწორობის საკითხი ღებულობს ხალხურ ხასიათს. აქ თავისუფლება არ ნიშნავს მოქალაქის უფლებას — აკეთოს რაც მოეპრიანება. არც თანასწორობა ნიშნავს მოქალაქის ქონებრივი უფლების აყრას და ძალით, მექანიკურად, მათ გათანაბრებას. ეს იქნებოდა არა დემოკრატიზმი, არამედ ბოლშევიზმი. ანტიდემოკრატიულ ქვეყანაში თავისუფლების შეკვეცა წარმოებს მუდამ ხალხის საწინააღმდეგოთ, დემოკრატიაში კი — ხალხის სასარგებლოთ. დემოკრატიული ათინის კანონმდებლობით აკრძალული იყო თავსდასხმა ორ უზენაესობაზე: მაღლა ღმერთზე და დაბლა დემოკრატიულ წყობილებაზე.

მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ხალხის სუვერენობის გადასარჩენათ და უზრუნველსაყოფათ დემოკრატიის არსებითი პოლიტიკაა. დემოკრატიის მიუცილებელი ატრიბუტი თავისუფლებაა, მარა არა იმდენი რომ მან შესჭამოს მშობელი დედა.

დემოკრატიაში ყველა პიროვნებას უნდა ქონდეს თავისუფალი გასაქანი დაიცვას თავისი მრავალფეროვანი ინტერესები, აწარმოვოს თავისი საქმეები თავის შეხედულობისამებრ, მაგრამ ეს გასაქანი არ უნდა შორდებოდეს იმ საზღვარს, რომლის იქით იწყება პოლიტიკური საზოგადოების დანგრევა კერძო პირთა მიერ. მიუღებელია მოშლა მთელის მიერ კერძოსი, კერძოს მიერ მთელის. ამათ შორის საზღვარის გავლება და დაცვა არის საგანი დემოკრატიის ორგანოების.



მოქალაქე არის საზოგადო საქმეებში სუვერენი, მაგრამ არა ინდივიდუალურათ, მის-მისდა, არამედ სხვა მოქალაქეებთან ერთათ, როგორც წევრი მთელი საზოგადოების. ის ახორციელებს თავის სუვერენობას კოლექტიურათ, ქვეშევრდომობას ინდივიდუალურათ. მაშასადამე, დემოკრატიის მთავარი ორგანოა მოქალაქეთა მთელი კრებული, სუვერენია ადამიანთა კოლექტივი. ეს კოლექტივი არის სხვადასხვა სახის, ზომის და დანიშნულების. ის ყოველგან, სოფელში, ქალაქში თუ სახელმწიფოში, ერთი და იმავე პრინციპის მატარებელია — განავონ თვითონ თავისი საქმეები.

ხალხი და ერთი ერთმანეთს არ ფარავენ. ერთი არის კრებული ყველა კლასთა და წრეთა, ხალხი კი კრებული ერთი მეორის მსგავსი კლასების და წრეების ადამიანებისა. ეს მსგავსება არ არის ერთიგივეობა, თანაბრობა, ნივთიერი და სულიერი თანასწორობა. ცდა მისი ამ გზაზე გადაყვანის, ხალხის ერთფეროვან ერთეულათ გარდაქმნის სავსებით ეწინააღმდეგება დემოკრატიის ძირითად დებულებას, ადამიანის ცნობას ისე როგორც ის ბუნებრივათ ბოძებულია და საზოგადოებრივათ განვითარებულია. საბოლაოთ, ერში არის ორი კლასი: დიდი შეძლების და პატარა შეძლების, რომელთა შორის სოციალური ხაზი ღრმათ გავლებულია, ორ ბანაკათ ჩამოყალიბებულია. დემოკრატია ერში ნიშნავს ხალხის, ე. ი. პატარა შეძლების კლასების პოლიკურ ბატონობას; არა-დემოკრატია, რა სახისაც უნდა იყოს ის, ნიშნავს დიდი შეძლების კლასების, ე. ი. ხალხზე მაღლა მდგომი წრეების პოლიტიკურათ ბატონობას. ამ საერთო კანონს ვერ აშორდა საბჭოთა წყობილებაც, სადაც პარტია — სუვერენია აღჭურვილია დანარჩენ მცხოვრებთან შედარებით ყველა ქონებრივი, პრივალეგიებით. უმცირესობას არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება თუ ის ქონებრივათ დამოკიდებულია უმრავლესობაზე. თუ ხალხი სტიქიურათ მიიღოტვის დემოკრატიისაკენ, შეძლებული და პრივალეგიური წრეები ასეთივე სტიქიურათ მიიღოტვიან ანტიდემოკრატიული წყობილებისაკენ. ამათი ამ ბრძოლაში დამარცხება, მათი დემოკრატიაში ჩაჭერა მათთვის დიდი უბედურობაა და ცდილობები პირველ შემთხვევისთანავე მას თავი დააღწიოს, ძველი პრივალეგიური მდგომა-

რეობა აღიდვინონ. მათი მთავარი პოლიტიკური მოწერებშემდებული ბაა დემოკრატიაში თავისუფლება, რაც შეიძლება წეტილური სუფლება, რომ ამით ეკონომიკურათ და პოლიტიკურათ ხალხი დასჯაბნონ და მისი ბატონობა დაანგრიონ. დემოკრატიის ორგანოების საგანია თავისთავი დაიცვას მათ თავდასხმისაგან, ე. ი. ალაგმოს მათი თავისუფლება ხალხის სასარგებლოთ. რაკი დემოკრატიის მთავარი ორგანო ხალხი – სუვერენი, მას თავისი უზენაესობის გამოხატვა შეუძლია მხოლოდ ერთი გზით – რიცხვით, უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

ძალაუფლების სათავეა უმრავლესობა. ვინაიდან ძალაუფლება არის ერთი, მთლიანი, განუყოფელი მართველობა, ცხადია მისი ჩამორიგება, სხვადასხვა მოპირდაპირე ჯგუფებისათვის დანაწილება ნიშნავს მის დამბლას, დაუძლეურებას. დესპოტიაში მართველობის დამბლა ხალხის სასარგებლოა, დემოკრატიაში კი სახარალო. ძალაუფლება ვერ ამუშავდება სხვადასხვა ერთიმეორის მოპირდაპირე ხაზზე. ის ავია თუ კარგია, ერთ პრინციპს, მთლიან უფლებას წარმოადგენს. როცა ხალხი – სუვერენი ჩაეყნებულია ისეთ მდგომარეობაში რომ ის არ იძლევა გარკვეულ უმრავლესობას, მისი აზრი და სურვილი ნაწილდება მრავალ სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის, რომელთაგან არც ერთი არ ხატავს სუვერენის ხებისყოფას. ცხადია ამ ნიადაგზე აგებული მართველობა უძლური და უნებისყოფო იქნება. ამატომ პროპორციონალური საარჩევნო სისტემა, ხელისუფლების პროპორციონალურათ დარიგება ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს და ინტერესებს. ის ჩინებულია აზრის გამოსარგვევათ, მაგ., პარტიაში და მის მიხედვით შინაგანი კომპრომისის დამყარება. მაგრამ კომპრომისი მებრძოლ კლასთა შორის, ხელისუფლების სფეროში, დაუშვებელია. რა სჯობია: გლახა უმრავლესობის მართველობა თუ მისი პარალიზი? დემოკრატიაში უეჭველია უპირატესობა ეკუთვნის პირველს; აქ დემოკრატიის სათავე, მისი მთავარი ორგანო – ხალხის სუვერენობა – შენახულია და თუ ის დღე კონკრეტულ პოლიტიკაში ცდება, ხვალ გამოსწორდება. მეორე შემთხვევაში კი იშლება თვით დედა-ბოძი, ხალხი გულს იცრუებს თვით დემოკრატიაზე, მის შესაძლებლობაზე და უმზადებს ნიადაგს თავის მტრებს. დემოკრატია იღუპება. ამის მაგალითია გერმანია. პროპორციაში შექმნა დუხშირი საპარლამენტო კოალიცია, კოალი-

ციამ პოლიტიკური უძლურება, უძლურებამ ანტიდემოკრატი-
ული უმრავლესობის შეყვნება, უკანასკნელმა ბრიუნინგის წილი მუნიციპალიტეტის
ტატიურა, პარლამენტის აღავს თრდონანსები და ასე დაბლა-
დაბლა ჩამოხირება ფონ პაპენამდე. დემოკრატიის თრგანოა მო-
ქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება
არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი; ერთ ადგილზე ტკეპნა,
გაურკვევლობა და უთავბოლობა გამორიცხულია. მსაჯული
და რეგულიატორია ხალხი.

აქ ისმება ერთი მძიმე საკითხი: როგორ შეიძლება დემოკ-
რატიის დაცვა თვით ხალხის – სუვერენის თავსდასხმისაგან.
გათიშვა დემოკრატიის და ხალხის ხშირათ მომხდარა და ხდე-
ბა დღესაც, ჩვენ თვალწინ. ხალხის ბუნებრივი, სტიქიური დე-
მოკრატია თავისთავათ არ ფარავს პოლიტიკურ დემოკრატიას,
მის წყობილებას და სისტემას. სტიქიური დემოკრატია საფუძ-
ვლია შესაფერი უფლებრივი ზედშენობის. მათი გარღვევა
ხდება ყოველთვის როცა მათ შორის არ არის დაცული მჭიდ-
რო კავშირი. ე. ი. მათი შეუსაბამო ურთიერთობა, ხალხურ სა-
ფუძველზე არახალხური პოლიტიკური შენობის აგება არღ-
ვებს დემოკრატიას. პოლიტიკური დემოკრატიის დაშორება
ხალხის რეალურ ინტერესებისაგან, მის საარსებო პირობები-
საგან და მისი გადაქცევა იარაღათ ხალხის მტრებისა – დემოკ-
რატიის დანგრევის წინამორბედია. მის მაღამოთ წამოყენე-
ბულია იდეური მომენტი, ვითომ სტიქიური და პოლიტიკური
დემოკრატიის გადაჯაჭვა შეიძლებოდეს პროპაგანდა-აგიტაცი-
ოთ, პარტიული ორგანიზაციებით და დისციპლინით. რასაკვირ-
ველია, ეს ყველაფერი საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ გა-
დაქროლი ფაქტორი ის არ არის. ვინაიდან ხალხის შეგნება
და აზროვნება დამოკიდებულია მის მდგომარეობაზე, მთავარია,
მაშასადამე, აზროვნების დამაგრება მდგომარეობის შეცვლით.
დემოკრატია, რომელიც არ ახდენს მუდმივათ, შეუჩერებლათ
ამ ცვლილებას ხალხის სასარგებლოთ, განწირულია, ვერავი-
თარი ქადაგება მას ვერ უშველის. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას,
რომ ხალხის ბუნებრივ დემოკრატობამ ვერ იძოვა თავისი შე-
საფერი პოლიტიკური გამოხატულება.

დემოკრატიის მთავარი ორგანოა, როგორც ვოქვით, ხალ-
ხი – სუვერენი. მისი ამუშავება ხდება შესაფერ ფორმებში.
ეს ფორმები დამოკიდებულია ერის გულტურულ, ისტორიულ

და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ეს უკანასკნელი უცვლებელობა
თი ქვეყნიდან მეორემდე, ყველა ხალხი თავისებურობის უკუცემები
ცხოვრების გზას. მისი კონსტიტუცია უნდა ეკუებოლეს აი ამ
გზას, მის სოციალურ სტრუქტურას, მის წარსულს და აწყოს.
მონარქიული ტრადიციების ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევა
პლებისციტური გზით არ შეეფერება დემოკრატიის ინტერე-
სებს, ეს უკვე ჩანასახია მონარქიზმის და ბონაპარტიზმის.
თვით პროცესი არჩევისა არ ქმნის დემოკრატიას; საჭიროა
ამ არჩევის ჩამოსხმა ისეთ ფორმებში, რომ ის არ გახდეს ან-
ტიდემოკრატიული ხელისუფლების კვარცხლბეკი. იმ ფორმე-
ბის დაუცველობა ბადებს ამ საოცარ მოვლენას, რომ ჰინდუ-
ბურგი სრულიად განხონიერათ აუქმებს დღეს დემოკრატიას.
გერმანიის დემოკრატიული კონსტიტუცია გაუდენთილია მო-
ნარქისტული სულით, ის არ შეეფერება ერის კონკრეტულ პო-
ლიტიკურ მდგომარეობას.

რაც უფრო ხალხის სუვერენობა იხატება სახალხო ფორ-
მებში, რაც უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ამ
სუვერენობის განხორციელება, რაც უფრო უშუალოთ იღებს
ის მონაწილეობას კანონის გამოცემაში, ასრულებაში და სა-
მართალში, მით უფრო დაახლოვებულია პოლიტიკური დემოკ-
რატია სტიქიურ დემოკრატიასთან, მით ნაკლები ზღვდებია
მათ შორის. კონკრეტიულათ რომ ვთქვათ, დღევანდელ დემოკ-
რატიულ ერთა შორის, ყველაზე მეტი სუვერენია შვეიცარიის
ხალხი, ყველაზე ნაკლები საფრანგეთის. ეს აისხნება იმ გარე-
მოებით, რომ შვეიცარიის დემოკრატია განვითარდა მისი პრი-
მიტიული დემოკრატიისაგან და გამოიყოლია მისი დადებითი
თვისებები; საფრანგეთის კი აღორძინდა ბურგუაზიული ლი-
ბერალიზმისაგან და თან გამოიყოლია მისი ყველა უარყოფათი
მხარეები. იქ დემოკრატიას და ხალხს შორის მცირე მანძი-
ლია, აქ კი გრძელი ხიდია, ხალხისაგან ისე დაშორებულია,
რომ ამას წინეთ ვიღაც ავანტიურისტ ბულანეემ კინაღამ და-
ანგრია. დემოკრატია მკვიდრია იმდენათ, რამდენათ ხალხს და
ხელისუფლებას შორის ნაკლები საფეხურია. ცხადია, დემოკ-
რატიის საფრთხე მოდის არა ხალხისაგან, არამედ ხალხის და
დემოკრატიის უფლებრივათ დაშორებისაგან არახალხური
პოლიტიკური წყობილებისაგან.

პოლიტიკური დემოკრატიის დაყვანა ბუნებრივ დემოკრატი-

ამდე, მათ შორის გზის შემოკლება, იძლევა მთავარ უფლებულებების გარანტიას ხალხის სუვერენობისას. ძველ დემოკრატიაშე მცხოვრილია იყო დაცული სავსებით, მხოლოდ ის იფარგლებოდა მცხოვრებთა უმცირესობით; დიდი უმრავლესობა, პოლიტიკურ უფლებას მოკლებული, აღარ იყო დაინტერესებული დემოკრატიის შენახვაში და ამით ხელს უწყობდა მის დაქცევას. დღეს ეს ნაკლი აცილებულია, მაგრამ მისი ღირსება უარყოფილია, რაც ბოლოს და ბოლოს იმავე შედეგს იძლევა – ხალხის გულგრილობას დემოკრატიის სკებედისადმი. თანამედროვე დემოკრატიის წარმომადგენლობითი ფორმა დღეს აუცილებელია. მაგრამ ის არ არის არც იდეალური, არც სამიღდღემჩიო. წარმომადგენლობითი სისტემა ღვიძლი შვიძლია ბურჟუაზიული პერიოდის და გათავდება ამ პერიოდის გათავებასთან ერთათ. სოციალისტური პოლიტიკური საზოგადოება უკველია იქნება კრებული პატარა ოვითმართველი ერთეულების, სადაც მთელი ერის დელეგაცია შეიყრება მხოლოდ ზოგი საერთო საკითხების მოსაგვარებლათ, დაახლოვებით იმ ფორმის და სახის, რომელიც გამოიმუშავა საფრანგეთის კომუნამ 1871 წ. მაშასა-დამე, წარმომადგენლობითი სისტემა ბურჟუაზიის გამოგონებაა, ხოლო დემოკრატიის საქმეა მისი შეკეთება და მისთვის თანდათან ხალხური ფორმის მიცემა.

ეველა დემოკრატია ძველათ ემსახურებოდა ხალხის – სუვერენის ინტერესებს და ებრძოდა შეძლებულთა ბატონობას. უკანასკნელი მიზანს აღწევდენ არა დემოკრატიის ფარგლებში, არამედ მისი დაქცევით და მის აღავას ოლიგარხიის ან ტირანიის შემოღებით. აյ მუდამ იყო დაპირდაპირებული ორი ბანაკი: ხალხის და მდიდრების. უკანასკნელთა კლასმა ვრასოდეს ვერ შესძლო დემოკრატია ხანგრძლივათ თავის ინტერესების ორგანოთ გაეხადა, თავის სამსახურში ჩაეყენებია. ოლიგარხიული დემოკრატია დიდ სიბრივეთ და შეუძლებლათ იყო ცნობილი. აა ეს პოლიტიკური სეკურეტი აღმოჩინა ბურჟუაზიამ, მან პირველათ გახადა დემოკრატია შეძლებულთა ძლიერების გზათ და ხიდათ. იშვა ბურჟუაზიული დემოკრატია. ამ მსოფლიო მოვლენამ დაასვა. წაუშლელი დაღი თანამედროვე დემოკრატიას, აუბნია გზა-კვალი ხალხის სუვერენობას, მისცა მას ანტიხალხური ფორმები.

ხალხის სუვერენიტეტის საქებით ხალხის გარეშე¹ მდგრადი² კლასების სასარგებლოთ ამუშავება ჩვენი დროის³ მოვლენაა. ამიტომ დემოკრატიის ძირითადი პრინციპები პოულობენ თავის პოლიტიკურ გამოხატულებას ამ გაბატონებულ კლასების იურიდიულ ფორმებში. ერის უმრავლესობის ფორმალური ბატონობა ხდება უმცირესობის ფაქტიურ ბატონობათ; და რაღ-განაც ამ უმცირესობას დღეს ეწოდება ბურჟუაზია – დემოკრატიაც ხდება ბურჟუაზიული. ის, მსგავსათ ოლიგარხიული დე-მოკრატიისა, თან ატარებს შინაგან შეურიგებლობას. დემოკ-რატია ან უნდა იყოს ხალხური ან სრულებით არ უნდა იყოს. ნამდვილათ კი ის არის და არც არის, ხალხი ერთდაიმავე დროს ბატონობს და არც ბატონობს, პოლიტიკური ფორმა და სოციალური შინაარსი ერთმანეთის მუდმივ წინააღმდეგობაშია. ერის სათავანიდან მომდინარეობს წმინდა წყალი, მაგრამ შემ-დეგ გზადაგზა ის იმდვრევა და ბოლოს სავსებით წუმპე ხდება. აი ამ ამდვრევას, ხალხის ინტერესების გამრუდებას, წაშ-ლას და მის ალაგას შეძლებულთა ინტერესების წამოყენებას ემსახურება მთელი თანამედროვე ფორმები დემოკრატიული წყობილებისა. და რაც უფრო გასაკვირალია, ეს ფორმები არ იწვევენ უკმაყოფილებას, ბრძოლას, სხვა ფორმების დაპირდაპირებას. პირიქით, ისინი უდაოთ მიღებულია დამორჩილებულა კლასების მიერ და მხოლოდ ცდილობენ მათ თავის სასარ-გებლოთ გამოყენებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზიამ დაი-მორჩილა არა-ბურჟუაზიული კლასები იდეოლოგიურათ და მი-აღებია თავისი კონცეპცია დემოკრატიაზე; მან დაიმორჩილა პირველ ყოვლისა წვრილი ბურჟუაზია და შეიტანა. არევ-და-რევა პროლეტარიატში.

დღევანდელი დემოკრატიული მსოფლმხედველობა მოდის ბურჟუაზიდან და ეფინება მთელ საზოგადოებას. მის ეკონო-მიურ და პოლიტიკურ ბატონობას ერთვის იდეოლოგიური ბატონობა. კლასიკურ დემოკრატიაში ხშირად ხდებოდა ისეთი ძი-რითადი რეფორმები, რომელიც არყევდა შეძლებულთა ნივთი-ერ უპირატესობას. თანამედროვე დემოკრატიაში არ მომხდარა არასოდეს ისეთი რეფორმა, რომელიც არყევდეს ბურჟუ-

აზის უპირატესობას. მისი ბრძანებლობა სრული, ყოველ-
მხრივია.

დემოკრატიის დედა-ბოძი — ხალხის სუვერენიტეტი მართვის სამაგიურო
ხედეს არ ყოფილი ბურჟუაზიის მოძღვრება. სამაგიუროთ მე-
ორე მისი ატრიბუტი — თავისუფლება მუდამ ეწერა ბურჟუაზიი-
ს დროშაზე. ამ დროშის ქვეშ ებრძოდა ის საუკუნეთა განმავ-
ლობაში ფეოდალებს, მეფეთა თვითმპურობელობას და გამოვი-
და გამარჯვებული დიდი რევოლუციის საშვალებით. დამფუძ-
ნებელი კრება გახდა თარაღი მისი პოლიტიკური და იდეური
გამარჯვების. აქ გაიშალა ფართე მასშტაბით მისი მიმართუ-
ლება: სრული თავისუფლება ეკონომიკურ სფეროში (Laisser
fair), თავისუფლება საზღვარ დადებული ცენზიანი კონსტიტუ-
ციით პოლიტიკურ სფეროში — აი მისი დროშა; თავისუფლე-
ბის ამ ოლიგარხოულ კონცეპციის თავიდანგე დაუპირდაპირდა
მისა ხალხური გაგება. ჯერ კიდევ რევოლუციამდე რუსო სწერ-
და თანასწორობაზე:

«რაც შეეხება სიმდიდრეს, არც ერთი მოქალაქე არ უნდა
იყოს იმდენათ მდიდარი რომ შეეძლოს სხვისი შეყიდვა და
არავინ ისე დარიბი, რომ იმულებული იყოს სხვას მიეყიდოს»).

ეს შეხედულება დაუპირდაპირა რობესპიერმა დამფუძნებელ
კრებაში ბურჟუაზიის ლიბერალურ პრინციპებს. მან 5 აპრი-
ლის კრებაზე (1791 წ.) განაცხადა:

«შემდების ნამეტანი უთანასწორობა არის მიზეზი პოლი-
ტიკური უთანასწორობის და თავისუფლების მოსპობის. კანონი
მუდამ უნდა ცდალობდეს შეამციროს ეს უთანასწორობა, რა-
იცა ზოგისათვის არის იარაღი სიამაგინის, ვნებების და ხშირად
დარაშაულობის. დიდი სიმდიდრე რყვნის მის პატრონს და მის
შემშერეთ... მაშ, თქვენ არაფერი არ გაგიკეთებიათ საზოგადო-
ების ბედნიერებისათვის თუ კველა თქვენი კანონები, კველა
თქვენი დაწესებულებები არ მუშაობენ შემდების ამ ნამეტანი
უთანასწორობის წინააღმდეგ». როი დევემბრის სხდომაზე ის
შეებრძოლა ვაჭრობის თავისუფლების თეორიას.

«უპირველესი სოციალური კანონია ის, რომელიც უზრუნ-
ველყოფს საზოგადოების თვითთეული წევრის საარსებო საშვა-
ლებებს, კველა სხვა კანონი ამას ექვემდებარება. საკუთრება

მიღწეულებოდა და ამ კანონის გასამაგრებლათ... გადასაჭრელია ძალი-
თაღი პოლიცია: უზრუნველეყოს საზოგადოების უფრომუშავ
წევრს მიწის ნაყოფის მოხმარა, რაც მიუცილებელია მისთვის. მას გვი-
ბობისათვის, მესაკუთრეს ანუ მიწის მუშაქს ფასი მისი ნამუ-
შიერის, ხოლო რაც ამას გადარჩება გადაეცეს თავისუფალ
ვაჭრობას. მე ვსპობ არა ვაჭრობას, არამედ მონოპოლიის ფაჩა-
ლობას. მე მათ ვსჯი იმით, რომ ვაიძულებ დაანებონ ცხოვრე-
ბა თავისავე მოძმეთ... კანონმდებელი ადამიანთ უდიდეს სამსა-
ხურს გაუწევს იმით, რომ აიძულებს მათ იყვნენ პატიოსანია.

ერთი სიტყვით, ბურუუაზიულ ლიბერალიზმს თავიდანვე
ებრძოდა სახალხო დემოკრატიული იდეოლოგია და ითხოვდა
თავისუფლების დაყენებას თანასწორობის სამსახურში. იაკო-
ბინელების შინაური პოლიტიკა ამ დოქტრინიაზე იყო აგებული.
მათი დამარცხება გზას უკაფავს ბურუუაზიის დროშას. მაგრამ
ნაპალეონის დიქტატურა ამ გზას ახშობს და საზოგადოებაზე
აბატონებს ხმალს. შხოლოდ ლუი ფილიპეს ეპოქა ქმნის ბურ-
უუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ტრიუმფს, რასაც ბო-
ლოს უდებს თებერვლის რევოლიუცია. თავისუფლების ორ-
გვარი გაგება აქაც ერთმანეთს ეჯახება, იწყება ცდა შრომის
ორგანიზაციისა, რაც თავდება ინისის აჯანყებით. მაგრამ ბურ-
უუაზიის გამარჯვება ხანმოკლე ჩნდება, ნაპალეონ III იმორ-
ჩილებს კველა კლასს თანასწორათ. 1871 წ. მეორდება იგივე
ორი მიმდინარეობის შეჯახება. გამარჯვებულ ბურუუაზიის
ეპირდაპირება კომუნა, თავისი საკუთარი სოციალური და პო-
ლიტიკური კონცეპციით.

კველა დემოკრატიული კლასები და მათი იდეოლოგები ამ
ხანგრძლივ ისტორიულ ბრძოლაში დარწმუნებული იყვნენ, რომ
დემოკრატიული წყობილება ნიშნავს შეძლებულ კლასების ბა-
ტონობის დაცემას და ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ
უაღრესობას. დემოკრატია ყოველგან და ყოველთვის ეპირდა-
პირება ლიბერალიზმს, დემოკრატიის ბატონობა ბურუუაზიის
ბატონობას. დაბოლოს, მოხდა მოულოდნელი ამბავი: ერთ და
იმავე დროს იმარჯვებს ბურუუაზიაც და დემოკრატიაც! ბურ-
უუაზია დემოკრატდება, დემოკრატია ბურუუაზდება. რანაირათ?
ან ბურუუაზიას უნდა დაეკარგა თავისი კლასიური ხასიათი, ან
დემოკრატიას თავისი ხალხური შინაარსი. სხვანაირათ ამ ორი
მოწინააღმდეგე მიმდინარეობის შედუღება შეუძლებელი იქნე-

ბოდა. მოხდა, რასაკვირველია, მეორე პროცესი. დემოკრატიამ მიიღო ბურჟუაზიული ფორმა და შინაარსი. ხალხი გაირიყა; დემოკრატია მისთვის მოწინააღმდეგე ბანაკიდან აღმოცენტუ-
ლი მცენარეა, რასაც მასთან არ აქვს ორგანიული კავშირი.

ამნაირათ, დემოკრატიის გამარჯვება ყოველგან ხდება მისი ხალხური სულისკვეთების დაკარგვით და ბურჟუაზიულის მი-
ღებით. ამიტომ ბურჟუაზია დემოკრატიას დალატობს მაშინვე, როგორც კი ეს უკანასკნელი დებულობს ხალხურ შინაარსს და, მაშასადამე, მას თავისი ბატონობის იარაღათ არ აღგება. გერ-
მანიის ბურჟუაზია სწორედ ამ ზიზქით გადაუდგა დემოკრა-
ტიულ რესპუბლიკას, სადაც პროლეტარულ დემოკრატიამ და-
იპყრო რამდენიმე პოზიცია და ცდილობდა ბურჟუაზიულ რეს-
პუბლიკას სახალხო რესპუბლიკათ გადაქცევას. მისი პოლიტი-
კური ზომიერება, წარმოებული ბურჟუაზიის დემოკრატიასთან
შესარიგებლათ და მით ვეიმარის რევიმის გასამაგრებლათ, გა-
თავდა დამარცხებით. დემოკრატია შეიძლება იყოს ან ბურჟუ-
აზიული ან ხალხური, შუათანა გზა გამორიცხულია. მაშასადა-
მე, გერმანიის დემოკრატიის საბოლოოთ დამკვიდრება შეიძ-
ლებოდა არა ზომიერებით, არამედ რადიკალიზმით, რევოლი-
უციის ხანაში რევოლიუციური გზით სახალხო რესპუბლიკის
დამყარებით. საზოგადოთ, დემოკრატიული წყობილების შემო-
ლება და დამაგრება უფრო ადვილია ჩამორჩენილ, აგრარიულ
ქვეყანაში, ვინემ სამრეწველოში. იქ საკმარისია მიწათმფლო-
ბელთა კლასის დარღვევა, რომ ხალხმა დემოკრატიაში ამო-
ფოს თავი. აქ საჭიროა მთელი თანამედროვე სოციალური ურ-
თიერთობის შერყევა, სხვილი ბურჟუაზიის დაშლა, მთავარი
ეკონომიური დარგების ხალხის საკუთრებათ გამოცხადება,
მთელი ეკონომიური ეკოლიუციის ახალ რელსებზე გადაყვანა,
რომ დემოკრატია საბოლოოთ დამაგრდეს. ეს იქნება დემოკრა-
ტია ხალხური, ძლიერი, შეურყეველი.

ერის დაწერილი კონსტიტუცია აღბეჭდავს მის დაუწერელ,
მატერიალურ კონსტიტუციას. მათ შორის აღორძინებული შე-
უსაბამობა იხსნება უკანასკნელის გამარჯვებით პირველზე. ნივ-
თიერი საფუძველი ითხოვს მის შესაფერ პოლიტიკურ ზედშე-
ნობას. ისტორიის მოტყუება სიტყვიერებით, პროპაგანდა აგი-
ტაციით შეუძლებელია.

ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასიკური ქვეყანაა საფრან-

გეთი. ვ. ი. აქ მოხდა ყველაზე უფრო დაშორება დემოკრატია-ისა ხალხისაგან და ბურჟუაზიისა თავისი კლასიური პოლიტიკური დოქტრინისაგან. გამოჩენდა რომ ეს საშიშარი დემოკრატია არც ისე საშიშარი ყოფილა გაბატონებულთათვის, რომ-ლის მოთვინიერება, მოშინაურება, ყველა რევოლუციური და ხალხური კბილების ამოგლევა და საღონებში გამოსაჩენათ ახალი ფერ-უმარილის შეცხება შესაძლებელია. აი ამ პირფა-რეშის როლი იტვირთა წვრილბურჟუაზიამ. ის დაემორჩილა რა ბურჟუაზიულ სოციალურ იდეოლოგიას, დაიმორჩილა ის პოლიტიკურათ. მან შესძლო უკანასკნელი 40-50 წ. განმავლო-ბაში საფრანგეთის სოფელში შეერყია კლერიკალური, ბონა-პარტიისტული და მონარქიული ტრადიცია, გმოყევვანა გლეხი სამოქალაქო ასპარეზზე, განეშორებია ეკლესია სახელმწიფოსა-გან, აემუშავებია მოქალაქეთა თავისუფლების დასაცავათ და გასატარებლათ პოლიციის აპარატები, მიეცა მუნიციპალიტე-ტებისათვის დამოუკიდებლობა და ასპარეზი – საერთოთ იმუ-შავა პოლიტიკური უფლებების ხალხისთვის შესარჩენათ და გასაფაროთოვებლათ. სამაგიეროთ სოციალურ ასპარეზზე ის ვერ გაშორდა ბურჟუაზიის მოძღვრებას. ამ სფეროში მთელი მისი იდეოლოგია იხატება უორესის უკვდავი დახასიათებით: კაპი-ტალიზმას ბატონობა მათრასს ქვეშ. ხოლო ამ ძირითად დე-ბულებას თავისი ლოდიკა აქვს; კაპიტალიზმის ელდორადო გახდა სწორეთ მესამე რესპუბლიკა. თავისთავად ცხადია, რომ ამ წყობილებაში ფრთა გაშლილი და აღორძინებული გაბატო-ნებული კლასი იქნება რესპუბლიკის და დემოკრატიის მომხრე, სანამ... სანამ ეს დემოკრატია მას ემსახურება რასაკვირველია: გერმანიის შინაგანი მდგომარეობა აქ ჯერ არ დამდგარა.

წვრილ ბურჟუაზიულ რადიკალიზმს ერთი დიდი სამსახუ-რი მიუძღვის – მან გაბეჭნა გზა სოციალური დემოკრატიისათ-ვის. მას უკან მისდევს პროლეტარიატის ლაშქარი და მის მიერ დაპყრობილ რაიონებს იპყრობს. ეს ერთი პოლიტიკური რეო-ლია: კონსერვატიულ ბურჟუაზიას ამარცხებს რადიკალური, რადიკალურს პროლეტარიატი. რადიკალიზმი მომწევდებულია ორ გრდემდს შორის, მას ურტყამენ მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ იმყოფება განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარე-ობაში; ორივე მოწინააღმდეგე ეპყრობა ლმობირათ, ურტყამენ რბალათ, ისე რომ მართლა არ წაიქცეს და ორი უკიდურესი

ბანაკი არ დარჩეს პირისპირ, უშუალოთ. ამიტომ ხალხი სუ-
ვერები, რომელსაც 4 წელში ერთხელ ეკითხებიან პოლიტიკური უკუკი
აზრს, ვეღარც გი არჩევს რა განსხვავება ყველა ამ დემოკრატიული მო-
დელის მიერ განვითარებას არიგებს ხან მარჯვნივ, ხან ცენტრ-
ში, ხოლო ცოტაოდენ ნამცეცებს გადაისვრის მარცხნივაც. და-
იწყო პოლიტიკური წაჯეპ-უკუკექობა, კონსერვატიული ბურ-
უაზის მართველობას მოსდევს რადიკალური მართველობა,
უკან. სკნელს ისევ პირველი და ასე ერთი მეორეს სცვლიან პე-
რიოდულათ. ხოლო ინგლისში, ბელგიაში და სკანდინავიის
ქვეყნებში ამ პარლამენტარულ თამაშში შევიდა პროლეტარუ-
ლი დემოკრატიაც. ხდება უკანასკნელის ჩატყუება ბურუაზი-
ული მართველობის სისტემაში, მისთვის, მსგავსათ რადიკალე-
ბისა, ამოგლეჯა ხალხური კბილების და «რიგიან» საზოგადო-
ებათ გადანათვლა. ხალხი ვეღარ არჩევს მათ შორის დიდ განს-
ხვავებას და აქეთ-იქით ეხეთქება; წაჯეპ-უკუკექობა გრძელ-
დება მთელი ერის მასშტაბით. ბურუაზიული დემოკრატია გა-
კოტრებულია. ეს დღეს ისე თვალსაჩინოა, რომ ყველა მიმართუ-
ლება ეძებს ახალ გამოსავალს, ამდენხანს არსებული პოლიტი-
კური გეზის გადატეხას და საზოგადოების ახალ რელსებზე შე-
ეკენებას. და თუ ამას თავის დროზე პროლეტარული დემოკრატია
ვერ მოახდენს, მემარჯვენენი მას დაასწრებენ და ამ გადატეხას
მოახდენენ ისტორიის ჩარხის უკან დასაქანებლად.

5. პროლეტარული დემოკრატია

ხალხის ნაწილთა შორის ყველაზე უფრო დემოკრატიული
ნაწილია პროლეტარიატი. მათ შორის საერთოა მათი სოციალუ-
რი მდგომარეობა, ყველა ერთად საგანია შეძლებულთა ექს-
პლუატაციის, საწველი ფურია მსხვილი ბურუაზიის და მის
ამყოლ-დამყოლთა. მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა: ყვე-
ლა ისინი იძულებული არიან თავი ირჩინონ პირადი შრომით.
მაგრამ გლეხის და წვრილი ბურუაზიის შრომა წარმოებს ინ-
დივიდუალურად, ცალ-ცალკე, ერთი მეორეზე დამოუკიდებლათ,
ხოლო პროლეტარიატის შრომა კი მიმდინარეობს სხვებთან
ერთათ, თავის კლასიური ამხანაგების გვერდით და მათთან სა-
ერთო ფერხულში. ის ამ რეალიდან ვერ გამოვარდება შრომის
პროცესში, ვერ გამოვარდება ვერც ბრძოლის პროცესში. მაშა-

სადამე, მისი სტიქია, მისი საარხებო კალაპოტი, რომლის გა-
დალახვა მას არ ძალუქს, არის კლასიური, საზოგადოებრივი თვით
მებრძოლი და თვით მართველი. პროლეტარიატის დემოკრატიული
მოკრატიზმი დაყრდნობილია არა ერთ, არამედ ორ თვისებაზე
სიღარიბეზე და შრომის პროცესზე. დემოკრატიზმი მისი თან-
დაყოლილი, განუშორებელი სოციალური ბუნებაა. ამ ბუდიდან
მისი ამოვარდნა, ინდივიდუალურათ თუ კოლექტიურათ, არ შე-
იძლება არ გათავდეს მისი განმარტოებით და სასტიკი დამარ-
ცხებით. ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა მუშათა კლასში
თუნდაც ის ამ კლასის დროშით გამოდიოდეს, არის ღრმათ ან-
ტიპროლეტარული, ანტიკლასიური მიმდინარეობა, რომლის
ობიექტიური შედეგია ამ კლასის დაქსაქსვა, მთლიანი მოძრა-
ობის მოსპობა, და ასე დაუძლურებული — მტრის ადვილ დასა-
მარცხებლათ გადაქცევა. ბოლშევიზმი პროლეტარიატს უნგ-
რევს თვით საფუძველს, უჭრის იმ ხეს, რომელზედაც ის ზის,
ართმევს იმ ერთათერთ მჭრელ იარაღს, რომლითაც ის თავს
იცავს და მტერს უტევს. ამაზე უფრო დიდი მტერი პროლეტა-
რიატს თავის წიაღში არასოდეს არ ყოლია.

დემოკრატიზმი პროლეტარიატის სოციალური ბუნებაა. ის
მისგან განუყრელია. პროლეტარული დემოკრატია უფრო ფარ-
თეა, ვინემ სოციალისტური დემოკრატია. პირველი ხატავს მუ-
შათა კლასის მთელ აქტივობას თავის ფარგალში, ერში, საერ-
თაშორისო ასპარეზზე, ხოლო მეორე ხატავს მისი აქტივობის
ერთ მხარეს — პოლიტიკურ-პარლამენტარულ ბრძოლას. ამ მე-
ორე შემთხვევაში ის მხარში უდგას სხვა დემოკრატიულ კლა-
სებს, რომელთა შორის განსხვავება მცირდება, თუ სულ არ
იშლება; პირველ შემთხვევაში კი ის რჩება სავსებით განსხ-
ვავებულ, სხვა კლასებიდან გამოყოფილ სოციალურ ერთე-
ულათ თავისი საკუთარი სავალი გზით და ბრძოლის მეთოდე-
ბით. მისი კლასიური დროშა გამომდინარეობს მისი მდგომა-
რეობიდან წარმოებაში. ის იძულებულია იყოს მუდმივ დაპირ-
დაპირებაში მის პატრონ-კლასთან და მასთან ფეხდაფეხ ბრძო-
ლით გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა. მისი ანტიბურჟუ-
აზიული მიღრეკილება ისეთივე გარდაუვალია, როგორც მისი
დემოკრატიული სულისკვეთება. ე. ი. მისთვის დემოკრატიული
სტიქიურათ ნიშნავს ანტიბურჟუაზიულს. ბურჟუაზიული დე-
მოკრატია მისთვის ბუნებრივათ მიუღებელია.

რაკი პროლეტარიატი იძულებულია თავისი მდგომარეობით
აწარმოვოს გამანთავისუფლებელი ბრძოლა ბურჟუაზიის ბა-
ტონობისაგან, ცხადია, მას ეს არ შეუძლია აწარმოვოს წაყოლის
ფიქრათ ისეთი დროშით, რომელიც მიუღებელია სხვა დემოკ-
რატიული კლასებისათვის. მისი სოციალური მიზანი ისეთივე
დემოკრატული უნდა იყოს, როგორიც არის მისი პოლიტიკუ-
რი მიზანი, ხალხური დემოკრატია, ხალხური ეკონომია. ამ
ეკონომიის ძირითადი პრობლემაა კაპიტალი, კაპიტალისტური
ურთიერთობის სწორათ შეფასება და გაგება.

არის ორნაირი შეხედულება კაპიტალზე: კულგალური, ბურ-
ჟუაზიული ეკონომისტების და მეცნიერული ანუ მარქსისტული.

პირველი გაგებით, კაპიტალია ყოველნაირი საწარმოვო სა-
შუალებები, ფაბრიკა, ბანკი, სახელოსნო, ღუქანი, მიწა, მანქა-
ნა, ოთხფეხი პირუტყვით და სხ. მაშასადამე, კაპიტალისტია ყვე-
ლა, დაწყებული ფაბრიკანტით და გათავებული გლეხით. ბოლ-
შევიკებმა დაიჯერეს ეს და დაუდვეს ის საფუძვლათ თავის სო-
ციალიზმს. მოახდინეს ექსპროპრიაცია როგორც შეძლებული
კლასების, ისე მთელი ხალხის ქონების და ასე «მოსპეს» გა-
პიტალი, ე. ი. გაძარცვეს მთელი ხალხი და მის ქონებას თვა-
თონ დაეპატრონენ.

მეორე გაგებით «კაპიტალია არა პერსონალური, არამედ
სოციალური ძალა», ის «კოლექტიური ნაყოფია; მისი მოხმა-
რა შეიძლება მხოლოდ მრავალ ინდივიდთა ძალონის შეერ-
თებით, საბოლოოთ, ყველა ინდივიდთა, მთელი საზოგადოების
ძალონით». (კომ. მან.).

კაპიტალის წყაროა მთელი საზოგადოების ეკონომიური აქ-
ტიობა, მისი ეკონომიური თაოსნობა, ენერგია და შრომა, რის
შედევია და მატერიალური გამოხატულებაა სხვადასხვა საწარ-
მოვო საშუალებები და დაწყობილობა. ეს მთელი ერის ეკონო-
მიური საქმიანობა ხდება კაპიტალათ იმდენათ რამდენათ მისი
ნაყოფი გროვდება კერძო პირთა, კაპიტალისტების ხელში, და
რის საშუალებით წარმოებს ექსპლუატაცია მუშას და მთელა
საზოგადოების. სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც რჩება თვით
მის შემქმნელთ და ხდება პირად სახმარ და სამუშაო საშვალე-
ბათ აღარ არის კაპიტალი, მისი პატრონი არ არის კაპიტა-
ლისტი. აქედან ძირითადი სოციალური ამოცანა: არაკაპიტა-
ლისტების, ე. ი. მთელი ხალხის შრომის და ნაშრომის დაცვა

კაპიტალისტებისაგან და მისი მოხმარა თვით ხალხის სახსარ-
გებლოთ. დღევანდელი ეკონომიური და ფინანსიური კანიდების უკან
რომლითაც სოციალური ძალა მიჩქეფავს კაპიტალისტების უკან
წისქვალზე უნდა იქნას შეცვლილი სახალხო კანალებით, რომ-
ლითაც იჩქეფს იგივე ძალა ხალხის საკეთილდღეოთ.

ამნაირათ, კაპიტალის წარმოშობა განვითარებულ სამრეწ-
ველო საზოგადოებაში განისაზღვრება ორი საფეხურით: პირ-
ველი ეტაპია, კერძო პირთა მუშაობა და ნამუშიერის ერთი ნა-
წილის, რაც მოხმარებას გადარჩება, დაგროვება; მეორე ეტაპია,
ამ დაუროვილი სიმდიდრის თავის მოყრა ფინანსიური დაწე-
სებულებების საშვალებით და წარმოებაში ჩადება, დღეს ეს
უკანასკნელი საფეხური საკეთი ბურჟუაზიის ხელშია, ხვალ
ის უნდა გამოიწვიას მას და გადავიდეს საზოგადოების ხელში.
მაშასადამე, არც ერთი ეს ეტაპი არ იშლება. პირველი რჩება
ხელშეუხებლათ, როგორც აქტივობის ბაზა, მეორე რჩება აგ-
რეთვე ხელშეუხებლათ, როგორც მიუცილებელი ელემენტი წარ-
მოებისა; იცვლება მხოლოდ უკანასკნელის ფორმა, კერძო პირ-
თა აღავს იჭერს საზოგადოება; კაპიტალი, მაშასადამე, ხდება
საზოგადო საკუთრებათ; ის გაპოზირებული და გამრავლებუ-
ლი უბრუნდება მის მომცემს – ხალხს. არსებული ქარხნები და
ფაბრიკები, თუნდაც დარჩეს კერძო საკუთრებაში, თავისთვის
დაჭენება და გაჩერდება როგორც კი მისი საკვები წარარო –
სოციალური კაპიტალი – მათ დაეხმობათ; ყველა კერძო ბანკი
დაიხურება როგორც კი საზოგადოება მას თავის ფულს არ მი-
აძარებს და უფრო საიმედო, სახელმწიფოს გარანტიით, მსე-
ხებელს მიაგნებს.

სოციალური საკითხის ასე გაგება ნიშნავს დარჩენას დე-
მოკრატიის ძირითად საზზე – ადამიანის ცნობის როგორც ბა-
ტონის და პატრონის თავის თავის, თავის შრომის, ნაშრომის
და მოფიქრების. ამ ნიადაგზე დგას ყველა დემოკრატია, იმ გან-
სხვავებით, რომ ამ პრინციპს ბურჟუაზია ამუშავებს თავის სა-
სარგებლოთ. ხოლო პროლეტარიატს სურს ის აამუშავოს ხალ-
ხის სასარგებლოთ. ამ გაგებით პროლეტარული დემოკრატია
ამავე დროს მჭიდროთ ეკავშირება ხალხის ყველა ნაწილებს,
ნამდვილ ნაციონალურ დემოკრატიას, და სცნობს რა მის ინდი-
ვიდუალურ საქმიანობას და ეკონომიკას, გამოდის მის მეთა-
ურათ, მისი შრომის მფარველათ. ასეთია ნამდვილი ხალხური

და პროლეტარული დემოკრატიზმი. ამ ხაზზე პროლეტარიატის როგორც კლასის, დარაზმვა, მისი მთლიანობის ამ გზით დაცვა ჯუფური მოძღვრების და პოლიტიკის მისი წრედას დევნა გადაიქცა დღეს მუშათა მოძრაობის საჭირო-ბოროტო კათხვათ. ამ ხაზის გარღვევა და ჯუფური დროშის აღმართვა ბოლშევიზმის სახით უეჭველია არის რეაქცია წინააღმდეგ პროლეტარიატში შემოჭრილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეოლოგიისა. პროლეტარული დემოკრატია იმიჯნება რა მკაცრათ ამ ანტიდემოკრატიულ ოლიგარხიულ მიმდინარეობისაგან, უნდა გაიმიჯნოს ასეთივე სიმკაცრით ბურჟუაზიული დემოკრატიზმისაგან და დარჩეს თავისი ბუნებრივი, სტიქიურათ მოძინარე ძირითად დემოკრატიულ ტენდენციების საფუძველზე. ე. ი. პროლეტარიატის სოციალურმა ბუნებამ უნდა პოვოს თავისი შესაფერი გამოხატულება დემოკრატიულ იდეოლოგიაში. რაც უფრო მეტი პარმონიაა კლასის საწარმოვო მდგომარეობის და მის პოლიტიკურ გაგებას შორის, მით უფრო მთლიანი და ნაყოფიერია მისი ბრძოლა და მოძრაობა.

პროლეტარული დემოკრატიზმი აგებულია არა ინდივიდუალურ შრომაზე და ბრძოლაზე, არამედ კოლექტიურზე. მაშასადამე, მისი ძლიერების მატარებელია არა პიროვნება, არა ცალ-ცალკე დაყენებული ინდივიდები, არამედ მათი შეერთება და აქედან გამომდინარე მისი სოციალური ძალა. ბურჟუაზიული დემოკრატიზმი კი პირიქით აგებულია სწორეთ ინდივიდზე, სახოგადოების ცალკე პიროვნებათ დაყოფაზე, მათ შორის კავშირის დაშლაზე, კლასიური და პროფესიონალური ერთობის უარის კოფაზე—ერთი სიტყვით, მთელი ნაციონალური სხეულის ატომებათ დაჭრაზე და დარღვევაზე. პროლეტარიატი ბუნებრივათ კოლექტივისტია, ბურჟუაზია ინდივიდუალისტი. ამ მდიდარი და ძლიერი კლასის მიშვება თვითეულ პიროვნებასთან ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნით ნიშნავს მისთვის წინასწარ მიცემას გამარჯვების კულტა პირობების. სანამ მუშა ინდივიდუალურათ იდგა მის წინაშე, მანამდე იმულებული იყო მიეღო შემოძლეული ხელფასი და შრომის სხვა პირობები. მისი მდგომარეობის გაუმჯობესობა, მისი კულტურის საფეხურზე მაღლა აწევა იწყება იმ დღიდან, როცა ის კაბიტალისტს ეპირდაპირება არა ინდივიდუალურათ, არამედ კოლექტიურათ, კლასიურათ. მაგრამ ხალხის დანარჩენი ნაწილები

დღესაც ინდივიდუალურათ ეპირდაპირება ბურჟუაზიას; მოკლე-
ბული ერთობას და კლასიურ ორგანიზაციას ის შედაქ დაჯაბული
ნებული რჩება.

თუ კი პროლეტარიატის ბრძოლის პრინციპია ეკონომიკაში
კოლექტივი, ცხადია იგივე პრინციპი უნდა ქონდეს მას პრ-
ლიტიკაში. ნამდვილათ კი მისი ბუნებრივი დემოკრატიზმი ამ
ორ ხაზზე გარღვეულია და ის სხვადასხვა, მოპირდაპირე ფორ-
მებში გამოხატულია, კოლექტივისტი ეკონომიკაში, ინდივი-
დუალისტია პოლიტიკაში. მან უარყო ბურჟუაზიული ეკონო-
მიური იდეოლოგია, მაგრამ მიიღო მისი დემოკრატიული იდე-
ოლოგია, ე. ი. მან მოიმოქმედა სავსებით წინააღმდეგ თავისი
სოციალური ბუნებისა და პოლიტიკურ ასპარეზზე ჩავარდა
უძლურ მდგომარეობაში.

წარმომადგენლობითი სისტემა დაყრდნობილი ინდივიდუ-
ალურ სარჩევნო სისტემაზე მთავარი იარაღია ბურჟუაზიის ბა-
ტონობის, ნიშნობლივი თვისებაა მისი დემოკრატიობის.

წარმომადგენლობითი სისტემის შესუსტება ხალხის პირ-
დაპირი პოლიტიკური ჩარევით (რეფერენდუმი, საკანონმდებ-
ლო ინიციატივა და სხ.) და საარჩევნო სისტემა დაყრდნობილი
კოლექტივზე, სოციალურ ერთეულებზე – პროლეტარული დე-
მოკრატიის გენზია.

დღეს თითქმის ყველა კლასს და ჯგუფს აქვს თავისი სა-
კუთარი ეკონომიური ორგანიზაციები, თავს იყრიან პროფესიის
მიხედვით. ამ ტენდენციის გამლა, მის ფარგალში მთელი ხალ-
ხის შეყვანა ყველა ხელობის და დარგის ადგილობრივი და ცენ-
ტრალური სინდიკატების შექმნა მოგვცემს სახალხო დემოკ-
რატიის ურყევ ფუძეს. ეს იდეა წამოაყენეს სინდიკალისტებმა,
მას ჩაეხდაუჭა ფაშისტები, მისცეს საშუალო საუკუნის კორ-
პორაციის ხასიათი, მით შერყვნეს და აამუშავეს დემოკრატიის
წინააღმდეგ დესპოტიის გასამაგრებლათ; ამას, რასაკვირველია,
არაფერი საერთო არ აქვს პროლეტარულ დემოკრატიასთან.
როცა პარლამენტი გახდება კრებული კოლექტივების მიერ არ-
ჩეული დეპუტატების, თანახმად მათი პროფესიისა და წევრთა
რაოდენობისა, ის მართლა გადაიქცევა ხალხის ორგანოთ, მატა-
რებლათ ხალხის სუვერენობისა. მაშინ ბურჟუაზიული დემოკ-
რატიის ბატონობა გათავდება, სახალხო დემოკრატია აღსდგება.

ამნაირათ, პროლეტარული დემოკრატიის ძირითადი პრინ-

ციბი სავსებით ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ დემოკრატიის. ეს ორი სხვადასხვა პოლიტიკური მსოფლმხედველობაა. უშისაუკუნე ფუძველზე შენდება ორი სხვადასხვა პოლიტიკური შექმნა, ბრძოლისა და გამარჯვებისა.

6. დემოკრატიული მათოდი

არსებობს, როგორც დავინახეთ, ორი დემოკრატიზმი: ბურჟუაზიული და პროლეტარული, რომელთა პრინციპები, ფორმები და პოლიტიკურ-სოციალური მიზანი სავსებით ეწინააღმდეგება ერთიმეორებს. აქედან თავისთავათ ცხადია, რომ მათი ბრძოლის წესები, მათი მეთოდი არ შეიძლება იყოს ერთნაირი. ტაქტიკა ეწოდება მოქმედების იმ საშუალებებს, რომლითაც სურთ მიზნის მიღწევა. ბურჟუაზიის მიზანია დაიცვას თავისი გაბატონებული მდგომარეობა, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება; პროლეტარიატის ინტერესია პირიქით, დაამხოს ეს მისი მდგომარეობა და მის აღავას გაბატონოს დაჩაგრული ხალხის ნამდვილი უფროსობა. ერთია მიზანი კონსერვატიული, მეორეა — რევოლუციური. ამ ორი სხვადასხვა მსრით მიმართული მიმდინარეობის ერთ უდელში შებმა, ერთ ტაქტიკაში მოთავსება, მოძრაობის ერთ ჩარჩოში ჩაჭედა — აშკარა, ბუნებრივი შეუსაბამობაა.

ბურჟუაზიული დემოკრატიის მეთოდია: აწარმოვოს თავისი საქმეები არსებულ პოლიტიკურ ფორმებში, ვინაიდან ეს ფორმები მისი ფორმებია, მისი ბატონობის გარანტიაა. ამიტომ ბურჟუაზიული დემოკრატია პარლამენტარული დემოკრატიაა, ლეგალური ფორმების მატარებელი და დამცველია. ასეთია საზოგადოთ გაბატონებული კლასის პსიხოლოგია და ბრძოლის ფარ-ხმალი. დაჩაგრული კლასების პსიხოლოგია და ბრძოლის საშუალებები გამოდის ამ ფორმების ფარგლებიდან, ეძებს ახალ გზას და მიზანშეწონილ ფარ-ხმალს მათ გარეთაც, არალეგალურ, რევოლუციურ ტალღებში. თვითონ ბურჟუაზია ამ უკანასკნელ გზას ადგა თავის გაბატონებამდე. ის საუკუნოების განმავლობაში აწარმოებდა ლეგალური ბრძოლის გვერდით რევოლუციურ ბრძოლასაც. მისი სასამართლო უწყებებში დამკვიდრება, მარტო ლეგალური გზით თავის უფლებებისათვის ბრძოლა არ გახდა მისი გამარჯვების გზათ და ხიდათ და იმუ-

ლებული იყო ბოლოს და ბოლოს დიდი რევოლუციით დაწე-
ვრია ძველი წყობილება. მისი რევოლუციები 1830 წელს 1848 წელ-
ს, 1870 წ. მოწმობენ ამ კლასის უაღრესათ რევოლუციური მიე-
მეთოდს ბრძოლისას და გამარჯვებისას.

მაშასადამე, ბურჟუაზიული დემოკრატია, ეს ბურჟუაზიის
ბატონობის პოლიტიკური ფორმა, ნიშნავს ლეგალიზმს, არსე-
ბული დაწერილი კანონების ფარგლებში მომწყვდევას, მთელი
საზოგადოებრივი ბრძოლის პარლამენტარიზმის ჩარჩოში ჩა-
ტევას, გაბატონებულთა და კმაყოფილთა იურიდიული ნორმების
საფოველთაო ნორმათ გადაქცევას.

პროლეტარიატი, როგორც ყველაზე უფრო დაჩაგრული
კლასი დღევანდელი საზოგადოებისა, არასოდეს არ მდგარა ამ
ტაქტიკურ ხაზზე, ეს მისთვის ბუნებრივათ, სტიქიურათ მა-
ულებელია. არა თუ მისი რამოდენიმეჯერ რევოლუციური ცდა
ბურჟუაზიის დასამარცხებლათ, არამედ ყოველდღიური ბრძო-
ლაც თავისი ეკონომიკური მდგრადირის გასაუმჯობესებლათ
არ ჩატეულა და ვერ ჩაეტევა ბურჟუაზიული დემოკრატიის
ფირმებში. მუშა იძულებულია სადაც მოლაპარაკება არ სჭრის
ძალა დაატანოს თავის პატრონს პირდაპირი მოქმედებით, მა-
მართოს გაფიცვას, ბოიკოტს და სხვ. პროლეტარიატის დიდ
ისტორიულ გაფიცვებს არა ერთი და ორი კონსტიტუცია შეურ-
წევად და ზოგი მისი ანტისალბური წესები შეუცვლია, არა ერ-
თი და ორი ქვეყანა უხსნია რეაქციისაგან და მემარჯვენეთა გა-
დატრიალებისაგან. საზოგადოთ, მუშათა კლასის ეს ბასრი
წმალი უდიდესი დარაჯია დემოკრატიისა. დაჩაგრული კლასის
მიერ რევოლუციური მეთოდის ხმარა არასოდეს არ ყოფილა
სადაო ჩაგრულთა წრეებში. ეს გახდა სადაოთ მხოლოდ ახლა,
ომის შემდეგ, რაიცა ნიშნავს ბურჟუაზიული ტაქტიკური
მსოფლმხედველობის პროლეტარიატში ფართეთ შემოჭრას.

ბურჟუაზია ცდილობს ხალხის სუვერენიტეტი შეასუხტოს,
მინიმუმამდე დაიყვანოს და ამის საუკეთესო საშუალებათ სა-
მართლიანათ მიაჩნია პარლამენტარიზმი; ოთხ წელიწადში ერ-
თხელ, ერთ დღეს ეს «სუვერენი» სუვერენობს ქაღალდზე, საარ-
ჩევნო ბიულეტენით, დანარჩენ დროს კი ფაქტიურათ სუვერე-
ნობენ მისი ვექილები, ენაწყლიანათ მეტყველნი, სრულიად მის
დაუკითხავათ და ნებადაურთველათ. მთელი დემოკრატიის ამ
უორმაში მოქცევა, ხალხის მთელი ბრძოლის და მოძრაობის

«ბიულეტენით» განსაზღვრა შეადგენს გაბატონებული კლასის სულას კვეთებას. ის იმულებულია ცენოს დემოკრატიაზ მაქონიური მისებური, გამრუდებული, ანტიხალხური. ბურუუაზე და მოკრატიის პოლიტიკური კონცეპციის გავრცელებამ პროლეტარიატში დაბადა მისი ტაქტიკური კონცეპციის გავრცელებაც. ეს ორი მიმდინარეობა ერთათ ვითარდება, როგორც ერთათ გადაჯაჭვული ორი როლი. ორივე ეს ერთხაირათ ეწინააღმდეგება პროლეტარიატის სოციალურ ბუნებას, მას ხაწარმოვო და საზოგადოებრივ მდგომარეობას.

პროლეტარული დემოკრატიის ბრძოლის მეთოდი იყო პირველათ რევოლუციური, ხოლო პარლამენტი გახდა გაბატონებული კლასების ბრძოლის ასპარეზათ. ამიტომ ცომ. მანიფესტი აღიარებს მუშათა მოძრაობის ერთათერთ რევოლუციურ მეთოდს. შემდეგ გერმანიაში იწყება მუშათა მონაწილეობა პარლამენტში და იქ სოციალისტური ფრაქციის დაარსება. პროლეტარული მოძრაობის ეს ბეორე შესაძლებლობა გავრცელდა ყველანდ და გახდა უდიდეს საპროპაგანდო და საორგანიზაციო იარაღით. ეს იყო დამატება პირველი მეთოდის და არა მისი შეცვლა და გაუქმება, ე. ი. პროლეტარიატის ტაქტიკა შეიცავდა ორ მხარეს: რევოლუციურს და პარლამენტარულს. ორივე ეს არის მისი დემოკრატიული, ე. ი. ხალხური მეთოდი, ვინაიდან ორივეს აწარმოებს უაღრესათ დემოკრატიული კლასი — პროლეტარიატი. პარლამენტარიზმის განვითარებასთან ერთათ — ხდება ამ ახალი მეთოდის გაზიარება, გაბერება და სოციალური ბრძოლის გადამწყვეტ მოძენტათ დასახვა. გაბატონდა ის აზრი, რომ წმინდა პარლამენტარული კზით, საარჩევნო წესებით, სოც. დეპუტატების უმრავლესობის შედგენით შეიძლება ბურჟუაზიის ბატონობის დაცემა და პროლეტარიატის გამარჯვება. დემოკრატიული მეთოდი იქნა აღიარებული პარლამენტარულ მეთოდათ, პროლეტარული სოციალიზმი პარლამენტარულ სოციალიზმათ. ამ დებულების თეორიული ხაფუძველია ძველი იდეალისტური მსოფლმხედველობა: პოლიტიკური წყობილება სათავეა, სოციალური წყობილება ზედმენობა. ამ შეხედულობის უსაფუძლობა ფოველდე საბუთდება ფაქტებით. სოციალისტების პარლამენტარულ ხელისუფლებამ ვერსად ვერავიარი ცელილება ვერ მოახდინა სოციალურ ძალით განწყობილებაში. პროლეტარიატი პოლიტიკურათ ზოგ ქვეყანაში მა-

ტონობს ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმებში, ხოლო საციალური რეჟიმი კი იქ ურყევია. ეს გარემოება არ აიხსნება პიროვნებათა თვისებებით, მართველთა დაღატით ან დაბწევით. ეს აიხსნება თვით მეთოდის შეუძლებლობით, მისი სიყალბით და უნიადაგობით. არსებული პოლიტიკური წეობილება არის გამოხატულება ერის რეალური მდგრამარეობის, მისი შინაგანი სოციალური ურთიერთობის. სახელმწიფო მხოლოდ ადასტურებს იმას, რაც არის. «იდეია რომ სახელმწიფოს პოლიტიკური აქტი არის ისტორიის გამსაზღვრელი წარმოადგენს ისეთივე სიძველეს, როგორიც თვით ისტორიოგრაფია», სწერს ენგელსი ამ ძველი აზრის მქადაგებელის დიურინგის წინააღმდეგ. «ეს იდეია ბატონობდა წასულში მთელ ისტორიულ მოძღვრებაში და ის შეარყია მხოლოდ რესტავრაციის ხანაში საფრანგეთის ბურჟუა-ისტორიკოსებშა»*). აი ეს ძველი იდეია ანდა ისევ აღდგა და პროლეტარულ პოლიტიკაში პარველი ადგილი დაიჭირა: სოციალისტურ-პარლამენტარული მთავრობა გამოსცემს აქტებს და სოციალიზმს დაამყარებსო! სინამდვილეში ისტორიის მთელ სივრცეზე არ არის არც ერთი მაგალითი რეჟიმის ასე იდილიურათ, კანონიერათ შეცვლის, და ეს არა თუ ეკონომიკურის, არამედ პოლიტიკურისაც. ყველა არსებული თუ დაღუპული რეჟიმი შეიცვალა რევოლიუციური გზით; პროლეტარიატმა საარჩევნო უფლებაც კი ვერ მოიპოვა ლეგალურათ, საპარლამენტო ბრძოლით (ბელგია, ავსტრია და სხ.). სოციალისტური კი არა, პერიოს რადიკალური კაბინეტი დასცა ამ ოთხი წლის წინეთ ბურჟუაზიამ ფინანსიური მანიოკ-რებით. გაბატონებული კლასები ამ «პარლამენტარულ კრეტინიზმს» პროლეტარიატისათვის ქადაგებენ, თვარა თავისთვის მას სრულიადაც არ სცნობენ, თავის ბატონობის შესარჩევათ მიმართავენ არაპარლამენტარულ მეთოდებს. მრავალჯერ საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული ბულანეჟე ფერის სამინისტრომ სახელმწიფო მოღალატეთ გამოაცხადა და პოლიციურათ ანგარიში გაუსწორა. გერმანიის რეაქცია იმარჯვებს დღეს სწორეთ ამ საპარლამენტო ბრძოლის უკუგდებით. ერთი სიტყვით, რეჟიმის შეცვლა ითხოვს მაღლა განწყობილების შეც-

*) M. F. Engels. M. E. Duhring boulverse la science, t. II, édition Costes. 1932.

კლას, ძალთა განწყობილება იცვლება რევოლუციური გზით, მთელი დემოკრატიის ამოძრავებით და ძალაუფლების დაპყრობით. ფონ-პაპენმა ეს პოლიტიკური ანბანი ძალიან კარგად იცის, მან პრუსიის სოც. დემ. მთავრობის გარეკვისთანავე სამხედრო წესები გამოაცხადა ბერლინში და მოემზადა შეძენილი უფლების ძალით დასაცავათ. ხოლო გარეკილ ხელისუფლებამ კი ამ ძალის წინააღმდეგ მიმართა... სასამართლოს!

ამნაირათ, თვითეულ მეთოდს თავისი ადგილი აქვს ბრძოლაში; პარლამენტარული ფორმა ამზადებს ხალხს იდეიურათ და ორგანიზაციულათ პროლეტარიატის ღროშის ქვეშ; ის ქმნის რეფორმების შესაძლებლობას, ბურჟუაზიის სუფრიდან ნამცეცების ხალხის სასარგებლოთ გატაცებას, ფართე მასების პოლიტიკურ აქტივობაში ჩაბმას და თავისი ინტერესების დაცვას; რევოლუციური მეთოდი ქმნის შესაძლებლობას სოციალური რეჟიმის გადატეხისას, ბურჟუაზიის სუპრემატიის დაცემის და სახალხო დემოკრატიის და სახალხო ეკონომიკის აღორძინებისას. ეს ერთი ტაქტიკური ხაზია, ერთი გზაა, რომელზეც დგას პროლეტარიატი ბუნებრივათ და თავის მოძრაობაში მიმართავს ხან ერთ, ხან მეორე საშუალებას, პირობების და მიზანშეწონილობის თანახმათ. ამ ხაზის პოლიტიკურ ასპარეზზე ამუშავება, ამ პირობების აწონ-დაწონვა და ბრძოლის საშუალებათა ამორჩევა არის საგანი პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისა.

7. სოციალისტური დამოკრატია

სოციალისტური დემოკრატია არ ფარავს პროლეტარულ დემოკრატიას; ის ცდილობს იმდენათ გაიზარდოს და გაფართოვდეს, რომ მთელი პროლეტარიატი შედიოდეს მის ფარგალში და ამ გზით მოახდიონ პარტიის და კლასის გაერთიანება. დღეს ის ნაწილია პროლეტარული დემოკრატიის და მისი მოთხოვნილებანი და ინტერესები გადააქვს სახელმწიფო მასშტაბით პოლიტიკურ ასპარეზზე. მაგრამ ვინაიდან ამ ასპარეზზე მასთან მეზობლობენ სხვა კლასების ორგანიზაციებიც, აქ ნდება გამიჯვნა თუ დაახლოვება სხვა პარტიებთან, იქმნება სხვადასხვა საპარლამენტო კომბინაციები, დამოვრება და არ-შეიობა; ცხადია ამით იღება ფართეთ ის კარები, რომლიდანაც

პარტიაში შემოდის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური მსაფლ-
მხედველობა და აქედან გადადის თვით პროლეტარიატში უკუ-
კლასი როგორც სოციალური ერთეული მუდამ დაბაზრდაში მი-
ძულია ბურჟუაზიასთან, მათ შორის კარები დახშულია; სამა-
გიეროთ იგივე კლასი, პოლიტიკური დაჯგუფების შემწეობით,
ღაა არის ტეტერთა იდეიური გავლენის და არევ-დარევისათვის.
ბურჟუაზიული დემოკრატიზმი სწორეთ ამ კარებიდან იკაფავს
გზას პროლეტარიატში და ის გადაფავს თანდათან თავის ტაქ-
ტიკურ ხაზზე. სწორეთ პარლამენტარული ბრძოლის აღორძი-
ნებით იწყება ძველი დემოკრატიული მეთოდის დატოვება და
ახალის, ბურჟუაზიულის, მიღება. თვითონ პროლეტარიატი
თავის კლასში, თავის ეკონომიურ ბრძოლაში ახლაც არ სცნობს
ამ ახალ მეთოდს და მაგრამ დგას თავის ნაცად კლასიურ პო-
ზიციაზე.

მეორე მხრით, სოციალიზმი არ იფარვლება სოციალის-
ტური ინტერნაციონალით. ის გაცილებთ უფრო ფართვე, ღრმა
და გარდაუვალი მოვლენაა, ვინემ მეორე. სოციალისტური
ორგანიზაცია სოციალისტურია იმდენათ, რამდენათ მისი გე-
ზი, საქმიანობა და მოძრაობა თან ატარებს სოციალისტურ
მსოფლმხედველობას, რამდენათ მათ შორის მჭიდრო მიზე-
ზობრივი კავშირია. დღეს სოციალისტი ვინც არ არის, კველა
ამ მოძლველებას ეპოტინება და მისი სახელით თავის მისწრაფე-
ბას ფარავს. კარგათ ნათქვამია: საქმენი შენი გაცხონებენ შენ.
საქმით გამოიცნობა პოლიტიკური დაჯგუფება. ჩინებული დრო-
შა არაფრათ არ ვარგა, თუ მისი განმახორციელებელი საშუა-
ლებები უვარებისაა; მუშათა სტიქიური მოძრაობა, გარკვეულ
სოციალისტურ მიზანს მოკლებული, გაცილებით მეტს აკე-
თებდა სოციალიზმისათვის, ვინემ ასეთი მიზნით აღჭურვილია
ახალ მოდის დემოკრატიული მეთოდის მიმდევარი. პარტია,
პარტიათა შემაღებენლობა და კავშირები იცვლება, მუდმივ გა-
დასხვაფერებაშია, დროთა და გარემოებათა ამყოლია. არ იც-
ვლება მხოლოდ სოციალიზმი, ის დგას სფინქსივით ურყევი
კაცობრიობის შარა გზაზე და აიძულებს გამვლელ-გამომ-
ვლელთ მისკენ მოიხედონ, მას ანგარიში გაუწიონ. მისი სულით
გაუდენითილია თანამედროვე საზოგადოება, მის ფარგალში
ტრიალებს საერთო აზროვნება, მის გამოყენებას ცდილობს
მისი მოწინააღმდეგენიც თავის წისქვილის ასაბრუნებლათ. აქ

ეშლება ფართო ასპარეზი ბურუუაზიულ დემოკრატიას სოციალურული ლისტური დემოკრატიის საშუალებით გაამრულოს, გაადალინებული სოციალიზმიც, მისი ან აბსურდამდე მიყვანით, ან წვრილ რეფორმიზმათ გადაქცევით. პირველი ამოცანა ჩინებულად შეახულა ბოლშევიზმა; სოციალიზმის საშინელი კარიკატურა გამეფდა კომინტერნში. მეორე ამოცანა ნიადაგს პოულობს სოცინტერნაციონალში. ამ მიმდინარეობის პირველი ამოსაღებია ტაქტიკა «უმცირესი ბოროტებისა».

ერთხელ თურმე მხიარულ მზარეულმა კითხა თევზეს: როგორ გირჩევნია, შეგწვა თუ ძოგხარშოვო. მისი ჭკუით თვევზს უმცირესი ბოროტება უნდა აერჩია. საფრანგეთის სოციალისტებს კითხეს: ვინ გირჩევნია, ფერი თუ ბულანუერ. მათ თევზივით წყალი არ უშლიდა ხმის ამოღებას და თამამათ მიუგეს: არც ერთი და არც მეორე, ვაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას! ეს იყო ძველათ, როცა დემოკრატიული მეთოდი ძველებურათ ესმოდათ. შემდეგ, აგერ ახლა, გერმანიის სოციალოკრატიას კითხეს: ანტიდემოკრატიული რეისტაგი გირჩევნია თუ კანცლერი ბრიუნინგიო, მან აირჩია უკანასკნელი. საპარლამენტო დადგენილებანი თუ ორდონანსები, აირჩია ორდონანსები, ჰიტლერი თუ ჰინდენბურგიო, აირჩია უკანასკნელი და ასე უმცირესი ბოროტების პოლიტიკამ იჩინა-იჩინა დაბლა და მიადგა სამხედრო დიქტატურას. ამჟამათ დასმულია ასეთი საკითხი: ჰიტლერის თუ ჰოპენცოლრენების მოავრობა. მოპოვებიან აქაც უმცირესი ბოროტების მიმდევარნი...

უმცირესი ბოროტების თეორია სავხებით გაკოტრდა. საზოგადოთ, ბოროტების არჩევა, თუნდაც უმცირესის, არ შეიძლება იყოს სოციალისტური დემოკრატიის პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა უეჭველათ მიმართულია მასის ინტერესების წინააღმდეგ, უამისოთ ხომ ის ბოროტებაც არ იქნებოდა, და მაშასადამე არის საუკეთესო საშუალება მასის ჩამოშორებისა, დაქსაქსვისა, იდეიური არევ-დარევისა და სოც. პარტიის განმარტოვებისა. პარტიის სამოქმედო ხაზი აშკარაა, გზა გაკაფულია: ის მხარს უჭერს ყველა რეფორმისტულ მიღრეკილებას, რაც კი მასის სასარგებლოთ მიიმართება, თუნდაც ის არ მიდიოდებურენსავით შორს. მაშასადამე, ის ძევს მისი კლასიური ბრძოლის საზრე და არავითარ ბოროტებას არ შეაღგენს. მხოლოდ ეს პრინციპიალური მოსაზრება უნდა იყოს ჩვენი ტაქ-

ტუკური მისვევ-მოხვევის გადამჭრელი საზომი. მაგრამ აქ მუშაობს მეორე მოსაზრება, რაიცა რევს მთელ ტაქტიკას. ეს არის პასუხისმგებლობის საკითხი. წინეთ სოც. დემოკრატია წარმოადგენდა მცირე, პროპაგანდისტულ ორგანიზაციას, მოკლებულს სახელმწიფო საქმეებში პასუხისმგებლობას. ახლა კი ის სახელმწიფოს ერთი მესაჭეთაგანია და შესაფერი პასუხისმგებლობაც აწევს. ეს მოსაზრება ფაქტების მხრით მართალია. ხოლო ნიშნავს ეს პროლეტარული დემოკრატიის მეთოდის და პრინციპების დატოვებას და ბურჯუაზიულ დემოკრატიის გემში გადაჯდომას? და თუ არა, ცხადია ახალი არაფერი მომხდარა პროლეტარიატის რიგებში, გარდა მისი გავლენის გაზრდისა. სოციალისტური დემოკრატიის პასუხისმგებლობა გაიზარდა დიდათ პროლეტარიატის და მთელი ხალხის წინაშე იმ მხრით, რომ მას მიეცა საშუალება ამ დაჩაგრულთა სასარგებლოთ სახელმწიფო აპარატი აამუშაოს, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს. რამდენათ ის ამას სჩადის, რამდენათ ხალხის ძღვო-მარეობა მათი მეოხებით უძლობესდება, იმდენათ მისი დამსახურება დიდია და პასუხისმგებლობა გამართლებულია. მაგრამ პასუხისმგებლობა გაბატონებულთა პოლიტიკის და საქმიანობისათვის, გამოსწორება მათი შეცდომების მათივე ნიადაგზე, ე. ი. მათ მაგიერობის გაწევა, მათ ტეხნიკურ აპარატათ გადაქცევა — ეს უკვე დატოვებაა საკუთარი გზის და საკუთარი მსოფლიმხედველობის. კერძანიის დამარცხებულ იმპერიალისტებმა ხელი დაიბანეს, განხე გადგენ და მათ მიერ არეულ-დარეული საქმეები გერმანიის დემოკრატიას ჩაუტიეს მოსაგვარებლათ*). აქ იყო ორი გზა: ან ძველ საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე დარჩენა და საქმეების ძველ კალაპოტში ჩამოლაგება, ან ახალი სოციალური ურთიერთობის დამყარება, ძველი ნაგავის სავსებით გადათრევა და ამ ახალ საფუძველზე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ინტერესების დაწყობა. ე. ი. შექმნა შინაური ცვლილებებით ახალი საზოგადოების, ახალი ერის, სახალხო სახელმწიფოს და სახალხო ეკონომიკის და წადგომა გამარჯვებულ უცხოეთის წინაშე ახალი

^{*)} შეიღებანის მოწმობით ვიღებელშის და მისი წრეების მართველობის ასპარეზიდან გასვლა მოხდა ანტანტის მოთხოვნილებით, ვიღსონს უარი განუცხადება ამ ხალხთან ზეუზე მოღაპარაკების დაწყებაზე. („ფორვერ-ები“, 9 იან. 1932).

დროშით და ახალი პროგრამით. ნამდვილათ მოხდა საწინააღმდეგო, საგარეო მომენტი გადაიქცა საშინაო პოლიტიკის გამსტერულულების და სატკივარი უდიდესი მიზანისა, საგარეო სატკივარი გაიძერა, ყველა კლასის ერთი ფრონტი შედგა და ნაციონალური დროშით უცხოეთს დაუპირდაპირდა. ნაციონალიზმი გაიზარდა და შინაგანი რეაქციის გზად და ხიდათ გახდა. ვიქტორ შიფი ასე აღწერს ამ პროცესს:

«13 წლის წინეთ მთელ გერმანიის ხალხში გაისმა ყიფინა აღდგომის. შელახულმა უფლებრივ გრძნობამ გარდაქმნა გერმანია მართლა ერათ. მხოლოდ მომავალი თაობა მიხვდება რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ შესძლო მუშა-ხალხის სახელმწიფოსან მორიგება. მწარე მოგონება ვილპელმის კასტიური მართველობის, სამკლასიან საარჩევნო უფლების ძველ თაობაში ისე მაგრათ იყო უესევგადგმული, რომ საჭირო იყო არა ცირული მრომა მუშათა დასაჯერებლათ, რომ მას დაედასტურებია კაპიტალისტური რეჟიმიანი სახელმწიფო. ეს იყო შესაძლებელი იმიტომ რომ ამაბობაში გერმანია გადაიქცა ვეიმარის სახელმწიფოთ, რომლის კონსტიტუცია თავის საშოში ატარებდა აგრეთვე მომავალი სოციალისტური საზოგადოების წინასწარ პირობებს. დაადასტურა რა მუშათა კლასმა სახელმწიფო, დაადასტურა სამშობლო. მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი წარმოება გმირული საგარეო ბრძოლის 12 წლის განმავლობაში ვერსალის უსამართლობის გასაქრობათ... ეს იყო ბრძოლა გერმანიის უფლებისათვის მსოფლიოში» და სხ. («ფორვერტი», 17 აგვ. 1932).

ფაქტები სწორათ გადმოცემულია, სოციალ-დემოკრატია თავის მუშაობის ცენტრში აყენებს საგარეო მომენტს, ქმნის ერთ ნაციონალურ ფრონტს ვერსალის წინააღმდეგ. და როცა ეს საქმე საკმაოთ გამოსწორდა, ვეიმარის კონსტიტუციის საშოდან წარმოდგა არა სოციალისტური, არამედ ავრარიული მთავრობა, აღსდგა ძველი იმპერიალისტური ძალა, ამდენხანს პულისებში გაჩერებული და შესაფერი მომენტის აუჩქარებელი მომლოდინი, აღსდგა გაუტეხელი იმავე ნაციონალური დროშის ქვეშ და გვარიან უცერემონიოთ წესი აუგას ვეიმარის ილიუზიებს.

ასეთია საქვეყნო ისტორიული ნაყოფი ომის შემდეგ მო-

აზრებული დემოკრატიული მეთოდისა, რომლის მსხვერპლი
ხდება პირველ ყოვლისა თვით პროლეტარული დემოკრატია.
პარლამენტარიზმის, ე. ი. სიტყვიერი ბრძოლის და დაწერილი
აქტების პანაცეიათ გამოტანა, დემოკრატიის შთავაზ ფართხმა-
ლათ აღიარება და ამ იარაღით აბობოქრებულ კაციბრიობის
მორევში საბრძოლველათ შესვლა — აი მთავარი მიზეზი პრო-
ლეტარიატის დღევანდელი დანაწილების, დაძაბუნების, უკმა-
ყოფილების და დაქსაქსულობის. ეს დანაწილება პოლიტიკი-
დან გადავიდა მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებშიც, კლასის
იდეიური და პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა მთელ ხაზზე,
ყველა მისი მოქმედების სფეროში. მის წიაღში მარჯვნივ და
მარცხნივ შეხეთქა უცხო ტალღებმა, ნამდვილი დემოკრატიის
ყველა ჯურის მტრებმა. ამათ მოხერხებულათ ისარგებლეს სო-
ციალისტური პარტიების იდეიური დაუძლურებით და მათ
წინააღმდეგ ამოძრავეს ხალხის ფართე ნაწილები. ამ ტალღებ-
მა ვერ შეხეთქა მხოლოდ ერთი კარი პროლეტარული შენობი-
სა, ვერ შერყვნა ერთი მისი იდეიური საფუძველი და მით მისი
დამოკიდებლობა და ძლიერება რჩება ხელშეუხებელი.
ყველა დემოკრატია, პრიმიტიული, კლასიკური, ბურჟუაზიული,
წვრილბურჟუაზიული იყო და არის იმპერიალისტური. ისინი
თავისუფლებას და თანასწორობას სცნობენ მხოლოდ თავის
ერის შვილებისათვის, თავისი სამშობლოს მოქალაქეთათვის,
ხოლო სხვა უცხო ერთ იმორჩილებენ და თავის საწევლ ფუ-
რათ ხდიან. ერთათერთი პროლეტარული და სოციალისტური
დემოკრატია შეადგენს გამონაკლისს და დღესაც ისე როგორც
წინეთ აღიარებს: «ნაციონალური განთავისუფლება არის წი-
ნასწარი პირობა ეკონომიური და სოციალური განვითარების»
(ხოც. და სინდიკ. ინტერნაციონალთა რეზოლუცია 21 ივნი-
სის, 1932 წ.). აი ეს დებულება შეადგენს მხოლოდ მის საკუ-
თარ, მის დამახასიათებელ აზროვნებას, მის უდიდეს იდეა-
ლიზმს და თავის დადებას. აი ეს დროშა მას ვერ შეურყვნა
ბურჟუაზიულ დემოკრატიამ; აქ ის აღმოჩნდა მედგარი, მტკი-
ცე და ურყევი. ეს ხდის პროლეტარიატს ნამდვილ დემოკრატი-
ათ, ყველა ტერორისტიმეტა და მაშვრალთა ერთგულ მეთაურათ,
გულწრფელ მეგობრათ.

ინგლისის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა პერბერტ სპენსერმა მა ბურჟუაზიის დოქტრინას სახელმწიფოზე მოკლეთ თავი მოუყარა ერთ პატარა წიგნში და გამოიქვა ამ სათაურით: ინდივიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ!

სოც. ინტერნაციონალის გამოჩენილ მეთაურმა ემ. ვანდერ-ჰლდემ პროლეტარიატის შეხედულება ამავე საგანზე გამოხატა თავის წიგნში ასეთი სხარტული სათაურით: სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ!

ორივე თხზულებაში დასაბუთებულია, სხვადასხვა მოტივებით, რასაკვარველია, ერთი და იგივე დებულება – ბურჟუაზიის და პროლეტარიატის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი. ასეთია ამ ორი თანამედროვე კლასის სახელმწიფო დოქტრინა.

როგორია ხინამდვილე?

ხინამდვილე იძლევა ამ დოქტრინის ძირბუდიანათ დამარცვევლ სურათს. სახელმწიფო არა თუ არ სუსტდება, პირიქით, ის თანდათან ძლიერდება, მისი გავლენა ფართოვდება, ის მოქალაქეთა ცხოვრების ყველა კუნჭულში იჭრება, ადამიანის თვითეულ ნაბიჯს თავის კონტროლს უქვემდებარებს, მის ჯიბეს, მის ნამუშევარს, მის შემოსავალ-გასავალს თავის ანგარიშებს უმორჩილებს – ერთი სიტყვით, ის ხდება ზღაპრულ მაჯლაჯუნათ, მთელი თავისი სიგრძე სიგანით ერზე გადაწოდილი.

დემოკრატიის მუდმივი მოთხოვნილებაა იაფი მართველობა. ხინამდვილეში კი ეს მართველობა ძვირდება დემოკრატიის აღირძინებასთან ერთათ. ყველაზე უფრო ძვირი მართველობაა სწორეთ დემოკრატიული. მაშასადამე, ბურჟუაზიული დემოკრატია ნიშნავს სახელმწიფოს როლის გაზვადებას, მის ხალხის ტვირთად გადაქცევას, ძვირ სამართველო აპარატს, ერთი სიტყვით, ანტიხალხური სახელმწიფოს შექმნას. ცხადია ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვს სწორეთ ასეთ პოლიტიკურ წყობილებას; ის ქმნის თავისი ბატონობის როგონოებს თავის სახისამებრ. ამ მის პოლიტიკურ შემოქმედებაში ის განიცდის ღრმა ცვლილებას, ეტაპების მთელ რიგს, რომელთაგან უპასკნელი სავსებით ეპირდაპირება წინანდელ, გავლილ, საფეხურებს.

სპეციალის დოქტრინა ხატავდა თავის დროის ბურგუაზურ
მსოფლმხედველობას. მისი აღორძინება და განვითარება მონ-
და ანტისახელმწიფოებრივი გზით, კერძო პიროვ შეუძლ კურმო
პირების ექსპლუატაციით და ეკონომიკურათ დამორჩილებით.
კაპიტალისტები ითხოვდნ მათ საქმეებში, მათ დამოკიდებუ-
ლებაში მუშასთან და მუშტართან სახელმწიფო ჩაურევლობას,
იძულებითი აპარატებისათვის მაყურებლის როლის მინიჭებას,
გარეგანი უშიშროების დაცვას, პოლიციური ფუნქციებით დაკ-
მაყოფილებას. აი ამ ტენდენციას პირნათლათ ემსახურებოდა
მაშინდელი სახელმწიფო. მაგ. ამ ასი წლის წინეთ, 1831 წ.,
საფრანგეთის პარლამენტმა გამოსცა 41 კანონი, ამათ შორის
31 მთავრობის ინიციატივით, 10 კი თვით პარლამენტის ინი-
ციატივით. ნაკლები კანონი, ნაკლები მოხელე, ნაკლები გა-
დასახადი — აი ამომავალი ბურგუაზიის პოლიტიკური დროშა
ასეთი იურიდიული პირობები იძლეოდა თავისუფალ მოედან
მრეწველთა საქმიანობისათვის, ხალხთან მისავალი გზების გ-
ფართოებას, შრომა-კაპიტალს შორის დამოკიდებულების თა-
ვისუფლებას. რამდენათ პროლეტარიატი თვითცნობიერდება,
წელში იმართება, თავის ორგანიზაციებს აარსებს და უსაზღვ-
რო ექსპლუატაციას საზღვარს უდებს, შრომის სამფარველო
კანონების გამოცემით თუ პირდაპირი ბრძოლით, იმდენათ კა-
პიტალისტები იძულებული არიან ამ ნიადაგზე დაკლებული
შემოსავალი სხვა ნიადაგზე აინაზღაურონ და კაპიტალის დაგ-
როვების ახალი წყაროები გაიჩინონ. აი აქ ჩნდება, რომ სა-
ხელმწიფო ერთი უძლიერესი წყაროა შეძლების დასაკროვე-
ლათ, ხალხის ჯიბიდან უმტკივნეულოთ ქონების ამოსაზიდ-
ვათ და მის გასანაწილებლათ. ამუშავდა საკანონმდებლო ორ-
განოები, დატრიალდა კანონების კორიანტელი, გადასახადები
საშინელი ტალღები. მაგ. 1920 წ. გამოდის საფრანგეთში 21
კანონი, 1923 წ. 277 და სხ., გარდა საბიუჯეტო კანონების.
კანონთა პროექტების რიცხვი ათასობით ითვლება, რის მიღე-
ბას ვერ ასწრებს საპარლამენტო მექანიზმი. ასი წლის წინეთ
სახელმწიფო ბიუჯეტი უდრიდა ერთ მილიარდს, ახლა კი აღ-
წევს 45 მილიარდს. გადასახადები 1913 წ. შედარებით დღეს
21-ჯერ უფრო მძიმეა, ხოლო მუშის ქირა იმავე დროს გაი-
ზარდა 7-ჯერ.

ახლა წარმოიდგინეთ სახელმწიფოს განვითარების მსვლე-

ლობა ასეთივე ტემპით. ის ას წელიწადში შესჭამს საზოგადოებას, დაიმონებს მას სულიან-ხორციანათ და გადაიქცევა შესანახათ საჭირო იქნება მთელი ხალხის დღე-დამიანი მუშაობა. ის უკვე შეუდგა მთელი თავის ძალ-ღონით დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრას, წაქცევას იმ ხისას, რომელზედაც დაყრდნობალია ხალხის სუვერენიტეტი. ის ნოქავს ადამიანის ნაშრომის დიდ ნაწილს, ბოჭავს მის ეკონომიურ აქტივობას, მის თაოსნობას, მის ბატონობას და ხდის მას მართველობაზე სავსებით დამოკიდებულდათ. ფაშიზმი აი ამ ტენდენციის განვითარებაა, მისი ლოლიკური დასკვნაა. თუ მოქალაქე არ არის თავის ნაშრომის გამგებელი, ცხადია ის არც თავის აზრის და რწმენის გამგე უნდა იყოს. ის ფორმალური თავისუფლება, რასაც ბურუუაზიული სახელმწიფო სცნობს ადამიანში, უნიადაგო ზედშენობაა, ძეველი განვლილი ეტაპის გადმოცემაა, შეუფერებელი დღევანდელ მდგომარეობასთან, როცა ის ნივთიერათ სახელმწიფოს ყმობაში ჩავარდა. ახლა ამ დიდ ბატონს მიუმატეთ პატარა ბატონები, დემოკრატიის სხვა ორგანოები – მუნიციპალიტეტები, კომუნები, სადეპარტამენტო საბჭოები, რომელთა ბიუჯეტი ასეთივე ტემპით იზრდება, გადასახადები გადასახადებს ემატება. ცხადია, არსებული სისტემა მართველობისა აღმატება ხალხის ძალ-ღონებს, ის მისთვის მძიმე ტვირთია და, მაშასადამე, არ შეიძლება იყოს მისი ორგანო, მისი ინტერესების და ახროვნების გამომხატველი. სახელმწიფო ბიუჯეტის სამი მეოთხედი სწორეთ ხალხის ჯიბიდან ამოდის არაპირდაპირი გადასახადების საშუალებით, ხოლო დანარჩენს იძლევა პირდაპირი გადასახადი და სახელმწიფოს ქონება*). ამ ვებერთელა თანხიდან ნამდვილი გადამხდელი – კლები, მუშა და წვრილი ბურუუაზია – ვერაფერს ვერ იძრუნებს, ის სავსებით ნაწილდება გაბატონებულ კლასებში და წრეებში. ბანკირები, ფინანსისტები, ბირჟევიკები, სპეციალისტები და მათი ლაშქარი – პოდრიაჩიკები, მრეწველი და სხვილი კომერსანტები შეადგენს იმ მთავარ არმიას, რომლის ჯიბეში გადადის ბიუჯეტის დიდი ნაწილი დემოკრატიული ორგანოების საშუალებით. მათ უკან მიყვება დიდის ბრძო-

* 1) სახელმწიფო და სამუნიციპალი წლიური ბაუჯეტი უდრის დასწლოვებით ოთხმოც შილდარდ ფრანქს საფრანგეთში.

ლით და ვაივაგლახით მოხელენი, უმუშევარნი, პენსიონერები/ და ითხოვენ გამლილ სუფრიდან ნამცეცების მათუფუსუც ჯუჭუ/ მოგდებას. სახელმწიფო, ე. ი. გადამხდელი ხალხურაშვილი რტურ/ ექტი საფოველთაო ექსპლუატაციის.

ამნაირათ, ბურჯუაზიული სახელმწიფო დღეს წარმოადგენს წინანდელის ანტიტეხას. კაპიტალიზმის სამრეწველო პერიოდში, ე. ი. როცა წარმოებაში ბატონობდა ინდივიდუალური, მრეწველობის პროცესიდან მოგებული კაპიტალი, სახელმწიფო ასრულებდა უმთავრესათ პოლიციურ ფუნქციას, იცავდა და მფარველობდა ოსებულ ეკონომიურ ურთიერთობას, ხოლო თვითონ კი ამ პროცესში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა. სახელმწიფოს რაიმე ეკონომიური აქტივობა გამოცხადებული იყო შეჩვენებულ სოციალიზმათ, რამაც უნდა დასახავოს საწყალი ბურჯუაზია. «კანალის აღაგას რენის გზის გაყვანა უკვე სოციალიზმს ნიშნავდა», სწერს მარქსი 18 ბრიუმერში. ლიბერალური დოქტრინა სენსერის აი ამ ხანას გამოხატავს.

კაპიტალიზმის მეორე პერიოდში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, წარმოების მთავარი მამოძრავებელი ღერძია არა ინდივიდუალური კაპიტალი, არა კაპიტალისტის პირადი ქონება, არამედ მთელი სოციალური კაპიტალი, ფინანსიურ დაწესებულებებში თავმოყრილი და შემდეგ მრეწველთა საქმეებში დაბანდებული. ამ ფინანსიური კაპიტალის მოთხოვნილებას აღარ შეეფერება სახელმწიფო-პოლიცია, საზოგადო უმიშროების და კანონიერების მოდარაჯე; მას ესაჭიროება აგრეთვე სახელმწიფო — დამხმარე სოციალური კაპიტალის დასაგროვებლათ და მის განკარგულებაში დასაყენებლათ. ხალხის ნამუშევრის მობილიზაცია გადასახადებით. საბირჟო და საბანკო კანონებით, კრედიტის სახელმწიფო ბანკის მფარველობით, ახალახალი სამუშაოების წამოწყებით და გაცემით და სხ. და სხ. აი რას ითხოვს დღეს ბურჯუაზია მართველობისაგან.

მთელი დღევანდები ბრძოლა განიარაღების ირგვლივ არის უმთავრესათ ბრძოლა ხალხის დაყმრდის შესამსუბუქებლად სახელმწიფოსადმი ბიუჯეტის შემცირებით. ომი პოლიტიკა და არა ტეხნიკა, თუ საომარი პოლიტიკა მეფობს საზოგადოებაში — ომი აუცილებელია, თუნდაც ის შვილდ-ისარით იყოს შეიარაღებული. ბურჯუაზია ებრძვის განიარაღებას არა, მა-

შასადამე, ომის მოსაზრებით, არამედ ბიუჯეტის მოსაზრებით,
ხალხის დაბეგვრის შემცირება მის ეკონომიურ ინტერესების უფლება
შეადგენს.

სახელმწიფოს დანიშნულების ასე რადიკალურათ შეცვლა
ბადებს მის ერთ უძლიავრეს თანამედროვე ტენდენციას – ეტა-
ტიზმს. თუ წინეთ მუნიციპალური აუთიაქიც კი სოციალიზმათ
იყო გამოცხადებული, დღეს ასეთ «სოციალიზმს» ბურჟუაზია
თვით აწარმოებს დიდის ენერგიით. სხვადასხვა წარმოების
დარგების ნაციონალიზაციას დღეს ებრძვიან არა პრინციპი-
ალურათ, არამედ მიზანშეწონილობით. საფრანგეთის სოცია-
ლისტების უკანასკნელმა საარჩევნო პლატფორმამ რკინიგზის
ნაციონალიზაციისა გამოიწვია კრიტიკა მხოლოდ ფინანსიური
მოტივებით, სახელმწიფოს ტვირთათ დააწვებათ. ასეთივე მო-
ტივებით ებრძვიან მრეწველობის მთავარ დარგების სოცია-
ლიზაციას, რაიცა ინგლისის და გერმანიის სოც. პარტიების
მთავარი საარჩევნო პლატფორმაა დღეს. ბურჟუაზიის ბატო-
ნობას სრულიად არავითარ საფრთხეს არ უქადის არც ერთი
ეს სოციალური რეფორმა, რატომ? იმიტომ რომ ამ გზით არ
ირყევა მისი ეკონომიური მდგრმარება; მისი შრომის და მო-
გების პრინციპი არ იცვლება სხვა მისი მოპირპლაპირე ეკო-
ნომიური სისტემით. ყველა ეს ნაციონალიზაცია ჰედის კაპი-
ტალისტურ სისტემაში, ექვემდებარება ყველა მის კანონებს,
განსხვავება იქნება მხოლოდ რაოდენობითი ხასიათის, ერთი
გუნდი კაპიტალისტებისა გამოვარდება წარმოებიდან და გადა-
იქცევა რანტიერ, რამდენიმე ახალი შემოსავალი გაუჩნდება
სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს არის და ეს.

ასეთი ნაციონალიზაცია კაპიტალიზმის პირველ პერიოდ-
ში შეარყევდა უეჭველათ თვით სისტემას, ვინაიდან ის იყო
დაყრდნობილი, როგორც ვთქვით, სამრეწველო კაპიტალზე.
დღეს კი მხოლოდ ფინანსიური კაპიტალის ნაციონალიზაციას
შეუძლია შეარყიოს კაპიტალისტური რეჟიმი და გახსნას გზა
სოციალისტური ეკონომიკასაცენ. ვის ხელში დღეს სოცია-
ლისტური კაპიტალია, ვინც კრედიტს პატრონობს – ის ბატო-
ნობს მრეწველობაშიდაც, მთელ თანამედროვე ეკონომიურ ურ-
თიერთობაზე. ამ ძალის სახელმწიფოს ხელში გადასვლა შეუ-
თავსებელია ბურჟუაზიის ბატონობასთან, ვინაიდან ეს იქნებო-

და სოციალურ ძალთა განწყობილების შეცვლა მის წინააღმდეგ.

ამნაირათ, არის ორ გვარი ეტატიზმი – ბურუუაზიული და ხალხური, პროლეტარული. ეს საბოლოოთ ძალთა განწყობილების საკითხია და არა წმინდა ეკონომიური. სიმდიდრის ნაცოონალიზაცია კლასთა არსებული ურთიერთობის ნიადაგზე სოციალისტური ლოზუნგი არ არის; ის ფაშიზმის დოქტრინის ერთი რეოლია, ბურუუაზის სუპრემატის გამოშხატველია, ამ ხაზზე დგას ეკრეთ წოდებული «პლანით წარმოება», რასაც ბურუუაზიული ინტელიგენცია, პიტლერიზმი და მათი ამყოლდამყოლნი დღეს ქადაგებენ. მხოლოდ პროლეტარული ეტატიზმი განირჩევა მათგან არსებითათ, ავლებს მკაცრ ხაზს ძველ და ახალ რეჟიმს შორის და დგას სოციალისტური გარდაქმნის ხაზზე.

მეტყვიან: ბურუუაზიულ სახელმწიფოს მიერ მოხდენილი ნაციონალიზაცია გახდება სოციალიზმის პირველი საფეხური როგორც კი ძალა-უფლებას დავიძყრობთ. ასეთივე უფლებით შევვიძლია ეგვევ ვთქვათ ყველა სხვა სახელმწიფოზე – ფაშისტურზე, მილიტარისტულზე, თავად-აზნაურულზე და სხ. ბოლოსდაბოლოს ყველაფერი ხალხს დარჩებაო. ჩეენ კი წინააღმდეგი ვართ ნაციონალიზაციის დესპოტიაში, ვინაიდან ეს იქნებოდა ამ დესპოტის გამავრება და იმ «ბოლოს და ბოლოს» შორის და შორის გადატყორცნა. ბურუუაზიული ეტატიზმი მისაღები იყო ჩეენთვის, სანამ ვვევონა, რომ ამ წყობილების მემკვიდრე უეჭველად სოციალური დემოკრატია იქნებოდა. მაგრამ ახლა ხომ გამოირკვა, რომ მისი მემკვიდრე ყოველგვარი დესპოტია უფრო ადვილათ ხდება, ვინემ პროლეტარული დემოკრატია და, მაშასადამე, ბურუუაზიული სოციალიზაცია ხდება მათი გამავრების გზა და ხიდი. თანამედროვე ბურუუაზიული დემოკრატია თან ატარებს ფაშისტურ სულს, რომელიც სოციალურ საფრთხის პირველ მოახლოვებისთანავე იფეოქტებს. ფაშიზმი როგორც გაზვიადებული ეტატიზმი მისი კლასიური მისწრაფებაა. ეს ერთი იარაღია, ყველა ბურუუაზიის სალაროში შემონახული, დიდი სოციალური კონფლიქტების ხანაში ასამუშავებლათ და თავის ბატონობის გადასარჩენათ.

რაკი ბურუუაზიული სახელმწიფო როგორც თავისი ფორმით, ისე მისი შინაარსით, ეპირდაპირება ხალხურ, პროლე-

ტარულ სახელმწიფოს, ცხადია ძალა-უფლების დაპყრობა დაჩაგრულთა მიერ არ ნიშნავს ამ აპარატებზე, ამ ფორმებზე და მის მუშაობის წესებზე დაყრდნობას. პარლამენტარიზმი მნიშვნელოვანი დივიდუალური საარჩევნო სისტემა, ხალხის და მართველობის ერთი მეორისაგან დაშორება უსაზღვრო ბიუროკრატიზმი, უზომი გადასახადები, მრავალ მილიარდიანი ბიუჯეტი – ერთი სიტყვით მთელი ფარ-ხმალი თანამედროვე სახელმწიფოს უნდა გადავიდეს ისტორიაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის-თანავე და მათი ადგილი დაიჭიროს სახალხო სახელმწიფო აპარატებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალა-უფლების დაპყრობა იქნება პარლამენტარული თამაშის ერთი რეოლი, უბრალო სამინისტრო, რომელსაც დასცემს პირველსავე არჩევნებზე უკმაყოფილო ხალხი. ხალხური სახელმწიფოს ძირითადი ფორმა ჩვენ მოგვცა პარიზის კომუნამ.

აი რას ვკითხულობთ პარიზის კომუნის მიმართვაში ერთ-საღმი:

«ცნობა და გამაგრება რესუბლიკის, ამ ერთათერთი მართველობის ფორმის, შეთავესებული ხალხის უფლებებთან და საზოგადოების თავისუფალ და რეგულიარულ განვითარებასთან.

კომუნის სრული ავტონომია, გავრცელებული საფრანგეთის კველა ადგილებზე. ის უზრუნველყოფს თვითეული ამ ადგილების მთელ უფლებებს და თვითეული ფრანგის სრულად ამუშავებას, ყველა მისი ნიჭის და შესაძლებლობის, როგორც ადამიანის, მოქალაქის და მშრომელის.

კომუნის ავტონომიას ექნება საზღვარი ასეთივე ავტონომიებთან სხვა კომუნებისა, რომელიც ემსრობიან ხელშეკრულობას და რომელთა ასოციაცია უზრუნველყოფს საფრანგეთის მთლიანობას.

კომუნის მიუცილებელი უფლებებია:

კომუნალური ბიუჯეტის, შემოსავალ-გასავლის, მიღება; გადასახადთა დაწესება და განაწილება; მართველობა ადგილობრივ დაწესებულებათა; სასამართლოს, შინაური პოლიციის და სწავლა-განათლების ორგანიზაცია; კომუნის ქონების გამებლობა.

დანიშვნა არჩევანით ან კონკურსით პასუხისმგებლობის

ქვეშ და მუდმივი კონტროლის და გამოცვლის უფლებით კო-
მუნის ყველა მოსახლე პირთა ანუ მოხელეთა. სარკინის უფლებით კო-

სრული თავისუფლება პიროვნების, საინიდისტრიუმების
მის. მოქალაქეთა მუდმივი ჩარევა კომუნის საქმეებში, მათი
აზრის თავისუფალი გამოთქმით, მათი ინტერესების თავისუ-
ფალი დაცვით. ამ თავისუფლების ვარანტიას იძღვა კომუნა,
რომელიც უკრს უვდებს და უზრუნველყოფს თავისუფალ და
სამართლიან უფლებას კრების და სიტყვის.

ორგანიზაცია ადგილობრივი დაცვის და ნაციონალური
გვარდის, რომელიც თვით იწევს თავის უფროსთ და იცავს
წესიერებას კომუნაში.

პარიზი არ ითხოვს არავითარ სხვა უფლებას, გარდა ამავე
პრინციპების განხორციელებისა, ერთათერთი პირობით, რომ
ამ დიდ საადმინისტრაციო ცენტრში თავს იყრიდეს კომუნათა
უფლერაციის დელეგაცია...

მთლიანობა, რომელიც დღემდის თავს მოგვახვია იმპერიამ,
მინარქიამ და პარლამენტარიზმა არის მთლიანობა დესპო-
ტიური, უგუნური, თვითხებითი და საზარალო.

პოლიტიკური მთლიანობა, რასაც პარიზი ითხოვს – ეს
არის თავისუფალი შეერთება ყველა ადგილობრივი ინიცი-
ატივის, ყველა პიროვნულ ენერგიათა თავისუფალი დახმარება
საერთო მიზნით, ყველას კეთილდღეობის და თავისუფლების
უზრუნველყოფისათვის.

ეს არის დასასრული ძველი ქვექნის, ქვეჭნის მთავრობების
და ხუცების, მილიტარიზმის, ბიუროკრატიზმის, ექსპლოატა-
ციის, აქიოტაფის, მონოპოლიების და პრივალეგიების, რომელ-
თა მეოხებით ხდება პროლეტარიატის დაყობა და სამშობლოს
განადგურება და უბედურობა»*).

მოკლეთ, სახელმწიფო არც ბურჟუაზიული, არც ბოლშე-
ვიკური, პირიქით, ის უნდა იყოს დემოკრატიული, ხალხური.
«შეხედეთ კომუნას, აი პროლეტარიატის დიქტატურა», სწერდა
ენგელსი.

ცხადია, ვანდერველდე მართალია, «სოციალიზმი სახელ-
მწიფოს წინააღმდეგია...»

სახელმწიფო ასპარეზზე დღეს გამართული პოლიტიკური

*). ა. Journal Officiel de la Commune, 20 აპრილი, 1871 წ.

ჭიდილი არის უმთავრესათ ბრძოლა არა რეფორმების, არამედ
ძალაუფლების გარეშემო. დღეს ყველა გამატონებული კლასიზის უფლება
თუ პარტია რეფორმებზე გაკიცის, ყველა რეფორმატორული იმპერია
ოლონდ ძალაუფლება კი მას შერჩეს. ხალხი დარწმუნებულია,
რომ რეფორმიზმით მის ტკივილებს ბოლო არ მოეღება; მას
ეჭივრება რადიკალური, ქირურგიული სოციალური ოპერაცია.
ამ პერსპექტივებით შემინებული ბურჟუაზია თვით აკეთებს
პოლიტიკურ დივერსიას და სხვადასხვა სახით ხალხურ რადი-
კალიზმს ეპოტინება. მიმდინარე ისტორიული პერიოდის ძი-
რითადი საკითხია არა რეფორმები, არამედ ძალაუფლება; ვისაც
ის დარჩება და საზოგადოებას დაიმორჩილებს – სახელმწიფო
მისი სახის და ინტერესებისდაგვარათ აეწყობა. ტრადიციული
ბურჟუაზიული სახელმწიფო კრიზისშია, მან დრო მოჭამა, ის
აღარ შეეფერება ახალ საზოგადოებას. მას ორი გზა აქვს –
უკან, დესპოტისაკენ, წინ პროლეტარულ-ხალხური დემოკ-
რატისაკენ, ყველა შუა გზაზე გაჩერებულნი განწირულია. ამ
პრობლემასან სამ პოლიტიკურ ბანაკს, რომლითაც დაყოფილია
საზოგადოება, სხვა და სხვა დამოკიდებულება აქვს. ყველა უე-
რის ანტიდემოკრატიული ბანაკი გაერთიანებულია ბურჟუაზი-
ული დემოკრატიზმის უარის ყოფით და ყოველნაირი საშუალე-
ბით დესპოტის დამკარებით. აქ იბრძვიან დიდის ენერგიით ძა-
ლაუფლების, მთელი ძალაუფლების, ხელში ჩასაგდებათ. მეორე
ბანაკი ბურჟუაზიული დემოკრატია პარალიზმია, შეპროცესილი
ძველი ფორმულებით, უძლური გაიგოს ახალი საზოგადოება
და გამონახოს წამალი გარეშე თავისი დაძველებული კარაბა-
ლინისა. ის იბეკნება ერთ ალაგას და იძულებულია საამდროვო
საკითხებს უპასუხოს დაუსრულებელი სიტყვებით. მესამე ბა-
ნაკი – პროლეტარული და სოციალისტური დემოკრატია იხ-
ლიჩება ორ ტენდენციას შორის: ერთი ფრთა იმყოფება ბურ-
ჟუაზიული დემოკრატიის გავლენის ქვეშ, ხოლო მეორე ფრთა
ენათესავება ბოლშევიზმს და «რუსეთის რევოლუციისათვის მხარის დაჭერის» სახელით ამაგრებს საბჭოთა უსაშინელეს
დესპოტიას. არსებითათ ორივე მიდრეკილების შედეგი ერთი
და იგივეა – მშრომელთა მასის დაშლა და მათი გადასროლა
სხვადასხვა მოპირდაპირე ბანაკებში. ირლევეა რა ამ გზით
პროლეტარიატის მთლიანობა, ირლევეა ამ კლასის კავშირი
ბოლშევიზმით დაშინებულ ხალხის ფართე მასებთან. სოცია-

ლისტური არმია დგას აქტიური მტრის წინაშე, დამზადებული ბული და აქტივობას მოკლებული.

სოც. ინტერნაციონალის მიერ სადისკუსიოთ დასმული ტაქტიკური საკითხი უნდა დასრულდეს მისი რიგების პირველ ყოვლისა იდეიურათ გამთელებით. ხაზი ამ გამთელებისა ერთია — გამოშორება როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის, ისე ბოლშევიკური დესპოტიისაგან და მტკიცეთ, საბოლოო შედგომა პროლეტარულ-ხალხურ დემოკრატიის გზაზე.

ნოემბერი, 1932.

ნვენი გზა

ევროპის ცივილიზაციის დღევანდელი კრიზისი, რაიცა ჩვენ დავახასიათეთ „რა მოხდა“-ში, ჩვენ წინაშე სვამს ერთს დიდს საჭიროობოტო საკითხს: საით მივდივართ, რა მიმართულების უნდა იყოს ჩვენი ერის გზა, მისი განვითარების წესრიგი, რომ თავისი ბიოლოგიური და ნაციონალური მერმისი უზრუნველყოს. ამ პრობლემის გადაჭრა ჩვენგან მოითხოვს კარგად გაგებას და შესწავლას არა მარტო კრიზისის შინაარსის, არამედ აგრეთვე მისი ხელმძღვანელობის, მისი მეთაურობის როლს ამ საშინელ ტრაგედიაში.

დასავლეთის მეთაური ცნობილია — ეს არის პოლიტიკურათ და ეკონომიკურათ გაბატონებული ბურჟუაზია, მატარებელი კაპიტალისტური წარმოების მთელი პროცესის. აი ეს ბურჟუაზიული პოლიტიკა და ეკონომიკა მოდის ხელიხელ ჩაკიდებული, როგორც განუყრელი ერთი მთელი და ახლენს ღრმა ცვლილებას ერის სტრუქტურის ყველა სფეროში.

1850 წლის სტატისტიკით ევროპაში რუსეთიანათ ითვლებოდა 266 მილიონი მცხოვრები, ამაში ქალაქების მცხოვრებინი შეიცავდნენ მხოლოდ თორმეტ მილიონს. აშკარაა, ამ დროს ევროპა წარმოადგენდა მთლიან აერარიულ ქვეყანას და, მაშასადამე, მისი სავსებით ინდუსტრიალურ ქვეყანათ გადაქცევა მოხდა უკანასკნელ ოთხმოცდათი წლის განმავლობაში. ეს სწრაფი განვითარება მიმდინარეობდა, როგორც ერთი მოზღვავებული შეუჩერებელი ტალღა, უპატრონო, უხელმძღვანელო სტიქია, რამაც ასე მოკლე დროში არივ-დარია მთელი დასავლეთის ყოფა-ცხოვრების ძირი და გამოსჭედა ახალი ბოგანური სოციალური ეკონომიკა და ფსიქიკა.

ეს ტალღა აუკედა უცებ, მაგრამ მისი მომზადება და მისთვის ბრძოლა წარმოებდა საუკუნეთა განმავლობაში. დაწყებული საშუალო საუკუნიდან ბურჟუაზის მთელი მოძ-



რაობა ტრიალებდა ერთი ლოზუნგის გარშემო ჭარფვულება ლება. ე. ი. თავისუფლება იმიტომ, რომ მოაწყოს პლატიკისა თავისი ცხოვრება როგორც მას სურს. ამ დროშით მან და-ამარცხა მეფესთან ერთად ფეოდალიზმი, ხოლო შემდეგ თვით-მპყრობელი მეფობა და განახორციელა თავისი იდეალი სავ-სებით, ზოგან მონარქიული ფორმით, ზოგან რესპუბლიკანუ-რით. ამ ჭიდილში და დუღილში განვითარდა უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მე-ს გაღმერთება, პიროვნების საზოგადო-ებაზე მაღლა დაყენება და მის წინაშე ერის და სახელმწიფოს დაჩოქება. აი ამ საუკუნოებით მიმდინარე ტალღა დღეს ტრა-ლიკულათ იმსხვრევა და თან ამსხვრევს ერს, რასას, მთელ მის კულტურას.

ამ თავაშვებულ სტიქიას შეებრძოლა მხოლოდ ერთი მიმდინარეობა: მეთვრამეტე საუკუნეში პუმანიზმის მქადაგე-ბელი ფილოსოფოსები რუსის და მონტესკიოს მეთაურო-ბით, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში სოციალისტები. ორი-ვე ეს მიმდინარეობა არსებითად განაგრძობდენ ძველი საბერ-ძნეთის ფილოსოფოსთა აზროვნებას, რომელიც მუდამ თა-ვისუფლების საკითხში იცავდენ ზომიერებას და მის საერთო ინტერესებისათვის დამორჩილებას. ისინი გამოიიოდენ ერის ინტერესებისაგან. აი რას სწერს პლატონი: „ბედნიერი სიტე (ნაციონალური ერთეული) უნდა იყოს არც მეტად მდიდარი, რაიცა ბადებს უსაქმობას და მოდუნებას, არც მეტად ღარიბი, რაიცა ბადებს დაბალ გრძნობებს, შურს და არუელდარეუ-ლობას. მისი ტერიტორია უნდა იყოს დასაზღვრული ისეთი საზღვრებით, რომელიც ინახავს მის სრულ მთლიანობას. ეს მთლიანობა არის არსებითი პრინციპი ხანგრძლივობის და ძლიერების“. (იბ. რესპუბლიკა). ამავე საკითხს სოციალის-ტები მიუდგენ არა ერის, არამედ კლასის თვალსაზრისით, როგორც საუკეთესო საშუალება მუშა ხალხის გამოსაღვიძე-ბლათ და კაპიტალისტების წინააღმდეგ დასარაზმავათ. ამ ნიდაგზე გაიმართა ბრძოლა ორ ბანაკთა შორის – სოციალი-სტების და ანტი-სოციალისტების. ეს უკანასკნელი ედავე-ბოდენ პირველთ მთელი ერის სახელით და გამოპქონდათ ბურ-ჯუაზიული რეჟიმის გამაგრება ნაციის გამაგრებათ. კლასი და ნაცია ერთმანეთს დაუპირდაპირდა. მთელი ეს ისტორიული კონტექსტი და ბრძოლა თავდაყირა დაატრიალა დღევან-

დელმა სინამდვილემ. გამოჩნდა, რომ სოციალისტური აქტორები როვნება — ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხალხის სასარგებლობის ბლოკ — არის სასარგებლო არა მხოლოდ რომელიმე კლასი-სათვის, არამედ ამასთანავე გაცილებით უფრო უაღრესად სასარგებლოა ნაციის, რასის, ერის სისაღის და სიახალგაზრდავის შენახვისათვის.

გაბატონებული უკიდურესი ინდივიდუალიზმი დაეყრდნო რომის უფლებას, რომლის ძალით მესაკუთრეს შეეძლო მოეხმარა თავისი საკუთრება როგორც მას მოეპრიანებოდა. ამ გაზვიადებიდან წარმოიშვა თანამედროვე ბურჟუაზიული უფლება, რომლის ძალით საკუთრება არის მთავარი ატრიბუტი ადამიანის, მისი მეორე ბუნება. ადამიანს შევიძლიათ შეეხოთ, ხოლო მისი საკუთრება კი ხელშეუხებელია. აქ მოხდა ერთხაირი დაპირდაპირება ადამიანს და პიროვნებას შორის. პირველია მოვლენა ბიოლოგიური, მეორე კი — სოციალური, საზოგადოებრივი. ადამიანი, ვინც უნდა იყოს ის, თანასწორია, ხოლო პიროვნება სხვადასხვანაირია. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ერთიმეორეს ებრძიონ, როგორც პიროვნებები, ინდივიდუებები, რითაც კაცი ხდება კაცად, უმაღლეს არსებათ. რამდენათაც ერთი პიროვნება მაღლება მეორეზე, იმდენათ საზოგადოება მიდის წინ, ვითარდება კულტურა და ცივილიზაცია. აი ამ ბურჟუაზიულ კონცეპციას დაუპირდაპირდა სოციალისტური იდეოლოგია, რომელიც დაეყრდნო სავსებით ბიოლოგიურ მოვლენას, ადამიანს და მისი სასიცოცხლო ინტერესები დააყენა პიროვნების ინტერესების მაღლა. ეს დავა მოდის ძველთაგან, არის შეუწყვეტელი გონიერივი ტალღა, მაგრამ ვერც ერთ ეპოქაში იგი ვერ გადაიჭრა.

ძველი რეაქციონერი თავის აზროვნებაში და მოქმედებაში გამოდის მემამულეთა უაღრესობისაგან და მათი მამულის უპირატესობისაგან საზოგადოებაში. დიდი მამული, აი ერის საფუძველი. ლიბერალები და სხვა ყველა ბურჟუაზიული მიმდინარეობანი აღიარებენ ვაჭრობა-მრეწველობის უაღრესობას და მისი მეთაური კლასის ბატონობას. ყველა ჯურის ტირანები აღიარებენ მთავარ ფაქტორათ ძალმომრეობას, საზოგადოებაზე იარაღის გაბატონებას; მხოლოდ სოციალისტები და ძველი და ახალი ფილოსოფოსები გამოდიან

ადამიანის მოთხოვნილების და მისი ყოველ შერეგად დაკმაც ყოფილების აწყობისაგან. პუმანიზმი მთავარი მისი ხაშურულია პოლიტიკაში, ბუნებრივობა ფილოსოფიაში. ბუნება ქმნის ადამიანს თავისუფალს და თანასწორს, ერთიმეორის მხგავს. ყველა ფერის სოციალიზმი დგას ამ საფუძველზე და ცდილობს დაიცვას მისი ძირითადი თვისებანი საზოგადოებაში. ყველა სხვა მიმდინარეობა ებრძვის და ანგრევს ამ საფუძველს და ქმნის არაბუნებრივ, ანტიბუნებრივ ურთიერთობას ადამიანთა შორის.

სოციალიზმი აცხადებს კონომის საფუძვლათ შრომას, ფიზიკურ მუშაობას; ყველა სხვა მიმდინარეობა შრომის ამ როლს უარყოფდა თავიდანვე და ეკონომიკის საფუძვლათ აცხადებდა ნიჭებს, მოხერხებას, გამჭრიახობას, ფულს, აღებმიცემობას, ერთისიტყვით, ყველაფერს გარდა მუშაობისა. ეს აზროვნება ხატავს უფრო ცხოველთა ცხოვრების წესებს, ვანებ ადამიანებისას; მხოლოდ პირუტყვებს არ ეჭირვებათ მუშაობა თავის სარჩენათ, ისინი იკვებებიან ბუნების მიერ მზამზარეულათ ბოძებულით. აյ შრომა მართლაც სათაკილოა, მიუღებელია; მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო თავისი არსებობის საშუალებათა თავისი შრომით მობოება, ე. ი. არ დაკმაყოფილდა ცხოველივით ბუნების მიერ ბოძებულით, ამით ის გამოეყო ცხოველებს, შექმნა კულტურა, ცივილიზაცია, პროგრესი, მთელი ნივთიერი და სულიერი სიმდიდრე. სოციალიზმი ეკავშირება ამ ძირითად მამოძრავებელ ჩარხს, საზოგადოების ძარღვს და სურს მას დაუმორჩილოს წყობილება; თუ კი ადამიანი გამოეყო ცხოველთა სამეფოს შრომით, ცხადია, მთელი ცხოვრების, ყველა მისი დარგების, ფუძეა შრომა, გარჯა, ხელის გაქანება; მთელი პროგრესი ამ წყაროდან მოდის და მისი გეზით მიიმართება; საზოგადოების სტრუქტურა ემყარება ამ ფუძეს და იცვლება მასთან ერთად. აი ეს აზროვნება ჩვენ გვაძლევს საშუალებას გამოვიდეთ რეალური მდგომარეობიდან, ფაქტიური ურთიერთობიდან და მივიღეთ მის გაების, შეგნების და წარმოდგენის სფერომდე. იბადება იდეოლოგია, აზროვნება, სისტემა, ფილოსოფია. როგორც კი ამ გზას შევაძრუნებთ, გამოვალთ აზროვნებისაგან და წავალთ რეალობისაგენ, მაშინვე სინამდვილე იღებს ფანტასტიურ სახეს და მის ალავს იჭერს ჩვენი წარმოდგენები, ე. ი. ჩვენი

სურვალები, ჩვენი ნატვრა, ჩვენი ინტერესი. ცხოვრება საზღვრავს ჩვენ შეგნებას და არა პირუკულმა. ყოველივე სხვანაყველები ირი მიღვომა ამ საკითხისაღმი არის არა ბუნებრივი. ბუნების მიზანი ვერ გადაჟახტებით და რიგირისტრი

ცხოვრების ცენტრში რჩება ბრამიანი თავისი გარდაუვალი მოთხოვნილებით, იცოცხლოს და თავისი მოდგმა გააგრძელოს. რაც ამ ძირითად საფუძველს უდება, აკმაყოფილებს, მას აადვილებს და ხელს უწყობს, ის არის მისაღები და გასატარებელი. და რადგანაც ადამიანები შეადგენენ ეროვნებას, რასას, კაცობრიობის სხვადასხვა მოდგმას, ცხადია, მათი ყოფა-ცხოვრების საღნიადაგზე აგება ნიშნავს ერის და რასის საღნიადაგზე დამფარებას და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას. რაკი ბურჯუაზიულმა მეთაურობამ საქსებით უარყო და დაანგრია ადამიანის ყველა ბუნებრივი ატრიბუტი, ამით მან განსაცდელ-ში ჩააგდო არა მარტო პიროვნებანი, არამედ თვით ერნი და მათი ხანგრძლივათ არსებობა. დღეს არსებული მდგომარეობა ადამიანებისა პირდაპირ ეწინააღმდეგება ბუნების მიერ დაწესებულ მათ სასიცოცხლო აუცილებლობას. მას დაკარგული აქვს საქსებით ყველა ბუნებრივი უფლებები და ეს არყევს ნაციის მთელ ბიოლოგიურ შენობას. ცხადია, ამ მდგომარეობის შებრუნება, არსებული უწესოების მოსპობა და კაცის კაცად და ერის ერად აღდგენა ნიშნავს უდიდეს რევოლუციას. არსებული ქვეყნის გადასხვაფერება და ახლის აწყობა შეიძლება მხოლოდ რევოლუციით. სოცილიზმი არის პირველყოვლისა რევოლუციური დოქტრინა, რევოლუციური ტაქტიკა და პრაქტიკა.

იტყვიან, ჩვენც, არასოციალისტებს, ადამიანები გვყავს სახეში და აქედან გამოვდივართო. უეჭველია, მათაც ადამიანები ჰყავთ სახეში და არა ძროხები, მაგრამ რომელი, ყველა ადამიანი სახოგადოთ, თუ გამოყოფილი ჯგუფი, ზოგიერთი? სწორედ აქ არის ძირითადი განსხვავება. მათი ადამიანია კონკრეტული წევება, განსაზღვრული ნაწილი, გაბატონებული, თუ ბატონობის მაძიებელი. მათი იდეოლოგია არის ბატონის და მორჩილის, უმცროსის და უფროსის, კლასიური და წოდებრივი. ისინი ეყრდნობიან ისტორიას, ასე ყოფილა, ასე უნდა იყოს. მაგრამ ისტორიის სათავე, მისი ობიექტი და სუბიექტი არის ერთი და იგივე ბუნებრივი მოვლენა — ადა-

მიანი. უიმისოთ არავითარი ისტორია არ არის. ხოლო ადა-
მიანი პირველ ყოვლისა საჭიროებს ცხოვრების ხაშუალეული
ბებს, მას ესაჭიროება საჭმელი, სასმელი, ბინა, ტანისამჩხელე
და სხვა. ყველა ამას ამზადებს თვითონვე, ე. ი. თვითონ ქმნის
თვისი ისტორიის საფუძველს, მაგრამ გზადაგზა ამ საფუ-
ძველს ბდამიანთა უმრავლესობას აცლის უმცირესობა და
თვითონ იჩემებს. აქედან კეთდება დასკვნა: ეს ბატონები, ეს
უმცირესობა, ქმნიან ისტორიას, რომელთა ხელში ერი უბ-
რალო მასალაა, საითაც მოეპრიანებათ, იქით მიაბრუნებენ.
თუ ცივილიზაციის საფუძველია შრომის გაყოფა და მისი გან-
ვითარება დაკავშირებულია ამ შრომის გაყოფის განვითარე-
ბასთან, ცხადია, შრომა, შრომის მეთოდი და ფორმები სა-
თავეა მთელი ისტორიის, მთელი პროცესის, დედა საზოგადო-
ების, მთელი ერის. შრომის აწყობა, მისი განთავისუფლება,
მისი გაბატონება, მის ნაციონალურ მესვერად გადაქცევა,
არის ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრა დღეგანდღამდე
არ მოხერხდა. დღევანდლამდე შრომა არის ხვედრი ერთის, ხო-
ლო მისი ნაყოფის გამოყენება — მეორის. შრომა და შრომის
შედეგი ერთად არ შიძიან, ერთდაიმავე პიროვნებას არ ეკუთ-
ვნიან; უშრომლათ თავის რჩენა-ხაამაყო, საოცნებო სავნათ
გადაიქცა და სწორედ თანამედროვე ბურუუაშიული საზოგა-
დოება ამ ამაყმა ხალხმა დაღუპა; ამ ბატონების ჭეშაზე მომ-
ფვანი, ბუნებრივ კალაპოტში ჩამჭერი ძალა არ გამოჩნდა.

ადამიანთა შორის დარღვეული წონასწორობის აღდგენა
გახდა შეუძლებელი; ამის მიზენია ის, რომ განალებულია თა-
ვიდანვე ბრძოლა კერძო და საზოგადო ინტერესებს შორის. საზოგადოებას ებრძვის კერძო პირი, უმრავლესობას უმცი-
რესობა. მთელი შინაარსი ყველა არსებული საზოგადოების,
სახელმწიფოს გაჩენიდან, აი, ამ ბრძოლაში გამოიხატება;
კერძო და საზოგადო ინტერესების ჰარმონია ვერ დამყარდა;
მთელი თუ კარგათაა, ნაწილიც ხომ კარგათაა, ეს ცხადია,
მაგრამ ეს არ სჯერათ, ამით არ იწყებენ; იწყებენ მუდამ ნაწი-
ლით და ანგრევენ მთელს; ასეთია მუშაობის მეთოდი ერში და
ერთა შორის, რაიცა ბადებს შესაფერ იდეოლოგიას. ყოველ-
თვის კლასი გაბატონებული ნივთიერათ, გაბატონებულია
იდეოლოგიურათაც, მისი აზროვნება არის საზოგადოების
ეპოქის აზროვნება; მხოლოდ მისი დაქანების საფეხურზე ვი-

თარიდება აღმომავალი კლასის იდეოლოგია და იმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კლასი იჭერს ადგილს ძეგლზე რეალუსას რეალურად. ეს მოვლენა კი დღეს, ამ გარდატეხის წინაშე იყო ში, ევროპაში ვერ მოხდა.

ამბობენ, არსებობს ევროპის ცივილიზაცია; უაჭველია არ-სებობს, მარა მას ამორთმეული აქვს სული, გდია მხოლოდ მისი ჩონჩხი. მთლიანი ცივილიზაცია გულისხმობს მთლიან იდეოლოგიას, მთლიან ფსიქოლოგიას, სოლიდარობას, კეთილმეზობლობას და სხვა. ასე იყო ყველა ძველი ცივილიზაციის წევრით შორის. აქ, ევროპაში, კი ეს განონი დარღვეულია. მთლიანი ცივილიზაცია კი ანგრევს ერთობას, აძლიერებს ერთა შორის შედლს, აყაჩალებს მათ ერთიმეორის წინააღმდეგ. როთ აისხება ეს საოცარი მოვლენა? მხოლოდ ერთი მიზეზით, ამ ცივილიზაციის შუაგულში ზის ერთი და-დი მატლი და ლრღნის მას. ეს მატლია კაპიტალიზმი და მასზე აგებული ბურჟუაზიული სულისკეთება, რომლის მთავრი ნიშანია უკიდურესი ეკოიზმი. მისი ერთად ერთი დროშაა გამდიდრება, სამუაღება კი გოველივე მისაღებია. ეს არის ცი-ვილიზაცია ბურჟუაზიული, რომელიც განირჩევა ყველა ძვე-ლისაგან კერძო ინტერესების გაბატონებით. ფეოდალური ევ-როპა გაცილებით უფრო მთლიანი იყო, ვიდრე დღევანდელი; მასში არსებობდა საერთო მორალი, ეთიკა, სიტყვა, პირობა, საერთო ფსიქიკა, ახლა ყოველივე ეს გაქრა და დაეჭანა ევრო-ბა ველურობისაკენ. ამ მოვლენას კავშირი არ აქვს შრომის განაწილებასთან; ამ სფეროში ახალი არაფერი მომხდარა გარ-და დაწყებული შრომის განაწილების გაზრდის და გაზვიადე-ბისა. ამან მხოლოდ შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერა გასაძლი-ერებლათ ბურჟუაზიის თანდაყოლილი ძირითადი თვისებისა — მხოლოდ გამორჩენისა; წინეთ ეს მიღრეკილება მიიმართებო-და ფეოდალური და მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი ორმოცდაათი წელია ის მიიმართება ერის და ერთა სოლიდარობის წინააღმდეგ და მივედით იქ, სა-დაც ამჟამათ ვიმყოფებით.

არის ერთი საბუთი ბურჟუაზიის გამართლებისა. ის იძუ-ლებულია იმუშაოს აღებული ხაზით, დააწეროს თავის დროშას მხოლოდ უკული და უკული თვით ეკონომიკური პროცესის ძალ-დატანებით, კაპიტალისტური წარმოების აუცილებელი კანო-

ნებით. ეს არის სწორი შეფასება აღნიშნული მოვლენის. რა-
საკვირველია, ბურუჟაზის ეს ანტიხალხური და ანტიქროვ-
ნული მუშაობა სრულიად არ გამომდინარეობს მისი ცუდი გა-
ჩრახვისაგან, მისი თავისუფალი სურვილებისაგან, მისი მორა-
ლური დაცემის და ავკაციონისაგან. ყველა კაპიტალისტი, ვინც
უნდა იყოს ის, რა ჩინებული პიროვნული თვისებითაც იყოს
ის აღჭურვილი, იძულებულია კაპიტალის საკითხი დააყენოს
პირველ რიგში, თუ მას სურს იყოს კაპიტალისტი. წარმოიდ-
გინეთ, ერთმა მწარმოებელმა შეიძინა ახლათ გამოგონილი მან-
ქანა და მისი საშუალებით დაამზადა საქონელი იაფ ფასებში,
ხოლო მეორეს არ დაურჩა საკმაო საამისო თანხა და ჩარჩა
დაცველებული მანქანების ამარა. შედეგი: პირველის ბაზარზე
გამარჯვება და მეორის აუცილებელი გაკოტრება. ცხადია,
ასეთი გაკოტრება არავის სურს და იძულებულია თანხების
დაგროვების საკითხი თავის აქტივობის მთავარ საგნათ დასა-
ხოს. მაშასადმე, ბურუჟაზიული მუშაობის გეზს იძლევა თა-
ნამედროვე სოციალური პირობები, ე. ი. დამზადება არა სახ-
მარი ნივთის, არამედ გასაყიდი საქონლის. ბაზარი მისი ბა-
ტონია, ხოლო ბაზარის ბატონია ნაციონალური და ინტერნა-
ციონალური სააღებმიცემობო პირობები. ბურუჟაზიის ამ ტყვე-
ობისაგან გამოხსნა შეიძლება მხოლოდ თვით ამ პირობების
მოშლით, კაპიტალისტური რეემის გაუქმებით და სოციალუ-
რი წყობის დამკვიდრებით. სწორედ ამიტომ რეფორმიზმი, ამ
რეემის შეკეთ-შემოკეთება, უბრალო თავის მოტყუილებაა,
განუხორციელებელი ილიუზიების თესვაა. სანამ არსებობს
ბურუჟაზიის ბატონობა, იარსებებს მისი ყველა თვისება, ამათ
შორის საერთო კონკურენცია. ამ დამანგრეველი მოცილეობის
წინააღმდეგ არის ერთი წამალი — ერთობა, თანხმობა, ერთათ
წარმოება და ერთათ გაყიდვა. და სწორედ ეს არ ძალუდო მათ.
ინდივიდუალიზმი იმდენათ გარდაუვალი კანონია კაპიტალის-
ტური პროცესის, რომ კონკურენციის მოშლას ხდის შეუძ-
ლებლად. მართალია, არსებობს კომპანიები, ტრესტები, ამხა-
ნაგობები, მაგრამ ესენიც მუშაობენ კონკურენციის ფარგლებ-
ში, ებრძვიან ერთიმეორეს ერში და ერთა შორის.

ამ საერთო აფორიაქების შედეგია ის გაუგონარი ამბავი,
რაიცა ეს ორი-სამი წელიწადია ევროპაში ტრიალებს. ცოფი-
ანი მგელივით მივარდებიან ერთიმეორეს, დიდი თუ პატარა

სახელმწიფო სულერთია და გლეჯენ. ჩეხოსლოვაკიას მუშარული
ვარდა პოლონეთი და წაგლიჯა ერთი ბარკალი, მეორეუც წაგირითია
ლიჯა ვენგრიამ, ხოლო დანარჩენი იხელთა გერმანიამ. პო-
ლონეთს მიუვარდა ერთი მხრით გერმანია და მეორე მხრით
რუსეთი და ის დაინაწილეს. გერმანია მივარდა დანიას, ნორ-
ვეგიას, პოლანდიას, ბელგიას და დაიპყრო. რუსეთი შეესია
ფინლანდიას, ნაწილი წაგლიჯა, შემდეგ – ესტონიას, ლატ-
ვიას, ლიტვას და წაიღო; ვენგრია და რუსეთი რუმინიას, ახლა
კიდევ გერმანია და იტალია იუგოსლავიას, მათ აუგა ბოლგა-
რია და ვენგრია. ერთი სიტყვით, ვიმყოფებით დაბურულ ტექ-
ში მხეცებისამარა, ხვალ ვინ ვის გათელავს, ვინ ვის გაცარც-
ვავს არავინ იცის; ასე სამარცხვინოთ ბოლოვდება კაცობრი-
ობის ბურჟუაზიული ეტაპი. ყველა ეს საერთაშორისო რბევა
ხდება ინდუსტრიალური ქვეყნების მფარველობით და წა-
ქეზებით; ზოგი გერმანიის იარაღია, ზოგი საფრანგეთის და
ინგლისის. ეს ორი უკანასკნელი ასე თუ ისე მოეწყვენ, კო-
ლონიები დაირიგეს; გერმანია ვერ მოეწყო, მისი ბურჟუაზია
ვერ გადაიქცა სახელმწიფოთ და არჩია ამოეფაროს უკან სხვა
ძალების ხელისუფლებას, მაგრამ მას იმედი ვერ გაუმართლა
ვერც პოპულარულებმა, ვერც დემოკრატიამ. წამოაყენეს პიტ-
ლერი და მისი საშუალებით ფიქრობენ მიიღონ თავისი წი-
ლი, თუნდაც ოფიციალური იდეოლოგია. მის წინააღმდეგ იყოს
მიმართული. სიტყვიერება არაფერია, საქმე ყველაფერია და
თუ საქმე გაკეთდა, გერმანიის ბურჟუაზიამ მოიპოვა შესაფერი
ბაზარი, მიიღო თავისი წილი, შეუსაბამო იდეოლოგიას და
მის მატარებელს მიაბრძანებენ. ტისენი აჩქარდა, პიტლერს
გადაუდგა თავისი მისის დასრულებამდე, მაგრამ ბურჟუაზი-
ული კლასი არ გადადგომია, ის მასთან არის, თუნდაც უგმა-
ფოფილო და კბილის მლესავი. დრო მუშაობს მისთვის, თუ ხი-
ფათი არ გამოეკრა, თუ მართლა სოციალიზმი არ განხორცი-
ელდა.

საბოლოოთ, მთელი თანამედროვე პრობლემა ტრიალებს
ერთი საკითხის გარეშემო: პიროვნება უნდა იყოს ბურჟუაზი-
ული, თუ ადამიანური. ის უნდა ეწყობოდეს მთელს, საზოგა-
დოებას, თუ პირიქით, მთელი ეწყობოდეს მას და აღმერთებ-
დეს. ეს ორი ერთიმეორის მოპირდაპირე წერტილია, რომლის
შიგნით არის მეორეხარისხოვანი მიხვევ-მოხვევანი. სწორედ

ამ მიხვევ-მოხვევებით სარგებლობენ ძველი აღთქმის მოცი-
ქულნი, იჭრებიან შუაგულში და ახალი „სახარების“ სახელმწი-
უმორჩილებენ პიროვნებას და საზოგადოებას ერთ შუქა ტი-
რანებს. ორში ერთი: ან პიროვნება, ან საზოგადოება; ამათ მო-
ნახეს მესამე გამოსაგალი, არც პიროვნება, არც საზოგადოება,
არამედ რჩეულთა ჯგუფი სხვადასხვა საამდროვო სახელწო-
დებით – სოციალისტი, კომუნისტი, ფაშისტი და სხვა. რასაკ-
ვირგველია, ეს არის პრობლემის ამჩატება, უბრალოთ, მსუბუ-
ქათ წარმოდგენა. ამით ის კიდევ უფრო ბნელდება და მისი
გადაჭრა გვახდება. ამ ძალათ მაცხონეთა პარპაში აერთებს,
აახლოებს პიროვნებას და საზოგადოებას ამ საერთო მტრის
წინააღმდეგ, ე. ი. ხდება მათი ურთიერთობის მიჩქმალვა, მათი
ნამდვილი ხახის დამალვა და მით თანამედროვე პრობლემის
დახურდავება ძველისძველ პრობლემაზე. დღევანდელი პრობ-
ლემის სახე კი ერთია, აშკარაა, წამოყენებულია ჯერ კიდევ
პირველ დიდ რევოლუციაში, ეს არის ურთიერთობა თავი-
სუფლებას და თანასწორობას შორის, გამონახვა ისეთი კალა-
პოტის, სადაც პიროვნება არ ჩაგრავდეს საზოგადოებას და
საზოგადოება პიროვნებას. ეს საკითხი არა თუ არ გადაჭრა
ბურუუაზიულ კულტურამ, პირიქით, პიროვნების თავისუფლე-
ბის გახვიადებით დაანგრია საზოგადოება და გადაისროლა ის
უკან დიდი ხნიძით.

სოციალიზმის ცენტრში დგას ადამიანი, ხოლო ბურუუა-
ზიის – „მე“. ეს უკანასკნელი ახლა შესცვალა „ჩვენ“, ხოლო
ეს „ჩვენ“ არის არა ადამიანი, არამედ ჯგუფი, კლიკა, რომე-
ლიც იმორჩილებს ადამიანს. ჯგუფს ჰყავს მეთაური, რომლის
სიტყვა არის უკრიტიკოთ ასახულებელი, მივიღეთ ისევ „მე“,
ხოლო არა ლიბერალური, არამედ დესპოტიური. ლიბერა-
ლიზმა შესცვალა დესპოტია, დესპოტიამ – ლიბერალიზმი. არც
დესპოტია, არც ლიბერალიზმი, აი, სახალხო ლოზუნგი, ნამ-
დვილი დროშა ამ ქაოსიდან გამოსავალის მაჩვენებელი. ადა-
მიანი არ არის განვენებული არსება, ის არის არსება არა მარ-
ტო რეალური, არამედ ამასთანავე ისტორიული, სხვადასხვა
დროს სხვადასხვა ჩარჩოში ჩაყენებული. მისი პირველი და
მუდმივი ჩარჩოა ოჯახი, შემდეგ კლასი, ნაცია, ის მოძრაობს
ამ ფორმებში და აძლევს მათ ახალ-ახალ შინაარსს. ყველა
ადამიანი პირველყოვლისა ფიქრობს თავისთავზე; ის უეჭველად

ევოისტია, ამ თვისების მოშლა უტოპიაა, არც სასურველია. ის ამოძრავებს და აბრძოლებს ადამიანს არსებობისათვის, უკან მარწმუნებელი სოთ ის გადაიქცევა ღემათ, უაზროთ, უნებისყოფოთ, უენერ-გიოთ. ხოციალიზმი მოითხოვს არა ამ თვისების მოშლას, არა-მედ მის დაქმაყოფილებას ისეთი ნორმებით, რომელიც მეორის ასეთსავე მოთხოვნილებას არ ებრძოდეს. პარმონია ადამიანთა მორის ნიშნავს პარმონიას მათ პირად მოთხოვნილებათა დაქმა-ყოფილების საშუალებათა შორის.

ბურჟუაზიის გაბატონებამდე პირადი ეგოიზმი იყო მეტად სუსტი, მისი ალაგი ეჭირა ოჯახის ეგოიზმს, ე. ი. ოჯახი იყო მთავარი ფუძე საზოგადო ურთიერთობის და მორალის. ბურ-ჟუაზიამ ოჯახი გახდა საანგარიშო კავშირათ, სადაც მთავა-რი ალაგი უჭირავს ფულს. ოჯახი თითქმის დაშალა პროლე-ტარიატში, სადაც ქალი და კაცი იძულებულია ოჯახს გარეთ იმუშაონ და შვილები დავთის ანაბარათ დასტოვონ ან სრუ-ლიად არ იყოლიონ. მაშასადამე, ეს პირადი ინდივიდუალური ეგოიზმი, საიდანაც გამორიცხულია კოლექტივი, არის ბურ-ჟუაზიის ღვიძლი შვილი და გაუქმდება მასან ერთად. მაგრამ ეგოიზმი საღი, ოჯახური, კოლექტიური, ხოციალური, რომ-ლის ფარგალში იპოვის ბირთვება დაკმაყოფილებას დაჩქება, აღდგება, გაბატონდება და საერთო მორალის საფუძვლათ გახ-დება. მაშასადამე, ბრძოლა არსებულ ეგოიზმთან ბურჟუაზიის შენახვით არის ბრძოლა უნაყოფო, რითაც თვით მებრძოლი თავს გაიტეხს.

რაკი ბურჟუაზიამ დაფლითა და დაარღვია ოჯახი, აქედან სოციალისტებმა, განსაკუთრებით მობოლშევიკებმა, გააკე-თეს დასკვნა: ოჯახი საჭირო არ არის, ხალხი შევრეკოთ კო-ლექტიური მეურნეობის ერთ სადგომში, შვილები კი ჩამო-ერთვას დედ-მამას და იზრდებოდენ ცალკე გარეშე ოჯახური ურთიერთობისა და სხვა, რაიცა განახორციელებს ნაწილობრი-ვათ საბჭოთა რუსეთში. ეს ნიშნავს დადასტურებას კაპიტალიზ-მის უარყოფითი ნაყოფისა და მიღებას მისი დამანგრეველი ელემენტებისა. ეს არის იმავე ღროს ანტიბუნებრივი მიღვომა პრობლემისადმი. რაკი ოჯახი ბუნებრივი მოვლენაა, ცხადია, ყველა მისი დამარღვეველი ფაქტორები ანტიბუნებრივია, გა-მოგონებულია, რომელთა მოშლით უნდა აღსდგეს ბუნების ქმნილება. დაშლა, დანგრევა, დაჩაგვრა არის შედეგი ადამი-

ანთა ერთიმეორებზე გაბატონების. თუ კი ბუნებამ ადამიანი გა-
აჩინა თანასწორი და თავისუფალი, ყველა ეს ანტიადაშიანური
მოვლენა არის იმავე დროს ანტიბუნებრივი, რის შოშლა თა-
ვისთავათ ნიშნავს დაბრუნებას ბუნებისაკენ. სოციალიზმი გა-
მოდის რა ბუნებრივი ფაქტორებიდან, ცდილობს ამ ფაქტო-
რებს შეუთანხმოს სოციალური ფაქტორები, სამუდამოდ და-
მარხოს ყველა დუხჭირი ნაშთები ადამიანის ჩაგვრისა და
რღვევისა.

ასე თუ ისე, ეგოიზმი, ე. ი. თავისი ინტერესების წინ დაყე-
ნება და მისთვის მუშაობა სრულიად კანონიერი ადამიანური
მოვლენაა, სამაგიეროთ ბურუუაზიული ეგოიზმი სავსებით ეპი-
რდაპირება ამ მოვლენას. ერთი არის თავისი საარსებო ინტე-
რესების დაცვა, ხოლო მეორე ნიშნავს ხელში ჩაგდებას ყვე-
ლაფრის, რასაც კი შეძლებს და მიახელებს. აქ მოქმედების
სტიმულია არა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ სიმ-
დიდრის შეძენა, სხვათა ინტერესების გათელვა და თავისთავის
გაბატონება. რასაკვირველია, ამ ეგოიზმის შეთავსება საზო-
გადოების ინტერესებთან შეუძლებელია, მათ შორის ორმო გა-
თხრილია, ამიტომ საკუთრება ამ ორივე შემთხვევაში სრული-
ად არ ნიშნავს ერთდაიმავე მოვლენას. ის არის ადამიანისათვის
საშუალება თავის რჩენის, ხოლო კაპიტალისტისათვის საშუა-
ლება სხვისი რბევის, სხვაზე ბატონობის. აი ამ საკუთრების
ჩამორთმევა სოციალიზმის მოთხოვნილებაა, რაიცა სრულიად
არ ნიშნავს ყველა ფორმის საკუთრების გაუქმებას. ადამია-
ნური საკუთრება რჩება, ანტიადამიანური — ქრება. საკუთრების
ასე ორ კატეგორიათ გაყოფა მიუცილებელი პირობაა თანამედ-
როვე პრობლემის გადაწყვეტისა. ყველა ანტისოციალისტი მათ
ერთმანეთში ურევს და ამ საბუთით განგაშობს — საზოგადო სა-
კუთრება უჟღველათ გულისხმობს პიროვნების დამონებას, თა-
ვისუფლების მოსპობასთ. ახლა მათ ახალი საბუთი მიეცათ, ეს
არის საბჭოთა რუსეთი, სადაც მართლაც ყოველნაირი საკუთ-
რება მომსპარია და ადამიანი დამონებულია, მაგრამ ეს მაგა-
ლითი სრულიად არ ჩაითვლება საბუთად, ვინაიდან მას არა-
ვითარი საერთო არ აქვს სოციალიზმთან, ადამიანურ სოცია-
ლურ წყობილებასთან. მოსკოვში არც საზოგადოებაა, არც
ადამიანი, არის მხოლოდ ტირანების შაიკა და დამონებული
ბრბო.

ამნაირად ახალი წყობილების ფუძეა: ადამიანი, აზამიაზული
ნური საკუთრება, ადამიანთა თავისრილობა ანუ საზოგადოებრივია
და საზოგადოებრივი საკუთრება. ამ ორნაირი საკუთრების
კოორდინაცია, მათი ურთიერთობის ჩამოყალიბება ისე, რომ
ერთიმეორებს არ სპობდეს, არ ისპობოდეს ადამიანის თავისუფლება
საზოგადოების მიერ, არც საზოგადოების თავისუფლება
ადამიანთა მიერ. ადამიანისათვის სულერთია ვინ ჩაგრავს მას,
კერძო პირი თუ საზოგადოება, ეს ორივე ჩაგვრაა. მოსპობა
ერთის და შემოღება მეორის, ეს სიზიფის შრომაა. უნდა დავ-
რჩეთ რეალური ჰუმანიზმის საფუძველზე. სოციალური პრობ-
ლემა არის არა პრობლემა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომი-
კური, კულტურული, არამედ უმთავრესად ჰუმანიური, ადამია-
ნური. ცვლილება პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული
სირულიად არ ნიშნავს თავისთავად ცვლილებას ადამიანურს,
ჰუმანიურს, სადაც ადამიანი, როგორც ამნაირი, იმარჯვებს.
ყველა ასეთი ცვლილება არ ახალია, ძველია. ისტორია მხო-
ლოდ ამ პროცესს ძოვვითხრობს. ის სდემს ჰუმანიური მსვლე-
ლობის შესახებ, ვინაიდან ის არ არსებობდა, უკეთ არსებობდა
ანტიჰუმანიური მსვლელობა ისტორიულ ფაქტებში გამოხატუ-
ლი, სიტყვა და საქმე ერთიმეორეს დაუპირდაპირდა. ქრისტეს
ჰუმანიზმი გადაიქცა რელიგიურ ოქებათ, ადამიანთა ქლეტათ;
ფილოსოფონთა ჰუმანიზმი ბურჟუაზიულ სინამდვილეთ, მის
ანტიტეზათ. რასაკვირველია, ამ მწარე სინამდვილის განხორ-
ციელება არ მომხდარა თავისთავად, ადვილათ, დად დაბრკოლე-
ნათა დაუძლევლათ. რევოლუციის მესვეურები რობესპიერი,
სენეუსტი და სხვები ხასტიქათ ებრძოდენ ამ სინამდვილის გა-
მარჯვებას. რას უპირდაპირებდენ? კარლ მარქსის სიტყვით
რობესპიერის იდეალი იყო „დემოკრატიული და სახალხო
მთავრობა“, აგებული ერთ პრინციპზე, ეს პრინციპია სათხოება,
კეთილმოქმედება, რამაც ისე სასწაულებრივათ აამაღლა ძვე-
ლი სახერძნეთი და რომი და რამაც უნდა აამაღლოს რესპუბ-
ლიკანური საფრანგეთით. სენ უსტისათვის „რესპუბლიკანე-
ლობა ნიშნავს ანტიურ თვისებებს – ზომიერებას, უბრალოე-
ბას, გულადობას და სხვა“. აი, ამ დემოკრატიზმის გამარჯვება
ვერ შესძლო ტერორისტულ რეჟიმმა. ბურჟუაზიული სტიქია
აიშვა, მისი დაბმა და თავის სამსახურში დაეყნება მოინდომა
ნაპოლეონმა, მიზანს ვერ მიაღწია, ის ვერც რესტავრაციამ

დააბა, ხოლო ლურ ფილიპეს გამეუებიდან სავსებით აიწყებიტა და მოგვიყვანა ჭენებ-ჭენებით ღლევანდლამდე. ახლა ჭიტლერი იმეორებს ხაპოლეონის ცდას, მოიშვის იმავე ნაყოფს. რატომ? აი, აქ მარხია რეფორმიზმის უტოპიური სულისკვეთეთება. აწყვეტილი ბურუჟაზის მოთვინიერება შეუძლებელია, ის ან უნდა იყოს, ან არა; კი — არა ოცნებაა, განუხორციელებელია. ურის პატრონი, ხაზეინი, მეთაური უნდა იყოს ან ის, ან ხალხი, ხაზოვადოება, მესამე გამორიცხულია. ორივეს ერთად პატრონობა თავის მოტყუილებაა, რის პოლიტიკური გამოხატულებაა პარლამენტარიზმი.

ამნაირათ, თავიდანვე, კერძო ინტერესების აშვებით და გაბატონების დღიდან, მას თან დასდევს აჩრდილი საერთო ინტერესების, რაიცა ხანდახან იქცევა ძალათ, ამარცხებს მას, როგორც ეს იყო ხოლონის ღროს ათინაში, მაგრამ ჩქარა თვით მარცხდება და ოპოზიციური ბრძოლით კმაყოფილდება. ამ შეურიგებელი ისტორიული ოპოზიციის ფორმაა ხოციალიზმი, მეცნიერული, რევოლიუციური და ხალხური. ეს მიმდინარეობა უკანასკნელი ორმოცი-ორმოცდაათი წლის განმავლობაში ძლიერდება, მასაში ვრცელდება, ერთათერთ ხოციალურ ტალღათ ხდება და თვით მოწინააღმდეგებთა ბანაკშიაც იჭრება. აქ მან მიიღო მოუღოდნელი შეხვედრა. მისი ერთი ძირითადი დებულება — ეკონომიური განვითარების ხელმძღვანელობა ცნობილი და მიღებული იქნა, მხოლოდ „შესწორებით“ — ეს ხელმძღვანელი უნდა იყოს იგივე ბურუჟაზია. იწყება ეტატიზმი, ოფისები, ღიდი ბიუჯეტი, ჩინოვნიკების გამრავლება, ერთი სიტყვით, ცნობილი თანამედროვე ხახელმწიფო. ამ ტალღამ გაამრუდა რა ხოციალიზმის გზა, გაამრუდა თვით ხოციალისტების აჩროვნება, მათი პოლიტიკა, მათი მოქმედება და გამოაცხადეს, ახლა დაიწყო ხოციალიზმის განხორციელებაო. მოხდა და კი სულ უბრალო ამბავი. ბურუჟაზიამ ერთი თავისი ეკონომიური პოლიტიკა — ლიბერალური — შესცვალა მეორეთი — ეტატიზმით. პირველი იყო დიდი პროგრესიული ფაქტორი, აახლებდა მთელ ნივთიერ და პოლიტიკურ ურთიერთობას ერში და ერთა შორის; ის მოვიდა, როგორც გრიგალი, შეუდრევებელი რევოლიუციური ტალღა და შესცვალა ძველი დახავსებული ეკონომიკა ახალით. მეორე კი მოვიდა, როგორც რეაქცია პირველის, საერთაშორისო ეკონომიური პოლიტიკის, ჩაიჭედა თა-

ვის ნაციონალურ ჩარჩოში, მიიმართა უცხო ერთა წინააღმდეგურული დამონა კერძო და სახელმწიფო ფინანსები, მთავრდა ქალქები მაგარი უნაგირით და ამ თამასში შეიფანა სოციალისტებიც, როგორც უკანონო მფილები. ფინანსიური კაპიტალის სრული გაბატონება გახდა მისი მოქმედების მთავარი შინაარსი.

ევროპის დღევანდელი ანარქია, მისი საშინაო და საგარეო კოლიზია მომდინარეობს ერთი ძირიდან – დიდი ინდუსტრიალდან. აგრარიული ქვეყნების პრობლემის სათავეა არა ეს ძირი, რაიცა არ არსებობს, არამედ მიმდინარეობა ამ დიდი ინდუსტრიის შესაქმნელათ და გახატონებლათ. აქ წარმოებს საამისო ნიადაგის მომზადება საკუთრების და ფულის აღებ-მიცემის სფეროში. წვრილი საკუთრების დაბერავება, მოვახშე კაპიტალის თარეშობა, სოფლის ხალხის ლტოლვა ქალაქებისაკენ, ლუკმა პურის ძებნა ქარხნებში, ყველა ეს ქმნის ნიადაგს ინდუსტრიის გაძლიერებისა. ამ პროცესს მეტაურობს უმთავრესად ინდუსტრიალური ქვეყნების კაპიტალი. ამ ორ სხვადასხვა ეკონომიკურ საფეხურზე სოციალური საკითხი სხვადასხვა სახისაა და სხვადასხვანაირათ დგას. რაც რეგრესიულია პირველზე, პროგრესიულია მეორეზე. მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო სისტემა უდიდესი რეეტლიურია აქტი იყო ყოველგან მთელს ევროპაში წინეთ, როცა ის წესდებოდა. დღეს კი ის გადაიქცა რეაქციონურათ, იარაღათ ქვეყნის ნგრევის და ყველა ოხრების გაბატონების. რატომ? იმიტომ რომ ბურჟუაზიული სახოგადოება თავის პირველ საფეხურზე არ არის მკაცრათ დანაწილებული, დაპირდაპირებული, შინაური კონფლიქტებით გაწინმატებული. ის კიდევ დაახლოებით ერთგვარი სახოგადოებაა და როგორც მთელი, ჩაბმულია ძველ თავად-აზნაურულ ნაშთებთან ბრძოლაში; აქ ხალხი ამოდის დაბლიდან და ითხოვს თავის აღვილს ქვეყნის მმართველობაში. ასეთივე მდგომარეობაა დღეს ყველა აკრარიულ ქვეყნებში. ინდუსტრიალურში ეს გარემოება დღეს რადიკალურათ გამოცვლილია. ბურჟუაზია იმდენათ ძლიერია, იმდენათ გამდიდრებული და გავლენიანია, რომ მთელი ერი მის მორჩილებაში ჩავარდა და მას ემსახურება. ხალხის სუვერენობა, მისი საარჩევნო უფლება გადაიქცა იარაღათ ბატონობისა არა ხალხის, არამედ ბურჟუაზისა. ყველა პარტია, ყველა სინდიკატები და კომპერატივები მოექცა ამ საერთო

ტალღაში, არსებული წყობილების შენახვის ფარგალშეარტლექტ
ბაუერის და სხვა ნეო სოციალისტების აზრი – ვითოში ჰქონდება
ალიზმის განხორციელება შეძლება პარლამენტარიზმით, ამ
ამ მიმდინარეობის გამოხატველია. მათ დაავიწყდათ, რომ
ასეთი გარდაქმნა შეუძლებელია, ამას არასოდეს არ დაუშვე-
ბენ გაბატონებულნი და რომ ეს ასეა, ეს თავის ზურგზე გა-
მოსცადეს ამ უტოპისტებმა – ბაუერი და მისი პარტია გამო-
დენეს თავისი ქვეყნიდან და მათ მიაყოლეს ყველა სხვა სოცი-
ალისტური პარტიები.

აქედან ერთი დასკვნა. ეკონომიკური პროცესის ხელმძღვა-
ნელობა ხალხის მიერ გაცილებით უფრო ძნელი მისაღწევია
ინდუსტრიალურ ქვეყნებში, ვინემ აგრძარიულში. ჩვენ, საქარ-
თველოში, სწორედ ამ ხელმძვანელობას ვმეთაურობდით, ხო-
ლო ბურჟუაზიული ოპოზიცია სუსტი და დაჩაჩინა კებული
გვყვდა. აქ კი ოფიტ სოციალისტები ჩავარდნენ ბურჟუაზი-
ული ხელმძღვანელობის კალაპოტში. საყოველთაო საარჩევნო
უფლებამ ჩვენში მოგვცა სოციალისტების მეთაურობა, ხოლო
აქ კი მუდამ იძლევა ბურჟუაზიის ბატონობას. ის, რაც ჩვენში
რევოლუციურია, აქ კონსერვატიულია. ჩვენშიაც ეგრევე
მოვლენა გამეორდება ოცი ორმოცი წლის შემდეგ, თუ ეკონო-
მიკის ხელმძღვანელობა ხალხს არ ჩაუვარდა ხელში.

ინდუსტრიალურ ქვეყნებში დგას მხოლოდ ერთი ძირითა-
დი საკითხი: ბატონობა მუშა ხალხის, თუ ბურჟუაზიის, ყველა
სხვა პალიატივები, რეფორმიზმი, ორატორობა, პოლიტიკური
იამაში, გზა და ხიდია ძირადი კარიერის გასაკეთებლათ, შე-
საძენათ სახელის და სახრავისაც.

ერთი დიდი შემცდარი აზრი, რაიცა მეტად გავრცელდა
სოციალისტებთა შორის შეიცავს შემდეგ დებულებას: ბურ-
ჟუაზიის გაბატონება არის წინასწარი პირობა მუშა ხალხის
გაბატონების. აი, ამ აზრმა არივ-დარია სოციალისტების ტაქ-
ტიკა, გამრუდდა მთელი მათი ბრძოლის ხაზი. აქედან რა მი-
ვიღეთ? რაკი გერმანიაში მაგალითად, ვერ მოხდა ბურჟუაზიი-
ს პოლიტიკური გაბატონება, ამიტომ ვერც სოც.-დემოკრა-
ტიამ მოახდინა სოციალური რევოლუცია 1918 წელს და დაკ-
მაყოფილდა დემოკრატიული რევიმის შემოღებით. ჯერ ბურ-
ჟუაზია, შემდეგ ჩვენო, აღიარებდენ ისინიც, ხოლო ცოტა
ნის შემდეგ ეს უმწეო ორი კლასი გამორეკა პიტლერმა მარ-



თვეელობის სფეროდან, როგორც ცხვრები. ასე მოხდა ყოველწლიურად გან ერთი გამოკლებით. 1871 წელს პარიჟის კომუნამ ამართავისტის სიციალისტური დროშა, თუმცა ბურჟუაზია ახალგაბატონებული იყო ვერსალში. პარიჟის პროლეტარიატი არ აყვა ღოქტრინის – ჯერ ერთი, შემდეგ მეორეთ და მოინდომა პირდაპირი მოქმედება. ეს გაკვეთილი სავსებით დაივიწყა მეორე ინტერნაციონალმა და მას მიაყოლა თვით დებულებაც – ჯერ ის და შემდეგ ჩვენ; ამის აღავს წამოაყენეს ახალი მოძღვრება – ბურჟუაზიაც და ჩვენცო.

ყველა ეპოქის ეკონომიკას ჰქონდა ხელმძღვანელობა, დაწყებული ფარაონებიდან. ავი იყო, თუ კარგი, დესპოტიური, თუ თავისუფალი, ვიღაცა უეჭვილად უწევდა პატრონობას ნივთიერ მდგომარეობას და აწყობდა თავის შეხედულებისამებრ. ასე იყო ფეოდალურ პერიოდში, როდესაც თითოეული ფეოდალი ზრუნვლა თავის სამფლობელოში ნივთიერი პროცესის აწყობაზე. მხოლოდ ბურჟუაზიულ პერიოდში დაიბადა ის აზრი, რომ ეკონომიურ განვითარებას არავითარი ხელმძღვანელობა არ ეჭირვება, თვითეულ პიროვნებას აცალეთ მოქმედება, აცალეთ მოძრაობა. ეს სრულიად ახალი მოძღვრება ისტორიაში გახდა მამოძრავებელი ღერძი კაპიტალიზმისა და მიიყვანა მსოფლიო დღევანდელ საშინელ კრიზისამდე. ისტორიამ შერი იძია და გადარეული საზოგადოების ჰქუაზე მოყვანას მწარე სახელით ახორციელებს. ახლა ვინ არ გაყვირის სოციალიზმზე, რევოლიუციაზე, ხელმძღვანელობაზე. პეტერის მიერ გამოშვებულ სამაისო ფურცელში გასამტერებელი საბუთებით განათებულია სოციალური პრობლემა. ის, რაც მთელმა ბურჟუაზიამ ვერ გაიგო, თუ არ გაიგო, ეს დენერალი მკაფიოთ გამოხატავს. ის სწერს: „კლასთა ბრძოლა არ მოისპონა მანამდე, სანამდე არ მოისპონა მისი გამომწვევი მიზეზებით“-ო, ჩამოთვლილია ეს მიზეზები დაახლოებით ჩვენი სიტყვებით. ეს ჩინებულია, მაგრამ საშუალება? პრობლემას კარგათ ხედავენ ღიქტატორები, მხოლოდ წამალი ვერ დაუნახავთ, ხალხის გაბედნიერებას უხალხოთ ლამობენ. ძველი უტოპიზმი გაცოცხლდა.

დღევანდელ ისტორიულ პერიოდში დგას ერთი ძირითადი გამოცანა, დგას აშკარათ, საჯაროთ და საყოველთაოდ დანახული. ეს ამოცანაა ეკონომიური მსვლელობის ჩაბრუნება

ისტორიულ კალაპოტში, ხელმძღვანელობის საქაფერებელი მას უნდა აედგას ლაგამი და ამუშავდეს ადამიანის ჰყავლებრძევა ლოთ. ახლა მაინც ნათელია, რომ ეს საკითხი არ არის ვიწრო კლასიური, როგორც მუდამ ეგონათ, არ არის გამოვონილი პროლეტარიატის გასათავისუფლებლათ, მშრომელთა კეთილდღეობის შესაქმნელათ, პოლიტიკური და სოციალური მიზნების მისაღწევათ, არა, ის უფრო ღრმაა, ის არის უმთავრესად საკითხი ერის, რასის, გვარტომობის არსებობის შენახვის. საღი ეკონომიკა არის აკვანი საღი ეროვნობის, ჯანმრთელ საზოგადოების. გაკვეთილი მივიღეთ საქვეყნოთ. დიდი ერის საფრანგეთის მორალური კრიზისი არის შედეგი ამ აწყვეტილი უთავბოლო ეკონომიკის და ასე სოციალური საკითხი გადაიქცა ნაციონალურ საკითხათ, სოციალიზმი ცივილიზაციის მხხნელათ. ამას დღეს ყველა ხედავს. პეტენიც კი აღაპარაკდა ამ ჰანგებზე.

როგორც ზემოთ ვთქვით, სოციალისტურ მოქმედებას აფერხებს და მას ძირს უთხრის თვით დოქტრინაში შეჭრილი ფატალიზმი, დეტერმინიზმი, ცდა მოვლენათა დაწმიუებამდე, რომლის შემდეგ ყველაფერი თავისუფლად მოვარდება. სად იწყება და როდის თავდება რევოლუციის ეს მომწიფება არავინ იცის. ეს აზროვნება ბადებს პასივობას, სიზანტეს, უნებისყოფობას და უენერგიობას. ბურჟუაზიული ეკონომიკა არა თუ მომწიფდა, არამედ კიდევაც დაღპა, აყროლდა, ხოლო სოციალისტები კიდევ მომწიფებას უცდიან და ხმას არ იღებენ. კ. მარქსს ითხმოუდაათი წლის წინეთ ეგონა სოციალური რევოლუციის შესაძლებლობა, ხოლო მეორე ინტერნაციონალს დღესაც ნააღრევათ შიაჩნია.

ეკონომიური პროცესის ხელმძღვანელობა თავისთავად კიდევ არ ნიშნავს პროგრესს, წინმსვლელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი ძეველი ცივილიზაცია არ დაიღუპებოდა და თუ დაიღუპა, ამის მიზეზია ამ ხელმძღვანელობის ამუშავება არა ხალხის, არამედ გაბატონებულთა სასარგებლოდ. ამათვის ხელმძღვანელობა გახდა მეტად სარფიანი ისე, როგორც ბურჟუაზიისათვის თანამედროვე ხელმძღვანელობა (ეტატიზმი), ვინაიდან შეერთებული ძალონით ხალხს აშრომებდენ თავის სასარგებლოთ. არასოდეს ბურჟუაზიის განკარგულებაში არ ყოფილა იმდენი თანხები, რამდენიც შათ

შიეცათ ამ უკანასკნელ ათ-თუთხმეტ წელიწადს. როგორ? სულ უბრალოთ. მათ მონახეს მრავალნაირი ხვრელები, საბუღალტო დანაც ამოქონდათ ხალხის ჯიბიდან შემონახული პატარა თანხები და იყენებდენ თავასი კომბინაციებისათვის. ფინანსი-ური კაპიტალის გაბატონება მოხდა სწორედ ამ გზით. ხოლო ჩვენმა სოციალისტებმა ეს მიიღეს სოციალიზმის დაწყებათ.

რატომ სოციალისტები აითქვავენ ბურჟუაზიულ რეფორმატორებში? ამის მიზეზია დოქტრინის ერთი დებულება, რომლის ძალით კაპიტალიზმის თანდაყოლილი თვისებაა ქონდეს ფაბრიკაში წარმოების ორგანიზაცია, ხოლო მთელ საზოგადოებაში წარმოების ანარქია, რომელთა შორის მუდმივი ანტაგონიზმია. ამ ანტაგონიზმის აუცილებელი შედეგია სოციალური რევოლუცია. ეს დებულება არ გამართლდა. ის სწორი იყო კაპიტალიზმის პირველ პერიოდში; ეს კარგათ გათვალისწინებული ბურჟუაზიამაც და შეუდგა ამ ანტაგონიზმის მოსპობას ეკონომიკის ხელმძღვანელობის აწყობით და კიდევაც მიაღწია მიზანს მოლაპარაკის მაინც. საფრანგეთი ამზადებდა იმდენ საქონელს, რამდენიც მას ესაჭიროებოდა. გამოჩნდა, რომ კაპიტალიზმის მიუცილებელი თვისება ისპობა, ხოლო კაპიტალიზმი მაინც რჩება. სოციალისტებმა კი გადაწყვიტეს, რაკი გეონომიკით ხელმძღვანელობა დაიწყო, ამით დაიწყო კაპიტალიზმის მოსპობაც. სოციალისტური დოქტრინით ამ ხელმძღვანელობის აწყობა არის საქმე პროლეტარიატის, სინამდვილეში კი მას ხელი მოკიდა ბურჟუაზიამ, რამაც დავთარი დაუბნია პროლეტარიატს. ეგონათ, მათ საქმეს აკეთებენ ბურჟუა რეფორმატორებია. რევოლუციური სინდიკატები თანდათან გაოპორტუნისტდენ და ბოლოს ლეონ შეაფარეს თავი.

ეს ახალი ეკონომიური წესები თავისთვალ ბადებს უმუშევრობას, მაშასადაც, მუშათა მასის გარევოლიუციონერობას, სოციალური ანტაგონიზმის გაძლიერებას. ამას კარგათ მიხვდა ბურჟუაზია და თავისთვის სარფიანათ ჩასთვალა უმუშევრობა მუქითათ რჩენა და მით რევოლუციისათვის კბილების ამორთმევა. ამ გზაზე წავიდა ყველა მთავრობა; არ გამართლდა სოციალიზმის დებულება — მაშინის განვითარება ბადებს უმუშევრობას და მით სიღატაკესო. უმუშევრობა დაიბადა, ხოლო სიღატაკე მას არ მოყვა, ბინა და საჭმელი მა-

ინც ყველას დაურჩა. ფიქრობდენ, ეკონომიური კრიზისი ისე /
გაამწევებს მასების მდგომარეობას, რომ რევოლუციაზე მფრთ-
ქებსო. სინამდვილეში კი ეკრიპტა ამ კრიზისიდან ჰქონ გამო-
ვიდა, ხოლო სოციალური რევოლუცია კი არსად არ მომ-
ხდარა; მან მოგვცა საშინელი ომი, ხოლო რევოლუცია კი
არსად, არც დამარცხებულ და არც გამარჯვებულ მომარ
ქვეყანაში. ამნაირათ ასრულდა წარმოუდგენელი — მორიგება
კაპიტალისტური მითვისების და მუშათა კმაყოფილებას შო-
რის. და ეს იმიტომ, რომ ამ მითვისების პროცესში ერთი ზედ-
მეტი ლუკმა მუშებსაც გადაუგდეს და მით ისინი ჩააჩუ-
მეს.

როგორც ვხედავთ, ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალისტური წარ-
მოების სრულიად ახალ პერიოდში, რომლის შესახებ ვწერ-
დით ამ რამდენიმე წლის წინეთ (იხ. „ჩვენი დროის ეკრიპტა“)
და რაც დარჩა შეუმჩნეველი, ახლა კი საშინელმა კატასტრო-
ფამ მრავალს აუხილა თვალები. საერთო ძილმა მოამზადა ნი-
ადაგი არა მარტო კლასის, არამედ აგრეთვე ერის დარბევის.
კაპიტალიზმის ამ ახალ პერიოდში ობიექტიურათ გაცილე-
ბით უფრო აღვილია სოციალიზმის განხორციელება, ვიდრე
ეს იყო ინდივიდუალიზმის პერიოდში. რაკი დღეს მიღებულია
ეკონომიკის ხელმძღვანელობა, წარმოების და აღებ-მიცემო-
ბის საშუალებათა თავის მოყრა სახელმწიფოს ზედამხედვე-
ლობის ქვეშ, ცხადია, ამით მოცემულია ფორმა სოციალური
ეკონომიკის. მაგრამ ამ წყობის ხალხის სასარგებლოთ ამუ-
შავება მოითხოვს აუცილებლათ თვით სახელმწიფოს ხალხის
მიერ დაპყრობას. და სწორედ ეს გზა მიატოვეს სოციალის-
ტებმა და ის შესცვალეს პარლამენტარიზმით, კენჭობით, გა-
უთავებელი ყბედობით. ახლა მოვიდა ჰიტლერი და წესი აუ-
გო ამ ყბედებს. სოციალიზმის დროშა ააფრიალა მარსელ
დემი! ეს ნიშნავს, რომ ობიექტიურათ სოციალიზმის ნიადაგი
მომზადდა, ხოლო სუბიექტიურად ის აღმოჩნდა მოუმზადებე-
ლი, იდეიურათ დაბნელებული და რადგანაც ბოლოს და ბო-
ლოს ობიექტივიზმი პოულობს გამოსავალს, მანაც იპოვა ის
ახლა გერმანელთა შემოსევაში და აქედან წარმომდგარ ახალ
კრიზისში. ნათქვამია, ბუნებას კარებიდან გააგდებ, ფანჯრე-
ბიდან შემოვაო.

როგორც ბუნების კანონებს ვერ შეაჩერებთ, ისე საზოგა-

დოების სტიქიურ მსელელობის კანონებს ვერ შეაჩერებთ.
ამ მხრით ესეც ემზგავსება ბუნების აუცილებლობას და მბრძა-
ნებლობას. თუკი დადგა საზოგადოების გარდაქმნის უაკველი
ვტაპიდა და ეს არ ესმის ადამიანის გონიერას, ის მაინც ხდება რა-
იმე კატასტროფის სახით. ზოგი ჭირი მარგებელია, ეს კატას-
ტროფაც მარგებელია, ვინაიდან მომწიფებულ პრობლემას
დღის წესრიგში სვამს და აქეთ მიაპყრობს საზოგადოების ყუ-
რადღებას. ბურუუაზის პარპაშობის გაგრძელება კიდევ დიდ-
ხანს იქნებოდა საბედისწერო საფრანგეთის ერისათვის, ახლა
კი იმედია მისი გამობრუნების და აღდგომის, თუმცა არა ისე
სწრაფათ, როგორც ეს სასურველია.

თუკი ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ გადავწყვეტით, რომ
ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხალხის მიერ არის აუცილებე-
ლი პირობა ერის და საზოგადოების სისალის, დარჩება გადა-
საჭრელათ მეორე საკითხი — რა გზით, რა საშუალებით შეი-
ძლება ამ მიხნის განხორციელება. აი ამ ხაზზე გადამჭრელია
ერთი მოსაზრება: ყველა ერის ერთი საზომი ვერ მიაღება,
ეკონომიკური პირობები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანა-
ირია; ინდუსტრიალური ქვეყნებიც განირჩევიან ერთიმეორი-
საგან, რა გასაკვირალია აგრარიული ერები მათ არ ემზგავ-
სებოდენ. მაშასადამე, სოციალურ პრობლემას ყველგან აქვს
ხასიათი რეალური, სახე ისტორიული, შინაარსი ფაქტიური და
ერთი გაზეპირებული ფორმულებით მას ვერ გადავჭრით. სო-
ციალური არე ინდუსტრიალური ქვეყნების დიდად განხორჩევა
სხვა ქვეყნებისაგან, იქ ბატონობს სავსებით ბურუუაზიული
ეკონომიკა დაგვარგვინებული ბურუუაზიული ხელისუფლებით,
იდეოლოგიით, კულტურით, პოლიტიკით. იქ, სადაც ინდუს-
ტრია ახალგაჩნილია, საერო ეკონომიკა მის ჰქონის კიდევ არ
არის აეგბული. საქონლის კეთება და გასაღება ჯერ კიდევ არ
გამხდარა ერის მთავარ სარჩოთ, ამიტომ აქ ბურუუაზის ბა-
ტონობა ჯერ კიდევ არ დამდგარა, ის მხოლოდ იწყებს თავის
განვითარებას, თავის აღორძინებას და ერის კისერზე მოსაჯ-
დომათ მომზადებას. სამაგიეროთ აქ არიან სხვა ბატონები —
მემამულენი, ტირანები, ყველა ჯურის რეაქციონერები, ამათი
თავიდან მომორება პირველი პირობაა მომავლის გამოჭედის,
ხოლო ეს გამოჭედა უნდა იკისროს დაჩაგრულმა ხალხმა, რო-
მედიც შედგება გლეხების, მუშების და წვრილი ბურუუაზისაა

გან. ჩვენში სწორედ ეს პროცესი დაიწყო ბევრი წყლის დანგრევით. ამ ეს მასა, ხამი კლასის ბლოკი გამოვიდა, ანუ რეზჩე და შეუდგა თავისი ბედის თავისავე ხელში აღებას. ამ დროს მათ თავს დაესხენ რუსის ტირანები და აქციეს ისინი თავის მონათ. ამ უდლის გადაგდება არის ერთადერთი პირობა შეწყვეტილი პროცესის განახლების და გაგრძელების. მაშასა-დამე, საამდროო ჩვენი ამოცანა — მოსპობა არა გაბატონებული კლასის, რომელიც არ არსებობს, არამედ გაბატონებული უცხო ტირანის. მაგრამ სხვა ქვეყნებში ასე ნათლათ არ დგას სოციალური ხაკითხი. თუ აგრარიულ ერებში სოციალიზმის მომხრენი ცოტანი არიან, ამის მიზეზია თვით სოციალისტები, ამათ ვერ შეძლეს შეერთება, მორიგება პროლეტარული და წერილი მესაკუთრის სასიცოცხლო ინტერესების, ვერ გადვეს მათ შორის ხიდი ვერც იდეოლოგიურათ, ვერც პოლიტიკურათ და ჩავარდენ სეკტის მდგომარეობაში. სოციალისტური პოლი-ტიკის და ტაქტიკის რევიზია ამ თვალთსაზრისით ვერ მოხდა.

სოციალური ძალა მიშვებული მის ამარათ ბუნების ძა-ლას უდრის, არღვევს და ანგრევს ყოველივეს, რაც წინ გადა-ელობება; მაგრამ თუ ეს ძალა შევიგნეთ, მისი თვისებები გა-ვიგეთ და შევისწავლეთ, მისი ამუშავება საზოგადოების სა-სარგებლოთ გაადვილებულია. ინდუსტრიალური განვითარე-ბა აუცილებელი და სასარგებლო ყველა ერისათვის, მაგრამ როგორ, სტიქიურათ, ბურჟუაზიულათ, თუ შეგნებულათ, ხალ-ხურათ? ევროპა, მოელი მსოფლიო ჯერჯერობით მიდის პირ-ველი გზით, მეორე გზა მხოლოდ ახლა დგება დღის წესრიგ-ში. თუ აქამდეს ეკონათ, რომ სოციალიზმი არის საშუალება სოციალური განთავისუფლებისა, ახლა გახდა აშკარად, რომ ის არის გზა და ხიდი ერის თავდაცვისა დანგრევის და გაქრო-ბისაგან. თუ ამ ორ თვისებას შევაერთებთ, თუ მართლა ავ-მალლებით ვიწრო კლასიური ინტერესებიდან ერის უმაღ-ლეს ინტერესებამდე, დავრწმუნდებით, რომ სოციალური გან-თავისუფლება შეუძლო მასებისა არის მიუცილებელი პირო-ბა ერის და მისი ცივილიზაციის შენახვის და უკვდავების. ამ ნიადაგზე უნდა შეერთდენ იდეიური ნაციონალისტები და სო-ციალისტები. სოციალური და ნაციონალური თავისუფლება ხელიხელ ჩაკიდებული ერთი მიმართულებით მიდიან, ერთი მიზნისაკენ მიემართებიან. საღ ორგანიზმში საღი სულია; ერთი



კვდება, როცა მისი სული კვდება, ხოლო სული კვდება, როცა კვდება
მისი სოციალური ორგანიზმი უკურნებლათ დასწეულებულია იმის
იტყვიან, ერთი ცოცხლობენ ათასი წლობით უსოციალიზ-
მოთ, რაღა მაინცდამაინც ახლა გახდა საჭიროდ ასეთი წყობი-
ლებათ. ეს სწორია რამდენადაც ის ხატავს წასულს, თუმცა
ისიც ვიცით, რომ მრავალი ერთ და ცივილიზაცია დაიღუპა
შეუსაბამო ეკონომიკური წყობით; დღესაც არ არის ყველა ხალ-
ხისათვის სავალდებულო სოციალისტური მეურნეობა; ეს სა-
ვალდებულო მხოლოდ იმათვის, რომელნიც შედგენ კაპიტა-
ლისტურ გზაზე, არის ეს ინდივიდუალური, ეტატიური თუ
სხვა ფორმის. ვინაიდან ეს გზა თავისთავათ უკველათ მიღის
ვრის და ცივილიზაციის დაცემისაკენ, ამიტომ საჭიროა თა-
ვიდანვე ის იყოს მიზანშეწონილათ წავანილი და ამუშავე-
ბული საზოგადოების სასარგებლოთ. მაშასადამე, ლაპარაკია
თანამედროვე ერებზე და არა პრიმიტიულ მდგომარეობაში
დარჩენილ ხალხებზე. როცა ესენიც გაყოფენ თავს კაპიტალიზ-
მის ჭახრავში, ეს გზა მათვისაც სავალდებულო გახდება. სა-
ბოლოოთ რაზეა დავა? სულ უბრალო არჩევანშე: სჯობია სტი-
ქიური, უთავბოლო, შეუგნებელი განვითარება თუ შეგნებული,
მიზანშეწონილი სახალხო და საერთ წინმსვლელობა. ვისაც
მართლა ერთს და ქვეყნის ბედი აინტერესებს მისთვის პასუხი
ბოძებულია, არჩევანი მოხდენილია.

სოციალიზმი ინდუსტრიალურ და არაინდუსტრიალურ ერებ-
ში იქნება, რასაკვირველია, სხვადასხვა შინაარსის და ფორ-
მის. რადგანაც ეკონომიკის ძირია საწარმოო პირობები, ცხა-
დია პირველ შემთხვევაში სოციალიზმი გახდება უმთავრესად
პროლეტარული, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალხური. იქ გა-
დამწყვეტია ინდუსტრია და მისი დარგები, როგორც ერთს
სიმდიდრის მთავარი შემქმნელი, აქ კი წვრილი საკუთრება,
მეურნეობა, ხოლო სამრეწველო დარგები მისი დამატება და
დახმარებაა. პროლეტარიატი თუმცა რიცხვით მცირე აქაც უმე-
თაურებს გარდაქმნის პროცესს, როგორც უკეთ შეკავშირებული
და შეგნებული აქტიური. ელემენტი. მეთაურობის საკითხს
წყვეტს არა რიცხვი, არამედ ისტორიული როლი, რომელიც
წილად ხვდება ერთს ამა თუ იმ დაჯგუფებას. ფეოდალთა რი-
ცხვი მეტად მცირე იყო, მაგრამ მაშინდელ ეკონომიკას, მთელ
ერს ისინი წინამძღვრობდენ. ასევე დღეს ბურჟუაზია. რაკი

პროლეტარიატი თავისი მდგომარეობით ბუნებრივი აგენტია სოციალური გარდაქმნის და ეს მას შეგნებული აქვს. რიცხვს აღარ აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ მათ მიერ ნაშეთაურევი სოციალური რევოლუცია ერთი და ოგივე ვერ იქნება ყოველგან. სადაც ფაბრიკა-ქარხანა სჭარბობს, იქ ეკონომიკის აწყობა უყრდნობა ამ დარგებს, ხოლო სხვა დარგები მას უნდა შეეწყოს. ეს საკითხი გარკვეულია, აშკარა და ნათელია, გაურკვეველია მხოლოდ სოციალური გარდაქმნის გეზი აგრარიულ ქვეყნებში. აქ პირველ ყოვლისა წინ დგას მიწა-ადგილის მნიშვნელობა, სასოფლო მეურნეობა, აი ამ დარგის და მრეწველობის კოორდინაცია ისე, რომ ერთმა მეორე არ დააგრიოს, არ დააჩანაკოს, პირიქით, ორივე განვითარდეს და გაძლიერდეს – მთავარი ამოცანაა. ჩვეულებრივათ ბურჟუაზიის სამეფოში სამრეწველო პროცესი ძირს უთხრის მეურნეობას, ავლახებს სოფელს, ფანტავს გლეხობას, ფასს უკარგავს სოფელს და მით მთელი ერის ჯანმრთელობას ღრღნის. სოციალისტური ხელმძღვანელობის დანიშნულებაა სწორედ ეს უბედობა ააცილოს ერს და ის იყოლიოს მუდამ ჩაბმული საღ ნივთიერ და სულიერ ატმოსფერაში. აქედან დაიბადა ერთი აუცილებელი მოთხოვნილება – სოფლის და ქალაქის მოთანხმება. ეს საკითხი წინ უდგას აგრეთვე ინდუსტრიალურ ქვეყნებს, სადაც ის გარგა ხანია გახდა აქტუალური. აი რას სწერს ამაზე ფრ. ენგელსი:

„გაუქმება წინააღმდეგობის ქალაქს და სოფელს შორის არათუ შესაძლებელია, არამედ ის პირდაპირ აუცილებელია როგორც სამრეწველო, ისე სამეურნეო წარმოებისათვის. ამას ითხოვს აგრეთვე საზოგადო პიგიენა; მხოლოდ ქალაქის და სოფლის გაერთიანებით შეიძლება ბოლო მოედოს დღევანდელ მოწამვლას ჰაერის, წყალის და ნიადგის. თანამედროვე მრეწველობის ეს წინააღმდეგობა გაქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას წაერთმევა კაპიტალისტური ხასიათი...“ (იხ. მისი „ანტი დიურინგი“ ფრანგ. გამოც. ტ. III, გვ. 73).

აი ასეთი გარდაქმნა თანამედროვე სოციალური წყობის მართლა ნიშნავს დიდ რევოლიციას, დიდ ცვლილების შეტანას საზოგადოებაში. აგრარიული ქვეყანა კი თავისთავად შზათაა ამ გზით სიარულისათვის; იქ ჯერ კიდევ არ აურდაურევია ბურჟუაზიას ერის ყოფა-ცხოვრება და მაშასადამე ნა-

ჩვენებ ხაზე ეკონომიური პროცესის გატარება გაადვილებულია. ჩვენში მაგალითად ქალაქი ჯერ კიდევ ვერ ჩაგრავს სოფია-ულის, მრეწველობას ჯერ კიდევ ვერ გამოურეკია სოფლის ხალხი შარაზე საცხოვრებელი. წყაროს საძებნელათ. სამრეწველო წარმოებათა სოფლათ გაჩენა და იქ მუშის დაინტერესება მეურნეობაშიაც მისთვის მიჩენით საკუთარი სახლ-კარის და საბახჩე ადგილის არის დასწყისი სოფლის და ქალაქის მორიგების.

* ამნაირათ ხალხური სოციალიზმის ფორმაა: წვრილი საკუთრება გლეხის, ხელოსნის, წვრილი ბურჟუაზიის, ერის ყველა ფენის. ამ ფარგალში თვითეული მესაკუთრე იმუშავებს ისე, როგორც მას მოესურვება; ეს მხოლოდ ანგარიშს გაუწევს საერთო მოთხოვნილებას ამა თუ იმ ნივთზე. სხვილი საკუთრება: მამული, ქარხანა-ფაბრიკა, ტევ ველი და მადნები, მიმოსვლის საშუალებანი და სხვა გადადის საზოგადოების ხელში და მუშავდება ამ მიზნით შექმნილ ორგანოების ხელმძღვანელობით. მაშასადამე, სოციალიზმი აქ ნიშნავს შეერთებას წვრილი საკუთრების მშრომელთა კლასებისა სხვილ საკუთრებასთან მთელი ერისა, დაწყობა მათი ურთიერთობის, განვითარების და აღორძინების მთავარი საზრუნავი საგანია ხელმძღვანელობის. ეკონომიური თავისუფლება შეკვეცილია, გონიერივი, სულიერი, პოლიტიკური თავისუფლება შეუკვეცელია იმ პირობით, რომ ის მუშაობს არსებულ სოციალურ საფუძველზე და იტოვებს უფლებას კრიტიკის ამ საფუძველზე აწყობილ მუშაობის და ხელმძღვანელობის. ოპოზიცია საჭიროა, თუ კი ის არ ებრძვის თვით ძირითად სოციალურ შენობას, თუ კი ის იხელმძღვანელებს ათინის კონსტიტუციით, რომლის ძალით არავის არ ჰქონდა უფლება ბრძოლა გამოეცხადებია დემოკრატიის ბატონობისათვის. ის, რაც ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში ხდებოდა ამ მხრივ იყო არა ნამდვილი დემოკრატიული, არამედ ანარქიული, გამოწვეული საერთო უპატრონობით და უსუსურობით. ბურჟუაზიას ფეხებზე ეკიდა დემოკრატიის სვე-ბედი თუკი ფულს იშოვიდა, თუ ცარცვის და ყვლეფის სფერო მას დარჩებოდა.

თავისუფლების გაგება მართლა დემოკრატიულათ და ხალხურათ ჯერ კიდევ შორს არის თვით სოციალისტებში. აი, მა-

გალითად, მათი სამაისო ლოზუნგი წელს გადმოსროლი ლონდონიდან შეიცავს ორ მოთხოვნილებას: პირველი რეფლექტორი და ვისუფლება და სოციალური რეფლექტორი. მაგრამ უსახლმშევა ლი მამაობენოთ, ორივე კარგა ხანია გადაიქცა ბურჟუაზიის ლოზუნგათ. პირვენების თავისუფლება — ეს ხომ ბურჟუაზიის დროშაა. მთელი მოძრაობა და ბრძოლა პროლეტარიატისა თავიდანვე ამ ლოზუნგის წინააღმდეგ იყო მიმართული, ე. ი. არ მიეცეს პირვენებას იმდენი თავისუფლება, რომ ცარცვოს და ძრბიოს მასები. მთელი სოციალური საკითხი მდგომარეობს თავისუფლების საკითხში — რის გაკეთების უფლება უნდა ჰქონდეს ადამიანს და რის არა.

ჯერ კიდევ ფილოსოფოსი პლატონი სწერდა: „როგორც გი უფლება მიეცემა მოქალაქეს სხვას წართვას საკუთრება, იბადება ბოგანო ხალხი. დემოკრატია თავისი მეტისმეტი თავისუფლებით ბადებს ტირანიას“ (იხ. მისი „რესპუბლიკა“). მონტესკიო ხწერს: „დემოკრატიის პრინციპი ირყვნება, როცა იყარება აზრი თანასწორობის, ან ეს თანასწორობა ხდება უკიდურესი. დემოკრატიამ უნდა აუხვიოს ორ უკიდურესობას: უთანასწორობას, რასაც მივყავართ არისტოკრატიის ბატონიბისაკენ და უკიდურეს თანასწორობას, რასაც მივყევართ ერთის დესპოტიზმისაკენ“. ამ დებულებებში მოცემულია მთელი პრობლემა, სწორედ თავისუფლების განსაზღვრა, მისი კალაპოტის შექმნა ისე, რომ არ განვითარდეს ბატონობა არც არისტოკრატიის, ანუ, დღევანდელი ტერმინით, ბურჟუაზიის, არც დესპოტიის, დღეს სტალინელი და მათი მიმბამველი, არის ძველის ძველი პრობლემა, ხოლო თანამედროვე სოციალისტების ფურამდე დღესაც ვერ მიუღწევია. რასაკვირველია, ამ საკითხის გადაჭრა ადვილი არ არის. კერძო ინტერესების შეთანხმება ერთს ინტერესებთან დიდად დამაფიქრებელი ამოცანაა. ამათ შორის ატეხილმა წინააღმდეგობამ არა ერთი და ორი ცივილიზაცია დაასამარა. სახელმწიფოს და პირვენებათა ინტერესებს შორის გაუთავებელი შედლია, რის შედეგია ხან ერთის გამარჯვება, ხან მეორესი. ერთი მხრით დგას ოჯახი, ეს პირვენებათა ბუნებრივი უჯრედი და მათი თავყრილობა — სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო მეორე მხრით — სახელმწიფო და მისი სელისუფლება. მთელი სიძნელე მდგომარეობს მათ შორის უფლება-მოვალეობის განსაზღვრაში. მა-

გალითად სახელმწიფო სცნობს კერძო პირთა საქუთრებას წერულია მაგრამ სრულიად არ თვლის თავის მოვალეობათ ეს საქუთრები რება მათ უზრუნველ უყოს. სახელმწიფო ითხოვს გადასახადს, მაგრამ მას თავის მოვალეობათ არ მიაჩნია გადაშედელს და-ეხმაროს გადასახადთა წყაროების გამრავლებაში. უფლება და მოვალეობა ერთმანეთს აღარ ფარავს. პოლიტიკური შენობის ბაზა არის ოჯახი, საზოგადოება, რომელნიც მას ქმნიან, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს ეთიშებიან და შექმნილი შემქნელთა ბატონათ ხდება. ეს ზედშენობა ისე მაგრათ აწევს საფუძველს, რომ ის ბოლოს მას სტებს და მით თვითონაც ტყდება. ამიტომ არის, რომ სოციალიზმი ითხოვს სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებისაგან გამოყოფილ აპარატის, გაუქმებას, თუმცა მის გამოყენებას სოციალიზმის დასამყარებლათ აღიარებს. აქ უეჭველია არსებობს აზროვნების წინააღმდევობა. თუკი სახელმწიფო ისეთი ძლიერია, რომ ახდენს სოციალურ რევოლუციას, ვინ არის მისი ძლიერების გამტეხი, მისი გამაუქმებელი? რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უძლიერესი აპარატის პატრონი თავს დაანებებს ამ პატრონობის და გადაღება. მაგალითი გვეუბნება წინააღმდევებს. ვინც კი სახელმწიფოთ გადაიქცა, საზოგადოებაზე გაბატონდა — მოსკოვი, ბერლინი. მთელ ამ დებულებაში უდაოთ უნდა მივიღოთ ერთი ნაწილი — სახელმწიფოს გაუქმება, სამოქალაქო საზოგადოების გაბატონება მზგავსად ძველი საგვარეულო წყობილებისა. სოციალური რევოლუციის ერთი მიზანთაგანა უნდა იყოს სწორეთ ამ ამოცანის შესრულება.

რატომ სახელმწიფო არ ზრუნავს საზოგადოებაზე, მათ შორის არის მუდმივი ანტავონიზმი? იმიტომ რომ სახელმწიფო და საზოგადოება ერთმანეთს არ ფარავს, მათი ინტერესები ერთი მხრით არ მიიმართება. ამის მთავარი მიზეზია ის უბრალი ფაქტი, რომ ამ აპარატის ბატონია არა მთელი ერი, არამედ მისი გაბატონებული ნაწილი, შემდებული, რომელთა ინტერესი მიიმართება ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომ სრულიად არ კმარა ამ აპარატის დაპატრონება და პოლიტიკური ბატონობა. ჩვენ ვიხილეთ სოციალ-დემოკრატიული მთავრობები, რომელნიც ცოტა ხნის შემდეგ კარგავენ ზელისუფლებას და ისევ ძველ მდგომარეობაში ვარდებიან. და ეს მონდა იმიტომ, რომ არავითარი ცვლილება არ შეიტანეს საკუთრების

სფეროში, კლასთა ურთიერთობაში. ეკონომიკა დარჩა ძველი
და მან აღადგინა რევოლუციით დაშინებული კლასტრებს ჭალა
ტონობა.

სახელმწიფო ოომ შხოლოდ გაბატონებული კლასების ინ-
ტერესებს პირდაპირ ემსახურებოდეს, ის დიდხანს ვერ იარ-
სებებდა, მაგრამ არის ერთი სფერო, რაიცა ეხება ჭველას,
მთელ ერს, რის სამსახურისათვის ის მოწოდებულია. ეს სა-
ერთო ინტერესია დაცვა საშინაო და საგარეო მყუდროების.
ხელისუფლება, რომელიც ამ დავალებას ვერ ასრულებს ეცემა,
მის აღავას მოდის მეორე. ეს ცვლილება არ ნიშნავს ცვლი-
ლებას თვით რეფიმის, კლასთა ურთიერთობის გადასხვავერე-
ბის. ამჟამათ ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, რომ მთავრობები
ახდენენ რევოლუციასო. რასაკვირველია, აქ აზრთა სრული
შერევაა. რევოლუცია უხალხოთ, ხალხის გარეთ არ არის და
არასოდეს ყოფილა. მთავრობები, მართალია, ახდენენ ცვლი-
ლებებს, გარდატეხას, მაგრამ ვველა ეს მიმართულია მხოლოდ
თავისი უფლებების გასამაგრებლათ. აქ ლაპარაკიც კი არ არის
ხალხის უფლებებზე. პირიქით, გადატრიალება მიმართულია
სწორედ ამ უფლებების წინააღმდეგ, მთავრობის სასარგებლოთ.
გამოდის ოომ ეს რევოლუცია გავს უფრო რეაქციას, უხალ-
ხოთ ხალხის „გაბედნიერებას“, მისი დათრგუნვით და დამორ-
ჩილებით. უეჭველია, ასეთ მეთაურთ ამოქმედებს კეთილი გან-
ზრახვები, მაგრამ ვინ არის ამის მსაჯული? ის, რაც კეთილი
გონიათ, შეიძლება საშინელი ბოროტებაა. მსაჯულია მხოლოდ
ხალხი, ვინაიდან ყოველივე ეს ეხება მას, გადადის მის ზურგზე
და იცის რა არის მისთვის მისაღები და რა უარსაყოფა.

ადამიანი იმყოფება ორნაირ ორგანიზაციაში: სახელმწიფო
აპარატების და სამოქალაქო საზოგადოების. ეს ორგანიზი მისი
პოზიცია ხატავს მთელ მის გარეგან სახეს, მაგრამ მათ შო-
რის მჭიდრო კავშირი არ არის. სახელმწიფო არ დაგიდევს რო-
გორ, რით ცხოვრობს სამოქალაქო საზოგადოება. ეს მას მი-
აჩნია კერძო საქმეთ, ოჯახთა და პიროვნებათა შინაურ საზ-
რუნავათ. ბურუუაზიამ ეს გათიშვა მიიყვანა უკიდურესობამ-
დე. აი ამ გაორების მოსპობა, ადამიანის გამრთელება სოცია-
ლურათ და პოლიტიკურათ მოითხოვს სამოქალაქო საზოგადო-
ების თავის უფლებაში აღდგენას, მის გამოხსნას სახელმწიფო
აპარატების ტყვეობისაგან, ამ აპარატების არქივში გადაყრით

და მათ ალაგას სოციალური აპარატების დაწესებით. ჟურნალური ლური და პოლიტიკური საზოგადოების პირველი ცდა უფრო ძალია უფლების შექმნა და დემოკრატიის განატონება. დაწესებისას მართლაც დაიბადა იმედი და ილიუზია ამ ორი საზოგადოების შედევრების, მაგრამ ჩქარა გამოხნდა ამის შეუძლებლობა სანამ მისი ძირი — სოციალური დიფერენციაცია ძალაში რჩება. ხალხის სუვერენობა გადაიქცა შეძლებულთა სუვერენობათ. მოქალაქის ორგვარი მდგომარეობა გრძელდება. პოლიტიკური თანასწორობა და სოციალური უთანასწორობა, იურიდიული ბატონობა და ეკონომიკური ყმობა — ეს ძირითადი უკუღმართი ურთიერთობა ადამიანებისა ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოს. საზოგადოების ეს არანორმალური საფუძველი ბოლოს და ბოლოს ყველა საზოგადოებას დაარღვევს, ყველას ძირს გამოუთხრის და გადაისვრის ისტორიის არქივში.

წინეთ ყოველ შემთხვევაში ისტორია იყო ლოდიკაში, პოლიტიკური უუფლებობა ეთანხმებოდა სოციალურ უუფლებობას, ორივე მხარე ერთ ძაფზე იყო აცმული. აი ეს ძაფი პირველად გასწევიტა ბურჟუაზიამ. მისი საარსებო პირობები დღეს უეჭველად მოითხოვენ როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ისე საყოველთაო ცარცუას. მართალია, მან პირველად სცადა ამ ლოდიკის გარღვევაც, პოლიტიკური უფლებების თვითონ დაჩიმება; ლუი ფილიპეს მეფობაში (1831—1848 წ.წ.) საფრანგეთში მხოლოდ ორასიათასი მექენჭე ითვლებოდა, ე. ი. მარტო მარტო შეძლებული ბურჟუაზია. მაგრამ ეს პრივალეგია მან ვერ შეირჩინა. შემდეგ არც მოინდომა შერჩენა და ის მართალი აღმოჩნდა. არც ერთ პერიოდში ბურგუაზიის ეკონომიკური აღორძინება და გამდიდრება არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც იყო უკანასკნელ საყოველთაო საარჩევნო პერიოდში (1871—1940 წ.). მისი ელდორადო აქ გაიშალა და აყვავდა. აქ მასში გაერთიანდა ის ორგვარი მდგომარეობა, რომელშიაც ხალხი მოემწყვდა, ის გამთელდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად, რაიც მხოლოდ დღეს გარედან შემოსევამ დაამსხვრია. ამჟამად მან დაკარგა პოლიტიკური საზღვე, ხოლო ეკონომიკური შეირჩინა. ამით მისი მოძრაობის ხაზი გაქვალულია, ის შეეცდება პოლიტიკური ძალის აღდგენით აღადგინოს დაკარგული მთლიანობა; არის მეორე გამო-

სავალიც, მზგავსათ გერმანიის ბურგუაზიისა — შეეწყოს ახალ ურთიერთობას, პოლიტიკურ უმცირესობას და ეკონომიკურ უფრო რთხოებას; მაგრამ საფრანგეთში ეს იქნება ძნელი გარატარებელი. ასეთი კოჭლა-კოჭლობათ სიარული მისმა ისტორიამ უარყო. დღეს არის გარდამავალი ხანა — ან სოციალიზმისაკენ, ან ბურგუაზიის პოლიტიკურათ აღდგენისაკენ. შეეღა მესამე გამოსავალი დროებითი მოვლენაა.

სახოგადოების ბუნებრივი საფუძველია ოჯახი და მისი მასახურდოებელი მიწა. ასე იყო მუდამ, თავიდანვე. კაპიტალიზმი ანგრევს ამ საფუძველს და მას სცვლის მეორეთი — მრეწველობით და გაპროლეტარებით. კლასთა ძველი ურთიერთობა იცვლება. ახალით, სტიქიურათ, შეუგნებლათ, საერთო წებაყოფლობით. ერთათერთ ანგლისმა მოახდინა ერთი გადატრიალება ძალმომრებით მე-17 მე-18 საუკუნეში, როცა გლეხებს ძალით აძევებდენ მიწებიდან, მიღენიდენ ქარხნებში, ან კოლონიებში და მათ აღაგას ამრავლებდენ თეთრი ცხვრების ფარებს. მაგრამ ახლა, ამ მეოცე საუკუნეში აღმოჩნდენ მათი მიმბაძველნი, გაცილებით უფრო მკაცრი და მთელი სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილნი. ესენია ბოლშევკები და მათი საბჭოები. აქ ინდუსტრიალიზაცია ხდება გაცილებით უფრო მწვავეთ და ანტისალხურათ, ვინემ ყოველგან. მთელი გლეხობა და წვრილი ბურგუაზია გაპროლეტარებულია არა ეკონომიური თანდათანი პროცესით, არამედ ერთბაშათ პოლიციური წესებით. კერძო საკუთრება ფველას ჩამოართვეს, მთელი ერთ გაძარცულია და მცხოვრებია სამუშაოთ ფაზარმებში შერეკილია. აი ასეთი ხელოვნური ინდუსტრიალიზაცია, ასე შეგნებულათ დარღვევა ოჯახის და მისი საარსებო ბუნებრივი პირობების ისტორიამ არ იცის. თუ ბურგუაზიამ არ იცოდა რას აკეთებდა, თვითეული კაპიტალისტი კონკურენციით იძულებული იყო ეკეთებია ის, რასაც მომენტი მისგან მოითხოვდა და ბოლო ეტაპზე არ ფიქრობდა. საბჭოთა იმპერიაში ხდება იგივე პროცესი წინასწარი გაზიმით და გაპლანვით. არის ერთი ფსიქოლოგიური განსხვავება. მაშინ როდესაც დასავლეთში ამ წეობას ხალხი შეურიცდა და მის ფარგალში ეძებს მდგომარეობის გაუმჯობესებას, იქ, საბჭოებში, ხალხი არ შერიცებდა თავის გაძარცვას და ნატრულობს მის დანგრევას და ძველი მდგომარეობის აღდგენას. აი ეს სულიერი სიმ-

ტკიცე მასებისა იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ ბოლშევკუნი უკარი რი პოლიციური ინდუსტრიალიზაციის შეჩერება და მასში ხალხის ხურ ფორმებში ჩატარება შესაძლებელი გახდება. მაგრამ ამავე დროს ბოლშევიკური წყობილება არ აძლევს გაყვლეულ ხალხს გასაქანს, თავის სურვილების გამოთქმის და ბრძოლის საშუალებას. ამიტომ აյ არავითარი რეფორმა, არავითარი ცვლილება ლეგალურათ არ შეიძლება და რევოლუცია აუცილებელია. საბჭოებში არავითარი საზოგადოება არ არსებობს. არც პოლიტიკური და არც მოქალაქეობისავარ, არიან მხოლოდ უფლებააყრილი მობინადრენი, „ობივატელები“, როგორც ეკატერინე მე-II-ს სამოქალაქო კოდექსი უწოდებდა რუხის ხალხს. მართალია, მას შემდეგ, განსაკუთრებით ბატონიშვილის მოსპობიდან, მან მოიპოვა ზოგი უფლებები, „ობივატელობიდან“ გამოდიოდა და მოქალაქე ხდებოდა, მაგრამ ამ პროცესს წესი აუგეს ბოლშევიკებმა და მცხოვრებნი ჩააუქნეს კოგის მდგომარეობაში. ამ ჯოგს ისე მიღენ-მოღენიან, როგორც ცხოველებს, საითქენაც მოეპრიანებათ. ადამიანის ფასი კიტრია.

ამნაირათ, საბჭოთა ეკონომიკური ხელმძღვანელობა მიიმართება ხალხის გადაშენებისაკენ გაცილებით უფრო სწრაფი ნაბიჯით, ვინემ ბურუჟაზიული ხელმძღვანელობა. ჩვენი უწმინდესი მოვალეობაა ორივე ეს მეთაურობა თავიდან ავიცდინოთ და ქართველი ერის ნორმალური წინმსვლელობა უზრუნველყოთ. ბრინციპი ხელმძღვანელობისა ბოძებულია. რუსო წერს: „ყველა ადამიანს აქვს ბუნებრივათ უფლება ყოველივე იმაზე, რაიცა მისი ირსებობისათვის აუცილებელია. მოქმედება, რომელიც მას ხდის რაიმე ქონების მესაკუთრეთ, რიცხავს მას სხვისი ქონებიდან. რაკი თავისი წილი მიიღო ამით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ეს მიღება უნდა ხდებოდეს შრომით და კულტურით, ამ ერთადერთი ნიშანით საკუთრებისა“. აი ამ დებულების განხორციელება მთავარი დანიშნულებაა სოციალური ხელმძღვანელობის. როგორც ამ ხაზს გადაშორდებით, როგორც სიმდიდრის შეძენა თავისთავათ ხდება კერძო პირთა დროშათ, რაიცა ვერ შესრულდება სხვების გაუძარცვავთ, ინგრევა მთელი სოციალური წყობა და მეფლება ინდივიდუალიზმი. ჩვენი მოვალეობა საზოგადოების წინაშე იმ ზომისაა, რა ზომის არის საზოგადოების მოვალეობა.

ბა ჩვენდამი. ეს ორი მოვალეობა ერთიმეორეს უნდა უდღეოდეს უკული სინამდვილეში ხდება უკულმა, მიღათ უკულმაა რუსეტში; მის-მა წილობრივ უკულმაა დასავლეთში. ორივე შემთხვევაში პრინციპი ერთია: ადამიანის მოვალეობა მთელის წინაშე უსაზღვროა, ხოლო მთელის მოვალეობა მის წინაშე საზღვარდადებულია ან სრულიად არ არსებობს. ეს მთელი დღეს იხატება სახელმწიფოს სახით, სხვა სახე საზოგადოებას არ აქვს. ხოლო ეს ორგანო დღეს ემსახურება პირდაპირ მთელი ერის ცარცვას ერთი მუჭა ბატონების სადღეგრძელოთ, როგორც ეს საბჭოებშია, ხოლო არა პირდაპირ, ფაქტიურათ, ერთი მუჭა ბურუუების გამდიდრებას, როგორც ეს ევროპაშია. ძველათ ფილოსოფოს პლატონს თხოვეს დაეწერა კანონების პროექტი არ-კადიელთა და სირენაიკის მოქალაქეებისათვის. მან უარი თქვა იმ მოსაზრებით, რომ ისინი გამდიდრდენ და თანასწორობას ვერ მოითმენენ. კანონის საგანია თანასწორობის აწყობა და დაცვა, ასე ესმოდათ ძველათ მოწინვე პირებს. ახლა კი, პირი-ქით, ყველამ დაიჯერა, რომ კანონი ემსახურება ყველაფერს, რაც გინდათ, გარდა თანასწორობის დაცვისა. ეს არის ცივილიზაციის უკანასკნელი დასკვნა. რატომ? იმიტომ რომ ეს ცივილიზაცია დაბერდა, მისი თავი და ბოლო გახდა სიმდიდრე. ამიტომ სულიერათ გამოიფიტა, მისი მატარებელი ერები სუსტდებიან და ტყდებიან ფიზიკურადაც. ძნელია მათი შეჩვეული ჭირისაგან გამოხსნა.

სულ სხვა მდგომარეობაშია ახალგაზრდა ერები, აქ ჯერ კიდევ დუღს ვაუკაცური სისხლი, ფეთქს მედგრათ მათი გული, სიმდიდრე მათ არ მორევიათ. და სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენში, მაგალითად, უფრო ადვილი ასაწყობია სოციალური ხელმძღვანელობა, ვინემ დასავლეთში. ვინ დაგვიდგება წინ? თავად-აზნაურობა აღარ არის, ბურუუაზია აკვანშია, ხალხი გამოღვიძებული და თავისთვის მართვისათვის მოწინეულია. დაბრკოლება ერთია — უცხო უდელი, რომელიც იჭერს ქვეყანას არაჩვეულებრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში. ეს პირობები არ არის ჩვენი ერის შვილი, ის გარედან შემოტანილი და თავშე მოხვეული, აქ სოციალური საკითხი უფრო მარტივია და ადვილათ მოსაგვარებელია.

რასაკვირველია, ყოველივე სიკვდილის შვილია. რაც იწყება, ის თავდება. ადამიანი იძაღება და კვდება. ასევეა საზო-

გადოება, ხოლო მათ შორის არის ერთი დიდი განსხვავებულებულება ადამიანის სიკვდილი ბუნების საქმეა, ხოლო საზოგადოებრივი მოვალეობის ტვით საზოგადოების ვე. მოუწესრიგებელი, არეულ-დარეული, უკალაპოტო საზოგადოება ჩქარა იღლება, სუსტდება და ქრება. აი სწორედ ამ ფატალურ ბოლოს უნდა შებროლება თავიდანვე და არა სიკვდილის ფამს. საფრანგეთის გამართვა უნდა დაწყებულიყო ამ ორმოცი-ორმოცდათი წლის წინეთ მაინც, მისი აწყვეტილი ბურჟუაზიის მოთვინიერებით და ერის ახალ სოციალურ კალაპოტში ჩაყენებით. ცხოვრება იქნებოდა უფრო გაწესრიგებული, უფრო ზომიერი და ხანგრძლივობის მატარებელი.

რა ძალას წარმოადგენს ახალგაზრდა და დაბერებული რეჟიმი ნათლად სჩანს ორი დიდი ომიდან: 1793 წელს საფრანგეთს თავს დაესხა მოელი ევროპა—ავსტრია, პოლანდია, პრუსია, ისპანია, ინგლისი და რუსეთი ერთად, ხოლო შინ ამავე დროს მძვინვარებდა კონტრევოლიუცია, ვანდეა. და აი ეს მოზღვავებული მტერი დაამარცხა ერმა. რით? მხოლოდ თავის დადებით, სივაჟვაცით, აღფრთოვანებული სულით, დიადი დროშით. ერის ასეთი გაახალგაზრდება მოახდინა რევოლიუციამ, ძველი რეჟიმის დაცემამ და მის აღავას ხალხური რესპუბლიკის შექმნამ. 1940 წელს იგივე საფრანგეთი მარტო გერმანიის თავდასხმასაც ვერ იგერიებს და ეცემა. რეჟიმი დაბერდა, მისი შემცვლელი არ აღმოჩნდა. იდეალი, ენერგია, აღფრთოვანება ხალხს არ დაურჩა და სულიერ დავარდნასთან ერთად ვარდება ხორციელდაც. 1871 წელს იმავე გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი. ერმა ამას უპასუხა რეჟიმის დაუყოვნებლივ ჩამოვალებით და დემოკრატიული რესპუბლიკის დარსებით. ერი გაახალგაზრდა და მოიგო დიდი ომი. ამ გამარჯვებამ ის დაათრო, დაამაბუნა და გახდა მსხვერპლი ახალი ომის. აქედან ერთი დასკვნა: ერი მუდამ უნდა იყოს აღჭურვილი ახალგაზრდული სულისკვეთებით, გაუტეხელი თავის დადებით, მხნეობით, ენერგიით და იდეალით. რაც მას აბერებს უნდა მოისპოს, რაც აჯანსაღებს უნდა დაწესდეს. როგორც კი ის ამ ხაზს მოშორდება და კერძო ინტერესების იარაღი გახდება, ის იწყებს თავდაღმართისაკენ დაკორებას და თუ დორზე ვერ შეჩერდა უფსკრულისაკენ იჩეხება.

ჩვენ, ქართველები, ვართ ახალგაზრდა ერი არა ხნოვანე-

ծոտ, ռասայցօրշալուա, արամեց տանամեդրովո կալիքնորոտ դա
պոզոլութալուատ. դօջո խան ար արուս, ռապ գամուցեցրէ մի՞նի՞նց
ձու և սաշալո ցիս խանչե, խազեցիտ մուս ուղրեցոլմի. ըս ար
արուս ռաճապ շաբածու, տատենեծոտ մովլենա. ուս աշուալուեց
լուա, ցատալուրուա, մաս զեր ապեցեա զերու ըրտո խալեն. ցըրութուս
ցիս մեռուցու ցիս, աხլա ուստորուաս և սեպա ցիս ար գամուցոնուա
դա տացուտաց մուսաեցուրուա հիզեն մասնե մեզգոմա. ըս դացուա-
նեա հիզենուուս մեզմուցեա դուժատ սասարցեցլո ցածդու, ուս մաս
և սիորո մեկեցուլոծոտ մուցցեցօտ դա մուս մացալուտ ցամո-
ցոյցնեցտ. ցըրութուս մուժուու ամ խանչե սկիյուրատ, զոնաօւան
թիցացս ուստորուու մացալուտ տապալին ար յոնեցօտ դա մա-
թասալամե, սեպուս ցամուցուցեցօտ զեր ուսարցեցլուցօտ. ուս տցո-
տոն յմնուա տացուս ուստորուաս, ոյացազդա հալուու ելուն
անալ ցէլուան ցիս, մուժուու հոն, մուժամ հոն դա մեռլուու
ցայէլուցօտ դացրուցեցս մեմլուց զոնմե ուստորուուս դա մեցնո-
յուո տացս ցոյրուա ամ ցրուաս դա ակցուեցօտ դասկեցնեցս. զո-
նաօւան մոմացալո մուժամ ծուրումո ոցո ցածցեցլո ուղեռու-
ցեցս յոնդատ ցամլուու ցարու ասկարցին ցալուուատ, ցոյոյրատ
դա ցէիրու ցուցելոնաւու ձլան դա ձերսեցէլուուա մոմացալո-
սատցու. մոեծա մուլուունց ամեցո, ամ դուագ մեռուցու
ալուրունց ամ մանց զեր ցամուցնու սաստ մուժուս, ուստ ատացեցս
յս ամուցնա կալիքնուրա դա պոզոլութալուա, զերացուն զեր ունաս-
նարմեցուցելա ուս, ռապ մոեծա.

հիզեն մալլունա լույրուտ ար զոմպուցեցօտ շաճածնոմի, ար մով-
ջուարտ շագիո-շէպուուտ. ռագօ հազեցիտ ցըրութուս ուղրեցոլմի,
զուուտ ռաս ցայցուեցտ, սաստցեն մոզօմարուցեցօտ, մացալուտ ցա-
լամլուուա. հիզեն մուցալունա, միոնդա մուցալունա մեռլուու
յուու: զուուտ տալախուուլու, ցարուիուտ ազո դա ցարցո, մո-
զօլուտ մուսալունա դա շարցուու շարսացուո. շաքէցելուտ մուսա-
լունա ցըրութուս մրոմիս սամշալունա, մուսո լույնուցա, մուսո
մեցնույրեցս, մուսո նուցույրու դա և սուլույրո կալիքնուրա. առաս
մուսալունա մույրու ամ ցանձուս ցալմերուո ցուուստուրո ելու-
մելցանցունա, մուսո կըրմու ունցույրեցեցս ուրաճատ ցածայւցա,
յուու կլասուս ելումո դամուցեա դա մուս ցասամուուրեցլատ դա
խալենս ցասաւարուցատ ցամուցնեցս. մեցնույրեցս ուղենեցս
անալ ալմոհենցեցս, եռլու նատ ցակութալուստուցեա ցամուրոնցեցօտ.
ռամուցնա ալմոհենց կըցս մենախուլո ամ ցայցաթոնցեցս ցուումո

უხმარათ, ვინაიდან მათი ამუშავება არ ეთანხმება მათ პირად
ინტერესებს. ამ ბოროტმოქმედებას სახელმწიფო შორეული კულტურული
უფლებებს, რა ჩვენი საქმეაო. ერს არ ჰყავს ეროვნული შეთაუ-
რობა. აი ეს არ არის მისაღები, არ არის მისაბაძი; ის მომაკვდი-
ნებელია უკელა ერისათვის, მით უფრო პატარა ერისათვის.
ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპიელი, მაგრამ არა ერთიმეორის მტე-
რი და მჩაგრელი, არა დაბრმავებული და უტიფარი. წყდება
არა კლასის, არამედ ერის ბედი. ჩვენ მას ვერ შევსწირავთ
მცარცველებს. ეს პრობლემა დღეს მწვავეთ დგას არა მარტო
ჩვენთვის, აგრეთვე ევროპისათვის, თუმცა აქ ეს მეტად დააგ-
ვიანეს. წამოყენებულია სხვადასხვა საშუალება მის გადასაჭ-
რელათ. ამათ შორის სულ ახალია პიტლერის ნაციონალური
სოციალიზმი. ეს დოქტრინა მან ასე სხარტულათ განმარტა ერთ
თავის სიტყვაში: „მე ვსცნობ კერძო საკუთრებას, მხოლოდ ის
უნდა იყოს ჩაბმული ნაციის სამსახურში“. ამით ის სავხებით
გამოიყო ბოლშევიკებს, რომლებიც არ სცნობენ არც კვრძო
საკუთრებას, არც ნაციას. ესენი აღიარებენ ბველი რუსეთის
ივანე მრისხანის და მისი ოპრიჩინის პრაქტიკულ პოლიტიკას,
როცა მთელი ხალხის ავლა-დადების მესაკუთრეო ითვლებო-
და ხელისუფლება. პიტლერის სოციალიზმი არ არის აზიური
წარმოშობის, ის ევროპიულია, ხოლო ის გაურკვეველია; კერ-
ძო საკუთრებას ჩვენც ვსცნობთ, მაგრამ არა ყოველნაირს,
არა ისეთს, რომელიც ანგრევს მეორის კერძო საკუთრებას.
არის ორნაირი საკუთრება: ერთია იარაღი თავის რჩების, მეო-
რეა იარაღი სხვისი დარბევის. სოციალისტი, რა ფერისაც უნ-
და იყოს ის ამ მეორენაირ საკუთრებას ვერ იცნობს, თავის
საზრუნავ საგნაი ვერ გაიხდის. იტყვიან, თუკი ის იქნება ჩა-
ეცნებული ისეთ კალაპოტში, რომ დამანგრეველი ძალა წაერ-
თვა, მკბენარი ეშვი ამოერთვა, მაშინ მისაღები და დასაშვები
გახდებათ. თუ მართლა მისი ასეთი შებოჭვა მოხდა, ეს მაინც
ვერ იქნება ხანგრძლივი, ვინაიდან შებოჭვილი მუდამ იმის
ცდაში იქნება, რომ აიშვას და თავისი დიდი საკუთრება თავი-
სუფლად მოიხმაროს; ის, რასაკვირველია, ისარგებლებს პირ-
ველი შემთხვევით არსებული წესების დასაწერევათ. მუდმივ
ფარაულით, მუდმივ ხმალით სოციალური წონასწორობა ვერ
დამკვიდრდება. ის უნდა გამომდინარეობდეს თვით ფაქტიური
მდგომარეობიდან, თვით სოციალური წყობიდან; ამის აუცი-

ლებელი პირობაა ნაციის სამსახურში ჩაყენებული მსქანორ საკუთრების თვით ნაციისათვის გადაცემა, მისი საზღვაფლ მშრალი ვნილებათ დღიარება.

სოციალიზმი რა ფერისაც უნდა იყოს ის, უეჭველათ ნაციონალურია, ის უნდა ემსახურებოდეს ერს და არა კლასს, მისი არსებობა და გატარება უეჭველად მოითხოვს კლასების გაუქმებას, მთელი ერის საერთო ნივთიერ კალაპოტში ჩაყენებას. კლასების არსებობა, გამყვლეფელთა და გაყვლეფილთა შენახვა სოციალიზმის ძირბულიანათ ამომფიციურელია. ის ვერ იქნება ვერც კლასიური, ვერც ნაციონალური. ერის კონსტრუქცია ერთ მთლიან სოციალურ ერთეულათ, თავის ეკონომიკის ბატონათ და პატრონათ ხდის სოციალიზმს ნაციონალურ მოვლენათ. რადგანაც ეს წყობა იქნება არა მხოლოდ ერთ ერში, არამედ მრავალ ერებში, ცხადია, მათი ურთიერთობა გახდება საგანი საერთაშორისო ეკონომიური სტატუტის და მით ნაციონალური სოციალიზმი გადაიქცევა ინტერნაციონალურ სოციალიზმათ. წმინდა ნაციონალურია მხოლოდ ბოლშევიზმი. მისი მზგავსი არსად არ არის გარდა რუსეთისა. ეს რუსული მოვლენა ვერსად ვერ გადაიქცა საერთაშორისო მოვლენათ, მოსკოვის მთელმა მუშაობამ ამ მხრით დღევანდლამდე უნაყოფოთ ჩაიარა. თუ ასე ერთხელ და სამუდამოთ გამოყოფთ ბოლშევიზმს, ამორჩევა გაადვილებულია. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ საკითხის გადაჭრის გადადებას მზგავსათ მეორე ინტერნაციონალისა, ვერც მის ხმალით გადაჭრას. ჩვენი მუშაობა თავისუფალ საქართველოში ამ ორ უკიდურესობას შორის მიმდინარეობდა. საკუთრების ფორმასაც ვსცვლიდით, ნაციონალურ საკუთრებასაც ვამრავლებდით და თავისუფლებასაც ვინახავდით. ეს იყო მართლა ქართული ნაციონალური სოციალიზმი, რომლის მზგავსი არც ერთ მეზობელ თუ შორეულ ერში არ ტარდებოდა. მთელი ეს მუშაობა იყო მიმართული ერის გამაგრებისაკენ, მის სამსახურში ეკონომიკის ჩაყენების და ხალი ეროვნული ორგანიზმის შექმნისაკენ. ის ამ მხრითაც იყო მართლა ნაციონალური, რაიცა ჩაჩანაკ ბურჟუაზიულ დემოკრატიამ ოდნავათაც ვერ შეაჩერა. ამათ მოინდომეს ევროპიული ფორმის ხელმძღვანელობის გადმონერგვა, ბურჟუაზიის სახელმწიფოს სათავეში მოქცევა, მაგრამ ვერ შესძლეს, ხალხმა დიდი ხმის უმრავლესობით ეს პროგრამა უარყო.

შველა თანამედროვე ერთ საერთოთ მიღის ერთი მხრით, ერთი ცივილიზაციისაკენ, მაგრამ თვითეული აკეთებს ამ ჭრას და თავისებურათ, თანახმად მისი წარსულის და აწყობის მდგრადობისა. შენახვა საერთო ხაზის და იმავე დროს თვითეულის თავისებურობის აუცილებელია. მიზანი ერთია, მეოთხდი სხვადასხვაა. გზა ზოგან ფართოა, ზოგან ვიწრო და კლდოვანი. თუ კი ერთ ქვეყანაში ისე გამწვავებულია კლასიური დიფერენციაცია და წინააღმდეგობა, რომ ეს მათი დავა თავისუფლებით ვერ გადაწყდება, ძალა აუცილებელია, დიქტატურა ბუნებრივია. ხოლო სადაც ასეთი ღრმა სოციალური კონფლიქტი არ არის, ერთი ნივთიერი დანაწილება სუსტია, აქ თავისუფლება საუკეთესო საშუალებაა უმტკივნეულოთ ერთი წყობიდან მეორეში გადასვლის. ამის კლასიკური მაგალითი მოგვცა თავისუფალ საქართველოში. თუ ხალხმა ამ სოციალური საფეხურით ვერ ისარგებლა, თუ ისიც აყვა სტიქიას, უცადა ბურჟუაზიის გაძლიერებას და გაბატონებას, ჩავარდება ინდუსტრიალური ქვეყნების მდგომარეობაში, აირ-დაირევა დემოგრაფიულათ, ნივთიერათ, ეროვნულათ და გაეხვევა შეუწყვეტელი კრიზისების ქსელში.

ვაცი, მართლმადიდებელი სოციალისტები შემომიტევენ: როგორ, ინდუსტრიალიზაციის აღორძინებამდე წმინდა აგრარიულ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელებას მოელი, ეს ხომ პირდაპირი ღალატია მარქსისტული დოქტრინისო. ეს მართლაც ღალატია, მარა არა ამ დოქტრინის, არამედ ნეომარქსისტების გაზეპირებული მამართვებოსი. კ. მარქსი სოციალისტურ რევოლუციას ქადაგებდა კომუნისტურ მანიფესტში 1847 წელს, როცა მთელი ევროპა წარმოადგენდა წმინდა აგრარიულ ქვეყანას. აქ სრულიად არ არის წამოყენებული დემოკრატიული ეტაპები, მასების გაპროლეტარებისთვის ცდა, ეროვნული ცხოვრების ძირ-ბუდიანათ არევ-დარევა და მხოლოდ შემდეგ ოდესალაც სოციალური რევოლუციის დაწყება. მთელი ეს „დემოკრატიული ლიტანია“ „მარქსისტების“ გამოვინებაა, რის გამო მარქსი ამბობდა: მე არ ვარ მარქსისტიო.

როგორ ქონდა კ. მარქს წარმოდგენილი სოციალური რევოლუციის დაწყება აშკარად სჩანს ერთი დოკუმენტიდან, რაიცა აგრე ახლა გამოქვეყნდა. ეს დოკუმენტია მისი და მის ამზანაგთა ხელმოწერილი მიმართვა გერმანიის მუშა ხალხისადმი

1848 წელს შემდეგი რევოლუციური პროგრამით: აი რა მა-
თხოვნილებანია აქ წამოყენებული: 1. მთელი გერმანია უცხალული
დება ერთ მთლიან განუყოფელ რესპუბლიკათ. 2. ხალხის წარმატება
მომადგენელს პალატაში ეძღვა გასამსჯელო, რომ მუშების
მონაწილეობა მის სხდომებში გახდეს შესაძლებელი; 3. ხალხის
საერთო შეიარაღება; 4. კონფისკაცია მამულების – თავადების,
პრინცების, აზნაურების რანაირიც უნდა იყოს ის, ამასთანავე
ჩამოერთვას მეპატრონეთ მთა-მაღნები და მთელი ეს ქონება
გადაეცეს სახელმწიფოს; 5. ჩამოერთვას კერძო პირს მიმოს-
ვლის კველა საშუალებანი – რკინისგზა, არხები, გემები, შა-
რა-გზები და სხვა და გადაეცეს სახელმწიფოს; 6. შემცირება
მემკვიდრეობის უფლების; 7. შემოღება პროგრესიული გადა-
სახალის და მოსპონსა გადასახადების სახმარ საქონელზე; 8. და-
არსება ნაციონალური ფაბრიკა-სახელოსნოების; სახელმწიფო
უზრუნველყოფს კველა მუშის არსებობას, ხოლო მრომის
უნარმოკლებულთ იღებს თავის ხარჯზე და სხვ. აქვე ნათქვამია
შემდეგი: „ამ ზომების გასატარებლათ ენერგიული მუშაობა
არის საერთო ანტერესი გერმანიის პროლეტარიატის, გლეხო-
ბის და წვრილი ბურჟუაზიის. მხოლოდ ამ ზომების გატარება
მისცემს საშუალებას გერმანიის მოქალაქეთა მიღლიონებს, რო-
მელიც დღევანდლამდე ჩაგრულია მცირე უმცირესობის მიერ,
მიიღონ ის, რაც მათ ეკუთხის და მოიპოვონ ბატონობა, რო-
გორც ყოველივე სიმდიდრის შემქნელნი“. ცხადია, აქ წამო-
ყენებული პროგრამა დაახლოებით იგივეა, რაიცა წამოყენებუ-
ლია კომუნისტურ მანიფესტში, როგორც პროგრამა სოცია-
ლისტური რევოლუციის.

გერმანიის 1848 წლის რევოლუცია დამარცხდა, ამ პრო-
გრამის ვერც ერთი მოთხოვნილება ვერ გახორციელდა. მაგ-
რამ, საკვირველია, თითქმის მთელი ეს პროგრამა სრულად
დამოუკიდებლათ, ჩვენ მიერ საქართველოში წამოყენებული,
განხორციელებულ იქნა და რაც ბოლოს ბოლშევიკურმა რეაქ-
ციამ გაანადგურა. ჩვენ მიერ წამოყენებული წვრილი საკუთ-
რების დაცვა და სამი კლასის ბლოკი, რამაც იმდენი გაუგებ-
რობა გამოიწვია ევროპის სოციალისტთა შორის, პირველათ
თვით მარქსის მიერ ყოფილა წამოყენებული. იმედია, ჩვენი
მარქს-ატები დაუბრუნდებიან მარქსს.

კველა რევოლუცია ხდება ერთი გზით. ის ატყდება მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც გაბატონებულთა შორის ჩამოვარდება უთანხმოება, დაპირდაპირება და ბრძოლა. ამ შემთხვევის შემთხვევაში გებლობებს რევიმით უკმაყოფილონი, ერევიან ამ დავაში დამატებული არის ასპარეზიდან მოღავეებს. ყველას ერთათ. ყველა წინანდელ ნაბატონართა შორის მეტად შეკავშირებული და შეერთებული აღმოჩნდა ბურჯუაზია. მის შიგნით დავაა წვრილმანებზე, არასოდეს თვით პრინციპზე. ის არის გასაშტერებელი ელასტიური სხეული, რომელიც ადვილათ ითვისებს და ეწყობა ყოველნაირ აზროვნებას და საქმიანობას, ოღონდ კი მისი ეკონიმიური მეთაურობა არ შეირყას. აკრატიულ ერებმა თუ ამ უფალის მოსვლას ჟუდა და ხელი არ გაანძრია, თუ თავის სავალ გზაზე და მომავალზე მანამდის არ დაფიქრდა და თავისითავს არ დაეპატრონა, მერე გვიანდა იქნება თითზე კბენი. განსაცდელის მოსვლას არ უცდიან, მას ებრძვიან. ხოლო განსაცდელი კი დიდია.

როცა ერში ვაბატონდება კლასი, რომლის ერთად ერთი მამოძრავებელი ძარღვია სიმღიღრის შეძენა, ფულის დაგროვება, მოედი მისი მოქმედება ამ ხაზით ეწყობა და მიიმართება ერის არათუ ნივთიერი ვითარების წინააღმდეგ, არამედ ამასთანავე მისი დემოგრაფიის, მისი ჯანმრთელობის წინააღმდეგაც. საკმარისია მოვიყვანოთ აქ რამდენიმე მაგალითი*). საფრანგეთის კაპიტალისტებმა სოფლის გაჩანაგებას ინდუსტრიალური მეთოდით, მიუმატეს წმინდა სამეურნეო მეთოდიც. მათ გააჩადეს სოფლის მეურნეობა აღვირში და მაროკოში, სადაც ცხოვრება და მუშა იაფია, დამზადებული სანოვაები შემოტანეს საფრანგეთში იაფ ფასებში, შეეცილენ და დასცეს ფრანგი გლეხის ნამუშევრის ღირებულება, განვიეს გლეხიბა აუარებელ გალებში, რასაც თვითონვე ასესხებდენ და მიიღვანეს ნაცონალური მიწათმოქმედება განიავებამდებარება, მისი დროს არ აღმოჩნდა არც ერთი მთავრობა, არც ერთი სამარლამენტო პარტია, არც სოციალისტები, რომელთაც გაებედათ შეტანა პალატაში კანონპროექტის გლეხთა ვალებისაგან განსათავეისუფლებლათ. შედეგი: სოფლის თანდათანი დაცარიელება, მიწის ფასების დაცემა, საკუთრების მნიშვნელობის განმოვლენა.

*) იხ. დაწერილებით იქვე დამატება „ბურჯუაზის მართველობა და კრის ჯანმრთელობა“.

ლობის დავარდნა. გლეხთა ყრილობებს არაერთხელ მოუთხოვიათ მათი მეურნეობის დაცვა კოლონიის საქონელზე შაჟილა დადებით, მაგრამ ამაռთ. ბურუუაზიას სოფელი და მიწამისი მედება ფეხებზე პკიდია, ოღონდ ფული კი გააკეთოს.

მეორე მაგალითი. გამოიგონეს ახალ-ახალი მაგარი სასმელები, წოდებული მადისმომგვრელათ (აპერატივი). ალკოჰოლიზმი მოედვა ფართო მასას და გამოიწვია მრავალი დანაშაულობანი, ავათმყოფობანი, საოჯახო კონფლიქტები, ცემა და ხოცვა ერთიმეორის – ერთი სიტყვით მოიწამლა ადამიანი ფიზიკურათ და სულიერათ. საექიმი აკადემიამ განიხილა სასმელთა როლი ნაციონალური პიგიენის თვალსაზრისით; დაადგინა 1931 წ. 24 ოქტომბერს და 20 აპრილს 1937 წ. მოეთხოვოს მთავრობას მიიღოს ყველა ღონე მაგარი სასმელების ფაბრიკის შესამცირებლათ და მათი გავრცელების შესახლუდავათ. მერე? მერე არაფერი, დადგენილებანი დარჩა ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა. არავითარი ზომა, არავითარი კანონპრევეტი. რატომ? იმიტომ, რომ ბურუუაზიას შემოსავლის ერთი წყარო დაეკარგება, ხოლო ეს კი მიუღებელია! საპარლამენტო ფრაქციებმა ვერ გაძედეს ამ საკითხის წამოყენება – შიშით, ამომრჩეველნი გადაგვეკიდებიან. აღმოჩნდა რომ ალკოჰოლის გასაღებით ფულს იძენს ოთხი მილიონი ადამიანი; ამოდენა მეკენჭენი რომელ ფრაქციას არ დაანგრევს. პირადი სადეპუტატო ინტერესები გადაება ბურუუაზიის ნივთიერ ინტერესებს და სოციალური პიგიენა დაასამარეს. საჭირო იყო რეჟიმის შეცვლა, პეტენის მთავრობის მოვლინება, დიდი ნაციონალური კრიზისი, რომ ხალხის მომწამვლელთა წინააღმდეგ მცირე ზომა მაინც ყოფილიყო მიღებული.

აი ასეთი მეთაურობა, ასეთი კლასის ერის ბატონ-პატრონათ მოვლინება უდიდესი საფრთხეა აგრარიული ერებისათვის და მათი წმინდა მოვალეობაა ეს საფრთხე დროზე აიცილონ. ქართველ ერს არ შეფერის ბრძათ სიარული, სხვისი წაბაძულობით მოქმედება, თავისი საკუთარი აზრის უქონლობა. ის უნდა გაერთიანდეს ერთ სოციალურ და პოლიტიკურ პლატფორმაზე, გადაიქცეს ერთ შეგნებულ სხეულათ, გადასწყვიტოს თავისი სევ-ბედის ხელში აღება. ამ მიზნის მისაღწევათ აუცილებელია ერთ გზაზე დარაზმვა ყველა სასიცოცხლო ძალების, ცნობა ერთი საერთო პრინციპის, ერთი შემაერთებელი დებუ-



ლების: ვაღიაროთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ ერის ბიულეტენი გაური არსებობის უზრუნველყოფა აუცილებლათ მომსახურების სახალხო სოციალურ ეკონომიკას და ტექნიკურ კულტურას. ეს იქნება ერთ და იმავე დროს ბლოკი ნაციონალური და სოციალური, რომლის გარეშე დარჩება მხოლოდ ერთი მუჭა ბურჟუაზია და მისი ამყოლები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდებიან მიემხრონ საერთო ტალღას, თუ მან ვერ გამონახა უცხო ძალა ერის დასამორჩილებლათ და თავის სამსახურში ჩასაყენებლათ.

ქართველი ხალხისათვის საფრთხე გამომდინარეობს არა შინაგანი ძალთა-განწყობილებისაგან, არამედ უცხო ძალთა შემოსევისაგან შინაური ანტიხალხური ელემენტების წინამდლოლობით. გაბატონების მაძიებელი ჯგუფი, თავის ერში მოკლებული ნიადაგს, ეძებენ დამხმარეთ გარეთ, ანაცვალებენ ერს უცხო იმპერიალისტებს, ოღონდ კი თვითონ ამით ხელი მოითბონ. საქართველო არაერთხელ დააქცია ამ მეთოდმა, ამ ვაჟაბატონებმა და მოსალოდნელია განმეორება ამავე საშუალების ბოლშევიზმის დაცემის ხანაში, თუ კი ქართველობა, მთელი ერი თავის თავის სადარაჯოზე ფხიზლათ, მედგრათ არ დადგა.

საქართველო საქართველოს. ქართველი ერი არის ბატონი თავის შინ და მზათაა შევიდეს კავშირში სხვა ხალხებთან. მეზობელ თუ შორეულებთან, თანასწორობის საფუძველზე. აი ეს ნაციონალური სუვერენობა არის წინასწარი პირობა მისი ფიზიკურათ შენახვის და კულტურულათ აყვავების.

ბურშაბაზის მართველობა და ერის ჯანერალობა

(დამატება „წევნი გზა“-სი).

ერის არსებობის ძირითადი პრობლემაა მისი საღი ორგანიზმის შენახვა, მისი ფიზიკური არსებობის გახანგრძლივება. ისმება საკითხი: ბურჟუაზიის ხელმძღვანელობა ემსახურება ერის ჯანმრთელობის შერჩენას თუ, პირიქით, ერს ანგრევს და გადაგვარების გზაზე აყენებს. ამ საკითხის გადასაჭრელათ საკმარისია გავიცნოთ კველაზე უფრო ტიპიური ბურჟუაზიული დემოკრატიის სამოქმედო ასპარეზის – საფრანგეთის მდგომარეობა ამ სფეროში.

დემოკრატიული რესპუბლიკა აქ საბოლოოდ დამკვიდრდა 1871 წლიდან და დაუბრკოლებლივ მუშაობდა ერში 1940-ის შემდეგ. ამ ხანგრძლივ პერიოდში მან სავსებით გამარტინი იგნისამდე. ამ ხანგრძლივ პერიოდში მან სავსებით გამარტინი თავისი ფრთხი, თქვა თავის სათქმელი, ააყვავა ყველა თავისი ძალები. ჩვენ უკვე ვიცით როგორ მოიხმარა ეს თავისი ძალა ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში, როგორ მოვლიჯა ერის უმრავლესობა შინას, საკუთარ სახლებარს და აქცია ბოგანოთ, მოხეტალე ლუკმა პურის შაძებარ მასათ. მოუარა მაინც ამ ხალხს სანიტარულათ? ამ საგანზე არის მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნებული და მრავალი სტატისტიკური ცნობები, რომელთაგან აქ მოვიყვან მთავარს.

ერის გამრავლება საფრანგეთში თანდათან კლებულობს და ბოლოს მივიდა დეფიციტამდე. ნაპოლეონის ომების გათავებიდან 1816 წელს დაბადებულთა რიცხვი ჭარბობდა გარდაცვალებულთ 245.000-ი; 1821 წელს – 244.000-ი; 1872 წელს – 173.000-ი; 1886 წელს – 53.000-ი და ასე კლება-კლებით მივეღით 1935 წელს, როცა გარდაცვალებულთა რიცხვი აჭარბებს დაბადებულთ 19.000-ი; 1936 წელს – 12.000-ი, ასევე შემდეგ წელს. ერთ აღარ მრავლდება; ის მრავლდებოდა ძველ დროს, როცა არც ექიმობა იყო, არც პიგიენა, არც სხვადასხვა სანიტარული დაწესებულება და დახმარება და მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლებისა აღამიანის ფაზიკური ძალ-ლონე შეუდრეკელი რჩებოდა და შთამომავლობას ამრავლებდა. მხოლოდ ცივილიზაციის აყვავების დროს ეს ბუნებრივი მსვლელობა ტყება და სიცოცხლის წინააღმდეგ მიიმართება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი არ იძადებოდეს საკმარისათ, იძადება, მაგრამ ბევრი მკედარი, ხოლო ცოცხალ ბავშვთა დაბადება კლებულობს. მაგალითად ცოცხალი ბავშვი დაიბადა 1892 წელს 856.000; 1921 წელს – 812.000; 1935 წელს – 641.000; 1937 წელს – 617.000. ამასთანავე მატულობს საერთო გარდაცვალებულთა რიცხვი. ამათი რაოდენობა უდრიდა 1930 წელს 648.000; 1931 წელს – 679.000; 1932 წელს – 659.000; 1933 წელს – 660.000 და სხვა. ეს მიუხედავათ აუარებელი პოსპიტალებისა, ექიმებისა, მუქთი დახმარებისა და აქიმობისა. შველაზე მეტი იხოვება შემდეგი ავათმყოფობით: გულის (61.000), კიბოთი (39.000), დამბლით (39.000), ჭლექით (66.000), ხოლო გადამდები სენით, გაცივებით და სხვა ძლიერ ცოტა, ვ. ა.

გარდაცვლის მთავარი მიზეზია ორგანოების დაავადება, მოშ-
ლა სისალის და ცხოველმყოფობის დაკარგვა. მთავარი მუქაწყულული
ადამიანის სხეულის ასეთი დაძაბუნებისა არის აღკრისტულების
აქიმთა გამოკვლევით მაგარი სასმელი იწვევს დასხეულებას
პირველ ყოვლისა ნერვების სისტემის, სტრომაქის, ფილტვების
და არტერიების, ე. ი. ყველა იმ სხეულებას, რითაც იხოცება
ფრანგთა დიდი უმრავლესობა. ერთი სპეციალისტის სიტყვით:
„მედიცინაში საყოველთაოთ მიღებულია, რომ აღკოპოლიზმი
ღრმათ ასხვაფერებს არა მარტო პიროვნებას, არამედ ამასთა-
ნავე გადასცემს მის მთამომავლობას შხამს, რაიცა მიხეან
ქმნის ავათმყოფს და დამნაშავეს. ის არ კმაყოფილდება გაავ-
სოს საგიჟეთი, საავათმყოფონი და სატუსაღოები, ის ამავე
ღროს უმზადებს ნიადაგს ჭლექს“.

ოფიციალური სტატისტიკით ერთი სული ფრანგი სვამს
წელიწადში 80 ლიტრა სასმელს; თუ ოჯახის წევრთა რიცხვს
გიანგარიშებთ ოთხ სულს, ოჯახი ხარჯავს 320 ლიტრას, თუ
აქედან გამოვაკლებთ ბავშვებს, ორ სულს, გამოვა, რომ ამო-
დენა სასმელს მიირთმევს მხოლოდ ორი პირი — მამა და დედა.
ახლა ამას თუ მიუმატებთ იმ აღკოპოლს, რაც იხდება და ის-
მება ჩუმათ ბაჟის გადაუხდელათ, მივიღებთ გაცილებით მეტ
რაოდენობას. როგორ ვრცელდება ეს სენი სჩანს შემდეგი
ციფრებიდან: სასმელთა ღუქანი ითვლებოდა 1855 წელს – 291.000;
1879 წელს – 334.000; 1913 წელს – 476.000; 1930
წელს – 505.000; საბაჟოში (აქციზი) გასული წმინდა აღკო-
პოლი 1919 წელს იყო 831.000 პეტოლიტრი, ხოლო 1931
წელს ეს რაოდენობა ავიდა 1.126.430 პეტოლიტრი, ხოლო
არის ლეგალური წარო ღოთობისა, ხოლო არალეგალურის
რაოდენობა უცნობია. როგორ უყურებს ამ სენს ბურჟუაზიული
ხელისუფლება და მისი პარლამენტი? საგიჟეთა მართველო-
ბის ასოციაციის ყრილობაზე 13 ივნისს 1935 წელს წარდგე-
ნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „არა თუ არ არის არავითარი
განონი, რომელიც მფარველობდეს საფრანგეთის ხალხს აღ-
კოპოლიზმის საშინელი შედეგებისაგან, არამედ, პირიქით, გა-
მოდის კიდევ კანონები, რომელიც ნებას რთავენ მომწამ-
ვლელთ კიდევ უფრო სისტემატიურათ მოწამლონ ჩვენი ქვე-
ყანა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში პარლამენტმა ხე-
ლი შეუწყო აღკოპოლის ფაბრიკანტების რიცხვის გაზრდას;

ესენი ითვლებოდენ 1917 წელს 777.025, ხოლო ახლა არის 2.386.614. საფრანგეთი ხარჯავს მრავალ ასეულ მიღწეულებს აღკოჰოლის უბედურ მსხვერპლთა მოვლაზე და ქემიტიაზე, ხოლო ამ ნიაღვარის წყაროს ამოსაშრობათ არას აკეთებს (*). ამ საკითხს ყურადღება მიაქცია საექიმო აკადემიამ და ორჯერ მიიღო შესაფერი რეზოლუცია. 1931 წელს მან მიმართა მთავრობას შემდეგი რეზოლუციით: „საექიმო აკადემია იღებს რა მხედველობაში აღკოჰოლიკების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვის ზრდას და უფრო და უფრო ადამიანის ფიზიკურათ და მორალურათ დავარდნას, რის სათავეა აღკოჰოლი, მიმართავს მთავრობას მიიღოს სასწრაფოთ შემდეგი ზომები: 1. ჩაფენებულ იქნას ქანონების ფარგალში აღკოჰოლის დამზადება, გაყიდვა და დაღვევა, განსაკუთრებით მადის მომყვანის; 2. თანდათან შემცირდეს სასმელთა დუქნების რიცხვი, ხოლო ახალის გახსნა პირდაპირ აიკრძალოს“.

ეს რეზოლუცია დარჩა უშედეგოთ. ამიტომ აკადემია კადეკ ერთხელ უბრუნდება ამავე საკითხს და თავის სხდომაზე 20 აპრილს 1937 წელს მოითხოვს: „მთავრობამ მიიღოს კველა ზომა განსაზღვროს რიცხვი სამიკიტნოების, გააუქმოს აღკოჰოლის ფაბრიკანტების პრივილეგიები, დაკეტოს შაბათობით და კვირაობით სასმელთა საწყობები, ქანტორები, სამიკიტნოები და კაფე-სამიკიტნოები“. ეს მიმართვა დარჩა უშედეგოთ. რატომ? იმიტომ, რომ ოთხი მილიონი მოქალაქე ფულს იძენს აღკოჰოლის გავრცელებით და ამოღენა ამრჩეველთა გადაკიდება ვერ გახდა ვერც ერთმა მთავრობამ, ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ.

ამ საშინელი ჭირის შედეგია ერთს ჯანმრთელობის ძირბუდიანათ შერყევა. აი მაგალითები. 1937 წელს ითვლებოდა 35.000 ყრუ-მუნჯი, გარდა ოში დაყრუებულებისა. მთავარი მიზეზია მშობელთა აღკოჰოლიზმი. ავათმყოფთა რიცხვი პირ-პიტალებში უდრიდა 1875 წელს 410.611, ხოლო 1933 წელს — 1.153.409; გაწეული ხარჯი 85 ათასიდან ავიდა ორ მილიარდ ფრანკამდე; ავათმყოფ ბავშების რაოდენობა საავათმყოფოებში 1876 წელს იყო 88.000 ხოლო 1936 წელს 181.000; ჭლექიანთა რიცხვი, მიუხედავათ ყოველნაირ მიღებული ზო-

*) Alec Lahile. Questions d'Actualités.

შებისა, არა თუ არ კლებულობს, არამედ მატულობს. საავათერენიული მყოფების სტატისტიკით ისინი ითვლებოდენ 1926 წელს 114.693, ხოლო 1937 წელს 299.367; სახელმწიფო ხარჯავს ჰლექთან პრძოლაზე 1925 წელს 25 მილიონ ფრანგს, 1937 წელს 59 მილიონს, ეს გარდა იმ თანხებისა, რომელიც ეძღვევა პროვინციებს ჰლექთან საბრძოლველათ, ამ თანხების რაოდენობა 1928 წელს უდრიდა 22 მილიონს, 1935 წელს კი 67 მილიონს.

მატულობს აგრეთვე რიცხვი გიფებისა. მთელ საფრანგეთში 1933 წელს ითვლებოდა 126 ათასი გიფი, კ. ი. ათიათას მცხოვრებზე გიფი ირიცხებოდა სენის დეპარტამენტში 43, ხოლო დანარჩენ საფრანგეთში 28. საერთოთ გიფთა რიცხვი მატულობს კველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მათი რაოდენობა ითვლებოდა: ინგლისში 1888 წელს 82.000, ხოლო 1936 წელს 155.000; შეერთებულ შტატებში 1880 წელს 40.000, ხოლო 1936 წელს 353.000; პატარა ბელგიაშიც კი მათი რიცხვი 8.000-დან ავიდა 23.000-დე და ასე მთელ ევროპაში.

მატულობს აგრეთვე რიცხვი ვენერიული ავათმყოფობის. ამათი ოფიციალური აღრიცხვა სრულიად არ ხატავს სინამდვილეს, ვინაიდან უმრავლესობა თვითონ წამლობს კერძო ექიმების საშუალებით. მაგრამ საავათმყოფოების სტატისტიკა მაინც გვიჩვენებს ამ სენის გავრცელებას. მაგალითად, სიფილიტიკების რიცხვი ითვლებოდა 1930 წელს 99.000; 1932 წელს – 123.000; 1933 წელს – 150.000 და სხვა.

მატულობს რიცხვი დანაშაულობათა და სასამართლოების მაერ დასჯილთა. საყურადღებოა, რომ დამნაშავე ბავშების რიცხვი თანდათან იზრდება. 1925 წელს ითვლებოდა დამნაშავენა 914.000; 1930 წელს – 1.43.000; 1934 წელს – 1.064.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი საოცარი მოვლენა. ქორწინების რიცხვი კლებულობს, ხოლო მუცლის მოშლა კი მატულობს. მაგალითად, 1921 წელს ჯვარისწერა ითვლებოდა 455.543; 1933 წელს – 315.668; 1934 წელს – 298.482; 1938 წელს – 273.903, ხოლო მუცლის მოშლელთა რიცხვი წელიწადში უდრის ნახევარ მილიონს.

აი, მოკლეთ, საფრანგეთის ეროვნული ჯანმრთელობის სურათი, ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით ცივილიზაცია გამოიხატა ხალხის ფიზიკურათ დაგარდნაში. უნდა ითქვას,

რომ ამავე დროს საფრანგეთის გონებრივმა განვითარებამ და-
 დათ აიწია. თუ აქ ნაციონალური ბიოლოგია უკან-უკაშ-მიღმა,
 სამავიეროთ სულიერი კულტურა, მასიური სწავლა-ცოდნა,
 ინტელექტუალიზმი მეტად გაძლიერდა. ამ მხრით საფრანგე-
 თის ერს ვერ შეედრება ვერცერთი ევროპიული ერი. ამ დიდე-
 ბულ მიღწევას თან ახლავს ერთი დიდი ნაკლი, რამაც დაღუ-
 პა ძველი საბერძნეთი. ერთი გონებრივ და ფიზიკურ მდგრა-
 მეობას შორის დარღვეულია წონასწორობა, გაწყვეტილია კავ-
 შირი, ვერც პირველმა აიყოლია მეორე, ვერც მეორემ დაიყო-
 ლია პარველი: ისინი ცალ-ცალკე მიდიან, მოპირდაპირე მი-
 მართულებით ერთიმეორეს შორდებიან. შესაძლებელია ამ
 დარღვეული წონასწორობის აღდგენა, ვრის ფიზიკურ ჯან-
 მრთელობის გონებრივ ჯანმრთელობამდე აყვანა? ეს საკითხი
 დღეს უდგათ მეცნიერთ. ერთი ექიმი, არასოციალისტი, წერს:
 „პიროვნებათა განახლებისათვის აუცილებელია განახლება
 თანამედროვე ცხოვრების პირობების, ხოლო ეს შეუძლებელია
 ურევოლიუციონთ. არ კმარა შეგნება ცვლილების აუცილებ-
 ლობის, საჭიროა ამასთანავე გქონდეს მასი განხორციელების
 მეცნიერული საშუალებანი; საჭიროა აგრეთვე ამ ტექნილო-
 გიური ცავილიზაციის დანგრევის პროცესმა დაბადოს ამ ცვლი-
 ლებისათვის მიუცილებელი ნებისყოფა. გვაქვს კი საქმარისი
 ენერგია და შორსმჭვრეტელობა ასეთი გარდატეხისათვის? ერ-
 თი შეხედვით არა სჩანს, რომ ის გვქონდეს. თანამედროვე ადა-
 მიანი დაეშვა აპატიაში ყველა საკითხის მიმართ გარდა ფული-
 სა. მაგრამ იმედი მაინც არის. თანამედროვე ორგანიზაცია წარ-
 მოების და საქმეების ვერ თავსდება ადამიანის პიროვნების
 განვითარებასთან, თუ ეს ასეა, უნდა იქნას შეწირული თანა-
 მედროვე ცივილიზაცია და არა ადამიანი**). ეს მეცნიერი, რო-
 გორც არა-სოციალისტი, ვერ ხედავს რეალურ გზას, ვერც სა-
 ამისოთ მომზადებულ ხალხს და ამიტომ მთელ თავის იმედს
 ამდარებს „მცირედ გუნდზე“, რომელთაც „წინაპართა ენერ-
 გია“ შერჩათ.

21.5.41.

**) Dr. Alexis Carrel L'Homme et inconnu 1940 ვ. 335.

ღ ღ ე ხ, ხ ვ ა ლ

1. პირების დასხა

რა ხდება დღეს ქვეყანაზე – კველა ხედავს. კაცობრიობის გადავარდნა სრულიად მოულოდნელათ უფსკრულში, მისი უეცარი გახვევა გაუვალ სიბნელეში საყოველთაო სინამდვილეა.

შესრულდა ორი წელიწადი მას შემდეგ, რაც დღევანდელი ომი ატყდა და მას არავითარი დასასრული არ უჩანს; ის არა თუ არ იკვეცება და ვიწროვდება, არამედ, პირიქით, თანდათან ფართოვდება, ახალ-ახალ ხალხებს და ტერიტორიებს ეფინება და მსოფლიო ქარიშხალათ ხდება. ამ უაშათ ის აწვება ახლო აღმოსავლეთს, იძყრობს სპარსეთს. კავკასია იმწყვდევა ომის რეალში.

ომი ძველი აშბავია. ამ გზაზე მოღის ადამიანი თავიდანვე მან უეჭველათ უნდა დახოცოს და დამრბიოს თავისავე მსგავსი. კაინმა, როცა ვერავინ ნახა მოსაკლავათ, თავისი მმა აბეჭდი მოკლა. ეს აწყვეტილი ტალღა ადამიანთა შორის გადაიქცა აუცილებელ სტიქიურ მოვლენათ და ბოლოს და ბოლოს საზოგადოება გახდა იმულებული მისთვის მიეცა რაიმე კალაპოტი, განსაზღვრული წესები და სავალდებულო პრინციპები. ამათ შორის მორალურათ მისაღები იყო ერთი წესი: ომი წარმოებს მეომართა, შეიარაღებულ ბანაკთა შორის. მშეიღობიანი, უიარაღო, მცხოვრები გამოიყო ამ წრიდან და მათ არ ერჩოდენ. ეს ველურობის დროს გამომუშავებული სამხედრო ყოფაქცევა დღეს სავსებით უარყოფილია განათლებული კაცობრიობის მიერ და მის ალაგას აღმართულია დროშა ომის ყველას ყველას წინააღმდეგ. დამით, სიბნელეში წუმათ თავს ესსმიან ქალაქებს და სოფლებს, მნიშვნელოვან მათ, ხოცავენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცო, ავათმყოფთ, მთელ მშვიდობიან მოსახლეობას და ამას ომს უწოდებუნ. შეიარაღებუ-

ლი მოპირდაპირე ჯარები ერთიმეორეს გაურბიან, თავთავის
შინ იკეტებიან, ხოლო მათ მაგიერობას სწევენ ჰევებული
საპარატები. ამათი მოქმედება ქებადიდებას თწევები
თავიანთი მთავრობებიდან, მთელი საზოგადოებიდან და ამ
შეფასებას დიდი ზეიმით აცხადებენ. თუ საშუალო საუკუნე-
ში იარაღგატეჭილი მებრძოლის მოკვლა შეიარაღებული მო-
წინააღმდეგის მიერ ითვლებოდა სამარცხვინო მოქმედებათ,
ახლა, პირიქით, სწორედ უიარაღოთა ქლეტა გადაიქცა საქე-
პრატ და საამაყოთ; ასეთია უმაღლესი ცივილიზაციის უდაბ-
ლესი საომარი მორალი.

ამ მორალის შედეგი რა იქნება თუ არა უთავბოლო ნგრევა
ადამიანის ნაშრომის და ნაღვაწის. ინგრევა აუარებელი შე-
ნობები, იძირება ზღვაში აუარებელი გემება და საქონელი, ნი-
ავდება მასიურათ კაცობრიობის სიმდიდრე და ნაამაგარი. და
ეს არა თუ იწვევს პროტესტს, პირიქით იწვევს აღტაცებას,
დაჯილდოებას და წაქეზებას. ომის მეთოდი სრული განმე-
ორებაა ყაჩაღების მეთოდის, იმ განსხვავებით, რომ ყაჩაღები
სხვის სიმდიდრეს თვითონ ეპატრონებიან, ხოლო განათლე-
ბულები ზღვაში ყრიან, არც შენ და არც მეო.

სამხედრო ზნეობის დაცემას ემატება სამოქალაქო ზნეობის
დაცემა. ამის გასაშტერებელი და დამახასიათებელი ნიშანია
კენტერბირიის არქიეფისკოფოზის გამოსვლა, რომლითაც
უბრძანა ინგლისის სამღვდელოებას ილოცეთ სტალინის გასა-
მარჯვებლათო. მათი ერთათერთი მოწოდებაა ილოცონ ქრის-
ტეს სადიდებლათ და მისი მოძღვრების გასავრცელებლათ. საბ-
ჭოებმა კი დაანგრიეს თავის საბრძანებელში ეკლესია, სდევ-
ნიან სამღვდელოებას, მთელ ქრისტიანობას, მთელ რელიგიურ
მოძღვრებას, ხოლო ინგლისის ეკლესია კი ნატრულობს ამ
მდევნელთა გამარჯვებას, ქრისტიანობის განადგურებას! ამა-
ზე უფრო დაბლა დაცემა რელიგიური მორალის წარმოუდგენე-
ლია. მით უფრო გამქრალია ყოველივე ზნეობა და პრინციპი
პოლიტიკაში. ინგლის-ამერიკა საჯაროთ მუშაობენ მოსკოვის
გასამარჯვებლათ, რის შედეგი იქნება მთელი ევროპის კონტი-
ნენტის გასაბჭოება, ე. ი. მთელი თანამედროვე კულტურის
დაქცევა და მის აღავას ძველი ეგვიპტური მონური სოციალუ-
რი წყობის გაბატონება. ამას ისინი არ დაგიდევენ იმ იმედით,
რომ მათ კუნძულზე, მათ შინ ეს ჭირი ვერ გადავა, ხოლო სხვა

ქვეყნების ბედი ფეხებზე კიდიათ. ინგლის-მოსკოვის შეერთებული ჯარები შევიღნენ სპარსეთში, ბოლშევიკები იქ ამყარები ბენ საბჭოთა წესებს, არღვევენ მთელ აღვალობრივ წყობას ფოველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ხოლო ინგლისისათვის ეს მისაღები, ხელის შესაწყობი და მოსაწონია.

რაშია საქმე, რატომ ასე ძირბუდიანათ აფორიაქდა ქულტურული ეკრობა და ამერიკა, რამ გამოიყვანა ისინი თავისი ნორმალური კალაპოტიდან, აუმღვრია სული და გული, დაუბნელა გონიერება და გადაისროლა პრიმიტიული სახოგადოების დაბალი საფეხურის უკან? ამ ღრმა გარდატეხის ახსნა ზერელე მიზეზებით, თითო-ოროლა პირების ბოროტი განხრახვით; ავი სულის ავათ ნაფიქრით იქნებოდა თავის მოტყუება, დიდი საკითხის ბაზზე აგდება და ოცნებების ტყვეობაში თავისი ნებით მოქცევა. ისტორიული მსვლელობა არ არის ნაუციფათევი, არეულ-დარეული პროცესი; ის მუდამ მიმდინარეობს ლოღიურათ, მის ნაბიჯების ერთიმეორესთან დაკავშირებით, ერთიმეორის განსაზღვრით და თანდათანი ცვლილებით. მოულოდნელი აქ თავისთავათ არაფერია. რაც ხდება — აუცილებელია; მოულოდნელია მხოლოდ ადამიანისათვის, განსაკუთრებით ზერელე და დაუფიქრებელისათვის. ხოლო ამ სათაკილო თვისებით არიან, მუდამ იყვნენ და იქნებიან, შეპყრობილნი კმაყოფილი, გამძლარი და განებივრებული პირები და წრეები, დღევანდელ სიამოვნებაში ჩაფლულნი და ხვალინდელი დღის დაუნახვნი. მოსალოდნელ ომზე არა ერთხელ მიუთითეს ეკონომისტებმა და მსწავლულებმა მართველ წრეებს, მაგრამ მათ ყური მოიყრეს, თავისი სურვილი სინამდვილეთ მიიღეს და ქვეყანა მოუმზადებლათ დაახვედრეს ამოვარდნილ გრიგალს.

და რაღა შორს გავიხედოთ, მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ ჩვენს ემიგრაციისაკენ, რომელმაც სრულიად ზერელეთ, აღმაცერათ შეხედეს ჩვენს გაფრთხილებას. 1938 წ. დეკემბერში მიმართული ჩვენი წერილი ერთი ფრონტის შესაქმნელათ და მოახლოებული მსოფლიო გარდატეხისათვის ერთად დარაზმულათ დასახვედრათ დარჩა უშედეგოთ. რაც მოხდა რვა თვის შემდეგ — არავინ მოელოდა. ხოლო რაც მოხდა — გარკვეულათ იყო ნავარაუდევი მიმართვაში. აი რას ვსწერდით სიტყვასი-ტყვით ამ საგანზე:

„ამ უამათ კაცობრიობა იმყოფება ხალხთა და ტერიტორია-

ათა გადანაწილების პერიოდში. ასეთი გადანაწილებულებულები ნასკნელ ერთ საუკუნეში ორჯერ მოხდა: 1815 წ. ევნიტეს/როსტეს/ ცა დაარღვია 1848 წ. რევოლუციამ და 1919 წ. ვერსალში, რაიცა დაირღვა ჩვენ თვალწინ, ირღვევა მისი ნაშთები ფოველ-დღე. კაცობრიობა მოშორდა ვერსალის კალაპოტს, ხოლო ახა-ლი ჯერ ვერ შეუქმნია. ნათელია მხოლოდ ის გეზი, საითკენაც მიიმართება მისი მთავარი ხაზები. ის იწყება შუაგული ევრო-პიდან ერთი მხრით, შორეული აღმოსავლეთიდან მეორე მხრით და ორივენი შეიყრებან აღმოსავლეთი ევროპის ვრცელ სივრ-ცეზე. ამ მოძრაობის მეთაურნი არიან უკმაყოფილო სახელ-შწიფონი, რომელიც ვერ ეტევიან თავის ვიწრო ჩარჩოში და ცდილობენ მის გაგანიერებას ეკონომიკურათ და პოლიტიკუ-რათ.

„ჩევნი დროის ასეთი მიმდინარეობა არ არის ვინმეს შეიგრძნელოს, მოცლილ ჭკუის სააფალმაყალო ნაყოფი. ის მოდის სტიქიურათ, სრულიად ობიექტიურათ, ცხოვრების სიღრმიდან, მსოფლიო ეკონომიური ქრიზისიდან, რაიცა არ ემორჩილება ადამიანის სურვილებს და ნებისყოფას. მოდის ის როგორც შეუჩერებელი, გარდაუვალი ქარიშხალი და აფორიქებს ყველა საზოგადოებას, ყველა ერს, მიუხედავათ მისი პოლიტიკური წყობილების და ოურიდიული გამოხატულებისა. ამ ფარგალში მოთავსებული უკმაყოფილო ერები თამაშობენ აქტიურ როლს, ხოლო გამაძღარი, განებივრებული ქმაყოფილი ერები განცვიფრებით შეეურებენ ამათ აქტივობას და ცდალობენ ეს ტალღა ააშორონ თავის საზღვრებს. ესენი პასიურ პოზიციაზე მაგრდებიან“.

აი ამ წერილში ანუსხულია არა მარტო შემდეგ გავარდნა-
ლი მეხი, არამედ ამასთანავე ნაჩვენებია მისი გამომწვევი მი-
ზენი — მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ეს არ იყო მარტო
ჩვენი პარადი ნააზრევი. საფრანგეთის საგარეო საგაჭრო სა-
ზოგადოების მიმართვაში 1933 წ. მთავრობისადმი ფრთხილათ,
მაგრამ ხაზგასმია, ნათქვამია:

„პლიტიკა გარის ჩაეტვის, უკონომიური იზოლიაციის და ოტარების თან აატარებს უდიდეს რისკს მსოფლიო შევალბითაობისათვის“*). ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობა-

^{*)} იბ. გამოცემა: Union française des Industries exportatrices, № 3, 22. 68, 1933.

ში ასეთი გაფრთხილება არა ერთხელ გამოცხადებულა საქმის
მცოდნე და მოაზროვნე ხალხისაგან, მაგრამ ყველა ეს რჩეჭრე წერტილი
და უშედეგოთ.

ამნაირათ, უდაო არის ერთი ფაქტი: დღევანდელი ომის მი-
ზეზი უნდა ვეძიოთ მსოფლიო ეკონომიკაში. მხოლოდ ამ გზით
შეგვიძლია მივიდეთ მომავლის გამოცნობამდე, ნამდვილი სა-
ვალი გზის და მოქმედების გათვალისწინებამდე. მაშასადამე
ისმება საკითხი:

რა სახის და შინაარსის არის ის ეკონომიური წყობა, რო-
მელიც იძლევა ასეთ გაუგონარ კატასტროფას მთელი საკა-
ცობრიო ცივილიზაციისა, მთელი მოპოვებული კულტურისა
და განვითარებისა.

2. ორგვარი ეკონომიური წყობა

არის ორგვარი ეკონომიური წყობა, ერთი მოდის დასაბა-
მიდან, ადამიანთა პირველი საზოგადოებიდან და გრძელდება
დღევანდლამდე. ეს არის მიწათმოქმედება, სასოფლო მეურნეო-
ბა და მასზე აგებული სოციალური ურთიერთობა ერში და ერ-
თა შორის. მეორეა ახალი მოვლენა. იწყება მეთვრამეტე საუ-
კუნის ბოლოდან, გაძლიერდა მეცხრამეტეში და სავსებით გარ-
დაქმნა მთელი სოციალური წესწყობილება. ეს არის
მრეწველობა. თანახმათ ამ ეკონომიური დაყოფისა, იყოფა ცი-
ვილიზაცია; ისიც ორია — აგრარიული და ინდუსტრიალური.
მათი დამახასიათებელი თვისებები არ ძეგს მოთხოვნილებათა,
ნედლი მასალების, სასიცოცხლო პირობების განსხვავებაში.
ყველა ადამიანს ყველა ეპოქისა ეჭირვება ბინა, ჩაცმა-დახურ-
რვა, ჟამა-სმა, რაიცა კმაყოფილდება მუდამ ერთნაირათ, ერთი
და იგივე მასალებით. განსხვავება იწყება თვით ამ ნაყოფთა
მოპოვების საშუალებებიდან, როგორ, რა წესით მუშა მუშა-
ობს, რა შრომის მეთოდით იკმაყოფილებს თვის მოთხოვნი-
ლებას. მრეწველობა, აღებმიცემობა, ვაჭრობა ძველი ამბა-
ვია, ის არსებობდა მუდამ სხვადასხვა ფორმით და სახით. ამ
მხრით არავითარი განსხვავება არ არის, მაგ, ძველი ფინიკი-
ელთა ვაჭრობის და ახალი ინგლისის შორის. ორივეს ერთნა-
ირათ გააქვთ თავისი საქონელი უცხოეთში გასაყიდათ, ორივე
ერთნაირათ სდებიან მსოფლიო ბაზრის მეთაურნი და ბატონი.

მაგრამ მათ შორის მზგავსებაც კი არ არის გასაყიდი საქონ-
ლის დამუშავების წესებში. ყველა ეპოქის ნივთი მუშაბდები-
ლა ხელით, ადამიანის მუსკულების პირდაპირ ამჟამურებით.
ამატომ ნაყოფი იყო ცოტა, ძვირი, თუმცა ღირსებით ჩინებუ-
ლი, მაგრამ ღარიბისათვის ხელმიუწვდენელი. ხალხი მას ვერ
ყიდულობდა და თვითეული ოჯახი იძულებული იყო თავისი
სამოსი თვითონვე დაქმუშავებია თავისივე ბინაზე. ამ ბაზაზე
ერთდებოდა სამიწათმოქმედო და სამრეწველო მეურნეობა. ორი-
ვე წარმოადგენდა ერთ მთლიან ეკონომიკას, ხოლო აღებ-მი-
ცემობა რჩებოდა ხვედრი მდიდარი მუშტარის და მდიდარი ვა-
ჭარის, რაიცა წარმოადგენდა ერის პატარა უმცირესობას. რა-
საკვირველია შრომის ასეთი ვიწრო დარგი ვერ გაბატონდებო-
და ეკონომიურ წყობაში, ვერ დაეცილებოდა მეურნეობას, ვერც
მუშაობით, ვერც კულტურით, ვერც მნიშვნელობით. ცივილი-
ზაცია რჩებოდა აგრარიული.

აი ამ ძველისძველ ეკონომიურ წყობაში პირველათ ხდება
უდიდესი რევოლუცია 1769 წ., როცა უბრალო ხელოსანმა
ჯემს უატმა, ინგლისმი, თავისი სართავი იარაღი აამუშავა
არა ხელით, არამედ ორთქლით, მის მიერ გამოვონებული მან-
ქანით. ფაბრიკა ჩნდება, თანამედროვე ინდუსტრია არსდება,
საქონელს და მის მუშაკს შორის ტექნიკა დგება. ერთი სი-
ტვით, ცივილიზაცია იცვლება, მისი ერთი ხანა მეორეს მოხ-
დევს იმის თანახმათ, თუ რა იარაღით ადამიანი იქმაყოფი-
ლებს თავის საარსებო მოთხოვნილებას, რა წესით ის თავს
ირჩეს. ამ მხრით მისი ისტორია იყოფა ოთხ პერიოდათ: ნა-
დირობა (შვილდ-ისარი), მეჯოგეობა (პირუტყვი), მიწათმოქ-
მედება (თოზი და წალდი) და მრეწველობა (მანქანა).

ამჟამათ კაცობრიობა იმყოფება ამ უკანასკნელ პერიოდში.
მაგრამ ეს არ ნაშნავს ყველა ერის ამ ხაზზე გათანასწორებას
და ერთ უდელში შებმას. მრეწველობა გაადვილებულია ტექნი-
კის საშუალებით, ის დღეს მასიურათ ამზადებს საქონელს. მი-
უხედავათ ამისა, ის ყოველგან ვერ გაბატონდა, ყოველგან ვერ
შეიტანა ძველი ეკონომიკის ნგრევა და ახალის დამკვიდრება.
პირიქით, წმინდა სამრეწველო ქვეყნები რიცხვით და მცხოვ-
რებთა რაოდენობით მეტათ მცირეა დანარჩენ კაცობრიობასთან
შედარებით. ისინი შეიცავენ: ინგლის, გერმანიას, საფრანგეთს,
ჩრდილოამერიკის შტატებს, იაპონიას და პატარა ერებს: ბელ-

გიას, ჰოლანდიას და შვეიცარიას. თუ ამ უკანასკნელთ გამო-
ვყდებთ საერთო რიცხვს, როგორც მცირე მნიშვნელოვანი ფაზურული
ლენის საერთაშორისო ურთიერთობაში, დავინახავთ რომ ქვე-
ყანას ეკონომიურათ გაუბატონდა ხეთიოდე ერი, ჩაითრია თა-
ვის გავლენაში დანარჩენი და მიყავს კაცობრიობის მთელი ის-
ტორია თავის ნებისამებრ.

ამნაირად, ორ მიღიარდ მცხოვრებთა შორის წმინდა სამ-
რეწველონი არიან სამასი მიღიონი, ყველა დანარჩენი შეი-
ცავენ აგრარიულ ქვეყნებს მცირე ინდუსტრიით. ამათ შორის,
ერთი ძირითადი განსხვავებაა: პირველი ერთ დღესაც ვერ გას-
ძლებენ უსაზღვარგარეთოთ, ვერ აცხოვრებენ საკუთარა სა-
ნოვაგით, ვერ აამუშავებენ ფაბრიკა-ქარხნებს მხოლოდ საკუ-
თარი ნედლი მასალით და ამიტომ იძულებული არიან ყველა
ეს საქონელი შემოიტანონ უცხოეთიდან. მეორენი კი, პირი-
ქით, ცხოვრობენ თავისივე მიწის ნაყოფით, თავის მრეწველო-
ბას ამუშავებენ თავისივე ნედლი მასალით, გასატან-შემოსა-
ტანი საქონელი აქვთ მცირე, არ არიან დამოკიდებული მსოფ-
ლით ბაზარზე და საერთაშორისო კრედიტზე. მაგრამ მათ არ
ეშვება ინდუსტრიალური ეკონომიკა და ითრევს ძალით თუ
ნებით თავის სააღებ-მიცემო სფეროში. მისი ფუძეა მსოფლიო
ბაზარის არსებობა, ე. ი. ყოველგან გატანა თავის საქონლის გა-
საყიდათ და იქიდან შემოტანა დაუმუშავებელი მასალების. მას
არ ძალუქს შეაჩეროს, დაასუსტოს თავისი მრეწველობა, ვი-
ნაიდან ეს იქნებოდა დამშევა მცხოვრებთა დიდი უმრავლე-
სობის, მთელი ერის დაქცევა. ცხადია, ინდუსტრიალურა ადა-
მიანის საარსებო ინტერესი მოიხსოვს უცხო საქონლის შემო-
ტანას, ხოლო შემოტანა შეუძლებელია, თუ სამაგიერო არ გაი-
ტანა, ისე როგორც გატანა შეუძლებელია, თუ არ შემოიტანა.
აგრარიულ ერში მუშაობენ იმდენათ და იმდენს, რომ თავის
რჩენის საშუალებანი მოიმუშაონ და ბეღელში შეინახონ. მეტს
არ ეძებენ, ვინაიდან გასავალი არ აქვს; შრომის გაყოფა სუს-
ტია, ყველას ყველაფერი აქვს თავისივე სახლში, ვაჭრობა მცი-
რეა. მათ ეჭირვებათ მხოლოდ ჩაცმა-დახურვის საქონლის შე-
ძენა, რაიცა მისი ბიუჯეტის მცირე ნაწილს. შეიცავს. სამრეწ-
ველო ქვეყანაში მუშაობენ არა თავისთვის სახმარი საქონლის
შესაქმნელათ, არამედ სხვისი მოთხოვნილების დასაკმაყოფი-
ლებლათ, სხვა ქვეყანაში გასატანათ და იქ მიღებული ფულით

სანოვაგის შემოტანას. აქ მთელი ცხოვრება დამოკიდებულია ფულის ტრიალზე, ყველაფერი იყიდება, ყველა ჟელაზიქნშენშე დუღობს. ამ პროცესის ოდნავათაც წაბორძისება, შეჩერება, შესუსტება, ბადებს საშინელ კრიზისს, ხალხს ეკარგვის თავის რჩენის წყარო, ჩამოვარდება უმუშევრობა, უფულობა, უპურობა, საერთო აფორიაქება. ასეთი უბედურობა აგრარიულ ქვეყანას ეწვევა მხოლოდ მოუსავლობის დროს, როგორც შედეგი ბუნების მოვლენისა. ამ მოულოდნელი დამშევის შესაძლებულებლათ იღებენ წინასწარ ზომებს, ინახავენ საზოგადო ბეღელში ხორბლებულობას და გაჭირვების დროს მცხოვრებთ ურიგებენ. ასე იყო ყოველგან ძველათ, არის ახლაც ბევრ ალაგას. პირველია შედეგი ადამიანის საქმიანობის, მისი უგუნურობის, ხოლო მეორეა შედეგი ბუნების, რაიცა არ ემორჩილება ადამიანის ნებისყოფას და ძალაუნებურათ მისაღებია. ომის დროს განსაკუთრებით იფეთქებს ღრმა განსხვავება ამ ორ ეკონომიკას შორის. მაგალითად, დიდი ომი წარმოებდა ჩვენს საზღვრებთან, მაგრამ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება ამით არ აფორიაქებულა. ის ისე იკვებებოდა, როგორც ყოველთვის. აქ, ინდუსტრიალურ ქვეყანაში, გამარჯვებული თუ დამარცხებული — ორივე ერთნაირ უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან და იძულებული არიან ხელოვნურათ შეიმოკლონ ძვება, შეივაწროვონ თავის რჩენა. რაკი უცხოეთიდან სანოვაგის შიღება გაძნელებულია, ხოლო შინ კი არ გააჩნიათ, შიმშილობა თავის-თავათ ბოძებულია. სწორედ ამ იარაღის იმედი აქვს ინგლისს გერმანიის დასამარცხებლათ.

ამ ორგვარი ეკონომიკის შედეგია ორგვარი ომი, ორი სხვადასხვა მიზეზებით ატეხილი ხალხთა ერთი-მეორის ულეტა. ყველა ძველებურ ომს იწვევდა ორი გარემოება: ადგილობრივათ ჩამოვარდნილი შიმშილი და აქედან წარმომდგარი აუცილებლობა უცხოეთში სანოვაგის შოვნისა (ატალი, ჩინგისხანი და სხვ.), ანდა გაბატონებული მართველობის ამბიცია იყოს ბრძანებელი რაც შეიძლება მეტი ხალხის, მეტი ტერიტორიის (ალექსანდრე მაკედონელი, ქსერქს, რომის იმპერატორები და სხვ.). აი ეს ომის ძველი ხასიათი მოსპონ თანამედროვე სამრეწველო განვითარებამ და ჩაუყარა საფუძველი ახალი ხსიათის ომებს, წმინდა სავაჭრო სამრეწველო თვისებისა. ამ განსხვავების ორ მაგალითს იძლევა დღევანდელ ომში რუ-

სეთი და გერმანია. პირველი წარმოადგენს ოშიანობის ძველ
ტიპს, მეორე კი — ახალს. გერმანია პირდაპირ აცხადებს, მოქმედული
მისი მიზანია მოიპოვოს „სიცოცხლის არე“, ე. ი. ისეთი ეკონომიკური
ნომიური ბაზარი, სადაც შეიძლებოდეს მისი საქონლის გასა-
ღება და საიდანაც შეეძლება სამაგიერო ნედლი მასალის და
სანოვაგის შემოტანა. დასავლეთის ყველა სამრეწველო სა-
ხელმწიფო მოეწყო ამ ნიადაგზე, ყველას აქვს, პატარა ბელ-
გიასაც, თავისი „საარსებო არე“; ამის გარეთ დარჩა ერთად-
ერთი გერმანია და ისიც იძულებულია ამ სახით იაროს. რუ-
სეთს კი არავითარი ახალი საარსებო სივრცე არ ეჭირვება,
მისი საკუთარი სივრცე, მასი მოსახლეობა, მისი ეკონომიკა
სრულიად არ საჭიროებს საგარეო არეს, ყველაფერი შინ აქვს.
ბალტიკას, პოლონეთს, რუმინიას აგრე ახლა თავს დაესხა და
დაიმორჩილა არა ეკონომიური მოტივებით, არა თანამედროვე
სამრეწველო აუცილებლობით, არამედ ძეველებური მოტივებით,
რველი დესპოტების ამბიციით — იბატონონ რაც შეიძლება
მეტ ხალხზე, მეტ ტერიტორიაზე. ამ პეტრე პირველის ან-
დერძს ახლა სტალინი მისდევს და ინგლისთან შეთანხმებით
ფიქრობს მის განხორციელებას. ევროპის ყველა ომი 1914
წლამდე იყო იმი ძველი ტიპის, აგრარიული ხასიათის და მის-
გან გამომდინარე პრინციპების. 1870 წლის საფრანგეთ-გერ-
მანიის ომს არ ქონდა არავითარი ეკონომიური სარჩევლი; ის
იყო გამოწვეული პრუსიის მიერ ნაციონალური მოსახრებით,
როგორც საშუალება პრუსიის ჰეგემონიის დამკვიდრებისა გერ-
მანელ სახელმწიფოთა შორის და ამათი თავის მოყრის მის
სატარეველს ქვეშ. მხოლოდ დიდი და დღევანდელი ომით იხ-
სნება ახალი ხანა სავაჭრო შეიარაღებული კონფლიქტებისა
ევროპაში და მით შეთქმულობით. ეს სავხებით ახალი მოვლენაა.
ცივილიზაციის ახალი საფეხურია, რაიცა უნდა გათავდეს ან
მისი დანგრევით ან მისთვის ახალი ეკონომიური კალაპოტის
შექმნით და მით მისი გაჯანსაღებით.

იყითხავთ, კაპიტალიზმი არსებობს დიდისანია, მრეწველობა
გაბატონდა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო სამ-
რეწველო შინაარსის ომები ატედა ბოლო ხანებში; რატომ, რამ
გამოიწვია ეს ახალი საერთაშორისო სამკვდრო-სასიცოცხლო
გადამტერება? ამის გასავებათ საჭიროა გავითო კაპიტალიზ-
მის უკანასკნელი ეტაპის ფორმა და შინაარსი.



თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს არსებოფასური მიკროეკონომიკას, ეკონომიკას ბაზრის. წარმოების სვე-ბედი წყდება ამ ასპარეზზე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია სახელმწიფო ზრუნავდეს ამ ნიადაგზე დაიცვას და გაამაგროს თავისი საქონელი, გაუწიოს მას მფარველობა. ამ გზაზე იდგა ყველა მთავრობა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის პირველი სახეეროსა. ერთადერთ ინგლისს არ ეშინოდა უცხო კონკურენციისა და ამიტომ თავისუფალი ვაჭრობა, ლიბერალიზმი, მისი დოქტრინა და მისი პოლიტიკა გახდა სავაჭრო ასპარეზზე. ამ გარემოებამ გაზარდა ლონდონის ბაზარი იმდენათ, რომ ის გადაიქცა მსოფლიო ბაზრათ, ფასების რეგულირობათ მთელი ქვეყნის საქონლისათვის. ნაპოლეონ მესამე ბაძავს ინგლისს და პროტექციურ სავაჭრო სისტემას სცვლის ლიბერალურზე. თავისუფალი შეჯიბრება, საქონლის ყიდვა-გაყიდვა მისი ღირსების თანახმათ, გახდა საერთაშორისო ეკონომიურ პოლიტიკათ. ამიტომ ბაზრის საკითხი არ იჭრებოდა ხმალით, ძალდატანებით, ომით, არამედ თავისუფალი კონკურენციით, შეჯიბრებით; კარგი და იაფი საქონელი თავისთავად იმარჯვებდა. გამარჯვებულ გერმანიას 1871 წ. არავითარი სააღებმიცემო პრივილეგიები, არავითარი „საარსებო არე“ არ მოუთხოვია, ვინაიდან მისი მჭრელი ფარხმალი იყო თავისუფალი კონკურენცია. ის იდგა დარაჯათ რეინზე. საფრანგეთმა არ დამინგრაოს გაერთიანებული გერმანიათ და ყოველივე ზომას იღებდა ამ საშიშარი მეზობლის ყურადღება მიეპყრო ევროპიდან აფრიკისაკენ, ჩაება საკოლონით ძიებაში. მაროკოს საკითხში მას არ გამოუჩენია შეურიგებლობა, არც თავისთვის მოუთხოვია „ჯილდოთ“ ნაჭერი ტერიტორია. ამ ეკონომიური პოლიტიკის შედეგი მრეწველობის და აღებ-მიცემობის დიდად გაზრდა, ქალაქების და საწარმოებრ ცენტრების აყვავება, სოფლის ხალხის ამ ცენტრებისაკენ დაძრა და ახალ-ახალ დარგებში მოსახლეობის ჩაბმა. მაგალითად, გერმანიაში ითვლებოდა 1870 წ. მცხოვრებნი სოფლად 64 პროც., ქალაქებად – 36 პროც., ხოლო 1910 წ. – 40 პროც. პირველი, 60 პროც. – მეორე. ინგლისში 1850 წ. სოფლელნი ირიცხებოდენ 50 პროც., ამდენივე ქალაქელნი, ხოლო 1910 წ. – პირველი 22 პროც., მეორენი –

78 პროც. ამ ტემპით ვითარდებოდა ყველა სხვა სამრეწველო ერნი*). ამდენი ხალხის ჩაბმამ სამრეწველო დარგში გამოიწულები ვია მსოფლიო საგარეო ვაჭრობის გაზრდა. ის უდრიდა 1895 წ. 82 მილიარდ ოქროს მარკას, 1895 წ. 113 მილიარდს, 1913 წ. 169 მილიარდს (იქვე გვ. 26). ამაში ევროპის წილი იყო, 1895 წ., შემოტანის სამიმეოთხედი (72 პროც.) და გატანის ორიმესამედი. მას შემდეგ ევროპის საგარეო ვაჭრობა მიდის უკან, მისი გატანის წილი 65 პროცენტიდან ვარდება 62 პროცენტამდე 1913 წ. იწყება მსოფლიო ვაჭრობის სფეროში ევროპის ჰეგემონიის შესუსტება, რაიცა აურიაქებს განებივრებულ დასავლეთს და აბაშის დიდ ომში ახალი ბაზრების მოსახლეობლათ.

ამ დიადი ნივთიერი აღორძინების წინამძღოლი და ჰეგემონი შეიქმნა ინგლისი, ხოლო ინგლისში ლონდონის ცენტრი, რომელსაც ეწოდება სიტი. აქ ძევს მსოფლიო ვაჭრობის სვებედი. მის ცნობებს, მის გამოცხადებულ ფასებს ყურს უგდებენ დედამიწის ყველა კიდეში და იქმნება თუ იღუპება მრავალთა სიმდიდრენი. რეიტერის სააგენტოს დირექტორი ამბობს: „იმ დღეს, როცა ამერიკელები გამოარკვევენ ბაბის მოსავლის რაოდენობას, მთელი ქვეყანა ჩვენს სააგენტოებს ყურს უგდებს, რომ ჩვენი ფასებით გაითვალისწინო ამ საქონელის ადგილობრივი ფასები. ერთი ციფრი იწვევს ერთ აღაგას სიმდიდრის გაქრობას, მეორე აღაგას კი მის შექმნას. ალექსანდრიაში იწვევს მთელ აჯანყებას, კალკუტაში სპეციალიანტებს ამწვედევენ სადგომში და მხოლოდ ჩვენი გამოცხადების შემდეგ უშვებენ ბალკონებზე, საიდანაც მოგროვილ და მღელვარე ხალხს თითებით უჩვენებენ ჩვენს ფასებს. ჩვენს სააგენტოს ასიწელიწადია კარები არ დაუხურავს, ყოველ ორ-სამ წუთში ქვეყანას ვაძლევთ საეკონომიკ ცნობებს**). მუდმივი შეუჩერებელი ლტოლვა მსოფლიოს საქონლის სიტესაკენ — მსოფლიოს ბაზრის მიუცილებელი თვისებაა. ფასების თავისუფალი ცხრილი აქ დგება გარეშე ყოველნაირი ძალდატანებისა. სიტი არის თვითმართველი ერთეული, რომელზედაც არავითარი ძალა არ

*) ი. Wl. Woytinsky: Die vereinigten Staaten von Europa. გვ. 114.

**) ი. A. Dauphin-Meunier: La Cite de londres. გვ. 14.

აქვს პარლამენტს, არც მეფეს. ეს არის ვაჭართა რესპუბლიკა და მის დირექტორებს ასრულებს უკელა სავაჭრო ცენტრი მოყვალი მსოფლიოში. აյ არის ბაზარი არა მარტო საქონლი, სრამები ამასთანავე უულის, კაპიტალის. მისი მეთაურობით გამოდის ბაზარზე სანოვაგვ და ნედლი მასალა, ის ერევა მის დამუშავებაში და გაყიდვაში, ის ერევა ვალების აღებაში და გადახდაში, უკელა ანგარიშებს ასწორებს ისე, რომ არ ხმარობს არც ქადალდის, არც ოქროს ფულს, უბრალო ანგარიშების გასწორებით. ის უზრუნველყოფს ფულის ბაზრის მოქმედებას, ერთი ქვეყნის ვალიუტის გაცვლას მეორე ქვეყნისაზე. ერთი სიტყვით, სიტყე არის მსოფლიოს აღებ-მიცემობის ხამდვილი დაქტატორი (იქვ. გვ. 17). განა ამ როლს შეეშვება ინგლისი ოდესა, ისიც თავის ნებით?

დიდი ომის წინ უცხოეთის მთელი სესხის 60 პროც. განაღდება ხდებოდა ინგლისში. მისი რაოდენობა უდრიდა 1900 წ. 45 მილიონ გირგანქას, ხოლო 1913 წ. 84 მილიონს. სიტყე მუდამ ცურავს სხვის საქონელში და კაპიტალში. „სიტყე არ აქვს პოლიტიკური პრინციპი, სწერს ერთი მკვლევარი, მას აქვს ერთი პრინციპი, პრინციპი მოგების. ის არც კონსერვატორია, არც ანტი-სოციალისტი. ის ემხრობა ყოველივეს, რაც კი აძლიერებს საქმეს, ებრძების ყველაფერს, რაც კი ამცირებს მოგებას“. მონტესკიო სწერდა, რომ უკელა ერთ უმორჩილებს კომერციის ანტერესებს პოლიტიკურ პრინციპებს, გარდა ერთადერთი ინგლისისა. ის კი, პირიქით, პოლიტიკურ ინტერესებს უმორჩილებს კომერციის ინტერესებსო. მას შემდეგ ეს განსაკუთრებითი თვისება ინგლისის საზოგადოებისა სავსებით ბატონდება და ედება ურყევ საფუძვლათ მთელ საშინაო თუ ხაგარეო ურთიერთობას. ამით აიხსნება ლოიდ ჯორჯის ცნობილი აფორიზმი, ჩერჩილის დაკავშირება რუსეთის ტირანიასთან, კენტემბირის მთავარი ეპისკოპოზის ლოცვა, ყოველივე ადამიანური ღირსების დამცირება, ყოველივე მორალის უარყოფა, თუ კი ამით მოგება ექნება, ვაჭრობა გაიზრდება, გამორჩენა გამრავლდება.

მთავრობა ყოველგან მოსაქმე ბურჟუაზიის იარაღია. ამ მხრითაც ინგლისის მაგალითი დამახასიათებელია. სიტყა არის პაციფიური მიდრეკილების, სანამ მშვიდობიანობა მის ინტერესებს ემსახურება, მოგება უზრუნველყოფილი აქვს. მაგრამ

როგორც კი ეს წყარო შეერყევა, მთავრობა მირბის შის მისახმარებლათ მთელი თავისი ძალიღონით. ინდოეთი ვაჭრულ შემთხვევაში კომპანიამ დაიპყრო ჯერ ვაჭრობით, ხოლო როგორც ქადაგის მიზანით დასებმა წინააღმდევობა გაუწიეს, ინგლისის მთავრობა იარაღით მიემველა და მთელი ორას მიღლიონიანი მხარე თავის კოლონიათ გამოაცხადა. მთა-მადნების კომპანია, ცნობილი სესილ როდის მეთაურობით, იწყებს სამხრეთ აფრიკაში მუშაობას; აქ ის ექვთქება ადგილობრივ ხალხების მტრულ განწყობილებას, მთავრობა დაუყონებლივ მათ უცხადებს ომს; იწყება ტრანსვაალის ომი, რაიცა ორი წლის ბრძოლის შემდეგ თავდება ინგლისის გამარჯვებით. 1897 წ. ჩინეთისა რკინისგზის კონცესია მისცა ბელგიელთ, სიტე აფეთქდა, როგორ ჩვენ არ მოგვცეს. ხოლიუსბირის მთავრობამ დაუყონებლივ წარუდგინა ჩინეთის მთავრობას ულტიმატუმი — მიეცეს ბრიტანიის კომპანიას ექვსი რკინისგზის ხაზის შენების კონცესია. ჩინეთი არ დათანხმდა, ინგლისი თავისი ხამხედრო ფლოტით მიადგა ჩინეთის პორტებს საომრათ. პეკინი შემინდა და დათმო. საერთო წესია — სადაც კი ინგლისელი ვაჭარი მიდის, მას მისდევს ინგლისელი სალდათი: ამ ათი წლის წინეთ საფრანგეთის კომპანიამ ყოფილი და მომავალი მინისტრების მონაწილეობით შეიძინა აფრიკის ერთ თავისუფალ კუთხეში მოამაღნები. ერთი წლის შემდეგ მთავრობა ომს უცხადებს ამ კუთხეს, იწყება აბდულ კერიმის ეპოქეა, რაც თავდება მისი დამარცხებით და დატყვევებით. ამნაირათ, კაპიტალი და იარაღი ყოველგან ერთად მიდიან ხელიწელ ჩაკიდებული, ერთიმეორის მეგზური და დამხმარე. იაპონია არის მთავარი კონკურენტი ინგლისის შორეული აღმოსავლეთის ბაზარზე; ამის გამო ინგლისის მთავრობა ყოველივე საშუალებით ეხმარება ჩანგაი შეკს იაპონიის ჩინეთიდან გასაძევებლათ. მთავარი მისი იარაღია უცხო ხახელმწიფოთა მოსამხრობათ უული. ამ გზაზე მხოლოდ ერთი სახელმწიფოდან მიიღო უარი, ეს არის გერმანია. 1939 წელს ივლისში, ომის ერთი თვის წინ, სიტემ მისცა წინადაღება ბერლინს, რომ ის დაეხმარება მას ფინანსისურათ და ეკონომიკურათ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია თავის სამხედრო ეკონომიკის გადააქცევს სამოქალაქო ეკონომიკათ, სიმდიდრის შესაქმნებლათ. პასუხათ მიიღო: „ეს პლანი არის ბრიუვული. ლონდონში უნდა მიხვდენ ერთხელ მაინც,

რომ გერმანია ეძიებს არა ფულს, არამედ თავისუფლებას იმოქ-
მედოს როგორც სურს ყველა დარგში” (იქვ. გვ. 287). მარტინ ლუკა
სამაგიეროთ აგრარიული ქვეყნების ფულით მოყიდვა უფ-
რო ადვალი გახდა. რუსეთი დიდ ომში ჩაება საფრანგეთ-ინგ-
ლისის კოალიციაში იმიტომ, რომ მათგან მიიღო მილიარდები
სესხი. ოსმალეთმა დღევანდელი ომის დაწყებიდანვე აიღო ინ-
გლისის ხაზი იმიტომ, რომ მისგან მიიღო მრავალი მილიონე-
ბი. ერთი სიტყვით, კაპიტალისტური მეურნეობის მთელი საში-
ნაო და საგარეო მუშაობა აგებულია მხოლოდ ფულზე, სულ
ფული და ფული. საქმის კაცი მთავარი პიროვნებაა, ყველა და-
ნარჩენი, ვინც უნდა იყოს იგი, ფასობს იმდენათ, რამდენათ
მას ემსახურება, მის საქმიანობას ხელს უწყობს, მის სიმდიდ-
რეს ამრავლებს.

ამნაირათ, ამ წესით და მუშაობით ევროპის სამი ინდუს-
ტრიალური სახელმწიფოს ეკონომიური ჰეგემონია განმტკიც-
და მსოფლიოში. მოხდა ეს მექანიკურათ, თავისთავად, თავი-
სუფალი ვაჭრობის და მთავრობათა პოლიტიკური მფარველო-
ბის წყალობით. მათი საშინაო და საგარეო სავაჭრო წონასწო-
რობა შეიქმნა ამ მიღწეულ მაღალ ბაზაზე. მაგრამ ამ პროცესს
გვერდში ამოუდგა ერთი აჩრდილი, ერთი ახალი პროცესი,
რომელმაც მას ბოლოს და ბოლოს დავთარი აურია. ეს პრო-
ცესია აგრარიული ქვეყნების მიერ ინდუსტრიალიზაციის, სა-
კუთარი მრეწველობის გაჩენა და მით განთავისუფლება ამ
ახალ მოელენილ ბატონისაგან. აი ეს ახალი მეტოქე, ეს ინ-
გლის-გერმანიის მსოფლიო ბაზრის შერყევა საფრთხეში აგ-
დებს მათ მოეგებას. აქ მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი. იმის
მაგიერ, რომ ამ ორ სახელმწიფოს საერთო საფრთხე საერთო
ძალით თავიდან აეცილებიათ და ძველი მოქმედების ხაზი
გამოესწორებიათ, ერთმანეთს წაესინ და ასტეხეს ურთიერთ-
შორის დიდი ომი. საქვეყნოთ დამტკიცდა, რომ ინდუსტრია-
ლური ერები ერთმანეთს ვერ ეწყობიან, თავის მტერთ ერთი-
მეორეში ხედავენ და მზათ არიან გააქრონ უფრო სუსტი, რომ
მის ნანგრევზე თავისი შერყეული ბატონობა განამტკიცონ.



დიდი ომიდან იარაღით გამარჯვებული გამოვიდა ზეტულისა სის კოალიცია, ხოლო ნივთიერათ დამარცხებულნი აღმოჩნდენ უველა, ორივე კოალიცია, ე. ი. ის სატკივარი, რის განკურნება მებრძოლებმა თავის მიზნათ დაისახეს, კიდევ უფრო გაღვივდა და უკურნებელ სენათ გადაიქცა.

ევროპის აშლილობამ პირველყოვლისა აიძულა აგრარიული ქვეყნები დაწყებული პროცესი ინდუსტრიალიზაციისა ჩქარი ტემპით ეწარმოებია და ამ გზით ევროპიდან საქონლის შემოტანის შეუძლებლობა ადგილობრივი საქონლით შეეცვლ. შშვიდობიან ერთა ეკონომიკა ვითარდება, მეომართა ეკონომიკა სუსტდება. ამიტომ მიუხედავათ ომის შემდეგ დაწყებული ფართე მუშაობისა, ახალ-ახალი სიმდიდრის შექმნისა, ომის წინანდელი ნივთიერი დონე უერ ბრუნდება. ბრიტანიის საგარეო გატანის დირებულებამ შედარებით 1913 წელთან დაიწია პროცენტულათ შემდეგნაირათ: 1913 წ. – 100, 1920 წ. – 71, 1921 წ. – 50, 1927 წ. – 79, 1929 წ. – 82. ამავე დროს მსოფლიოს საგარეო ვაჭრობამ აიწია 18 პროცენტით, ამათ შორის ამერიკის 51 პროც., დომინიონების 31 პროც., ხოლო მთელი ევროპის კი დაეცა 55 პროცენტიდან 46 პროცენტამდე, ე. ი. ძველი ქვეყნები უკან მიდიან, ახალი წინ მოდიან*). ინკლისში აღმოჩნდა მთელი მხარეები ინდუსტრიალურათ დანგრეული. ამავე დროს ინკლისი იძულებულია შემოტანა გააძლიეროს, რომ ბეჭოვრები არ დაიმშეს და რევოლუცია არ ატყედეს. ამ სავაჭრო დეფიციტის დაფარვა გაადვილდა ინგლისის ფინანსიური როლით მსოფლიოში. სიტე ისევ დარჩა კრედიტის მონიპოლიისტათ. 1924–1929 წლებში ინკლისის ბანკებმა გამოუშვეს სესხი მილიარდი სტერლინგი. ამასში არა-ინგლისელთა სესხი უდრიდა 779 მილიონს. მთელი ემისია, ბანკებიანა, კი უდრიდა მილიარდ რეას მილიონს. ფინანსიურ როლში ინკლისს ომის შემდეგ უთანასწორდება მხოლოდ შეერთებული შტატები, სიტეს გვერდში ამოუდგა ნიუ-იორკის ვალსტრიტ. და თუ წინეთ ლონდონი ასესხებდა სხვას გაცილებით მეტს, ვინემ თვითონ სესხელობდა, ხოლო ამერიკა სესხელობდა მეტს, ვინემ ასესხებდა, ომის შემდეგ ეს როლი

*) André Siegfried: La Crise Britannique au XX siecle 1931.

შეიცვალა — შტატების გასესხებული თანხა დიდათ ბჟარბებს
ნახესხს, ხოლო ინგლისის ამ სფეროს ბალანსი შეირყა. 1929
წ. ამერიკის ემისია უცხოეთისათვის აღმატებოდა ინგლისი-
სას 50 პროცენტით.

დამარცხებული გერმანიის საგაჭრო ბალანსი, რასაკვირ-
ველია, დიდათ დაზარალდა. მისი საგარეო ვაჭრობა უდრიდა
1913 წ. 13 პროცენტს მთელი მსოფლიო ვაჭრობისა, ხოლო
1924 წ. კი 7 პროცენტს. საფრანგეთის კი აიწია შვიდი პრო-
ცენტიდან რვამდე. საერთოდ ბრიტანიის ნაწილმა მსოფლიო
ვაჭრობისა აიწია 18 პროცენტს. 1913 წ., 20 პროცენტამდე 1927
წ. ხოლო დასავლეთი და ჩრდილო ევროპის დაწია 38 პროცენ-
ტიდან 31 პროცენტამდე. შტატების აიწია 12-დან 16-მდე, და-
ნარჩენ მსოფლიომ 30-დან 32-მდე. ყოველ შემთხვევაში დიდი
ომის შემდეგ პირველი ათი წლის განმავლობაში ინდუსტრია-
ლური ქვეყნები, გარდა გერმანიისა, მაინც ახერხებენ შემოკ-
ლებული წონასწორობის შენახვას, თუმცა წინანდელ დონეს
ვერ აღწევენ. ამ შემოკლებული წონასწორობის ძირბუდიანათ
ნერევა იწყება 1929 წლიდან, როცა გვირგვინდება მეორე დი-
დი ომით.

რა და როგორ მოხდა?

პირველყოვლისა ინგლისი კარგავს წინანდელ ბაზრებს;
რუსეთის ვაჭრობა მოშორდა, გერმანიას არა შემოაქვს იქიდან
ვალიუტის გამო, როგორც დაღარიბებულს; სამხრეთ-ამერი-
კაში ინგლისი შესცვალა შეერთებულ შტატებმა; ამის გამო
ინგლისის გატანა 1914 წ. შედარებით შემცირდა 30 პროცენ-
ტით. დაიბადა ნაციონალური ეკონომიკური პატრიოტიზმი,
ლიბერალიზმის დატოვება და ისევ პროტექციონიზმის განახ-
ლება. ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა ამერიკა, სადაც მე-
ურნეობა დიდათ დაზარალდა, სამეურნეო ნაწარმოების ბა-
ზარი შემცირდა, მრავალი გასატანი საქონელი გაუფილდებოდა
დარჩა და ფერმერები ჩავარდენ ვალში. ამის შედეგი იყო სა-
გარეო ბაჟების აწევა 1930 წ. გარეშე კონკურენციის თავიდან
მოსამრობლათ. ფერმერებმა სული მოითქვეს, მაგრამ მოედი
ერთ ჩავარდა გასაჭირდი. გაძვირდა ნედლი მასალა და სანო-
ვავე, აქედან მუშა ხელიც. ამან გამოიწვია სამრეწველო საქონ-
ლის გაძვირება იმავე გლეხებისათვისაც. ამ ჩიხის გამოსასწო-
რებლათ ათასმა ეკონომისტმა მიმართეს კონგრესს პროტექ-

ციონიზმის გაშვიადების გასაუქმებლათ, მაგრამ უნაყოფებულები სწავლულებს არავინ უყურებს, კერძო ინტერესებია ჭარბი იმპერიალისტური წყვეტი. ამ ორი დიდი სახელმწიფოს ეკონომიკური არევ-დარევა ედება ყველა ინდუსტრიალურ ერს და ითრევს მათ თავის თხრილში. ეს გახდა აუცილებელი, სტიქიური მოვლენა, რაიცა გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წყობიდან. და მართლაც, თვითეული კაპიტალისტი იძულებულია, რაც შეიძლება მეტი საქონელი გაყიდოს, რომ ამით თავისი წარმოების გაგრძელება შესძლოს, მუშები მშიერი არ დარჩეს, მოგება გაადიდოს, ახალ-ახალი მანქანები შეიძინოს, მეტოქებიდამ არ დაღუპოს. ერთი სიტყვით, ვიდოდეს ერთი სავალდებულო საწარმოო გზით. ამავე ხაზს მისდევს მეურნე, რომ თავისი ვალები გაისტუმროს, გადასახადები გადაიხადოს და სხ. ასეთ ბირობაში საგარეო ვაჭრობის შემცირება ნიშნავს კატასტროფას, რაიცა აფეთქდა მსოფლიოში 1929 წელს და შემდეგ ის ვერ განელდა; აი ციფრები:

მსოფლიო ვაჭრობა (შემოტანა-გატანა) ოქროს დოლარით უდრიდა 1929 წ. 68 მილიარდს, 1937 წ. 31 მილიარდს, 1938 წ. 27 მილიარდს, დაეცა 60 პროცენტით. ამათ შერის განსაკუთრებით დაზარალდა ინდუსტრიალური ქვეყნები, ხოლო აგრარიული ირჩენებს ძველ მდგომარეობას. მაგ. ინგლისის გატან-შემოტანა უდრიდა 1929 წ. 8 მილიარდ 956 მილიონს. 1938 წ. 3 მილიარდ 840 მილიონს. შტატები იმავე წლებში 9 მილიარდ 805 მილიონს. 1938 წ. 2 მილიარდ 957 მილიონს. გერმანია ექვსი მილიარდიდან ჩამოვიდა ორ მილიარდამდე, საფრანგეთი ოთხი მილიარდიდან მილიარდ სამას მილიონამდე, და ასე ყველა სამრეწველო ქვეყნები. თუ შევადარებთ ომის წინანდელ მდგომარეობასთან ამ უკან-უკან დახევას მივიღებთ შემდეგ ციფრებს:

ევროპას, რუსეთიანა შემოქონდა 1913 წ. 13 მილიარდის, 1938 წ. კი — 8 მილიარდის, გაეთნდა 11 მილიარ. და 6 მილიარდის; ხოლო აზიას ურუსეთოდ — იმავე წლებში შემოქონდა ორი მილიარდის: გაეთნდა იმავე რაოდენობით. აქ ომის წინანდელი სავაჭრო ბალანსი სავსებით დაცულია, კრიზისი არ ძრის. ასეთსავე მდგომარეობაშია აფრიკა. დათინური ამერიკა, ცოტაოდენი დაწევით*). საქონლის ეს მოძრაობა წონით თითქ-

* Comerce mondial 1938. გამოცემა ერთა ლიგის. 1939 წ.

მის ერთი და იგივეა, ხოლო ღირებულებით კი დაცემულია შავი სანოვაგეს ღირებულებამ 1929 წ. შედარებით დაწყდა 1930 წელს 83 პროცენტამდე, 1931 წ. 63 პრ., 1938 წ. 39 პროცენტ. ნედლი მასალა 77 პროც. ჩამოვიდა 40-მდე, ხოლო სამრეწველო საქონლის 83 პროცენტამდე. საერთოდ ვაჭრობის ღირებულება დაცა 40 პროცენტამდე. მაშასალამე, მსოფლიო გადარიბდა (იქ.).

ამავე დროს სამრეწველო და სამეურნეო საქონლის რიცხვი-წონა არა თუ არ დაცემულა, არამედ, პირიქით, დიდათ გაიზარდა და რომ ბურჟუაზიული ანარქიული ეკონომიკის ალაგას არსებობდეს სოციალისტური ეკონომიკა ქვეყანა სიმდიდრეში შეტოპავდა. ახლა კი სწორედ ეს სიმდიდრე გახდა მიზეზი მსოფლიოს დაღარიბების. აი ზოგი ციფრები: ჩრდილო-ამერიკაში ხორბლის მოსავალი იყო 1913 წ. 187 მილიონი კვინტო, 1929 წ. 287 მილიონი. ფოლადი იმავე წლებში 31 მილიონიდან ავიდა 52 მილიონამდე, ბამბა 28 მილიონიდან 39 მილიონამდე, ასევე ნავთი, სპილენძი, და სხვ. საზოვადოებას არავითარი საქონელი არ დაკლებია, მაგრამ მათი დამუშავება გახდა საზარალო ფასების დაცემით, ვალებში გახვევით, წარმოების შემცირებით, უმუშევართა გამრავლებით, ამათი მუქთათ რჩენით, სახელმწიფო ბიუჯეტის სამისოთ გაზდით, მთელი რიგი ეკონომიკური და ფინანსისური პერტურბაციით. ყველა ეს ხდება ერთი მიზეზით: ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, მეთაურობა უვარებისია, ბატონები ჩაფლულია დვრია წყალში ნადირობით, კერძო ინტერესები ბრძანებელია, საერთო ინტერესი მსხვერპლია.

სამეურნეო კრიზისი იწყება 1930 წლიდან, როცა აუარებელი პურეულობა მოიწვიეს, ხოლო ამავე დროს წინა წლის მოსავალიც არ იყო გასაღებული. ხორბლეულობის უდიდესი ნაწილი კანადაში დარჩა საწყობებში. 1931 წელს აქ ითვლებოდა 580.000 გლეხი სავსებით გაკოტრებული, რომელთაც სახელმწიფო ხაზინა ეხმარებოდა როგორც უმუშევართ (ეს ათ მილიონ მცხოვრებზე). პურის მოსავალი მთელ ქვეყანაზე ირიცხებოდა 1926–30 წ. წ. 919 მილიონი კვინტო, 1931 – 32 წ. წ. 947 მილიონი კვინტო, 1932 – 33 წ. წ. 959 მილიონი, ამათში დაახლოებით ერთი მესამედი შემოქმნდათ ევროპაში, ხოლო აქედან გაქონდათ მეტად მცირე. შემოქმნდათ, რასაკ-

ვირველია, ანდუსტრიალურ ქვეყნებში, სადაც დიდი უმრავ-
ლესობა მცხოვრებლებისა ქალაქის ხალხია და შინაური სახელმწიფო
გაგით ვერ გამოიკვებება*). ეს არის აუცილებელი შემოტანა,
რის ხარჯების დაუფარვა მოითხოვს დამუშავებული საქონლის
გატანას ანდა ფინანსიურ კომინაციებს. გაუსაღებელი, საწყო-
ბებში დაგროვილი სანოვაგე და ნედლი მასალა თანდათან მა-
ტულობს. ამათი რაოდენობა ირიცხებოდა 1925 – 29 წ. წ. შე-
დარებით 70 პროც. მეტი 1932 წ., ხოლო 1925 წ. შედარე-
ბით ორჯერ მეტი. ამავე პერიოდში ნედლი მასალის ფასები და-
ეცა 40 პროცენტით (იქ.).

ამ სავაჭრო-საწარმოო არევ-დარევას მიემატა ფინანსების
არევ-დარევა. ფული არის მოსაშუალე თრ საქონელს შორის
მათ ერთიმეორებული გადასაცვლელათ. ამით ის ემორჩილება
წარმოებას, საქონლის დამუშავების წესებს. ძვირი საქონელი
მეტს ფულს თხოულობს მის შესაძნათ. ეს ასე იყო გაგებული
კლასიკურ კაპიტალიზმი და კლასიკურ საეკონომიკ მეცნი-
ერებაში. დიდი ომის შემდეგ ეს გაეხა ქრება, ფული აღარ
ემორჩილება საქონელს, პირიქით, დიდი ცდაა საქონელი დაუ-
მორჩილონ ფულს და დაამტკიცონ, რომ ფასები ფულის, ვა-
ლიუტის მოწესრიგების საქმეა და არა წარმოების. ფინანსის-
ტებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა და გამოვიდენ ბატონათ
მსოფლიო ბაზრის. „გაწესრიგებული ვალიუტა“ გახდა საერთო
ლოზუნგათ. იწყება ფულის გამრავლება ინფლაციით, თითქოს
ამით სიმდიდრე მრავლდებოდეს. ამ აწყვეტილ გაყალბებულ
ვალიუტას შეებრძოლენ საღი ვალიუტის პატრონი ქვეყნები
და გაჩაღდა მათ შორის საფინანსო ომი. წარმოების წონასწო-
რობის გვერდით დაირღვა აგრეთვე ფინანსიური წონასწორო-
ბაც. რა ზომები იქნა მიღებული ამ სენის წინააღმდეგ?

5. ჭრებები

რაკი კრიზისი გადაიქცა საერთაშორისო მოვლენათ, ცხა-
დია მისი შენელებაც მოითხოვდა საერთაშორისო მოთანხმე-
ბულ ზომებს. ეს გზა კიდევაც სცადეს საეკონომიკ კონფერენ-
ციების მოწყობით. ასეთი კონფერენციები იყო 1920 წ. ბრიუ-
სელში, 1922 წ. გენუიაში, 1927 წ. უენევაში, 1932 წ. ლოზანა-

*1) Union Française იქ. გვ. 110. კუნტი უდრის 100 კილოს.

ში, 1933 წ. ლონდონში. ვერც ერთ ამ თავურილობამ მიზანს ვერ მიაღწია, ვერ შეთანხმდენ, საერთო ზომა ვერ მიღებუს. რატომ?

თვითეულ სახელმწიფოში კრიზისმა მთახდინა ახალი დაჯგუფება სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. ბურჟუაზია დანაწილდა ორათ: მწარმოებელი და საქონლის გარეთ გამტანი, ამათ მაღლა წამოსკუპდა ფინანსების კომბინატორები. პირველი ითხოვდა მისი საქონლის დაცვას უცხო კონკურენციიდან, ამით ფასების აწევას და მუშაობის გაგრძელებას. ამათ მიემხრენ მეურნეები, სანოვაგის და ნედლი მასალის დამზადებელი — ესენიც ითხოვდენ უცხო სამეურნეო საქონლის აკრძალვას და შინაური ბაზრის დამარტივებას. მაღალი ფასები და მათი დაცვა გამოცხადდა მწარმოებელთა საარსებო მოთხოვნილებათ. მათ წინ აღუდგა გარეთ გამტანი ბურჟუაზია და მოთხოვდა ხალხთა შორის ვაჭრობის გაადვილებას. პროლეტარიატი განხე გადგა, ეს ჩვენ არ გვეხებათ და შორიდან შეყურებდა ამ ატეხილ ბრძოლას. და რადგანაც პარლამენტის მთავარი ამრჩეველია პირველი ორი კატეგორიის მეცნიერი, დეპუტატები ვერ იღაშქრებენ თავის ამრჩეველთა წინააღმდეგ, ემორჩილებიან მათ დირექტივებს და აკანონებენ მათ ინტერესებს. გადაისროლეს ლიბერალიზმი და აღადგინეს პროტექციონიზმი. ეს პროცესი, ლიბერალიზმის კალაპოტიდან ამოვარდნა, იწყება 1922 წლიდან. ამ წმინდა ეკონომიკურ ტენდენციას მიემატა საფინანსო ტენდენცია სახელმწიფოს — გაიჩინოს ახალ-ახალი წყარო ბიუჯეტის, გაზარდოს გასავალი შემოსავლის გაზრდით, გაიჩინოს მრავალი მოხელეობა, დაეხმაროს ნაციონალური ეკონომიკის შექმნას — ერთი სიტყვით ფული და ფული. ყველა სახელმწიფო ხურავს თავის საზღვრებს მაღალი ბაჟებით. საფრანგეთი იგონებს „კონტინენტებს“ (ე. ი. საქონლის შემოტანის უფლების გაცემას თვითეულ პირზე); ცენტრალური ევროპა იწყებს დევიზების კონტროლს, ინგლისი აძლიერებს ბაჟებს, ეთიშება ევროპას და უახლოვდება დომინიონებს, ერთი სიტყვით, იწყება ეგრედ წოდებული ოტარებია, თავისივე საშინაო რესურსებით დაკმაყოფილება.

ამ ფორმის ეკონომია ძველი ამბავია; ის პირველათ გამოიყონა სპარტიის რესპუბლიკამ, რომელიც უცხოელს არ აჭაჭანებდა თავის საზღვრებში და არც რაიმე გაცვლა-გამოცვლას

აწარმოებდა მათთან. ოტარკია იქ ნიშნავდა მონოპოლიას, რაიცა იყო მთავრობის ხელში. იქ აღორძინდა სრული ეტატიზმის წესები აქ კი სანახევროთ, მთელი ეკონომიკის მფარველობით დამატებით გარეო ხელმძღვანელობით. ამ ხაზზე ბოლოს და ბოლოს შედგა საშინაო ეკონომიური პოლიტიკა, რაიცა სოციალისტებმა მიიღეს სოციალიზმის დაწყებათ. სწორედ საკვირველი მოვლენაა. ქვეყნიერება პატარავდება, ყველა ხალხი, მთელი ხმელეთი ტექნიკურ გამოგონებათა წყალობით ერთმანეთს უახლოვდება, ემესობლება, მანძილი კარგავს ძველ გამთიშველ მნიშვნელობას, ნამდვილი ფაქტიური მთლიანობა კაცობრიობის პირველათ ახლა დგება, ხოლო ევროპა სწორედ ახლა ამოგარდა ამ კალაპოტიდან, ამ ეკოლიურიდან და დაუბრუნდა საშუალო საუკუნეები პარტიკულიარიზმს. გაბატონდა უკიდურესი ნაციონალიზმი, მე ვარ და ჩემი ნაბადი, სხვა ყველა ფეხებზე მკიდიაო. ეკონომიურმა კრიზისმა დაბადა მორალური კრიზისი.

მართალია, ეკონომიკის ასე უცირათ არევდარევა იყო მოულოდნელი. ის იწყება 1929 წლიდან, როგორც შედეგი სამეურნეო საქონელზე ფასების დაცემის; ამან გამოიწვია ნიუ-იორკის ვალსტრიიტის (ბირჟა) კრახი, რასაც სამრეწველო ევროპამ ოქტომბერშივე უპასუხა თავისი ბაზრის დახურვით. კრედიტი შემცირდა, გასესხებამ იქლო, ხალხი მოიცვა შიშმა და ფული შინ შეინახა. საქონლის კრიზისს ემატება კრედიტის კრიზისი, კაპიტალი გარბის ასპარეზიდან და იმაღლება, ხდება სტერლინგის დევალიუაცია 30 პროცენტით (დეკემბერი, 1931 წ.), ამან კიდევ გამოიწვია საყოველთაო დევალიუაცია. მთელი ეს დიდი ძლიერებით ამოვარდნილი ფაქტების ქარტეხილი დავთარს უბნევს მეთაურობას, ყველა პარტიას, ყველა მთავრობას და ესენი თავთავის კუნჭულში იმაღლებიან. იყო კი სხვა გზა?

კრიზისი გამოიწვია სამეურნეო საქონლის გაუსაღებლობამ, ამან გამოიწვია გლეხების და ფერმერების მიერ ვალების გადაუხდელობა ბანკებისათვის. აქედან ამ ბანკების კრიზისი. გზა იყო ერთი: ვალების გაუქმება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ამ ახალ ვალებისაგან განთავისუფლებულ ბაზაზე ახალი ეკონომიკის აგება. ეს ზომა არავის წამოუყენებია, არც სოციალისტებს, სოლონსაც კი ვერ მიბაძეს; აირჩიეს ბანკების დახმარება, საამისოთ სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდა,

რაც დიდათ დააწევა მოელ ერს. ერთი სიტყვით, სახელმწიფო აკადემიური და სამართლის შემოსავლიდან აქტუალური და სამარება მეურნეობას, ინდუსტრიას, გლეხებს, უმუშოვრის მდგრად ამავე დროს საგარეო გაჭრობა მცირდება, შემოსავალი კლებულობს, ფასები შიგნით მატულობს — ერთი სიტყვით, მეფე-ბა ნამდვილი ქაოსი. სახელმწიფო ამ ახალი ხარჯების დასა-ფარავათ ბაჟებს უმატებს, პროტექციას აძლიერებს; ის უფრო და უფრო შორდება მსოფლიო ბაზარს. ყველას სურს გაყიდოს და არაფერი იყიდოს.

ერთა ლიგა, აფრთხილებს ყველა მთავრობას. თავის ეკო-ნომიურ მოხსენებაში 1932 წ. ის სწერს: „აუცილებელია მოხ-დეს ეკონომიური განიარაღება. თუ ეს არ მოხდა, თუ ამ მხრით გადამჭრელი ნაბიჯი არ გადიღდა ლონდონის კონფერენციაზე, მოხდება ყველა ერის მიერ მოელ ქვეყანაზე ოტარკიული სის-ტემის მიღება, რაიცა დაეცემა დამბლათ ეკონომიურ პროგ-რესს. ასეთი ზომა ძირიანათ შეანგრევს საერთაშორისო ფინან-სიურ წყობას, ცხოვრების დონე დაიწევა და არსებული სო-ციალური სისტემა დაიღუპება. თუ ეს მოხდა, ამის მიზეზი იქ-ნება არა აუცილებელი ბუნებრივი კანისი, არამედ ადამიანის ნებისყოფის და გონების სივლაზე. მთავრობათა პასუხისმგებ-ლობა ნათელია“ (იქ. გვ. 115).

გაფრთხილება დარჩა უშედეგოთ. ლონდონის კონფერენ-ციამ ის არ მიიღო. რატომ? აი აქ გამოჩნდა ახალი მიმართუ-ლება, რომელმაც პირველათ თავი იჩინა მაკლონალდის კაბი-ნეტში 1930 წ. და შემდეგ განვითარდა სავაჭრო წრეებში. ეს ახალი აზრი მდგომარეობდა მსოფლიო ბაზრის დანაწილებაში და კუთხერი, თავისი საკუთარი საიმპერიო ბაზრის შექმნაში. რაც უნდა ყოფილყო დაცული სპეციალური ბაჟებით და ერ-თიშორისათვის შიგნით სავაჭრო პრივილეგიის მიცემით. და-წყებულ სტიქიურ დანაწილებას მსოფლიოსი და ნაციონალუ-რი ეკონომიური სახე. ამ დაქსაქსულობის დროშა ააფრიალეს პირ-ველათ ტრედიუნიონებმა 1930 წ. მე-62 კონგრესზე ქალაქ ნო-ტინგამში, სექტემბერში. საბჭომ წარადგინა თავისი პროექ-ტი ეკონომიურ საკითხებზე, სადაც გაატარა მთავარი დებულე-ბა პროტექციისა მოელი ინგლისის იმპერიისა, დომინიონების და კოლონიებთან ერთად და უცხოელებისაგან თავის დაცვა

საბაჟოებით. ამ წინადაღებას შეებრძოლენ იმ საბუთით, რომ ის საერთაშორისო სინდიკალურ ორგანიზაციის დოქტრინას ჰქვებული სებით ეწინააღმდევება, ის ითხოვს საბაჟოების სავაჭრო მოშლას, ხოლო პროექტი კი მას კიდევ უფრო ამწვავებს. ამ გზით მოხდება მთელი ქვეყნის მშრომელთა დაყოფა ეკონომიურ ჯგუფებათ და მომზადება ნიადაგი ახალი ომისათვისო. ხმის უმეტესობით გავიდა საბჭოს წინადაღება, რასაც მხარი დაუჭირა მაკდონალდის მთავრობამ*). იმავე თვეში მოწვეული ერთა ლიგის სესია, სადაც ბრიანმა წარადგინა თავისი პროექტი ევროპის ფედერაციისა, გათავდა უშედეგოთ მინისტრ ჰენრერსონის პროტესტის გამო. ამნაირათ ინგლისი დაადგა საბოლაოთ პარტიკულიარიზმს, ევროპიდან და მსოფლიოდან გამოყოფის პოლიტიკას მუშათა პარტიის მეთაურობით. ბრიანის დამარცხების შემდეგ საიმპერიო ბლოკის იდეა დაიბადა და გავრცელდა საფრანგეთშიაც.

იწყება ამ მიმართულების ცხოვრებაში გატარება, რომლის შემდეგ არავითარი საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია აღარ მოწვეულა. შედგა პირველათ ინგლისის საიმპერიო ეკონომიური ბლოკი, მას მიევა საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, იაპონია — ყველა სამრეწველო ერი, ვისაც რაიმე კოლონია გააჩნდა, გარდა ერთადერთი გერმანიისა, რომელსაც არავითარი კოლონია არ ჰქონდა და ჩაიჭედა თავის ვიწრო საზღვრებში. შეერთებულ შტატებმაც კი მიბაძა ინგლისს მის ერთადერთ კოლონიის — ფილიპინების — თავის ეკონომიურ მთლიანობაში შემოყვანით. ამ გარემოებამ მათი ვაჭრობა თავის კოლონიებთან გაზარდა, რასაკვირველია. ინგლისის გაზრდა 30 ბრიცენტიდან 50 პროცენტამდე, საფრანგეთის 12-დან 27-მდე, ჰოლანდიის 5-დან ათამდე. მაგრამ საერთო ვაჭრობის დავარდნას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ ახალმა მაღამომ ვერ უშველა. ერთა ლიგის ეკონომიური კომისიის აზრით, პირიქით, ამ მსოფლიო ბაზრის დეზორგანიზაციამ კიდევ უფრო არიდვარია მსოფლიო ვაჭრობა. კომისია სწერს: „მსოფლიო ვაჭრობის დაშლა ეკონომიური ჯგუფების შექმნით არის შედეგი ვაჭრობის რეგლამენტაციის და ფულის გაცვლის კონტროლის, რითაც სხვადასხვა ქვეყნები ფიქრობდენ თავისი საერთა-

* ი. ფრანგი L'Europe nouvelle № 657, 1930.

შორისო გაჭირვების შემსუბუქებას. არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ ამ რღვევის შეჩერების შესაძლებლობაზე. ჭირო-
ქით, ამ მსოფლიო ვაჭრობის რღვევის ტენდენცია ძლიერდე-
ბა*). და მართლაც, ის ისე გაძლიერდა, რომ ერთი წლის შემ-
დეგ მივიღეთ მეორე დიდი ომი.

ამნაირათ, ყველა მიღებულ ზომებმა კრიზისი ოდნავათაც
ვერ შეაჩერა, ვერ შეარბილა, ეკროპა ვერ გამოიყვანა წინან-
დელ ხორმალურ სავაჭრო გზაზე. რატომ? იმიტომ რომ კრი-
ზისის მიზეზი ძევს სხვაგან, რაზედაც ჩვენ მიუთითოთ ჯერ კი-
დევ 1930 წ., როცა ვსწერდით: „ეს მთავარი მიზეზია დასავ-
ლეთის სამრეწველო მონოპოლიის დარღვევა და აკრარიული
ქვეყნების თანდათანი ემანსიპაცია მისი სამრეწველო ჰეგემო-
ნისაგან“ და სხ.**). ის ტენდენცია შემდეგ დიდათ გაძლიერდა,
რაიცა მტკიცდება ციფრებით, მაგ. 1938 წ. მსოფლიო ვაჭრო-
საში განსაკუთრებით თვალსაჩინოა აკრარიული ქვეყნების
მიერ გაძლიერებული მოთხოვნილებანი და შეკვეთები მანქა-
ნების და სხვა სამრეწველო იარაღების. დღევანდელი ომი კი-
დევ უფრო აძლიერებს აკრარიული ერების ინდუსტრიალური
ერებისაგან ჩამოშორებას და მომავალშიაც კრიზისის კიდევ
უფრო გამწვავებას.

ცხადია, ყველა ეს მიღებული ზომები სჭრის რა ობიექტი-
ურათ გამოელებულ კაცობრიობას მოპირდაპირე ნაწილებათ,
ეპირდაპირება მსოფლიო ეკონომიკის, მის აუცილებელ სა-
ვალ გზას და მით აგდებს საფრთხეში მთელ დასავლეთს, მთელ
მის კულტურას და არსებობას. ეს სახიფათო გზა აღებულია
მხოლოდ იმიტომ, რომ გაბატონებულნი ცდილობენ დიდი მო-
გების მაძიებელთა ჯიბე იქნას დაცული და რაც შეიძლება
მეტი სიმდიდრით გატენილი. სოციალისტები იყვენ მოწოდე-
ბულნი შებრძოლებოდენ ამ საფრთხეს, წამოეყენებიათ საერ-
თაშორისო სოლიდარობის დროშა და დაეცვათ ეკონომიკურ
სფეროში ინტერნაციონალიზმი. და სწორედ ეს ვერ მოხდა.
ინგლისის სოციალისტები სხნიან სწორედ ამ ახალ გვერდს
ისტორიისა და მას ბაძავენ კონტინენტებიც. ბელგიის და სა-

*) Commerce mondial.

**) „ბრძოლის ხმა“ № 12, 1931 წ. დაიბეჭდა წინა წელს ფრან-
გულათ და გერმანულათ.

ურანგეთის სოციალისტებმა კრიზისის დასაძლევათ წამოაყენეს ერთი მაღამთ: გაძლიერება მოხმარების, შესაძლებელობა მეტის ყიდვის და მეტის ხარჯვის. აქედან მუდმივი მოწყვეტილების ქირის მომატების, ნაკლები მუშაობის და სხვა ცნობილი რეფორმიზმი. ე. ი. ბევრი ჭამა და ბევრი ჩაცმა აღადგენს მსოფლიო ბაზარსო! მაგრამ ეს ხომ აშკარა უტოპიაა, ერთი კილო პურის აღაგას ათი კილო პურს ვერ შეჭამთ დღეში. ვერც ერთი ხელი ტანისამოსის ტარების მაგიერ ათ ხელს ვერ ატარებთ. ეს აშკარათ შეუსაბამო წამალი მხოლოდ ოპორტუნიზმის დასაფარავი საშუალებაა, ბურჟუაზიული დემოკრატიის ტყვეობაა, სააგიტაციოთ და საკარიეროთ გამოგონილი. როცა კარლ მარქსს დაუყენეს საკითხი, რომელი სჯობია, პროტექციონიზმი თუ თავისუფალი ვაჭრობაო, მან მიუვო: ორივე მიუღებელია სოციალისტური ეკონომიკისათვის, ხოლო კაპიტალიზმის ფარგალში მათ შორის ვარჩევ თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს, როგორც საშუალებას თვით კაპიტალიზმის ჩქარის ტემპით დასანგრევათო (იხ. მისი სიტყვა ამ საგანზე). თანამედროვე სოციალისტები ამ ხაზზე ვერ დადგენ, თავისუფალი ვაჭრობა ვერ დაიცვეს და სავსებით ჩადგენ აღებული ნაციონალური ევროზმის საეკონომიკო პოლიტიკაში, რაიცა დათავდა პოლიტიკური და კულტურული განკერძოებით. ამ მსვლელობით ევროპის დემოკრატია მივიღა ინგლისის კუნძულურ სულისკვეთებამდე, ჩადგა მის კალაპოტში და ააფრიალა ანტიპუმანიური და ანტიკაციონისტიული ბაირადი — ოღონდ მე ვიყო კარგად, სხვა ვველა წყალს წაულიაო. მათი მთელი ცდა მდგომარეობდა იმაში, რომ აგორებული უკმაყოფილების ტალღა შუაგული ევროპისა თავის საზღვრებიდან სხვის საზღვრებისაკენ მიედენა და თვითონ აზვირთებული ღელვისაგან მშრალათ გამოსულიყო.

ამ იზოლიაციური (განმარტოების) სისტემით აიხსნება ის საოცარი ფაქტი, რომ 1930 წ. ტრავაისტების კაბინეტმა ინგლისში არ დაამტკიცა ფრანგ-ინგლისელი ექსპერტების პროექტი ლამანშის წყალქვეშ გაეყვანათ ტუნელი და ინგლისი გადაბმულიყო ევროპის კონტინენტთან წმელეთის გზით.

ევროპა ვერ გაერთიანდა. ის დარჩა დაყოფილი 26 საბაზო სისტემით, ექვსიათას კილომეტრზე გადებული საბაზო ხიდებით. საფრანგეთის საგარეო მოვაჭრენი ითხოვენ ამ ბა-

რიერების მოშლას, ისინი სწერენ: „ეპონომიური შეთანხმება გერმანიას და საფრანგეთს შორის იქნება შესავალის ჩატვრთვა... პიო კავშირის, ურომლისოთ ხსნა არ არის... დრო გვაჩიქრებს თუ არ გვინდა ერთად დავიღუპოთ“. ეს და მრავალი ასეთი მიმართვა მრავალი საზოგადოებათა, ერთა ლიგის, მსწავლულთა და უანგარო პირების რჩება მგლის თავზე სახარების კითხვათ. სიტის ყოფილური და კუნძულური პსიქიკა ხდება საერთო პსიქიკათ. რაკი მწარმოებელმა მიიღო დაცვა მისი საქონელის უცხო მოცილეებისაგან, ფასები აიწია, ყველაფერი გაძვირდა. ამას მოყვა მუშის ხელფასის აწევა, ამას კიდევ საქონლის და ასე დაუსრულებლივ, სწორედ, როგორც თხის ვაჭარს მოუვიდა, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, მოსაგები ვერა ვნახე.

სახელმწიფო ერევა საქმეში თავისი ეტატიური ეკონომიკის გაძლიერებით ნაციონალური წარმოების სახსნელათ გაკოტრებისაგან. ფინანსიური პოლიტიკა გახდა მთავარი ღრეული მრეწველობის მუშაობის. ამ მხრით არის ორნაირი წყობა: სადაც მრეწველობა მთავარი დარგია მუშაობის, იქ მას ემორჩილება ფინანსები, სადაც, პირიქით, ფინანსებია მთავარი დარგი, მრეწველობა მას ემორჩილება. პირველის მაგალითა გერმანია, მეორის – ინგლისი. აქ სამრეწველ შრომა იძლევა თანხების დაგროვებას, აქ თანხების დაგროვება იძლევა საქონლის გამრავლებას. გერმანიაში შემდეგ მრავალჯერ გაკოტრებისა დიდი ომის შემდეგ, ორასი მილიარდი კონტრიბუციის გადახდისა და მარკის განიავებისა. რასაკვირველია, ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა თანხების შინ დაგროვებით ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებაზე. ინგლისში, სიტეში, ულეველი წყაროა ფულის დაგროვების. ხალხი ფულს ინახავს და ბარებს ბანკებს; ბანკი იძულებულია ეს თანხები ჩადგას საქმეში, რომ შესძლოს პროცენტების გადახდა. საქმეთა გაფართოვება და გაძლიერება აუცილებელი პირობაა ფინანსების გაძლიერების, რაც იძლევა ფულის დაგროვების შესაძლებლობას. ამ გზას მისდევს საფრანგეთიც. მომჰქირნეობა, შენახვა და გასესხება გახდა საერთო, სახალხო დროშათ. იშვიათია ისეთი პირი, ვინც უნდა იყოს ის, რა დაბალ ქირასაც იღებდეს, რომ მთელი თავისი შემოსავალი დახარჯოს, უეჭველათ ერთ ნაწილს ინახავს, ბანკებს ან სახელმწიფოს აბარებს, შავი დღისათვის ემზადება. და თუ დაგროვილი თანხების ამუშავება შინ არ შეიძლება სავსებით ნაწილი გადის

გარეთ, ეძღვევა სესხათ უცხოეთს, კრიზისის ხანაში, უცხოეთის წინაშე შიშიანობამ, შეაფერხა ეს უკანასკნელი ოპერაცია ჟდენდა უკანასკნელი სატანი კაპიტალი მიიმართა კოლონიებისაკენ, ოტარკორულ უკამაყით იმპერიო ასპარეზისაკენ. მაგრამ ეს ასპარეზი ვიწროა, ამიტომ დაგროვილი თანხის ასპარეზი ხდება თავისი ნაციონალური ბაზარი სახელმწიფოს სახით. მთავრობა უშვებს ბონებს ბიუჯეტის შესავსებათ, მას ყიდულობენ ბანკები და კერძო პირები და სამაგიერო იღებენ პროცენტებს ხაზინიდან. საფრანგეთის ბე უჯეტის ნახევარზე მეტი იხარჯება ამ პროცენტების გადახდაში. რა დიდი ღირებულების არის კერძო თუ სახელმწიფო ქციები სჩანს შემდეგი ციფრებიდან: 1929 წ. საფრანგეთში ის უდრიდა 307 მილიარდ ფრანგს ნომინალურად, ფაქტიურათ 430 მილიარდს. ამაში მთავარი აღვილი უჭირავს სახელმწიფო ქაღალდებს ანუ რენტას — 152 მილიარდი, შემდეგ მოღის რკინისგზათა კომპანიები — 45 მილიარდი, უცხოეთის აქციები — 69 მილიარდი და სხვ. დიდი ომის წინ უცხოეთში იყო გასული 40 მილიარდი, ამას შორის 12 მილიარდი რუსეთში. ომის შემდეგ ფინანსები საჭირო გახდა შინაური დანგრეული ცხოვრების ასაწყობათ, ქვეყნის აღსაღვენათ, რასაც მოუნდა თითქმის მთელი კრედიტი, ხოლო გარეთ გადიოდა ძლიერ ცოტა. ამავე დროს ფრანგის ღირებულობის დაცემამ და ინფლაციამ მოსწყვიტა ის საგარეო ფულის ბაზარს, რამაც ჩაჭედა ინტერნაციონალური ფინანსები ნაციონალურ ჩარჩოში. ეკონომიური ნაციონალიზმის თვალსაჩინო წევრი ხდება ფინანსებიც. ასე ერთდება დღეს სამი დარგი ეკონომიკისა ოტარკიულ — კუთხურ მთლიანობაში: მრეწველობა, მეურნეობა და ფინანსები. ამ მმობის სუსტი წევრია მეურნეობა, რომელიც თავის მხრით ითხოვს დაცვას არა მარტი უცხოეთისაგან, არამედ აგრეთვე კოლონიისაგანაც. მრეწველობის და ფინანსების სფეროში კოლონიები ვერ შეეცილებან დედა სამშობლოს, მაგრამ სამეურნეო დარგში კი კოლონიის საქონელს ვერ უძლებს საფრანგეთის ასეთივე საქონელი თავისუფალი კონკურენციით. ამ საგანზე ჯერ კიდევ დავა და ბრძოლაა.

ევევე პროცესი ამუშავდა ინგლისში. ომის შემდეგ უცხოეთის ემისიას შეებრძოლენ, პირველ რიგში დგება ემისია კოლონიებისათვის. ეს უკანასკნელი შეიცავდა 1920 წ. 37 მილიონ გირ., 1923 წ. 91 მილიონს, 1927 წ. 100 მილიონს და

სხ. ამავე დროს ეცემოდა უცხოეთის ემისია. კრიზისის დაწყებიდან უცხო ემისია სავსებით აიკრძალა (1931 წ.), მუჭატრობების უკეთებიდან იმატა, 1929 წ. ის ივნ 65 მილიონი, 1937 წ. შეატრიქის მილ., 1939 წ. ავიდა 800 მილიონამდე. მთელ სატრიალებელ კაპიტალს კონტროლს უწევს მთავრობა. 1937 წ. მის კონტროლს ქვეშ ირიცხებოდა 584 მილიონი სტერლინგი.

ამ ახალი საქმიანობისაგან გამოვარდა გერმანია. მას არც კოლონია ქონდა, არც ფინანსები, არც ფართე მეურნეობა; მას დაურჩა მხოლოდ კარგათ აწყობილი უაბრიკა-ქარხნები, გაწესრიგებული ინდუსტრია, აუარებელი გასატანათ დამზადებული საქონელი, აუარებელი სანოვაგის და ნედლი მასალის შემოტანის აუცილებლობა, ხოლო უცხო ბაზარი ყოველგან ჩაკრტილი, ყველა ერთიმეორისაგან განკერძოებული, „არსაიდან ხმა, არსაიდან ძახილი“, ყველა ერთ მის-მის ბეღზე მიშვებული.

ომშა იფეთქა; დამწევდებული 80 მილიონი გერმანელი ხმალს იღებს და დაკეტილ ფანჯრებს ამტვრევს.

6. გ ვ რ მ ა ნ ი ა

გერმანიის ინდუსტრიალიზაცია იწყება 1870 წლიდან. ამ დროს მისი მოსახლეობა შეიცავდა 63,9 პროც. სოფლელთ, 36,1 პრ. ქალაქელთ, ე. ი. წარმოადგენდა აგრარიულ ქვეყანას. ეს ურთიერთობა შემდეგ იცვლება ამნაირათ: 1880 წ. სოფლელი 58,6, ქალაქელი 41,4; 1890 წ. 53,0 და 47,0; 1900 წ. 45,7 და 54,3; 1910 წ. 40 და 60; 1920 წ. 37,1 და 62,9 პროცენტს. ასე თანდათან მატულობს არასოფლელთა რიცხვი დღევანდლამდე (ვოიტინსკი, L. C.). ამავე დროს მცხოვრებთა სისქით გერმანიას უჭირავს მეორე აღგილი, შემდეგ ინგლისისა, თითო კვადრატ კილომეტრზე მოდის 127 სული, ინგლისში კი 151. გერმანიის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია აშკარაა.

მაგრამ აქ მოხდა ერთი მოვლენა, რაც არსად არ მომხდარა. შოველგან ინდუსტრიალიზაციას მოყვა ძველი კალაპოტიდან გამოსვლა არა მარტო ეკონომიკათ, არამედ ამასთანავე პოლიტიკურათ, კულტურულათ, მოქალაქობრივათ, იდეიურათ, სულიერათ, ზნე-ჩვეულებრივათ — ყოველმხრივი განახლება. ამ საერთო ევოლიუციიდან გამოითმულია მხოლოდ გერმანიის

ხალხი; აქ მან თანამედროვე ტექნიკური აღორძინება და ძველი ეკონომიკური საფუძველის გამოცვლა მოახდინა ძველ ჩარჩოზე შეუცვლია. არც ერთი ძველი პოლიტიკური თუ იდეიური შეცვალა არ მოხვეულა ფიხტეს იდეები, პოპენცოლერნ-ბისმარკის მსოფლმხედველობა, იუნკრული სოციალური ინსტინკტები, ხალხურ-სოფლური ადათ-ჩვეულებები; სოფლელნი მიაწვენ ქალაქებს, ფაბრიკა-ზავოდებს და თან წაიღეს მამა-პაპათა პსიქოლოგია, აღზრდა და თვისებები; არის ეს ნაკლი, თუ ღირსება? ეს სადაოა; მხოლოდ უდაო არის ერთი ფაქტი: ეს შეერთება ახალი ეკონომიკური შეიარაღების ძველ სულთან და ხორციან, ძველ ხასიათთან და მუსკულებთან აძლევს ერს სულიერ ძალას, მუშტის სიმაგრეს, ნაციონალურ სიამაყეს და ენერგიას. ეგ შეერთება ძველი და ახალი ცივილიზაციის არის დამახასიათებელი გერმანიის ერის. ამ ძირითად თავისებურობის გაუგებრობა ბადებს ყველა საერთაშორისო გაუგებრობას, საიდანაც ევროპა დღემდე ვერ ამოსულა. ჩვენს წინ დგას ძველი გერმანელი, ახალი ტექნიკით შეიარაღებული. ახალი გერმანელი შორეული მომავლის საქმეა, თუ იდესმე მას გაჩენა მოელის.

გერმანიის ინდუსტრიალიზაცია ხდება სწრაფათ, ოც წელიწადში, მრეწველობის და მეურნეობის წონასწორობა მკაცრათ ირლევა მოკლე დროში, სულიერი ევოლიუცია კი საჭიროებს დიდ დროს, ხანგრძლივ პროცეს შეცვლის და განახლების ეს ორი ევოლუცია ერთმანეთს ვერ ეწევა, ერთმა აიწყვიტა და გაიქცა, მეორე ვერ აიწყვეტს, მისდევს ნორმალურ, ბუნებრივ მსვლელობას. ეს ნელი პროცესი მართველობის სფეროში გამოიხატა წყობილების სიმაგრეში. ბურჟუაზია და პატრონა ეკონომიკას, მაგრამ ვერ დაეპატრონა მართველობას, აქ ისევ ძველი ბატონები — იუნკრები და პოპენცოლრნები დარჩენ. 1918 წ. რევოლუცია იყო შედეგი არა შინაგანი პროცესის, არამედ საგარეო მარცხის, უცხო ძალთა გავლენით და კარნახით. აქაც ბატონი გახდა არა ბურჟუაზია, არამედ ბლოკი ლიბერალ-სოციალისტების, რამაც ერის იმედი ვერც ერთ ასპარეზზე ვერ გაამართლა და ბოლოს ის იქნა აფეთქებული შინაური ძალებით. პიტლერის გაბატონებამ მთელი ევროპა გააძოცა, მაშინ როდესაც საკმარისი იყო მოეგონებიათ ფიხტეს და კაფედრის სოციალისტების შმოლერვაგნერის და სხვათა

მოძღვრება, რომ ეს მოვლენა მის განხორციელებათ მიეღო. ევროპიდელი ერთიმეორის ისტორიას ან არ იცნობენ უქრაინულები სი სურვილები სინამდვილეთ გამოაქვთ. დღესაც მჭირდება უსიცავა ამბავი. რუსებილტი და ჩერჩილი აცხადებენ, რომ პიტლერთან არავითარ საზავო მოლაპარაკებას არ გამართავენ, ე. ი. მას არ სცნობენ გერმანიის წარმომადგენელათ; ეს არის პირწმინდა განმეორება ვილსონის განცხადების 1917 წ. 4 დეკემბერს ამერიკის კონგრესის წინაშე, სადაც ის უარს ამბობდა რაიმე მოლაპარაკებაში შევიდეს ვილჰელმ მეორესთან. მეორდება ერთი და ივივე განცხადება სრულიად სხვადასხვა გარემოებაში. ე. ი. როგორც ამ ოცი წლის წინ არ სცნობდენ გერმანიის მეთაურობას, არ სცნობენ არც ახლა, თუმცა ეს მეთაურობა დიდათ გამოიცვალა. ცხადია იცვლება მხოლოდ მეთაურობა, გერმანია რჩება უცვლელი. მაშასადამე, საქმე გვაქვს ამ მუდმივ, ურყევ მოვლენასთან, გერმანიის ხალხთან, რომლისაგან გამოშორება შართველი წრების იქნებოდა თავის მოტყუილება, ილიუზიების შექმნა. ასეთი ილიუზიები ერთხელ შეიქნა, დემოკრატია იქაც გამეფდა, მაგრამ იმავე ძალამ, რომელმაც ეს ცვლილება მოახდინა, ის გადააყენა და მის აღაგას სხვა მთავრობა დააყენა. გერმანია ერთია, მისი ისტორია, წასული და აწმყო ერთია და თუ ამას ვიცნობთ, გამოსავლის მონახვა გააღვილდება. ვილსონის ძველი სიტყვა: „ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ გერმანიის დღევანდელი ბატონების სიტყვა, როგორც გარანტია რაიმე შეთანხმების“^{-ო}), მეორდება ახლა პიტლერის შესახებ.

იმედები გამართლდა, ბატონები გამოიცვალენ, დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა, მაგრამ საგარეო პოლიტიკა მაინც ძველი დარჩა. 1922 წ. გენუის კონფერენციას, ე. ი. ევროპის დემოკრატიას, გამოეყო დემოკრატიული გერმანია და რაბოლოში ხელშეკრულობა დადგა მოსკოვის ტირანიასთან. ვილსონის და კლემანსოს განხორციელებული ნატგრა ამუშავდა თავიდან ვე მათ წინააღმდეგ. და დღესაც არ უკეირდებიან რატომ ეს ასე ხდება, რატომ ეს შეუგული ევროპა დასავლეთის ჭკუაზე არ დგება და მუდამ თავისას იმეორებს, მუდამ ტყისაკენ იყურება. ამ საკითხის ახსნა იქნებოდა გერმანიის სულისკვეთების გაგება, მასი გასაჭირის ცნობა, მისი ახალი ეკონომიკის გათვალისწი-

^{*}) E. Denis: l'Allemagne et la Paix. 1918 ვ. 132 და სხ.

ზება და შესაფერი გამოსავლის ჩვენება. ამ შემთხვევაში ომიც არ მოხდებოდა. მაგრამ სიბრძავე ვიღაცასთვის სასარგებლობრული სინამდვილის მიუწჩეჩება ვიღაცასთვის ხელსაყრელია შესტატის დაცა გახდავს გაბატონებული ბურუუაზია და მისი მორჩილი ხელისუფლება. ეგენი თავისით არ შეეშობიან თავის ქონების მცირე ნაწილსაც, თუნდაც ქვეფანა დაიქცეს.

ისტორია მეორდება მატემატიკური სისტორით. არა თუ დღევანდელი ომი არის წინანდელის გაგრძელება, არამედ მთელი დღევანდელი იდეოლოგია, მიზანი, დეკლარაციები, მთელი ავატაცია და პროპაგანდა ახლანდელი გერმანელებისა არის განახლება, თავისათ გამოტანა დიდი ომის გერმანიის. მიზანი, დროშა, საშუალება რჩება ძველი. 1918 წ. 15 ივნისს პინდერბურგის მიერ გამართულ ნადიმზე მეუე ვილჰელმმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, სადაც სხვათა შორის თქვა: „დღეს გამართულია ბრძოლა არა ორ სტრატეგიას შორის, არამედ მსოფლიოს ორგვარ გაგებას შორის. ერთის გაგება პრუსიული, გერმანული, მეორეა ინგლისური. ეს ორი მსოფლიმხედველობა დგას პირისპირ; აუცილებლათ საჭიროა ერთერთის დამარცხება. ზედმეტია თქმა იმის, თუ რატომ ვიბრძვით, ყველამ იცის ეს, მტერიც კი მას აღიარებს. ჩვენ გავიმარჯვებთ, გაიმარჯვებს გერმანული შეხედულობა მსოფლიოზე“ (იქ. გვ. 250). რა შინაარსის არის ეს გერმანული გაგება? „პრუსიული მილიტარიზმი, განაგრძობს იგივე, რასაც ეომებიან ჩვენი მტერნი, ჩვენ შევქენით, ჩემმა წინაპრებმა და მე. ის არის განსორციელება ჩვენი გრძნობის მოვალეობის, წესიერების, ერთგულების და მორჩილების“. გერმანიაში სუვერენია სახელმწიფო, პიროვნება მისი მორჩილია, მას ემსახურება. ეს აზრი ჯერ კიდევ მირაბომ გამოხატა ასე სხარტულათ: „პრუსია არის არა ერი, რომელსაც ყავს ჯარი, არამედ არის ჯარი, რომელსაც ყავს ერი“. აქ ცხოვრების მომწყობი, ხალხის წინაძლოლი, კლასების ხელმძღვანელი არის ერთად ერთი ძალა, მაგარი, ურყევი ხელისუფლება. ამ წყაროდან გამოდის ადამიანის მთელი უფლება და მოვალეობა. ის არის ერთად ერთი მსაჯული. ეს დოქტრინა სავსებით ეწინააღმდეგება, დასავლეთის მთელ მოძღვრებას, ლიბერალურ და დემოკრატიულ მსოფლმხედველობას. ეს ორი მოპირდაპირე ხაზებია რომელიც არსად არ ერთდებიან. ამ იდეაური დროშის ქვეშ მიღი-

ოდა დიდი ომი. იგივეა ახლაც, არავითარი ცულილება, არავითარი მის გვევე-მოხვევა არ მომხდარა. შინაარსი, ამ დოქტორინის კასპარეზი ახლა უფრო გაფართოვებულია, ვინემ ის კულ-წრომის მიში. მაშინ ომის გამოცხადებული მიზანი იყო შეაგული ეპროპერის შექმნა გერმანიის ხელმძღვანელობით, ახლა კი მთელი ევროპის გაერთიანება იმავე გერმანიის მეთაურობით. საბუთები კი თრივე შემთხვევაში ერთნაირია. აი რას სწერდა გეოპოლიტიკის შემქნელი მენციერი გერმანელი ერნესტ გაკ ამ საგანზე: „გამგის და ბატონობის როლი ეკუთვნის გერმანიას იმიტომ, რომ კველა ერში მხოლოდ მას შეუძლია ორგანიული შემოქმედება. დამახასიათებელია, რომ პირველ გერმანელ მეცნიერმა მე-15 საუკ. ნიკოლა დაკემ ჟკვე გამოთქვა შეხედულობა მოპირდაპირეთა ერთიგივეობაზე. ის ამბობს ამით იმ თრიგანიულ იდეალზე, რომელიც არის საფუძველი გერმანული მისტიკის, ლეიბნიცის და კანტის სისტემის, ფიხტეს, ჰეგელის, შელინგის და შოპენჰაუერის. ეს არის მსოფლმხედველობის ერთიანობა პიროვნების და მთელის მორიგება ნაწილის და საერთოსი... მთლიანობა სხვადასხვაობაში, სხვადასხვაობა მთლიანობაში, ე. ი. პარმონია — აი მუდმივი იდეია, მუდმივი საგანი გერმანული აზროვნების და, მიუმატებთ, გერმანული ბოლიტიკის“. საგარეო მინისტრი კულმანი ამ „გერმანულ სულს“ ასეთ ხორცი ათავსებს: „რას ითხოვს გერმანია? მას სურს იცხოვროს უშიშრობაში, თავისუფალი, ძლიერი, ბატონი იმ სახლვრებში, რაც მას გაუხასა ისტორიამ, ზღვების იქითაც, ჩვენი ძალის ღირსი სამფლობელოებით და ჩვენი საკოლონიზაციო ნიჭის შესაფერი, რის აშკარა საბუთი ჩვენ ვაჩვენეთ. ამასთანავე უნდა გვქონდეს კველა შესაძლებლობა განვავითაროთ ჩვენი ვაჭრობა დაუბრკოლებლათ ზღვებზე, მთელ მსოფლიოში“.

ამ საერთო გუნდს ემატებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმრავლესობა ფოლმარის და ბერნშტეინის მეთაურობით, რომლის წინააღმდეგ გაიღლაშერა კუცკიმ თავისი წიგნით „საშუალო ევროპა“. პარტიის სამხედრო მოსახრება მოთავსებულია ლენშის წიგნში, სახელწოდებით „სამი წელი მსოფლიო რევოლუციისა“, რაიცა უნდა ჩაითვალოს ჰიტლერიზმის წინამორბედათ. ავტორის აზრით წარმოებს უმთავრესათ არა უბრალო ომი, არამედ რევოლიუცია. ის სწერს: „ჩვენი

გამარჯვება იქნება სასარგებლო მთელი ქვეყნისათვის, პრეზენტი
ველფორდისა დემოკრატიისათვის, კინაიდან ეს იქნება მარტინ ლინკი
დროს გამარჯვება სოციალიზმის. აურიკის ორგანიზაცია, მა-
გალითად, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო სოციალიზ-
მით; ხოლო კაპიტალიზმი, რომელმაც დაიწყო იმით თავისი
ბატონობის გასამტკიცებლათ, გაათავებს მას როგორც ტყვე
სოციალიზმის. თუ გერმანიამ გაუძლო სამ წელიწადს საშინელ
მის ირგვლივ შემორტყმულ კოალიციას, ამის მიზეზია მისი
წინ წაწეული ეკონომიკური წყობა, რაიცა ამზადებს მას სოცი-
ალისტური ეკოლიურისათვის. სახელმწიფოს ინდივიდუალუ-
რი გაგება განწირულია. ის გაქრება საფრანგეთის და ინგლი-
სის დამარცხებით, სადაც ის დაიბადა და აქვს უარყოფითი გავ-
ლენა აზროვნებაზე. გერმანიაში არასოდეს არ ყოფილა, რო-
გორც ეს ინგლისშია, ხელისუფლება ერთი კლასის სამსახურ-
ში. ის მუდამ იდგა კერძო ინტერესების მაღლა და ემსახურე-
ბოდა საერთო ინტერესებს. გერმანიის ისტორიული მისაა
თანხმობის განხორციელება პირველათ ისტორიაში სახელ-
მწიფოს და ხალხს შორის. მოკავშირეთა დამარცხება იქნება
არა დამარცხება დემოკრატიის, არამედ მსოფლიო რეაქციის,
რასაც მეთაურობს ინგლისი. რა საწყლათ სჩანს საფრანგეთის
რევოლიუცია შედარებით იმ რევოლიუციასთან, რომელსაც
დღეს გერმანია ახდენს! ინგლისის ბატონობის დანგრევა გერ-
მანიისაგან შეედრება მხოლოდ რომის დანგრევას ტევტონები-
საგან. კაცობრიობას ეხსნება ახალი ერა**).

კმარა, აზრი და მიმართულება ნათელია. ნაციონალ-სოცი-
ალიზმის საფუძველი და მისი ტაქტიკა მოცემულია, გერმანი-
ის ჰეგემონია ბედნიერების მომცემია.

რამ გამოიწვია გერმანიის ასეთი თავის განწირვა, ასეთი
დიდი ომი? ლენში იძლევა ამის ნამდვილ და მკაფიო პასუხს.
ის სწერს: „მრომის განაწილება, ეს ცივილიზაციის ერთი კა-
ნონთაგანა და პროგრესის პირობა, ჩვენ გვხდის დამოკიდებუ-
ლებათ მსოფლიოსაგან. ხოლო ინგლისი და ამერიკა უარს
გვეტყოდენ მოგვყიდონ, ან თუ მოგვყიდიან – საზარალო ფა-
სებში, ნედლი მასალა, ურომლისოდაც ჩვენი მრეწველობა და
მეურნეობა ვერ იარსებებს... მაშასადამე, გერმანია ვალდე-

*) E. Denis L. C. ვ. 120.

ბულია, თუ არ სურს დაიღუბოს, ინგლისი დაამარცხოს". ჩი-
ნებული ახსნაა, სწორი მიზეზი ნაჩვენებია, ინდუსტრიალური ცუკ-
ცია — ომის სათავეა.

როგორც ხედავთ, დღევანდელი მსოფლიო პრობლემა, სამ-
ხედრო და იდეოლოგიური დაპირდაპირება არის პირწმინდა
განმეორება ასეთივე მოვლენის ამ ოცი წლის წინეთ. მას შემ-
დევ ევროპას წყალი უნავებს, ოდნავათაც წინ არ წასულა, არც
ერთი საერთაშორისო ამოცანა არ გადაუჭრია, თვითეული მის-
მიზდა უდარდელათ წამოწოლილა და მომავალზე არ უფიქრია.

აქვე ირკვევა მეორე გარემოება, რაც დღეს მაინც უნდა
იყოს უდაო და ნათელი. გერმანია არის ერთი, მთლიანი ნაცი-
ონალური ერთეული, თავისი საკუთარი წარსულით, აწყოთი,
პოლიტიკური და იდეიური თავისებურობით. მისი მოქმედება,
სხვადასხვა რეჟიმის და ეპოქის გამოლაშერება არ არის შემ-
თხვევითი, უცაბედი, არამედ მომდინარეობს ერთი და იმავე
ძირითადი წყაროდან, ლოდიკურათ აცმული და ისტორიულათ
აუცილებელი.

სად არის გამოსავალი? >

7. ჩ ი ს ვ ი

ინგლის-ამერიკის დღევანდელი სამხედრო და პოლიტი-
კური ხაზი არის განმეორება დიდი ომის ასეთივე ხაზის. მაგ-
რამ ერთი ფაქტი ხომ უდაოა — ამ ხაზის მაშინდელმა გამარ-
ჯვებამ ვერ გადასჭრა დასმული პრობლემა და ის ისევ დაისვა
დღეს გადასაჭრელათ. ერთი და იმავე მოვლენის ასე დაუინე-
ბით განმეორება ნათლად ამტკიცებს იმას, რომ გაბატონებუ-
ლი სახოგადოება იძენება ერთდამიმავე ადგილზე, იმყოფება
ჩიხში, საიდანაც გამოსავალი არა თუ ვერ უპოვია, არც კი
ეძებს მას. მას ურჩევნია იჯდეს აქ, განაგრძოს დამჯდარი
ცხვა, ხელიდან რ გაუსხლტეს სადავე და არ გადაიქცეს მე-
ხუთე ბორბლათ. ამ ეტლში შებმულია დღეს, როგორც იყო
წინა ომში, სოციალისტებიც და მათთან ერთათ საერთო ხო-
როთ იმეორებენ: ჯერ გამარჯვება, მერე რეფორმებით. ჩვენ
ვნახეთ ორივე ეს ლოზუნგი განხორციელებული, იყო გამარ-
ჯვება, იყო რეფორმები, სოციალისტური სამინისტროებიც.
მაგრამ ტვირთი ადგილიდან არ დაძრულა, არავითარი მაღამო

არ მონახულა, აშვებული სტიქია არ მოთოკვილა და ადამიანის სამსახურში არ შესულა. პირიქით, ჩიხში მომწყვდეს საქმიანობა მიიმართა მდგომარეობის გაუარესებისაკენ, ერთა ერთიმეორისაგან გამოყოფის და წინააღმდევობისაკენ, საერთაშორისო უთანხმოების გამწვავებისაკენ.

რა რევს დღეს ევროპას? ერთი ბრძებისათვისაც დასანასავი მოვლენა: გერმანიის უკიდურესი ინდუსტრიალიზაცია და ძველ ჩარჩოში მისი მოუთავსებლობა. ამ ინდუსტრიალიზაციის გამაგრება და გაფართოვება მოხდა თვით ინგლისის დახმარებით, მისი კაპიტალის მილიონობით ამ საქმეში ჩადებით. საყოველთაოთ ცნობილია, რომ გერმანიის დამარცხების დღიდან სიტე შეიძერო შიშმა, ვაი თუ საფრანგეთს ჩაჟვარდეს ზელში ევროპის ეკონომიური ჰეგემონიაო, პირი იბრუნა გერმანიისაკენ, მისცა დიდმალი სესხი მისი ეკონომიის აღსაღვენათ, გახდა უეცრათ მთელი ინგლისი გერმანიფილათ. ამ ხაზს ის შერჩა ბოლომდე, ომის ატესამდე. 1934 წ. ინგლისის ბანკმა, მიუხედავათ წინეთ გაცემული და არდაბრუნებული თანხებისა, მისცა გერმანიას 750.000 სტერლინგი, რაიცა იქნა დახარჯული ნედლი მასალის ყიდვაში და სამხედრო მზადების გაძლიერებაში. 1939 წლის დასაწყისში, ჩეხოსლოვაკიის პირველ დანაწილების დროს, იმავე ბანკის მეთაური მონტაგიუ ნორმანი იწყებს ეკონომიურ მოლაპარაკებას გერმანიასთან, აგზავნის მთელ დელეგაციას მრეწველების, ბანკების და ვაჭრებისას დიუსელდორფში. ეს ლაპარაკი წყდება ჩეხოსლოვაკიის მეორეთ გაყოფის და ანექსიის შემდეგ, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მიერ ინგლისის ბანკში შენახული ოქროს კაპიტალს აძლევენ ბერლინს. ინგლისის და გერმანიის მრეწველთა კავშირების ერთად მუშაობა, ერთი მეორისათვის დახმარება და ხელის შეწყობა წარმოებდა დიდი ომის შემდეგ შეუწყვეტლივ 1939 წლის სექტემბრამდე. ხოლო ამავე დროს ინგლისი სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, თუ სად, როგორ უნდა გაყიდოს გერმანიამ ამ დიდი მრეწველობის ნამუშიერი, სად არის მისი ბაზარი. ერთი მხრით ის ეხმარება აუსტრიელი ნივთის დამზადებაში, მეორე მხრით კი უკეტს ყოველი მხრიდან გასატან კარებს. უხმობს მსოფლიო ბაზარს, ქმნის საკუთარ კუთხურ სავაჭრო ერთეულს და მით ამზადებს ნიადაგს საერთაშორისო აფეთქებისას.

ბრიტანიის სავაჭრო პეგემონია იყო მსოფლიო ბაზრის და
თავისუფალი ვაჭრობის ხანაში. მაგრამ ამავე პეგემონის
დაცვა კუთხური ბაზრის და პროტექციონიშიმის ხანაში არის
სრული უტობია, სრული შეუძლებლობა და უდიდესი სიბრიიყ-
ვე. პეგემონიის დრო წავიდა და ამ წასულის დასაბრუნებლათ,
ამ უტობიის მისაღწევათ იღვრება სისხლი, იწირება აუარებე-
ლი მსხევრპლი. ეს საშინელება ვერ შეჩერდება, ვერ გათავდე-
ბა, დღეს თუ შეწყდა, ხვალ იფეთქებს, კაცობრიობა, იქნება მუ-
ლმივ, გაუთავებელ შიშში და ძრწოლაში მანამდის, სანამ მის
ეკონომიკაში არ შეიქნება ახალი წონასწორობა. ხოლო ის ვერ
მოინახება არსებულ ჩიხში, ის უნდა მოინახოს მის გარეთ,
თვით ამ ჩიხის დახმობით.

დღევანდელ ომს მოიგებს გერმანია თუ ინგლისი — ეს სრუ-
ლიად არ სჭრის მათ შორის ატეხილ დავას. მოხდება მხო-
ლოდ ან პირველის ძველ მდგომარეობაში ჩარჩენა, ან მეორის
პირველის მდგომარეობაში მოქცევა. ეს იქნება მხოლოდ ად-
გილის გამოცვლა, ერთის მაგიერ მეორის წაქცევა, ხოლო
პრობლემის პრობლემათ დატოვება. ვინ არევს ქვეყანას, ერ-
თის ინდუსტრია თუ მეორის — ეს სულერთია დანარჩენი კა-
ცობრიობისათვის, რომელიც არ არის და არც სურს იყოს მო-
ნაწილე ამ აყალიბადის. წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი.
ორივე მორიგენ, ყველა დღეს არსებული ინდუსტრიალური
ქვეყნები იკმაყოფილებენ თავის საარსებო მოთხოვნილებას
უჩხუბრათ. გაინაწილეს ქვეყანა თანხმობით. მაგრამ ხომ შე-
საძლებელია, აუცილებელიც არის აღორძინდეს ახალი ინ-
დუსტრიალური ქვეყანა. მაგალითათ რუსეთი გახდეს გერმა-
ნიათ, ჩინეთის ეკონომიკა გადაიწყოს ევროპიულათ, ერთი-
სიტყვით, გაჩნდეს ახალი კერანი ეკონომიკური დაუდეგრობის
და პოლიტიკური შფოთისათვის. დაისმება იგივე პრობლემა,
როგორ აჩინოო ამოდენა უმატებლი და უსახლვარო ხალხი.
საიდან მიეცეს მათ საჭირო ნედლი მასალა და სანოვაგე. აგ-
რარიული ერების ინდუსტრიალიზაცია დაწყებულია და თუ
ეს პროცესი იწარმოვა მათ შორისაც ისე სტიქიურათ, ისე
აწყვეტილათ და უპატრონოთ, როგორც დასავლეთში, ცხა-
დია მოკლე დროში კაცობრიობა დადგება ფოუნა-არყოფნის
დილემის წინაშე. დღეს ეს დილემა დაუდგა გერმანის ევრო-
პაში, იაპონიას აზიაში. ორივე მის ახლო-მახლო ეძებს სა-

არსებო სივრცესა. ხეალ დაუდგება სხვა ერებს – და ასე სტი-
ქის მსხვერპლი გახდება თანამედროვე კულტურა და შესა-
მატარებელი ხალხები. ვერც კოლონია დარჩება მუდამ ტრადი-
ლონიათ სხვების საჯიავგნათ და სათელათ. ისინიც გამოვ-
ლენ დღევანდელი უძრეო მდგომარეობიდან. დაეპატრონებიან
თავის ქვეყანას, თავის სიმდიდრეს და მოინდომებენ შესვლას
საკაცობრიო ოჯახში როგორც თავისუფალი და თანასწორი
წევრი.

ამნაირათ, დღის წესრიგში დგას არა ზერელე და წარმა-
ვალი მოვლენა, როგორიც არის ომი და ზავი. არამედ ის
მუდმივი, უცვლელი ძირითადი ფაქტორი, რომელიც იწვევს
ამ კატასტროფებს და რაიცა არ თავდება. თუ პირველი დიდი
ომი ამ მხრით კიდევ არ იყო ნათელი, კიდევ ეგონათ – ეს
რაღაც ხელოვნურათ, უცაბედათ ატეხილი დავიდარაბაა, ახ-
ლაც ასე თვალდახუჭვით მიღვიმა ამ მოვლენისადმი, ახლაც
ძველებერათ ყურის მოყრუება და გაუგებრობა ნიშნავს ცე-
ცხლზე ნავთის დასხმას და ავარდნილ აღმი თავისი ხელით
გახვევას.

მაშასადამე, ძირითადი საკითხია ერთი: რა უყონ ინდუს-
ტრიალიზაციით თავმოყრილ ზედმეტ მოსახლეობას, როგორ
და რით არჩინონ ის. წინეთ ამ სენს ებრძოდენ გადასახლებით,
უმუშიერნი გადიოდენ სამშობლოდან და სახლდებოდენ უც-
ხოეთში თავისუფალ ადგილებში. ეს იყო ერთნაირი შეპეოე-
ბა, აწეწილი მდგომარეობის ბრძოლა მოვარდნილ ეკონომი-
კურ ნიაღვართან. ამ წესით ამენდა ამერიკა და მრავალი კუნ-
ძულები. ეს ლტოლვა უცხოეთისაკენ დიდი ხანია შესუსტდა
და ბოლოს შეწყდა. ამის მიზეზია ორი გარემოება. ერთია
უცხოეთის თავდაცვა ახალი ემიგრაციისაგან, უკვე გაშენე-
ბული და სახელმწიფოთ გადაქცეული ყოფილი კოლონიები
აღარ უშვებენ თავის საზღვრების უცხოელთ, მათში აღარ
საჭიროებენ. ამ მხრით ყველა ერმა ჩაკეტა თავისი ჭიშკარი.
ხოლო ინდუსტრიალური ქვეყნების ხელში მყოფი კოლონია
დაგვტილია უცხოელთათვის ამ ბატონების მიერ. ამნაირათ,
ემიგრაციას დაედვა საზღვარი მისი დაუშვებლობის გამო.
მეორეა, ემიგრაციის განვითარებას შეებრძოლა ყველა სამ-
რეწველო ქვეყნები დემოგრაფიული მოსაზრებით. დიდი ომის
შემდეგ დიდათ იკლო ხალხის გამრავლება, მაშასადამე იკ-

ლო საწარმოვო და სამხედრო ცოცხალ ძალაშ. ამიტომ მრა-
ვალ სახელმწიფოში აკრძალულია პროპაგანდა ემსუბუქის – სასარგებლოთ, იდევნება სასტიკათ საემიგრაციო საზღვრის
აღნუსხვა და უცხოეთში გავზავნა; ხოლო უსაქმოთ დარჩე-
ნილთ შინ დასარჩენათ ეძლევათ ნივთიერი დახმარება. ორი-
ვე ანტიემიგრანტული მოსახრება – დაბადების შემცირება
და ომისათვის მუდამ შზადება გამოიწვია იმავე ინდუსტრია-
ლიზაციამ, ჭამა-სმის გაღმერთებამ, ზრუნვამ თავის სიამოვ-
ნებაზე და არა შთამომავლობაზე, საერთო მცნებათ გადაქცე-
ვამ – ჩემს მერე წარლენაო. ეკონომიურ ჰეგემონიის ძიების
და მოპოვებული ბატონობის შესარჩენათ საჭიროა სამხედ-
რო ძალა, ერთისიტყვით, მთელი სამრეწველო ცივილიზაცია
მიიმართა გადასახლების წინააღმდეგ, როგორც სამუალება
თავის დაცვის და თავის უპირატესობის შერჩენის*). ამას ზედ
ერთვის საერთო მიდრეკალება – რაც შეიძლება ნაკლები
შრომით თავის რჩენა, თავისთვის შეუწუხებლობა და მოპო-
ვებული საცხოვრებელი ღონეს ადგილობრივათ შენახვა. ინ-
გლისში მიუხედავათ ეკონომიური კრიზისისა მუშათა დღის
ქირა არ დაწეულა, ხოლო ამერიკაში ის დიდათ გაიზარდა.
ჩველა ამ მიზეზებით აიხსნება ემიგრაციის დავარდნა. მაგალ.
ინგლისში დიდი ომის წინ ყოველწლიურათ ემიგრაციის რი-
ცხვი უდრიდა 400.000 სულს, 1925 წ. კი დაიწა 140.524-
მდე, 1928 წ. 136.834 და ასე ყოველ წლიური შემცირებით
ემიგრაცია დავიდა უმნიშვნელო რაოდენობამდე (ი. სიფრი-
დი, L.C.). ცხადია, ეს ძველებური გამოსავალი დღეს სავსე-
ბით გამორიცხულია. საამისოთ გამოსაყენებელი ადამიანები
ეკრანაში აღარ მოიპოვებიან. ყველას სურს შინ მოეწყოს და
იცხოვროს.

გამორიცხულია აგრეთვე შინაური რეფორმები – თავისუ-
ფალი კონგურენციის და ლიბერალური მსოფლიო ბაზრის აღ-
დგენა. ეს იქნებოდა ფასების დავარდნა, მეურნეობის და მრე-
წველობის დაცემა, უმუშევართა გამრავლება, სახელმწიფოს
ფინანსიური გაკოტრება, მთელი ეკონომიური არევ-დარევა
უმიზნოთ და უპერსპექტივოთ; ეს შეუძლებელია პოლიტიკუ-
რადაც. გაბატონებული ბურჟუაზია თავისი ნებით არასოდეს

* ი. ob. L. Cioli, L. C.

ამ ზომაზე არ დათანხმდება, ამ ხაზით რეფორმიზმს არ აწარ-
მოებს. ერთისიტყვით, არსებულ კაპიტალისტურ ფარგლებში რეფო-
რმიზმი შეჭრილი ეკონომიკის გაწესრიგება, მისი ორგანიზაცია კო-
კრიზისის მოგვარება შეუძლებელია. მაშასადამე, ომიანობა,
ერთიმეორის თავისიმტკრევა ხდება ქრონიკულ, მიუცილებელ
თანამგზავრათ არსებული საწარმოვო რეფორმის. ამ ჩიხიდან გა-
მოსავალია მხოლოდ ერთი გზა, — ერთი საშუალება — ეს არის
კაპიტალისტური ეკონომიკის სავსებით გადაწყობა ახალ სო-
ციალურ საფუძველზე.

8. ეკონომიკური ფორმები

უკელა ხალხს, გველა ცივილიზაციას უდგებოდა დრო თა-
ვისი ეკონომიური წყობის, თავისი რჩენის საშუალებანის გადაწყობის, რეორგანიზაციის, ძველის აღაგას ახალის აგე-
ბის. სადაც ეს ვერ მოხერხდა, იქ დაიღუპა ერთი და კულტუ-
რაც. საბოლაოთ, საზოგადოების სვებედი შეკავშირებულია
არა იმდენათ ფიზიკურ, რამდენათ ეკონომიურ გეოგრაფიასან.
ბუნებას ადამიანი ეგუება გაცილებით უფრო ადვილათ, ვინებ
მის მიერ შექმნილ საარსებო პირობებს. პირველ შემთხვევაში
ხელის შემშლელი არავინაა, საჭიროა მხოლოდ შრომა და გამ-
ჭრიახობა, მეორე შემთხვევაში ხელის შემშლელია იგივე
ადამიანი, მთელი ჯგუფები, ხალხისაგან გამოყოფილნი და
მის კისერზე მოკალათებულნი. ამათვის არსებული წყობი-
ლება ჩინებულია, დასაცავია, რადგანაც მას უპყრია მისი მე-
თაურობა, მისი სიმდიდრე, მისი ბატონობა. აქ იმართება
ბრძოლა არა პასიურ ბუნებასთან, არამედ აქტიურ ადამიანებს
შორის, ერთიმეორის მოსარევათ და დასაჯაბნელათ. აი ამის
გამო ვერსად ვერ აქნა დამყარებული ისეთი ეკონომიური წყო-
ბა, რომელიც გამომდგარიყო საფუძვლათ ხალხთა ხანგრძლი-
ვი სიცოცხლისა და მუდმივობისა.

ამ მხრით თუ შევადარებთ თანამედროვე ეკონომიურ ფორ-
მებს, დავინახავთ, რომ ახალი არაფერია ცისქვეშ, ყველა ისი-
ნი განმეორებაა ძველის, გარდა ერთათერთი შრომის პრო-
ცესისა, სამუშაო იარაღებისა, როგორც ზემოთ დავახასიათ.
რაკი ეს ძირითადი საშუალება თავის რჩენისა ახალია, მოსა-
ლოდნელი იყო, რომ მისი ფორმა, მისი პოლიტიკური და სო-

ციალური ჩარჩოც იქნებოდა ახალი. მისი შინაარსის ნამდვილი გამომხატველი. სინამდვილეში ასე არ მოხდა, შინაარსი არის ახალია, ფორმა კი ძველი, ძველის ძველი. აქეთან პრობულემა: ახალ შინაარს მიეცეს ახალი კალაპოტი, მისი შესაფერი საზოგადოებრივი შენობა. ეს არის აუცილებელი, სრულია და გარდაუვალი სავალი გზა, რითაც მისი განხორციელება გაადვილებულია. პირველყოვლისა გავიცნოთ უარსაყოფი ფორმები.

საბჭოთა ეკონომიკა არის პირწმინდა განმეორება ძველი ეგვიპტის და ძველი პერუს ეკონომიკის.

ინგლისის სავაჭრო სისტემა არის ასლი ფინიკიელთა ახეთივე სისტემის, ხოლო კველა სხვა სისტემა, ბურჟუაზიის გამფებამდე, ბაბილონის.

ეგვიპტეში მთელი მიწა ეკუთვნოდა სახელმწიფოს, განაგებდა ფარაონი და მისი მოხელეთა შტატი. ქვეყანა იყო დანაწილებული რაიონებათ, რომელთა მეთაური ინიშნებოდა მთავრობისაგან. მიწების დამუშავება ხდებოდა კოლექტიურათ. რაიონი წარმოადგენდა ერთ კოლექტივს. მთელი სამეურნეო მოსახლეობა იყოფილი ჯგუფებათ, რომელიც თვითეულ სოფელში რიგრიგობით მუშაობდენ სოფლის უფროსის მეთაურობით. მიწის მთელი მოსავალი – ხორბალი, ცხოველი, ნანადირევი, ნათევზარი – გროვდებოდა რაიონის საწყობებში, რასაც ვანაგებდა განსაკუთრებით მოხელე. მოსავალის ერთი მეოთხედი ეძღვოდა მის დამმუშავებელთ შრომის უასათ, დარჩენილიდან ერთი ნაწილი ეძღვოდა მეუეს (ხაზინას) და ტაძრებს, ერთიც მოხელეებს, ჯარს, სამრეწველო მუშებს, დანარჩენი ინახებოდა საზოგადო ბელელში, რომ ამით თავიდან აცილებიათ დაშევა გლახა მოსავლის დროს.

დაახლოებით ასეთივე ეკონომიკური სისტემა ბატონობდა პერუში ისპაანის მიერ დაპყრობამდე (მე-15 საუკუნეში), მთელი მიწის მესაკუთრე იყო მეუე და იყოფილი ორ ნაწილათ: ერთი ნაწილი ენდობოდა ხალხს და ნაწილდებოდა ოჯახთა შორის საჭიროების და სიმრავლის მიხედვით; გადანაწილება ხდებოდა ყოველ წელიწადს, მცხოვრებთა გამრავლების მიხედვით. მეორე ნაწილი იყოფილი მეუეს, ხუცების და მაღალ მოხელეთა შორის. მთელი მიწის დამუშავება და მოხმარა წარმოებდა მთავრობის კონტროლით და ხელმძღვანელობით.

მშრომელთა თვითეული კატეგორია ღებულობდა ბრძანებას მთავრობის აგენტებიდან როდის, რამდენი მაწა დაამუშაოთ კოლექტიურათ. ასეთივე წესით მუშავდებოდა მრეწველობის დარღვა. პერის ხალხს არავითარი საკუთრების უფლება არ ქონდა არა მარტო მიწაზე, არამედ ამასთანავე არც მის ნაყოფზე, მთელი სამეურნეო და სამრეწველო მოსავალი გროვდებოდა საერთო საწყობებში და აქედან ეძლეოდა ხალხს, მაღალ მოხელეთ და ჯარს, დანარჩენი ხაზინას. საწყობების გამგენი ინიშნებოდენ მთავრობისაგან*).

აი ეს უაღრესათ დესპოტიური და კოლექტიური საწარმოვო წესები არსებობდენ ამ ორ ქვეყანაში ასეული წლები. ორივე წყობა დაინგრა არა შინაგანი ძალებით, არამედ გარედან შემოსევით. ცხადია, მოსახლეობა თვით იყო დაინტერესებული ასეთ მეურნეობაში, რაცაცა აისხება ერთი გარემოებით: შრომის იარაღები იყო მეტად პრიმიტიული, დიდი მდინარეების ნიაღვარი მეტად საშიშარი, მოუსავლობა და წალეკვა ხშირი და კველა ამ ბუნებრივი დაბრკოლებათა დაძლევა შეიძლებოდა მხოლოდ კოლექტიური მუშაობით, საერთო ძალონით. სადაც კი ასეთი აუცილებლობა არ არსებობდა და მხოლოდ მიბამულობით იქნა მზგავსი ეკონომიური წყობის შემოღება, როგორც ეს მოხდა ჩინეთში მეთერთმეტე საუკუნეში, ის ჩქარა დაინგრა შიგნიდანვე. ასეთივე ძოლო მოეძლოდა ბოლშევიკურ ეკონომიკას, რომ ჰიტლერი არ შესეოდა და ის იარაღით არ დაერღვა**. მეოცე საუკუნეში, ტექნიკის უმაღლესი განვითარების ხანაში პრიმიტიული ეგვიპტის და ბერუს მიბამვა ვერასოდეს ვერ განხორციელდება, ვერ დაშაგრდება თუ არა მუდმივი, შეუჩერებელი უკიდურესი ტერორით.

ფინიკიელები მისდევდენ ვაჭრობას და მრეწველობას, მეტად მცირეთ მეურნეობას. ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა ძალიან წაგავდა დღევანდელ ინდუსტრიალურ ერისას. მათი პოლიტიკური მართველობა სავსებით ეპირდაპირება ჟველა სხვა მველებურ დესპოტიურ მართვა-გამგეობას. თვითეული ქალაქი იყო ავტონომიური, ყავდა სა-

* ის. სიოლის აღნიშნული შრომა.

**) მაგრამ, როცა ის უქან გამოიქცა, მოხკოვდა თავისი ეკონომიკა ზეჯ აღადგინა. შენიშვნა 1944 წ.

ქუთარი მთავრობა და შეადგენდენ ერთ კავშირს მხოლოდ ხა-
გარეო საქმეებისათვის. თვითეულ მათ კოლონიას ქუჩაფიცები
მინიონის უფლებები, ხოლო ეკონომიურათ შედტრუნი მუტანე
როპოლიის საშუალებით საერთო ეკონომიურ ერთეულში. მა-
თი მთავარი ქალაქები სიღონი და ტირი (სირიაში) გახდენ ის
ორი სავაჭრო ცენტრი, რომლის ირგვლივ ტრიალებდენ კველა
ქალაქები და დომინიონები. მათ შექმნეს საერთო ბაზარი (მა-
შინდელი მსოფლიო ბაზარი), რომლის მთავარი ასპარეზი იყო
ხმელთაშუა ზღვა და მის ნაპირებზე მდებარე ქვეყნები. ფინი-
კიელებმა დაასახლეს მრავალი ქალაქები და გააჩაღეს ვაჭრო-
ბა თავიანთ ირგვლივ და შორეულ ხალხებში. როგორც დღე-
ვანდელი ინგლისის საკომერციო სისტემიდან მომდინარეობს
მისი საკოლონიო პოლიტიკური და ეკონომიური სისტემა, ისე
ფინიკიელთა საკომერციო ინტერესები გახდა სათავე მთელი
მათი შინაური და საგარეო ურთიერთობის. განსხვავებაა მხო-
ლოდ იმაში, რომ ინგლის გვერდში ამოუდგნენ კონკურენტე-
ბი. ისეთივე სავაჭრო და საწარმოვო ქვეყნები. ხოლო ფინიკი-
ელნი თავისუფალი იყვენ მოცილეთაგან; მათ ხელში ქონდათ
მთელი სავაჭრო მონოპოლია. ერთად ერთი ბერძნები უწევ-
დენ კონკურენციას, მაგრამ, როგორც ახალდაწყებულნი, მე-
ტათ მცირეს და სუსტს. ფინიკიელთა ნაციონალური ეგოიზმი
გამომდინარეობდა მათი ფაქტიური სავაჭრო მონოპოლიიდან. ასეთივე მონოპოლია ქონდათ საზღვაო მიმოსვლაში. მათი
ვაჭრი, მათი გემი და მათი საქონელი ბატონობდა ყველა იმ
დროს ცნობილ ზღვებზე. ერთისიტყვით, ფინიკიელთა მთელი
ეკონომიური წეობა არის წინამორბედი, დიდათ მზგავსი თანა-
მედროვე ინგლისის. არის ერთი დიდი განსხვავება: ფინიკი-
ელთა მონოპოლიური მდგომარეობა იყო შედეგი მაშინდელი
საერთაშორისო ურთიერთობის, მოცილე და მოპირდაპირე
არავინ ყავდა და ამიტომ არც საჭიროებდა ომებს თავისი მო-
ნოპოლიის შესარჩენათ. დღეს კი ინგლისის, ან სხვა რომე-
ლიმე ერის, ასეთივე პრეტენზია არის არაბუნებრივი, ანტიკა-
ცობრიული, დაპირდაპირებული მსოფლიოს ობიექტიურ გან-
ვითარების მიმართ. აქ მარხია დასაბამი ერთა თანამედროვე
შუღლისა და ომებისა. ფინიკიურ როლს ვერც ერთი ერი დღეს
ვერ შეირჩენს; აქ აუცილებელია ერთა შორის თანხმობა და
სოლიდარობა; ძველ ილიუზიებს ნიადაგი გამოეცალა.

მესამე ტიპის ეკონომიკას წარნოადგენს ბაბილონი. აქ მანა შეადგენდა კერძო საკუთრებას, რაიცა ქონდა მეუქს, ჭარულული რებს, ე. ი. სახელმწიფოს და ხალხს. კერძო პირი ამუშავებდეს იმის საკუთრებას თავის სურვილისამებრ, მოსავალი მას ეკუთვნოდა, გაყიდდა, გააჩუქებდა, მოიხმარდა როგორც მოეპრიანებოდა. აღმოჩენილია მრავალი მაშინდელი საბუთები მიწის ყადვა-გაყიდვისა. ამ კერძო საკუთრებასთან იყო დაკავშირებული მუშაობა საერთო ინტერესებისათვისაც. მესაკუთრენი ვალდებული იყვნენ დაემუშავებიათ სახელმწიფო მიწები, მდინარეთა საირიგაციო დამბები და არხები, მთავრობის აგენტების მეთაურობით, მთავრობა ერეოდა მესაკუთრის და დაქირავებული მუშის ურთიერთობაში და აწესრიგებდა მას განსაკუთრებითი კანონებით. სამეურნეო და სამრეწველო მუშის დღის ქირა განსაზღვრული იყო კანონით; აგრეთვე მუშაობის დროს დაშავებულს ეძლეოდა შესაფერი სასყიდელი. ერთისიტყვით, ბაბილონი აერთებდა კერძო საკუთრების დაცვას საზოგადო ინტერესების დაცვასას და მით წარმოადგენდა ახალ ეკონომიკურ წყობას.

საერთოდ კულა ძველი სახელმწიფო მისდევდა ეკონომიკურ ეტატიზმს, სახელმწიფო ძალაუფლების ჩარევას სოციალურ სფეროში. ზოგან ეს ხდებოდა კერძო ინიციატივის დაშვებით და წახალისებით ბაბილონის ტიპისა, ზოგან კი მთავრობის სრული კონტროლით, აგერ-ეგერ სახელმწიფოს ერთადერთ მესაკუთრეთ აღიარებით. პტოლემეის ეგვიპტეში სახელმწიფოს მონოპოლია გახდა მეურნეობა, ინდუსტრია და კომერცია, რომელთა ნაყოფს თვით მთავრობა ანაწილებდა.

აზიურ ხაზს რამდენიმეთ გამოეყო რომი, რომელიც დაეყრდნო კერძო საკუთრებაზე, მაგრამ დიდმა მესაკუთრემ თანდათან ჩაყლაპა პატარა და აქცია გლეხობა ბოგანოთ. შეიქმნა პლებისი. დაიბადა აუცილებლობა ერში წონასწორობის აღდგენის, მდიდარ და დარიბთა შორის საშუალო ქონების მქონებელთა ჩადგომის. ეს ხაზი გამოცხადდა ერთათერთ საშუალებათ ერის გადარჩენისა დანგრევისაგან. ამ მიზნით 132 წ. (ქრ. წინ) გრახმა შეიტანა სენატში კანონპროექტი: ჩამოერთვას დიდ მემამულეთ ოდესდაც მათვის მიცემული საზოგადო მიწა (აგერ პუბლიკა) და დაურიგდეს დარიბ რომაელთ და იტალიელთ, თითოს შვიდი დესიატინა (ჰექტარი). კანონი

გავიდა, რამაც მოგვცა 73 ათასი წვრილი მესაკუთრე რომელ
შემდეგ გვევე პოლიტიკა გრძელდება, მემამულეთ კრისტენული
მთართვეს მიწები და დაურიგეს ასიათას კაცს. ცუშაზუმიაშენე
ნაგრძო გვევე ხაზი. წვრილი მესაკუთრების დასაცავათ დიდი
მემამულებისაგან კანონით დაწესდა უულის პროცენტის მი-
ნიმუმი, არაუმეტესი ოთხის და ექვსისა. ერთი სიტყვით, მთე-
ლი ეპონომიური ბოლიტიკა რესპუბლიკის პერიოდში მდგო-
მარეობდა ერთს დაცვასა და გაძლიერებაში წვრილი მესაკუთ-
რეთა შექმნით და მფარველობით.

დემოკრატიის შეცდომა იყო ის, რომ დიდი მემამულეობა
კი არ ვაუქმა, არამედ ის დააბა. რესპუბლიკის დაცემა და
იმპერატორების გამეფება იწყება ამ დამბულთა აწვეტით და
ძველი ძლიერების აღდგენით. იწყება წვრილი მესაკუთრეთა
განიავება. მხოლოდ მესამე საუკუნეში, როცა უსახლკაროთა
გამორიცხულება საშიშარ ხასიათს დებულობს, მთავრობა იწყებს ჩა-
რეგას კერძო პირთა ეკონომიკაში ისეთი სიძლიერით, რომ
მთელი საქმიანობა გადადის მოხელეთა კონტროლში. რადგან
ომების გამო გაიაფდა მუშახელი მონების ყიდვით, მთავრობა
კანონით აიძულებს ყველა დამქირავებელთ ერთიმესამედი მუ-
შების უეჭველათ ფავდენ თავისუფალი მოსახლეობისაგან. ეს
არ შველის, ქალაქების მოაწყდა სოფლებიდან დიდალი უმუში-
ერნი და ყოფილი წვრილი მესაკუთრენი. სახელმწიფო ხდება
იძულებული არჩინოს ეს უმუშიერნი, რაიცა კიდევ უფრო ამ-
რავლებს მათ რიცხვს სოფლებიდან გამოქცეულებით. ამ გა-
მოქცევის შესამცირებლათ კანონით მიაკრეს სოფლის მუშები
სოფელს და სამუშაოს. წარმოიშვა ყმობა. ასევე მიაკრეს მე-
მამულე თავის მამულს.

ამნაირათ, ეკონომიური საქმიანობა, რაიცა იყო თავის-
უფალი რესპუბლიკაში, ხდება სახელმწიფო მოვალეობათ, ეტა-
ტიურ დაწესებულებათ იმპერიაში. მთავრობას დაუმორჩილეს
მეურნეობა და ხელოსნობა; კერძო მრეწველობა — ისე რო-
გორც კერძო საკუთრება, ემორჩილებოდა მოხელეთა კონტ-
როლს. სახელმწიფო გადაიქცა უზარმაზარ ტვირთათ, დააწვა
მთელი თავისი სიმძიმით საზოგადოებას და ორ საუკუნეში
მიიყვანა ის სიკვდილამდე. რომის იმპერია დაეცა, რომის ერთ
დაირღვა, სახელმწიფო მოიშალა და ამ ნანგრევზე აღმოცენ-

და ფეოდალიზმი. სამაგიეროთ აღმოსავლეთში აღორძინდა რო-
მილან გამოყოფალი მისი ნაწილი – ბიზანტია.

ბიზანტიაში განმეორდა იგივე მოვლენა: ბრძოლა სხვადასწავლის
და წვრილ მესაკუთრეთა შორის. ბატონობდენ პირველი და
აქრიბდენ და ყლაპავდენ მეორეთ – იმპერატორების მთავრო-
ბამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო წვრილი საკუთრება; გლეხებს აუკრძალა აიღონ სესხი მემამულებისაგან, ნება
დართო გაუქმონ ხელშეკრულებები მათთან და სხ. გააუქმეს
ბატონიერი, მემამულეთ აეკრძალა ახალი მიწების შეძენა, შე-
ამცირეს დიდი საკუთრება თავად აზნაურობის და ეკლესიის.
ეს პოლიტიკა გაგრძელდა მე-7 – 9 საუკუნეებში. მაგრამ მე-
მამულებებმა იარაღი არ დაყარეს; რაკი ის როგორც კლასი
დარჩა, მისი მოქმედება ვერ შეაჩერა წვრილმა კანონმდებლო-
ბამ. მთავრობა მისდევდა ერთნაირ ნაციონალ-სოციალიზმს,
ე. ი. სხვილი საკუთრების არა გაუქმებას, არამედ მის თავის
სამსახურში ჩაყენებას, როგორც ეს დღეს გერმანიაშია; მაგ-
რამ ეს „ჩაყენებული“ პირველ შემთხვევისათანავე აიწყეტდა
და თავის ბუნებას განაცრობდა. თავის დამანვრეველ მოქმე-
დებას – დარიბთა ჩაგვრას აძლიერებდა. ბოლოს და ბოლოს ამ
ბრძოლაში ეცემა მთავრობა, იმარჯვებენ მემამულენი უველა
თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგებით. იწყება
მგზავსათ დასავლეთისა ფეოდალიზმი. იმარჯვებს საბოლაოთ
სხვილი კვერძო საკუთრება და მის ნიადაგზე ჩაღდება ახალი
ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა. ეს წყობა დაანგრია აქ მხო-
ლოდ გარეშე ძალამ, ისლამის შემოსევამ, ხოლო იქ, ევროპა-
ში, შინაურ ძალამ – ბურჟუაზიამ და მეფობამ ერთად, ხოლო
თვით მეფობა ბურჟუაზიამ და ხალხმა ერთად. დაიბადა ახალი
ევროპა.

ამ მოკლე მიმოხილვიდან აშეარაა ძველი მუდმივი ეკონო-
მიკური ხაზი: ეს არის ეტატიზმი, ხელისუფლების შეუჩერებე-
ლი ჩარევა ხალხთა ნივთიერ მდგომარეობაში და მიღება ზო-
მების ამ მდგომარეობის აწყობის თავის შეხედულობისამებრ.
ვერსად ამ მუშაობამ ერთ და ცივილიზაცია ვერ გადაარჩინა
დაღუპვისაგან, ვერ იხსნა რასა გაქრობისაგან. პირიქით, თვით
ეს პოლიტიკა გახდა საზოგადოების ერთი უძლიერესი დამარ-
ტვევლი, როგორც მისი აუტანელი ტკირთი. იქ, სადაც ბატო-
ნობდა ხალხური დემოკრატია, შეხამება კერძო და სახელმწი-

ღო ინიციატივას შორის, როგორც ეს იყო რომის რესპუბლიკაში, ცივილიზაცია იფურჩქნებოდა, ცხოვრება წინ ჭრულობული ერთ და სახელმწიფო ახალგაზრდულ სიჯანსალეს ჰქონილი და ამ წყობილების შეცვლა იმპერიით ხდება დასაწყისი დაქანების და ბოლოს გაქრობის. რატომ? იმიტომ, რომ ამ წყობილებაში გაიზარდა და იშვა სხვილი საკუთრება, ხდება დარბევა აკრარიული ქვეყნების ფუძის – წვრილ მესაკუთრეთა ქლასის. ეს ქმნის საზოგადოების მეპატრონეთ – ეკონომიკაში შეძლებულთ, პოლიტიკაში მოხელეთ, ხოლო დაცემულ, დაღარიბებულ ხალხს მათ მაჩანჩალათ. ნაციონალურ ჩონჩხს სული ამოცალა და ის დაიმსხვრა.

ისტორიული კანონია: ყოველგან, სადაც სხვილი მესაკუთრეთა კლასი ხდება ბატონი და არ ჩნდება ერში ძალა მისი ჩამომდები, ერთ ირლვევა ნაციონალურათ, პოლიტიკურათ, დემოგრაფიულათ და ფიზიკურათ. ვერავითარი პოლიცია, ვერავითარი სახელმწიფო ძალა რაგინდ მრისხანე იყოს ის, ამ პროცესს ვერ აჩერებს, პირიქით მას თვითონ ითრევს თავის ფერხულში და შლის.

და დღეს ევროპა, ახალი ევროპა, მივიდა სწორედ იმ ხაზამდე, საიდანაც დაიწყო რომის და ბიზანტიის დაშლა. მეორედება იგივე ეტატიზმი, იგივე შეძლებულთა ბატონობა, ბურუჟაზის სახით, რაიცა იძლევა იმავე შედეგებს – დაავადებას, დასნეულებას, ერთიმეორის ულეტას და ხოცვას. წყდება ატლანტიკის ცივილიზაციის სვე-ბედი. ისიც უნდა გაყვეს მისი წინაპრების გზაკვალს, გაქრეს მსგავსათ ეფრატის, ნილონის და ხმელთა შეა ზღვის ცივილიზაციისა, თუ შეძლებს გამობრუნებას, გაახალგაზდავებას და ქვითკირივით გამაგრებას. ვერავითარი საგარეო ძალა ამ აღორძინებას ვერ მოახდენს, მას მაღამოთ ვერ დაედება; მხოლოდ შიგნიდან, ერის საშორდან უნდა წარმოსდგეს მკურნალი და წამალი. შემოსული თუ შემოსული უცხო ხალხი, როგორც დამპურობი და ბატონი, ახდენს მხოლოდ და მხოლოდ ერის გადაგვარებას, დაშლას და მის ნანგრევზე სრულიად ახალი მოსახლეობის და წესწყობილების აგებას. მექსიკის და პერუს ძველი ხალხები და მათი ცივილიზაცია გააქრეს ისპანიელებმა რაღაც ორ საუკუნეში (15–17 საუკ.). ისინი აღარ არსებობენ არც ფიზიკურათ, არც კულტურულათ; აშკარაა, ძველი გაკვეთილი, ძვე-

ლი ეკონომიკური წყობა არ იძლევა მისაბამ მაგალითს თანა-
შედროვე ხალხებისათვის; ის გვაძლევს მხოლოდ უარყოფის რუსულ
მოვლენებს, რის მიბაძვა იქნებოდა მომაკვდინებელის სპეციალისტის
გადოებისათვის. მართალია, პრობლემა დღესაც იგივეა,
რაც წინეთ იყო; ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ერს უდგება
ბოლოსდაბოლოს ერთნაირი ამოცანა, ვარდება მხეგვს ხი-
ფათში და, თუ ის ვერ მოიშორა თავის დროზე, აბოლავებს
თავის ისტორიას ერთნაირათვე. მაგრამ თანამედროვე კულ-
ტურას აქვს ერთი დიდი უპირატესობა ძველის წინაშე, რაც
იძლევა შესაძლებლობას მისი ჩიხის გატეხის და იქიდან გა-
მოსვლის. ეს არის ახალი ტექნიკური შესაძლებლობანი,
შრომის ახალი იარაღები და მასზე აგებული საწარმოვო პრო-
ცესი, ე. ი. მეცნიერება, კაცობრიობის დიდებული მიღწევები
ამ სფეროში, რაც ასე აადგილებს შრომას და ცხოვრებას და
დღეს კი ხელში ჩაუგდია ერთ მუჭა მოძალადებს, ფინანსის-
ტებს და პლუტოკრატებს. ამით განახლების გზა ნაჩვენებია.

9. მირითადი დამადიდებელი

ჩვენ წინ დგას გადასაჭრელათ პრობლემა არა პოლიტიკუ-
რი და ნაციონალური, არა ტერიტორიების განაწილება და ამა
თუ იმ საერთაშორისო რეჟიმის დაწესება. ბრიანის საევრო-
პიონი ფედერატიული პროექტი უკვე დაძველებულია; მის გან-
ხორციელებას ამ ათი წლის წინეთ შეეძლო შეეკავებია მერ-
მინდელი უკუღმართი მსვლელობა; დღეს კი მაშინდელი სატ-
კიკარი გადრმავებულია და ზემოდან სულის შეხერვა მის მირს
ვერ ჩაწვდება. ეს ძირი ზემოთ დავახასიათეთ. ვიმეორებთ: ინ-
დუსტრიალურ ქვეყნებში თავმოყრილია აუარებელი უსახლ-
კარო ხალხი, რომელსაც ექიმოვება რჩენა, საჭმელი, ბინა, ჩა-
ცმა-დახურვა. ამ მიზნის მისაღწევათ აუცილებელია ამ ხალხის
ამუშავება, ხოლო ეს კი მოითხოვს უცხოეთიდან შემოტანას
ნედლი მასალის და სანოვაგის, ხოლო ამ ნივთების სასყიდე-
ლის გადახდა მოითხოვს სამაგიერო ნივთის გატანას და აღე-
ბული სასყიდელით შემოტანილის ანაზღაურებას. როგორც
კი ეს ორგვარი პროცესი ინგრევა, იწყება კრიზისი, ტყდება
ერთა შორის შფორთი, იწყება ომი. აი ამ მდგომარეობიდან გა-

მოსავალი გზა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ვერ მოიხდა. არ მოინახება და ის უნდა იქნას გამონახული მის გარეური ციფრი კაპიტალისტური კულტურა

მაშასადამე, მშვიდობიანობის ფუძეა კაპიტალისტური კულტურა

ნომიკის გადაწყობა ახალ ნიადაგზე. ვის შეუძლია ეს? სახელმწიფოს? ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფო თვით არის ჩათრეული დავარდნის ასაკში; ეტატიშმა არა თუ უშველა ერს, არამედ, პირიქით, ის გადააგდო უფსკრულისაკენ. ის არის მხოლოდ ზედშენობა ეკონომიური წყობისა და როგორც ამნაირი, მისი შეცვლა შესაძლებელია თვით ამ წყობის შეცვლით. ყველა ერი და მისი კულტურა დაანგრია ამ ზედშენობის გაზვანადებულ ძალამ, მისმა დამძიმებამ და აუტანელ ტვირთად გადაქცევამ. თავში ის უეჭველია ემსახურებოდა აშენებას, ბოლოს კი დარღვევას. ამ ფარგალში, დემოკრატიულ ქვეყნებში საბედისწერო როლი ითამაშა უკანასკნელი ხანის პარლამენტარიზმმა, ქვეყნის ხაზეინების დამოკიდებულებამ მეკენჭებზე, ხოლო მეკენჭების — თავის პირად ინტერესებზე. თვით მუშათა მოძრაობა, რომელიც თავში პირად ინტერესებს უთანხმებდა საერთო სარგებლობას, ჩამოქვეითდა საბივმტექსო მოძრაობამდე, თავისი ვიწრო საპირადო მადამდე. ოღონდ ის ცხოვრობდეს კარგათ, ქვეყნის ბედი მას აღარ აწუხებს. უტილიტარიზმი, ეგოიზმი გაბატონდა საზოგადოებაში, მეკენჭებში და ამან შეკრა, შებოჭა პარლამენტის და მისი ხელისუფლების აზროვნება და მოქმედება; იდეალი, პერსპექტივა, დინამიზმი გაქრა. ცხადია, პარლამენტარიზმის ზარი დარეკოლია, მისი აღდგომა შეუძლებელია. და თუ მაინც აღსდგა — დიდი ხანი მას არ უწერია.

ყველა სახელმწიფო იყო და არის აგებული ინდივიდუალურ საფუძველზე, როგორც უარისყოფა ძველი საგვარეულო წყობისა, ე. ი. მისი მთავარი აზრია ერთი დებულება: ეკონომიკურ საქმეს აწარმოებს პიროვნება, თავს ირჩენს როგორც მას სურს და შეუძლია. ეს დებულება უკიდურესათ გააზვიადა ბურჟუაზიამ. მაგრამ შედეგი კი ყოველგან ერთია: ამ გარემოებით ისარგებლეს ძლიერებმა, შეძლებულებმა და განდენ მჩაგვრელნი სუსტის და შეუძლებელის. სახელმწიფო მათ ჩაუვარდათ ხელში.

ზოგ ალაგას მოინდომეს ამ ფარგლის გარღვევა და სოციალური წყობილების დამფარება ძალმომრეობით, დესპო-

ტიის და ტირანიის გაბატონებით. ასეთი მოვლენები იყო ძველათ, არის ახლაც, მაგრამ ეს ძალათ მაცხონეობა, ეს პრესტიჟი დიური წესებით თავზე მოხვეული სისტემა თავდება ჭრველ-გან ერთნაირათ — ძალათ მაცხონეთა გაბატონებით, ხალხის მათ საწველ ფურათ გადაქცევით, იგივე დაწუნებული შედეგით.

სახელმწიფოს ინდივიდუალური შინაარსი რჩება, ვიწროვ-დება მნოლოდ გაბატონებულ ინდივიდთა რიცხვი, შედარე-ბით მთელ ხალხთან. როცა შინ არ ხდება არავითარი განაზ-ლება, ხალხი გაფავთ გარეთ, სხვა ხალხების დასაპყრობათ, სხვისი ნამრობათ ხელის მოსათბობათ. ასე მოიმოქმედა ჩინ-გისხანმა, ატილამ და სხვებმა და მით გააქრეს თავისი ხალხე-ბი პოლიტიკურათ და ფიზიკურათ.

ამიწომ არის, რომ კულგატეხალი სოციალისტები-უტო-პისტები (სენ-სიმონი, ფურიე და სხვ.) ქადაგებდენ ქვეყნის გა-ნახლებას ნებაყოფლობით, ერთიმეორის დაჯერებით, პირველ-ერვლისა ბურჟუაზიის დარწმუნებით სოციალურ წყობილე-ბის უაღრესობაში, ძალა ბოროტებაა, ნებაყოფლობა ბეჭნიე-რებაო. ეს გზა შემდეგი სოციალისტების თაობამ უარყო, ძალა აუცილებლათ აღიარა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს პარლამენ-ტარიზმის სახით. სოციალისტების ახალმა, დიდი ომის მერ-მინდელ თაობამ ისევ ძველი ილიუზია გაიხადა თავისათ, ისევ უტოპიას ჩაებდაუჭია, რის შეუსაბამობა დღეს საყოველთაო ფაქტია. ყოველ შემთხვევაში დავა ძალის და ნებაყოფლობის ურთიერთობაზე, მათ სიავკარგებზე მოდის ძველთაგან და ჯე-რაც არ გათავებულა. ეს არის საკითხი რევოლუციის და ევოლიუციის, იარაღით ბრძოლის და სიტყვიერი ბრძოლის. ეს არის დავა გამძლარის და მშიერის. პირველი ყოველთვის მომხრეა არსებულის, ვინაიდან აქედან ამოაქვს მას თავისი სიძლიერე. მეორე მუდამ უკმაყოფილოა და ნატრულობს უკე-თეს არსებობას. ეს ბუნებრივია. არაბუნებრივია მხოლოდ ის, რომ პირველთა აზროვნებას თავს ახვევენ მეორეთ და ცდი-ლობენ ესენი გადაიყვანონ კმაყოფილთა ბანაკში. აქ პრინ-ციპს, ისტორიულ სინამდვილეს არავინ დაგიღევს.

საზოგადოთ ცნობილია, რომ არც ერთი დიდი მოვლენა საზოგადოებაში არ მომხდარა ძალის გარეშე. იძულება მუ-დამ მჭრელია, მხოლოდ გასარჩევია მისი საგანი, საითქმი ის მიიმართება. ქრისტიანობა, რეფორმაცია, დიდი რევოლუცია

იმარჯვებს იძულებით, ხმალით 30 წლის ომის შედეგი გახდა გამარჯვება რეფორმის; ამ ომს არავინ გმობს იმიტომ, რადმ ნაყოფი დიდებული გამოიღო. ნაპოლეონის ომები შავ დაფაზე არვის გაუკრავს იმიტომ, რომ ამ გზით მთელ ევროპას მოედვა განახლების ბორიო. ხე ნაყოფით გამოიცნობა.

მაგრამ ომი იმიტომ, რომ მაჭამეთო, სხვა ვცარცვო და დავიმონავო — საძრახისი და სამარცხვინოა. და სწორედ ამ სამარცხვინო პერიოდში შევიდა ეს ჩვენი ნაქები ცივილიზაცია. ეს საბივტექსო ომი გარეთ — არის გაგრძელება ასეთივე ომის შიგნით. რა ხდება ერში? მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის. როცა ეს მიმართულია ბუნების წინააღმდეგ — ეს არის წყარო პროგრესის და წინსვლის. მაგრამ მთავარი მისი ასპარეზია ადამიანთა შორის. აქ არის ბრძოლა მუდმივი, გაუთავებელი. მისი ხაზები ერთხელ და სამუდამოო აღბეჭდილია.

ვინ ვის ებრძიოს? წვრილი მესაკუთრენი ერთიმეორეს არ ებრძვიან. მათი დავაა წვრიმალებზე, მეზობელის საზღვარზე, სხვისი ღორის და ძროხის ეზოში ჩამოსვლაზე და სხვა ამნაირზე. ისინი ერთიმეორეს ქონებას არ ართმევენ, არ იმორჩილებენ, ყმათ არ იხდიან. ასევე მუშათა შორის. პროლეტარს პროლეტართან არა აქვს რა სადაო. ყველა ერთ ტაფაში იწვიან. ერთი სიტყვით, მცირე შეძლების ადამიანთა შორის ბუნებრივი თანხმობა და მორიგებაა. ამიტომ არის ნათქვამი — ხალხი თავისთავს არ მტრობსო. მაგრამ არის უმცირესობა, ხალხის მაღლა, ხალხის ზურგზე მოკალათებული საზოგადოება, რომელიც მუდმივ შეუჩერებელ ბრძოლაშია მასთან. სხვანაირათ მას არ შეუძლია ბატონურათ არსებობა, ხალხი შრომაშია, ის კი განცხრომაში. შათ შორის ბუნებრივი, აუცილებელი წინააღმდეგობაა, მუდმივი ომია, ხან ბარადით, ხან უიარადით, მაგრამ უეჭველათ კანონის და ხელისუფლების დახმარებით ბატონების სასარგებლოთ. მოაცილეთ ერს ეს ნაწილი, ეს მეტი ბარგი და მიიღებთ თანაბარ საზოგადოებას, ერთ მთლიან სოციალურ ერთეულს, რომლის შიგნით ღრმა ეკონომიური კონფლიქტი მომსპარია. სახელმწიფო ამ ჭირს მას ვერ მოაცილებს, თავისთავს ვერ უღალატებს, თავის ბატონებს ვერ გადაუდევება. ამ თპერაციისათვის მიუცილებელია ერთი გარემოება — თვით ხალხი უნდა გახდეს სახელმწიფოთ, უკმაყოფილობი და ჩაგრულნი ხელისუფლებათ, ხოლო ეს კი შე-

უძლებელია გარეშე ძალისა, იმულებისა. ასეთი გარდაქმნა არასოდეს მშვიდობიანათ არ მომხდარა. დაბალ კლასებს უარავ უკუკორდები არ შეუცვლია მაღალი ურევოლიუციოთ, თხოვთმისამართისა კედრებით.

როცა ასეთი გარდატეხის უამი მოახლოებულია, როცა რევოლიუცია მომწიფებულია, მაგრამ ის მაინც არ ხდება, ის რჩება ჩაგრულთა შეგნების გარეთ, ნაციონალური კატასტროფა აუცილებელია; ერთი მაგარი წიხლი საქმარისია მისი ჭიშკარის ჩასამტკრევათ და მთელი ერის ასაფორიაქებლათ. ამის მაგალითი მოხდა ჩვენი თვალის წინ.

ჰველათ სამშობლოს დაცვაში იყო დაინტერესებულნი მემამულენი, ბატონები, ვინაიდან ეს იყო იმავე დროს დაცვა მისი მამულის, უძრავი ქონების, მისი უფლების. მოხა და ყმა გამორიცხული იყვნენ ამ წრიდან, როგორც საკუთრებას მოკლებულნი და ამიტომ არა დაინტერესებულნი სამშობლოს დაცვაში, ამიტომ მათ არ ქონდათ უფლება იარაღის ტარების და ომში მონაწილეობის მიღების. ისინი იყვნენ უსამშობლონი, ახალ ეპოქაში ხალხის ეს მდგომარეობა რამდენათმე შეიცვალა, ის განთავისუფლდა ყმობისაგან, მიეცა კერძო საკუთრება, პოლიტიკური უფლება, გავლენა სახელმწიფო აპარატებზე – ერთი სიტყვით, ცნობილი იურიდიული სუვერენობა, ის გახდა ღირსი სამშობლოს დაცვის, თუმცა მეთაურობას მაინც შეძლებულნი იტოვებენ ომის ველზედაც. ამ ევოლიუციის ბოლო ეტაპზე მოხდა ერთი ამბავი: ხალხის მოძრაობამ ძალზე შეარყია და შეაშინა მაღალი კლასები, ორივე ბანაკი ერთიმეორეს დაუპირდაპირდენ, ერთიმეორე შეაშინეს და ეს ჭიდლილი ვერ დაასრულეს. ორივე მოიცვა უკმაყოფილებამ, ორივეს დაეკარგა ინტერესი სამშობლოს დაცვის, ვინაიდან აღარ იცოდენ ვინ რისთვის უნდა იბრძოლოს, ვისი ქონება შეინახოს. აი ამ საერთო დაბაბუნებით ისარგებლა გერმანიამ და მსუბუქათ შეამტკრია საფრანგეთის კარები. ყველა, მაღალი და დაბალი, უსამშობლო აღმოჩნდენ. უძრავ საკუთრებას რაკი ღირებულება დაეკარგა, ხოლო ერის ტერიტორია სწორულ ასეთი საკუთრების კრებულია, ცხადია, მის ამ დავარდნილ საქონლის დაცვისათვის სისხლს აღარ ანთხევენ, მას შესვერპლათ აღარ ეწირებიან.

და ასე, სოციალური საკითხის თავის დროზე მოუწესრი-

გებლობა სპობს პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულს და
აქცევს ერს დარღვეულ ბრძოთ.

როგორ წარმოიშვა ჩვენში მიწის საკუთრებულ ფრთხილი
არის აღნიშნული ჩვენ მატიანეში. ხოლო ევროპაში მისი წა-
რმოშობა, დიდი მემამულების გაჩენა — ცნობილია რა გზით
მოხდა. ეს გზაა ძალა. რომის იმპერიაში შესეული გერმანე-
ლები ძალით აღღვევდენ საკუთრების უფლებრივ ნორმებს
და მესაკუთრეს ართმევდენ ერთ ორ მესამედს საკუთრებისას.
ინგლისის ლატიფუნდიები დაყრდნობილია ხალხის გაცარ-
ცვაზე შესეულ ნორმანდიელების მიერ მეთერთმეტე საუკუ-
ნეში. ხოლო თუ დღეს საკუთრების საკითხი დააყენე მის ნამ-
დვილ ნიადაგზე, თუ განიზრახე მისი შესწორება დროის მოთ-
ხოვნილების თანახმათ — ყურს გამოვიჭვდენ უფლების ქებათა-
ქებით და მისი ხელშეუხებლობის დაცვით. საფრანგეთის სო-
ციალისტურ პარტიამ თავისი ძველი პროგრამის მოთხოვნი-
ლება მემამულეთა საკუთრების ჩამორთმევის შესახებ გაუქ-
მა, ახალში აღარ შეიტანა.

ამნაირათ, ინდივიდუალურ ნიადაგზე აგებული სახელმწი-
ფო ვერ გამოიცვლის თავის ხასიათს, ვერ გადავა სოციალურ
საფუძველზე თუ არა ძალით, მისი ბატონების დაცემით და
მათი ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობის ხალ-
ხისათვის გადაცემით. მიზანშეწონილი რეფორმისტული მუ-
შაობა შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ, როცა ძალაუფლებას
დაქატირონებიან წვრილი მესაკუთრენი და მუშები; სახელმ-
წიფოც გარდაიქმნება მათი სახისამებრ. მოხელეობა შემცირ-
დება, ბიუჯეტი შემოკლდება, გადასახადები შემცირდება, სა-
კუთრებას და შრომას წონა და ფასი მიეცემა. ერთი სიტყვით,
დღეს ერზე გაბატონებული პარატი მის სამსახურში ჩად-
გება.

რასაკვირველია, შრომის ასეთ პირობებში ჩაყენება თა-
ვისთავად არ ქმნის მას უზრუნველყოფილათ ახალი ბატონე-
ბის მოვლინებისაგან. აქ ისმება საკითხი თავისუფლების შე-
სახებ, რისთვისაც ამდენი რევოლიუცია მოახდინეს და რაც
ბოლოს გადაიქცა თავისავე ანტიტეზათ. თავისუფლება გახდა
მთავარი იარაღი სხვისი ჩაგვრის და დამორჩილების; საზოგა-
დოთ, ისტორიას თუ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ მუ-
დამ შეძლებული იცავდენ და ითხოვდენ თავისუფლებას თა-

ვისთვის, როგორც მთავარ საშუალებას მათი გამდიდრებისა. ფეოდალ და მეფეს შორის სწორედ ამ ნიადაგზე იყო ბრძოლებული გამართული; ერთი თავს იცავდა, მეორე თავს ესხმულ დიდობით მორჩილებას სთხოვდა. ეს ბრძოლა გათავდა მეფის გამარჯვებით და ფეოდალის აღაგმვით. ეგევე შედღი ატყდა მეფეს და ბურუჟაზის შორის, რის მსხვერპლი გახდა მეფობა; ერთადერთი ბურუჟაზიული თავისუფლება დარჩა გამარჯვებული დღევანდლამდე და ის გამოცხადებული ადამიანურ თავისუფლებათ. და სწორედ ეს უკანასკნელი მისი საბუდარი შეიქმნა მთავარ დამარტვეველ ძალათ ერის და საზოგადოების. სანამ ის არ მოისპობა, სანამ მას და იძულებას შორის წინასწორობა არ დამყარდება, სოციალურ კალაპოტში არ ჩადგება, მანამდე ცდა ხალხური ეკონომიკის შექმნის და გამტკიცებისათვის ამაოა. პირველყოფილი სახალხო წყობილება სწორედ დაარღვია თავისუფლებამ, ვისაც როგორ მომრიანება ისე მოქმედებამ. პოლიცია ქუჩის ყაჩაღს სდევს, ხაზოგადოების ყაჩაღს კი ხელს უწყობს. ერთი ვექსილით მთელი ოჯახის აწიოკება, ქალის და ბავშების ქუჩაზე გამოყრაკანონიერია, ხოლო ამ მცარცველის ხელის შეხება უკანონოა, დასასჯელია. ერთის თავისუფლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე იქცევა მეორისათვის იძულებათ. დესპოტიათ. მომრევის მომრევი მუდამ ჩნდება. დღეს თუ ერთი თავისუფლათ ანადგურებს მასზე უფრო უსუსტეს, მეორე, მასზე უფრო ძლიერი, ასადგურებს მას. და ეს ერთიმეორის შეუჩერებელი ნგრევა არის პირშო შვილი თავისუფლების. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვიცით ისტორიიდან და ვხედავთ დღეს, რომ თავისუფლების სავსებით გაუქმება იძულევა ტირანიას; ხალხი ცვივა წინანდელზე უარეს მდგომარეობაში.

მაშასადამე, აწყობა სოციალური ეკონომიკის ისეთ საუძველებელზე, რომელზედაც დაცულია წონასწორობა თავისუფლებას და იძულებას შორის, არის მთავარი, ერთათერთი პირობა მისი სიმაგრის და ხანგრძლივობის. კერძო ინიციატივა ხალხური თანაბრობის ფარგალში, სახელმწიფო და საზოგადო ინიციატივა სოციალური სარგებლობის ჩარჩოში — აი მთავარი ხაზი ნაციონალური ეკონომიკის. ეს არის ნამდვილი, სახალხო და იმავე დროს ეროვნული სოციალიზმი, რომ-

ლის ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ აშენდეს მშვიდობიანი სა-
ურთაშორისო ურთიერთობა. ყველაზე უფრო აწეწეჭყავა მსული
ურთიერთობა ევროპის დასავლეთში.

გილერეი

10. დასავლეთი

მუდმივი, გაუთავებელი ომი წარმოებს ევროპის დასავ-
ლეთში. აქ, ამ პატარა ტერიტორიაზე თავმოყრილი მრავალი
ერი და სახელმწიფო ვერ თავსდება ერთმანეთთან და არსები-
თად ავრძელებენ ახალ ფორმაში, ძველ გაუთავებელ შფოთს
უეოდალური პერიოდისა. ყველა სხვა კონტინენტზე მშვიდო-
ბიანობა გაცილებით უფრო ხანგრძლივია, ომი იშვიათი, მე-
ზობლობა და წესრიგი უფრო მკვიდრი. და თუ აქაც ხანდახან
ირდვევა მშვიდობიანობა — ეს უეჭველათ დასავლეთის ონე-
ბით, კარნახით და მონაწილეობით. მაშასადამე, მსოფლიო
მშვიდობიანობის აწყობა უნდა დაიწყოს მისი დამარცვეველი
დასავლეთიდან. აქ ითვლება 27 საბაჟო ტერიტორია და 650
კონვენცია. ვისივის არის ეს დაჩქილი კონტინენტი სასარ-
გებლო?

პირველყოვლისა, ის სასარგებლოა იმათვის, ვისაც მას-
თან კომერციული საქმე აქვს; პატარა სუსტ სახელმწიფო ერ-
თეულს უფრო აღვილათ ჩაითრევს დიდი და მდიდარი სახელ-
მწიფო, ვინემ გაერთიანებულ და გაძლიერებულ პოლიტიკურ
ერთეულს. ბრიანის ფედერატიული პროექტი არ მიიღო პირ-
ველყოვლისა ინგლისმა, ისე როგორც ერთა ლიგაზე წარდგე-
ნილი წინადაღება საერთო შეიარაღებული ძალის შექმნაზე
და მისი ლიგის განკარგულებაში ჩაყენებაზე. ასეთი დიდი
ამბები ხდება არა უბრალო ეინიანობით ან გაუგებრობით,
არამედ წინასწარი გაზომვით და გამოთვლით. 1914 წ. ინგლი-
სის მთავრობის სახელით თემთა პალატაში ედუარდ გრეიიმ
განაცხადა: „ჩვენი მოვალეობაა ყოველგან მოელ მსოფლიო-
ში, სადაც კი ბრიტანიის კაპიტალი მოითხოვს კონცესიებს,
და რომლის წინააღმდეგ არავითარი პოლიტიკური მოსაზრე-
ბა ვერ მოიფანგბა, ის დავიცვათ, მოვეხმაროთ რაც ძალა და
ლონე გვაქვს; დავარწმუნოთ უცხო მთავრობა იმაში, რომ
როგორც მისი, ისე ჩვენი ინტერესია მიეცეს კონცესიები
რკინისგზების თუ სხვა საქმეების ბრიტანიის ფირმებს“. ხო-

ლო ეს „დარწმუნება“ უფრო ადვილია პატარა და უმწეო ხე-
ლისუფლების. გაყავი და იბატონე — რჩება კაპიტალისტების მოქმედების დროშათ როგორც შინ, ისე გარეთ. 1931 წ. და მანის და ავსტრიის დემოკრატიულ მთავრობების გადაწყვე-
ტილება საბაჟო კავშირის დაარსების შესახებ ჩაფუშა
ინგლისმა. როცა რურის საკითხი დადგა, ინგლისმა არ დაანე-
ბა საფრანგეთს მისი დაჭერა და ძალით ვერსალის ხელშე-
კრულობის დაცვა. ეს იქნებოდა საფრანგეთის გა-
ზრდა ევროპაში და ეს მის ანგარიშში არ შედიოდა. ამ მიზ-
ნით სიტემ მისცა სესხი პიტლერის მთავრობას, დაეხმარა
შეიარაღებაში. ერთი სიტყვით, მთელ კონტინენტზე აწარმოებ-
და ერთიმეორის დაპირდაპირების პოლიტიკას. ინგლისის
მთავარი ბაზარი როგორც საქონლის, ისე ფულის არის ევ-
როპა. ამ კრიზისის ხანაშიც ევროპაში მას შექონდა 68 პრო-
ცენტი თავისი სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლისა,
როგორც მოსამუალე, ხოლო თავისი ფაბრიკაციიდან 34 პრ.
გატანისა. ინგლისის მილიარდები ბრუნავს კონტინენტზე-
ასეთივე მნიშვნელობა აქვს დასავლეთს შეერთებული შტატებისათვის. მან ასესხა ევროპას 1914—1929 წ. 385 მილიარდი.
მარტო ევროპის სინემატოგრაფში ჩადებულ ამერიკის კაპი-
ტალმა მოიგო 1929 წ. მილიარდ ორასი ათასი ფრანგი. შარლ
პომარე ერთ თავის წიგნში*) სწერს: „შეერთებულ შტატებმა,
მრავალი ჩვენი საქმეების შეყიდვით, შეიძინა ევროპის ბევრი
მრეწველობა, ხოლო მთავრობებისათვის ფულის სესხებით
შეიყიდა სახელმწიფოები“. ევროპის გამთელება სავსებით
ეწინააღმდეგება ანგლო-საქსონების კომერციულ ანგარიშებს,
როგორც სიტეს, ისე ვალსტრიტის კაპიტალისტებს, რომელ-
თა სამსახურშია მათივე მთავრობები. ევროპა თავისი გან-
ვითარებული და გამრავლებული მოთხოვნილებებით წარმო-
ადგენს უდიდეს ბაზარს მსოფლიოში. ამიტომ რა გასაკვირა-
ლია, ის იყო მუდმივი საბიუბელი და საბრძოლველი გემრიელი
ლუქმა ინდუსტრიალური ქვეყნებისათვის.

ცხადია, დასავლეთის გამთელება იმათგან, ვინც მუდამ
მუშაობს მისი დაგლეჯის და დანაწილებისათვის, შეუძლებე-
ლია, განუხორციელებელი ოცნებაა. საერთაშორისო კაპი-
ტალის კონკურენცია არ ანებებს კაპიტალისტურ მთავრო-

*) A. Demangeon: Le Declin de l'Europe 1920.

ბებს შეთანხმდენ, შეერთდენ და ერთათ მოაწყონ დასავლეთის ან სხვა რომელიმე ქვეყნის ექსპლოატაცია. სიტი არ ხცინდს თანასწორობას, ამხანავობას ფულის მოგებთა შორის განვითარდა კონფლიქტი და ომი. ინგლისი იცავს დასავლეთის მველ კომერციულ წყობას, ვინაიდან ეს ანიჭებს მას უპირატესობას, გერმანია ანგრევს ამ წყობას და სურს შექმნას მთლიანი ევროპა, ვინაიდან ეს იქნება მისი საკომერციო ბაზა, მისი „სასიცოცხლო სივრცე“. ორივეს უნდა ჭამა, თავისი უსახლკარო ხალხის რჩენა, მიღიონებისათვის სამუშაოს მიცემა, თავისი კაპიტალის გამრავლება და მოგება, მუდამ მოგება. აი ამ ხაზზე ერთდება ბურჟუაზია და პროლეტარიატი, მოგების და სამუშაოს მაძიებელი, ნედლი მასალის შემომტანთა და მისი დამმუშავებელი მუშაკების. აქედან, ერთი საომარი საშინაო ფრონტი ინგლისში და გერმანიაში. ერთი იცავს თავის მსოფლიო ბატონობას, მეორეს სურს მოიპოვოს ასეთივე ბატონობა და მით გამოვიდეს ჩაგვრის და სიღარიბისაგან. მებრძოლთა ამ ნიადაგზე მორიგება ხდება შეუძლებელი და რომც ის მოხდეს, ეს იქნება დროებითი შესვენება, წყალზე ფეხით გაჩერება, ვერსალური თავის შექცევა, რაიცა ახლო მომავალში იმავე შედევით გათავდება. საუკეთესო ზავი იქნება სფეროების განსაზღვრა; გერმანიას ევროპა, ინგლისს ზღვები და ზღვებს იქით მდებარე სამფლობელოები, მათი 500 მილიონი მცხოვრებით, იაპონიას აზია, შტატებს ამერიკა. მაგრამ ეს იქნება ცალფეხა ზავი, კონფლიქტის ძირის სელუხლებლათ დატოვება და მაშასადამე მათი ხელახალი სამკდრო-სასიცოცხლო დატაკება.

ობიექტიურათ გამოელებული კაცობრიობა, უნდა გამოლდეს სუბიექტიურათ, სულიერათ, პოლიტიკურათ, ეკონომიკურათ, კულტურულათ. მსოფლიოს შარა-გზა ამ მხრით მიიმართება; მასთან მებრძოლი აუცილებლათ ამ გზაზე დაეცემა. ნავში ჯდომა და მენავესთან ბრძოლა დაღუპვით თავდება. ჩვენ ვზიავრთ ამ ნავში, მას მეთაურობს მეცნიერება, ის გვიჩვენებს მოგზაურობის მიმართულებას, მაგრამ გაბატონებული, ფულის და სიმდიდრის მაძიებელი ებრძვიან ამ მეთაურობას, სტოკებენ ამ სავალ გზას და უფსკრულისაკენ ერეკებიან თავისთავს და სხვებს. ამ აუცილებელი ევოლიუციის შემქნელი და მატარებელია სწორედ ის ევროპა, რომე-

ლიც ყველაზე უფრო მას ეწინააღმდეგება და არ ანებებს ბუნებრივ მსვლელობას. მეცნიერება მუშაობს კაცობრიობისათვის, ადამიანის საკეთილდღეოთ, ხოლო მის ნაყოფს და როგორ როგორ მეცნიერები და თავის ჯიბისთვის იყენებენ.

დასავლეთის მთავარ ეკონომიკურ ფუძეს ევროპის გარეთ წარმოადგენენ კოლონიები. ბრიტანიას აქვს, გარდა დომინიონებისა, 29 მილიონი ოთხკუთხი კილომეტრი უცხო მიწა, 389 მილიონი მცხოვრებით, საფრანგეთს 11 მილიონი 58 მილიონი სულით, ბელგიას 2 მილიონი 7 მილიონი მცხოვრებით, ჰოლანდიას 2 მილიონი 49 მილიონი მცხოვრებით და სხვ. ყველას ერთად 52 მილიონი კვადრატიული კილომეტრი 515 მილიონი ქვეშვრდომით, გარდა გერმანიისა, რომელსაც არავითარი კოლონია არ გააჩნია. აშკარაა, დემოკრატიული ეპროპა დაყრდნობილია არა ევროპიელთა დაბყრობაზე და დაჯაბნებაზე. მაგრამ 500 მილიონი ხალხის გამორიცხვა კაცობრიობის სავალი გზიდან, მსოფლიო ევროპიიდან აღემატება ადამიანის ძალ-ღონეს, თუნდაც ეს ძალ-ღონე იყოს სიტი. მათი გამოღვებება და თავისუფლებისათვის ბრძოლა დაწყებულია და უცხო ბატონებს უქადის განდევნას. ის ეკონომიკური წეობილება, რომელიც თავისთავს უწოდებს დემოკრატიულს, ხოლო ცდილობს იცხოვროს მეოთხედი კაცობრიობის დამონებით წინდაწინ განწირულია. ამ საქმეში მას დღეს ეცილებიან არადემოკრატიული ქვეყნები და ორივენი ერთათ უიქრობენ ერთიმეორის განადგურებით თავის ბატონობის განმტკიცებას. ეს იმავე დროს არიან კულტურული ქვეყნები, სადაც ცივილიზაცია მართლა ავიდა უმაღლეს საფეხურზე. მაგრამ ეს ამტკიცებს მხოლოდ ერთ არსებულ ფაქტს: ეკონომიკური მეთაურობა და კულტურა ერთმანეთისაგან გაიყარენ; პირველს არ მეთაურობს მეორე; ორივენი ცალ-ცალკე მიღიან, ერთმანეთს შორდებიან. და თუ ისინი ვერსად ვერ შეიყარენ, ვერ გაერთენ ახალ მეთაურობაში და ბოლომდე განაგრძეს გამთიშავი სავალი გზა, დაბოლოვდება ეს პროცესი ელინურათ: საბერძნეთი დაეცა, ხოლო მისი კულტურა გადასახლდა რომში. ასეთი კანდიდატი უკვე ყავს დასავლეთს; ეს არის ამერიკა, ეს არის აზია; ატლანტიკის აღვილს დაიჭერს წყნარი ოკეანე, ერთხელ კიდევ განმეორდება ძველი ამბავი. და სწორედ ამ ხრამში გადავარდნის თავიდან ასაცილებლათ აუცილებელია

ერთი პირობა — დასავლეთის კულტურა მისი მეცნიერების მე-
თაურობით დაეპატრონოს ეკონომიკურ განვითარებას და მიმართის ერთა განახლების და აღორძინებისა განვითარების როგორ?

11. ორი არისტოკაზი

ერთია აგრარიული კულტურის, მეორეა ინდუსტრიალუ-
რის. თანახმათ პირველისა, ადამიანი შრომობს თავისი ნა-
ზუშევრის თავისთვის მოსახმარათ, ხოლო ზედმეტის გასა-
ყიდათ ან გადასაცვლელათ იმ ნივთზე, რაც მას აქლია. თანა-
ხმათ მეორისა ადამიანი შრომობს თავისი ნაყოფის გასაყი-
დათ. აღებული ფულით ყველა საჭირო ნივთის შესაძენათ.
აյ პურის მომყვანიც კი პურს ყიდულობს, მეჯოგე ხორცს
ყიდულობს; არავინ, არც ერთი სოფლის თუ ქალაქის ოჯახი
არ აკეთებს თავისთვის სახმარ საქონელს, ყველაფერი ბაზრი-
სათვის, ყველაფერი ფულისათვის. ერთი ჩემი მდიდარი მეზო-
ნელი ცხოვრობს მხოლოდ ერთი საქონლის ყიდვა-გაყიდ-
ვით — ნიორით. მეურნე ცხოვრობს ერთი რომელიმე ნაყოფის
მოვანით. მაგ. კიტრით, ან ნესვით, ან ხაპით, ხილით — სწო-
რედ იმით, რაც მას პირდაპირ სახმარათ არ ეჭირვება.

ეს ორგვარი შრომის გაყოფა, უეჭველია, წარმოადგენს
ორ უკიდურესობას, რაიცა აღარ შეეფერება თანამედროვე
საზოგადოებას და მის ტექნიკურ მიღწევებს. ამ მხრით, აგრა-
რიული ერთ ზარალობს მისი მეცნიერებული ჩამორჩენით,
შრომის იარაღების დამველებით, შრომის მცირე ნაყოფიერე-
ბით, მაშასადამე სიღარიბით. სამაგიეროთ ის საფუძვლიანათ
ზის მაწახე, არ არის შემთხვევების მსხვერპლი, არ არის მუდ-
მივ აფორიაქებული, მოუსვენარი, სამუშაოს მძხნელი. მისი
სოციალური და ეკონომიკური წონასწორობა შენახულია. ინ-
დუსტრიალური ერთ დიდათ იგებს მეცნიერებული აღმოჩენებით,
შრომის იარაღების განახლებით და ნაყოფიერებით, სიმდიდ-
რის შექმნით, ზღვა ნივთების დაგროვებით. სამაგიეროთ, ადა-
მიანი გახდა ამ ეკოლიურის ყმა; მას თავს დააწვა მისივე სიმ-
დიდე და მოუსპო სიმშვიდე, უზრუნველყოფა, სულიერი და
სოციალური წონასწორობა. აյ არის გამეფებული ქრონიკუ-
ლი კრიზისი, რასაც ბადებს ხან საქონლის სიმრავლე და მუშ-
ტრის ნაკლებობა, ხან პირიქით, მუშტრის სიმრავლე და სა-

ქონლის ნაკლებობა. კაცმა არ იცის მათი საჭიროების რაოდენობა, ყველაფერი მიშვებულია აღალბედზე, შემთხვევაში მურალი ვისაც როგორ მოესურვება. შრომა გაადვილებულია, მაგრამ მშრომელი გაცილებით უფრო მიკრულია სამუშაოზე, ვინემ აგრარიული კულტურის მშრომელი; მას არ აქვს დრო არც ოჯახისათვის, არც სახოგადოებისათვის, არც თავისთვის; სახალხო შკოლის გათავებიდან ის დილით აღრე მირბის სამუშაოსაკენ, საღამოს გვიან მორბის შინისაკენ. დრო არ აქვს არც სწავლის, არც კითხვის, არც დაუიქრების ე. ი. შრომის იარაღის გაუმჯობესობამ სრულიად არ გააუმჯობესა ადამიანური ცხოვრება; ტექნიკამ ის დაიპყრო სულიან-ხორციანა და წაართვა ყველა საშუალება იყოს თავისთავის ბატონი და პატრონი. ის მისდევეს მის ბრძანებას და ემორჩილება მას.

რა სიმდიდრე იქმნება ინდუსტრიალური მეთოდით სჩანს შემდეგი ციფრებიდან: დიდი ომის წინ საფრანგეთში კერძო პირო ქონებიათ წელიწადში შემოსავალი 39 მილიარდი ფრანკი; ორთაშუა რიცხვით ერთ მილიონ მცხოვრებს ერთი მილიარდი; გასავალი ქონებიათ 32 მილიარდზე მეტი; შეუნახავთ 5—6 მილიარდი. ამ თანხების 39 პროც. გადიოდა გარეთ სესხის სახით, რის საერთო ჯამი უდრის 40 მილიარდს. აგრარიულ ქვეყანას ასეთი სიმდიდრე არც კი დაესიზმორება. ის ცხოვრობს მეთოდიურათ, დღითიდღე შეურყევლად, მკვიდრ ნიადაგზე.

მაშასადამე, ორივე სისტემას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. აქედან ამოცანა: როგორ შეიძლება შეერთება, ერთ სამოქმედო პრინციპათ გადაქცევა ორივეს დადებითი თვისებების და თავიდან მოცილება დასაგმობის. გზა, ერთადერთი: ინდუსტრიალური ქვეყნის ნაწილობრივი აგრარიზაცია, აგრარიულის ნაწილობრივი ინდუსტრიალიზაცია და მათ შორის მკვიდრი წინასწორობის დამყარება. ამათ მოხდება ორი პრინციპის სინტეზი, ერთი ეკონომიური სათავის შექმნა და ამ საფუძველზე ყველა საწარმოვო კვანძების გახსნა და წინააღმდეგობათა მორიგება. ეს წარმოშობს მთელ რიგ შესაძლებლობას. პირველყოველისა გაფართოვდება შინაგანი ბაზარი; თავის ჩეხენის და დასამუშავებელი მასალების დიდი ნაწილი იქნება საკუთარი მეურნეობის ნაყოფი. შემოტანა მოკლებს, მაშასადამე გატანაც მოიკლებს; ორივე შემთხვევაში

ნაციონალური ეკონომიკა გახდება მთავარი წყარო ინდუსტრია
ის და მისი მუშაკების ცხოვრების. ინდუსტრიალიზაციას
და ყველა მის თანამგზავრ მოვლენებს დაედება ჰქონდა
პირველყოვლისა მოისპობა უთავბოლო მუშაობა უთავბო-
ლოთ საქონლის ყიდვა-გაყიდვა და შეუჩერებელი კრიზისები.
პირველ რიგში დადგება მოთხოვნილების დაახლოვებითი ვა-
რაუდი და მათი შესაფერი დამაკმაყოფილებელი ნივთიერი
საშუალებათა დამუშავება და შეძენა. პირობები იქნება აგრა-
რიული, ხოლო მეთოდი ინდუსტრიალური.

რასაკვირველია, ამ ორი ელემენტის შედებება მოითხოვს
ერთ მიუცილებელ საშუალებას – მუშაობის გამოყვანას
დღევანდელ ტექნიკურ ჩამორჩენილობისაგან და მის აყვანას
ფაბრიკულ მაშინიზმის სიმაღლემდე. მიწათმოქმედების
გაადვილება, მისი მთელი სიმძიმის ადამიანის ფიზიკური ძალ-
ლონისაგან მანქანაზე გადატანა. მსგავსად მრეწველობისა,
გახსნის გზას ქალაქებთა სოფლისაკენ დაბრუნებისა. სამეურ-
ნეო და სამრეწველო პარმონია შესაძლებელია მხოლოდ მათ
შრომის იარაღთა წონასწორობით. მაშასადამე, დღევანდელი
დაბეჩავება მიწათმოქმედების და მთელი ყურადღების მიცემა
ერთადერთი სამრეწველო იარაღების გაუმჯობესებისაკენ
ერთხელ და სამუდამო უნდა იქნას დაგმობილი და შრომის
ეს ორი დარგი გათანასწორებული. დღეს მთელი კულტურა
ემსახურება მრეწველობას და ვაჭრობას, ე. ი. მასიურ დამუ-
შავებას და სწრაფათ წალებ-წამოლებას. სოფელი კი გამორი-
ცხულია ამ პრიცესიდან; აქ ისევე იხვნება და ითესება, რო-
გორც ამ ასი წლის წინეთ, არავითარი პროგრესი, არავითარი
გაადვილება. ამიტომ რა გასაკვირალია, სოფლიდან ხალხი
ქალაქებში გარბოლეს, მიწათმოქმედება მძიმე ტვირთად ხდე-
ბოდეს. მიწის და ქარხნის მუშა მსგავს ტექნიკურ პირობაში
უნდა იქნას ჩაყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებულ
სამუშაო ურთიერთობის შენახვით, ორი პრინციპის შეერთე-
ბა ვერ მოხდება. სოფლის და ქალაქის გათიშვა გაგრძელდება.
მთელი წარმოების წესი ისე უნდა იყოს გათანასწორებული
და გაადვილებული, რომ მომუშავეს შეეძლოს თავისუფლათ
არჩევა სად როგორ იმუშაოს, იყოს ხან მეურნე, ხან ფაბრიკის
მუშა, ან სეზონობით ერთიც და მეორეც. პოლიციური ძა-
ლით მათი მირეკ-მორეკვა მოგვცემს ბოლშევიკურ საკატორ-

გვალა ძველ ეკონომიკაში, სადაც ცხოვრების მოავარეობის
წყარო იყო მიწა, ხელისუფლება იღებდა ყოველგვარ ზომებს
ამ წყაროს მოსავლელათ და მისი დამუშავების ასაწყობათ,
მხოლოდ ბურუჟაზიულ პერიოდში იქნა მიტოვებული ეს
ზრუნვა, მიწათმოქმედება მიშვებული თვითეულის ნებაყოფ-
ლობაზე. ეს ხაზი დაიწყო მერკანტილიზმის ეპოქამ, მე-17 სა-
უკუნიდან, როცა პირველათ გამოცხადდა ინდუსტრიის უაღ-
რესობა მეურნეობაზე, მისი განსაკუთრებითი მფარველობა,
ხოლო მიწათმოქმედების თავისი მზრუნველობის გარეშე და-
ტოვება. ამ მოძღვრებასა და პრაქტიკას ფიზიკრატებმა და-
უპირდაპირეს მიწათმოქმედების უაღრესობა და ითხოვდენ მის
დახმარებას, გამხნევებას, არხების და გზების გაყვანას, ჭაო-
ბების ამოშრობას, ახალ-ახალი თესლების დარიგებას და
გავრცელებას, ტექნიკურ გაუმჯობესებას და სხვ. ამ დავაში
ერევან ლიბერალები ადამ სმიტის მეთაურობით და აფრია-
ლებენ დროშას სახელმწიფოს სრულ ჩაურევლობას ეკონო-
მიურ საქმიანობაში, როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეო-
ბაში და აღებ-მიცემობაში. ბურუჟაზიის პოლიტიკურ გამარ-
ჯვებასთან ერთად იმარჯვებს ეს ეკონომიური ლიბერალიზმი
და ორი ძირითადი დარგი წარმოებისა მიშვებულ იქნა მათ
„ბუნებრივ კანონებზე“, ვისაც როგორ მოესურვება. მათ შო-
რის იწყება წინააღმდეგობა, შედლი და მტრობა. მრეწველთა
ინტერესია იაფი სანოვაგის შემოტანა უცხოეთიდან თავის
მუშის დღის ქირის დასაწევათ, მეურნეთა ინტერესი კი მო-
ითხოვდა სულ წინააღმდეგ ზომებს. ეს დაპირდაპირება გრძელ-
დება დღევანდლამდე, საიდანაც შუდამ მრეწველი გამოდიან
გამარჯვებულნი, გლეხები დაჩაჩანაკებულნი. ძლიერსა და
სუსტს შორის თავისუფალი მეტოქეობა მუდამ თავდება პირვე-
ლის გამარჯვებით. ამიტომ არსებულ ეკონომიურ წყობაში
მეურნეობის გამოყვანა დაბეჩავებისაგან სრული უტოპიაა. ამის
მაგალითია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის
პირველი დიდი ცდა მიწათმოქმედების აღორძინებისათვის
დიდი ომის შემდეგ; მან მართლაც მიიღო ამ მხრით ფართე
ზომები, გაამრავლა მიწის ნაყოფი, დაეხმარა გლეხებს კრედი-
ტით და სხვ. ომის წინ თუ ხორბლის მოსავალი უდრიდა წე-

ლიწადში 3.765.000 ტონას, ომის შემდეგ აიწია 3.823.000 ტონამდე, ასევე დათესილი მიწის რაოდენობა 1914 წ. იყო 1.677.000 ჰეკტარი, 1928 წ. 1.731.000 ჰეკტარი. კარტოფილის ფანა გადიდა 88 ათასი ჰეკტარით. ერთი სიტყვით, შეურნეობა აყვავდა, მაგრამ ვერავითარ მაღამოთ საერთო მატერიალურ მდგრძელეობას ვერ დაედვა. პირველყოვლისა იმიტომ, რომ ამ ნივთიერ პროგრესს მოყვა ფინანსიური რეგრესი. აღებული სესხი დააწვა მძიმე ვალათ სოფლელთ. მაგალითად 1928 წ. სამეურნეო ვალი უდრიდა 19,5 მილიარდ ოქროს მარკას*).

აგრარიული წარმატება შეიქნა წყაროთ ფინანსისტების გამდიდრებისა, ხოლო საერთო კრიზისი კი გამწვავდა.

ცხადია, არსებულ ეკონომიური წყობილების ჩარჩოში შეუძლებელია არა თუ ორი პრინციპის შედებება, აგრარიული და ინდუსტრიალური წონასწორობის შექმნა, არამედ უბრალო სამიწათმოქმედო აღმშენებლობის გატარებაც. რა ნაბიჯიც უნდა გადადგათ, რა ზომებიც მიიღოთ, უეჭველათ ბოლოსდაბოლოს ხელში ჩაუვარდებით კაპიტალისტებს; და თუ შინაური კაპიტალი დავარდნილია, მის საშველათ მორბის უცხო კაპიტალი, ოღონდ მას მოგების ნიადაგი უჩვენეთ. თანამედროვე საზოგადოებას შემორტყმული აქვს მაგარი ბურუჟაზრიული კედელი, რომლის შიგნით მომწყველეული ყველა ძალა მისი ტყვე, მისთვის მომუშავეა. ამ ჩარჩოდან გამოსვლა შეუძლებელია მის დაუნერევლათ, მის აღავას ახალი ჩარჩოს, ახალი ეკონომიური წყობის დაუყორებლათ. არსებული სოციალური სტრუქტურის გამოცვლა პირველი, მიუცილებელი ნაბიჯია აგრარიული განახლებისა, ინდუსტრიის საზოგადოების სამსახურში ჩაყენებისა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ომით?

12. ომი და ზავი

ომს, საგარეო თავსდასხმას და დაპყრობას, არასოდეს არ მოუხდენია შინაგანი სოციალური გადატრიალება, თუნდაც ასეთი მიზანი მას დაესახოს. ძველ რომაელთა მრავალი დაპყრობანი მუდამ თავდებოდა ერთნაირათ — დამორჩილებულთ სტოკებდენ თავის ქერქში, თავის ზნე-ჩვეულებათა და ეკონო-

*) ob. Giraud, L. C.

მიური წყობის ამარათ და კმაყოფილდებოდენ ხარკის აღებით და უმაღლესი ხელისუფლების თავის სურვილისამებრ უწყოფული ბით ნაპოლეონის გამარჯვებული ლაშქარი ყოველგან დაუდინებელი კვებულ ტერიტორიაზე აუქმებდა ბატონყმობას, მაგრამ როგორც კი წავიდოდა წინ მის უკან გაუქმებული წყობა ისევ აღგებოდა და ძალაში შევიდოდა. შინაგანი ცვლილების, ერთი ეტაპის შეცვლა მეორეთი მუდამ იყო და არის შედეგი შინაგანი ცვლილების, თვით ხალხთა ყოფა-ცხოვრების თანდათანი ცვლილების და ამის თანახმათ იდეიური განახლების. თუ ერთ არ არის მზათ ასეთი გადატეხისათვის. ვერავითარი საგარეო იძულება მას ვერ გადაახტუნებს თავისთავზე, ვერ აურევს მის აუცილებელ სავალ გზას.

სამაგიეროთ ომს შეუძლია მიაყენოს დიდი ზარალი მეომართ, გადააგდოს ისინი უკან, ჩააგდოს გაუთავებელ კრიზისში, გამოიწვიოს დიდი რეგრესი ყველა სფეროში. მაგალითი შორს არ არის. დიდი ომის წინ ცხრა მეომარ სახელმწიფოს ქონდა ვალი 26 მილიარდი დოლარი. ხოლო ომის ბოლოს, 1918 წ. გასულს, ვალის რაოდენობა ავიდა 236 მილიარდამდე, ამათ შორის დამარცხებული ცენტრალური სახელმწიფოების აყო 66 მილიარდი. საფრანგეთის ომით გამოწვეული ზარალი უდრიდა 120 მილიარდ ოქროს ფრანკს; ამაში დანგრეული შენობების და ძეგლების ზარალი უდრიდა 34 მილიარდს, მეურნეობის 19 მილიარდს, 11 მილიარდს მაღნების, ფაბრიკა-ზაოდების 22 მილიარდი და სხვ.*). ომით დახოცილთა თუ დასახიჩრებულთა რიცხვია რვა მილიონი. ზარალი ნივთიერი, ზარალი დემოგრაფიული.

ასეთი ზარალი ასატანი, დასავიწყებია, თუკი მას მოყვება გაუმჯობესობა ნივთიერი მდგომარეობის, გადახალისება და განახლება ძველი აზროვნობის, მთელი იდეიური წყობის. ნამდვილათ კი მოხდა სრულიად წინააღმდეგი; გაუთავებელი ეკონომიური კრიზისი და აქედან წამომდგარი მეორე დიდი ომი, იდეიური და პოლიტიკური უკან დაქანება. მორალური და საზოგადოებრივი რღვევა. ამ უკან-უკან სიარულში ყველას გაასწრო სოციალისტებმა, რომელთაც დასტოვეს კლასიკური სოციალიზმი და გახდენ ნეოსოციალისტები, ე. ი. სარეფორმო და საპარლამენტო კომბინატორები; მათ გზას

*) A. Demangeon: Le Declin de l'Europe 1920.

გაყვენ სინდიკატები, რომლებმაც ოპორტიუნიზმის დროშით
დაამარცხეს ბელგიაში ვანდერველდი, ხოლო აქ დაჭვამდე-
ბარენ შოსკოვის აგენტებს შუოს მეთაურობით. ყველა მომ-
ვა პირადი ინტერესების საკითხმა, დღიურ საყველპურო ან-
გარიშებმა: ხოლო საერთო ინტერესები, სარგებლობა მთელი
კლასის, მთელი ნაციის, მთელი ხალხის, მათი თვალთახედვი-
დან გაქრა. სოციალური პრძოლის ადგილი დაიჭირა ჯგუ-
ფურმა დემაგოგიამ. ერთი სიტყვით, ომმა მოგვცა დიდი ნივ-
თიერი და სულიერი რეაქცია მსოფლიოს მასშტაბით.

ამნაირათ, შინაგანი სოციალური წყობის შეცვლა შეი-
ძლება მხოლოდ შინაგანი ძალებით. ამ შემთხვევაში ომი შე-
იძლება გამოდგეს მომწიფებული ნიადაგის მუკლუგუნათ,
ინერციისაგან გამომყვანათ და დაბმული რევოლუციური ქარ-
ტებილის ამხსნელათ. ასე მოხდა რუსეთში, სადაც საზოგა-
დოება ძველი სიბნელისაგან სინათლეზე გამოვიდა, მაგრამ
ჩქარა ისევ უკან ჩაბრუნდა, თან ჩაიყოლა არარუსთა ერებიც.
ასე მოხდა გერმანიაში, რამაც ვერ გაამართლა ხალხის მოლო-
დინი და წარმოშვა ჰიტლერიზმი. ომს შეუძლია შესცვალოს
მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობა, დაიპყრას ერთი ერი,
გაანთავისუფლოს მეორე, ააწყოს მესამეთა დამოკიდებულება,
ერთი სიტყვით, ხალხთა საგარეო წყობა. ასეთი ცვლილების
ხანგრძლივობა დამოკიდებულია თვით ამ ცვლილების შინა-
არსზე და მისთვის მომზადებულ ნიადაგზე. აქ კველაზე უფრო
მკიდრი ცვლილებაა დამონებული ერის განთავისუფლება,
რის ნიადაგი კველა თანამედროვე ერში მომზადებულია.

რასაკვირველია, დღევანდელი ომი თავისი ნიშნობლივი
თვისებით არ გავს წინანდელ ომებს, არ გავს არც უკანასკნელ
დიდ ომს. კველა წინანდელ შეტაკებაში აბრძოლენ დაახლოე-
ბით ერთი და იგივე საზოგადოება დაყოფილი ნაციონალურ
ბანაკებათ. ისინი იდგენ საერთო ეკონომიკურ და იურიდიულ
საფუძველზე, იზიარებდენ საერთო პოლიტიკურ მსოფლ-
მხედველობას – კილპელმის გერმანია და რესპუბლიკანელი
საფრანგეთი წარმოადგენდენ მზგავს უფლებრივ წყობილებას.
მათ შორის განსხვავება იყო რაოდენობითი და არა თვისები-
თი, პოლიტიკურ ფორმებში და არა თვით პრინციპში.

სრულიად სხვა სახეს შეიცავს დღეს მეომარი ბანაკები.
გერმანია და ინგლისი წარმოადგენენ ორ მოპირდაპირე საზო-

გადოებათ, რომელთა შორის არც ერთი მხარე მათი იდევური
და პოლიტიკური წყობისა ერთმანეთს არ გვანან. დემოკრატიკული
და ტოტალიტარიზმი ერთიმეორეს უარყოფენ. ამ დავაშვი ჩამარისა
შული საბჭოთა რუსეთი ამ სახელს ვერ სცელის. ის ორივე
წყობის ერთნაირათ წინააღმდეგია და მხოლოდ გლახა სტრა-
ტეგის და მანიოვრების კარნახით ხან ერთს ემხრობა, ხან მე-
ორეს. ბოლოს ორივესაგან განწირულია. ასე თუ ისე, ამ ოში
დატაკებულია სამგვარი იდეოლოგია, რომელთა გამარჯვება
დაკავშირებულია ხმალის გამარჯვებასთან. ამათ შორის, ბურ-
ჟუაზიული დემოკრატია ძველია, მისი მისია გათავისულია,
მისი ძირი ამოვარდნილია; წასულში მან ითამაშა დიდი რო-
ლი, გაამართლა ბევრი იმედები, მაგრამ ეს თავისი მისია
ბოლომდე ვერ შეირჩია, ერი და სახელმწიფო დიდი გადატე-
ხის წინაშე დააჩიქა, თვითონაც მორალურათ დაეცა. მისი
აღდგენა შეუძლებელია, მისი მექვიდრეობა თავისუფალია.
უკვე მოძველდა აგრეთვე ბოლშევიზმი, უდროვო დროს დაჭ-
კნა იმით, რომ ვერსად ვერ გაამართლა ხალხთა იმედები.
წოველგან ითამაშა დამშლელი და დამკრევი როლი, როგორც
თავის შინ, ისე ვარეთ. საბჭოთა ხალხები მისი მოსისხლე მტე-
რია. ახალია მხოლოდ ნაცისტური მსოფლმხედველობა, დი-
დი იმედების მომცემი გერმანიის ხალხისათვის და რაც სხვებ-
სავით ჯერ არ გაკოტრებულა. მისი ზარი დაირეკტება მაშინ,
როდესაც თავისი ერის იმედებს ვერ გაამართლებს და ეს სა-
ბოლოოთ გამოირკვევა. დღევანდლამდე კი ის, პირიქით, გა-
საშტერებელი სიმტკიცით ახორციელებს ყველა თავის გან-
ცხადებას, ყველა თავის საგარეო პროგრამას. მაშასადამე,
მოულოდნელი ამბები მოსალოდნელია მხოლოდ ამ ბანაკი-
დან, ახალ მოვლენათა სერიის გახსნას თუ დაკეტვას აქედან
უნდა მოველოდეთ. ამ მხრით საყურადღებოა გერმანიის სამ-
ხედრო სარდლობის მიმართვა რუსეთის ხალხისადმი, სადაც
ის უცხადებს, რომ მას მოაქვს „ნაძღვილი სოციალიზმი“, მე-
მამულებების და კაპიტალისტების გაქრობა, გლეხის კერძო
საკუთრების და თავისუფალი კოლმეურნეობის შემოღება და
სხვ. ეს მოწოდება, ერთობ ძალიან დაგვიანებული, ომის მესა-
მე თვის ბოლოს გამოცხადებული, აღბეჭდავს სარუსეთო
პროგრამას გარკვეულათ; მისი ნაკლია სიჩუმე ნაციონალურ
საკითხზე, რაიცა აიხსნება აღბათ სტრატეგიული მოსაზრე-

ბით. ყოველ შემთხვევაში, ეს მოწოდება პირდაპირ სცენა
ინგლისს, რომელიც ამაგრებს ტირანიულ კოლხოზებს ჟღვეულის
ხობის გაბოგანებას, ყოველივე კერძო საკუთრების მიზნების
რესეტში. ამ მხრით, გერმანიის გამარჯვება მოსკოვზე უკვე-
ლია ნიშნავს ხალხის სურვილების გამარჯვებას ეკონომიკურ
სფეროში*).

ჩვენ არ ვიცით რას ნიშნავს გერმანიის გამარჯვება ვე-
როპაში სოციალურათ და ნივთიერათ. ამის პროგრამა მას არ
გამოუქვეყნებია; ამ საკითხში ის ღუმს, ისე როგორც ინგლი-
სი. ეს ორი მოპირდაპირე ქვეყანა ეკონომიკური სტრუქტუ-
რით ერთომეორის განმეორებაა, ინდუსტრიალიზაცია და მას-
ზე აგებული სოციალური ურთიერთობა მათი ძირია. ამ ძირის
შეცვლა, ახალი წყობის შექმნა ორივესათვის მოწიფებულია,
ორივესათვის ისტორიული აუცილებლობაა. ხმალი ამ კვანძს
ვერ ვახსნის, სამხედრო გამარჯვება ეერ შესცვლის ხალხთა
ფუძეს გარეშე ამ ხალხთა სურვილისა და მომზადებისა. ანტი-
ბოლშევიკური რევოლუცია მომზადებულია საბჭოთა იმპე-
რიაში. ანტიბურჟუაზიულის მომზადება მერმისის საქმეა.
ყველა სოციალისტური ელემენტები დღეს დაშინებული, და-
ფანტული და დავარდნილია. მათ არც იდეია შერჩათ, არც
დინამიკა. ომმა მხოლოდ ერთ საკითხში ითამაშა რევოლუ-
ციური როლი — მან ვახადა აშკარა ბურჟუაზიული რეჟიმის
სიღამპლე და მისი ამოგდების აუცილებლობა.

ამ ღების გადათრევა საჭიროებს ზავს, მშვიდობიანობას,
ერის ყურადღების ამ საკითხისაკენ მიქცევას. გარეშე ძალმო-
მრეობა, უცხო ოკუპაცია აფუჩჩებს და აბნელებს საშინაო
სატკივარს, ასუსტებს შინაურ უთანხმოებას და ქმნის ფალბ
ერთსულოვანობას თავისთავათ მისახვედრ და ნათელ ჭირ-
ვარამზე. რასაკვირველია, გარეშე უღელი არავის სურს; ეს
ზურგიელიძის ჭეშმარიტება დღეს ჩრდილავს სოციალურ უთან-
ხმოებას და ქმნის აზრის და მოქმედების ზერელობას. ეს
არც ოკუპანტებისათვის არის სასარგებლო, რამდენათ მა-
თი მიზანია მთლიანი ეკონომის შექმნა, რაიცა საფრანგეთის
გარეშე შეუძლებელია. ხოლო ამ მომავალი გამთელების ნია-
დავის მომზადება შესაძლებელია ზავის ჩამოგდებით ეკონომის

*) ეს მამართვა აღმოჩნდა მხოლოდ სარდლობის აზრი და არა მთავ-
რობის და ნაცისტების. ის არ განმეორებულა. შენ. 1942.

დღეს დაკავებულ ერებთან და მით მათი მეგობრობის მოპოვება: ყოველდღიური საყველპურო შეწუხებით იჩავრცხს მრიცვალი მავალი მშვიდობიანობა და მეზობლური ურთიერთობა; რანგეთის სულისკვეთება მზათაა დიდი საშინაო ოფიციალური სათვის; პარლამენტარიზმის ყველას თავი მოაძულა, ახალი წეობილების დამკვიდრება აუცილებლათ აღიარებულია, საჭიროა მხოლოდ მისი მიგნება და გატარება. ეს კი შესაძლებელია მშვიდობიან ატმოსფეროში. ომმა აღმოაჩინა მთავარი სენი, ზავმა უნდა მოგვცეს მისი განკურნება, მისი მოჭრა და მოშორება. სოციალური ქირურგია ამ შემთხვევაში ერთადერთი წამალია.

ყოველნაირი ზავი თავისთავად ამ გადატრიალებას ხელს ვერ შეუწყობს. ნაციონალური ჩაგვის და ულელის ხელშეკრულობა ითამაშებს იმავე მიფუჩუჩების როლს, რასაც დღეს თამაშობს ოკუპაცია. მოთანხმება თანასწორობის ნიადაგზე, ურთიერთის გაგების და სასიცოცხლო ინტერესების დაცვა ორივე მხარისთვის შექმნის მკვიდრ, ხანგრძლივ მშვიდობიანობას და გასწმენდს საზოგადო აზროვნებას სოციალური შემოქმედებისათვის. სწორედ სამარცხვისნოა, ორი მეზობელი კულტურული ერი დაემზავს ეს მოყიყინე მოსახლეობრე გლეხს. გერმანია-საფრანგეთის მეტოქეობა იწყება მხოლოდ ნაპოლეონ პირველის შემდეგ; გერმანია დამარცხდა 1807 წ., გაიმარჯვა 1871 წ., დამარცხდა 1918 წ., გაიმარჯვა 1940 წ. აი ამ სამხედრო დოლს ბოლო უნდა მოეღოს და ორივე ერთნაირათ ჩადგენ სამშვიდობო კალაპოტში. მაგრამ არის კალაპოტი და კალაპოტი; ერთია დროს მომგები, დაუდევარი, მზათ პირველ შემთხვევისათანავე აფეთქდეს. მეორეა ხანგრძლივი, საფუძვლიანი, ომის უარისმყოფელი და მშვიდობიანი მოთანხმების მოციქული. პირველში ჩვენ ვიმყოფებით კარგახანია; ეკელა საერთაშორისო უბედურობა აქედან მომდინარეობს. მეორე კი მოსახლეობელია, დასამყარებელია; მხოლოდ მის ბაზაზე გახდება შესაძლებელი მართლა ზავი, მართლა მშვიდობიანობა და მყუდროება.

ზავი და მშვიდობიანობა განუყრელათ დაკავშირებულია ახალი ეკონომიკური წეს-წყობილების დამყარებასთან.

*) ეს დღმევე ვერ შეიგნო და ვერ განახორციელა გერმანიამ, რის გამო იმს ავებს. შენიშ. 8 აგვ. 1944.



ნათქვამია: თუ საძირკველი დანგრეულია, მასზე გმილების მიერ ნათქვაში საძირკველია ეკონომიკა, ზედმენობაა პოლიტიკური და იდეიური წყობა. არსებული ეკონომიკა მუდამ ანგრევს და აფორიაქებს ადამიანთა ურთიერთობას შინ და გარეთ. ცხადია, ზავის უზრუნველსაყოფათ, მშვიდობიანი განვითარების შესაქმნელათ აუცილებელია ამ ძირითადი მიზეზის ამოგდება, დაფუშული ფუძეს ამოყრა და მის აღავას ნამდვილი, შესაფერი და ურყევი საძირკველის ჩაყრა. ე. ი. საკითხია ორგანიზული ცვლილების, სტრუქტურის გადაწყობის და გაჯანსაღების. ასე ესმოდათ ეს ძველათ. კლასიკურ სოციალიზმს და მის წინამორბედთ და მიმდევართ. ეს ასე აღარ ესმით მხოლოდ დიდი ომის შემდეგ. ამ რევიზიის მეთაურათ გამოვიდა მეორე ინტერნაციონალი, არა სიტყვით, არამედ საქმით, პოლიტიკით, სოციალური ბრძოლით. რა წამოაყენეს მათ?

წამოაყენეს დამუშავებული სიმდიდრის, ერის შემოსავალის განაწილება, ვის რამდენი უნდა მიეცეს, ვინ როგორ დაჯილდოვდეს, მთელი სარეფორმო ბრძოლა დატრიალდა ამ პოლიტიკის ირგვლივ. გასანაწილებელი მართლაც დადი თანხებია, როგორც ზემოთ დავინახეთ. ორმოცა მიღიარდი წლიური შემოსავალი ვის არ აღუძრავს მადას. ვინ არ დაფაცურდება მის წასაგლეჯათ. მაგრამ ეს საკითხი აწუხებს არა მარტო მუშებს და სოციალისტებს, არამედ ყველას, ბურჟუას ისე, როგორც პროლეტარს, ინტელიგენციას ისე, როგორც გლეხს. ეს არის საერთო ნიადაგი, რომელზედაც ყველა დგას და ერთმანეთს ებრძინან, ერთიმეორეს წაგლეჯ-წამოგლეჯენ. ამ სფეროში არავითარი განსხვავება არ არის არც ერთ დაჯგუფებას, პარტიას თუ პოლიტიკურ წყობილებას შორის. აქ თავს იყრიან ლიბერალები, რეაქციონერები, სოციალისტები, ნაცისტები, ფაშისტები— ყველა, ვინც კი დღეს ქვეყნის ბედს განაგებენ. ნაციონალ-სოციალიზმი მხოლოდ ერთი ფორმაა სიმდიდრის განაწილებისა, რაიცა არაერთხელ უცდიათ ძველათ. მეტა ნაწილი სახელმწიფოს, ნაკლები კერძო პირთ — აი მისი მწამსი. ამ მხრით ის ენათესავება ბოლშევიზმს, როგორც გაზვიადებულ ეტატიზმს.

სოციალისტთა შორის ამ ახალ ნიადაგზე გარკვეული სარეფორმო პლანი წამოაყენა ბელგიის მუშათა პარტიამ, შემატებული ვებული დემანის მიერ და მიღებული პარტიის კონგრესზე ქვეყნის წ. აქ დასმულია მიზანი და საშუალება. პირველი «მოქმედება ფინანსიური კაპიტალის მონიპოლიური ძლიერების წინააღმდეგ, ხელშეუხებლათ სხვა ფორმის კერძო საკუთრებისა». მეორეა საარჩევნო ბიულეტენი, პარლამენტარიზმი*), რეფორმის სათავეა კრედიტის ნაციონალიზაცია, სახელმწიფოს ხელში გადასვლა, საიდანაც დაიწყება ინდუსტრიალური განახლება. ეს არის ანგარიში კომერციული, უფრო საქმე არ დაიწყება, ასეთი «პლანი» განხორციელებულია გერმანიაში, სადაც მთელი კრედიტი მთავრობის ხელშია და ის ხმარდება კერძო წარმოებას მოხელეთა კონტროლით. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, დაწყებული ადამ სმიტით, სიმძიდრის საფუძველათ აღიარებდა შრომას, წარმოებას, ზედმეტი ღირებულების შექმნას, რაიცა შემდეგ ნაწილდება მცხოვრებთა შორის. მაშასადამე, ძირია შრომის ორგანიზაცია, ხოლო შედეგია შემოსავალი; ამაში შედის ფინანსებიც. ამ შედეგის სათავეთ გამოტანა, მთავარ ფაქტორათ დასახვა, საიდანაც ვითომ დაიწყება წარმოების რეორგანიზაცია, ნიშანას იმავე განაწილების ფარგალში ჩამწყვდევას და რეფორმიზმით თამაშს. ფინანსებისთვის ასეთი უაღრესი ეკონომიკური როლის მინიჭება დაიწყეს აგრე ახლა, დიდი ომის შემდეგ. პირველით ამერიკელებმა წამოაყენეს ლოზუნგი: გაწესრიგებული ფინანსები — აი სათავე გაწესრიგებული ეკონომიკისა; მას აყვენ ევროპიელები. ეს დოქტრინა მოდის არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული წრეებიდან. უქმაყოფილო ვაჭართა და მრეწველთა იდეოლოგებიდან; ესენი საჭიროებისამებრ ვერ შოულობენ კრედიტს ან ის ძვირათ უჯდებათ და სამართლიანათ ფიქრობენ სახელმწიფოს ხელიდან უფრო იოლათ და შეღავათიანათ იშოვიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს ზომა სოციალისტებს გამოაქვთ ანტიკაპიტალისტურ ზომათ, ხოლო ბურჟუაზს კაპიტალისტური წარმოების გასამაგრებლათ და მრეწველობის ბანკების უღლისაგან რამდენიმეთ გასანთავისუფლებლათ, როგორც ეს წინა პერიოდში იყო. წინეთ, ბანკირი იყო დამოკიდებული მრეწველზე, მის-

* ob. Henri de Man: Pour un Plan d'Action. 1934.

გან დებულობდა შესანახავათ თანხებს; ახლა კი, პირიქით, მრეწველია დამოკიდებული ბანკირზე, რომელიც თავის მდგრადი დეს თანხებს დებულობს ყოველი მხრიდან, გარემო მრეწველობის კლასისა. და სწორედ რამდენიმეთ მაინც დაბრუნება პირველი ეტაპისაკენ შესაძლებელია კრედიტის ნაციონალიზაციით.

უეჭველია, ასეთი წმინდა ბურუუზიული რეფორმის განხორციელება შესაძლებელია პარლამენტარიზმით, კენჭების მოხერხებულათ ამუშავებით. და თუ მაინც ის ბელგადაში ვერ განხორციელდა, ამის მიზეზათ დემანი თავის ახალ მოგონებაში ასახელებს კულისების ინტრიკებს, რაშიაც მონაწილეობას იღებდენ სოციალისტებიცო. სწორი იყო პლანის მხოლოდ ერთი დებულება: ბლოკი მუშების, გლეხების და წვრილი ბურუუზის. მაგრამ ამ დიდ კოალიციას დაუსახეს მეტად მჭლე მიზანი და ამიტომ ვერავითარი შთაბეჭდილება მოსახლეობაზე ვერ მოახდინა. აქ დიდი ხანია ეს კლასები ერთიმეორისაგან გათიშულია, მათ შორის თხრილი გავლებულია, ისინი სხვადასხვა იდეოლოგიაში და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში აღზრდილია. მუშათა პარტიის ეს ახალი დირექტივა მეტად დაგვიანებულია. პარტიის თავიდანვე უნდა ეფიქრა და ეზრუნა ამ საგანზე და არ მიეგდო არა-პროლეტარები სხვა პარტიებისათვის, როგორც ერის უკანონო შვილები. ესენი არ კაქრენ წინააღმდეგ მოლოდინისა. ამ ფაქტს დიდის ვანკუიფრებით აღნიშნავს დემანი თავის «პლანში» და ასკვნის: რაკი ისინი კიდევ არსებობენ და ჩვენსკენ არ მოლიან, ჩვენ მივიღეთ მათთანო. და კიდევაც მივიღენ... პარლამენტის კულისებამდე... ნუ დაივიწყებთ, რომ ეს «პლანი» ითვლებოდა ინტერნაციონალში საუკეთესო შემოქმედებათ, მას ბაძავდენ ფრანგები, მას აქედან აქედან-იქიდან და გათავდა სკანდალურათ, მოცლილთა გათამაშებათ.

ომმა ნათელყო, რომ საკითხი უფრო ღრმაა, ვინემ პლანგბი. თუ წინეთ სოციალისტურ გარდაქმნას ასაბუთებდენ ერთი მწარმოებლური კლასის ინტერესებით, ახლა გამოირკვა, ამ განახლებაში გაცილებით მეტად დაინტერესებულია მთელი ერი, მთელი კულტურა და ცივილიზაცია, ვინემ მისი რომელიმე ნაწილი. მოსაწესრიგებელია არა ფინანსები, არა დღის ქირა და კლასთა ბრძოლა, არა ფასები და ვაჭრობა, არამედ ხალხთა არსებობის პირობა, ერთა განვითარების და მშვიდო-

ბიანობის შესაძლებლობა. რაკი ეს მხარე ადამიანის ცხოვრებისა ასე ძირბუდიანათ გასვარა უთავბოლო ინდუსტრიალიზაციამ, ცხადია, მისი მოწესრიგება, მისი ხელში დაჭერა და წიგნი ნამდღოლობა დღევანდელი ღროის მთავარი საზრუნავი საგანია.

ე. ი. უნდა იქნას შეცვლილი თვით გეზი არსებული ეკონომიკური პროცესის, მისი გზაკვალის ხელახალი გავლებით და მის-თვის ფართო ადამიანური მიზნის დასახვით.

წარმოება მოითხოვს სამ ელემენტს: მუშას, ტექნიკას, ნედლ მასალას. პირველია ფაქტორი ნაციონალური, მეორე ინტერნაციონალური, მესამე მსოფლიო ურთიერთობის. სამივე ამ საარსებო წყაროს დაეპატრონა ვიგინდარები, სიამოვნების და გამორჩენის მაძიებელი და თავის ჯიბისათვის ქვეყნიერებას რევენ. ამათი გადადენა და ძათ აღაგას ამ საჭირო ელემენტების შემქმნელთა მიერ დაკავება — პირველი ნაბიჯია ახალ გზაზე. მშრომელი და მეცნიერება ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიღიოდენ და წარმოების საკითხს განაგებდენ. ამ ხაზზე მიუცილებელია შეერთება ნაციონალური და საერთაშორისო ელემენტების და მათი საერთო ძალდონის მოთანხმება. მუშა ინდუსტრიას შინ ყავს, მაგრამ ნედლი მასალა მოსატანი აქვს. სწორედ ამ საჭიროებამ გამოიყვანა გერმანია თავისი საზღვრებიდან და ამტკრევიებს სხვის ღობეებს. მტკრევის შეცვლა თანხმობით ვერ მოხდა ბურუჟუაზის ნიადაგზე, ის მოხდება მხოლოდ მშრომელთა ნიადაგზე.

ამ ორ სხვადასხვა საფეხურზე გადამჭრელ როლს თამაშობს ორი სხვადასხვა საჭიროება. დღევანდელი ბატონები მხოლოდ შეძლებას ეძებენ, ფულს აგროვებენ და ამ დროშას უმორჩილებენ მთელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ხვალინდელ ბატონებს, მშრომელთ, ექნებათ გადასაჭრელათ დასმული მხოლოდ ერთი საკითხი, საკითხი თავის რჩენის. ე. ი. ის, რაც დგას, იდგა და იდგმება მუდამ ადამიანის წინაშე. ძველ პატრიარქალურ საზოგადოებაში ამ საჭიროებაზე ზრუნავდა ოჯახი და გვარი, მთელი საგვარეულო წყობილება. შემდეგ ის შესცვალა ინდივიდუალურ წყობილებამ, თვითეული თავისთვის, თვითეული თავის შინ. ახლა კაცობრიობა ბევრი ცდის და მარცხის შემდეგ მიადგა ისევ ძველ გზას — ინდივიდუალური წყობის შეცვლას სოციალურით, ოჯახი რჩება ძველებურათ, საგვარეულო წყობილება ფართოვდება ნაციონალურ წყობი-

ლებათ იმავე ძველი დროშით და შინაარსით: დაეხმაროს ადა-
მიანს მიუცილებელი სახიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმა-
ყოფილებაში. ამ ხაზზე იარსებებს სამი მომქმედი საფრენტო:
ოჯახი, თემი, ერი. ამათი მოღვაწეობა ცალ-ცალკე თავის სფე-
როში და ერთად საერთო ამოცანებისათვის, ურთიერთის დახ-
მარება და ხელის შეწყობა მოგვცემს მკვიდრ, ურყვე საფუძ-
ველს, რომელზედაც აეგება თანამედროვე ნაციონალური და
ინტერნაციონალური სოციალური წყობილობა. მხოლოდ ამ
გზით, ამ ნიადაგზე აღმოცენდება ხანგრძლივი მშვიდობიანობა,
ნივთიერი კეთილდღეობა და კაცობრიობის გამოელება. ერთი
სიტყვით, ტექნიკა, ინდუსტრია, მეურნეობა აწყობილი ადამი-
ანთა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ერში და ერთა
შორის — ერთადერთი სოციალური დროშაა, ერთადერთი მსხვე-
ლია ჩაგრული, დაბნეული კაცობრიობის...

ნ ი თ ვ ი ლ ი. 20.9.41.

ეპიტოპა და პაციენტისა

ამ ორი საუკუნის წინ დასავლეთი ევროპა არაფრით არ განსხვავდებოდა დანარჩენი კაცობრიობისაგან, არც ეკონომიკურათ, არც პოლიტიკურათ და სოციალურათ, არც გონიერივათ. ისიც, როგორც ყველა დანარჩენი ხმელეთი, წარმოადგენდა აგრარიულ ქვეყანას, თავს ირჩენდა იმავე წესებით, შრომის ისეთივე იარაღებით და განაწილებით, როგორც ყველა ხალხი. მათ შორის იყო განსხვავება მხოლოდ მანძილის მხრით, მეტათ დაშორებული ერთიმეორისაგან, მცხოვრები და მოსაქმენი მის-მისდა, დარიბინი მიმოსვლით და კავშირებით. ამ სფეროში გაცილებით უკეთ იყო აწყობილი ერთიმეორის დაახლოება აღმოსავლეთში, ვინემ დასავლეთში. კაცობრიობის ცენტრი გახდა ახლო აღმოსავლეთი არაბების მეთაურობით და მიმზიდველი ძალა დანარჩენი შორეული ხალხებისათვის. მის მეზობლათ ჩნდება მონღოლების მეთაურობით ახალი ცივილიზაცია ჩინეთ-ინდუსტებისა და ეს სამივე კუთხე ხდება ერთ მოლიან ერთეულათ. ევროპიელთა სანატრელი შეიქმნა ამ ქვეყნებთან დაკავშირება, იქიდან საქონლის მიღება, სავაჭრო და გონიერიყვანი დაახლოვება, რომის დანგრევის შემდეგ ევროპა ხდება გარიყული, გამოცალკევებული საკაცობრიო გზებიდან და მიწყვდეული ატლანტიკის ოკეანის ნაპირებისაკენ. ამას მიემატა კიდევ რელიგიური განსხვავება, დასავლეთის ვიწრო კათოლიკურ რწმენაში ჩაჭრა და ამ ნიადაგზე ატეხილი საშინაო და საგარეო ლაშქრობა. ევროპა ჩავარდა სრულ იზოლიაციაში დანარჩენი მსოფლიოსაგან. მისი ყოფა-ცხოვრება, მისი სვე-ბედი არავის აინტერესებს მის გარეთ, არსაიდან მიეშურებიან მისკენ ჭკუის სასწავლათ, მაგალითების მისაღებათ, მისი შთაგონებებით სახელმძღვანელოთ. ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის ნანგრევზე მოიგალათა ევროპის სხვადასხვა მოდგმის პრიმიტიულ ხალხებმა, უმრავლესობა გერმანიის რასისა

და სასულიერო წოდების მეთაურობით თავიდანვე დაიწყეს თავისი ახალი კულტურის შექმნა. ერთი სიტყვით, კაციზის მიყოფებოდა ერთდაიმავე ეკონომიურ დონეზე – გრძელი სარჩენი ტექნიკა შეიცავდა ერთდაიმავე სადა იარაღებს: გუთანი, სატეხი და ხერხი, ხელები და წალდი; ხოლო უმუშიერთა, სხვისი შრომით მცხოვრებთა, ერთადერთი იარაღი იყო ხმალი. ეს ხმალი მიიმართებოდა უმთავრესათ თავისი თანამემამულების და მეზობლების წინააღმდეგ, იშვიათად შორეული ხალხების და ქვეყნების დასაპყრობათ. მხოლოდ შიმშილობა და ავანტიურიზმის სიყვარული გაიყვანდა მეომართ თავის საზღვრებიდან შორეულ ადგილებისაკენ, რაიცა თავდებოდა უკან დაბრუნებით მოკლე დროში. ერთადერთ რომმა გააგრძელა დაუსრულებლივი დაყრობა, რაიცა გათავდა მასთან ერთად. საერთოდ მთელი კაცობრიობა იმყოფებოდა ერთნაირ სადა ბუნებრივ მდგომარეობაში, რაც შეიძლება მეტი წინაგანი წონასწორობის დაცვით, გამეფებული ზნებივეულებით და მიღებული მორალით. დასავლეთი წარმოადგენდა მხოლოდ ამ მთელის ერთ ნაწილს, ერთ კუთხეს, დაშორებულ ყველა ცენტრებისაგან და ინტერეს მოკლებულს. ყველა ხალხის და პიროვნების ძირითადი საზრუნავი საგანი იყო თავის სარჩენი საქმაო ნაყოფის დაგროვება. ჭამა-სმა დიდათ შესარგი გახდა მთავარ დროშათ; სიმდიდრის დაკროვება, სიმდიდრის შენახვა და საშვილიშვილო გადაცემა სრულიად არ შედიოდა ადამიანთა მზრუნველობის ფარგალში. სადა ტექნიკის გამო მეფობდა მუდმივი ნივთიერი გაჭირვება, საქონლის ნაკლებობა და ამიტომ მცხოვრებთა გამრავლება მეტათ ნელი ნაბიჯით წარმოებდა. 1650 წ. კაცობრიობის წევრთა რიცხვი უდრიდა 545 მილიონს, რაიცა თანდათან ნელი ნაბიჯით ავიდა 1800 წ. 906 მილიონამდე.

ამნაირათ, ამ ასი წლის წინეთ კაცობრიობა წარმოადგენდა მცირერიცხოვან, სადა, დარიბ ადამიანთა კრებულს, ბუნებასან მჭიდროთ გადაბმულს, მისი ბრძანების და გავლენის ქვეშ მომუშავეს და აუჩქარებლათ თავისი საქმიანობის და სიცოცხლის გამაგრძელებელს.

და ამ მთელი ეს საუკუნოებით აწყობილი ცხოვრება და ურთიერთობა ძირიცხილიანათ გადატრიალდა უკანასკნელ საუკუნეში, სავსებით ამოვარდა ძველი კალაპოტიდან. აეწყო ახალი ურთიერთობა და სწრაფი ნაბიჯით გავექანეთ წინ, უცნობი გა-

უთვალისწინებელი მერმისისაკენ. რა ძლიერების მატარებელია
ეს ამოვარდნილი ქარიშხალი სჩანს იქიდან, რომ მის ჭვეფურული
ბაში ადამიანთა რიცხვი დედამიწაზე ავიდა ორ მილიაზედემდე 1935
(1935 წ.), ე. ი. ის გაორდა. სულ მცირე დროში დედამიწა და-
პატარავდა, მანძილს დაეკარგა ძველებური მნიშვნელობა, ზღვა
და ხმელეთი გასწორდა, სიმდიდრე გამრავლდა, აშვა სრულიად
ახალი საზოგადოება, ახალი ადამიანი. ამ ძირითად რევოლი-
უცის მომნიჭებელია სამი მოვლენა: ტექნიკა, კაპიტალიზმი,
ენდივიდუალიზმი. პირველის განვითარებამ მოგვცა ახალი სა-
მუშაო იარაღები, გააბატონა მაშინიზმი, მექანიზმი; მეორემ
მოგვცა მრეწველობა, ინდუსტრიალიზმი, მესამემ კერძო ინი-
ციატივა, პირადი თაოსნობა, ეკონომიკური და შემდეგ პოლიტი-
კური თავისუფლება. ამ ევოლუციის მეთაური გახდა დასავ-
ლეთი და მით ის ერთი დაკვრით მოექცა კაცობრიობას სათა-
ვეში. მთელი ამ პროცესის საფუძველია, უეჭველია, ტექნიკის
აღორძინება, რაიცა გამოიხატა სამ ფორმაში: სამუშაო, სამი-
მოსელო და საკავშირო სფეროებში. მთელ ამ მსვლელობას მე-
თაურობს მეცნიერება, ადამიანის მიერ ბუნების ძალთა გაგება
და მათთა თავის სასარგებლოთ ამუშავება. ახალი ევროპის, ახა-
ლი ცხოვრების შემქნელი არიან ის იშვიათი ადამიანები, რო-
მელნიც ჩაკეტილნი თავთავის ლაბორატორიებში, მუშაობენ
შესწერებლივ ახალ-ახალ აღმოჩენებისათვის და ააღვიდებენ
ცხოვრებას და შრომას. აი ამ მიღწევებს იყენებენ კერძო პი-
რები, ქმნიან თავის სასარგებლოთ წარმოების სხვადასხვა დარ-
გებს და ეპატრონებიან მთელ ეკონომიკას.

ამ ახალი ტექნიკური ეკონომიკის ძირითადი დამახასიათე-
ბელი თვისებაა შრომის უმწვერვალესათ გაყოფა, ერთი ადა-
მიანის, ერთი დაწესებულების მიერ ერთი რომელიმე საქონლის
კეთება, მისი გაყიდვა, რომ ამ გზით შეიძინონ სხვა, სხვების
მიერ დამზადებული და მისთვის საჭირო საქონელი. მაშასადა-
მე, ამ ნივთიერი წყობის უეორე თვისებაა სპეციალიზაცია, ერ-
თი განსაზღვრული ხელობის ცოდნა და გამოყენება. თანამედ-
როვე წარმოება არის სხვადასხვა ხელობათა მისმისდა ამუ-
შავება და დამუშავებულის ცალცალკე გასაღები. ამ წესის კა-
ლაპოტში ჩადგა სასოფლო მეურნეობაც. აქაც შევიდა სპეცი-
ალიზაცია; პურის მომყვანი მარტო პურს ყიდის, ხოლო ყველა-
სხვა ნაყოფს ყიდულობს. ეს კიდეც ცოტაა, ის თავის პურს

თავის საჭიროებისათვის არ აფქვევს და არ აცხობს; მთელ თავის მოსავალს ყიდის, ხოლო გამომცხვარ პურს ყიდულობს; აი ამ გარემოებამ ძირიანათ შესცვალა ძველი ეკონომიკა და ტექნიკა ნეთ თვითეული ქვეყანა იკვებებოდა და ცხოვრობდა სრულიად დამოუკიდებლათ სხვა ქვეყნებისაგან, ახლა ვერც ერთი სამრეწველო ქვეყანა ვერ კმაყოფილდება შინაური ნამუშიერით და იმულებულია შემოიტანოს უცხოეთიდან აუცილებელი საქონელი, დასამუშავებელი სამრეწველო ნედლი მასაცა და საკვება ნაყოფი. ამისათვის კი საჭიროა დამუშავებული ნივთის გატანა და გაყიდვა. ვაჭრობა გახდა ძარღვი მთელი ეკონომიკი წყობის. წარმოიშვა ერთი მთლიანი მსოფლიო ეკონომიკა, რომლის თვითეული მატარებელი ერთ განუყრელათ გადაება ერთმანერთს.

ადამიანთა ეკონომიკური ჯაჭვის აუცილებელი, ბუნებისაგან ბოძებული, რგოლი არის მხოლოდ ორი: შრომა და ნაშრომის მოხმარა, ე. ი. მწარმოებელი და მომხმარებელი. ყველა სხვა რგოლი გვიან გამოვლენებულია. ფილოსოფოსი პლატონის სიტყვით, პირველი ვაჭარი ვაჭრობდა იმიტომ, რომ იყო საწყალი, დარიბი, ან სუსტი მუშაობისათვის, ავათმყოფი ან ზარმაცი და ცდილობდა იოლათ თავი ერჩინა. აი ეს ერთხელ გამონაკლისი ავათმყოფი რგოლი დღეს გახდა ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ და სულის ჩამდგმელ მოვლენათ; არას შემქნელი გაბატონდა შემქნელზე და გახდა მათ მეთაურათ. აგებს ირივე აუცილებელი რგოლი, იგებს მათ შორის ჩამდგარი არა-აუცილებელი ზედმეტი რგოლი და მას მიეგვე მთელი ქვეყნიერება თავის ჭკუაზე.

აი ამ ახალი ეკონომიკური იარაღით მიაღვა ევროპა კაცობრიობას და შეუდგა მისთვის ანგარიშის გასწორებას. ბუნებრივი იყო ეს ანგარიში გასწორებული ყოფილიყო ვაჭრობის მეთოდით, გაცვლა-გამოცვლით. თუ ინგლისელს ეჭივრება ცეილონის ჩაი, მისი შეძენა ადვილია ყიდვა-გაყიდვით. ნამდვილათ კი მოხდა წინააღმდეგი, მას დასჭირდა ჩაისან ერთად თვით ცეილონი მისი მცხოვრებლებით, დასჭირდა კოლონიები საკუთრებათ. აქედან წარმოიშვა დღევანდელი საოცარი მოვლენა: 37 მილიონ ინგლისელს თავის მარჩენალათ ყავს 500 მილიონიანი კოლონიები, საფრანგეთის 40 მილიონ მცხოვრებს ყავს 100 მილიონი კოლონისტები და ასე ბოლომდის; სამრეწველო

ქვეყნებმა გაინაწილეს კაცობრიობა, ყველა ის კუთხეები, რო-
მელნიც «გლახათ» მდებარეობდა და შექმნეს თავისი იმპერიუმი და
დაბრივებულ სალხთა ანგარიშზე.

შემდეგით გვითხოვთ

დასავლეთი მოევლინა კაცობრიობას დამპყრობელათ.

ევროპა დაუპირდაპირდა რა კაცობრიობას იარაღით ხელ-
ში, იმავე დროს მან გასწია ფართო მუშაობა თავის ეკონომი-
კის გასავრცელებლათ და მის ფერხელში ყველა ერების მო-
საქცევათ. ამ მუშაობის მთავარი საშუალება გახდა პრინციპი
თავისუფალი კონკურენციის, თავისუფალი ვაჭრობის და ლია
კარგის. მაშასადამე აღებ-მიცემობის საკითხებს სწყვეტდა თა-
ვისუფლათ გამოცხადებული ფასები. ამ დროშის მატარებელი
შეიქმნა ინგლისი, რომელსაც გაყვა დანარჩენი ევროპა. დამკ-
ვიდრდა გამოლიანებული მსოფლიო თავისუფალი ეკონომიკა,
რომლის ძირითად კანონებს დაექვემდებარენ ყველა ნაციონა-
ლური ეკონომიკა, ყველა სააღებმიცემო და საწარმოვო წესე-
ბი. კაპიტალიზმი გადაიქცა მსოფლიო მოვლენათ, მთელ ხმე-
ლეთზე გაძატონებულ საწარმოო ფორმათ. ამ ახალ ნივთიერ
გადაწყობას მოყვა პოლიტიკური, ნაციონალური და სულიერი
გადაწყობა. გამოღვიძება დამორჩილებული ერების და კოლო-
ნიების, ხალხთა ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლათ შინ და
გარეთ, ერთა სუვერენობა და საკუთარი სახელმწიფოს დაარ-
სება გახდა საყოველთაო, საკაცობრიო დროშა. მთელი ეს შიძ-
დინარეობა დაუპირდაპირდა დასავლეთს და ძალა დაატანა მას
ის იცნას და ანგარიში გაუწიოს. ინგლისი ხდება იმულებული
შემოიღოს დომინიური სამართველო სისტემა, ავტონომიური
კოლონიალური გამგებლობა, იცნას მრავალ ერთა და ხალხთა
დამოუკიდებლობა ამერიკაში, ერთი სიტყვით, გააკეთა ფართო
პოლიტიკური დათმობები, ერთი პირობით — ეკონომიკის მსოფ-
ლიო ჰეგემონია ხელიდან არ გაუვარდეს. იწყება მსოფლიოს
გამოლიანება ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ევროპის წინა-
მდლოლობით და მის ნიადაგზე ყალიბდება ერთი მთლიანი ცი-
ვილიზაცია, დარღვეული ასი წლის წინეთ დასავლეთის განდ-
გომით და აღორძინებით. ეს გამაერთიანებელი მიმდინარეობა
განსაკუთრებით ძლიერდება დიდი ომის ხანაში და შემდეგ-
რაკი ევროპა ერთიმეორეს დაერია, საკმაო სამრეწველო საქო-
ნელს იქიდან შორეული ქვეყნები ველარ დებულობდენ, იმულე-
ბული გახდენ თვით გაეჩინათ ინდუსტრია, შემდგარიყვენ ინ-

დუსტრიალიზაციის გზაზე. გაჩნდა მრავალი სამრეწველო ცენტრები ევროპის გარეთ და მით დაიწყო ინგლისის ფრანგის მიმდევარი დასავლეთის ეკონომიკური ჰეგემონიის დაქანონებული დაცემა. ამის შედეგი გახდა ორი გამანადგურებელი მოვლენა: მრავალი მილიონი მუშის უმუშევრათ დარჩენა და ფინანსიური არეალევა, ყველა მაგარი ვალიუტის დაცემა, კრიზისი სამრეწველო, კრიზისი ფინანსიური. ცივილიზაციის გამთლიანება ითხოვს სავაჭრო-საწარმოვო გათანასწორებას მსოფლიოსი. ამით ევროპა ჩავარდა გამოუვალ ჩიხში და აქედან გამოსაძროენათ იფეტქა მეორე დიდმა ომმა. ამათ ვერ გაიყვეს კაცობრიობა, ვერ მორიგდენ სხვისი ქონების განაწილებაში და ფიქრობენ ძველებურათ, მათებურათ, კიდევ ერთხელ ჯერ ერთიმეორე დაარბიონ და შემდეგ დედამიწა გამარჯვებულთ გადასცენ. ე. ი. მცელი იმპერიალისტური იდეოლოგია რჩება უცვლელათ ახალ მოვლენათა ასპარეზზე, გადაწყობილ მსოფლიო ეკონომიკის საფუძველზე, რაიცა მას სრულიად არ უდგება. კონება კონსერვატორია, სინამდვილე რევოლიუციური. ცხოვრება მოითხოვს მსოფლიოს მორიგებას, ერთი სა-ერთო ცივილიზაციის ცნობას და მის შიგნით თანხმობით დაბინავებას. ხოლო ადამიანები ამ ისტორიულ აუცილებლობას არ სცნობენ და მას მუდამ ებრძვიან.

არის ორგვარი მოვლენათა სერია: ისტორია ადამიანების და ისტორია ეკონომიკური მსვლელობის, ეს ორი პროცესი ერთიმეორებზე განუყრელათ გადაბმულია, მაგრამ ვითარდება პირკელის დაჯაბნებით, დაბმით და მეორის აშვებით, სტიქიურ, შეუჩერებელ მოვლენათ გადაქცევით. ეს ორი რგოლი მუდმივ ბრძოლაში არიან ერთმანეთთან და ყოველთვის უსულო მოვლენა იმარჯვებს სულიერ არსებაზე. ადამიანის შემოქმედებამ აიგდო თვით ავტორი, თვით შემოქმედი და თავის ტიკინათ გაიხადა. თავიდანვე ადამიანი ფიქრობს და მუშაობს ერთი საჭიროორო საკითხის გადასაწყვეტათ — როგორ ირჩინოს თავი, რა ჭამოს-სვას. არცერთი ცხოველი არ საჭიროებს ამდენ დავიდარაბას თავის გამოსაკვებათ. მიუხედავათ ამდენი ცდისა ვერცერთმა საზოგადოებამ ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი, ვერ მოაწყო და ვერ ააწყო ამ ძირითადი მოთხოვნილების ნორმალური დაქმაყოფილება; ის მას მუდამ საფიქრებლათ და საბრძოლველათ აქვს. ამ მხრით ყველა გავლილ დროსთან შედარებით გა-

მოსარჩევია დღევანდელი დრო — არასოდეს ეს პრობლემა არ ყოფილა ისე გართულებული, გამწვავებული და თავსამტკრული ვათ გადაქცეული, როგორც ახლა არის. სტიქია სავსებით ჰქონილი პატრონა თანამედროვე ადამიანს. მოთხოვნილება გამრავლებული, წარმოება გართულებული, მოხმარა გაჭირვებული — აი დღევანდელი ევროპის ბატონ-პატრონნი; ეს სამი რგოლი შეადგენენ ერთ ჯაჭვს, რაიცა შემოეხვია ადამიანს კისერზე და მას სულს უხუთავს. აქ მთავარია მოხმარა, მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ მისი ასრულება გაცილებით უფრო ძნელი შეიქნა, ვინემ დამუშავება. ე. ი. ნივთი და ადამიანი ერთიმეორეს დიდათ დაშორდენ და საჭირო გახდა მთელი რიგი ტექნიკური ზომებისა მათ დასახლოებლათ; ის, უკევლია, ვერ იცხოვრებს ძველებურათ, მხოლოდ თავისი სამშობლოს მოსავალით; მას ეჭირვება სხვადასხვა ნაყოფის უცხოეთიდან შემოტანა. აი ეს უბრალო საქმეც კი ვერ აუწყვადა დასავლეთს ისე, რომ ერთიმეორე სისტემატურათ არ ანადგურონ, ცოფიანი მელებით ერთიმეორეს არ დაერიონ. განათლება დაემონა ველურობას, მეცნიერება გახდა გზადახიდი დაბალი ეკონისტური ანგარიშის გასახსროებლათ. ერთისიტყვით, უდაო არის ერთი დიდი ფაქტის არსებობა: ადამიანის მიერ შექმნილი ტექნიკა და ეკონომიკა მას მოერია, თავის სიმძიმეს ქვეშ მოაკალათა, თავზე წააჯდა და არ აძლევს საშუალებას ადგეს, გამოძრეს და თვით უკარნახოს მას თავისი გადაწყვეტილება.

ჩვენ, ქართველებს, ერთი ჩინებული ანდაზა გვაქვს: დროი შეფობენ და არა მეფენიო. ხოლო დრო ნიშნავს არა უბრალო უშინაარსო წელთა აღრიცხვას, არამედ იმ ცვლილებებს და ახალახალ მოვლენებს, რაც მას მოაქვს. აი ამ მოვლენებზე, თუ მეუეც ვერ იმეუებს, უბრალო მომაკვდავი როგორ იმეუებს. უველა მას ემორჩილება, მის ფარგალში ტრიალებს და თავს ინუგეშებს — თავისუფალი ვარო. უველა რევოლიუციათა შორის მხოლოდ ერთმა გაარღვია ეს გარემოებათა რკალი, იშოვა გამოსავალი, მაგრამ მთლათ მაინც ვერ ამოაგდო ის. ეს არის საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. ეს გაბედული აწყვეტა დაბმული სახოვადოების ვერაფრათ ეჭაშნიკა დროს და შეუდგა ახალ-ახალი ფაქტებით მის ჭკუაზე მოყვანას, თავის ადგილის მიჩნას და კიდევაც მიუჩინა. ეს მოთვინიერება ისე გაღრმავდა, რომ ბოლოს თვით სოციალისტებიც კი დაჭვდენ რევოლიუ-

ციის, ხალხის აწყვეტის საჭიროებაში და გამოაცხადეს – ჯერ ადრეა, გვეყოფა ყოველდღიური რეფორმიზმით. ციკლიზაცია წარმოდგენილია როგორც აზროვნების მართველობა, მოქმედის უმაღლესი ბატონობა, ნამდვილათ კი თვით ეს აზროვნებაა ყმა ნამდვილი მართველის, ობიექტიური პირობების, რაიცა მას უკარნახებს შინაარს და გეზს. ამ უშველებელი ტვირთის არეკა და იქიდან ადამიანის გამოძვრენა აღვიღი არ არის.

ყველა რეფორმატორი, ყველა საზოგადო მოღვაწე, მთელი მათი ამაღა აზროვნობენ და მუშაობენ ამ ტვირთის ქვეშ; იწუნებენ მის ამა თუ იმ კუთხეს, ამა თუ იმ სახურავს, ფიცარს; არიან გართული მის შეკეთებაში, გადაწყობ-გადმოწყობაში, სხვადასხვა საწერიმაღო ღონისძიების მიღებაში. ამ წრიდან გამორიცხულია მხოლოდ მეცნიერება, მის ღოდების სიმძიმეს არავითარ ანგარიშს არ უწევენ მეცნიერები. და ეს იმიტომ, რომ ამათი სამუშაო სფეროა არა ადამიანი და მისი ინტერესი, არამედ ბუნება, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, ჩვენზე დამოუკიდებელი მოვლენები. აქ ადამიანი უფრო თავისუფლათ მსჯელობს, მიუდგომლათ იკვლევს, ახალ-ახალ აღმოჩენებს აკოტებს. როგორც კი ბუნებიდან გადმოვდივართ საზოგადოებაში, ადამიანთა შორის, ჩაღდება ბრძოლა, დაპირდაპირება, ჯერ იდეიურ სფეროში, შემდეგ პრაქტიკულ მუშაობაში, ირევა მონასტერი. აი ამ არევდარევას და მის მსვლელობას ეწოდება ისტორია. მისი შინაარსი მუდმივ ცვალებადობაშია, რაც მოხდა, არ მეორდება, რაც არის აღარ იქნება. მაგრამ ერთი მისი განუყრელი თვისება უცვლელი რჩება – ისტორიის სუბიექტი, მისი მატარებელი და სულის ჩამდგმელი – ადამიანი მუდმივი პატიმარია მის მიერვე შექმნილი ფაქტების, კულტურული მიღწევების, პროგრესიული მსვლელობის. და ეს მისი დაქვემდებარება მით უფრო სრულია, რაც უფრო წინ მივდივართ, რაც უფრო ვათარდება ადამიანი და მისი ცივილიზაცია. ამიტომ არასოდეს კაცობრიობა ისე მიკრული არ ყოფილა თავისავე ნამოქმედარზე, როგორც არის დღეს. ხოლო აქ რაოდნობით განსხვავებაა – დასავლეთი უფრო ღრმათ ჩაიფლა მის მიერ აგებულ უზარმაზარ შენობაში, ვინემ ჩამორჩენილი ხალხები თავის მსუბუქ დამისსათვეში. რამდენი სიმდიდრე იღუპება დღევანდელ ომში, რამდენი შრომა და ნაშრომი ნიავდება, ეს ყველამ იცის. მაგრამ ეს ყველა სხვადასხვა რაზმათ დამწერი-

ვებული ტაშს უკრავს ამ საერთო რბევას, საერთო დაღარიბებას. გამამდიდრებელი ტექნიკა გადაიქცა ადამიანის უგუშურობელი ბით გამაღარიბებელ ტექნიკათ.

ამნაირათ, ევროპამ გაიარა სამნაირი ისტორიული პროცესი: პირველათ ის იმყოფებოდა კაცობრიობის ერთ ჩვეულებრივ გეოგრაფიულ ნაწილათ, მისგან დაშორებული და რამდენიმეთ ჩამორჩენილი. მეორე პერიოდი იწყება მისი ამ განმარტოვებიდან ამოსვლით, აღორძინებით, კაცობრიობის მეთაურათ და ამაღორძინებელი წინამდლოლათ გადაქცევით; მესამე, მიმდინარე ხანაში ის დაუპირდაპირდა კაცობრიობას, თავის შინაგან დაცემაში ითრევს მას, ანგრევს ყველა საშინაო და საგარეო შემართებელ ხილებს, გამოდის უსაშინლესი მსოფლიო რეაციის მებაირალეთ და წამაქეზებლათ.

მთელი ეს ტრადიკული უკანასკნელი საფეხური არის შეღები ერთი უბრალო ჩვეულებრივი მოვლენის. ადამიანს თავს დააწვა მისმიერ შექმნილი სიმდიდრე, მისი ნამუშიერი და მას სულს უხუთავს; აღარ იცის როგორ მოიხმაროს, როგორ უწინამდლოროს ისე, რომ შექმნილი ქონება არ განაცარმტვერდეს. თუ მან გააკეთა ბევრი საქონელი და ვერ გაასაღა ან გაყიდა დაბალ ფასებში, ის იღუპება, წაგებულია; გააკეთა ცოტა და გაასაღა, მაინც იღუპება, ხარჯებს ვერ ასწორებს, თანამედროვე რთული ტექნიკის შენახვას ვერ ახერხებს; იძულებულია აიღოს სესხი სესხე, დაეყმოს ბანკებს, არასმკეთებელ ფინანსურ სპეციალიანტებს. ამ წაქცევ-წამოდგომაში იბეკნება თანამედროვე ევროპა და მასთან ერთად მეტნაკლები სიმწვავით დანარჩენი კაცობრიობა. ამ ეკონომიურ ხლართს ემატება პოლიტიკური. თანამედროვე მიმოსვლის და საკავშირო აპარატების წყალობით სავსებით ისპობა ძველებური პარტიკულარიზმი და აქცევს ორ მილიარდ მცხოვრებთ ერთ მთლიან ერთეულათ, ერთიმეორის მეზობლათ, ერთ ოჯახათ. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია მოაწყო ერთი კუთხე ისე, რომ სხვა კუთხეს არ შეეხო, მის მოწყობაზედაც არ იზრუნო. მოუწყობელი ერი უეჭველათ დაანგრევს მოწყობილს. მაშასადამე, დღის წესრიგში დგას არა ერთი ერის, ერთი კუთხის თუ რასის ცხოვრების აწყობა, ეს უტოპიაა, არამედ მთელი კაცობრიობის. აქ შეიძლება იყოს განსხვავება არა მიზანში, არამედ მეთოდში, ტაქტიკაში, საიდან დაიწყო, რომელი კუთხე მოწყვეს

პირველათ და როგორ გაავრცელო ეს მუშაობა: დანარჩენებზე
ძველებური ნაციონალიზმი, მე ვარ და ჩემი ნაბადი, ობიექ-
ტიური პროცესით მოკვდა, ის ძირბუღიანათ ეწინააღმდეგები-
თანამედროვე ტექნიკურ მსვლელობას. და სწორეთ ამ შეკვეთი-
სათვის ჩაფრენამ, მისი ცოცხლათ წარმოდგენამ და სახელ-
მძღვანელო დროშათ გადაქცევამ მოგვცა მეორე ლიდი იმი.
საფრანგეთ-ინგლისმა წარმოადგინა — ჩვენ კარგათ ვართ მო-
წყობალი, სხვები წყალს წაუღიაო; მოვიდენ ეს სხვები და მათ
თავი გაუხეთქეს. მიიღეს ულმობელი ისტორიის ლირსეული
განაჩენი.

და ასე, ისტორიის მსვლელობა მიდის ერთი მიმართულე-
ბით, ხოლო ადამიანის ჭკვა-გონება მეორე, მის მოპირდაპირე,
გზებით. გამოდის რომ ცხოვრების აუცილებელი პროცესი მი-
იმართება თვით ცხოვრების წინააღმდეგ. სტიქია რჩება ბო-
ლომდე საზოგადოების ბატონპატრიონი. მას აღვირის ამდები
და ხელმძღვანელი არ ყავს. ვინც მას არ სცნობს, არ ემორჩი-
ლება, სასტიკათ ისჯება; და რადგანაც საზოგადოება არ გვ-
ბულობს, არ უკვირდება მის განაჩენს და მოქმედებს თავის ფან-
ტაზიის და სურვილების თანახმათ, ჯდება საბრალდებულო
სკამზე, დასჯილი და დაცემული. თვითეული მუშაკი თავის მუ-
შაობაში და მოფიქრებაში თავისუფალია; ხელოსანი, მწერალი,
არტისტი, ტექნიკი — ყველა მოქმედი მოქმედებს როგორც
ფიქრობს, როგორც მოისაზრებს, მხოლოდ თვით ეს ძირი მისი მუშაობისა, მისი გონებრივი პროცესის, ისაზღვრება გარეშე
ძალით, უმისოთ შექმნილი მოვლენებით და ფაქტებით. მართ-
ლა თავისუფალი შემოქმედი არ არსებობს. გამონაკლისს შე-
ადგენენ გენიოსები, ძველი ფილოსოფოსები, შხატვრები და
მუსიკოსები. მათ შესძლეს ამაღლდენ გამეფებულ სოციალურ
რყალზე, მიღებულ ზნე-ჩვეულებათა და აზროვნობაზე და ამი-
ტომ არ იქნენ თანამედროვეთაგან დაფასებული. გენიოსობა
სწორედ მდგომარეობს საზოგადოებაზე ამაღლებაში, თავისი
სულის განთავისუფლებაში გარეშე მოვლენათა ტირანიისაგან.
ასე ესმოდათ ეს საკითხი ძველ ფილოსოფოსებს. აბლა ეს დე-
ბულება სასაცილოა. დიდი კაცი ხდება სწორედ ის, ვინც ყვე-
ლა ამ თვისებას უარსცოფს, საკენიათ ემორჩილება გამეფებულ
ურთიერთობას, აქებს და ადიდებს საზოგადოების ყველა ინს-
ტიქტებს, ყველა სურვილებს, რომ ამით შეიძინოს მისი თანა-

კრძნობა, დაიმსახუროს მისი ნდობა, გახდეს მისაღები საზო-
გადო მოღვაწე და გაშლილ სუფრას ფართეთ შემოუჯდეს. ცნობილია რომ ბუნებაში არსებობს სასტიკი წონასწორობა,
პლანეტების ერთიმეორეთი შეკავება, ერთიმეორის ჯახმარება,
რომ საერთო მსვლელობა და არსებობა თანაბრათ შესძლონ.
საქმარისია ეს სოლიდარობა ერთი წუთით შეწყდეს, რომ მთე-
ლი სამყარო აფორიაქდეს, ერთმანეთს დაეჯახონ, ბრძოლა გა-
აჩაღონ და ჩვენი დედამიწაც უფსკრულში გადაჩეხონ. მაშასა-
დამე კანონი წონასწორობისა, ე. ი. არსებობის უზრუნველყოფა
მისი ერთ კალაპოტში ჩაყენებით, ერთ ხაზზე დამაგრებით არის
ძირითადი კანონი ბუნების. და სწორედ ეს საყოველთაო გარ-
დაუვალი ბრძანება სავსებით უარყოფილია ადამიანებისაგან და
მის ალაგას წამოყენებულია ბრძოლა ყველასი ყველას წინა-
აღმდეგ. პირველყოფილი საზოგადოება, საოჯახო-სათემო წყო-
ბილება, როგორც ბუნებისაგან ახლათ გამოსული და მასთან
დაახლოვებული კიდევ ინახავდა ურთიერთ წონასწორობას,
ერთიმეორის დახმარებას და თანხმობას. აქ ბრძოლა წარმოებ-
და გარეშე მტერთან, შიგნით მეფობდა მშვიდობიანობა. რო-
გორც ეს წყობა დაინგრა, აღორძინდეს კლასები, დარიბ-მდი-
დარნი, დაერიენ ერთმანეთს, გაჩაღდა დაუსრულებელი რღვევა
ყოველნაირი წონასწორობის და მივედით იქ, რასაც დღეს ვხე-
დავთ. ასე რომ ჩვენი ქვეყანა, კაცობრიობა არის პირდაპირი
უარისყოფა ბუნების და მისი საარსებო კანონების. მსოფლიოს
დისკიდლინა დარღვეულია, მისი ფარგლიდან ადამიანები გა-
მოვარდნილია და უგზოუკვლოდ, საალალბედოთ მოხეტიალეთ
გადაქცეულია. მათ სრულ განკარგულებაში მოიქცა ბუნების
ეს ჩვენი პატია წერტილი, დედამიწა, იცხოვრეთ როგორც
გსურთო, ხოლო ეს სურვილი კი უთვალავია, ერთიმეორის
მებრძოლია, ერთი გეზის უარისმყოფელია. ორ მილიარდ
მცხოვრებს ორი მილიარდი სხვადასხვა სურვილი აქვს. ამათი
თავის მოყრა და ერთ უღელში შებმა შეუძლებელია. საერთო
არევა, შენჩემობა, ერთიმეორის დამონება, ხოცვა და უღეტა გა-
დაიქცა ჩვეულებრივ მოვლენათ. ეს პროცესი ღებულობს უმწ-
ვერვალეს და უსასტიკეს სახეს სწორედ ჩვენს დროში, ცივა-
უიზაციის ხანაში. რატომ?

ამ დამახასიათებელი მოვლენის მთავარი მიზეზია ერთი ახა-
ლი დროშა, რაიცა წინეთ არ არსებობდა და თუ აქაიქ არსე-
25. 6. ეორდანია

ბობდა მეტათ ფრთაშეკვეცილათ მისი გატარების სიძნელის გამო, ეს დროშაა სიმდიდრის შეძენა, რაც შეიძლება მეტი პატიტალის, მეტი ოქრო-ვერცხლის, მეტი საქონლის დაგროვება. წინეთ მთავარი მიზანი იყო თავის კვება, ახლა ეს გაადვილებულია, მიღწეულია და მისი აღაგი დაიჭირა გამდიდრებამ. რაკი მრეწველობის პერიოდში, ახალი ტექნიკის ბატონობაში შესაძლებელი ხდება მასიური წარმოება და გასაღება, მაშასადამე, სიმდიდრის დაგროვება და რაც მთავარია, შენახვა — ამ მდგომარეობით სარგებლობა გადაიქცა საყოველთაო ლტოლვილებათ. ფული და ფული, სხვა ყველაფერი ტყუილია — აი საამდროვო სიმბოლო სარწმუნოებისა. ძველათ სიმდიდრე ნიშნავდა ქეიფს და ჭამა-სმას. ახლა რაც უფრო მდიდარია კაცი, მით ნაკლებს ხარჯავს თავის-თავზე, მით მეტს ინახავს და საქმეში დებს, რომ შეძენილი თანხა მუდმივათ ზარდოს. აი ეს მედროშენი და მედროვენი დაეპატრონენ ევროპას, გადაიტანეს თავისი სამოქმედო ასპარეზი მსოფლიოში და ჩაითრიეს თავის გავლენის ქვეშ ყველა ხალხები. იშვა ახალი ევროპა, ახალი ევროპიული ეკონომიდა და პოლიტიკა. ჩინეთი ოთხასი მილიონი მცხოვრებით ცნოვრობს და მრავლდება თავის საზღვრებში, გარეთ ერთი მოთლა მიწა არ შეუძენია, ხოლო აქ ორას მილიონიანი ევროპა ვეღარ ეტევა, ვეღარ ცნოვრობს ისე, თუ ქვეყნიერება არ დაიმორჩილა, არ წალეკა და თავისი მეზობელიც თან არ მიაყოლა. ის არ ინდობს არც თავისთავს, არც სხვას.

საზოგადოება იყოფა ორ ფენათ; ერთი, მისი დიდი უმრავლესობა, მუშაობს თავისი ხელით მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავი ირჩიოს, ბუნებრივი საარსებო მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, მეორე, მცირე უმცირესობა, ფიქრობს არა თავის რჩენაზე, ეს მისთვის წვრიმალია, არამედ სიმდიდრის შეძენაზე, ქონების დაგროვებაზე და ამ გზით მომუშავე ნაწილზე გაბატონებაზე. მთელი დღევანდელი არევდარევა მოდის აი ამ წრეებიდან, ამ დიდმადიანი უაღვირო მოსაქმეებიდან, ბნელეთში მოჭახრაკებული ჯგუფებიდან. მაგრამ ესენიც შებოჭილი არიან მათგან დამოუკიდებული მდგომარეობით, არსებული ეკონომიური წესებით და მისგან გამომდინარე სავალი გზებით. რაკი ძირი საქმიანობისა ისაზღვრება ობიექტიური ფაქტებით, სავაჭრო და საწარმოვო კანონებით, ცხადია მის ნიადაგზე მო-

მუშავე მას ემორჩილება და მის ხაზზე მიიმართება. რაც მწარ-
მოებელი აწარმოებს გასაყიდათ, უცნობი ბაზრის და მუშაობი-
სათვის, რის სივრცე და რაოდენობა მან არ იცის, ცხადია ის
მუშაობს თვალდახუჭული, ბნელეთში, საეგბიოთ, რაც ხან გა-
უმართლდება, ხან არა. აქედან გაუთავებელი კრიზისები, მეტ-
ნაკლები სიღრმის და სიფართის. გონიერი არსებანი, ადამია-
ნები თავმოყრილნი ერთად, ერთ საზოგადოებათ, ერთ საქმეში
და იმავე დროს არ იციან რას ვისთვის აკეთებენ, რით გათავ-
დება მთელი მისი ჭაპანწყვეტა. გონება მათ ეხმარება მუშაო-
ბის აწყობაში თვით შრომის პროცესში, მაგრამ სრულიად არ
ეხმარება მიზანშეწონილად მუშაობაში, არ იცის რით და რო-
გორ დაბოლოვდება დამუშავებული საქონლის სვე-ბედი. უეჭ-
ველია ასეთ საზოგადოებას აქვს საბუთი იყოს მუდამ ნერვებ-
აშლილი და აფორიაქებული. გამოსავალი ნათელია. წარმოების
განთავისუფლება სტიქიისაგან, ალალბედისაგან და მისი და-
მორჩილება განსახლვრული მიზნისათვის — ერთადერთი მაღა-
მო არის ამ სენისა. მაშასადამე, ბაზრის ცოდნა, მოთხოვნილების
გამოთვლა, მუშტართა გამოანგარიშება, ერთი სიტყვით, ეკო-
ნომიკის დამორჩილება გონებისათვის და მისი ხელმძღვანე-
ლობა — ერთადერთი გზადახილია ამ ლაბირინტიდან გამოსავა-
ლათ. ნამდვილათ კი არცერთი საზოგადოება, არცერთი მთავ-
რობა ამ მიმართულებით არ მუშაობს, არავითარ ცდასაც კი
ამ მხრით არ ახდენს, არც ბურჟუაზიულს, არც სოციალის-
ტურს. კელა ერთნაირათ ცურაობს სტიქიის მორევში და კმა-
კოფილდება ამა თუ იმ ნაპირზე მიღვომ-მოღვომით წუმპესაგან
გამოუსვლელათ. სულ ბოლო ხანებში, ამ ხეთი წლის წინეთ,
გამოიგონეს ერთადერთი წამალი, შექმნეს თავთავისი კუთხუ-
რი ბაზარი საკუთარი კოლონიებთან ერთად, დასჭრეს მთლი-
ანი მსოფლიო სავაჭრო ასპარეზი, დაირიგეს თითო ნაჭერი,
გარდა გერმანიისა და იაპონიისა, და შეუდგენ ამ ახალ სა-
უძველებე თავისი წარმოების გადაწყობას. ეს იყო შორეული
წარსულისაკენ დაბრუნება, აყენება დიდი ხანია გარდაცვლილი
ნაციონალურ-ადგილობრივი ბაზრების, ჩაბერვა ძველი სუ-
ლის ახალ გუდაში, რაიცა დათავდა, სხვა გამოსავალი არ ქონ-
და, საშინელი კატასტროფით. ხალხს და ერს პატრონი არ
ძღმოაჩნდა.

ამნაირათ, ეკონომიკის სამი განუწყვეტელი რგოლი — წარ-

მოება, გასაღება და მოხმარა — ფაქტიურათ გაყრილი, თვითეუ-
ული ცალ-ცალკე, ერთიმეორეზე დამოუკიდებელია. მაგრამ ეს სამ-
ნაირი ბროცესი ცალ-ცალკე ვითარდება, თავ-თავის გზას იკე-
თებს, არსად არ შეიძრება. ერთი ეკონომიკა ასე დაშლილათ
არსებობს, შინაგანი წინააღმდეგობით, მისი ელემენტების ერთ-
მანეთთან ბრძოლით. ამ სამი წლის წინეთ ბრაზილიაში აუარე-
ბელი ყავა ზღვაში გადავარეს, ბევრი მოგვივიდათ, ხოლო აქ,
ეკროპაში, მას სანთლით ეძებდენ და ძვირათ ყიდულობდენ. გა-
დაყარეს მხოლოდ ერთი მოსაზრებით — ბევრი საქონლის ბა-
ზარზე გატანა დასცემს მის ფასებს, შემოსავალი დავარდება,
ბანკების ვალს ვერ გადავინდით, დავიღუპებითო. ე. ი. წარ-
მოების შენახვა მოითხოვდა ნაწარმოების განაღვეურებას. მი-
ზეზი აშკარაა: არც ევროპამ იცოდა რამდენი ყავა საჭიროა, არც
ბრაზილიამ რამდენი მოიმუშაოს. თვალდახუჭული მუშაობა
ასეთ შედეგს იძლევა. ასევე მოუკიდა საფრანგეთის პურს; მხო-
ლოდ აქ დაწვის მაგიერ შეინახეს, ბაზარზე არ გამოუშვეს,
გაიაფდებათ; მთავრობა დაეხმარა ფერმერებს ფასების ხელოვ-
ნურათ აწევაში, რომ ფინანსისტების ვალი დაეფარათ. თუ წი-
ნეთ იაფი საქონელი სახალხო ლოზუნგი იყო, ახლა პირიქით,
ძვირი საქონელი სანატრელი ბოლიტიკა გახდა. თვით ლეონ
ბლიუმის მთავრობამ თავისი უთვალავი ოფისებით და მოხელე-
თა გამრავლებით ეს ფასები სამეურნეო ნაწარმოებზე უმაღლეს
ხარისხამდე აიყვანა. ბანკები დაკმაყოფილდენ, გაცემული სესხი
დაიბრუნეს. იყო მეორე გზა, ვალების გაუქმება და მით ფასე-
ბის დაწევა, მაგრამ ეს ხომ რევოლიუციური რეფორმაა, პარ-
ლამენტარიებისათვის მიუღებელი. ერთი და იმავე ადგილის
ბეკნა ნიშნობლივი თვისებაა თანამედროვე დემოკრატიზმის და
რეფორმიზმის.

თუ წარმოებას და მოხმარას შორის არ არის კავშირი, თვი-
თეულ ამ დარგში მაინც უნდა იყოს რაიმე წონასწორობა, რა-
იმე ერთობა. ნამდვილათ კი აქაც იგივე დაშლაა, რაც ყოველგან.
წარმოება შედგება მრავალნაირი ხელობისაგან, სხვადასხვა
დარგისაგან. არავითარი ერთობა არ არის როგორც ხელობათა
შორის, ისე თვით ერთდაიმავე ხელობაში. ერთდაიმავე საქო-

ნელს ამზადებენ მრავალი დაწესებულება; ესენი ერთმანეთზ
არც კი იცნობენ, ვინ როგორ და რამდენს ამზადებს შეღრუებ
არ იცის. ასევეა კომერციაში; გამყიდველთა შორის არაკრთარი
მთლიანობა და ერთად მუშაობა არ არსებობს; ეგვერ დაშლაა
მყიდველთა შორის. შემოღებული კოოპერატივები ვერავითარ
ცვლილებას ამ დარგში ვერ ახდენენ. მართალია, არსებობს სა-
კურო ამხანაგობები და ტრესტები, მაგრამ ამით არსებითი
მხარე არ იცვლება, თვითეული ასეთი ორგანო მუშაობს მის-
მისდა, მათ შორის მუდმივი მოცილეობაა. ამ სფეროში იგივე
ძველი პროცესი ბატონობს, ახალი არაფერია.

სამაგიეროთ სპეციალისტების გამრავლებამ მოახდინა დი-
დი ცვლილება საზოგადოების წყობაში. ახლა იშვაათია ისეთია
მშრომელი, რომელიც არ იყვეს რაიმე დარგის სპეციალისტი.
დღევანდელი საზოგადოება თანდათან ხდება კრებული სპე-
ციალისტების, ხელობების; შრომის თანდათანი გაყოფა პიროვ-
ნებათა შორის ძლიერდება. უპროფესიონალი კაცი თითოთ საჩვენე-
ბელია. ხელობა გადაიქცა თავის რჩენის ერთადერთ წყაროთ.
მრავალი ხელობა დაედვა სარჩულათ სოციალურ დაყოფას —
კლასებს. წინეთ მუშა მუშისაგან არ განირჩეოდა მუშაობით,
ახლა კი სხვადასხვანაირათ მუშაობს, სხვადასხვა სპეციალის-
ტია და მათ აერთებს მხოლოდ სოციალური მდგომარეობა, კა-
პიტალისტისაგან დამოკიდებულება. ამ ურთიერთობაში არავი-
თარი ცვლილება სპეციალიზაციას არ შეუტანია; ზოგი იღებს
მეტ ხელფას, ზოგი ნაკლებს, მაგრამ მათი საფუძველი საერთოა,
ის არ ისპობა. ხელობის გამრავლება და განსხვავება ვერ ანე-
ლებს სოციალურ განსხვავებას. ამ სფეროში ხდება მხოლოდ
ერთნაირი ცენტრალიზაცია; ხელობა რიცხვით მრავლდება,
კლასების რიცხვი მცირდება. თანდათან ორი კლასი ყალიბდე-
ბა, საზოგადოება ორათ იყოფა. მხოლოდ ერთი მოვლენაა ახა-
ლი: ხელობა დღეს გაცილებით უფრო პატივცემულია, ვინემ
წინეთ იყო. მჭედლობა წინეთ იყო სამარცხვინო, ახლა კი სა-
ნაქებოა. და ასე ყველა ხელობა. ამით სხვადასხვა ხელობის
ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდა მორალურათაც, ერთიმეროის
პატივისმცემელი გახდა, საერთო უღელში შეება. მათ შორის
მეტი მატერიალური და იდეიური თანასწორობაა, ვინემ იყო
წინეთ. არ ისპობა, არც მსუბუქდება მხოლოდ ერთი უთანას-
წორობა დამქირავებლის და დაქირავებულის. ამიტომ სოცია-

ალური შენობის სიმბიმე სრულიად არ შემსუბუქებულა; პირი-
ქით, მის ქვეშ დღეს გაცილებით მეტი ხალხი გმინავს ჰინდ
წინეთ. მთელ სიმდიდრეს ქმნიან ხელობის შცოდნენი, ხოლო
ეპატრონებიან უხელობონი, არასპეციალისტები, იმ საბუთით
რომ მათ ფული უშოვიათ და საქმე დაუწყვიათ. იშვა ახალი
ქვეყანა, ქვეყანა ხელობათა, ხოლო მას ისევ ძველი ქვეყანა,
ძველი კლასი განაგებს.

სპეციალიზაციის განვითარება ხდება ტექნიკის, ე. ი. მეც-
ნიერების განვითარებით, ბუნების კანონების თანდათან გაგე-
ბით და გამოყენებით. და ვინაიდან ეს დაწყებული მსვლელობა
უფრო და უფრო გაძლიერდება, აშკარაა, სპეციალიზაციაც მას
გაყვება და ის მთელ ქვეყანას, თვითეულ პიროვნებას მოედება.
ბოლოს და ბოლოს მთელი საზოგადოება დანაწილდება ხელო-
ბათა ერთეულებათ, რაიცა ერთმანეთს გადაებმება განუწყვეტ-
ლათ. ერთი ხელობის დაცემა ან შესუსტება დაამშევს მის მა-
ტრაქებელთ და ცხოვრებას აურევს სხვებს. ამიტომ ამ ობიექ-
ტიური პროცესის აუცილებელი შედეგი უნდა იყოს დანაწი-
ლებული შრომის გამთლიანება, მისი შეგნებულათ წინამძღო-
ლობა. აა ეს დასკვნა ჯერ კიდევ ვერ შევიდა საზოგადოების
გაგებაში. ახალი შინაარსი ძველ სოციალურ ჩარჩოს ვერ შორ-
დება. და ასე ყოველთვის, ცხოვრება რევოლუციურია, აზ-
როვნება კონსერვატიული; ეს მას ვერ ეწევა, ხან მას მიჩან-
ჩალებს, ხან პირუკულმა შეტრიალდება. დრომომჭმული სოცი-
ალური შენობა ადამიანს თავს დააწვა და ჩაიჭირა სულიან-
ხორციანა თავის ბრჭყალებში. გასაქანი არ აქვს.

და მართლაც, მუშაკი მუშაობს სახელოსნოში, ამზადებს
უამრავ ნივთს, დიდის ფურადღებით და სიბეჯითით; მაგრამ
მისი გონება ამას იქით აღარ მიდის, არ იცის და არც აინტე-
რესებს ამ ნივთების სვებედი, შემდეგი მოგზაურობა, ვის
მიაქვს, როგორ მიაქვს, ვის ხელში გადავა, იაფია, ძვირია,
აღარაფერი არ იცის ამ დარგში, ეს მას არ ეკითხვის. ის მუ-
შაობს როგორც მწარმოებელი, სრულიად არ მუშაობს რო-
გორც მომხმარებელი. დამუშავება ხდება სოციალურათ, ერთად,
განაწილება კი ინდივიდუალურათ, ცალ-ცალკე. ტექნიკა აად-
ვილებს დამუშავებას, მაგრამ მუშის მდგომარეობა ამით არ
იცვლება, ვინაიდან არ ურევია განაწილების და მოხმარების
საქმეში. თუ წინეთ ასეთი განდგომა კერძო პირისა მთელი ეკო-

ნომიური მექანიზმიდან იყო დასაშვები და ასახსნელი, დღის ეგევე მოვლენა გაუგებარი და დაუშვებელია. როცა პრამიანი ხმარობს იმას, რასაც თვითონ ამჟავებს, მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება პირდაპირ მისმიერვე, გარეშეთა ჩაურევლათ, მაშინ ის დიდათ თავისუფალია სოციალური შენობის სიმძიმისაგან; თვით ეს შენობაც მოკლებულია ეკონომიკურათ ჩაგვრის სიმკაცრეს. არავის არ აქვს საძებარი ლუგმა პური თავის ოჯახის გარეთ. იქ, სამაგიეროთ, ძლიერია ჩაგვრა პოლიტიკური, ნაციონალური, ადამიანური და სხვა. დღეს, როცა თავის სარჩენი მასალა ყველა ოჯახს გარეთ აქვს საძებარი და შესაძენი, მდგომარეობა სავსებით შებრუნებულია და მოითხოვს ამ ახალი ამოცანის მოწესრიგებას თვით საზოგადოების მიერ; აქ ადამიანი ჩავარდნილია ფულის ტირანიაში, მას მხოლოდ ამ მეტალით შეუძლია თავი ირჩინოს და ამიტომ იძულებულია მხოლოდ მის შეძენაზე იფიქროს და იშრომოს. ის დახურდავდა, თავის კვების მეტი აღარაფერი ახსოებს; ჩაკეტილია თავის ვიწრო ხელობაში, დრო არ აქვს გარეთ გაიხედოს, მთელს თვალი გადაავლოს, გაიგოს და შეიგნოს რა ხდება მის ირგვლივ.

ეკოლიუცია ეკონომიური და ეკოლიუცია სოციალური მიმართებიან ერთიმეორის წინააღმდეგ, სხვადასხვა გზით. როცა პირველი აადვილებს თავისრჩენას, სიმდიდრის დაკროებას, მეორე ამნელებს ცხოვრებას, ამწვავებს ადამიანთა ურთიერთობას, აძლიერებს ჩაგვრას და შინაურ ბრძოლას. ამ ორი პროცესის შეერთება, მათი სინტეზი შორეული დროის საქმეა. ყველა წინააღმდელი ეკონომიური წყობა შეადგენდა საფუძველს სოციალური წყობისა. აქ იყო დაცული მათ შორის კავშირი და ლოდიკა. მხოლოდ ამ ერთ საუკუნეში დაირღვა ეს კავშირი, ისინი გაიყარენ. ჩვენს პრიმიტიულად მომუშავე გლეხს გაცილებით მეტი თავისუფალი დრო რჩება, ქალაქებშიაც კი მიდის სამუშაოთ, ვინემ ფრანგის გლეხს, მოუხედავათ მისი უკეთ ტექნიკურათ შეიარაღებისა. მას დრო სრულიად არ რჩება არა თუ ქალაქში სამუშაოთ, კრებაზე მისასვლელათაც. ის შედმივათ ჩაბმულია თავის ხელობაში. ეს სოციალური სენა ასენიანებს ერს პოლიტიკურათ, ნაციონალურათ, მორალურათ; მისი მეთაურობა. ხელთ უპყრია უმუშიერთ, უხელობოთ, არას შემქმნელთ, ენა დაგრძელებულთ. ესენი დგანან მოედანზე და

უჩიჩინებენ გამვლელ-გამომვლელთ თავის სახარებას. საქმის
ხალხს დრო არ აქვს თვითონ იფიქროს, თავისი გონების ჟატრულული
თვითონ იყოს; მას ეჩქარება და პირველ მოქნილ მოენებს და გრძელების
ლათ აყვება, მას ნდობას უცხადებს. პარლამენტარიზმი ამ ურ-
თიერთობის პოლიტიკური გამომხატველია. დახურდავებულ სა-
შოგადოებაზე კარიერისტები გაბატონებულან. დღევანდელი
ომის წინა წლებში საფრანგეთში გაჩნდა ახალი მიმართულე-
ბა — საგარეო ომის წაგებით მართველობის ხელში ჩაგდება მე-
მარჯვენეთა მიერ («დეფეტიზმი»). ერის დაცვა ამოვარდა მათი
პროგრამიდან. ასეთივე დასკვნამდე მივიღენ მარცხნივ, ხო-
ციალისტები, რომელთაც ნაციონალური საკითხი, ნაციის მომ-
ზადება თავდაცვისათვის გამოაცხადეს ნაციონალიზმათ, ნა-
ციონალისტების და არა სოციალისტების ხელობათ; ესენი არ
იყვენ დამარცხების მომხრე, მაგრამ საქმით მის წინააღმდეგ
არას აკეთებდენ, ერს არ ამზადებდენ. ამნაირათ, მარჯვენივ,
მარცხნივ და შუაში მდგომნი დამჯდარი მოცეკვავენი — ყველა
შხოლოდ თავთავის წრეზე ზრუნავდენ, ხოლო მთელი, საზოგა-
დოება, ერი თვალთახედვიდან დაკარგეს. ეკონომიური და ნაცი-
ონალური ევოლიუცია ერთიმეორეს დაშორდენ, ერთიმეორეს არ
ფარავს.

რასაკვირველია, ეს ეკონომიური განვითარება ყოველგან
ერთი სახის, ერთი შედეგის არ არის. ზოგან ტექნიკის აყვავე-
ბა ამაგრებს ერს, ამთელებს მას შიგნიდან, ზოგი კი მას შლის
და ანაწილებს. გერმანიის ტექნიკურ აყვავებას არ დაურჩა შე-
საფერი გასავალი, საჭირო სააღებმიცემო სივრცე და ჩაიმწყვ-
და თავის ოთხ კედელში. ამ სატუსალომ დაახსლოვა პატიმარნი,
დააკავშირა მჭიდროთ ერის ნაწილები და მოამზადა ისინი ცი-
ხის კარების დასამტკრევათ და გარეთ გამოსასვლელათ. საო-
მარი სულისკვეთება და მორალი გაძლიერდა. აქედან მომდი-
ნარეობს მისი ძლევამოსილი სამხედრო მოქმედება. საფრან-
გეთ-ინგლისი კი იმავე პროცესმა გადაისროლა დაუძლურები-
საკენ, მათ არაფერი აკლდათ ეკონომიურ და ტექნიკურ სფე-
როში, აკლდათ მხოლოდ შინაგანი სოციალური მთლიანობა
და მორალური გამძლეობა.

შექმნილმა მსოფლიო ეკონომიურ მთლიანობამ ვერ მოგვა-
ცა იურიდიული მთლიანობა, ხალხთა და ერთა თანასწორობა.
დღეს ისე, როგორც ხუთასი წლის წინეთ, თვითეული დიდი

სახელმწიფო ფიქრობს მხოლოდ თავისთავზე, თავის უაღრე-
სობაზე, თავის ტერიტორიის ძველებურათ გადიდებაზე. მრავალი კონფერენციის მესამე დღეს, როცა ჩეხის ინტერესები
სავსებით გერმანიას შესწირეს, ინგლისის პრემიერმა ჩემბერ-
ლენმა განაცხადა თემთა პალატაში თავის გასამართლებლათ:
ჩვენ პატარა ერის სევ-ბედი არ გვაინტერესებსო. ე. ი. მსოფ-
ლიო მხოლოდ დიდი ერების საკუთრებას შეაღვენსო. მაგრავ
ეს ბატონები განა მორიგდენ? ეკონომიურ მსვლელობამ ააფეთ-
ქა ყველა ძველებური ეკონომიური ბარიერები, ხოლო ამ ბა-
ტონებმა ის ისევ ააგეს, ვითომ ვიმყოფებოდეთ საშუალო საუ-
კუნებში. შეიქმნა ახალმოდის ეკონომიკა, არც ლია, არც და-
კატილი, დაჭრილი, დაუეუჯილი. სოლიდარობა შრომის პრო-
ცესის არ იძლევა სოლიდარობას საზოგადოების. პირველია
უსულო, ინერციული მოვლენა, ვითარდება სრულიად დამო-
უკიდებლათ ადამიანთა ნებისყოფისაგან. ის შედგება მრავალი
ნაწილებისაგან. აქვს მრავალი გასაძრომ-გამოსაძრომი ხერე-
ლები და ბილიკები, რომელთა თავისმოყრა და ადამიანის სამ-
სახურში ჩაყენება საზოგადოების საქმეა. სწორედ ეს არ ხდე-
ბა; პირიქით, თვითეული ფიქრობს იმაზე, თუ ამ სტიქიას ის
რას გამორჩება, რამდენ ლუკმას შეატეხს; ის არის საგანი
შუღლის და ბრძოლის და არა ერთობის. ე. ი. შეიცვალა, გა-
ნახლდა ადამიანის სასიცოცხლო პირობები, მაგრამ თვით ადა-
მიანი არ შეცვლილა, ახლაც ის ისეთივე მტაცებელი დარჩა,
როგორც იყო მასჟამსაშინა.

კაპიტალიზმის მსვლელობაში ეს მტაცებელთა ფენები გა-
ნიცდიან ცვლილებებს; ხან ერთი ჯგუფი წამოაჯდება მას, ხან
მეორე. წინა პერიოდში ეკონომიკას მეთაურობდა მრეწველთა
წრე, მოსაქმე და მოღვაწე შეძლებულები; ამჟამათ ისინი გა-
დარეკილია უკანა ადგილებზე, გახდენ დამოკიდებული ახლა
გაბატონებულ ფენებზე; ესენი შეიცვენ ფინანსისტებს, ბან-
კირებს, არასმენებლებს და მხოლოდ სხვისი ქონებით სპე-
ციულიანტებს. ამათ თავს მოახვიეს მთელ ეკონომიკას თავისი
სულისკვეთება და გავება. პირველყოვლისა გამოცხადდა საერ-
თაშორისო ფულათ ოქროს ვალიუტა, რომლის ღირებულების
სასწორზე იწონება ყველა საქონელი, მთელი აღებმიცემობა.
ვისაც ეს ლითონი მეტი აღმოაჩნდება, ის ხდება ქვეყნიერების
ბატონ-პატრონი, მსოფლიოს მთავარი კომერსანტი. დიდი ომის

წინ ასეთი იყო მხოლოდ ერთი სახელმწიფო — ინგლისი. შან მოათავსა სამშობლოს გარეთ 65 მილიარდი ოქროს შრევა ჩტეულო საფრანგეთმა 30 მილიარდი, გერმანიამ 20 მილიარდი ჩტეული რიგის ჩრდილოეთ შტატებს პირაქეთ ამათი ემართა 6 მილიარდი დოლარი. იქ კიდევ არ ბატონობდენ ფინანსისტები. დიდი ომის შემდეგ საფრანგეთმა გაცემული თანხების ორი წილი დაკარგა რუსეთში, ოსმალეთში, ეგვიპტეში და სხვაგან, გერმანიამ დაკარგა სავსებით; ერთ ბატონობა შერჩა ინგლის, რომელსაც გვერდში ამოუღდა შტატები. ამერიკა მსესხებელისაგან გადაიქცა გამსესხებლათ; ომის შემდეგ პირველ ათ წელიწადს უცხოეთში მან მოათავსა 13 მილიარდი დოლარი (1923—1934 წ.). ინგლის-ამერიკის ფინანსები შეერთდენ და გაიყვეს მხოლოდ ფულის ბაზარი. ახლა აშკარაა დღევანდელი საომარი კოალიციის სარჩევლი; ინგლის-ამერიკას გადაწყვეტილი აქცეს არალით ხელში დაიცვან თავისი ფინანსიური ჰეგემონია, დაცვან თავისი ბანკირები, ფინანსისტები. ამ მიზნით არავთარ კოალიციას არ ერიდებიან; მზათ არიან ევროპას შეუსიონ მოსკოველები, ოღონდ დანარჩენი ქვეყანა მათ დარჩეს. ფინანსიური ბატონობის გაძლიერება სჩანს შემდეგი ციფრებისაგან: ევროპის ბანკებმა ასი წლის განმავლობაში დადი ომის წინ გაასესხეს 110 მილიარდი ოქროს ფრანკი. ხოლო ომის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ამდენივე — სულ 220 მილიარდი. ამდენი თანხის დაგროვება სულ მოკლე დროში ფინანსისტების ხელში ნიშნავდა აშკარათ და უდაოთ მთელი ეკონომიური ძალაუფლების გადასვლას ფინანსისტების, ამ რიცხვით პატარა წრის, ხელში. რა გასაკვირალია, ესენი გაბატონებულიყვენ პოლიტიკაში და დაემორჩილებიათ ყველა მთავრობები.

ამ გადასხვაფერებულ მსოფლიო ეკონომიკაში გაქრა საჭონლის თავისუფალი ტრიალი, შემოიღეს «ოტარკია»; გაქრა მცხოვრებთა ახალ-ახალ თავისუფალ მიწებზე დასახლება, კოლონიების შექმნა, მოისპო ემიგრაცია; გაქრა ფულის თავისუფალი ტრიალი, შემოიღეს კონტროლი, დევიზები და სხვ.

ამ საერთო ეკონომიური ევოლუციის გვერდით მოდის პოლიტიკური ევოლუცია — გაძლიერდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიურ საქმეებში, დამყარდა ეტატიზმი, საშინაო ეკონომიის ხელმძღვანელობა, მთავარი საწარმოვო დარგების — მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის კონტროლი, ერთი სა-

ტყვით, გაბატონებული ფინანსისტები სახელმწიფო ძალაუფლების საშუალებით თავის სამსახურში აყენებენ მთელ კულტურულ მიკას. მივდივართ დაქანებული რომის გზით – ყველაფერი სახელმწიფოს, ხელმწიფოს, ყველაფერი სახელმწიფოსაგან.

პირველი ცდა ამ საერთო მდგომარეობის შემსუბუქების, ძველი ეკონომიკური ერთობის აღდგენის გააკეთა ერთა ლიგაშ. ეს მეცადინეობა გათავდა სრული დამარცხებით უმთავრესათ ინგლისის წყალობით. ბრიტანიის ყველა მთავრობა ტრავაისტებიანა წინ გადაედობა უნივერსიტეტების ცდას როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში და ამიტომ უნივერსიტეტები დარჩა ცარიელ ქადალდათ. ბრიანიც კი იძულებული იყო თავისი პროექტი ევროპის კონფედერაციის შექმნის და საერთო თავდაცვის მოწყობის შესახებ უკან წაედო. რატომ ხდება ეს, ასეთი მოყრუება, აშკარა ფაქტების დაუნახაობა და სიბნელეში დარჩენის მოსარჩლეობა? ახსნა უბრალოა, მეთაურობა ეკუთვნის იმათ, ვინც ღვრია წყალში ნადირობით ცხოვრობენ, ვინც საერთო ცეცხლის გაჩენით ხელს ითბობენ, საზოგადო არევ-დარევით თავისთვის საუკეთესო გამოსავალს პოულობენ. კრიზისი მათ არ ეხება, მათი ქონება ამით მატულობს და არა კლებულობს. რანაირათ მოხდა, რომ ერთი ქუჩის, ერთი ბირჟის აფეთქებამ ნიუ-იორკში აფეთქა მთელი მსოფლიოს ეკონომია, დაბადა ქრონიკული კრიზისი და შედეგად მეორე დიდი ომი? ამ გარემოებას რომ დაეცა ფინანსისტების ყოვლად შემძლებლობა, მათი პრესტიჟი და გავლენა—ასეთ კატასტროფას ვერ მივიღებდით. მაგრამ სწორედ ეს გაუთავებელი ღრმა კრიზისი შეეხო არა მათ, შეანძრია არა მათი ქონება, არამედ ფართო საზოგადოების, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის. ამოდენა ფინანსების დაგროვება ბანკების კასებში, ამოდენა თანხების ცენტრალიზაცია და ბაზარზე გამოშვება შესაძლებელი ხდება არა იმით, რომ თვით ფინანსისტები იძლეოდენ რამეს თავის ქონებიდან, არამედ ხალხის ჯიბით, მცხოვრებთა მომჭირნეობით, მათი მცირე შემონახული თანხების ბანკებისათვის მიბარებით. ამ მიღიარდების ერთადერთი წყარო არის უმთავრესათ მცირე მესაკუთრენი, ხოლო გამკარგველებელი და მომხმარებელი ბანკირები. კრიზისი ამ თანხებს კი არ აქრობს, ოქროს კი არ ფანტავს, არამედ მას ართმევს პატრონებს და აძლევს სპეციალიანტებს, ბანკირებს

და ბირჟევნიკებს. ერთი სიტყვით, საზოგადოების საკუთრება, მშრომელთა მიერ თავისი მუყაითობით შეძენილი ქანქება უარის დება რა არა მშრომელთა განკარგულებაში ანგრევს მთავე საზოგადოებას. ამ ბოროტებასთან ბრძოლა ეტატიზმით, მოხელეთა გამრავლებით, პოლიციური ზედამხედველობით და კონტროლით ვერავითარ დადებითი შედეგს ვერ იძლევა და არც შეუძლია მოგცეს. მთავარია კერძო პირის ეკონომიკა, მისი მუშაობის და საარსებო პირობების დაცვა და აწყობა, რაიცა მოგვცემს აწყობილ სახელმწიფო ეკონომიკას. ამ ძირითად საკითხს არ ეხებიან, კერძო პირის დამანგრეველი მუშაობა თავისუფალია, საშინაო ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ გაჩაღებულია, ძლიერის უპირატესობა დაცულია, ბოროტების ძირი ხელუხლებელია; ზერელე რეფორმიზმით, სახელმწიფო ბიუჯეტის და მოხელეთა რიცხვის გადიდებით მისი ამოთხრა შეუძლებელია. პირიქით, ამ გაბატონებულ შაიკას ჩაუვარდა ხელშა თვით სახელმწიფო მისი ბიუჯეტიანა და გაიხადა ის თავის საწველ ფურათ. ეს კიდევ ცოტაა, მასვე ჩაუვარდა ხელში ახალი თეორეტიული პრინციპების გამოვლება და გამოცხადება, ახალი ეკონომიკური დოქტრინის შეთხვა და მის თავისი წისკვალის აბრუნება.

კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების თანახმათ საქონლის ღირებულების ძირია შრომა, მის დამუშავებაზე დახარჯული დრო და ძალ-ღონე. ფული მხოლოდ მოსამუალეა ნაშრომთა გასაცვლელათ. აი ეს ჭეშმარიტება თავდაყირა დაატრიალეს და ღირებულების წყაროთ ფული გამოაცხადეს. აქედან დაიბადა ეკონომიკური პოლიტიკა – ფულის ტრიალის მოწესრიგებით ეკონომიკური მოწესრიგება. ამ ნიადაგზე შეერთდენ ხაზინა და ბანკები, სახელმწიფო და ფინანსისტები და ერთად ჩაუდგენ სათავეში ფულის აღებ-მიცემობას, ვალიუტის შექმნას და მოხმარას, რაიცა ორმაგი კატასტროფით გათავდა – ფინანსისურის და შემდეგ სამხედროთი. ეს ბატონები თავისი ოქროთი გაიქცენ საფრანგეთიდან გერმანელების შემოსვლისას იმ იმედით, რომ კვლავ დაბრუნდებიან წაღებული სავსე ტომრებით და ძველ გზას განაგრძობენ. მაგრამ მათ მიერ გათელილ გზაზე ახლა შედაგენ დარჩენილნი, ახალი სპეციალიანტები და შექმნილი მდგრადი მოწესრიდანაც თავის სასარგებლო გამოსავალს პოლიტიკას, ახალგამოჩეკილი «გროსისტები» განაგრძობენ ამ მიმართულებას.

ბით მუშაობას და ახალი სამხედრო დროის ეკონომიურ ზომებს იყენებენ თავის სასარგებლოთ. მიღის იგივე ეკონომიური პრინციპები ცესი, რაც ომის წინ; ვერავითარი საგარეო კატასტროფა შან ვერ აჩერებს, ვერ ბორკავს. მასი გამჩერებული და მომრევია ერთადერთი საშინაო კატასტროფა, რევოლიუცია, რაიცა არ-საიდან სჩინს.

წინა ეპოქაში, ამ 20—30 წლის წინ, ფული არასოდეს არა ყოფილა ეკონომიკის ცენტრი, არ აღიარებულა მის ბატონათ, წინამდლოლათ. რა მოხდა შემდეგ? მოხდა ერთი ახალი ამბავი, წინეთ ფული იყო მხოლოდ ერთი, ლეგალური, სახელმწიფოს მიერ გამოშობილი მისი გარანტიით. მას ქონდა თავისი მუდმივი ღირებულება და არც შეადგენდა საგანს სპეცულიაციისა. ვალიუტა იყო ურცევი, მუდმივი; ახლა კი — ეს მისი სუვერენობა და მუდმივობა გაქრა. ფულს უშვებენ ახლა კერძო ბანკებიც, რომლის რაოდენობა დიდათ აჭარებს ხაზინის გამოცემულს. ფულის ეს ახალი ფაბრიკაცია ხდება, რასაკვირველია, სახელმწიფო ბანკის დასტურით, ხოლო ეს ბანკი შედგება ყველა კერძო დიდი ბანკის წარმომადგენლებისაგან. და რადგანაც ყველა თავის საქონელს იცავს, ამიტომ ფულის უაღრესობის გამოცხადება ნიშნავს ამ ბანკების უაღრესობის ცნობას. ეს საკვირელი ამბავი, ეს კერძო ბანკების ხაზინის როლში მოვლინება აიხსნება ერთი მიზეზით — ფინანსისტების პოლიტიკურათ გაბატონებით, მართველობის სადავის მათ ხელში გადასვლით. ხელი ხელს ბანს. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, ნათქვამია. საითკვენაც უნდა მიბრუნდე, ყოველგან ამ ახალ ბატონებს ეჩეხები.

ასეთ საერთო ეკონომიურ და სოციალურ პირობებში დღის წესრიგში დგას არა მრავალნაირი რეფორმების აუცილებლობა, არამედ ერთი, ერთადერთი რეფორმის მოხდენა; ეს არის მთელი ეკონომიკის რეორგანიზაცია, მისი არსებული საფუძვლის დანგრევა და ახალზე გადაწყობა. ფულის საკითხის წინ წამოწევა და მისი გაზვიადება არის მხოლოდ საშუალება ამ ძირითადი პრობლემის დასაფარავათ. ფული თავისთავათ, თუნდაც ოქროს იყოს, არავითარ სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენს; ის არც იჭმევა, არც ისმევა, არც ჩაიცმევა. ყველა ეს თვისება აქვს მხოლოდ ნივთს და ამიტომ თვითეულ ამათგანს უნდა ქონდეს მიჩენილი თავისი ბუნებრივი ადგილი. ად-

ვილი შესამჩნევია მიმდინარე ცხოვრება, სადაც უფლისტესტები
დიდ როლს თამაშობს. ძნელი გასარჩევია ეკონომიური მექანიზმები
მი მთლიანათ, საიდანაც გამომდინარეობენ ყოველდღიური
მოვლენები. ამიტომ ის სავსებით მივიწყებულია და მთელი უ-
რადღება მიპყრობილია ამ გარეგანი შედეგებისაკენ. აქედან
წვრიმალი ცვლილებები, ზერელე რეფორმები.

ყველა ცნობილი ეკონომისტები თავის მოვალეობათ თვლი-
დენ შესწავლას ეკონომიური პროცესის და გამოკვლევას მისი
განვითარების კანონების. ეს იყო მეთოდი მეცნიერული, ერ-
თადერთი მიღებული. ისინი სრულიად არ იკვლევდნენ, არ აკე-
ნებდნენ საკითხს მისი შეცვლის, მისი გარდაქმნის შესახებ.
ერთადერთი ვამონაკლისია კარლ მარქსი. ის გაყვა მათ გზას,
მეცნიერულათ შესწავლის და გამოკვლევის მეთოდს. ხოლო
დასკვნა გააკეთა ახალი, დაასაბუთა არსებული ეკონომიკის
შეცვლის, უფრო მაღალ დონეზე მისი დაყენების აუცილებლო-
ბა. მან შეაერთა მეცნიერება და პოლიტიკა, ეკოლიუცია და რე-
ვოლიუცია. მაშასადამე, ეკონომიკისადმი მიღვიმა შესასწავ-
ლათ შეიძლება ორნაირათ, მეცნიერულათ, როგორც უდგებიან
ბუნების მოვლენებს და მეცნიერულ-სოციალურათ; ე. ი. ბუნე-
ბის უცნობენი შედის ბუნების კომპეტენციაში, ჩვენგან დამოუ-
კიდებელ სამყაროს მართვის კანონის ფარგალში, რის შეცვლა
თუ შენახვა ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. ხოლო ეკონომი-
ური მოვლენა შედის ადამიანის კომპეტენციაში, როგორც მის
მიერ შექმნილი და სამართავი. მისი შეცვლა მის ხელშია. ეს
უკანასკნელი შესაძლებლობა მივიწყებულია; დღესაც ეკონომი-
კას უდგებიან როგორც ბუნებას და ამით თავი მოაქვთ — მეც-
ნიერებას ვემსახურებითო. ამ მიმართულების შრომები ბევრი
გამოდის, იკვლევენ ყველა წვრიმალებს, მაგრამ საყველ-პურო
რეფორმებს ვერ შორდებიან; რაც უცვლელათ არსებობს, ის
გონიერია.

არც ერთ ეპოქაში, არც ძველ და არც ახალ ისტორიაში სა-
ზოგადოება არ ყოფილა ისე გაუგებარი და უვიცი თავისი
დროისა, როგორც არის დღეს, ეს უკანასკნელი ოცი წელიწა-
დია. დღევანდელი საშიშარი სამხედრო ქარტეხილიც ვერ აღ-
ვიძებს მას. არ გამოყავს ინერციიდან და არ უხელს თვალებს
მრავალი მოსალოდნელი უბედურებისაკენ. გრძელდება ერთი-
მეორის გაუგებრობა, ბაბილონის გოდოლის ენათ შერევა, სი-

ნამდეილის და ერთიმეორისაგან დაშორება. მოხდა ერთი მსულიერებული ფლიო ეკონომიური მოვლენა, საბოლაოთ გაიმარჯვა გამპიტკორისი ლიზმის ფინანსიურ ფორმამ. ეს ღრმა რევოლუცია ჩატარდა ურევოლიუციოთ, გარეგანი მშვიდობიანობით, ხოლო დამალულათ, ცხოვრების სიღრმეში დიდი მინგრევ-მონგრევით. როგორც კი ის შეუძვა წარმოების და აღებ-მიცემობის, მთელი ნივთიერი ურთიერთობის აწყობას თავის სახისამებრ, ატყდა დაუსრულებელი კონფლიქტები, შეტაკებები, არევ-დარევა ეკონომიურ, პოლიტიკურ და ნაციონალურ სფეროებში, რაც ას სიღრმიდან მაღლა ამოვარდა იარაღით ხელში. ეს ულმობელი ტრაგედია წარმოდგენილია არა როგორც აუცილებელი შედეგი არსებული წყობისა, არამედ როგორც შემთხვევითი მოვლენა, რის დაბმა და მოთვინიერება ერთადერთი მაღამოა. კაპიტალიზმის უკანასკნელი საფეხურის გაკოტრება, ფინანსიური ბატონობის ასე საჯაროთ დაცემა ნიშნავს გაკოტრებას მარტი ამ რევოლის თუ საზოგადოთ მისი მომავლინებელი კაპიტალიზმის? სწორედ ამას არ სცნობენ დღევანდელი მილიტარისტები და რეფორმისტები. მათი აზრით, კაპიტალიზმი ჩინებულია, ოღონდ ის იყოს მათ საბრძანებელში, ემორჩილებოდეს სახელმწიფოს და არა ბანკებს. ბირჟის აღავას პოლიცია — დაბნეულთა გამოგონებაა. ამით აისხნება ის საოცარი მოვლენა, რომ დღემდე ვერავითარი სამერმისო მოქმედების სოციალური პროგრამა ვერ გამოაქვეყნეს მოკავშირეებმა და მათ პარტიებმა. ამასწინეთ ინგლისიდან ლაპარაკობდა შუშათა პარტიის დიდერი ჰედონიზმი; წარმოადგინა პლანი ერთა ფედერაციის ეკონომიკი, გერმანიის ხანგრძლივი ოკუპაცია და სხვ. არავითარი ეკონომიური პროგრამა არ დაუსახელებია. პიტლერის მოპირდაპირეთ არავითარი სახვალიო სოციალური გეგმა არ აქვთ, გარდა ბოლშევიკებისა. ყველა გავლილ თაობას ქონდა რაიმე საზოგადოებრივი იდეალი; დღევანდელი მოქლებულია მას, სხელან თავცარიელი და ხელცარიელი ისტორიის ნაპირზე და შორიდან გასცემიან ზღვათა დელვას. თვითეული ფრანგი იმედოვნებს — ვიღაც მოვა და მას გაანთავისუფლებს «ტიკეტების» ტყვეობისაგან, ხოლო თვითონ კი საამისოთ საჯდომიდან არ ინძრევა. ვისაც ეკარგება იდეია, მას ეკარგვის ენერგია.

და აი უცებ ამ საერთო უთაობასა და უპროგრამობაში გა-

ისმა ხმა რომის პაპის, რომელმაც მთელი სოციალური გარდაქმნის გეგმა წარმოადგინა საშობაო დეკლარაციაში. მანამ მოაყენა შემდეგი პრინციპები:

1. საერთაშორისო მშვიდობიანობის დამფარება ერის საშინაო მშვიდობიანობაზე (დებულება სავსებით ჩვენი).
2. შინაური მშვიდობიანობა დაეყრდნოს ისეთ წესწყობილებას, რომელშიაც ადამიანი არ იქნება საგანი ექსპლოატაციის (ჩვენი).
3. საზოგადოებას უნდა ქონდეს მორალი, დაყრდნობილი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე; ესეც ჩვენია იმ განსხვავებით, რომ მორალს იძლევა არა მარტო ერთი რელიგია, არამედ სხვანიც, რასაც ერთვის სამოქალაქო ხასიათის მოძღვრებანიც. საერთოთ, მორალის საჭიროება და აუცილებლობა მისაღებია.

სწორედ სამარცხვინოა დაყუდებული ბერი იმლეოდეს მომავალი გარდაქმნის პროგრამას, ხოლო პოლიტიკური მოღვაწენი სდუმან. ცხადია, ვატიკანი კველაზე ნაკლებ გავლენას განიცდის ფინანსიური ტირანიისაგან, უფრო თავისუფლათ გრძნობს თავს და მით ეძლევა შესაძლებლობა ცოტა რამ მაინც გაიგოს და გამოთქვას დღევანდველი ურთიერთობაზე თავისი შეხედულობანი. სამაგიეროდ, სამოქალაქო საზოგადოებას მისი აღარაფერი ესმის, რა ხდება მის ირგვლივ და მის შიგნით ვერ შეუგნია და იბეკნება ერთ ადგილზე. საკვირველია, შევანათეთ ფიზიკურ მოვლენათა სიბნელეში, გავიგეთ მისი მრავალი საიდუმლოებანი, ხოლო საზოგადოების საიდუმლოებანი რჩებიან დამალულნი, ბნელეთით მოცული და გაუგებარი ადამიანისათვის. ჩვენს გარეშე მდებარე მოვლენებს ჩინებულათ ვსწავლობთ, ხოლო ჩვენს შორის მდებარე მოვლენათა არაფერი გვეფურება. ამის მიზეზია ერთი — ეს უვიცობა სასარგებლო იმათვის, ვინც თავის ქონებას იძენს ამ საერთო სიბრივის წყალობით; ბუნებისაგან თავის დაცვა შევისწავლეთ, ხოლო ამ ოხრებისაგან თავის დაცვა ვერ მოვაწყეთ. ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა, როგორც ამ ოცდათი წლის წინ გვეგონა. ძველი გარეპირებული ფორმულები გამოსადევი იყო ძველი სადა სოციალური ურთიერთობის გასაგებათ; იმავე ფორმულებით მიღებოდა დღევანდველ გართულებულ პირობებისადმი ვეღარ იძლევა მოსალოდნელ შედეგებს. მაგალითად, წინეთ სწავლა, ნასწავ

ლი ხალხის გამრავლება ნიშნავდა ერის წინსვლას და საუკეთესო წყობილებისათვის მომზადებას. ახლა ეს ასე აღარ არის და სასწავლი და განათლებული შეადგენენ დიდ ფენას ურისა გან გამოყოფილს და მის ზემოთ ძღვომ ფართე გავლენიან კრებულს და ამავე დროს ჩაბმულს გაბატონებული წყობილების სამსახურში. წამოყენებულია მთელი ღოქტრინა, მიღებულია ყველა ზომები ამ ხალხის მნიშვნელობის გასაზვიადებლათ და მისთვის საბატონო ადგილის გასაზიარებლათ. ეს ღოქტრინა არის მოძღვრება — შეიქმნას საზოგადოების საშოდან გამოყოფილი ზექაცები, ფრანგულათ «ელიტ», ანუ გამორჩეული, ჩვენებურათ ინტელიგენციის ნადები, ანუ უმაღლესი ინტელიგენცია, რომელიც უნდა მეთაურობდეს ცხოვრების ყველა დარგს, იძლეოდეს სახელმძღვანელო აზრებს და ამასვე ასრულებდეს. ამათი სახელებია პოლიტიკური მოღვაწენი, დეპუტატები, ვექილები, ორატორები, პროფესორები, დიდი მოხელენი, ბანკირები და სხვადასხვა. ეს მოძღვრება არსებობს დღეს ყოველგან, როგორც დემოკრატიულ ისე დიქტატურულ ქვეყნებში, იმ გარჩევით, რომ ერთის საფუძველია თავისუფლება, თავისუფალი შერჩევა, ხოლო მეორის ჯოზი, ბრძანება, მაღლადან არჩევა და დანიშვნა ამა თუ იმ პირის ამა თუ იმ თანამდებობაზე. ე. ი. სხვადასხვა მეთოდი, საშუალებები მათ ერისაგან გამოსაყოფათ, ხოლო თვით არსებით მხარე ამ მიმართულების ერთი და ივივეა, ორივე ერთნაირათ აღიარებენ ამ რჩეულთა უაღრესობას, უპირატესობას და მათთვის მთელი საზოგადოებრივი მისიის ჩაბარებას. მათ შორის, მაშასადამე, არის პრინციპიალური ერთობა, აღიარება რჩეულთა უმაღლესი მოწოდების, და არარჩეულთა, მასის, მათდამი დამორჩილების. მისაღებია კი ეს ღოქტრინა?

რჩეულთა თეორია დასაშვებია იმ დარგებში, რაიცა არ ეხება პირდაპირ ადამიანის ეკონომიურ ინტერესებს, სოციალურ ბრძოლას და შენ-ჩემობას. ასეთი დარგია მხოლოდ ერთი — მეცნიერება, ბუნების სამეცნიერება, ასტრონომიული და ტექნიკური აღმოჩენათა სფეროები. სრულიად მიუღებელია ამ დარგებში, რომელიც ეხებიან ადამიანის მართვა-გამგეობას, სადაც მთავარ როლს თამაშობს ნივთიერი ინტერესები, კარიერა, ეკონიქნი, ერთის გამდიდრების და მეორეთა დამორჩილების წყურვილი, რისგამო არავითარ მიუდგომელ მსჯელობას

და მოქმედებას ადგილი არ აქვს. ამ ასპარეზზე რჩეულთა ოერიას განაღდება ნიშნავს ერის დიდი უმრავლესობის, გლეხების, მუშების, მცირე მესაკუთრების დაყმობას მცირე გუნდისათვის. აი ამიტომ დემოკრატიაში, ე. ი. სახელათ ხალხის ბატონობაში, ბატონობს სინამდვილეში არა ხალხი, არამედ ეს მცირე გუნდი ინტელიგენციისა, კველა ეს მოლაპარაკე და კარიერის მაძიებელთა წრები. როცა ერთ სოციალისტ დეპუტატს შეეკითხენ — რატომ პალატაში მუშებს არ ირჩევთ, მან უპასუხა — ჩვენ მაშინ თავი რით ვირჩინოთო! ჩინებული «საელიტო» პასუხია. მუშამ თავი ირჩინოს ფაბრიკაში მუშაობით, ინტელიგენტმა ლაპარაკით. პოლიტიკა ეკითხვის ინტელიგენციას, ხალხის მოწოდებაა მხოლოდ ერთი — მას მისცეს თავისი კენჭები და მას დაემორჩილოს ახალ არჩევნებამდე. და სწორედ ამ შინაარსის კონსტიტუციაა განხორციელებული საფრანგეთში. ხალხი ოთხ წელიწადში ერთხელ იქრიბება, ირჩევს დეპუტატებს და ამით ათავებს თავის სუვერენობას; ამ ტექნიკური პროცესის, ამ კენჭობიას გარეშე მას აღარაფერი არ ეკათხვის, ნამდვილი სუვერენია არა გლეხი და მუშა, არამედ ინტელიგენცია.

ეს სოციალური ევოლიუცია აქ გაჩერებულიყო მისი უარყოფითი თვისებები განახევრდებოდა, მისი შეკეთება შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ კველა მოვლენას თან ახლავს ლოლიკა, განვითარების აუცილებლობა და მიყავს ის შესაფერ დასკვნამდე. რაკი ინტელიგენცია გამოცხადდა მართვა-გამგეობის მთავარ ძალათ, მას გაეხსნა ფართე საკარიერო ასპარეზი. ის შეიძყრო ფულის შოვნის, დიდი ჯამაგირების წყურვილმა. ის ბუნებრივათ მივიდა ამ წყურვილის მოსაკლავ წყაროსან, ფინანსიურ ოლიგარქიასან და ჩადგა მის სამსახურში. დამოუკიდებელი «რჩეულნი» აღარ არსებობენ. აი ამ გარემოებამ გაამაგრა კაპიტალიზმის ეს უკანასკნელი საფეხური, გააძლიერა ბანკების ყოვლად შემძლებლობა, ხალხის მათდამი დამორჩილება, სამრეწველო და სააღებ-მიცემო კაპიტალიზმის ჩამოქვეითება — ერთი სიტყვით, ხელი შეუწყო საზოგადოების დახნულებას და გამოფიტვას.

ამ ორი უსაქმო ხალხის შეკავშირებამ, მოენიძე ინტელიგენციის და სპეცულიანტი ფინანსისტების გაბატონებამ, მოგვცა ის საოცარი, გასაშტერებელი ფაქტი, რაიცა აქ მოხდა. რო-

გორც კი გამარჯვებულნი გერმანელნი შემოვიდენ, ეს ჩატრიქული
ბი გაიქცენ ბორდოში და ერთი დაკვრით ხელი აიღეს მარტივი გელი
ლობის აპარატებზე, გამონახეს ერთი მოხუცი ღენერალი და
მას აკიდეს მთელი ეს სიმძიმე, წაქცეული გემის კაპიტონია და
თვითონ დაითანგუნ. არავითარი ბრძოლა, არავითარი პოლი-
ტიკური გადახალისება, არავითარი წინააღმდეგობა — არაფერი
ადამიანური, მხოლოდ და მხოლოდ დაშინებული, დავარდნილი,
ნებისყოფას და ხასიათ მოკლებული მეთაურების ბრძოლის ვე-
ლიდან გაქცევა. ინტელიგენციამ გაჭირვების დროს გამოაფინა
თავისი თვისება: უილაჯობა, უხასიათობა, გამბედაობის და
მხნეობის უქონლობა, გაჭირვების და სიმძიმის აუტანლობა,
იოლი ცხოვრების ძიება, ლხინში ხალხთან კოუნა, ჭირში მის-
გან გაქცევა. ამათ ამარა მყოფი ერი დამარცხებულია. ხალხი
მოდის ბრძოლის და განვითარების ველზე ათასი წლობით,
იტანს უთვალავ გაჭირვებას, იბრძვის თავდადებულათ არსებო-
ბისათვის. მასში აღზრდილი და შთანერგილია ხასიათის სიმაგ-
რე, ძლიერი ნებისყოფა, მებრძოლი სული; საფრანგეთის ხალხ-
ში ყველა ეს თვისება საქვეყნოთ გამოაფინა დიდი რევოლუ-
ციიდან დაწყებული, ყველა მოგებულ თუ წაგებულ ომში ის
თავის სადარაჯოზე ამაყათ რჩებოდა და ღირსეულ გამოსავალს
პოულობდა. და ახლა მთელი ეს ისტორიული ხაზი უცებ წა-
იშალა, ბრძოლის ველიდან გაქრა, ერი დაჩოქილი მიიმალა.
ასეთი ბედი არგუნა მას ინტელიგენტურ და ფინანსიურ ოლი-
გარხიამ, ენის, ხაწერ-გალამის და ოქრო-ვერცხლის მოტრ-
ფიალეთა ბატონობამ. თქმულება: როგორიც ღვდელი, ისეთი
ერი, გამართლდა.

ერთხელ კიდევ დამტკიცდა, დამტკიცდა საშინელი ტრაგე-
დიით ის, რომ ერის მებრძოლია ის, ვინც ცხოვრებაში მებრ-
ძოლია, ვინც თავისი მძიმე შრომით, თავისი მარჯვენით გზას
იკაფავს და შეადგენს საზოგადოების საფუძველს. ამათი გადა-
რეკა ერის სათავიდან და მის ალაგას მორეკა უხერხემალო,
გაძრომ-გამოძრომით ცხოვრების მაძიებელთა არ შეიძლება არ
გათავდეს ნაციონალური კატასტროფით; რომის სახელოვანი
პერიოდის მეთაურები, ყოვლად შემძლე სენატორები და სარდ-
ლები თავისუფალ დროს ყანას თოხნიდენ და ამით თავს ირ-
ჩენდენ. ყველა ომში მოპოვებულ ქონებას ხაზინას აძლევდნ. როცა ეს მეთაურობა შეიცვალა ჩინის და ჯამაგირის მაძი-

ებელ მოხელეებით, რომი დაეცა. შემოჭრილ ბანდებმა კერძა-
ნელებისა ნაწილ-ნაწილ დაშალეს ის და დაიპყრეს, მსგაბნი
მოვლენა განმეორდა დღეს ჩვენი თვალის წინ. ისტორიის გაკ-
ვეთილიდან არას სწავლობენ.

საზოგადოების შინაგანი ურთიერთობის ასე შებრუნება გა-
მოიწვია ერთმა დიდმა ცვლილებამ, ახალმა შეხელულობამ სიძ-
ლიდრეზე, რამაც ძირბუდიანათ ამოაგდო ძველი პიქოლოგია,
გველა წინანდელი ეკონომიური წარმოდგენა. თვითეული ეძებს
სიმდიდრეს, ეს ძველი ამბავია. მხოლოდ იცვლება წარმოდგე-
ნა სიმდიდრეზე. წინეთ მას ხედავდეს სხვადასხვა სახის უძ-
რავ საკუთრებაში, მიწა-ადგილი, შენობები, ფაბრიკა-ქარხნები
და სხვ. დიდი ომის შემდეგ სიმდიდრე დაისახა მოძრავ ქონე-
ბაში, ფულის მოგროვებასა და შენახვაში. შემნახველი კასები,
კერძო თუ სახელმწიფო საფინანსო დაწესებულებები გადაიქ-
ცენ მთავარ ცენტრათ თანხების დაგროვებისა და აქედან წარ-
მოება-აღებ-მიცემობაში დაბანდებისა. მეპატრონეთ ეძლევა
მცირე სარგებელი, ხოლო ამ მოსაშუალეთ, გადამცემ გამსეს-
ხებლებს რჩებათ დიდძალი მოგება. ამიტომ ყველა მესაკუთრის,
ამათ შორის გლეხებისაც, სურვილია თავისი უძრავი ქონება
გადასცვალონ მოძრავზე, მოიპოვონ ფული და მისი საშუალე-
ბით თავი ირჩინონ. ამ ტენდენციას აძლიერებს აგრეთვე სა-
ხელმწიფოს მძიმე გადასახადი, ეტატიზმი, ბიუჯეტის მუდმივი
ზრდა, მოხელეთა გამრავლება, რის ხარჯები მესაკუთრეთ
აწევთ გადასახადების სახით; მას ემატება ხაზინის მიერ მუდ-
მივი სესხიანი ქაღალდების გამოცემა და გაყიდვა – ერთი სი-
ტყვით ყოველი მხრიდან ფულის მოთხოვნილება. ფულის ასე-
თი მნიშვნელობის გაზვიადებამ მოგვცა მისი უარყოფითი მხა-
რებიც. ვალიუტა სპეკულიაციის მთავარი საგანი ხდება, რა-
იცა სცემს ფულის ღირებულებას. 1921 წლიდან 1934 წლამდე
წარმოებს მუდმივი ღევალიუცია, ფულის ფასის დაცემა, მა-
შასადამე, ხალხის სიმდიდრის განივება; მიუხედავათ ამ ცნო-
ბილი მოვლენისა, ხალხის ფსიქოლოგია არ შეცვლილა, ძვე-
ლი შეხედულობა სიმდიდრეზე ვერ აღსდგა. და ახლაც, მიუხე-
დავათ ფულის ღირებულების საშინლათ დავარდნისა, ერთი
კილო კარაქის ფასი 20 ფრანგიდან ოთხას ფრანგიმდე ავიდა,
მოქალაქე განაგრძობს ძველებურათ ფრანგებზე ლოცვას. უძრა-
ვი საკუთრების შეძენას ახლაც ისე გაურბიან, როგორც წი-

ნეთ. ამით აიხსნება ის საოცარი მოვლენა, რომ უძრავი საკუთარი რების ფასი არ შეცვლილა, სახლი და მიწა ქირავდება თუ იყრიდება დება ძველებურათ.

რაკი ასე დაეცა უძრავი ქონების ძალა და მნიშვნელობა, ამით დაეცა თვით ტერიტორიის მნიშვნელობა, ნაციონალური შეგნების და პატრიოტიზმის საფუძველი. აღამიანი მიკრულია არა სამშობლო მიწა-წყალზე, თაქ ირჩენს არა მისი დამუშავებით და გამოყენებით, არამედ მოძრავი, გამფრინავი ლითონით, უსაზღვრო და უსამშობლო ქონებით. სადაც მცხოვრები ამ წყაროს იშოვის, მისი სამშობლოც იქ არის; ვინც მის მოპოვებაში ხელს არ შეუშლის, მისი მტერი არ არის; სამშობლოს ოკუპაცია უცხო ძალისაგან სავსებით მისაღებია თუ შრომის თავისუფლება და საკვები მასალა ერს არ დააკლდება. ამიტომ გერმანიის შემოსევას პირველ ხანაში შეხვდენ აქ მეგობრულათ და თუ შემდეგ ეს ამბავი აღარ მოეწონათ — ამის მიხეზია არა სამშობლოს დაცვის იდეია, არამედ საჭმელის ნაკლებობა, «ტაკეტები»-ს შემოღება. და ახლაც ერთი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში, ოღონდ ეს სანოვაგის შევიწროება მოგვაცილონ, თუნდაც ბოლშევიკები შემოვიდენო. ამჟამათ მთელი საფრანგეთი სწუხს ტყვების გამო, ხოლო არავინ სწუხს იმაზე, თუ მათ რა ჩაიდინეს, რანაირათ სამარცხინოთ უარი თქვეს ტყვიატორიის დაცვაზე და უბრძოლველათ იარაღით ხელში ტყვეთ ჩაბარდენ გერმანელებს. ასეთ ლაჩართ ძველი რომაელები არ მიაკითხავდენ, არ გამოისყიდდენ, ხოლო დაბრუნებულთ სამართლში აძლევდენ, როგორც მოღალატეთ. ხოლო აქ, საფრანგეთში, იმათ გმირათ სახავენ. ერთისიტყვით, პატრიოტიზმის ნივთიერი ბაზის შერყევამ მოგვცა შერყევა იდეიური, თავდაცვის ნიადაგის, ნაციონალური სულისკვეთების და თავის დადების. მოქალაქე არ არის მიკრული სამშობლო ტერიტორიაზე, ის მხოლოდ მისი ბინადარია, დროებითი სტუმარია; მისი საცოცხლე უფრო დამოკიდებულია ნიუ-იორკის ბირჟაზე, ვინემ პარიჟზე. მას ხელთ უპყრია სხვადასხვა ქვეყნის და საქმის აქციები და ობლიგაციები და ამით ზომავს ქვეყნიერებას. ის ძირამოვარდნილია, მუდმივი მოარულია, მაწანწალა მცხოვრებია, დაუდგრომელი და ნერვებაშლილი. ძილში და ღვიძილში უღანდება მხოლოდ ფული და მის მიერ დაპყრობილია. კიდევ მაღლობა ღმერთს, რომ ჩვენი ერი ასე შორს ჯერ არ წასულა,

კაპიტალიზმის ამ ფაზაში არ შესულა და თავის ნიადაგს არ
მოსწოვებია.

ამნაირათ, კაპიტალიზმის მიმდინარე საფეხურმა პშალა რა-
კუონომიკის ფენი შეარები, შეიტანა სრული არევდარევა წარ-
მოების ფენი დარგში, დაშალა მთელი ნაციონალური სული-
ერი შენობა, დაუკარგა ერს ფეხის მოსამაგრებელი მკვიდრი
ნიადაგი და დაამსგავსა ის უსამშობლო ადამიანთა გროვას.
აგრარიულ ქვეყანაში ბატონობენ ადათ-ჩეეულებანი, საუგუ-
ნოებით შექმნილი ხალხური სიბრძნე, რითაც ხელმძღვანელობს,
რასაც ანგარიშს უწევს ცხოვრები. აქ კი, პირიქით, მოშლი-
ლია ფენი ძველი ჩეეულებანი, არ მუშავდება და არ მყარდება
ახალი, არ არსებობს არავითარი სახელმძღვანელო სულიერი
ცენტრი და სიტყვა-პასუხი მომწყვდეულია ერთ აჩემებულ ვიწ-
რო კუნჭულში. არავის არავისი ჯავრი არა აქვს. ფენის ახ-
სოვს მხოლოდ თავისი თავი, სხვის ამბავს, რაგინდ ახლობელი
იყოს, არ კითხულობს, მეზობლის და ნათესავის ყოფა-ცხოვრე-
ბა არ აინტერესებს. აი მაგალითად რა ამოვიკითხე დღეს გა-
ზეთებში. ერთი მოხუცი ქალი იდგა მარტო; სამი წელიწადია
ბინის ქირა არ გადაუხდია; სახლის პატრონმა უჩივლა, აიღო
აღმასრულებელი ფურცელი და ბოქაულით მიადგა კარებს ავე-
ჯოულობის ასაწერათ. რადგანაც შიგნიდან კარი არ გაუღეს; ჩა-
მტკრიეს შესავალი, შევიდენ და ნახეს მდგურის ჩონჩხი ლო-
გინში. თურმე მდგმური მომქვდარა სამი წელია და ამ ხნის
განმავლობაში არ გამოჩნდა ვინმე მისულიყო და ეკითხა მისი
სვე-ბედი, თუმცა ნათესავები ბევრი ყოლებია. აღამიანის სული
ასე გაციდა, რყინათ გადაიქცა, ცოცხალი გული აღარ არსე-
ბობს. მას დაეკარგა შინაგანი წონასწორობა და შეტობა აფო-
რიაქებულ სოციალურ მორევში. ხან მისი სასწორი აიწევს
მაღლა-მაღლა და მას გონია ცამდე მივაღწიეო, ხან დაიწევა
დაბლა-დაბლა და გონია ქვესკნელი გავიარეო. ამ მუდმივ სა-
ქანელაზე ზის ჩევნი ქებული ევროპიელი და შფოთავს უგზო-
უკვლოთ მოხეტიალე აღვირწახსნილი. ის გზაშია, გადამავალ
ხანაშია; ორში ერთი: ან მართლა გადავა ახლათ აწყობილ
ცხოვრების წესებში და მით გამოვა დღევანდელი კრიზისიდან,
ან გადავა სავსებით სასიკვდილო, გამანადგურებელ არევდარე-
ვაში და მით ბოლო მოეღება. განვითარებული ტექნიკა გადაიქ-

ცევა ევროპის სამარეთ თუ მის აღდგომათ — აი ის ორი გამოსა-
ვალი, რომელთა შორის უნდა მოხდეს არჩევანი.

ევროპამ ვერ მონახა გამოსავალი მშვიდობიანი გზით და
მიაშურა იარაღს, გზების ასარევათ, ახალი მერმისის ძალით
შესაქმნელათ. ცხადია, ის გრძნობს არსებული საფუძვლის შერ-
ევას, მის არევდარევას და ეძებს საშუალებას მის შესაკეთებ-
ლათ თუ შესაცვლელათ. აქ კი სუფევს აზრთა სრული აბნე-
ულობა. ორივე მეომარი ბანაკი ფიქრობს კრიზისის გამოსწო-
რებას შეკეთებით, შესწორებით, მიწვე-მოწვევით; ხოლო თვით
საფუძვლის შეცვლა, მის აღავას ახალი საძირკველის ჩაყრა
მათი აზროვნობიდან გამორიცხულია; ერთადერთი გამონაკლი-
სია მოსკოვი, რომელიც ფიქრობს ევროპის გაძელინერებას
ყოველგან საბჭოთა წყობილების დამყარებით, რუსული ეკო-
ნომიკის მთელ მსოფლიოზე გავრცელებით. ეს იქნება მართლა
შეცვლა, მაგრამ შეცვლა მომაკვდინებელი წყობილებით, ადა-
მიანის და ადამიანური ურთიერთობის განადგურებით და ძვე-
ლი აზიური ბარბაროსობის გაბატონებით. აი ამ გამოსავალს
დღეს ამაგრებენ და ხელს უწყობენ თვით ევროპიელები, ინგ-
ლისის მოგავშირენი. ე. ი. დასავლეთი იმდენათ დაიშალა, მისი
ძირი იმდენათ აინგრა, მისი ცივილიზაცია იმდენათ დაიჩინა,
რომ თავის დასაკლავ დანას თვითონვე ლესავენ, შინაური, სა-
მეხობლო ანგარიშების გასწორებას თვითმკვლელობით ფიქრო-
ბენ. ატლანტიკის ცივილიზაციას დასაბამიდან ასეთი სულიერი
კრიზისი არ განუცდია; ის მუდამ მიღიოდა თავაწეული, გაშ-
ლილი დროშით, თავისთავის ერთგული და წინამდღოლი. ახლა?
ახლა დაუჩიქა მოსკოვს და მასზე დაამყარა თავისი იმედები!
და ეს სწორედ ის ერებია, რომელნიც სამართლიანად ითვლე-
ბოდენ ცივილიზაციის მეთაურათ და მედროშეთ*). ეს ერთი
ფაქტი, დასავლეთის შინაური ანგარიშების გასწორების სა-
შუალებათა ძებნა ბოლშევიკურ აღმოსავლეთში საუკეთესო სა-
ბუთია ევროპის დაქანების და სიდამბლის.

კაცობრიობა მოვალეა კარგად დაკვირდეს და შეისწავლოს
ევროპის დღევანდელი მდგომარეობა, არ აყვეს მის ფეხის ხმას
თვალდახუჭული, არ მიიღოს მისი უარყოფითი, დამღუპველი
წესები და მით თავისთავს გამოუჭედოს საიმედო ხანგრძლა-

*) იხილეთ ამ საკითხზე ჩემი წერილები იბრძოლის ხმა № 39 და 40.

ვი მომავალი. მეცნიერება, ტექნიკა, რასაკვირველია, მისაღებია, გამოსაყენებელია; მაგრამ სრულიად არ არის მისზღვები ჰელიუსი ტექნიკის ხალხთა რბევის, ქალ-ბავშვების ხოცვის იარაღით გადასახადის დაქცევა. მეცნიერების უდიდესი როლი უმდაბლესათ დაეცა; ის გადაეკიდა საზოგადოებას და სპობს. დღევანდელი ამბების შემყურე თავისთავს უნებურათ ეკითხება: განა არ სჯობდა კაცი დარჩენილიყო შეიარაღებული შვილდისარით, პრიმიტიულ ბუნებრივ მდგომარეობაში. მეცნიერება და ცხოვრება დაეჯახა ერთმანეთს; პირველი სჭედს წაღმა, მეორე უკუღმა. მაშასაძამე, ეს მათი დაპირდაპირების მოშლა, მათ შორის თანხმობის ჩამოგდება, ერთ გზაზე, ერთი მიმართულებით მათი მსვლელობის ჰარმონიულათ აწყობა დღევადელი მთავარი გადასაჭრელი ამოცანაა. ევროპის ნორმალურ კალაპოტში მოქცევა არ არის მარტო ევროპის საჭირბოროტო საკითხი. ის ეხება კაცობრიობას. ეს საკაცობრიო საკითხია.

მეცნიერული გონება განმარტოვებულია, მას გვერდში ვერ ამოუღვა სოციალური გონება, საზოგადოებრივი რაციონალიზმი. ეს მათი გაყრა წარმოებს თავისთავათ, სტიქიურათ, განვანზე გათიშული მსვლელობით. ცხადია ამ გათიშვის მოსპობა სრულიად შეუძლებელია იმავე რაციონალიზმის საშუალებით. სწავლა-ცოდნა, განათლება ამ უკანასკნელ ხანაში გაცილებით უფრო განვითარებული და გავრცელებულია, ვინემ იყო ოდესებე. და რომ ეს დარგი იყოს წყარო ბედნიერების, ქვეყნათ სამოთხე დამყარდებოდა. დახედეთ და ნახავთ რა ჩინებული ხელმძღვანელობია შემოღებული შკოლებში, რა მოწიწებით ეპყრობიან მასწავლებლები თავის მოვალეობას, რა გულმოდგინეთ სწავლობენ შეგირდები. როგორც სწავლას ათავებენ და ცხოვრებაში გამოდიან, შკოლებში შეძენილი ჰუმანიური მსოფლმხედველობა, შეძენილი ადამიანური წარმოდგენები ეკარგებათ და მწარე სინამდვილის ტყვეთ ხდებიან, წმინდა წყლიან წუმპეში ვარდებიან. მაშასაძამე, დასანგრევია ის ტელელი, რომლითაც საზოგადოება შემორტყმულია, დასალეწია ის ფარ-ხმალი, რომლითაც საზოგადოებას თავს დასდგომიან და მას ցურს აბამენ საითკენაც და როგორათაც მოესურვებათ. ეს კი შესაძლებელია არა ცარიელი სიტყვებით, კეთილი სურვილებით, პარლამენტებით და კენჭებით, არამედ მაგარი ხელით, ხალხთა რევოლუციით. სწორედ ამ მეთოდს

ებრძვიან ყველა გაბატონებულის, ყველა მაღათ მაცხო-
ნენი და თავისი მაგარი ხელით ამაგრებენ თავის შემქცევა-
სართობ ორატორიას, სალაპარაკო და საკარიერო დაწუხებუ-
ლებებს. მეორე ინტერნაციონალიც კი ამ ჭაობში ჩაიფლა, ენა
და კენჭი სოციალური სენის მთავარ მაღამოთ გამოაცხადა. ის
გადაუდგა თავის ძველ კლასიკურ მოძღვრებას და სოციალურ
უტოპიას აეკვიატა. ახალი თაობის, ახალი ინტერნაციონალის
მოვალეობაა გამონახოს დავიწყებული ძველი გზა, გაითვალის-
წინოს აწინდელი მდგომარეობა, მთელი ეკონომიკური ეკოლიუ-
რია და მის შესაცვლელათ ააფრიალოს რევოლიუციური დროშა.

სწავლა-ცოდნის გავრცელებამ ვერავითარი ცვლილება ვერ
შეიტანა ადამიანთა ურთიერთობაში. ძველი მოძღვრება მორალ-
ზე, ჭეშმარიტებაზე, კაცობრიობის გაძლიერებაზე სავსებით
დავიწყებულია, მოცდილთა თავის შესაქცევათ გამოცხადებუ-
ლია. გონებრივი სიმაღლე, შეძენილი განათლება, სულიერი სის-
ტეტაკე მეტ ბარგათ მიჩნეულია. ყველა ამ განძს ფარავს და დევ-
ნის ადამიანთა ერთმანეთთან შეუჩერებელი ბრძოლა, მათი
ბურხლი, ქიმპობა და ერთიმეორის რბევა. წინეთ თეორეტიკო-
სებს, განათლებულ პირებს დიდი გავლენა ქონდათ, მათ ჭკუას
ეკითხებოდენ, პატიუებდენ მართველი წრეები; ხშირათ მათ
რჩევას არ ასრულებდენ, მაგრამ ყურს მაინც უგდებდენ. ახლა
მათ დაეკარგათ ძველი ბაზარი, მათი ადგილი დაიჭირა ბანკი-
რებმა, ბირჟევნიკებმა, გაძრომ-გამოძრომის სპეციალისტებმა.
მათ ეკუთვნის სახელიც და სახრავიც. 1871 წ. დაარსებულ
„პოლიტიკური მეცნიერების შკოლის“ შესახებ სიხარულით
სწერდა ტენი: «ამ შკოლის ლექციების დასკვნები გადაიქცევი-
ან საფუძვლად ყველა იმ ზომებისა, რაც ჩვენ აუცილებლათ
უნდა მივიღოთო» და სხვ. ე. ი. შკოლა გასწევს საზოგადოების
მეთაურობასთ. აი ეს რწმენა. ინტელექტუალიზმში, მაღალი გო-
ნების ბატონობაში სავსებით დამხსო მერმინდელ საზოგადო-
ებამ. ის არ სცნობს ხელმძღვანელათ არა პოლიტიკურ შკო-
ლას, არამედ არც ობიექტიურ მეცნიერებას. ახლა იგებენ და
აფასებენ მხოლოდ უტილიტარულ ცოდნას, რა გამოადგება თა-
ვისი არსებობის გასააღვილებლათ. რადგანაც ამ მიზანს ემსა-
ხურებიან ცალ-ცალკე, იძალება მათი დაუსრულებელი ჯაზი და
შეტაკება. მაღალი იდეია, წმინდა განათლება ამ მეთოდს უარ-

ყოფს. ამიტომ ის დაგმობილია, და დაბალი იდეია, საბივშტექ-
სო დროშა გამოფენილი და მოწონებულია.

შექველია, დღევანდელი სოციალური ამოცანა გაცილებით
უფრო რთული და ძნელი გადასაჭრელია, ვინემ ის იყო მეთვ-
რამეტე საუკუნეში. მაშინ დღის წესრიგში იდგა საკითხი თა-
ვისუფლების, საშუალო საუკუნური შემბოჭავი არტახების და-
ლენვის, რომ ამით თვითეულს შესძლებოდა თავის ჭკვაზე ემუ-
შავა და მოეწყო თავის ცხოვრება, როგორც პიროვნებას, ისე
ერს. მთელი ეს მუშაობა და ბრძოლა წარმოებდა ერთი დრო-
შის ქვეშ, რომელსაც ეწერა: ჰუმანიზმი, ადამიანობა. ეს ტალ-
ღა გაღმოვარდა მე-19 საუკუნეშიაც, მოგვცა ახალ-ახალი ნა-
კადულები სოციალური და ნაციონალური შინაარსის, მოაღ-
წია ჩვენამდეც, წარმოშვა არა ერთი ჩევოლიუცია, მოიარა
ქვეყანა კიდისკიდემდე და ბოლოს, უკანასკნელ ოცდაათ წელი-
წადში, ისე შეჩერდა, შენელდა, გაქრა, ისტორიას ჩაბარდა. ამ
დიდებულ მოძრაობას მეთაურობდა საფრანგეთი. ინგლისს არა-
სოდეს არავითარი საკაცობრიო იდეალი არ მოუცია სხვები-
სათვის; ის მუდამ იჯდა თავის კუნძულზე და ფიქრობდა მხო-
ლოდ თავისთავზე. მისას მიხვიდოდი თავს შეგაყვარებდა, შენ-
სას მოვიდოდა თავს შეგაძლებდა. და ეს მუდამ, დღევანდ-
ლამდე.

და ასე ერთიმეორის გვერდზე მიღიოდა ორი მიმდინარე-
ობა — საკაცობრიო და ეკონისტური, ჰუმანიური და უტილიტა-
რული. პირველი მოკვდა, მეორე დაეპატრონა მთელ ასპარეზს. ამ
ხანათ ვიმყოფებით უკანასკნელის სრულ სამეფოში. ყველა
პიროვნება, ყველა ერთ ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე, თავის
ბატონობის გაძლიერებასა და გავრცელებაზე, სხვისი ჭირი,
დობეს ჩინირი მათი საერთო მრწამსია. და ეს მიუხედავათ მათი
სხვადასხვანაირი სახისა. ერთია ლიბერალური, მეორეა პო-
ლიტიკური, არსება კი ორივეს ერთია. ჰუმანიზმის მემკვიდრე
შეიქმნა მექანიზმი. ცხოვრების ეს ერთი ელემენტი დაეპატრო-
ნა მთელ ცხოვრებას, მთელ ადამიანს, მის სულს და გულს. რაც
დაითვლება და ჯიბეში ჩაიდება საერთო იდეალია; ყველა ამ
არითმეტიკით გატაცებულია. ის მთელი აზროვნობის და მუშა-
ობის ერთადერთი მამოძრავებელია. მეოცე საუკუნე მეთვრამე-
ტის ანტიტეზაა, მისი სრული უარყოფაა.

არის კი დღევანდელი მდგომარეობა დასავლეთის უკანასკა-
ბელი.

ნელი სიტყვა? გაათავა ატლანტიკის ცივილიზაციაშ თავისტურული
ასაკი, მოჭამა თავისი დრო, თუ კიდევ შეიძლება მისი გამოცხადითი
რუნება, ძველი სულისკვეთების აღდგენა? განახლების და აღდ-
გენის კველა ელემენტები არსებობენ – ტექნიკური, პოლიტი-
კური, ფსიქოლოგიური. მაგრამ არსებობენ ცალ-ცალკე, ერთმა-
ნეთთან დაუკავშირებლათ, განთვითებულათ. არ არის საერთო
იდეია, საერთო იდეალი, რომელიც ამ ელემენტებს აერთებდეს
და ერთ სულს ჩატარავდეს. თვითეული ადამიანი მომწყვდე-
ულია სახელოსნოში, თავის გონიერივ თუ ფიზიკურ სამუშაო
კუნჭულში, არ არის არავითარი შეგნება იმის, რომ სიმდიდრის
დაგროვება თავისთავათ არ იძლევა სიცოცხლის ამაღლებას,
მოწესრიგებას და გახანგრძლივებას. სამაგიეროთ ამ სიბნელეში
შეანათა ერთმა ძველმა სადაო დებულებამ. ეს არის კლასიკური
სოციალიზმის მოძღვრება იმაზე, რომ შრომა არის სათავე
კველა სიმდიდრის. ზოგან ეს თეორია აღიარებულია სწორათ,
მისაღებათ, მაგრამ მის გამოხატულებას, მის პრაქტიკულ მა-
ტიარებელს წართმეული აქვს შესაფერი გავლენა და მნიშვნე-
ლობა. ამ დებულების ეკონომიკის სოციალურ საფუძველათ გა-
დაქცევა, მისი ცხოვრებაში გატარება და აღჭურვა შესაფერი
პოლიტიკური უფლებებით, უფლებებით, იქნება ახალი სიტყვა,
ახალი ურთიერთობა, რაიცა დაედება დვრიტეთ ატლანტიკის
ცივილიზაციის განახლებას და გაგრძელებას. ერთმა სიტყვამ—
თავისუფლებამ — ძირბუდიანათ გადააბრუნა საშუალო საუკუ-
ნური წესწყობილება და გამოსჭედა ახალი ეკონომიკა, ასეთივე
როლი შეუძლია ითამაშოს დღეს აკრეთვე ერთ სიტყვას, ეს
სიტყვაა შრომა. არის კი ეს შესაძლებელი?

ობიექტიურათ მისი ნიადაგი მზათაა. მისი შესაძლებლობა
ბოძებულია. რაკი ტექნიკა შეიქმნა მთავარი იარაღი სიმდიდრის
შექმნის გაადვილების, ცხადია ამ იარაღის ამამუშავებელი და
გამაცოცხლებელი უნდა იყოს თავი და ბოლო მთელი ეკონო-
მიური წყობის და საზოგადოებრივი ურთიერთობის. მაგრამ ეს
ლოდიკა ეხეთქება არსებულ პოლიტიკურ წყობას და მარცხ-
დება. მექანიზმი ვერ სჭრის, ვერ გადასჭრის დასავლეთის
პრობლემას. მისი გადამჭრელი ძალაა ადამიანი, მისი შეგნება
და გადაწყვეტილება. და სწორედ ეს ართულებს და ამხელებს
თვით პრობლემას. მექანიკა მას ასადავებს, აადვილებს, აზროვ-
ნება კი აბრკოლებს, ბოჭავს და ამხელებს. რატომ?

თვით გადასაჭრელი ამოცანა მეტათ ფაქიზი და დამაფიქ-
რებელია. საზოგადოება შედგება პიროვნებებისაგან: ინდივიდუ-
მისი საფუძველია. ცხოვრების ცენტრში, მისი თავი და ბოლო
არის ადამიანი, ე. ი. არსებობს ორი ელემენტი ერთი სოცი-
ალური მთელის: პიროვნება და მათგან შემდგარი თავისულობა;
არის ორი ინტერესი, ორი მათმარავებელი ძალა: ინდივიდუ-
ალური და საზოგადოებრივი. ამ შეერთებაში პირველი აღავი
უჭირავს პიროვნებას; ის შეიძლება წარმოვიდგინოთ საზოგა-
დოების გარეშე, მარტოთმარტო მცხოვრები. როგორც ის, აღ-
ბათ, იყო საზოგადოების თავის მოყრის წინ. საზოგადოება კი
შეუძლებელია არსებობდეს პიროვნებათა გარეშე. ადამიანები
შეიკრიბენ ერთად საერთო ძალ-ლონით უკეთესი ცხოვრების
მოსაწყობათ. მაშასადამე, პირველ ყოვლისა უნდა იქნას და-
ცული მისი ინტერესები; მაგრამ მის გვერდით არსებობს საერ-
თო ინტერესები, რომლის წაქცევა წააქცევს კერძო პირთ. აქე-
დან პრობლემა: მოხდეს ამ ორი როგორის ერთ ხაზზე აცმა
ისე, რომ ერთიმეორეს არ ებრძოდეს, არ არღვევდეს და ერთად
შეთანხმებულათ ვიდოდეს. ეს არ არის ახალი ამოცანა. ის
ძველისძეელია, მისი გადაჭრა არა ერთხელ უცდიათ, მაგრამ ყო-
ველთვის ეს ცდა დამარცხებით გათავებულა. ამ მიმდინარეობის
ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ პიროვნებაზე მუდამ ბატო-
ნობდა საზოგადოება, ხოლო საზოგადოება ხელში უვარდება
დამაიანთა ვიწრო წრეს, რომლის მართველობის ერთადერთი
ფარხმალია ძალა. დესპოტიზმი მსოფლიო მოვლენაა; პიროვ-
ნებათა დამონება და დაყმობა საყოველთაო ნაკადულია, გამო-
ნაკლისია საზოგადოების აწყობა პიროვნებათა თავისუფლება-
ზე, რაიცა დაიწყო ძველ საბერძნეთში, გადმოვიდა რომში, შემ-
დეგ როივე მოისპო, ანთებული კერა ჩაქრა და თან გაიყოლია
მისი მატარებელი ერები. ეს ტალღა გამოცოცხლდა მე-18
საუკუნეში, აინთო ინდივიდუალური კერანი, შეანძრია მთელი
ცვრობა, მთელი, მსოფლიო და დღეს ათავებს ძველებურათ სა-
ერთო ნგრევით და საბედისწერო შედეგებით. ცხადია, ვერც ამ
ბხალმა მიმდინარეობამ გადასჭრა ძველი პრობლემა, ვერ მო-
გრიგა ინდივიდი და საზოგადოება, ვერ გამოინახა მათი საერ-
თო კალაპოტი და შიგ ვერ ჩააბა კაცობრიობა.

1 და დღეს დგას იგივე საკითხი ინდივიდუალური და სოცი-
ალური მოვლენათა შეთანხმება, მათ შორის ბრძოლის და და-

პირდაპირების მოსპობა, საერთო ხაზის გავლება და მასზე ორივეს პარმონიულათ მსვლელობა. ცვლა ცდა ამ მიმართულებული ლებით თავდება ან პიროვნების დამონებით ან საზოგადოებრივი დაშლით. პირველის საქვეყნო მაგალითია დღეს რუსეთის საბჭოთა წყობილება. აქ პიროვნება წაშლილია, ადამიანი როგორც ამნაირი, არ არსებობს. ეს არის უბრალო გაგრძელება ძველი დესპოტიზმის იმ განსხვავებით, რომ აქ მისი საფუძველია არა მარტო პოლიტიკური ძალა, არამედ უმთავრესათ ეკონომიკური ძალა. მართალია, არც აქ თქმულა ახალი სიტყვა. მსგავსი წესწყობილება არსებობდა წინეთაც. საკმარისია მოვიკონოთ პერუს წითელკანიანთა ისტორია მე-12 – 16 საუკუნისა, რასაც სავსებით ბაძავენ რუსეთის თეთრკანიანები.

აი მოკლეთ პერუს ეკონომიკა. აქ მცხოვრებთა მრავალ სხვა-დასხვა ტომთა შორის გაბატონდა ერთი ტომი, სახელათ ინკას და თავს მოახვია ყველა დანარჩენთ თავისი სოციალური და პოლიტიკური წყობილება. ინკას მეუე გახდა მეთაური მთელი პერუს. მიწა-ადგილი ჩამოერთვა მესაკუთრეთ და გამოცხადდა სახელმწიფო ქონებათ; მისი დამუშავება და ნაყოფის განაწილება სწარმოებდა მთავრობის მოხელეთა მეთაურობით და განწესებით. მთელ მოსახლეობას მართველი უკარნახებდენ რა იმუშაონ, როგორ იმუშაონ, რამდენი სჭამონ, როგორ ჩაიცვან, როგორ იფიქრონ, რა იღლოუნ – ერთი სიტყვით თვითეული მხარე ადამიანის ფიზიკური და სულიერი არსებობისა ისაზღვრებოდა მართველთა მიერ, მის დაუკითხავათ და ნება-დაურთველათ. ხალხი გადაეჩვია საკუთარ ფიქრს, საკუთარ თაოსნობას, რაიმე საქმის გამოწყობას და აქტივობას; ის ემორჩილება მხოლოდ ბრძანებას; გონებრივი სიზარმაცე გახდა საერთო თვისება. პიროვნება «მე», გაქრა, მცხოვრებნი გადაიქცენ ბრძოთ, ჯოგათ, რომელსაც მეჯოგე მოხელე დენის საითკენაც მოესურება. ამ წყობილებას ბევრი ევროპიელი უწოდებდენ და დღესაც უწოდებენ სოციალიზმს*). აი ამ ქვეყანას შეესიენ ისპანელები მე-16 საუკუნეში და გაიმართა ხანგრძლივი ომი; ბერუელები დარჩენ ერთგულნი ინკასი, არ მოისურებეს ისპანური წყობილების შემოღება, ხმა შეუბრუნებლათ ემორჩილებოდენ თავიანთ მართველებს და შეებრძოლენ მომხთურთ მთე-

*) იბ. L. Bouclin. Les Incas de Perou.

ლი თავისი მაღლონით. აღმოჩნდა პიროვნება საკუთხებით დამო-
ნებული იდეიურათ და ფხიქოლოვიურათ, მოკლეულები უმომავრესებულ
საკუთარ სურვილებს და ნებისყოფას, მიჩნეულნი ბრძანების
შესრულებას, აღზრდილნი მათრახით, დამორჩილებული სუ-
ლიერ-ხორციელათ; ვერავითარი თავისი გამოსავალი მათ ვერ
მონახეს და აყვენ ინკასელებს. ომი გაგრძელდა, ბოლოს და ბო-
ლოს გაიმარჯვეს ისპანიელებმა, გადააქციეს პერუ თავის კოლო-
ნიათ; ხოლო წითელკანიანები დღევანდლამდე დარჩენ პასიურ
მცხოვრებლებათ, ვერ გადალახეს შეზღიული ინერცია, ვერ აღად-
გინეს პირადული ლირსება, თავმომწონეობა და კაცური კა-
ცობა.

პერუს მაგალითით დღეს ბევრი ანტისოციალისტი სარგებ-
ლობს სოციალიზმთან საბრძოლველათ. მაგრამ საკმარისია ცო-
ტაოდენი დაფიქრება, რომ ასეთ წყობაში რაიმე ნატამალი სო-
ციალიზმისა არ დაინახოთ. აქ არის არავითარი ბატონობა
საზოგადოების, ხალხის არც თავისთავზე, როგორც მთელზე,
არც პიროვნებაზე, როგორც ადამიანზე. ორივეზე ერთნაირათ
ბატონობს მცირე გუნდი ძალმომრეთა, ინკას – ბოლშევიკების
სექტა. თუკი სოციალიზმი მართლა პიროვნების მკვლელია,
როგორც ამტკიცებენ ბოლშევიკური მაგალითით მოწინააღმდე-
ვენი, რასაკვირველია, ის მიუღებელია. ასევე მიუღებელია ინ-
დივიდუალიზმი, თუ ის საზოგადოების დამაქცეველია. ხოლო
რომ ის მართლა ასეთი თვისების გამოდგა ამ ბოლო ხანებში –
ეს ჩვენ ზემოთ დავინახეთ. სოციალისტური ეკონომიკის გა-
მოცდილება ჯერ არ ყოფილა. სამაგიეროთ ინდივიდუალურ
ეკონომიკაში ყელამდე ვცურავთ და შიგ ვიხრჩობით.

პიროვნება საზოგადოების წინააღმდეგ, საზოგადოება პი-
როვნების წინააღმდეგ – ორივე ეს დილემა მიუღებელია, ორი-
ვეს თანხმობა და ერთ მთელათ გადაქცევა – საუკეთესო გამო-
სავალია. სამწესხაროთ არსებულ აზრთა აბნეულობა ყველა ამ
საკითხებზე მიეწერება უმთავრესათ სოციალისტურ მთავრო-
ბათა სრულ უსუსურობას. მათი მოღვაწეობა გერმანიაში, ავსტ-
რიაში, ინგლისში და საფრანგეთში გათავდა ერთნაირათ – ცა-
რიელი აღგილის ბეჭით, უსაქმო ტრაბახობით. სოციალიზმის
სახელი გაუტყედა და მით მომზადდა ნიადაგი პლუტოკრატი-
ული და დესპოტიური მართველობის. ამიტომ რა გასაკვირა-
ლია, ბოლშევიზმი სოციალიზმათ გასაღებულიყო და მას კი-

დევ უფრო გატეხოდა სახელი. ამ ხაზზე იმუშავეს თვით მუ-
ორე ინტერნაციონალის მეთაურებმა, როცა ისინი ხშირათ აკადე-
მიურული საბჭოთა წყობილებას სოციალისტურ წყობილებათ,
თუმცა თავისებურს, არადემოკრატიულს. გამოდიოდა რომ ხო-
ციალიზმის დამახასიათებელია არა მისი ეკონომიკა, არამედ
პოლიტიკა. ამ აზრთა საერთო აბნეულობით ჩინებულათ ისარ-
გებლეს ბატონიბის მაძიებლებმა და ხალხს მაგრათ შემოაჯდენ.

და ასე, დგას დღესაც იგივე პრობლემა, რაც წინეთ, კიდევ უფრო დახლართული და დაბხელებული. ინდივიდუალიზმი სო-
ციალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმი ინდივიდუალიზმის წი-
ნააღმდეგ; მათ შორის ხიდი ჩატეხილია. თავისუფლებამ მოგვ-
ცა პლუტოკრატია, იმულებამ ბოლშევიზმი, არც ერთი არ არის
მისაღები. მაგრამ რაკი მესამე გზა ვერ მოუნახავთ — იმულე-
ბული არიან ამ ორ ბოროტებას შორის მოახდინონ არჩევანი.
ამ ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია, აუცილებელია, საამისოთ
გამონახული საშუალებებით, ნათელი აზროვნებით და სინაძ-
დეილესთან ანგარიშის გაწევით.

გავიხსენთ, ვინ იყვენ ძველათ და ახლათ თავისუფლების
მედროშენი და მებრძოლნი, საბერძნეთ-რომში და მეთვრამეტე
საუკუნის ევროპაში. ესენი იყვენ წვრილი მესაკუთრენი, წვრი-
ლი გლეხობა და წვრილი ვაჭარ-მრეწველნი. სხვილი საკუთრე-
ბა, გარდა დიდი მემამულებისა, არ არსებობდა. საფრანგეთის
დიდი რევოლუცია იყო რევოლუცია სწორედ ამ დაბალი კლა-
სებისა, წინააღმდეგ გაბატონებული თავადაზნაურული მიწათ-
მფლობელობისა და მასზე აგებული პოლიტიკური ძალმომრე-
ობისა. ჩრდილო-ამერიკაში შემოღებული თავისუფლება და დე-
მოკრატიული კონსტიტუცია იმავე მეთვრამეტე საუკუნეში
ეყრდნობოდა მხოლოდ წვრილ საკუთრებას, ფერმერებს და მე-
დუქნებს. მაშასადამე, ისტორიულათ თავისუფლების ეკონომი-
კური შინაარსი იყო მხოლოდ წვრილი ეკონომიკა და ხელოს-
ნობა. არც კაპიტალიზმი, არც პროლეტარიატი იმ დროს კიდევ
არ არსებობდა: იყო მხოლოდ ჩანასახი, დაწყება ამ ორი ახალი
პროცესისა. აი ამ თავისუფალი, სოციალურათ ერთფეროვანი
საზოგადოების დანაწილება; ახალი ძლევამოსილი კლასების
აღორძინება და მათ შორის ბრძოლის გაჩაღება მეცხრამეტე
საუკუნის საქმეა. გაჩნდა ორგვარი ინდივიდუალიზმი, ორგვა-
რი თავისუფლება: წვრილი და სხვილი მწარმოებლების. პირ-

გელი თანდათან პარტახდებიან, ირლვევიან, მეორენი ძლი-
ერდებიან და მთელ ქვეყანას ეპატრონებიან. დიდი საკუთრება,
დიდი უძრავი და მოძრავი ქონება თავს დააჯდა წვრილ საკუთ-
რებას, დაქირავებულ მომუშავეთ და მათ სულს უხუთავს. თა-
ვისუფლება გახდა იარაღი ერის დიდი უმრავლესობის თავი-
სუფლების მოსასპობათ და ახალმოსული ბატონობისათვის
დასამონებლათ.

ამნაირათ, არის ორგვარი ინდივიდუალური ეკონომიკა, ორ-
ნაირი პიროვნება და მათი თავისუფლება. ერთი თავს იცავს, თა-
ვისი პირადი შრომით თავს ირჩენს, მეორეა თავდამსხმელი,
სხვისი შრომით, სხვისი საკუთრების განადგურებით სიმდიდ-
რის შემძენელი. მთელი წასული და დღევანდელი კრიზისის
ამტეხი ეს უკანასკნელია. მათი თავისუფლება არის თავისუფ-
ლება საერთო ნგრევის, საყოველთაო ცარცვის და დაუსრულე-
ბელი ომების. საკმარისია ამ ურთიერთობის გათვალისწინება;
რომ მაღამო მოინახოს. თხა და მგელი ერთად ვერ იძოვებენ;
დააბით მგელი, გაუშვით თხა — ერთადერთი წამალია. ვ. ა.
ისპობა თავისუფლება არა ადამიანის, არა მუშაობის და თა-
ვის რჩენის, არამედ სხვისი ცარცვის, მშრომელთა დამონების
და დაჩაჩანაკების. ამ ორგვარი ინდივიდუალიზმის, ორგვარი
თავისუფლების ერთიმეორისაგან გარჩევა, გამოცალებება და
შესაფერათ შეფასება ერთადერთი გზაა სოციალური ლაბირინ-
ტიდან გამოსახვლელათ.

თუ წვრილი მესაკუთრენი ბუნებრივი მატარებელია ინდი-
ვიდუალიზმის, პროლეტარიატი ასეთივე ბუნებრივი მატარებე-
ლია სოციალიზმის, ერთად მუშაობის და ცხოვრების. ერთობა
და თანხმობა ამ კლასის არსებობით სოციალური საფუძველია,
მუშა ჩამულია ვიწრო ტექნიკურ სამოქმედო რკალში, არ აქვს
არავითარი საკუთარი ნებისყოფა და თაოსნობა ამ სფეროში;
ის თვითონ გადაქცეულია მანქანათ, ვიწრო სპეციალისტათ,
მოკლებული ფოველივე ეკონომიურ თვითმოქმედებას. მისი
მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა თავი-
სი კლასის გაერთიანება და შეერთებული მაღლობით თავისი
ინტერესების დაცვა მეპატრონეთა წინაშე. პროლეტარიატი არის
ერთი დიდი სოციალური ერთეული, ერთ უღელში შებმული;
ერთნაირი დადებითი და უარყოფითი თვისებებით აღჭურვილი,
მისთვის აუცილებელია თავისუფლება არა ეკონომიური საქმია

ბნობისათვის, როგორც წვრილი მესაკუთრე, არამედ სოციალუ-
რი ბრძოლისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. აი ამ უფრო რეალუ-
ლებლობით იდება ხიდი მას და წვრილ მესაკუთრეთა შორის დამკიცებულება
ხდება შესაძლებელი მათი დაკავშირება საერთო მტრის — სხვილ
მესაკუთრეთა წინააღმდეგ. იბადება საერთო ინტერესები, საერ-
თო ნიადაგი ბრძოლისა და თავის დაცვისა. ეს ობიექტიურათ
შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება მათ შორის დაუვანდ-
ლადე ვერ განხორციელდა ევროპაში სოციალიზმის მედრო-
შეთა მრუდე აზროვნების გამო. ის, რაც მარქესმა კაპიტალიზ-
მის თვისებათ აღიარა — მასების გაპროლეტარება — მისმა მიმ-
დევრებმა გადააქციეს სუბიექტიურ სურვილათ, პროგრესის
სამკაულათ და დაასკვნეს — სოციალური რევოლუცია უნდა
მოხდეს როგორც სხვილი, ისე წვრილი საკუთრების ნანგრევზე.
ამით ეს ორი კლასი დააკავშირება და პროლეტარიატი განამარ-
ტოვეს. ამ დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება მოახდი-
ნეს რუსეთში ბოლშევკებმა; საფოველთაო გაპროლეტარება
ყველა მისი შედეგებით აქ გატარებულია. რაც აქ ვერ შესძლო
ყოვლად შემძლე კაპიტალიზმა, იქ პოლიციამ ჩეკისტური მე-
თოდით შესძლო; მთელ ერს წარმოადგინება საკუთრება და გადაეცა
ერთ მუჭა ტირანებს. მას თან გადაყვა თავისუფლება, ეკონომი-
კური, პოლიტიკური, ნაციონალური, სოციალური. ხალხი გა-
დიეცა სხვის საბალახოზე მობალახე ჯოგათ. ჯოხით მისადენ-
მოსაღენ ბრძოთ. ადამიანს დაეკარგა პირადობა, საზოგადოებას
დაეკარგა ადამიანობა. თუ ეს გასტანა კიდევ დიდხანს, მივი-
ღებთ პერუს ტომების კულტურულ დონეს, ტიკინებათ გადაქ-
ცეულ მცხოვრებთ. ამის ნიშანს უკვე იძლევიან ქართველი
ტყვეები.

ასე აბნეულ-დაბნეული ევროპა იარაღით ხელში წარსდგა
კაცობრიობის წინაშე და შიშით თუ ნებაყოფლობით, ისიც ჩა-
ითრიეს თავის დავარდნაში. ამ ევრობიდან არაფერი აქვს და-
ნარჩენ ქვეყანას მისაღები და მისაბაძავი. პირიქით, მისი ვალია
თავი დაიცვას ამ მოძალადესაგან, არ შეითვისოს მისი უარყო-
ფითი მხარეები, არ გაყვეს მის დღევანდელ გზას და არ გა-
ათაოს მისებურათ — დაცემით და გადაგვარებით. არის კიდევ
ერთი იმედი, იმედი ევროპის შემობრუნებისა, დამარღვეველი
პროცესის უარყოფისა და ახალ გზაზე შედგომისა. ამ გამოსა-
ვალის მონახვა და განახლების დროშის აფრიალება არის ის-

ტორიული მოწოდება დასავლეთის ახალი თაობის, იმ თაობის, რომელიც ჯერ კიდევ უკანა რიგებზე დგას, საზოგადო საწყის ელზე არ გამოსულა, დრომომშეულ თაობის იარაღათ გადატვირთვის ულა და მის შემყურეთ რჩება. მაგრამ ამ ახალ მოძრაობას ეჭირვება ნათელი აზრი, სინამდვილის გაგება და თავის და-დება. მხოლოდ რწმენა და იდეალი იძლევა მტკაცე ნებისყოფას, ხასიათის სიმაგრეს და მხნეობას.

პირველ ყოვლისა საჭიროა ვაცოდეთ როგორ მიუღებთ და-ავადებულ სოციალურ პრობლემას; დღეს არსებობს მხოლოდ ორგანიზაციული მიდგომა — ბოლშევიკური და ბურჟუაზიული, რუ-სულ-კომუნისტური და ეკონომიკულ კაპიტალისტური. უკანასკნელათ აღმოცენებული სხვადასხვა სახის «სოციალიზმი» არსებითად განმეორებაა რეფორმიზმის, კაპიტალიზმის ბაზზე მიწყობ-მოწყობის. ჩვენი ამოცანაა გამონახვა მესამე გამოსა-ვალის, მესამე მიდგომის და მის საფუძველზე აგება სამოქმე-დო პროგრამის. როგორ?

ორი ძირითადი მოვლენის, პიროვნული და საზოგადო ინ-ტერესების შედეულებით და გატარებით თავისუფლების ფარ-გალში. ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია პოლიციური წე-სებით, ჯოხით. მართალია, საერთაშორისო ანგარიშების გა-მოსწორება ერთადერთ საშუალებათ აღიარებულია ჯოხი, ძალ-მომრეობა, მაგრამ აქაც ის ყოველთვის იცო და არის ხანძოკ-ლე, დროებითი, რაიცა ხანგრძლივათ ვერავითარ წესებს ვერ ამყარებს. მომრევის მომრევი არ იღევა. მით უფრო ის მიუღე-ბელია საშინაო ურთიერთობაში, როგორც ნორმალური სა-ფუძველი წესწყობილების. ძალადობა აუცილებელია, მაგრამ რომელი? თავისუფლების მაგიერ თუ თავისუფლების ფარგალ-ში? ხალხის მიერ აწყობილი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა, უეჭველია, საჭიროებს მფარველობას, დაცვას, შეიარა-ლებულ ძალას; საკითხავია მხოლოდ ერთი: ვის ხელშია ეს ძალა, ხალხის თუ მის ზურგზე მოკალათებული ბატონების. მა-შასადამე, პრობლემის არსებითი მხარე ძევს არა ამ სფეროში, არა პოლიტიკურ წრეებში, არამედ ეკონომიკურ საფუძველში, რაზედაც აგებულია მთელი სოციალური შენობა. აი ამ ხაზზე გადაწყობა, დამპალი ეკონომიკის აღავას საღის შემოღება — ერთადერთი საჭირობოროტო საამდროო ამოცანაა. რაკი წვრი-ლი საკუთრება არის ნივთიერი საძირკველი ინდივიდუალიზ-

შის, პიროვნული თავისუფლების, ხოლო სხვილი საკუთრებული
იძლევა ნივთიერ ბაზას სოციალიზმისათვის – ცხადყენერიზაცია
ხაზის დაცვა და მათი შეერთება იძლევა ახალ ეკონომიკას,
ახალ სოციალურ ურთიერთობას. თავისუფლება წვრილ მესა-
კუთრეთათვის დადგითი ხარისხისაა, მათი ამშენებლი, ხო-
ლო სხვილი მესაკუთრეთათვის ის არის იარაღი სხვისი რბე-
გის, სუსტის ჩაგრის და ექსპლოატაციის. აი ამ დაშანებული
თავისუფლების მოსპობა შესაძლებელია მოსპობით მისი
ძირის – კერძო სხვილი საკუთრების და მისი გადაცემა ხაზო-
გადოებისათვის. პიროვნების წვრილი ხაკუთრება და ერის ხხვი-
ლი საკუთრება ერთადერთი გზა და ხიდია ხალხური, ეროვნუ-
ლი სოციალიზმის. უშრომელთა, სხვისი ეკლეფით მცხოვრებ-
თა ინდივიდუალიზმი ქრება. ოვით მუშაობის პროცესი, ნივთის
დამზადების ტექნიკა არ იცვლება. მრეწველობა ცოცხლობს და
ვითარდება მუშაოთ ხელით, მეურნეობა – კლებების შრომით.
ამ ორი კლასის დაახლოება, დაკავშირება და ერთ პოლიტი-
კურ მთელათ გადაქცევა გახდება საძირკველი ამ ახალი წერ-
ბილების. ოუ ეს პრინციპი მისაღებია, მისი ფორმები და პრაქ-
ტიკული სახეობა წვრიმაღებია. მხოლოდ ერთი მისი სახე და-
საგმობია, სრულიად მიუღებელია. ეს არის ეტატიზმი, სხვილი
საკუთრების სახელმწიფოს ხელით ამუშავება და მისი სვებე-
დის მოხელეთა ამარათ დატოვება. ეს გამოიწვევს საერთო უ-
მაყოფილებას, რეაქციას, ბურჟუაზიული თავისუფლების და
წარმოების დაბრუნებას. რაკი სოციალური ეკონომიკის ხაფუ-
ველია სხვილი წარმოების დასაკუთრება, ცხადია მას ეჭირვება
შესაფერი სხვადასხვანაირი ფორმა – ეს ფორმებია: სახელ-
წიფო, სათემო, საერთო, კოოპერატიული, საამხანავო, მუშა-
თა და ტექნიკოსების ასოციაციები და სხვ. ყველა ეს ფორმე-
ბი ეწყობა სრულიად დამოუკიდებლათ სახელმწიფოს იძულე-
ბითი აპარატისაგან, მუშაობენ საკუთარი წესებით და გამართ-
ლებას პოულობენ თავიანთი საქმიანობით. ამავე დროს ხდება
ნებაყოფლობითი შეკავშირება კერძო წვრილ მესაკუთრეთა და
მათი შეყვანა საერთო სოციალური ეკონომიკის ქსელში. ყველა
საკრედიტო დაწესებულება გადადის ამავე უმაღლესი ეკონომი-
ური მართველობის ხელში და მუშაობენ მისი წინამდღოლო-
ბით. ერთი სიტყვით, მთავარია ორი პრინციპის მოთანხმების
ცნობა და მისი გატარებისათვის ბრძოლა. დანარჩენი პრაქტი-

კული ზომების გამონახვა და განხორციელება აღვიღათ მისაგ-
ნები და შესასრულებელია.

ეს იქნება ახალი ევროპა, გადაწყობილი, თავის კულტურული
დინამიზმზე გაძატონებული, თავისთავის პატრიოთ და შეგნე-
ბული წინამდღოღი. ეს იქნება ღრმა რევოლიუციით დაწყებუ-
ლი ახალი ევოლიუცია, მისი პირველი რგოლი, რის განვითა-
რება აღებული მიმართულებით მოგვცემს დასრულებულ ჰუმა-
ნიურ სოციალურ შენობას. ამ ღროშით ის წარსდგება კაცობ-
რიობის წინაშე, როგორც მისი მეგობარი, საშინაო და საგარეო
შევიღობიანობის მოციქული და ადამიანის ადამიანობის უმაღ-
ლესი დამცველი. აი ამ ევროპას ყველა მიიღებს, ყველა დაენ-
დობა და მის გზა-კვალს გაყვება. კაცობრიობის გამოელება, სა-
შიშარი სენისაგან განკურნება, ურთიერთშორის მორიგება და ბუ-
ნებისაგან მოცემული ნიადაგით თანხმობით სარგებლობა მხო-
ლოდ ამ საშუალებით, ამ ღროშით შესაძლებელი გახდება.

რა ხდება მსოფლიოში

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გასაგებათ, ჰარველყოფისა, უნდა ვიცოდეთ რა მოხდა მსოფლიოში, რა ურთიერთობა დამყარდა, ურთიერთობა არა პოლიტიკური, თუ ეკონომიკური, არამედ გეოგრაფიული, ბიოლოგიური, ობიექტი-ური. ვინ ვის მეზობლობს, ვის გაეხსნა ახალი გზები, ვის და-ეხშო გასავალ-გამოსავალი, ვინ აიშვა, ვინ დაიბა, ვის რა პერ-სპექტივა მიეცა, თუ დაეხურა.

დადი ხანია დასავლეთი ევროპა მეთაურობდა, წინუძღვდა კაცობრიობას. დღეს კველასათვის აშკარაა, რომ ეს მეთაურო-ბა მას წაერთვა, ის დავარდნის, დაღმართის გზახეა შემდგარი და სწრაფი ნაბიჯით უკან მიექანება. მისი მოადგილე ჯერ არ სჩანს, სჩანან მხოლოდ ამის პრეტენდეტები.

რით აიხსნება მდგომარეობის ასე ძირიანათ შებრუნება, და-სავლეთის ასე დაქანება?

ევროპა გეოგრაფიულათ იყოფა სამ ნაწილათ: აღმოსავლე-თი, შუაგული და დასავლეთი. პირველი ეკუთვნის სლავიანურ რასას, ეწოდება რუსთი, მეორე — გერმანელთა მოდგმას, ეწო-დება — გერმანია-ავსტრია, ხოლო მესამე ლათინთა რასას — ეწოდება საფრანგეთი, პტალია, ისპანია. პირველ წყებასთან დაკავშირებულია ჩამომავლობით სლავიანები. მეორესთან ჩრდი-ლოეთით მდებარე პატარა ერები და აგრეთვე რამოდენიმეთ ინგლისი, ხოლო მესამესთან პატარ-პატარა დაჯგუფებები — შვეიცარიიდან, ბელგიიდან და სხ.

ამ სამი ერთეულის ურთიერთობა და მდგომარეობა საზღვ-რავდა ევროპის სახეობას და მოქმედებას. ამ სამიდან თავიდან-ვე განზე იდგა და გამოცალკევებულათ ცხოვრობდა რუსეთი: მან არაერთხელ მოინდომა დასავლეთში შემოჭრა და მასზე თა-ვისი გავლენის გავრცელება, მაგრამ ვერ შესძლო. რუსეთმა

მხოლოდ ერთხელ მოაღწია პარე გამდე 1812 წელს და ისიც
შუაგული ეკროპის დახმარებით.

ეკროპის გარეუსებას და რუსეთის გაევროპიელებას ზელს
უშლიდა მათ შორის აღმართული დიდი ჯებირი — გერმანიის
რასა, რომელიც თავიდანვე ეპირდაპირებოდა მის მარჯვნივ და
მარცხნივ მცხოვრებ რასებს. ის არ გახდა ჩამორჩენილი რუ-
სებსავით, არც წინწაწეული ფრანგებსავით, მას მუდამ ქონდა
თავისი საკუთარი პოზიცია ყველა დარგში, რითაც გერმანელი
გერმანელობდა. ის არ გარომაელდა, არ შევიდა ლათინურ ცი-
კილიზაციაში, მაშინ როდესაც გაღები დაიძყო ცეზარმა არა
მარტო ნაციონალურათ და გეოგრაფიულათ, არამედ კულტუ-
რულათ და, რაც მთავარია, რასიულათ, კელტები გახდენ ლათი-
ნები. როცა გერმანელთა მოდგმის ტომი ფრანგები შეესიენ გა-
ღების ქვეყანას და აირიენ მათში, ისინიც ვერ ირჩენენ თავის
გვარ-ტომობას და ლათინდებიან. ამ ორი მოდგმიდან, ერთ
მოდგმათ ქცეული, წარმოიშვა ფრანგთა ერი და ავიდა ცივი-
ლიზაციის მაღალ საფეხურზე. სამაგიეროთ მათ დაკარგეს პრი-
მიტიული, მამა-პაპური სისხლი და ხორცი, ველური, ტყიური
ორგანიზმი და მით დასუსტდა მათი შუსკულები, გაძლიერდა
ნერვები, გონებრივი სისალე იჭერს ფიზიკური სისალის ად-
გილს. ფრანგები დაემორჩილენ რომს სარწმუნოებრივ სფერო-
შიაც. როცა რომი დაეცა, ეს საევროპიო ცენტრი მოისპო, მის
ალაგს იჭერს კატოლიციზმი პაპის მეთაურობით. კვირინალის
მემკვიდრე ხდება ვატიკანი. ფრანგები არ ეყრებიან ამ ახალ
ბატონსაც. მათ შორის რეფორმაცია, ე. ი. ვატიკანისაგან განდ-
გომა ვერ პოულობს ნიადაგს.

სრულიად სხვა გზით მიღიან გერმანელები. ისინი ვერ და-
იმორჩილა რომაელებმა ვერც პოლიტიკურათ, ვერც მხედრუ-
ლათ, ვერც მორალურათ. მათ შორის ბრძოლა გრძელდება სა-
უკუნეთა განმავლობაში. რომიდან მოსულ ქრისტიანობას დე-
ბულობენ მეტათ გვიან, ისიც ნაწილ-ნაწილათ, მაგრამ პირვე-
ლი შემთხვევით სარგებლობენ ვატიკანისაგან განდგომისათვის.
იფეთქა რეფორმაციამ, ლიუტერის ანტირომაული მოძღვრებით
და მთელი გერმანია მას დებულობს თავის სარწმუნოებათ. ერ-
თი სიტყვით, ეს ველური გერმანული რასა არჩევს იყოს თავის
ველურობაში, ვინემ შევიდეს უმაღლეს ლათინურ ცივილიზა-
ციაში. ის რჩება საკუთარი გვარ-ტომული სისხლით და ხორ-

ცით, ხასიათით და ნებისყოფით. ის მაგრათ აფრინდება ბუნებას და არ იცვლის ზნე-ჩვეულებათ.

რუსთაველი სწერს: თავსა ახლათ ვერვინ იშობს, პრ საქნელი არ იქნების. ე. ი. რასაც ადამიანი სჩადის, ის გამომდინარეობს მისი დაბადებიდან, მისი შთამომავლობიდან, მისი სისხლი და ხორცისაგან. ეგევე ითქმის ერზე. მისი აღორძინების და განვითარების ხაზი მისი დაბადების მიერ ბოძებულია გარდუგალი საკუთარი, ორიგინალური თვისებებით, რითაც ის განირჩევა სხვა ხალხისაგან; ეს არის მისი სასიცოცხლო საკუთრება, საფუძველი მისი ხანგრძლივობის. როგორც კი ეს ძირი შეირყევა, ხაზი მოიშლება, სხვა ხალხში აირევა, მისი დაცემა აუცილებელია, მისი გადაგვარება მოახლოვებულია.

ამნაირათ, რომის შემოტევას გაუძლო გერმანელებმა და დარჩენ თავის საფუძველზე, ვერ გაუძლეს ფრანგებმა და გადავიდენ სხვის საფუძველზე. ეს დიდი განსხვავება გერმანია-საფრანგეთს შორის დაედვა საფუძვლათ მათ პოლიტიკურ და მეზობლურ ურთიერთობას. გერმანელთა რასიზმი არ არის ახალი ამბავი, არ არის გამოგონილი ჰიტლერის მიერ; ის მოდის თავიდანვე, მოდის როგორც დიდი მამოძრავებელი ძალა მოელი ხალხის; ის ღრმათ გამჯდარია მის სისხლში და ხორცში. ჰიტლერმა ამ ღრმა ნაციონალურ ტალღას მისცა კარიკატურული ხასიათი, არა ადამიანური გამოხატულობა და მას დიდი ხნით გაუფუჭა სახელი. ეს კარიკატურა, უეჭველია, გაქრება; მაგრამ მისი ძირი, გერმანელთა რასის თავისებურობა, ძველი ურყევი თვისებების მუდმივობა ხელუხლებელი დარჩება.

ეკროპის სამი რასის მდგომარეობა დღეს ნათელია: ლათინური, დასავლეთის მცხოვრებნი, დაქანებულია, არა გარეგანი ძალადობით, არამედ შინაგანი დაუძლურებით, თავისი ღრომოჭმული თვისებებით; გერმანული, შუა ევროპის მცხოვრებნი, რასიულათ მაგარია, ბუნებრივი ძველი ძალ-ღონე შერჩენილი აქვს, მაგრამ პოლიტიკურათ დაცემულია, არა შინაგანი დაუძლურებით, არამედ გარეშე ძალმომრეობით, წაგებული ომის პირობებით. მესამე, რუსული-სლავიანური რასა, საუკეთესო საგარეო პირობებშია, ის, როგორც გვარტომობით, ურყევია, მაგარია, მისი შინაგანი ძალღონე დაუშრეტელია; მისი ჰიტიტიული, უცვლელი ძველისძველი ფიზიკური და სულიერი თვისებები ქმნის მის სიმაგრეს, სიმტკიცეს, თავის მიწა-წყალ-

ზე მიკრულათ. ამიტომ მისი დაპყრობა დასავლეთშია ვერასო-
დეს ვერ შესძლო; ნაპოლეონმა სცადა, მაგრამ ჩქარა ამჟღვეული
ბული გახდა გამოქცეულიფო მოსკოვიდან, ასეთივე ბოლო მფება
ჰიტლერმა. სამაგიეროთ, ვერც რუსეთმა დაიპყრო ევროპა, ვერ
გადმოლახა დიდი ხნობით დასავლეთის საზღვარი და ევროპი-
ელი ვერ დააჩიქა. მისი მთავარი, ერთადერთი, ჩამჭერი თა-
ვის საზღვრებში იყო მისი დასავლეთის მოსაზღვრე — გერმა-
ნიის რასა, გერმანელთა იმპერია. უკანასკნელი ასი წლის დიპ-
ლომატიის ისტორია, დაწყებული გასული საუკუნის მე-30
წლებიდან, ნათლათ მოწმობს დასავლეთის, გერმანიის მეთა-
ურობით, მთელ მუშაობას რუსეთის საგარეო გავლენის მოსას-
პობათ. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ბრძოლა ბალ-
კანეთის სლავიანთა ერების ირკვლივ. მოსკოვი ცდილობდა მათ
განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობისაგან, დასავლეთი კი,
პირიქით, ამ ტენდენციას ებრძოდა, დამპყრობელთ მხარს უჭერ-
და. 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა ოსმალე-
თის დამარცხებით და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულობით,
რაიცა დიდათ არ მოეწონა დასავლეთს, განსაკუთრებით ავსტ-
რიას და ინგლისს და მოწვეულ იქნა ბერლინში ევროპის სა-
ხელმწიფოთა კონგრესი ხელშეკრულობის გადასახედავათ. ის
მართლაც «გადახედეს», ე. ი. მთავარი მუხლები რუსეთის გავ-
ლენის გამაძლიერებელი ბალკანეთში ამოაგდეს, სლავიანთა დი-
დი სახელმწიფოს შექმნა უარყვეს — ერთი სიტყვით, რუსეთი
ბალკანეთში არ შეუშვეს. სლავიანთა თავის მოყრა რუსეთის
მეთაურობით, რასაც სლავიანოფილები ქადაგებდენ მე-18 საუკ-
ბოლოდან ვერას გზით ვერ განხორციელდა მიუხედავათ მრა-
ვალი ცდისა და მსხვერპლისა. ოსმალეთის უღლიდან განთა-
ვისუფლებული ბალკანეთი გახდა დამოკიდებული ევროპის
შუაგულ და დასავლეთის ერებზე.

დღეს მთელი ეს მდგომარეობა სავსებით შეცვლილია. საკ-
მარისი გახდა გერმანიის დამარცხება და დარღვევა, რომ რუსე-
თი მთელ ბალკანეთს თოფის გაუსერელათ დაპატრონებოდა. სლავიანოფილთა დოქტრინა სავსებით განხორციელდა. მათი
მამამთავარის ბოლტინის სიტყვა: «დასავლეთი დალპა, რუსე-
თი უნდა დაეპატრონოს მასო», ხორციელდება. გადიდებული
იუგოსლავია, ბოლგარია, ჩეხო-სლოვაკია, რუმინია, პოლონე-
თი — მოსკოვის ირგვლივ დარაზმულია. აქედან ევროპა გამო-



დენილია. დავაა მხოლოდ შინაური რეჟიმის შესახებ. ეფუძულება დემოკრატიას ყველა თავგამოდებით იჩემებს. რუსეთი ჩოტი მოვალეობალგანეთის საკითხის გადაწყვეტით დაკმაყოფილდებოდეს — საერთაშორისო მშვიდობიანობა ადვილათ დამყარდებოდა. მაგრამ მის გვერდით და მასთან ერთად იყო და არის დასმული მეორე დიდი საკითხი: მოსკოვის იმპერიის თავისუფალი სანაოსნო გზა, მისი დიდ ოკეანეში მოკალათება და თავისი ბაზების შექმნა. გზა კი ორია: დარდანელით ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთით ატლანტიკაში გასვლა. ეს მეორე გასავალი არის შორს, სახიფათოა, ხოლო პირველი ახლოა და ხელმისაწვდენი. პეტრე დიდის მიერ დატოვებული ანდერძი, რაიცა ვერც ერთმა მეფემ ვერ გადასჭრა, ეხება სწორედ დარდანელს და ის დგას დღის წესრიგში. პეტრე სწერს: «მიახლოვება რაც შეიძლება ახლოს კონსტანტინოპოლის და ინდოეთისაკენ. ვინც იქ იბატონებს — იქნება მსოფლიოს ნამდვილი ბატონი». ხოლო სწორედ ამ «მსოფლიოს ბატონობაზე» ოცნებობს მოსკოვის მოვლი გაბატონებული ამაღა სტალინის მეთაურობით.

ამ იმპერიალისტურ ხაზზე შეერთებულია რუსეთის ისტორიული საგარეო ამოცანა და საბჭოთა იდეოლოგია. ამ ამოცანის გადაჭრა ვერ შესძლო მეფეთა წყობილებამ, ახლა მას სჭრის კომუნისტების წყობილება. საგანი, მიზანი ერთიდაიგივეა, საშუალება განსხვავებულია. ამ საერთო მიზანს ბოლშევიკები ფარავენ გვარიან მოხერხებულათ, რითაც თავბრუს ასავენ დაბნეულ ეპროპიელთ. ლენინის დებულება — კომუნიზმია ან ყოველგან ან არსად — მათი გამოჩენილი დროშაა, რომლას ქვეშ მოკალათებულია ყველა ჯურის რუსის ნაციონალისტები და შოვინისტები.

ამნაირათ, ძველი რუსეთის საპეტემბრიო დროშა აფრიალებულია დღეს მოსკოვის მიერ გაცილებით უკეთეს ხელსაყრელ პირობებში, ვინემ ის იყო წინეთ, ოდესმე. მისი გეოგრაფიული ხაზი ბოძებულია, იგივე, რაც წინეთ იყო — დარდანელი, ხმელთაშუა ზღვა. ამას ემატება მეორე, რომელიც წამოიჭრა ყირიმის ომის დროს და მიუხედავათ ბოლგარიის და რუმინიას განთავისუფლებისა — ვერ განხორციელდა. ეს ხაზია დუნაის ორივე ნაპირების ხელში ჩაგდება, მის ირგვლივ მდებარე ერების თავის ირგვლივ შემოკრება და ამ გზით ეპროპის შუაგულში შემოსვლა. ეს დროშა წინეთ მრავალჯერ დამარცხებული გერ-

მანულ-ლათინური რასების მიერ, უარყოფილი საგსებით ბერ-ლინის და ვერსალის საზავო კონგრესებზე, დღეს სავსებით განხორციელებულია. ყველა დუნაის ორგვლივ მდებარე სანელმწიფონი ვენამდე რუსეთის ხელქვეითია. მართალია, ამ გარე-მოებას დღეს მოკავშირენი თვლიან დროებით მოვლენათ; ამის ერთადერთი საბუთია მათი სურვილი, მათი თვალების დახუჭ-ვა და აშერა ფაქტების დაუნახაობა. ისინი ფიქრობენ, ეს სა-კითხი მოაგვარონ საკონფერენციო ლაპარაკით, ორ წყალსშუა გაჩერებით. მართალია, დღეს რუსეთი შემოსულია ევროპაში მეორე გზით — პრუსიით და დგას ბერლინში მაგრათ. მაგრამ მოსკოვი კარგად ხედავს ამ პოზიციის დროებითი ხასიათს, გერმანიის ტერიტორიაზე მოკავშირეთა დაბანაკებას და რუსე-თისათვის გზის გადაღობებას საფრანგეთისაკენ წასასვლელათ, გერმანიის გზა არ არის საიმედო, თუ კი თვით გერმანიის ხალ-ხი არ მიემხრო საბჭოებს, არ მიიღო მათი საშინაო წყობილე-ბა, რაც დიდათ საეჭვოა. ამ ნიადაგზე დღეს გამართული ბრძო-ლა მოსკოვ-ანგლო-საქსონებს შორის, რომელიც ითხოვენ გერმანიის გაერთიანებას, ერთი მთავრობის შედეგენას, ერთი ეკონომიკური ერთეულის შექმნას, რასაც ჯერჯერობით ებრძ-ვიან ბოლშევიკები. ყოველ შემთხვევაში ეს საევროპიო ხაზი რუსეთისათვის საეჭვოა, დაუდეგარია, მაშინ, როდესაც დუნაის ხაზი უფრო მკვიდრი და საიმედოა.

ასე, თუ ისე, რუსეთი უკვე შემოსულია დასავლეთში ხმე-ლეთით, ორი ვიმართულებით; დარჩა დარღანელი და ხმელთა-შუა ზღვა აუდებელი და ბრძოლაც მის ირგვლივ მზადდება. ამ სარუსეთო ექსპანსიას აქვს ერთი შავი წერტილი — კომუნიზმი, რასაც არ იშიარებენ არც ერთი სლავიანური ხალხი, და მათ ძა-ლით თავზე ახვევენ. ყოველგან დგას შინაური რეჟიმის სა-კითხი.

მთელ ისტორიულ წასულში მსოფლიო ცენტრათ ითვლებო-და ერთი რომელიმე ადგილი. ეფრატი, ქალდეა, ეგვიპტი, ათი-ნა, რომი, პარიჟი. ამჟამათ საფრანგეთი დაქანებულია, მსოფ-ლიო ცენტრი მომსპარია. მადა გაედვიძა მოსკოვს და ფიქრობს ის გახდეს ეს ცენტრი, მისგან გამოდიოდეს მანათობელი ვარს-კვლავები. ამ დიდი მიზნის მიღწევა ითხოვს ერთ აუცილებელ გარემოებას: ზღვაზე ბატონობას. ყველა წასული ცივილიზაცია იყო წყალთა ცივილიზაცია, ეფრატი, ნილოსი, ხმელთაშუა

ზღვა, ატლანტიკი. რუსეთს ასეთი ბოლაზი არ გააჩნია; ამიტომ
ის აწვება ხმელთაშუა ზღვის ხელში ჩაგდებას და ამაგრეთული
მსოფლიოზე ბატონობას.

გვიპოვით მათ

არასოდეს ევროპას არ ესმოდა რუსეთი და არც ახლა ეს-
მის. მას აინტერესებდა ეს დედამიწის მეექვსედი მხოლოდ
როგორც საქონლის და ფულის სავაჭრო ბაზარი. მას არა-
ერთხელ დასდგომია ხელსაყრელი მომენტები დახმარებო-
და მას პოლიტიკურათ, იდეიურათ და დაეკავშირებია მთლათ
თუ არა ნაწილობრივ, იქ მოსახლე არარუსის ერები მაინც ევ-
როპისათვის. საამისო დიდი შემთხვევა, რომელიც მას დაუდგა
პირველ მსოფლიო ომის განმავლობაში, ხელიდან გაუშვეს.
ასეთივე პოლიტიკა გრძელდება დღეს; ომამდის გამოიცა მრა-
ვალი წიგნები, გამოკვლევები საბჭოთა წყობილების შესახებ;
ის იყო აღიარებული ტირანიულ, ფაშიზმის მონათესავე წყო-
ბილებათ. ახლა კველა ეს უცებ დავიწყებულია, ის აღიარებუ-
ლია დემოკრატიათ; მის წინაშე იჩოქებენ, უარშიყებიან დაუს-
რულებლივ. ძველი რომაელები ამბობდენ: როცა იუპიტერს
სურს ვინმეს დაღუპვა, პირველყოვლისა მას ჰქვას წაართმევ-
სო. ევროპას ის წართმეული აქვს; აქ თავისივე წვენში იხარ-
შებიან, მისი ადგილის დამჭერია ერთადერთი ამერიკა. დუელი
რუსეთ-ამერიკას შორის მოახლოვებულია. მათ შორის დიდი
მანძილია, მათი საზღვარი შორი-შორს მდებარეობენ, მათი
შეღლის გადაწყვეტა არც ასე ადვილია. რუსეთი არ მიდის,
ვერც მივა ამერიკაში; ბრძოლის ასპარეზია ხმელთაშუა ზღვა,
სპარსეთ-ოსმალეთის ტერიტორია, მეტათ ვიწრო ასპარეზი
მსოფლიო ჰეგემონიის მოსახოვებლათ. ამ საკითხის გადაწყვე-
ტა თავის სასარგებლოთ მოსკოვმა უნდა სცადოს რაც შეიძ-
ლება ადრე, რომ მზათ დაუხვდეს მომავალ დიდ საფრთხეს. ეს
საფრთხე მისთვის დადგება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როცა
გერმანია და იაპონია გამოვლენ დამარცხების გაჭირვებიდან,
აღდგებიან და თავისუფალ სახელმწიფოთ იქცევიან. ორივე ეს
ერი არის ახალი, ფიზიკურათ მაგარი ხალხები, ჯერ კიდევ
არ დაუთავებიათ თავისი სასიცოცხლო გზები, არც მიახლო-
ებულან დაღმართისაკენ. პირიქით, ფიზიკურათ, რასიულათ,
ბიოლოგიურათ ახალი ხალხებია მსგავსათ რუსეთისა და მაშა-
სადამე მათი მომავალი აღორძინება უეჭველია. და როცა ეს
მოხდება, რუსეთი ჩაიჭრება ორ რკალს შორის და მისი გა-

ხეთქა მას გაუჭირდება. ამიტომ მისი ინტერესია ეს არ მოხდეს. ყოველ შემთხვევაში არ დაჩქარდეს; ხოლო როცა შვერომაჟილი და ამერიკა ამავე მიზანს ემსახურებიან, როცა ისინი შეატელებიან ნაირ ზომას იღებენ გერმანია-იაპონიის დასამარხავათ ამით ისინი ემსახურებიან მხოლოდ მოსკოვს და არა თავისთავს, არა კაცობრიობას.

ამგვარათ, დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და ურთიერთობა მოეწყო სავსებით რუსეთის სასარგებლოთ. ახლა მხოლოდ საკითხია: როგორ და რათ გამოიყენებს ის ამ შექმნილ ობიექტიურ პირობებს. მოსკოვის ბოლშევიკურ ხელისუფლებისაგან არ უნდა გამოველოდეთ სხვა რომელიმე გზას, გრადა იმისა, რომელიც მას აღებული აქვს, იცავს და აკრძელებს. ამ გზის ერთი მუხლია ხმალი, ხოლო მეორე პროპაგანდა და საამისო კადრების შექმნა უცხოეთში. ორივე ეს იარაღი ემსახურება ერთ დროშას — რუსეთის ექსპანსიას, მის ხელქვევით კაცობრიობის თავის მოყრას, მოსკოვის მექათ გადაქცევას, ვ. ი. რუსულ ნაციონალისტურ და შოვინისტურ იდეოლოგიას. ეს მიმართულება რუს-კომუნისტებში ამჟამათ გაბატონებულია და მას შესაფერი ნაყოფი მოაქვს შიგნით და გარეთ. ჩრდილო-კავკასიის ხალხთა გადასახლება და მათ ალაგას რუსების ჩამოსახლება ერთი მხრით და საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა მხოლოდ რუს-სლავიანური რესპუბლიკების წარმოდგენა, ყველა სხვა რესპუბლიკის არ დაშვება — აი ამ ნაციონალისტური მიმართულების შედეგია. რუსი, უკრაინელი და თეთრი რუსი — აი საბჭოთა ნამდვილი ერები, დანარჩენები არ არიან გამოსახენი და მათი მოსახლეობის აყრა-გაქრობა დროს და გარემოების საქმეა. ჩრდილო-კავკასიის მოსახლე უძველესი ერების გასაქრობი მომიზეზება გამოცხადებულია ოფიციალურათ. ინგუშები, ჩეჩენები და სხვები გერმანიას მიემხრენო, მაგრამ ასეთი ამბავი სხვაგანაც კი მოხდა, საფრანგეთის ოფიციალური მთავრობა და მცხოვრებლების დიდი ნაწილი მიემხრო გერმანელთ, მაგრამ ფრანგთა გადასახლება არავის მოუთხოვია, სჯიან მხოლოდ მეთაურთ. ვლასოვის საპიტლერო ჯარში ითვლებოდა ნახევარი მილიონი რუსი, დაისაჯა მეთაურობა და არა საერთო რუსობა და სხვ. გადასახლებულთა სიაში ითვლებოდა აგრეთვე საქართველო, და თუ ეს არ მოხდა ამის მიზეზია ქართველი ხალხის სიდინჯე და გამოცდილება, ის არ აჰყვა

პიტლერის პროპაგანდისტებს, არ დაიძრა თავისი აღვიღიათ და მოსკოვის შოვინისტებს არ მისცა საბაბი თავისი ველური ზრახვების განსახორციელებლათ. მაგრამ ეს საფრთხე არ გაქერალა, საჭიროა დიდი გაზომილი სიფრთხილე, რომ მათ მახეში პატარა არა რუსის ერები არ ჩავარდენ.

არის ორნაირი ცივილიზაცია: აგრარიული და ინდუსტრიალური. პირველმა ქვეყანა დაბადა, გააშენა, მეორე კი მას ანგრევს, ანგრევს ორი გზით: რასიულათ და ტექნიკურათ. ინდუსტრია მცხოვრებთ სტაცებს ბუნებას, მიწა-წყალს, თავს უკრის რამოდენიმე ცენტრებში, აძლიერებს მათში ფიზიკურ და მორალურ დავრდომილებას, სწრაფი ნაბიჯით აშორებს სოცელს, მეურნეობას, აძლიერებს გონებრივათ, ასუსტებს ფიზიკურათ — მის კუნთებს, მის ნერვებს, ხორციელ სიმაგრეს და გამძლეობას. ადამიანი ხდება უბინო, მოხეტიალე. სამუშაოს მაძიებელი, აყრილ-დაყრილი; სადაც საჭმელს იშოვის, მისი სამშობლოა; ხოლო მშრომელთა ნივთიერი მდგომარეობა მუდამ გაჭირვებულია. ამავე დროს კლებულობს ერის გამრავლება, დაბადების შემცირებით. ის რასიულათ უკან მიდის, გადავარებისაკენ მიიმართება. ის ადვილათ ხდება მსხვერპლი პრიმიტიული აგრარიული ქვეყნის. მართალია საბჭოთა ხელისუფლება აჩქარებს რუსეთის ინდუსტრიალიზაციას, ევროპისათვის დამსევებას, მაგრამ ვინაიდან ეს ხდება პოლიციური ძალდატანებით, გარეგანი შემოტევით და არა შინაგანი ნებაყოფლობით მსვლელობით, მსგავსათ დასავლეთისა, ამიტომ ხალხის უიზიკურათ დავარდნა, მორალურათ გატეხა ასეთივე სწრაფი ტემპით ვერ ხდება. ქვეყანა მაინც რჩება აგრარიული ყველა თავისი რასიული და ფიზიკური შედეგებით. დავარდნილი დასავლეთი ამ ამომავალი ადამიანების შემოტევას ვერ გაუძლებს.

ინდუსტრიალიზმის მიზეზი და შედეგია ტექნიკის განვითარება მეცნიერების პრაქტიკულათ გამოყენება. რომ ეს გამოყენება სწარმოებდეს მხოლოდ შრომის გასაადვილებლათ მართლაც დიდი მიღწევა იქნებოდა. მაგრამ ის უფრო ემსახურება ქვეყნის დანგრევას, ადამიანთა ულეტას, ქალ-ბავშვების დაუზრგველობას. ერთი სიტყვით, ველურობის მეცნიერულათ დარაზმვას და მით კაცობრიობის რღვევას. წინეთ ომი სწარმოებდა ველზე, თანაბარი იარაღებით მეომართა შორის. ახლა სულ წინააღმდეგ, არავინ არჩევს მეომარს და არამეომარს, თანა-

წორ იარაღებით შეტევას. დაუზოგველათ იქლიტება შეგინული
ბიანი მცხოვრები, ინგრევა სახლები, გზები, შეგროველი ჩირჩივი
დიდრე და მანქანები. ინდუსტრიალური ოში გაცილებით უფრო
ველური ხასიათისაა, ვინემ იყო ველურების.

ამ საერთო მდგომარეობაში დღეს პირისპირ დგას მხოლოდ
ორი ქვეყანა, ორი წყობილება: რუსეთი საბჭოებით, ამერიკა
დემოკრატიით. საბჭოების გამარჯვება მოვცემს მსოფლიოს გა-
საბჭოებას, ე. ი. საყოველთაო დიქტატურას, ყოველგან ბიუ-
როკრატიის და პოლიციის გაბატონებას, ტერორის გამეფებას –
კაცობრიობის გაბოლშევიკებას.

ამერიკის და მისი მოკავშირეების გამარჯვება დაანგრევს
რა საბჭოებს ყველგან დაამყარებს ფულის ბატონობას, ნა-
ციონალურ ეგოიზმს, ყოველივე პრინციპის, იდეიური მორალის,
ჰუმანიური ურთიერთობის დასამარებას, რასაც მოვცება გა-
უთავებელი საშინაო და საგარეო შუღლი და განხეთქილება.

საბჭოთა დიქტატურა, თუ კაპიტალისტური ანარქია? არც
ერთი, არც მეორე; ჩვენ გვაქვს მესამე გზა, სავსებით განსხვა-
ვებული საბჭოებისაგან, ეკონომიურათ განსხვავებული ბურჟუ-
აზიული დემოკრატიისაგან. თავისუფლების, ხალხური დემოკ-
რატიის ჩადგომა დღევანდელი სოციალური ურთიერთობის სა-
თავეში და მის მიერ მთელი ეკონომიკის მეთაურობა – ერთა-
დერთი მისაღები დროშაა; ხაზი მისი მუშაობისა მიიმართება
ერთი გარკვეული მიმართულებით: მოისპოს ანარქიული ეკო-
ნომიკა და ჩაეყინებულ იქნას ის გარკვეულ კალაპოტში. პირვე-
ლი ნაბიჯი ამ მხრით არის ინდუსტრიალიზმის შესუსტება, აგ-
რარიული წარმოების გაძლიერება, მათ შორის წონასწორო-
ბის დამყარება, მათი ერთიმეორის დამხმარეთ და დამატებათ
გადაქცევა. ეს რეფორმა შესაძლებელია, მხოლოდ ერთ შემ-
თხვევაში – მთელი სხვილი ინდუსტრიის, სხვილი ფინანსების
და პომეშჩიკური მიწის საკუთრების ნაციონალიზაცია, საზო-
გადოების ხელში გადაცემა და მისი საშუალებით მთელი მე-
თაური ეკონომიკის დაპატრონება. ყველა წვრილი დარგები, ისე
როგორც ყველა წვრილი საკუთრება, რაიცა ვერავითარ მე-
თაურობას ვერ უწევს ეკონომიკას და თვით არიან მისი მსხვერ-
პლნი, რჩება წვრილმესაკუთრეთა ხელში, პარმონიულათ დაკავ-
შირებული სოციალურ ეკონომიკასთან*).

* ი. ჩემი «ჩვენი გზა».

ამნაირათ, დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხა-
სიათდება მისი ძირითადი გადასხვაფერებით ომის წანანდელულ
მდგომარეობასთან შედარებით. დაეცა ორი პეგმონია — საფრანგისა
გეთის ევროპაში, ინგლისის მსოფლიოში. გზა გაეხსნა ერთი
შერით რუსეთს, მეორე შერით ამერიკას, რომელთა შორის
კონფლიქტი დაწყებულია, ჯერ იდეიურ-პოლიტიკური, რასაც
მოყვება მეორე დიპლომატიურ-მხედრული. ორივე ემზადება
დღეიდანვე ამ მეორე გადამჭრელი გამოხვლისათვის.

ინგლისის შორდება მისი კოლონიები, დაწყებული ინდო-
ეთიდან. ევრელა მიიღუდების თავისუფლების და დამოუკიდებლო-
ბისაკენ. რუსეთი, პირიქით, აფართოვებს თავის გავლენას. მის
ირგვლივ თავს იყრის მთელი სლავიანთა მოდგმა და მათი სა-
ხელმწიფონი. ამ ორ მოპირდაპირე მოძრაობას ახასიათებს მათი
არსებობის მეოთხდი. რუსეთი გადის მსოფლიოში ორგარა,
ერთიმეორის დამანგრეველი, დროშით: ნაციონალურით და კო-
მუნისტურით; ბოლგარიაში გაბატონებული «ნაციონალური
ფრონტი» არის პსევდონიმი კომუნისტური ბატონობის. ასეთი
პსევდონიმებით მოსკოვი გადის გარეთ და პოულობს გამოხმა-
ურებას. ინგლისი არ საჭიროებს არავითარ პსევდონიმს. ელა-
პარაკება ევრელას აშკარა, თანამედროვე ენით და ცდილობს ნა-
ციონალურათ ჩამოშორებული კოლონიები სულიერათ მაინც
მასთან იყვნენ.

ყოველ შემთხვევაში, ნათელია არსებობა ორი ბლოკის: ამე-
რიკის და რუსებ-სლავიანების. მესამე — ევროპის არ სჩანს,
დარღვეულ-დანგრეულია. ორი ბლოკის შემატაკებელი ტერი-
ტორია არის ერთი, აშკარა და ცნობილი. ეს არის ჩინეთი,
წყნარი ოკეანე: აქ მათი ინტერესთა წინააღმდეგობა მიიღებს
მყარ ხასიათს ერთ შემთხვევაში — თუ რუსეთი შევიდა ჩი-
ნეთში, პირდაპირ თუ გადაცმულათ — ჩინელ კომუნისტების სა-
შუალებით. აი ამ გარემოებას დღეს უფრთხის მოსკოვი და ცდი-
ლობს ეს ნააღრევი ნაბიჯი არ გადადგას. მის წინაშე დგას
უახლოესი და უსაჭიროესი პრობლემა — ხმელთაშუა ზღვის
და შუაგული ევროპის დაპატრონება და როცა ამ მიზანს მიაღ-
წებს, წყნარი ოკეანის საკითხი მერე დადგება. რუსეთის აშ-
კარა მიზანია შეადგინოს ახალი კონტინენტი, დაეპატრონოს
დასავლეთს და აღმოსავლეთს და შექმნას ერთი უძლეველა
ბლოკი. და თუ ეს მისი ოცნება ფაქტი გახდა, ამერიკა იძულე-

ბრძი იქნება ქედი მოიხაროს და მის წინაშე დაიჩოქოს. ეკრანი დაჭრილია, დაქსაქსული, ძველ ძლიერებას მოკლებული გრძებრივათ განვითარებული, ფიზიკურათ დავარდნილი; მს მიზეული რავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ამომავალ პრიმიტიულ ხალხთა ენერგიას, ბუნებრივ სიმაგრეს, თავის დადებას და მსხვერპლის წინაშე უშიშროებას. რუსის ხალხი მიეჩვია თავის შინ გაიდოს დიდი მსხვერპლი, იყოს გაბმული ცხოვრების და მუშაობის სასტიკ უღელში. ამასთან შედარებით საგარეო მსხვერპლი მცირეა, ხოლო მოგება კი მიმზიდველია.

რასაკვირველია, მოპირდაპირე ბლოკს აქვს ერთი დიდი კოზირი მოსკოვის წინააღმდეგ – გამოუცხადოს ბრძოლა ბოლგევიკურ წყობილებას, გააჩაღოს შინაგანი რევოლიუციური მოძრაობა, მიემხროს მას და განამარტოვოს ხელისუფლება, ამავე მუშაობაშია ჩაბმული მოსკოვი ყველა სხვა სახელმწიფო, ებში აღვილობრივი კომუნისტური პარტიების და არალეგალური ორგანიზაციების საშუალებით. მას ყოველგან მთელ მსოფლიოში ყავს ძეხუთე კოლონა. ისინი ყველა არაკომუნისტურ, დემოკრატიულ ხელისუფლებას ყოველგან ძირს უთხრიან, ხოლო ყველა ეს დემოკრატები პირდისა შეფურებენ ამ სანახაობას და არავითარ სამაგიერო ზომებს არ ღებულობენ. ომამდე რუსეთი იყო გამოცხადებული ანტიდემოკრატიულ ქვეყნათ, ხოლო ახლა მის წინაშე იჩიქებენ, მას დემოკრატიულათ აღიარებენ, მის სიტყვას სახარებათ იღებენ. იუპიტერი მართალია, წასაქცევათ გამზადებულს გონება ეკარგება.

ეკრობა ახლაც არ არის მიმხვდარი, რომ მისი ომის წინანდელი პოლიტიკა – შენ შენთვის და მე ჩემთვისო – დღეს დარღვეულია, არც ერთ ერს არ შეუძლია კარჩაკეტილათ იცხოვონ; საერთაშორისო ურთიერთობა უნდა აეგოს საერთო ხაზის საშინაო პოლიტიკაზე. რუსეთი მოდის თავისი ხაზით, მას არ მალავს, არც ამბობს – შენ შენთვის, მე ჩემთვისო, რითაც ის დასავლეთს აყრუებდა ომის წინ; ხოლო ეს სანაქებო «დემოკრატია» თვალის წინ ვერას ხედავს და განაგრძობს წამოწოლილი უდარღელ დიდინს.

ერთი სიტყვით, ყველა მიმდინარე ობიექტიური და სუბიექტიური პირობები მუშაობენ საბჭოების სასარგებლოთ. და ისმება საკითხი: შესძლებს კი კრემლი მოიხმაროს ეს იშვიათი მოვლენა თავის სასარგებლოთ?

თავისთავათ ცხადია, რომ ეს დიდი საკითხი მოლაპტაკე-
ბით, მშვიდობიანი გზით ვერ გადაწყდება. ყველა საამისო მო-
მენტი ომის გათავებისას კრემლმა ზელიდან გაუშვა. მან შექმნა
დაიჭირა ბოლგარიდან საბერძნეთი, ვერ გავიდა ეგიის ზღვა-
ზე, ყველგან ინგლისმა მიასწრო, თუმცა რუსის ჯარები იქვე
ახლოს საზღვარზე იდგა. ასევე დაემართა სპარსეთში. ის ვერ
გაშორდა აზერბაიჯანს, ვერ გაემართა სპარსეთის ზღვის ფუ-
რესაკენ, აქაც ინგლისმა მოასწრო. თუ ეს გაბედული სამხედრო
ნაბიჯები საბჭოებმა ვერ გადადგეს და ფაქტების წინაშე მო-
პირდაპირენი ვერ დააყენეს, რასაც უეჭველია, მოყვებოდა მო-
ლაპარაკებით დავის გადაწყვეტა, ცხადია, ასეთი ნაბიჯების გა-
დადგმა დღეს ყოვლად შეუძლებელია უომრათ. ეს კარგათ ეს-
მით მოპირდაპირე ბანაკებს და ყველა საამისოთ ემზადება. სტა-
ლინმა ორჯერ გამოაცხადა თავის სიტყვაში, რომ საჭიროა საჩ-
ქარო სამხედრო მზადება, რომ სხვებმა არ დაგვასწრონ და თავ-
ზე არ დაგვეცენო. ეს მოტივი, რასაკვირველია, გასამართლებე-
ლი გამოიწებაა, ნამდვილი საომარი პლანების დასაფარავათ.
უდაოა მხოლოდ მისი სამხედრო მზადება დიდი ტემპით და მთე-
ლი დიდი ინდუსტრიის ამჟამათ ამ ხაზზე ამუშავება. ამ მუშა-
ობის ნაყოფიერათ დაგვირგვინება ითხოვს დროს; ხოლო ამ ვა-
დას ის იძენს საზავო კონფერენციის გაზვადებით, მისი ცა-
რიელ ლაპარაკათ გადაქცევით, გაუთავებელი დამჯდარი ცეკვით,
რასაც აყვა მოკავშირეთა გულუბრყვილ მოცეკვავებიც.

ერთი სიტყვით, რუსეთი მიღის ომისაკენ მსოფლიოს ჰეგე-
მონიის ხმალით მოსაპოებლათ.

არის ორგვარი ომი, ორნაირი სამხედრო მეთოდი: აზიური
და ევროპიული. პირველის წარმომადგენელნი არიან ატილა,
ჩინგისხანი და მათი მიმდევარნი, მეორის ცეზარი და სხვა მრა-
ვალნი ევროპიულნი. მათ შორის დიდი განსხვავებაა: პირველი
ეყრდნობოდენ თავის ქვეშევრდომების დამონებას, თავის ხალხ-
ზე მოძალადეობას, ტირანიულ ხელისუფლებას. ამ გზით მათ
გაყვდათ თავისი შეიარაღებული ხალხი ბრძოლის ველზე და
აღწევდენ დიდ გამარჯვებებს. მაგალითად, ატილამ გადმოლახა
მთელი რუსეთი, მთელი ევროპა და საფრანგეთში შემოვიდა.
აქ, პუატიესთან, ის დაამარცხა აეციმ, გააბრუნა უკან, მაგრამ ის
გამაგრდა ვენგრიაში, სადაც შექმნა ახალი სახელმწიფო. სამა-
გიეროთ, მის სამშობლოს აქედან არავითარი შეღავათი არ მი-

ულია, მისი მდგომარეობა არ შეცვლილა, ხალხის დამონება
არ შერბილებულა, რის გამო ის თვითონ გახდა შემოსული და
სარბიელი და ჩქარა სამუდამოთ დაეცა.

ომის ეკროპიული მეთოდი ეყრდნობა თავისი ხალხის თა-
ვისუფლებას, ქვეშევრდომთა მდგომარეობის გაუმჯობესობას,
მათ ომის ველზე შეგნებულათ გაყვანას, ყოველგან რეფორმე-
ბის შემოღებას, დაპყრობილთა დამტყრობელთა შორის სული-
ერი კავშირის დამყარებას – ერთი სიტყვით, სამშობლოს გა-
დიდებას არა მარტო ტერიტორიულათ, არამედ აგრეთვე ქულ-
ტურულათ, პოლიტიკურათ და ეკონომიკურათ. ცენარის რომა-
ელთა ლამქარი შეიცავდა თავისუფალ მოქალაქეთ, თავის სამ-
შობლოს უმაღლეს პატრონთ.

აი ეს ორი მეთოდი დღესაც ჩვენ წინ დგას: რუსეთმა ომი
მოიგო, რუსეთში არავითარი რეფორმა, ხალხი ისევ დაყმო-
ბილია ხელისუფლებისადმი, როგორც ომამდე იყო. მოკავშირე-
ებმა ომი მოიგეს – მათ სამშობლოში დიდი რეფორმები და-
იწყო, ინგლისი და საფრანგეთი დაადგა სოციალიზმის გზას
დემოკრატიის შენახვით და გაფართოვებით. მათზე დამოკიდე-
ბულ ერებს აძლევენ ნაციონალურ და დემოკრატიულ თავი-
სუფლებას – ერთი სიტყვით, ხმალი ქარქაშში ჩააგეს, რეფორ-
მები აამეტყველეს.

რუსეთი მისდევს აზოურ მეთოდს. ის ემზადება ომისათვის.
მაგრამ არც მოპირდაპირეთ სძინავთ. ასეთივე დიდი მზადებაა
ამერიკაში. 11 სექტემბრის ცნობით იქ ჟავე გადასდევეს 480
მილიარდი ფრანგი სამხედრო მრეწველობისათვის საჭირო გა-
სალების შესაძენათ. იქ ჟავე შექმნეს ერთი მთლიანი შტაბი
ხმელეთის და ზღვის ჯარების. სამხედრო მინისტრის ამხანაგ-
მა ქენეტმა განაცხადა ათი სექტემბრის სიტყვაში შემდეგი:
«ჩვენი არსენალები აგროვებენ იარაღს, საომარ მასალას ყო-
ველი გვარისას იმდენს, რომ ახლო მომავალში შესძლონ აწარ-
მოვონ მეორე ომი. სამხედრო დეპარტამენტის გადაწყვეტილე-
ბით პირველივე მობილიზაციამ უნდა მოგვცეს გაწრთვნილი
ჯარი და შეიარაღებული არა ნაკლებ 4.500.000 კაცისა».

რუსეთ-ანგლო-საქსონების შეტაკება აუცილებელია; ამ სა-
შიშროებას აგვაცილებს, ჩვენ ქვეყანას ააცილებს ომის ასპა-
რეზათ გადაქცევას ერთი გარემოება: თუ რუსეთი ჩაეტევა თა-
ვის კალაპოტში, თავის საზღვრებში, უარს იტყვის ექსპან-

სიაზე და შეუდგება შინაგან რეფორმებს – პოლიტიკურს, მთელი ციტატა ნომიურს, ნაციონალურს. საბჭოთა კავშირში არ არის ხალხის მოპირდაპირე კლასები – არც ბურჟუაზია, არც პომეშჩიკები; ხალხის მაჯით დამუშავებული აუარებელი ქონება, რომელიც ღღეს მოხელეების ხელშია, უნდა გადავიდეს ხალხის ხელში, რომელიც თავისუფლათ მოიხმარს მას თავის სასარგებლოთ. მხოლოდ ეს გამოსავალი მისცემს რუსეთს შესაძლებლობას გამოვიდეს დღევანდელ მილიტარისტულ ჩიხიდან და დადგეს მშვიდობიანათ მსოფლიოს შარა-გზაზე ახალი დროშით: სოციალიზმი, დემოკრატია. შეძლებს კი ის ამ გარდატეხის მიღებას? მრავალმილიონიანი მოხელენი, მილიონი კომუნისტები და მათი ამყოლინი თვითონ თავის ნებით გააგდებუნ ხელიდან ბატონობის ხადავეს? რასაკირველია არა, ისტორიამ სასწაულები არ იცის. დაგუბებული სისხლი უნდა გამოვიდეს.

ყველა ხალხს აქვს შექმნილი თავისი არსებობის და განვითარების ბაზა, საფუძველი, თავისუფლათ მიღებული და აღიარებული. შეიძლება საბოლაო ნაკთსადგურის მიღწევას, ყველა დაბრკოლებათა გადალახვას დიდი დრო მოუნდეს; მთავარია გზის გამონახვა და მასზე საბოლაოთ გაჩერება. და სწორეთ ეს აუცილებელი ბაზა საბჭოთა იმპერიას არ აქვს, ხოლო ის, რაც აქვს – აქვს ხალხზე ძალდატანებით, ტერორისტული რეჟიმით და მაშასადამე, უნიადაგო და უმწეო. პირველი რევოლუცია, ხალხის პირველი გამარჯვება ბიუროკრატიაზე ამ ნიადაგს სავსებით დაანგრევს და გზას გაუხსნის ახალ წყობილებას. და სწორეთ ამ ბედის თავიდან აცილებას კრემლში ფიქრობენ ერთა საშუალებით – მსოფლიო პეგემონიის მოპოებით, თავისი უკამაყოფილო ხალხების ქმაყოფილათ გადაქცევას დაპყრობილ ქვეყნებში მათი გაბატონებით. ჩიხში მომწყვდეული ბოლშევიკებისათვის ერთადერთი გამოსავალია ომი; მათ არ ძალუმთ სხვა გამოსავალი მონახონ, თავისი ცოდვები სხვა საშუალებით გამოისყიდონ.

ამ მეტათ როულ მოსალოდნელ გარემოებათა წინაშე დგას ჩვენი პატარა სამშობლო, საქართველო. მას კარზე ურახუნებს ორი საშიშროება: ომის ასპარეზათ გადაქცევა, ჩრდილო-კავკასიის სვე-ბედის მოახლოვება. სიფრთხილე და სიფხიზლე ჩვენი ლამპარია.

რობორ იყო

ევროპიული ანუ მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში შემოვიდა ვარშავის კარებიდან და დაუპირისპირდა რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს.

1890 წელს რამოდენიმე ახალგაზრდამ დავამთავრეთ თბილისის სასულიერო სემინარია და სხვადასხვა დროს გავემგზავრეთ ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში შესასვლელად.

ამ დროს მარქსის მსოფლმხედველობას არ ვიცნობდით და არც გაგვეგონა ამის შესახებ რაიმე, გარდა თვით სახელი მარქსისა და მისი წიგნის „კაპიტალ“-ისა, რაიც არ წაგვიკითხავს. მე ჩემდათავად უნდა ვთქვა, რომ გავემგზავრე, როგორც ნაროდნიკი ლავროვის შკოლისა და ვებრძოლი მიხაილოვსკის მიმართულებას. ვარშავაში ჩავედი აგვისტოს გასულს 1891 წლისა. დავაარსეთ თვითგანვითარების ქართველთა წრე, სადაც წავიკითხე მოხსენება: „რა არის პროგრესი“, თავიდან ბოლომდე რუსული სოციალიზმის ტენდენციის. 1892 წ. იანვარში დაარსდა რუსი სტუდენტების წრე და მიგვიწვიეს ქართველებიც. ეს წინადაღება მივიღეთ ორმა, მე და ფილიპე მახარაძემ. და, აი პირველად გავიცანი მარქსისტული მსოფლმხედველობა.

ამ წრის ხელმძღვანელს, გვარად ვიტკინს, მოჰქონდა კაუცის გერმანული წიგნი; იქვე გვითარგმნიდა და გვიხსნიდა ისტორიულ მატერიალიზმს. ეს იყო ჩემთვის დიდი აღმოჩენა, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჩემ შეხედულებებზე. უტოპიურ სოციალიზმს თანდათან ვეთხოვებოდი და რამოდენიმე თვის მეცადინეობის შემდეგ მიხაილოვსკის ლავროვიც მივაყოლე. ამავე დროს ხელში ჩამივარდა პლეხანოვის ნაწერები. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა წიგნაკმა ტიხომიროვის წინააღმდეგ. ამ რუსულ ლიტერატურას ვაგზავნიდით საქართველოში, სადაც კავშირი და მი-

წერ-მოწერა მქონდა სამ პირთან: ეგნატე ნინოშვილთან, სი-
ლიბისტრო ჯიბლაძესთან და დიმიტრი კალანდარიშვილთან; ეს უკუ-
ესენი, თავის მხრივ, აცნობდნენ ახალ ლიტერატურას თავის
მეგობრებს. იმავე წელს ზაფხულში მე ავად გავხდი ფილტვე-
ბით და ექიმების რჩევით გავემგზავრე სამშობლოში. ზაფხუ-
ლი გავატარე ჯუმათის მონასტერში, მისი წინამდღვრის ბი-
ნაზე. იქ რამდენჯერმე მინახულეს ეგნატემ და სილვამ. გვქონ-
და ხანგრძლივი ბაასი რევოლუციონურ მუშაობაზე. ენკენის-
თვეში მე გავემგზავრე ს. ჯიბლაძისას ამაღლებაში და იქა-
დან ორივე ჩვენ წავედით სოფ. სურებში ის. რამიშვილის
სანახავად.

ვნახეთ მისი შეკოლა, მისი საქმე, წმინდა ნაროდნიკული
მოძღვრებით, გეზით და მიღრეკილებით. გვქონდა მუსაიფი
საერთო მუშაობის და სამუშაო პროგრამის შემუშავების შესა-
ხებ. მე დავბრუნდი შინ, ლანჩჩუთში და დამხვდა ეგნატე, ჭი-
ათურიდან ჩამოსული. მან მითხრა, რომ იქ აღმოაჩინა დიდად
მომზადებული მარქსისტი და უსათუოდ უნდა გაეცნოო, მისი
ვინაობაა კარლო ჩხეიძეო, თან იხუმრა, სახელიც მოწმობს
მის მარქსისტობასთ. დამისახელა აგრეთვე მრეწველი კაკა-
ბაძე, როგორც ჩვენი წრის კაცი, რამაც ცოტა გამაკვირვა.
ერთი სიტყვით აღმოჩნდა რომ, მარქსისტები გურიას გარე-
თაც არიან და საჭიროა მათი თავის მოყრა. ეგნატე გავემგზავ-
რა უკანვე და იქიდან მაცნობა, კრების მოწვევა შეიძლება
ყვირილაში, ი. კაკაბაძის ბინაზე და თუ თანახმა ვარ, აცნო-
ბებს ყველას. მაშინვე თანხმობა ვაცნობე. შობა — ახალ-წლის
შეა ყვირილაში შევიყარეთ საქართველოში მყოფი ყველა მარ-
ქსისტები ანუ იხეთები, რომლებსაც თავი მარქსისტებათ მო-
ჰქონდათ. აქ იყვნენ: ე. ნინოშვილი, გ. ჩხეიძე, მიხა ცხაკაია,
ის. რამიშვილი, დ. კალანდარიშვილი, არსენ წითლიძე, ევგე-
ნი ვაწაძე, რაედენ კალაძე, ის. კვიცარიძე და ი. კაკაბაძე —
მასპინძელი. ბოლოს, კრების გათავებისას ჩამოვიდა სილ. ჯიბ-
ლაძე. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი. არავის
არ აღმოაჩნდა რაიმე დაწერილი გეგმა.

თავშივე გამოირკვა ორნაირი მიღრეკილება, ძველი უტო-
პიურ-ნაროდნიკული და მარქსისტული.

ამ კამათის დროს ევ. ვაწაძემ იქვე რუსულად ჩამოწერა
უმრავლესობის ტენდენციის პრინციპები, მსგავსად პროგრა-

მისა, რაიცა შეიცავდა ათიოდე მუხლს; ეს იყო განმეორება უტოპიური სოციალიზმის მთავრობი დებულების: აჯანყება, კრეატურულუციონური მთავრობა, სოციალიზმის დამყარება, — სწორი რედ ის, რაც შემდეგ თვალწინ გაიშალა ბოლშევიზმის სახით. პროგრამაში ადგილი არ დაურჩა არც ნაციას, არც დემოკრატიას. ვაწაძის პროექტი იქნა მიღებული და კრება დაიშალა. ამ დროს ჩამოვიდა ს. ჯიბლაძე და მასთან ერთად გავემგზავრე გურიაში. ჩვენ ორისათვის აშკარა იყო მარქსიზმის დამარცხება ყვირილაში და გადავწყვიტეთ საქმის შემობრუნება. მოგვემხრო ეგნატეც და მან ითავა კრების მოწვევა, როცა წარმოვადგენდი პროექტს განსხვავებულს ყვირილასაგან. მე მაშინვე შევუდექი და იანვრის გასულს ვაცნობე ეგნატეს: მზადა ვარ.

დავინიშნეთ მეორე კრება იმავე ჯგუფის თბილისში, თებერვლის გასულს, ყველიერის უკანასკნელ სამ დღეს. შეიკრიბა იგივე ჯგუფი გარდა რამოდენიმე პირისა, რომელნიც სიშორის გამო ვერ ჩამოვიდნენ, (ის. რამიშვილი და სხვ.)

პირველ ყოვლისა მოვახდინეთ გამოკვლევა იმის, თუ კიდევ არის ვინმე სხვა ეროვნების მარქსისტი. ამ ზიზნით მივმართეთ სტეფანე დანდუროვს, რომელიც იცნობდა მემარცხენე ინტელიგენციას. მან განაცხადა, რომ მარქსისტი მას არავინ ეგულება და თვით მარქსიზმი რუსეთის სინამდვილეში, მით უფრო კავკასიაში, დიდი სიბრიივე. ჩვენ ჩვენი გზა ვაქვს, ევროპას კიდევ თავისიო. გაიმართა კამათი. ბოლოს გვითხრა: კვირა სადამოს რევოლუციონური ინტელიგენციის „ვეჩერინგაა“, მოდით იქ, და ეგება იქ ნახოთ ვინმე თქვენი თანამოაზროვ, მოგვცა მისამართი და დავშორდით.

მეორე დღესვე შევიკრიბეთ და ჩემი მოხსენება „რა ვაკეთოთ“ წავიკითხე. მოხდა საკვირველი ამბავი; ყვირილას პროგრამა არავის გახსენებია. მის დამკველად არავინ გამოსულა. ჩემი პროექტის დასკვნებს არავითარი კამათი არ გამოუწვევია, მხოლოდ დასაბუთება არ მიაჩნდათ საკმარისად და ითხოვდნენ გაძლიერებას ისტორიული მაგალითებით. განსაკუთრებით ამ მხარეს აწვებოდა კ. ჩხეიძე. მეორე დღესვე შევედი „საზოგადო ბიბლიოთეკაში“ გოლოვინის პროსპექტზე, გადმოვიდე ღუბროვინის ისტორიული მასალები, მე-19 საუკუნის დასაწყისის აწერილობა ჩვენში, შევავსე ჩემი მოხსენება და


შემდეგ ქრებაზე წარვუდგინე ამხანაგებს. ეს იყო შაბათი წელი 1894 წელი და დილა. აქ ერთხმად იქნა მიღებული ჩემი პროექტი და მისი დამტკიცება გამომექვეყნებია ლეგალურ პრესაში.

შემდეგ თრშაბათს კიდევ შეიყარა ჩვენი ჯგუფი და გადაწყვიტა პრაქტიკული მუშაობის დაწყება; წერით, სიტყვით და ორგანიზაციების დაარსებით, პირველყოვლისა თბილისში. ამნაირად ჩამოყალიბდა ქართველ მარქისისტთა პირველი ჯგუფი, გარკვეული პროგრამით და მოქმედების გეგმით.

ამ ჯგუფს მე დავშორდი მანძილით, საზღვარგარედ გავემგზავრე ამავე წელს მაისში, ჯგუფის დადგენილებით. მასთან მქონდა მუდმივი მიწერ-მოწერა და კავშირი. ამ ჯგუფის საჯარო გამოსკლა მოხდა ეგნატე ნინოშვილის საფლავზე და დაერქვა მესამე დასი. ეს მოხდა 1893 წ. ეს ლეგალური სახელი სწორედ მისწრება იყო იმ არალეგალურ ხალხისთვის და ჩვენც ეს სახელწოდება შევიწერეთ ყველა ჩვენ ლეგალურ გამოსკლაში.

შემდეგ ამ ჯგუფს ჩამოშორდენ ზოგი მისი წევრები და დაუბრუნდენ რუსულ სოციალიზმს ბოლშევიკების სახით. ყვირილას პროგრამა ისევ აღდგა. სოციალიზმი რუსული და ეპროპიული დღესაც ერთმანეთს ებრძვის.

„რა ვაკეთოთ“ მე დაუტოვე „ივერიას“ დასაბეჭდათ, — არ დაბეჭდა. შემდეგ გაუგზავნე „მოამბეს“ და დიდი ყოყმანის შემდეგ მან გამოაქვეყნა 1894 წ. სათაური გამოვუცვალე, დავარქვი „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“.

როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა ხორ

როგორც ნოე სწერდა თავის წიგნში „ჩემი წარსული“, ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობა მისი პრეზიდენტობის დროს იყო ძალიან განსაზღვრული. მახსოვს, ერთხელ, როცა ჩვენ სადღაც მივდიოდით, შემომხედა და გულდაწყვეტით მითხრა: ისე ხარ ჩაცმული, რომ შენ შემხედავს მზარეული ქალი ეგონებიო. მაგრამ ტანისამოსი ხომ ციდან არ ცვიგი! საქართველოს სამი წლის დამოუკიდებლობის დროს მე ვერ შევძელი ერთი კაბა მეყიდა და საფრანგეთშიც ისე ჩამოვედით, რომ არც ერთი გროში არ გვერდა შემონახული. კიდევ კარგი, რომ თბილისიდან წამოსვლისას თან წამოვიდე ბალიშები და საბნები, რომლებიც ნოეს დის, გულჩინას შეკვეთით დაგვიმზადეს დანჩხუთელმა ქალებმა!

უცხოეთში, სანამ პილსუდსკი იყო ცოცხალი, პოლონეთის მთავრობა გვეხმარებოდა და გვქონდა ცოტათ თუ ბევრათ განსაზღვრული ბიუჯეტი. მაგრამ იმდენი საშუალება კი არ მოგვეპოვებოდა, რომ ბავშვები საზაფხულოდ წაგვეჭვანა სადმე დასასვენებლად. ბავშვები ხშირად ავადმყოფობდნენ ზამთრობით და ანდრეიკას (უფროსი ვაჟის) გარდაცვალების შემდეგ მე ძალიან მეშინოდა მათაც არაფერი დამართოდათ.

ჩვენ ვცხოვრობდით ქალაქებარეთ – სენ მორში, სადაც გვქონდა ბინა დიდი ბალით. ნოე სულ მეუბნებოდა, ახლა ჩვენ აღარ დავვჭირდება სადმე სააგარაკოდ წასვლაო. მაგრამ მე გადავწყვიტე, რათაც უნდა დამჯდომოდა, მომეხერხებინა ნოეს და ბავშვების წაყვანა მთაში. ამისთვის ათი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს ვაწყობდი პატარა საზაფხულო პანსიონს. ვმოულობდი პენსიონერებს, და ეს საშუალებას გვაძლევდა ჩვენც აგარაკზე მთებში გაგვეტარებია ზაფხული.

სენ მორში ნოე ხშირად ავადმყოფობდა. ერთხანს თითქ-

მის მთელი წელიწადი იწვა ლოგინში. სიარულიც კი ემნელებოდა. ორი პატარა ბავშვი გვყავდა, ერთი — ერთი წლისა და მეორე — სამი წლისა. მესამე — უფროსი ქალიშვილი ასმათა — (ატა) სასწავლებელში დადიოდა და თან ოჯახშიაც ნოეს და ბავშვების მოვლაში მეხმარებოდა.

ნოეს გულის ავადმყოფობას წამლობდნენ ექიმები, მაგრამ გაუმჯობესება არ ეტყობოდა. ბოლოს ნოემ მიმართა გულის ავადმყოფობის ერთ დიდ სპეციალისტს და ჩვენდა გასაკვირველად მისგან ასეთი პასუხი მიიღო: „თქვენ გული ჯანმრთელი გაქვთ, მაგრამ ავათ ხართ სელულიტით, რომლის მორჩენა შეუძლია მხოლოდ ერთადერთ ექიმს — (გვარი არ მახსოვეს), რომელმაც აღმოაჩინა ეს ავადმყოფობათ“. თავის მხრივ ურჩია წასულიყო სამკურნალო წყლებზე. ნოემ ეს რჩევა მიიღო და ექიმობდა ამ წყლებზე ათი წლის განმავლობაში. ხარჯებს მეგობრულათ გვიხდიდა დაუკინებელი იოსებ ელიგულაშვილი.

უმისოთ ნოე ექიმობას ვერ შესძლებდა, მით უმეტეს, რომ პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ არავითარი განსაზღვრული ბიუჯეტი არ გვქონდა. ომის დროს საზაფხულო პანსიონის გაწყობაც შეუძლებელი გახდა და ჩვენ აღარ შეგვეძლო დასასვენებლად სადმე წასვლა. მე მივაშურე ისევ ლევილს, სადაც მოგვიზომეს 1500 კვ მეტრი საბოსტნე აღგილი. პირველ წელს გვეხმარებოდა კოლია ნიუარამე. შემდეგ კი გადავედით გიორგი ერაძის განკარგულებაში და მან მოგვიჩინა მომუშავეთ გიორგი ელენტი, რომელიც კვირაში ერთ დღეს მუშაობდა ჩვენს ნაჟერ მიწაზე.

მოგვავდა კარტოფილა, ლობიო და სიმინდი, ვაკეთებდით ფქვილის ღომს და ეს უყო ჩვენი მთავარი საზრდო. ნოე ამბობდა, გ. ერაძე არის ჩვენი მარტინალიო. მე თვითონაც დავდიოდი ლევილში სამუშაოდ, პარიზის გარეუბან ვანვიდან, სადაც ვცხოვრობდით. ზოგიერთი ამხანაგი არ იყო კმაყოფილი იმით, რომ ნოეს ვტოვებდი მარტოს. მაგრამ მე რომ არ მიმეხედა ლევილში ჩემი ბოსტნისათვის, ჩვენი საქმე რიგიანათ ვერ წავისოდა.

ტანისამოსის საყიდელი ფული არ გვქონდა. მაინც ძალიან ვცდილობდი დამერწმუნებია ნოე, რომ მისთვის საჭიროა ერთი საზაფხულო პალტო, — მრცხვენოდა უცხოელების, რომლებსაც ის თავის ძველ პალტოში ხვდებოდა. მაგრამ მან არ

მაილო ჩემი რჩევა: „მე ახლა იმ ასაკში ვარ, რომ ტანისამოსი
აღარ მაინტერესებსონ“.

შინ, ოჯახში ის თვითონ ალაგებდა თავის ოთახს და ან-
თებდა ღუმელს. როცა ჩემ სახეზე ამჩნევდა სიბრალულის
გრძნობას, ღიმილით მეუბნებოდა: „კარგი აზრები სწორეთ
ოთახის დაგვის დროს მომდის თავშიო“. შეიძლება ეს ხუმ-
რობაც არ იყო! ამბობენ ხელებით მუშაობა ანვითარებს ადა-
მიანის ტვინსა და გონებასო და ამიტომ აქვთ გლეხებს „საღი
გონებაო“.

ერთხელ შევედი ნოეს ოთახში და ვწედავ, რომ ის გრეხს
თავის ნაწერების შავს და ყრის ბუხარში ცეცხლის გასაჩა-
ღებლად. „რას შვრები ამას – შევძახე მე – განა არ იცი, რომ
ეს ხელნაწერები დიდი ისტორიული ღირებულებისაა?“ და ასე
გადავარჩინე ბევრი რამ დაწვისაგან.

ჩემი გულის მდგომარეობის გამო მე არ შემეძლო ოჯახის
ყველა სამუშაოს გაკეთება და ნოე მეხმარებოდა. ჯამშრთელო-
ბას მხრივ ხომ ისიც მოისუსტებდა და მხოლოდ რეგულიარუ-
ლი ცხოვრების წესების დაცვით და მტკიცე ხასიათით შესძ-
ლო მან იმდენ ხანს შეენარჩუნებია სიცოცხლე.

ნოეს სამჯერ-ოთხჯერ გამოიჩნდა ჭლექის ნიშნები. მხო-
ლოდ 1922 წელს განიკურნა სავსებით ამ საშინელი სენისა-
გან ექიმ მანიუხინის წყალობით. ხშირად ცივდებოდა ერთი
ოთახიდან მეორეში გადასვლის დროს (ომის დროს ჩვენ არ
შევვეძლო მთელი სახლი გაგვეთო, ცენტრალური გათბობა
კი მაღლე გაფუჭდა). როცა თავს კარგათ გრძნობდა, ნოე ყო-
ველგარ ამინდში დღეში ორჯერ მიდიოდა სასეირნოდ. ში-
ნაც მეხმარებოდა ოჯახში. თვითონ ყიდულობდა სურსათ-სა-
ნოვაგეს, აწყობდა და ალაგებდა სუფრას. ხან იმასაც ცდილობ-
და, რომ თავისი პერანგები თვითონ გაეუთოვებია. მაგრამ მე
ვუშლილი, მეშინოდა არ დაწვა.

წერდა ის ყოველთვის საღამოს ხუთი საათიდან შვიდამ-
დე. მის მაგიდაზე არ ეწყო არც წიგნები, არც გაზეთები. მა-
სალას ის ამსაღებდა წინდაწინ. მასსოვს; როცა ნოე პირვე-
ლად გავიცანი, ის მეუბნებოდა: „მე მჭირდება მხოლოდ კა-
ლამი და ქაღალდი. სხვა არაფერიო“. იმ დროს ის იყო 35
წლის. მაშინაც დიდი გულმოღინებით ეკიდებოდა თავის ნა-
წერებს. ერთი თავის სტატია მან ხუთჯერ გადაწერა. საერ-

თოდ წერა იყო მისთვის ისეთივე ორგანიული მოთხოვნილება, როგორც საჭმელ-სასმელი. მას ესმოდა ის, რაც უნდა დაწერა. თითქოს ვიღაც უკარნახებდა. გარედან მოზღვავებული პზრები არ აძლევდნენ მოსვენებას და მხოლოდ მაშინ დამშვიდდებოდა, როცა თავის აზრებს ქაღალდზე გადაიტანდა. შემოქმედება იყო მისთვის უდიდესი ქმაყოფილება. როცა სტატიის წერას გაათავებდა, ჩამოვიდოდა ჩემთან სახეგაბრწყინებული, განათებული თვალებით.

ყველაზე მეტათ უფრთხოდა მრავალსიტყვიანობას და მეორე დღეს იწყებდა დაწერილის მოწურვას, შემოკლებას, მიუხედავად ჩემი პროტესტებისა. თავის სტატიებში ბევრი გამოთქმები შემოჰქონდა თავის დედისგან მოსმენილი. მთელი 30 წლის გადმოხვეწილობაშიაც ის მუდამ გრძნობდა ღრმა კავშირს თავის ერთან.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობდით საქართველოზე, მის მომავალზე. ბევრი რამ შეუძლია პატარა საქართველოს? — შევეკითხე ნოეს: „ათენა იყო მხოლოდ ერთი ქალაქი, მაგრამ მან შექმნა ცივილიზაციაო“ — იყო მისი პასუხი.



զԵՐՈՅԵՐԵԱՆ:

- ქართველი ნაციონალისტები - დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად ა.-ს ფეხვლინიმით, უნივერსიტეტი, 1904.
 - ბრძოლა - პირველად დაიბეჭდა ხელმოუწერლად, უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925, № 1; შესულია კრებულში: ნოე ეროვნულია, რჩეული ნაწერები ემიგრაციაში, გამოიცემელი ვალიკო ჩაბაინძე, პარიზი, 1956, გვ. 13-15 (ქვემოთ შემოკლებით: რჩ. ნაწ.).
 - ქართველი ერი საფრთხეში - უურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1950, № 5; რჩ. ნაწ., გვ. 15-19.
 - ქართველი სოციალ-დოკტორატი - უურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1949, № 3; რჩ. ნაწ., გვ. 19-24.
 - 26 მაისი - ვაშ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1933, № 33; რჩ. ნაწ., გვ. 24-27.
 - ქართველ ერს - ვაშ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1931, № 12; რჩ. ნაწ., გვ. 27-29.
 - დიდი თარიღი - ვაშ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1930, № 9; რჩ. ნაწ., გვ. 30-32.
 - ერის თვითგამორკვევა - უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925, № 1; რჩ. ნაწ., გვ. 32-38.
 - მიმდინარე პოლიტიკა - უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925, № 2; რჩ. ნაწ., გვ. 40-44.
 - დეკლარაცია - ვაშ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1940, № 14 (93); რჩ. ნაწ., გვ. 45-46.
 - ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი - დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად, პარიზი, 1925.
 - ჩვენი ტაქტიკა - უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925, № 5 და № 6; გამოიცა ცალკე წიგნაკადაც, პარიზი, 1926; რჩ. ნაწ., გვ. 47-64.
 - ხუთი წელი - უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1926, № 8; რჩ. ნაწ., გვ. 64-66.
 - სადღეოსთ - უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1926, № 14; რჩ. ნაწ., გვ. 67-69.
 - ათა წელი - უურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1927, № 27-28; რჩ. ნაწ., გვ. 69-75.
 - წევნი გზა - „ბრძოლა“, პარიზი, 1928, № 31-32; რჩ. ნაწ., გვ. 75-92.
 - საქართველოს საგარეო პოლიტიკა - ვაშ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1934, № 43, № 44, № 45; რჩ. ნაწ., გვ. 93-111.
 - კავკასიის კონფედერაცია - ვაშ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1934, № 45; რჩ. ნაწ., გვ. 112-114.

19. ორი ქვეყანა – ქურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1950, № 7; რე. ნაწ., გვ. 132–135.
20. დემოკრატია – დაბეჭდილი ცალკე წიგნაკად, პარიზი, 1933. პირველი გვ. 21. ნენი გზა – დაწერილია 21. V. 1941; დაბეჭდილია ქრებულში:
6. უორდანია, ახალი ნაწერები, პარიზი, 1948, გვ. 7–47 (ქვემოთ მო-
მოქლებით: ახ. ნაწ.).
22. დღეს, ხვალ – დაწერილია 20. IX. 1941; ახ. ნაწ., გვ. 49–112.
23. ევროპა და კაცობრიობა – დაწერილია 20. II. 1943; ახ. ნაწ.,
გვ. 113–154.
24. რა ბევრად მსოფლიო – დაწერილია 14. IX. 1946, ახ. ნაწ.,
გვ. 195–208.
25. როგორ იყო – იხ. ქურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1988, № 112,
გვ. 12–15.
- დამატება:
- ინა ეორდანია – როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა ნოე, იხ. ქურნ.
„ჩვენი დროშა“, პარიზი, 1988, № 112, გვ. 20–22.

შ ი ნ ა ს ი

ნოე ქორდანია (შესავალი წერილი გ. შარაძისა)	III
ქართველი ნაციონალისტები	1
ბრძოლა	39
ქართველი ერი საფრთხეში	42
ქართველი სოციალ-დემოკრატია	46
26 მაისი	52
ქართველ ერს	56
დადი თარიღი	59
ერის თვითგამორკვევა	62
მიმდინარე პოლიტიკა	69
ღეკელაცია	75
ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი	77
ჩენი ტაქტიკა	105
ხუთი წელი	124
სადღესო	127
ათი წელი	130
ჩენი გზა	137
საქართველოს საგარეო პოლიტიკა	155
კავკასიის კონფედერაცია	176
ორი ქვეყანა	179
დემოკრატია	183
ჩენი გზა	229
დღეს, ხვალ	275
ევროპა და ქაციონისტა	347
რა ხდება მსოფლიოში	393
როგორ იყო	408
დამატებითი: ინა ქორდანია. როგორ ცხოვრობდა და მუშა- ობდა ნოე	412

რედაქტორები: მ. ჯაველიძე, ლ. თავართქილაძე
 მხატვარი რ. მაჭარაშვილი
 მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
 კორექტორი ვ. გვანია
 გამომშევაბი მ. წივწივაძე

სბ № 7163

გადაეცა წარმოებას 15.12.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.04.90. სა-
 ბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108^{1/32}. გარნიტური ლიტერატ. ბეჭდვა მაღალი.
 პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 23,52. პირ. საღ.-გარ. 23,86. სააღ.-საგამომც.
 თაბაზი 21,01. ტირაჟი 50 000. შეკვ. № 2388.

ფასი 6 მან.

გამომცემლობა „საქართველო“
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
 თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, კრიკოლ რობაქიძის
 გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Госу-
 дарственного комитета по печати Грузинской ССР пр.
 Гр. Робакидзе № 7.



Жордания Ноэ Николаевич
ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ
(На грузинском языке)
Издательство «Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1990

